K 24486
2

მ ა ს ა ლ ე ბ ი
საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის

წიგნი II

(ვალი, იჯარა, ვაჭრობა)

მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა
ნ. ბერძენიშვილმა

თბილისი—1953

ქ.ბ. 2015-5380

К 2446/2

მასალები
საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის

გვიანფეოდალური ხანა

წიგნი II

(ვალი, იჯარა, ვაჭრობა)

მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა
ნ. ბერძენიშვილმა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი—1953

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი — „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II“ — ისევე, როგორც ის ნაკვეთიც („წიგნი III“), მომავალი (1954) წლის საგამომცემლო გეგმაში რომ აქვს შეტანილი უნივერსიტეტის გამომცემლობას, ჯერ კიდევ მაშინ იყო დამზადებული გამოსაცემად, როცა ამავე „მასალების“ „წიგნი I“ დაიბეჭდა უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ, ე. ი. 1938 წელს.

ასე რომ ეს წიგნი („II“) უშუალო გაგრძელებაა “წიგნი I“-ისა.

ეს წიგნი იმავე გეგმით გამოდის, როგორც იმთავითვე იყო ნავარაუდევი. პირველი წიგნის „ხელფასს“, „ქირას“, „ფასებს“ აქ მიყვება „ვალი“, „იჯარა“, „ვაჭრობა“. მესამე წიგნში კი შევა „აღმშენებლობა“, „ქონება“ და „სახელმწიფო ეკონომიკა“.

მესამე წიგნსავე დაერთვის მთელი გამოცემისათვის (სამივე წიგნისათვის) საჭირო აპარატი (შესავალი წერილი, საძიებლები, ლექსიკონი).

სიამოვნებით და მადლობით აღვნიშნავ, რომ ამ მეორე წიგნის გამოცემის ტექნიკური ხელმძღვანელობა იკისრა და მთლიანადაც შეასრულა უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის უფროსმა ლაბორანტმა ედიშერ ხოშტარიამ.

ნ. ბერძენიშვილი

16/XII 53 წ.

3 ᎠᎩᏁ

1. **1682** წ. სასამართლოს განაჩენი ზაქარია თურმანიძისა და ვინმე დომენტის ვალის საქმეზე. დედანი. ზომა 20,5×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8479 Hd.

ქ. ჩვენ, ფავლენიშვილმა სახლთუხუცესმა შიოშ, დიასამიძემ დიასამ, სა(ა)-კაძემ გივმა და შალვამ, დომენტის და თურმანიძის ზაქარიას საქმე გავარიგეთ, ლევან ბატონის-შვილის ბძანებითა. დომეტის თეთრი ზაქარიას ემართა, ბატონიშვილი შუა ჩამოვარდა და ზაქარიას რომ დომეტის თეთრი ემართა, ბატონის-შვილმა იასეს საქორწილოში გაუბარა. ახლა ის თეთრი ხუთი თუმანი იყო. ერთი თუმანი დომეტიმ იასეს შეაწია და ოთხი თუმანი, თუმანი თვეში აბაზად, იასემ უნდა მისცეს დომეტის, რასაც ხანს იასეს ხელში დაყოს... ამის მოწამენი ჩვენ ვართ. და კიდემ იასემ დომეტის თავისი მსახურები—ნარიმანაშვილი ზურაბა, ტაველაშვილი შერმაზანა და ერაპეტაშვილი ზურაბა, ესენი თავდებათ მოსცა, რომ საქორწილოდამ მოვკრეფ და ამათის ხელით მოგცემ გაურჯელადო. მე, გაბრიელ მგალობელს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქკს ტო. |—|[1]
ქ. დომენტიმ კაცის . . . [2] ჩემ სახელზე მივეც, ეს თეთრი კაცის უნდა მიეცეს.

2. **1693** წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ხოსრუა, მანდენა და არუთინა ასლუაშვილების მიერ დოლმაზა შანშიაშვილისადმი ვალში. დედანი. ზომა 42×15,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტი „ა"—მეტია, რაც ჩვენ არ გადმოგვიცია.
საქ. სახ. მუზ. № 6604 Hd.

იოვანე[3] |—|[1]

ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღთისმშობელისა, მარადის ქალ-

---

[1] მურის ბეჭედი, არ იკითხება.
[2] მრავალწერტილი აღნიშნავს სიტყვებს, რომლებიც აღარ განირჩევა.
[3] ხელრთვა.

წულისა მარიამისათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა, ძლიერებითა პატიოსნისა ცხოველმყოფელისა ჯვარისათა, რომელსა ზედა განიპყრნა უხრწნელნი მკლავნი თვისნი ჭსნისათვის ადამიანთასა,—თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმინდათა უხორცოთა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქიელ (sic) და გაბრიელისათა, წმიდათა მღვდელთმოძღვართა, წინასწარმეტყველთა, მოწამეთა, მამათა და ყოველთა წმიდათა, რომელნი სათნო ეყუნეს უფალსა ჩვენსა იესოს ქრისტეს, ამათის თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ესე ამიერ უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და მიზეზ შემოუღებელი სამკვიდრო და საბოლო(ო) ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ასლუაშვილის ზურაბაშვილებმა ხოსრუამ, მანდენამ და არუთინამ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა, თქვენ, შანშიაშვილს დოლმაზას, შვილთა თქვენთა ნასყიდას, როსტომას, ხოსრუას, დათუნას, ავთანდილას, მანდენას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, ასე და ამა პირსა ზედა, რომ ჩვენ თქვენი ვალი გვემართა და დიაღ გამრავლდა, რომ სხვა რიგათ მოცემას ვერას თავს გაუვიდოდით. ჩემი ქვემო ვენაჯი თქვენს მამულზედა მჭარათ იყო და რადგან ჩემი ვენაჯი თქვენ ვემჭროდათ, თქვენც იმავ[1] ჩემი ვენახის სანუფქო(sic) თქვენი სამკვიდრო ზემო ვენაჯი საყდარს დაუდევით და მე ეს ჩემი კერძი ახალშენი თქვენ მოგეცით, ბატონის ჩემის ბატონის ბოვნელ(sic) ეფისკოპოზის იოვანეს ბძანებით და მისის დასტურით. ესე შევრიგდით და გარდავწყვიტეთ, რომ ჩვენ ერთმანეთთან ჭელი აღარა გუქონდეს[2] და გიბედნიეროს ღმერთმან, რარიგათაც გეპრიანებოდეს მოიჭმარეთ, ყოვლათ გეჭელყვისთ. აწე ვინცა და რამანც ადამის მონათესავემ კაცმა, დიდმა ანუ მცირემა, ამისადა შლად და ცილებად ჭელყოს, მასამც რისხავს დაუსაბამო დაუსრულებელი მამა, ძე და სული წმინდა და იუდასთანამც იქნება ნაწილი და სამკვიდრებელი მისი. გამთავენი და დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს, ამინ.

არიან ამისი დამხდურნი და მოწამენი თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი ჭორციელნი და უხორცონი, კაცთაგან ბატონის ბოვნელის ძმები გოდერძი და ბეჟან, ნაზირი ბაინდურა, მისი ძმა ბეჟან, ზავრაშვილი ბეჟან, იაგულაშვილი ვახუშტი, ფარსადან, ურქმაზაშვილი პაპუა, მემანდარბაში ალავერდა, თუშმალი შავერდა, მამაგულაშვილი ბერუა, ზემო-ბოლნელი მოურავი დუშია, ეჯუბაშვილი ვართანა, და სულ ამ ჭეობის კაცნი ამისი მოწამენი არიან. მე, დეკანოზს ოქროპირს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა ქკს ტპა. |___|[3]

ამისი სამძღვარი ზეით ისივ თქვენი ვენახი და ქვეით მირაქას კერძამდი თავის გასწორ მიწით. + + + + +

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: ქ. ასლ(უ)აშვილების[4] მოცემული წიგნია ვენახის. ზემო ბოლნისელი.

---

[1] დედანში: „იმავა".

[2] ეს სიტყვა დედანში გამეორებულია.

[3] მურის ბეჭედი, არ იკითხება.

[4] დედანში თითქოს: „ახლაშვილების".

3. 1700 წ. მარტის 1. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ბ ურ დ ი ა ს-შ ვ ი ლ ი ს ს ულ ხ ა ნ ი ს მიერ მ დ ი ვ ა ნ ი გ ი ვ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 17,6×11,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელთ. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 58 Sd.
მდივანი გივი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი უნდა იყოს (იხ. „ქვემო ქართლი" III—IV, საძიებელი).

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ბურდიას-შვილმ(ა) სულხ(ა)ნ, თქვენ, მდივ(ა)ნს გივსა, ასე რომე იასეს ჯიღა ზაზას თქვენთვის გიროვოდ(sic) დ(ა)ედო და იასესათვის თეთრი აეღო. ახლა მოვედით, თქვენი თეთრი მოგეცით და ჩვენი გიროვო წავიღევით და სარდალს მივყიდევით. ჩვენში ერთმ(ა)ნერთ(თა)ნ სადავო არა დარჩა რა. არის გამრიგე თვითან ზაზა |ზაზა|[1] და მოწმე მელიქი |მელიქი გიორგი|[1], მამასახლისი |მამასახლისი ოსეფა|[1] ოსეფა და ყრაქმაზას-შვილი გასპარა. ყუზ(ა)ნთ როსტომა |როსტომ|[2]. მე, ნაცვ(ა)ლს ქაიხოსროვს, დამიწერია და მოწმეც ვარ ამისი. |___|[3]

დაიწერა მარტის ა დამდეგს. ქკს ტპ℧. +

4. 1711 წლ. მარტის 10. პირობის წიგნი, მიცემული ბ ე ჟ ა ნ დ ა ლ უ ა რ ს ა ბ თ ა რ ხ ნ ი ს-შ ვ ი ლ ე ბ ი ს მიერ მათი ბიძაშვილი ზ ა ა ლ ი ს ა დ მ ი ვალის გადახდის თაობაზე. დედანი. ზომა 22,5×14 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახმარია წერტილი, ორწერტილი, სამწერტილი ან მრავალწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3778 Hd.

ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, ბეჟან და ლვარსაბმა, შენ, ბიძის ჩემის შვილს ზალს (?), ასე რომე ვალი დაგვატყუტა(sic) სათავისეოთა და (სა)თავისთავოთა სულ გავაერთეთ. ოთხმოცდახუთი თუმანი შეიქნა. ვალი ნახევარი თქვენია, ნახევარი ჩვენია. სწორეთ უნდა გარდვიხადოთ. მოგვიცემია ამ ვალის გირავოთ ნიკოლოზისათვინ სამოცის თუმნის გირავოთ ჩვენი წილი ლისის მამული თავის გლეხებითა, ოცდახუთის თუმნის გირავოთ მამუკას მივეცით წინ(ა)რეხს ჩვენი წილი გლეხი თავის მამულითა. ახლა ამა ვალებისათვინ ჩივაძე პატა გავგზავნეთ კადაპარს(?) ჩვენს ძმას დემეტრესთანა. იქიდაღმე იმედი გვაქვს, რომე ღ~თით მოგვივიდეს, რომე ამ ვალებჩი მივცეთა და მოვრჩეთ. თუ

[1] მურის ბეჭედი.
[2] მურის ბეჭედი ოვალური ფორმის.
[3] ქართული მურის ბეჭედი, სწორკუთხი მოყვანილობის, სახელი არ იკითხება.

იქიდაღმე არ მოგვივიდეს, ამდონი უნდა ვქნათ აქა, რომე ჩვენის მამულისგან საერთო უნდა გარდვიხადოთ და დღეის უკან თუ ჩვენ უშენოთ ვალი ავიღოთ, ჯერ ვიყოთ მეფე ვახტანგის შემცოდვე და რაც ვალი ავიღოთ, ჩვენ თავად უნდა გარდვიხადოთ. შენ ჩვენს აღებულს ვალთან ხელი არ ქონდეს(sic). არის ამის მოწამე ციცის-შვილი უთრუთ [ ][1], დივანი ოთარ, ჩვენი აზნაურიშვილი ჩივაძე პატა და გოგიბას-შვილი იასე და ბეჟან და ჯორას-შვილი იასე და პატარა გიორგი. და მე, ოქუთა ბეჟუას, დამიწერია, მოწამეც ვარ [ ][2]. დაიწერა ესა წიგნი მარტის ათს, ქ^კს ტჟთ.

ეს ნიკოლოზის სამოცი თუმანი რომ სწერია, ორმოცის თუმნის მეტი არ გამოგვირთმევია. ორმოცი თუმანი ნიკოლოზისა არის, ოცდახუთი მამუკასი, ოცი პატარა გიორგისა და ნახევარი.—იქნება ჯუმალი ოთხმოცდახუთი თუმანი და ნახვარი. როგორც ამ წიგნში სწერია, ამ წესით უნდა გარდასწყდეს. ამას გარდა ცხრა თუმანი სხვა არის. ეს ცხრა თუმანი ახლა მამულში უნდა შევაწეროთ და მივცეთ. თუ ამას გარდა სხვა ვალი ავიღოთ, როგორც ამ წიგნში სწერია ისე იქმნას.

[თარხნის-შვილი][3]

ბ ო ლ ო ზ ე ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: ბეჟან თარხნისაგან ვალი რომ ქონიათ და ნახევარი მიგვიცია და ლისი დაგვიხსნია.

5. 1712 წლ. ნოემბრის 1. ვალი გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ბ ა ი რ ა მ ა ჯ ა ბ ა დ ა რ ი ს მიერ ი ე ს ე გ ე რ მ ა ნ ო ზ ი ს - შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 12,5×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზეუმი № 3844 Hd.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ჯაბადარი ბაირამა შენ, გერმანოზის-შვილს იესეს, ასე რომ ჩემი ვალი გემართათ თეთრი და პური. თქვენი გერძი (sic) თამამ-ქამალად მამებარა და თქვენის ძმისწულებისა დარჩა. დღეის იქით იმ თამასუქში თქვენთან ჭელი აღარა მაქვს. არის ამისი მოწამე ერისთვის ყმა ბეჟანა. მე, მოლას გიორგის, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქ^კს უ, გიორგობისთვის ა. [ ][4]

---

[1] ქართული მურის ბეჭედი, სახელი არ იკითხება.
[2] მურის ბეჭედი, არ იკითხება.
[3] მურის ბეჭედი.
[4] ბეჭედი, სპარსული წარწერით.

6. **1718 წლ. მაისის 15.** თამასუქი, მიცემული ზაალ თარხნის-შვილის მიერ სახლთ-უხუცის ამილბარისადმი. დედანი. ზომა 17×15 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3784 Hd.

ქ. ავიღე მე, ზალ თარხნის-შვილმა, თქვენ, სახლთ-უხუცის ამილბარისაგან, თერთმეტი თუმანი თეთრი. რასაც ხანს ჩემს ჭელთ დაყოს, თვეში თუმნის თავს აბაზი სარგებელი მოგცე. მომიცია ამის გირაოთ გუდალეთს ნიკოდიმე თავის მამულითა, წინარეკს ლეკიშვილები თავის მამულითა, ახალქალაქს ყანდურალაშვილი თავის მამულითა. ამათი გამოსაღები ისევ მევე უნდა ვჭამო და თეთრის სარგებელი გაძლიო. არის ამისი მოწამე ჩემი ბიძაშვილი მამუკა, ოქუაშვილი ბეჟუა[1], ცალქალამანიძე გივი, გოგიბაშვილი ბეჟან. მე, ლუარსაბს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მაის ნახევარ გასულსა, ქკ^ს უვ.

სხვა ხელით: მე, ზალს, ამისი ყაბული მაქ. ამღებიც ვარ[2].

7. **1719 წლ. მაისის 15.** თამასუქი, მიცემული იასე სოლოღას-შვილის მიერ გიორგი ყარაბუდახის-შვილისადმი. დედანი. ზომა 21,5×15 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14166 Hd.

ქ. ავიღე მე, იასემა სოლოღას-შვილმა, თქვენ, ყარ(ა)ბუდახის-შვილის გიორგისგან, ოთხი თუმანი თეთრი. რაც ხანს თქვენმა თეთრმა ჩემს ხელში დაყოს, თუმნის თავს თვეში სამი შაური სარგებელი მოგცე. არის ამისი მოწამე ზურაბიშვილი პაპუნა, ფედუას-შვილი გრიქოლა, ვაჭარი ასატურა |_____|[3], დეკანოზის-შვილი მიქელა. |იესე|[4]

მე, იასეს, დამიწერია და მამწერიც ვარ. დაიწერა მაისის ნახევარს, ქკს უზ. |_____|[5]

---

[1] აქ ბეჭედი მხედრული წარწერით: „მონა ღთისა არუთინ".
[2] ბეჭდის ადგილი ამოხეულია.
[3] მურის ბეჭედი სომხური წარწერით.
[4] მურის ბეჭედი ქართული მთავრული წარწერით.
[5] ქართული მურის ბეჭედი, სახელი არ იკითხება.

8. 1721 წლ. დეკემბრის 6. თამასუქი, მიცემული ქაიხოსრო სოლაღაშვილის მიერ ზურაბ რატიშვილისადმი. დედანი. ზომა 32×24,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14623 Hd.

ქ. ნებითა ჩემითა ავიღე მე, სოლაღაშვილმა ქაიხოსრომ და შვილმა ჩემ(მ)ა ზურაბ და ზაზამა, თქვენ, რატიშვილი ჩემი სიძე ზურაბისაგან და შენი შვილი დავითისაგან, ოცდა(ა)თი თუმანი ახალი თეთრი, რომე ამისი ნახევარი იქს თხუთმეტი თუმანი. დაგიდევ ამის გირ(ა)ოთ ასურეთს ჩემი კერძი რაც ალალათ ბარათში გამომყოლოდეს ან გლეხი, ან ხოდაბუნი, ან ზუარი, ან მიწა-წყალი, ასე და ამა პირსაც ზედან, რომე სანამ შენს თეთრს მოგცემდე შენ, ჩემი წილი ასურეთის გამოსაღები(sic) შენ სჯამდე, თეთრ(ი)ს სარგებელს არა მსთხოვდე. არც შენ თეთრის სარგებელს მთხოვდე, არც მე ჩემ მოცემულს სოფლის და მამულის გამოსაღებს გთხოვდე. რახან შენი თეთრი მოგცე, ჩემი სოფელი დამანებო. თუ ამ ჩემგან დადებულს მამულს შემოგეცილოს ვინმე, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე თვით ღმერთი, ყოველი მისი წმინდანი. კაცთაგან, მდივანი გიორგი |_____|[1], ნაზირი ედიშერ |_____|[1], მდივანი ბირთველი, ციციშვილი უთრუთ |____|[1], ჩემი ძმისწული იესე, ეშიკაღას-ბაში დურმიშსან, მდივანი ბეგთაბეგ, სოლაღაშვილი ასატურა |_____|[1], ფანდანთ გრიქორა, გორგიშვილი შერმაზანა და ენიბეგანთ ანდრიასა. მე, შანშიშვილსა სოიბთასულს[2] გიორგის, |_____|[1] დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი ქრისტიშობის ვ გასულს, ქკს უთ. |____|[1] |____|[3] |_____|[1]

XII 6 - 1312 = 1721

Verso:

ქ. ჩვენ მაგიერად, ეშიკაღას-ბაშს დიმიტრის ესე უამბეთ. ამ თამასუქის თეთრი რატის-შვილს დავითს და იმის ძმებს თავეთის დისათვის უჩუქებიათ. თუ სოლაღაშვილმა მანუჩარ და იორამ ენკენისთვემდის ეს თეთრი მისცენ სარიდან მდივან-ბეგსა, ეს მამული სოლოღაშვილებს დარჩესთ და თუ წელს ენკენისთვემდის ამ თამასუქის თეთრი ვერ მისცენ, რომელიც მამული ამ თამასუქში გირ(ა)ოდ უწერია, სარიდან მდივან-ბეგს დანებდეს. ხელი ახლავ აუმართე, მოაბარე. თუ ვადამდის დაიხსნეს, ის არის, თუ არა და მამულად დარჩეს სარიდან მდივან-ბეგსა და იმის შვილს ბეჟანს. სადაც ამ თამასუქის კაცნი იყვნენ, ისინიც სარიდან მდივან-ბეგისა არის. აპრილის კ, ქკს უნბ. |ერეკლე|[4]

IV 28

452
1372
1764

[1] ქართული მურის ბეჭედი.
[2] სოიბათიასაულს (?)
[3] ბეჭდის ადგილი ამოგლეჯილია; მთელი ტექსტი აქამდე გადახაზულია, ცხადია, გაუქმების ნიშნად.
[4] მურის ბეჭედი.

ქ. ბედნიერს მეფეს ამისი საქმე ჩვენ, ეშიკაღაბაშის დიმიტრისათვინ, ებრძანებინა. ვადამდინ თუ სოლოღას-შვილებმა ეს თავეთი მამული დაიხსნანო, ხომ დაახსნევინეო, თუ არა, სარიდანს დარჩესო. ახლა ამ სოლოღაშვილებმა ველარ დაიხსნეს და რაც ამ წიგნში მამული უწერია, სარიდანს და ამის შვილს ბეჟანს დარჩა. |____|[1]

ქ. ჩვენ, მდივან-ბეგებმა ბეჟან, თქვენ, სოლაღას-შვილს იასეს, ზაზასა, ნინიას და იოსებს, ეს წიგნი მოგეცით, ასე რომე ამ წიგნის ძალით თქვენი მამული ასურეთი, ამ წიგნის თარიღიდამ ამ თარიღამდე, ჩვენ გვეჭირა და ახლა ისევ თქვენ დაგახსნევინეთ. ამ მ(ამ)ულის კაცებიდამ ჩვენ ჩვენთვის ავიყვანეთ რევაზაშვილები დათია, ნინია და გოგია, რომ ამათში თქვენ საქმე არა გაქვსთ და ამავ მამულის კაცები დათუნას-შვილები თავისის ძმითა და შვილებით და პაპას-შვილები, ესენი თქვენ დაგახსნევინეთ და მოგეცით ეს ორი კლ̈ბლი. და თუ ამისი მოდავე ვინმე იყოს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. იანვრის ვ, ქკს უპ. |____|[1]

I 6

480 + 1312 = 1792

9. **1722 წლ. იანვრის 1.** თამასუქი, მიცემული ხაალ თარხნის-შვილის მიერ ვინმე შიოსადმი. დედანი. ზომა 25×13,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3812 Hd.

ქ. ავიღე მე, თარხნის-შვილმა ზაალ, შვილმან ჩემ(მ)ან დავით, როსტომ, ონოფრემ, ჟეშთერ (sic) შენ, გერმანეს ძმისწულის შიოსაგან, ცამეტი თუმანი ახალი თეთრი. ამისი ნახევარი იქს ექუსი თუმანი და ხუთი მინალთუნი. რაც ხანს ჩემს ჭელთ იყოს, თვეში თუმნის თავს ერთი აბაზი სარგებელი მოგცეარის ამის გირაო ერთაწმიდას ჩემი ყმა მჭედელი თევდორე თავის შვილებითა, გოჩიაშვილი გიორგი, ხუციაშვილი ივანა მისის ძმისწულითა და ნოსტეს . . ეთ წილი, . . ზიაშვილი ნიკოლი, ახალქალაქს საბუაშვილი ტერტერა. ესენი თავიანთ მამულითა მიწითა, წყლითა, ვენაჯითა, ნასყიდითა, უსყიდითა თავიანთ მამულითა შენთან გირაოდ არიან. ამათი გამოსავალი რაც იყოს თუ პური, თუ ღვინო, თუ მძღვენი (sic), ცხვარი, ძროხა რაც რამ ფერი, ყუელა შენ (სარგებ)ელში მოგეცემოდეს. ამათი გამოსაღები შენს სარგებელზე თუ მეტი მოვიდეს, შემომიბრუნე და თუ დაგაკლდეს, მე შეგითაო. მე ამ კაცებთა(ნ) ჭელი არა მქონდეს. თუ მე ამათ თავიანთი გამოსაღები ან რამ ბეგარა ვაქნევინო და გამოვართო, ჯერ ღ̄თის შემცოდე ვიყო და მერმე მეფის ვახტანგისა და იმისი შვილის ბაქარისა[2]. არის ამისი მოწამე მოლარეთუხუცესი სეხნია[2], მდივანი გიორგი[2], ბიძა ჩემი ხურაბ |____|[3], ჩემი ბიძაშვილი მამუკა[2], თარ-

[1] ქართული მურის ბეჭედი, არ იკითხება.
[2] აქ ბეჭედი ყოფილა დასმული, განზრახ ამოხეულია.
[3] მურის ბეჭედი, არ იკითხება.

ხანი ლუარსაბ+, დეკანოზი გაბრიელ[1], ერთაწმიდის დეკანოზი პავლე[2]. მე, დეკანოზის-შვილს მიქელს დამიწერია, მოწამეც ვარ. დაიწერა იანვრის დამ-დეგს, ქ~კს უი[2]. + + +

10. 1722 წლ. მაისის 15. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ეივაზ-ბეგის მიერ ზურაბა რატის-შვილისადმი, პაპუნა ციციშვილის ვალში. დედანი. ზომა 41×31 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია წერტილი, ორწერტილი ან მრავალწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 820 Qd.

ქ. ნებითა, შეწევნითა მღთისითა, მამისა, ძისა, სულისა წმინდისა და ჩვენის ყოვლის კურთხეულის დედოფლის მღმთისმშობლის მარანდის (sic) ქალწულის მარიამისითა, ამათის შუა მიზდგომობითა და თავდებობითა, ასე რომ იბრეჰიმ-აღას ვალი ორმოცდა ათი თუმანი რომ დავთრის პირით და ერთი ქართულის ყაბზით ციცის-შვილს პაპუნ(ა)ს მართებოდა, იმისი კაცი ეივაზ-ბეგ მივიდა და პაპუნა მკვდარი იყო. საქონელი არა დარჩომოდა რა. ერთი სახლი საერთოს ალაგში აეშენებინა და ბატონმა ჰუქმი გვიბოძა და ის სახლი გვიბოძა იმისი ვალში და ჩვენ, ეივაზ-ბეგ, თქვენ, მეჯინიბეთ-ხუცეს რატის-შვილს ზურაბას, მოგყიდე და ავიღეთ ფასი სრული უკლებათა, რითაც ჩვენი გული თქვენგნითა შეგვიჯერდებოდა. ჩვენი თქვენზედ აღარა დარჩა რა სადავო და სალაპარაკო, არც არა ასაღები, სიყვარულისა და კარკაცობის მეტი. გქონდეს, ღთ~ნ გიბედ-ნიეროს, როგორც ყოველს მონასყიდეს ჰქონებოდეს. არის ამ სახლის ნიშანი: ერთი გუერდი ჩითახანთ ფიროას დარბაზის მიდგმამდინ, და ერთი გუერდი წერალი პაპოას სახლის კედლის მიდგმამდინ, და უკან ჩითახანთ თაყინას სა-თორნის მიდგმამდინ, წინ შაჰრა როჭიკას-შვილის ედიშერ ნაზირის ნასახლა-რის პირდაპირ, კარი იქით უნდა გაიღოს. არის ამისი მოწამე თავად ღთ~ი და კაცთაგან: ქალაქის მელიქი აშხარბეგ[___][3], მამასახლისი ზურაბ [___][3], და ზა-ქარანთ ბეროამ[4] და ბასტამას-შვილი გასპარა [_____][5], ოქროანთ ბეჟოამ[4] და სულიას-შვილი არუთინა[4]. და მე, მწერალს არუთინას, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი და სიგელი მაისის იე, ქ~ს უი-[___][6] [___][6]

გ ა ნ ი ს ა შ ი ა ზ ე:
ქ. ჩვენ, მდივანი გივი, ამისი მოწამე ვართ. [___][7]
ქ. ჩვენ, მდივანი გიორგი, ამის მოწამე ვართ. [___][7]

---

[1] აქ ბეჭდისათვის ცარიელი ადგილია დატოვებული.
[2] აქ ბეჭედი ყოფილა დასმული, განზრახ ამოხეულია.
[3] ქართული მურის ბეჭედი, არ იკითხება.
[4] ბეჭდის ადგილი.
[5] სომხურ-ქართული მურის ბეჭედი, არ იკითხება.
[6] თურქული მურის ბეჭედი.
[7] ბეჭედი ქართული წარწერით.

ქ. ჩვენ, სახლთხუცესი ედიშერ, ამისი დამხდური და მოწამე ვარ. [___][1]
ქ. ჩვენ, მდივანი ოთარ, ამისი მოწამე ვარ. [___][1]

ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: ქ. ეს ნასყიდობა სასახლე ზურაბ რატიშვილმა ჩვენის ბძანებით იყიდა, ამასთან არას კაცს ჭელი არ აქვს. [მეფე ბაქარ][2]

11. 1722 წლ. აგვისტოს 10. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი უცნობი პირისა. დედანი. თავი მოხეულია და ტექსტს აკლია. ზომა 15×11,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახმარია ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 13687 Hd.

. . . . . რს ასე რომე ჩემი თექუსმეტი მნითუნი (sic) გემართა თამასუქითა, ზოგი ჩითებიც იყო. ახლა ჩითებათ და თერთმეტ მნითუნათ (sic) შერი(?) თეთრი ივანეს მიქელა მემარნის ხელითა გამთავითა (sic) მამებარა. თქვენ(ი) თამასუქი ვერსად ვიპოვნე, ეს წიგნი მოგეცი, გამთავითა (sic) მომებარა. თქუენ(ი) მოცემული წიგნიც ვიპოვნო და მოგართვა. არის ამისი მოწამე ერისთვისყმა ფარემუზ. მე, ყუზანთა ასატურას, დამიწერია, მოწამეც ვარ ამის.

დაიწერა მარიამობისთვის ი, ქკს უი.[___][3]

12. 1722 წ. თამასუქი, მიცემული ზ ა ა ლ თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ პ ა ა ტ ა დ ა ს ე ხ ნ ი ა ჯ ო რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 21×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14572 Hd.

ქ. ავიღე მე, თარხნიშვილმა ზა(ა)ლ, ჩემ(მ)ა შვილმა დავით, შენ, ჯორაშვილის პა(ა)ტასაგან და სეხნიასაგან, ოცდაორი მინალთული ახალი თეთრი აპრილის ნახევარსა. როცა ლაშქრიდამ მობრუნდეთ, შენი თეთრი სულ უკლებლივ მოგართვა. თუ მობრუნებაზედ თეთრი ვერ მოგართვა, გირაოდ ჩემი წილი ამილბარაშვილი ფავნის(ს) თავისის მამულით შენთვის გირაოდ მომიცია, შენის თეთრში იმის გამოსაღები სჭამე. რახან თეთრი მოგცე, ის კაცი ისევა ჩემი იყოს. არის ამისი მოწამე ივანე შვილიბერი, მჭედლიშვილი მახარა. მე თითვან (sic), ზა(ა)ლს, დამიწერია და ყაბულიც მაქვს ამისი. ქკს უი.

---

[1] ბეჭედი ქართული წარწერით.
[2] მურის ბეჭედი.
[3] ბეჭედი ქართულ-სომხური წარწერით [illegible] ...ურ".

Verso:

ქ. პა(ა)ტა მოგახსენებს, ბატონის-შვილო თინათინ, მერე ამ თამასუქის რვა აბაზი დარჩა, თქვენ გამოართვით, ბატონის ჭირიმე, მე ერთი ფული არა მაქვს.

13. **1724 წლ. სექტემბერის 23.** ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ვენედიქტე წინამძღვრის მიერ დავით თარხნის-შვილისადმი. დედანი. ზომა 12×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3787 Hd.

ქ. ეს გარდაწყვეტილობის წიგნი მოგეც მე, წინამძღვარმა ვენედიკ-ტემ(sic) შენ, თარხნის-შვილს დავითს, ასე რომე ჩემი თეთრი რომ გემა-რთა, ის თეთრი თავნი და სარგებელი ორივ მომეც. ჩემი შენთან ამ საქმეზე აღარა დარჩა რა და თამასუქი ჭელთ არა მქონდა, ჩემთან დარჩა და იმ თა-მასუქსაც მოგცემ. იმ თამასუქის მოცემამდი ეს ყაბზი გქონდეს. თუ თამასუქი არ მოგცე, როდესაც ის შენი თამასუქი გამოჩნდეს, ამ წიგნმა გა(ა)მტყუნოს. არის ამის მოწამე მაღალაძე საამ, დოქიძე პაპუნა, მგალობელი გიორგი და მე, მდივანს სოლომონს, დამიწერია და მოწამეც ვარ. თვესა სეკდენბერსა კგ ქკ~ს უიბ. |_____|[1]

14. **1725 წლ. აპრილის 15.** თამასუქი, მიცემული ოთარ ჯავახის-შვილის მიერ როინ ჯავაჯხის-შვილისა და შერმაზანთ შერმაზანისადმი. დედანი. ზომა 27×16,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8588 Hd.

ავიღე მე, ჯავახის-შვილმა ოთარმა, შენ, ჯავახის-შვილი როინისგანა და ძიქა(?) შერმაზანთა შერმაზანისაგანა ხუთი თუმანი ახალი თეთრი. არის ამისი გირაო ყოველი ჭამასაშვილები თამაზა და გულია და გეგელა. რასაც ხანს ესე-ნი შენს ხელთ იყოს, არც შენა თეთრის სარგებელი მთხოვო და არც მე ამა სამი კომლი კაცების გამოსავალი გთხოვო. რაც ფერი გამოსავალი ჰქონდეს, ეს ყოველიფერათ შენა იმსახურო შენის თეთრის სარგებელში, მე არაფერი იმათანა ხელი არ მქონდეს. და როცა შენი თეთრი მოგცე, ჩემი ეს სამი კომ-ლი გლეხები მე დამანებო და არც მუშითა ვიმსახურო. არის ამისი მოწამე

[1] გემის ანაბეჭდი მურით, გამოსახულია ცხენოსანი.

ბატონის-შვილი ომან და ბაზიართ-ხუცესი ბეჟან და ნაზირი ადამა |___|[1] და თამაზა მგლოველი და მამასახლისი ელიზბარა და მე, ხეჩატურას-შვილს პაპას, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა ესე წიგნი აპრილის იე, ქკს უიგ. მე, ოთარს, ამ წიგნის ყაბული მაქვს. +

15. **1725 წლ. აპრილის 18.** ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული დ ე ვ რ ი შ-ბ ე გ ი მიერ დ ა ვ ი თ თ ა რ ხ ნ ი ს-შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 12×9 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3833 Hd.

ქ. ესე გარდაწყვეტილობის წიგნი მოგეც მე, ჩაუშლარი ქეამ დევრიშ ბეგ, შენ, თარხნის-შვილ დავითს, ასე რომ ჩემი ექსი თუმანი გემართა, თამამათ გამოგართვი, მომბარებია. შენთან ჭელი აღარა მაქვს. არის ამის მოწამე ბექირ ეფენდი, ჯავახიშვილი როინ, ბეჟან ავალიშვილი. მე, თარხანს, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. ქკ-ს უიგ, აპრილის იზ. |___|[2]

16. **1725 წლ. ოქტომბრის 4.** თამასუქი, მიცემული ნ ო დ ა რ (ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ს) მიერ ბ ა გ რ ა ტ (ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი). დედანი. ზომა 19,7×9,9 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 129 Sd.
სახელები (მოწმეებისაც) გვაფიქრებინებს, რომ საბუთი ციციშვილებისაა.

ქ. ავიღე მე, თქვენმან ბიძაშვილმა ნოდარ, თქვენ, ჩემის ბიძაშვილის ბატონის ბაგრატისაგან, ოთხი თუმანი და ნახევარი თეთრი. ამასად გირაოდ მოგეც თქვენგან გამოსყიდული და ჩემგან ნასყიდი გლეხი ხვედურეთს, კამარიაშვილი ხოსია და ივ(ა)ნა, და თამაზას-შვილები, თავისის მამულითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს. სანამდი ეს გლეხი თქვენ გეჭიროს და თქვენს თეთრს მოგ'ართმევდე, მე გლეხის გამო(სა)ვალი არა გთხოო, და თქვენ თეთრის სარგებელი არა მთხოოთ და როდისაც თქვენი თეთრი მოგართვა, ჩემი გლეხი ის(ე)ვე უნდა მევე დამანებო(თ).

არის ამისი მოწმე პაპუნაშვილი ბ(ა)ტონი ციცი, ედიშერიშვილი ქაიხოსრო, სალთხუცესი პაატა. მე, ძამუაშვილს გიორგას, დამიწერია, მოწმეცა ვარ.

დაიწერა ღვინობისთვის დ, ქკ-ს უიგ. |___|[3]

ს ა თ ა უ რ ი ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: ქ. ნოდარას თამასუქი.

---

[1] მურის ბეჭედი მხედრული წარწერით.
[2] ბეჭედი გადასული წარწერით.
[3] სპარსული მურის ბეჭედი, ოვალური.

17. XVIII ს-ის 1-ლი მეოთხედი. გირაობის წიგნი, მიცემული გ ი ო რ გ ი ჩ ხ ე ი ძ ი ს მიერ ი ე ს ე ჯ ა ბ ა დ რ ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 20×9,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახმარია ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3808 Hd.

საბუთს დაახლოვებით ათარიღებს ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე (მოლარეთ-უხუცესი), რომელიც იხსენიება 1718 წლის ქვეშ. (საქ. სიძვ. II, 509) და 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარში. ხელიც XVIII ს-ის დასაწყისზე მიგვითითებს.

ქ. ეს გირაობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ჩხეიძემა გიორგიმ და სეხნიამ, თეიმურაზ, როსტომ თქვენ იესე ჯაბადრიშვილს, შვილსა თქვენსა გიორგისა,—დაგვეჭირა და დაგიგირავეთ ჩვენი სამკვიდრო ვახუშტის არახჩიაშვილის ვენახი და მიწა, ორის დღის მიწა. გამოგართვით ორი თუმანი თეთრი. ამის გირაოდ ქონდეს ვენახი და მიწა. როდისაც დაგიგირავეთ იმ დროს ჩვენი(bis) ვენახი და მიწა, თეთრი რომ გიშონოთ, დაგ(ვა)ხსნევინეთ. არის ამისი მოწამე ცოცონაშვილი აკოფა, შემაზა ბოლოკაძე, ზურაბა კობალაძე, შიო წვერიანიშვილი. მე, სეხნია ჩხეიძეს, დამიწერია ჩემის ძმების ყაბულობით, ყაბულიც მაქს ამისი. დაიწერა ეს წიგნი იანვრის დადეგს, ქკ[1]ს უ.

18. XVIII ს-ის 1-ლი მეოთხედი. განაჩენი ვ ა ხ ტ ა ნ გ VI-ი ს ა ჯ ვ ა რ ი ს მ ა მ ი ს ზ ა ბ უ ლ ო ნ გ ლ უ რ ჯ ი ძ ი ს ა და კ ო ს ტ ა ნ ტ ი ლ ე დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ი ს თამასუქის თაობაზე. დედანი? ზომა 35,8×12,9 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 6629 Hd.

ქ. დავითიშვილს კოსტანტილეს გლურჯიძე ჯვარის მამის ზაბულონისაგან თოთხმეტი თუმანი თეთრი ვალად აიღო. ჯვარის მამა ხომ მოკლეს და ის თეთრი კოსტანტილეზე დარჩა. ახლა აბაშიძე წამოედავა: ეგ თეთრი ჩემი არისო, ჯვარის მამას ჩემი თეთრი ებარა და ეგ ჩემი თეთრი მოგცაო. თამასუქი თავის[2] სახელზე გამოერთმივა. ჯვარის მამის ძმა წამოედავა: მაგ თეთრთან აბაშიძეს ხელი არ აქვსო, ჩემის ძმისა იყო(ო). ჩვენ გავსინჯეთ და მოკითხულიც ვქენით. თეთრი აბაშიძისა ყოფილიყო. ჯვარის მამის ძმა ტყვილად ელაპარაკებოდა. თეთრი აბაშიძეს დარჩა. ჯვარის მამის ძმას ამ საქმეზე ჭელი არ აქვს და ნურც არას გედავების. თამასუქისას უბნობენ, დაიკარგაო. თუ ვინ იცის გამოჩნდეს, ამ წიგნმა გ(ა)ამტყუნოს.

ხ ე ლ რ თ ვ ა: ვახტანგ[3]

ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: ქ. განაჩენი ვახტანგ მეფისა ჯვარის მამასა და აბაშიძისა.

---

[1] მეორე ასო გადასულია.
[2] უკანასკნელი ორი სიტყვა დედანში გამეორებულია.
[3] ხელრთვა საეჭვოა.

19. 1726 წლ. თებერვლის 1. გირაობის წიგნი, მიცემული სიმონა აბრამის ძის მიერ თავისი ბიძაშვილებისადმი. დედანი. ზომა 17×15 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია მრავალწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3823 Hd.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისითა... ესე გირაობის წიგნი მოგეც ...იანთ აბრამის შვილმა სვიმონამ თქვენ, ჩემ ბიძაშვილ გიორგის და იასეს და მარკოზას და მათეს, ცამეტის მარჩილი(ს) გირაოთ ჩემი ზევით ვენახი თავის შესავალ-გასავალით. ნახან (sic) შენი თეთრი მოგაბარო, ჩემი მამული როგორიც მოგეც, ისეთივ მომაბარო. თუ ან გავყიდო ან დავაგირაო, უშენოს კაცს ვერ მივცე, როგორც ორმა კაცმა ისულღმერთოს (sic). ნახან შენი თეთრი მოგიტანო, შემუშევებული (sic) რომ იყოს, სანახევროთ იყოს წლეულს გარდა. გეგელაშვილის ქიტესას მოწმობით, ხატისაშვილი გვერდას მოწმობით, გულიაშვილი ზალიას მოწმობით, ბეგის-შვილის მოწმობით, ესტატას. და მე იასეს დამიწერია და კიდეც დამიგირავებია. დაიწერა თებერვლის დამდეგს, ქკ~ს უიდ.

20. 1726 წლ. თებერვლის 18. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ვინმე ზაალის მიერ დავით და როსტომ თარხნის-შვილებისადმი. დედანი. ზომა 24,5×15 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14554 Hd.

ქ. ესე გარდაწყვეტილობის წიგნი მოგეც მე, მოძღვრის ძმისწულმა ზა(ა)ლ თქვენ, თარხნის-შვილს დავითს და როსტომსა, ასე რომე ჩემი თეთრი ექვსი თუმანი მამა თქვენს ზა(ა)ლს ემართა. წინარეხს ლეკიშვილი ჩემთან გირაოდ იყო. ახლა ჩემი თეთრი სულ გადამიწყვიტე თამამ-ქამალათ. მე შე(ნ)თან ხელი აღარა მქონდეს. მამის თქვენის თამასუქი ისევ მევე შემრჩა. ჩემი თეთრი თავნი და სარგებელი ყველა მამეცით. თუ ის თამასუკი (sic) გამოჩნდეს, ამ წიგნმა მამტყუნოს. ერთი კიდევ თქვენი წიგნი მაქვს, რომ ასე სწერია: ამ ვადაზედ თავნი და სარგებელი მოგცეო. ის წიგნიც ჩემთან არის. ის წიგნი ამ წიგნმა გა(ა)მტყუნოს. არის ამისი მოწამე გოსტაშაბიშვილი ვახუშტი, ცალქალამნიძე გივი |___|[1], არის ამისი მოწამე ბატონი |___|[1] თარხანი და იორამ თარხნიშვილი, ჯორაშვილი იასე, გიორგი მგალობელი. მე, დეკანოზს პავლეს, დამიწერია და მოწმეცა ვარ ამისი.

დაიწერა ეს წიგნი თ(ვ)რამეტსა დღესა თებერვალს გასულსა, ქკს უიდ+. ის თამასუკები აქ არა მქონდა და ისიც უნდა მოგართვა.

---

[1] მურის ბეჭედი, არ იკითხება.

21. **1727 წლ. თებერვლის 1.** თამასუქისა და პურის მიბარების წიგნი, მიცემული (შ ე რ მ ა ზ ა ნ თ?) შ ე რ მ ა ზ ა ნ ი ს მიერ (ჯ ა ვ ა ხ ი ს - შ ვ ი ლ ი?) ო თ ა რ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 14×4,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 12076 Hd.
იხ. აქვე საბუთი № 8588 Hd, როშელიც გვაგულვებინებს, რომ ჩვენი საბუთის შ ე რ მ ა ზ ა ნ ი და ო თ ა რ ი ზემოაღნიშნული გვარისანი არიან.

ქ. მამებარა მე, შერმაზანს, ოთარისაგან ათის მარჩილის თამასუქი, ექვსიკოდი და ნახევარი პური. მარაბდული პურიც მამცა, რომ გლეხებზედ იყო. ოთარმა თამასუქი მამცა. ამ ათის მარჩილის პური და მარაბდული პურიტბის(ს) უნდა მომიტანონ. არის ამისი მოწამე მკერვალი გაბრიელა, სხიუხჩიშვილი პაპა.

დაიწერა თებერვლის დამდეგს, ქკს უიე.

22. **1727 წლ. ივნისის 15.** თამასუქი, მიცემული დ ა ვ ი თ თ ა რ ხ ნ ი ს - შ ვ ი ლ ი ს მიერ შ ა მ ა ზ ა ს ა დ მ ი. დედანი. მარცხენა ზემოკუთხე მოხეული აქვს. ზომა 19×8,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3780 Hd.

[ქ. ავიღე მე, თა]რხნიშვილმა დავით, შენ, შამაზასაგან, ოთხი თუმანი ახალი თეთრი თიბათვის ოცსა და სთველის უკან ოცი კოკა მაჭარი ჩემის ურმით შენს კარზედ მოგაბარო დაწმენდილი და გიორგობისთვის ზ შენი თავნიც მოგაბარო. თუ გიორგობისთვის შვიდს შენი ოთხი თუმანი ვერ მოგაბარო, თვეში თუმანზედ ორი აბაზი სარგებელი მოგცეთ. არის ამისი მოწამე ჩემი [ბიძაშვილი იორამ+, ცალქალამნიძე გივი+, ცალქალამნიძე ლუარსაბ+, დეკანოზი პავლე+. და მე, ნიკოლოზ მგალობელს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თიბათვის იე-ს ქკ-ს უიე+.

verso სხვა ხელით: ქ. ამ თამასუქისა დარჩა ბ̄ (ორი თუმანი).

23. **1727 წლ. ოქტომბრის 25.** ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ვინმე დ ა ვ ი თ ი ს მიერ თავისი ძმის პ ა პ უ ნ ა ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 25,5×14 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3783 Hd.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა, მამისა, ძისათა და სულისა წმინდისათა, ესე წიგნი მოგეც მე, შენმა ძმამ დავით, თქვენ, ჩემს ძმას პაპუნას, ასე

რომე ჩვენ საერთო ვალი გვემართა ორას ორმოცდა შვიდი მარჩილი; ახლა ის საერთო თეთრი შენ გარდაიხადე შენით. სარგებელი ბევრი იქნებოდა, მაგრამ ჩვენის ძმობისათვის გაუშვი. ახლა იმ თეთრში ჩემათ კერძათ გძელის-შვილი მჭედელი მომიცემია მისის ძმითა, ცოლშვილითა და მამულითა. გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ყოვლის კაცის უსარჩელოდ [1]. ამისად მოწმად მომიცემია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი ხორციელი და უხორცონი. კაცთაგან ამისი მოწამე მურძაყან ლაშხის-შვილი, ოთია გოდაბრელიძე, კაკა ფალავანდის-შვილი. დაიწერა წიგნი ესე ოკდონბერს ოცდახუთს გასულს, ქკნსა უიე.

24. 1728 წლ. ივნისის 30. თამასუქი, მიცემული სხვადასხვა პირთა მიერ ვ ა ხ უ შ ტ ი ა ბ ა შ ი ძ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 22×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი, ორწერტილი, სამწერტილი ან ოთხწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8930 Hd.

ქ. ავიღევით ჩვენ, მუსალა თლიდაუს-შვილმა, შაბუდაღას-შვილმა უსეინა, მამუთი აჯას-შვილმა აბულამ, ხალილი-შვილმა ჯალილი თქვენ, ბატონის აბაიძის ვახუშტისაგან, ახალი თეთრი ორას ორი ყურუში და ერთი აბაზი. თვენახევარი ვადა არის. თუ ამას გარდასცილდეს, თუმნის თავს თვეში ერთი ყურუშ(ი) სარგებელი მოგცეთ. არის ამისი მოწამე ჩოფურის-შვილი მუსა, ისეაღას-შვილი მამა და ჯარჩის-შვილი ხალილ. თუ ამათ ვადაზე არ მოგცენ, მე, მუსაბ-აღამ და ჩემ(მ)ა შვილებმა, თანის სარგებლის სული ჩვენი მოგცენი(sic) თუ ამაზე გაგანაწყენოთ, ბედნიერმა ვეზირმა თავის შეცოდებათ მოკითხოთ(?). მე, (ზა)ზას ზედგინიძეს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა ეს წიგნი თიბათვის გასულს, ქკს უივ [2].

25. 1729 წლ. აპრილის 30. თამასუქი, მიცემული ფ ი რ ა ნ ი ს ა და მისი შვილის ბ ე ჟ ა ნ ი მიერ გ ი ო რ გ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 16,3×15,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი თითო სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 131 Sd.

ქ. ავიღე მე, ფირან, და ჩემ(მ)ა შვილმა ბეჟან, შენ, ჩემის განაყოფის გიორგისაგან, სამი თუმანი თეთრი აპრილის თვის გასულს. რასაც ხანს ჩვენს

[1] დედანში: „უსარჩულოდ“.
[2] აქ დასმულია ხუთი თითის ანაბეჭდი მურისა.

ხელში დაყოს, თვეში თუმნის თ(ა)ვს სამი შაური სარგებელი მოგცე თვეში. არის ამისი გირაო ზუბიას-შვილის მამული ჩემი კერძი. თუ შენი თეთრის სარგებელი ვერ მოგცე, ის მამული შენი იყოს. არის ამის მოწმე ბიძაჩემი ზაქარია და ასანა ჩ(ა)უში |___|[1], ოსკანას-შვილი ო(ჰ)ანა, გორჯასპი თუმანიშვილი მდივანი, თამაზა. მე თვითონ დამიწერია და ყაბულიც მ(ა)ქს ++ ქკს უიზ.

ქ. მე, ზაქარია, ამის მოწმე ვარ.

ქ. მე, გორჯასპი, ამისი მოწმე ვარ. +

ს ა თ ა უ რ ი ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: ფირანის თამასუქი.

26. 1722 წლ. მაისის 1. თამასუქი, მიცემული დ ა ვ ი თ თ ა რ ხ ნ ი ს - შ ვ ი ლ ი ს მიერ თავისი ბიძის თ ა რ ხ ნ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 18×15 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3671 Hd.

ქ. ავიღე მე, თარხნის-შვილი დავითმა, შენ, ბიძის ჩემის ბატონის თარხნისგან, თექვსმეტი თუმანი ახალი თეთრი, რომ იქს ამის ნახევარი ᲗᲒ[2] (რვა თუმანი). ამ თარიღიდამე ორი თვე ვადა. თუ ვადასა არ მოგცე, როგორაცა ქუჩყვალიას(?) შენა თეთრი გმართებს, იმ ანგარიშითა ასი ოთხი ყურუში სარგებელი გაძლივო. [არი]ს ამისი მოწამე გაბას-შვილი პაპუნა ⌜ᲘᲘᲘᲘ⌝[3] და ჩემი ბიძასშვილი იორამ და ყორღანათ ლამაზუა ⌜ᲘᲘᲘᲘ⌝[3]. და მე, ოქოათ პაპასა, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა მაისის ერთს გასულსა, ქკ̄ს უიზ.

ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: მე, დავითს, ამისი ყაბული მაქს +.

მ ე ო რ ე გ ვ ე რ დ ზ ე ი მ ა ვ ხ ე ლ ი თ: დავითის თამასუქი ᲘᲒ (16 თუმანი).

27. 1731 წლ. მაისის 1. ვალის წიგნი, მიცემული ზ უ რ ა ბ ა ბ ა შ ი ძ ი ს მიერ თავისი ძმის ვ ა ხ უ შ ტ ი ა ბ ა შ ი ძ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 15,5×13 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3704 Hd.

ქ. უნდა მოგცე მე, აბაშიძემ ზურაბ, შვილმან ჩემან დავით და ზალ, თქვენ, ბატონს ჩემს ძმას ვახუშტის, ათას ორასი ყურუში, საწინდარსა და მძევალს გარდა, ყირა ოსმანას თეთრით. ამ თეთრის მოწამე და გამრიგე ქო-

[1] მურის ბეჭედი, სახეებიანი.

[2] აქ „Თ"-ის მაგივრად „Ჰ" სწერია.

[3] ეს ადგილები განგებ არის ამოხეული, ბეჭედების ადგილებია.

ჩუ ყიფიანი და პატა ჯაშიაშვილი. მე, მდივანს ესავს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მაისის დამდეგს, ქკ^ს უით.

მიხმობენ აბაშიძობით ზურაბ ვარ სახელდებული[1]	მნა ღთისა აბაშიძე დავით[1]

განის მარცხენა აშიაზე იმავ ხელით: ამისი მოწამე აჯი-ოღლი მამად-აღა და აბდია.

28. 1731 წლ. ივნისის 18. გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ყურთიბეგა ამადულა რაჰმანულას მიერ ოთარ გერმანოზის-შვილისადმი. დედანი. ზომა 14,2×9,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8522 Hd[2].

ქ. ესე გარდასაწყვეტის წიგნი მომიცია მე, ყურთი-ბეგასა ამადულა რაჰ-მანულას, თქვენ, გერმანოზის-შვილის ოთარისთვის, ასე რომ, შენ რომ ჩვენი ასი ყურუში თეთრი გემართა, ის თეთრი პატარა ბატონისაგან მამებარა თა-მამათ. თამასუქიც იმას მივეცით. ამას იქით ძმობისა და მოყვრობის მეტი თქვენთანა სადაო აღარა მაქვს. არის ამისი მოწამე იარალიშვილი ვახტანგ, პაპუნა. მე, დემეტრეს, დამიწერია და მოწამეც ვარ.
დაიწერა თიბათვის იᲩ[3], ქკს უით.

29. 1731 წლ. ივლისის 1. თამასუქი, მიცემული მამულას-შვილების მიერ ბატონ თინათინისადმი. დედანი. ზომა 19×12,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედ-რული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 13678 Hd.

ქ. ავიღე მე, მამულას-შვილებმა ესტატემა, მურადამა და ფაჩუამ, თქვენ, ბატონის ჩვენის თინათინისგან, თორმეტი მილანთუნი (sic) თეთრი. რასაც ხანს ჩემს ჯელთ იყოს, თვეში ამ თეთრის სარგებელი ერთის აბაზის [მომცემი] ვიყო. არის ამისი მოწამე სვიმონ თარხნიშვილი, დავითა კარგარეთელი, ნაზა-რაშვილი ბეჟანა, ქულუაშვილი ბეჟანა. მე, დეკანოზს, დამიწერია და მოწამე-ცა ვარ ამისი. დაიწერა ეს წიგნი ივლის(ს) დამდეგსა, ქკ^ს უით. + + +

---

[1] ბეჭედი წარწერით.
[2] ამ საბუთის დამახინჯებული პირია საქ. სახ. მუზეუმის საბუთი № 7573 Hd.
[3] დედანშია: „იᲩ“.

30. **1736 წლ. იანვრის 23.** თამასუქი, მიცემული თ უ რ ქ ა ძ ი ს ა და თ ა მ ა ზ ა ს მიერ ჯ ო-
მ ა რ დ ი ს ა და ი ვ ა ნ ე ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 17×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდ-
ზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14401 Hd.

ქ. ავიღე მე, თურქაძემა და თამაზამ, შენ, ჯომარდისა და ივანესაგან, რვა მარჩილი ახალი თეთრი. ამის გირაოდ მოგეცით ჩვენი აბაზურას მიწა და აღდგომელას ნავენახობი, ერთის წლით. ამ თეთრის სარგებელში ეს მიწები მოსჭამეთ. როდესაც ის მიწები მოსჭამოთ, თუ შენი თეთრი მოგაბაროთ, ჩვენი მიწები ჩვენვე მოგვცეთ. თუ წელიწადზე თეთრი ვერ მოგაბაროთ, როგორც შუა კაცმა დააფასონ, ისრე ნასყიდობით მოგცეთ. არის ამისი მოწამე ზურაბ თავყელიშვილი, დავით თურმანიძე, მამასახლისი ჩიჩიძე, ფარემუზაშვილი იესე. მე, გიორგის მღდელს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.
დაიწერა იანვრის კგ, ქკ^ს უკდ. + +

✓ **31.** **1736 წლ. მაისის 1.** თამასუქი, მიცემული გ ი ო რ გ ი დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ი ს ა და მისი ძმების მიერ ბ ე ჟ ა ნ წ ე რ ე თ ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 19,5×8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განაკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3706 Hd.

ქ. ავიღე მე, გიორგი დავითიშვილმა, ჩემა ძმამ ბერმა, სოლომონ, ედიშერ, დავით, ქაიხოსრომ, სოლომონ (bis!) თქვენ, ბატონის წერეთლის ბეჟანისაგან, ორს ორმოცი მარჩილი მაის(ის) ერთსა. დამიდებია გირაოთ კოკოლიშვილი და ზუბაშვილი თავისის მამულითა. თუ მაის(ის) გასულს თქვენი თეთრი მოგაბარო, ჩემს კაცებზე ხელი აიღე. თუ მაის(ის) გასულს ვერ მოგაბარო, წელიწადში[1] მარჩილი ნახევარი შაურის სარგებლით მოგართვა. არის ამის მოწმე ზა(ა)ლ ფალავანდიშვილი, ბა(ა)კა მურვანიშვილი. და მე, გიორგის, დამიწერია და ყაბულიც მაქ. დაიწერა მაის(ის) ერთს, ქკ^ს უკდ. ხ ე ლ რ თ ვ ა: გიორგი. + + + +

32. **1737 წლ. იანვრის 15.** გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ა ს ლ ა ნ მ ი ლ ა ხ ო რ ი ს მიერ ი ა ს ე ს ო ლ ა ღ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 22,5×16,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3790 Hd.

ქ. ესე გარდასაწყვეტის წიგნი მოგეცით ჩვენ, მილახორმა ასლანმა, თქვენ, იასე სოლაღაშვილს, ასე რომ შენი სოფელი ტაგნაგეთი ჩემთან გირაოთ იყო

[1] ეს სიტყვა წაშლილია.

ხუთის თუმნის და ჩემი თეთრი თამამათ მომაბარე. ამას იქით შენთან ხელი-აღარა მაქვს. თუ სადმე თამასუქი გამოჩნდეს, ამ წიგნმა გა(ა)ცუდოს. არის ამისი მოწამე მდივანი სულხან[1] და მდივანი ავთანდილ[1] და ყორყან(ან)თ (sic) ზურაბ[1], და მე, გზირიშვილს, დამიწერია, მოწმეც ვარ.

დაიწერა იანვრის ნახევარს, ქკს უკე. |___|[2]

33. 1737 წლ. აგვისტოს 20. ბათილამა, მიცემული ტ ო ლ უ ხ ა ნ - ბ ე გ ი ს მიერ დ ა ვ ი თ თ ა რ ხ ნ ი ს-შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 15,5×13 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე. მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14578 Hd.

ქ. ესე ბათილამა მოგეც მე, ტოლუხან-ბეგ, შენ, თარხნის-შვილს დავითს, ასე რომე ჩემი ოთხი თუმანი გემართა და თამასუქი მქონდა. თამასუქი დამკარგოდა და თამასუქის კეჩი თამამად მომებარა. თუ ის თამასუქი გამოჩნდეს, ამ წიგნით ბათილი იყოს. არის ამისი მოწამე ბატონი ერისთავი დემეტრე |___|[3], როჭიკას-შვილი ოთარი |___|[3]. და მე, მდივანს გორჯასპის, დამიწერია.

დაიწერა მარიობის კ, ქკს უკე |___|[3].
|___|[3].

34. 1737 წლ. სექტემბრის 1. თამასუქი. მიცემული პ ა ტ ა რ კ ა ც ი (თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს) მიერ ფ რ ა ნ გ ი ს ს ა ყ დ რ ი ს უ ფ რ ო ს ი ს ფ რ ა ნ ჩ ი ს კ ო ს ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 30,5×21 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 10359 Hd.
პ ა ტ ა რ კ ა ც ი ს ბიძა, მ დ ი ვ ა ნ ი ს უ ლ ხ ა ნ (თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი), კარგადაა ცნობილი XVIII ს-ის 1-ლი ნახევრის საბუთებიდან. (იხ. „ქვემო ქართლი", III—IV, საძიებელი)

ქ. ავიღე მე, მდივანი დავითის შვილმან პატარკაცმან, თქვენ, ფრანგის საყდრის უფროსი ფრანჩისკოსისაგან, ცხრამეტი თუმანი ახალი თეთრი. ამისი ბეუშართათ მოგეცი ჩემი ყმის გოლ-ხითარანთ სახლები და წინა ორი დუქანი თავისი სიგოლებით. და ექვსი თვე ვადა. თუ ვადას გაცილდეს, სახლები თქენი არის. თუ ვინმე ამ სახლებზე წამოგედაოს, ან ჩემი სახლის კაცი, ან

[1] აქ ცარიელი ადგილია ბეჭდისათვის დატოვებული.
[2] ბეჭედი სპარსული თუ თურქული წარწერით.
[3] მურის ბეჭედი, არ იკითხება.

ჩემი ყმის შვილი, ან სხვა ვინმე, პირისა და პასუხის გამცემი მე, პატარკაცი, ვიყო. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და კაცთაგან: ბიძაჩემი წინამძღვარი ქრისტეფორე +, და ბიძაჩემი მდივანი სულხან |___|[1], და შფნიშნის (sic) ტერ-არისტაკესა |___|[2] და ფითოანთ ბეჟან-ბეგის შვილი ელიზბარა და გორელი ნეფისათ ხალინას შვილი ნასყიდა[3]. და მე, ფითოანთ ნაზირი ოსეფას შვილს ხურაბს, დამიწერია და მოწამეც ვარ |___|[2].

დაიწერა ენკენისთვის დამდეგსა, ქკს უკე |___|[4].

35. 1739 წლ. ოქტომრის 5. გირავნობის წიგნი, მიცემული დ ა ვ ი თ თ ა რ ხ ნ ი ს-შ ვ ი ლ ი ს მიერ გ ო რ ჯ ა ს პ ი მ დ ი ვ ნ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 9×8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3807 Hd.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, თარხნის-შვილმა დავით, თქვენ, მდივანს გორ-ჯასპის, რომე ყევარი ხარი დაგიგი(რა)ვე ექვსის კვირის ვადითა რვა მინალ-თუნათ ბეშარაითათ(?), რომ შენი რვა მინალთუნი მოგივიდეს, ჩემი ხარები მომცე. არის ამისი მოწამე ციცის-შვილი ზაზა. მე, იორამს, დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ღვინობისთვეს ე, ქკ~ს უკზ. თუ ვადას გადაგიცილდეს, ხარებზე ხელი ამილია.

| მნა ღთისა მოურავისშვილი 'დავით |[5]

36. 1742 წლ. თებერვლის 2. თამასუქი, შიცემული მ ა რ ნ ე უ ლ ე ლ ი ა ფ რ ი ა მ ა ს მიერ ა რ უ თ ი ნ ა ს-შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 16×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 233 Sd.

ქ. ავიღე მე, მარნეულელი აფრიამა(მ), შენ, არუთინას-შვილი გიორგისა-გან, ხუთი მინალთუნი ახალი თეთრი. ერთი თვე ვადა. ვადაზე გაურჯელათ შენი თეთრი მოქცე (sic). თუ ამაჩი (sic) გაგსარჯო, სამდივნოთ და საიას(ა)უ-ლო(თ) გამღები მე ვიყო. არის ამისი მოწამე: ზურაბ(ა)ს-შვილი პაპამა და ყაბ(ა)რას-შვილი პაპამა. და მე, აფრიამას, დამიწერია და ყაბულიც ვარ ამისი.

დაიწერა ესე წიგნი თებერვლის ბ გასულსა, ქკ~ს უკი. +

---

[1] ქართული მურის ბეჭედი, სახელი არ იკითხება.
[2] სომხური მურის ბეჭედი, სახელი არ იკითხება.
[3] ბეჭდის ადგილი.
[4] ეს ბეჭედი გაურკვეველია.
[5] ბეჭედი მხედრ. წარწერით

37. **1742 წლ. ივლისის 18.** გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ა ლ ი - ბ ე რ ი ს(?) მიერ დ ა ვ ი თ თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 11×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3799 Hd.

ქ. მომებარა მე, ვექილი კაცს ალი-ბერსა(?), შენ, დავით თარხნიშვილისაგან, თერთმეტი თუმანი თეთრი მელიქის თამასუქში. არის ამისი მოწმე თოფჩიბაშიშვილი ფათალი-ბეგ, საყა სეიდულა[1], იორამ თარხნიშვილი [___][2], ალელი ფირალა [___][3]. მე, დეკანოზს სვიმონს, დამიწერია და მოწამეცა ვარ.
დაიწერა მკათათვეს თრამეტ(sic) გასულს, ქკ~ს ულ. [___][4]

38. **1743 წლ. თებერვლის 1.** თამასუქი, მიცემული დ ი ღ მ ე ლ ი მ ა ვ ე ლ ა ს - შ ვ ი ლ ი ბ ე რ ო ა ს მიერ ც ო ც ხ ლ ა(ა ნ)თ მ ო ს ე ს ა ს ა ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 11×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 236 Sd.

ქ. ავიღე მე, დიღმელი მაველას-შვილი ბეროამ, შენ, ცოცხალა(ან)თ მოსესასაგან, ხუთი მინალთუნი ახალი თეთრი. რაც ხ(ა)ნს ჩემს ხელთ დაყოს, წელიწადჩი(sic) სამი კოდი წმინდა პური სარგებელი მოგცე. არის ამისი მოწამე ლოინათ ასატურა და გორელი ბაღდასარა. მე, შაქროას, დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი.
დაიწერა ესე წიგნი თებერვლის დამდექს (sic), ქკ~ს ულა +.

39. **1744 წლ. ივნისის 30.** თამასუქი, მიცემული მ ი ზ ო ა ნ თ გ ა ს პ ა რ ა ს - შ ვ ი ლ ი ს ბ ა ღ დ ო ა ს მიერ თ უ თ უ ლ ა ს - შ ვ ი ლ ი პ ა პ ა ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 17×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 232 Sd.

ქ. ავიღე მე, მიზოანთ გასპარას-შვილი ბაღდოამ, შენ, თუთულას-შვილი პაპასაგან, სამი თუმანი ახალი თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ა̄ (1 თუმანი და 5 მინალთუნი) ამდენი. ამ თარიღიდამე ოთხი თვე ვადა. ვადაზე შენი

---

[1] ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.
[2] მურის ბეჭედი, არ იკითხება.
[3] ქართული მურის ბეჭედი, სახელი არ იკითხება.
[4] (სპარსული ?) მურის ბეჭედი, სახელი არ იკითხება.

თეთრი გაურჯელად მოგაბარო. თუ ვადას გასცილდეს, თვეში თუმნის თავს ერთი აბაზი სარგებელი მოქცე (sic).

არის ამისი მოწამე: ბასტამანთ გასპარა, [Գասպար / გასპარა][1]

ყორღანანთ ზურაბა +. და მე, პოლოზას-შვილი ისაიას, დამიწერია ბაღდოას პირობითა და მოწამეცა ვარ [მონა / ღთისა / ისაია][2] ამისი. დაიწერა ესე სანათი ახალ ქალაქს, თიბათვის გასულს, ქკ^ს ულბ.

სხვა ხელით:

ქ. მომებარა მე, პაპას; ამ თამასუქის მთავნში ხუთი მინალთუნი მარტის დ გასულს, ქკ^ს უმა. ამას გარდა, კიდევ უწინ მამბარებოდა თხუთმეტი მინალთუნი, რომ იქს ჯამი ʒ (2 თუმანი).

ქ. მიზოას-შვილი[2] ბაღდოასი.

40. 1724—1744 წწ. გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ი ა ს ე მ ა ჩ ა ბ ლ ი ს მიერ დ ა ვ ი თ მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 32×17 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახმარია ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუზ. № 3816 Hd.

საბუთის რეალიები დაახლოვებით არკვევენ მის თარიღს: ვალი აღებულა ოსმალობის დროს (1724—1735), ხოლო მორიგება მომხდარა, „ხანის ბძანებით“, სპარსთა ბატონობის დროს, ე. ი. 1744 წლამდე.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, იასე მაჩაბელმა, ბიძა ჩემა ვახტანგ და ძმამან ჩემა გოგიამ და ბარძიმ შენ, ჩემს ბიძაშვილს დავითს მაჩაბელს, შვილსა შენსა ალხაზს, ასე რომე შენს ძმას ლევანს ოსმალოს ვალი აეღო და ვეღარ მიეცა და გაქცეულიყო. მოვიდა იმისი მოვალე ბიძა ჩემს თეიმურაზთან, ფაშის ბუირუთი მოუტანა და ის ვალი თეიმურაზს მიეც(ა). შენ რუსეთს იყავ და მოხველ და ლაპარაკი დაგვიწყევ. ბედნიარის ხანის ბძანებითა ამილახვარმა გივმა ასე გაგვარიგა, რომ ძარწემს(?) გოგიძე ჩვენ დაგვანება. სხვა რაც შენი და ფარსადანის კერძი მამული არის; ქურთას ბასის-შვილები და ხაბარელი, აბო-წმინდას(?) მელაძე, მოურავი ოთარა და იმისი განაყოფები, ერთ პირათ სომეხი ზაქარა, შალუღას-შვილები, ძლევიჯვარს ან გცხილვანს ან ნასყიდი საცა შენი რამ იყოს მთასა ან ბარში, სულ დამინებებია. შენთან ხელი არავის ქონდეს. თუ ის ურუმების თამასუქი გამოჩნდეს, ბათილი იყოს. არის ამისი მოწამე მოურავისშვილი ზაზა [ზაზა][1], ფავლენის-შვილი იორამ [იორამ][1], თაქთაქის-შვილი ელიზბარ [...ბანდა...და უზბაში ელიზბარ][1], ფალავანდის-შვილი უზბაში იასე [მნა ღთისა ...] და მე, ბოქოულს ლუარსაბს, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი [ღუარსაბ][1].

[1] მურის ბეჭედი.

[2] თუ „მიხოას-შვილი“?

ზემო აშიაზე: ჩვენ, ურბნელი ეფისკოპოზი ნკ᾽ხ, ამისი მოწამე ვართ
ხელრთვა

მარცხენა აშიაზე სხვადასხვა ხელით: მე, მდივანბეგი ქაიხოსრო, ამის მოწამე |___|[1], ქ. ჩვენ, ამილახორი ოთარ, ამისი მოწამე ვართ |___|[1]; ქ. ჩვენ, მიშკარბაში გივი, ამისი მოწამე ვარ |___|[1]. ქ. მე, ეშიკაღასბაში ელისბარ ორბელიანი, ამისი მოწამე ვარ. ქ. მე, ყარან, ამისი მოწამე ვარ |___|[1]; ქ. მე, მდივანი ავთანდილ, ამისი მოწამე ვარ |___|[1].

41. 1745 წლ. აპრილის 1. თამასუქი, მიცემული სამწერული ფარემუზას მიერ ბაყალი გიორგისადმი. დედანი. ზომა 15,5×12 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია წერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 238 Sd.

ქ. ავიღე მე, სამწერული ბესარას საძე(?) ფარემუზამ, შენ, ბაყალი გიორგისაგან, ხუთი მინალ(თუნი) და ათი შაური ახალი თეთრი. ამ თეთრსა სთველში (?)[2] როგორც ჯაფინათ პაპასაგან აიღო, მეც ამ კვალათ[3] მოგცე. და თუ ვერ მოგცე, როგორც თავნი ფასობდეს, ისე ფასი მოგცე. არის ამისი მოწამე ბაყალი არუთინა და ბაყალი გოგინა. და მე, დიბეგანთ (?) მარგასაშვილი რაფიელას, დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა ესე წიგნი აპრილის დამდეგსა, ქკ᾽ს ულგ +.

42. 1746 წლ. დეკემბრის 10. ბარათი უზბაში ფარსადანისა გლახასადმი ვალის გარდახდის თაობაზე. დედანი. ზომა 11×6,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3804 Hd.

ქ. უზბაშის ფარსადანის კეთილათ სახსენებელო ძმაო გლახავ, მერმე შენზე რომ ფალა(?) არის თორმეტი თუმანი, იმისი ამ გიორგი დაღბაშს შვიდი მილანთუნი (sic) მოეც.

დაიწერა ქრისტ(ეშობ)ის თვესა ი, ქკს ულდ. |ხსრვ|[4]

---

[1] მურის ბეჭედი, არ იკითხება.
[2] დედანშია: „სათეველში“.
[3] დედანშია: „კავალათ“.
[4] ბეჭედი ხმალამოღებული მხედრის გამოსახულებით და წარწერით.

43. XVIII ს-ის 1-ლი ნახევარი. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ასლან ავალის-შვილის მიერ გიორგი გოჩიას-შვილისადმი. დედანი. ზომა 21×11,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნებად ნახმარია ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3811 Hd.
საბუთი თარიღდება ხელის მიხედვით, დაახლოებით.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, ასლან ავალის-შვილმა, შენ, გოჩიას-შვილსა გიორგისა, ასე რომე ჩემი ორმოცი ყურუში გემართა და მომეც. თამასუქი აქა არა მქონდა აქა. თუ ის თამასუქი გამოჩნდეს, ამ წიგნმა გამტყუნოს. არის ამისი მოწამე ახალდაბის მი(ნ)ბაში ალია, შედანა. მე, გიორგის, დამიწერია (და) მოწამეცა (ვარ) ამისი.

44. XVIII ს-ის 1-ლი ნახევარი. ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი ფალავანის-შვილის მიერ ქველი წერეთლისადმი. დედანი. ზომა 24,5×15 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3806 Hd.
საბუთი თარიღდება ხელის მიხედვით, დაახლოებით.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ესე წიგნი მოგართვით თქვენ, ბატონს წერეთელს ქველს, თქვენს შვილს ბეჟანს და დავითს მე, ფალავანის-შვილმა (sic) გიორგიმ, ჩემა შვილმა შიომ, ასრე რომ აბაშიძემ მამული დამიკავა. ახლა დამჭირდა თეთრი იმ მამულზე გარდასახადად აბაშიძისათვის. ორასორმოცდაათი მარჩილი ევიღე თქვენგან მამულის დასახსენად. სხვა ვერა ვიშოვერა და შემოგეხვეწე თქვენ, მოგართვი აბრამის-შვილი ლაზარე და შიო მათის ცოლ-შვილით, სახლით, კარით, საფლავით, წყლით, წისქვილით, სათიბით, ტყით, რისაც მქონებელი იყოს მისის ყოვლის ფერით. (გ)ქონდეს ღა გიბედნიეროს ღმერთმან გამარჯვებაში, დღენგრძელობაში (sic), მკვიდრად და შეუცილებლად თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა რანიცა დიდსა საუფლოსა სვინაქსარშიგან სწერიან და ან მოიხსენებიან, იმათის თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა; ყოვლაწმიდისა, უხრწნელისა, უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამის თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა. ვინცა და რამანც ძემან კაცისამან თქვენ ეს წიგნი შეგიშალოს, ისიმც შეიშლება რჯულისაგან, იუდას თანაზიარიმც იქნება, ნუმცა ეხსნების წირვითა, ნუმცა ლოცვითა, ნუმცა გლახაკთ მიცემითა. კაცთაგან ამისი მოწამე გიორგი ციმაკურიძე, ესტატეს-შვილი სვიმონ, ოთია გოდაბრელიძე. მე, მდივანს, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. + +

45. XVIII ს-ის 1-ლი ნახევარი. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული მ დ ი ვ ა ნ ი შ ე რ მ ა ზ ა ნ ი ს მიერ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე დ ა ვ ი თ ი ს-შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 13,8×12,7 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 5496 Hd.
კონსტანტინე დავითიშვილი იხსენიება XVIII ს-ის 1-ლი მეოთხედის საბუთში (იხ. აქვე საბ. № 6029 Hd.).

ქ. მამებარა მე, მდივანს შერმაზანს, დავითის-შვილის კოსტანტილესგან ჩემი მთავანი რვა თუმანი ოავისის სარგებლით, უკლებად მამებარა. თუ თამასუქი გამოჩნდეს, ამ ყაბზნან გა(ა)მტყუნოს. ამისი მოწამე სარქისა, ბეჟან და იოსებაშვილი ყაზარა. მე თვით დამიწერია და ყაბულიც მაქუს ამისი.

მ̅ნა ღ̅თისა
შერმაზან [1]

46. XVIII ს-ის 1-ლი ნახევარი. პირობის წიგნი, მიცემული თ ა მ ა რ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ პ ა ა პ უ ნ ა წ ე რ ე თ ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 12×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3793 Hd.
საბუთი თარიღდება ხელის მიხედვით, დაახლოებით.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, ბატონიშვილმან თამარმან, თქვენ, პაპუნა წერეთელს. ახლა თუ ამ ძილიშვილისა და ამ შვიდასი მარჩილის მოდავე ვინმე მოგადგეს, პასუხის გამცემი მე ვიყო. [2]

47. XVIII ს-ის 1-ლი ნახევარი. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული მ ი ქ ე ლ ზ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი ს მიერ თ ა მ ა რ ჯ ა ვ ა ხ ი ს-შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 13,5×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3792 Hd.
ჯ ა ვ ა ხ ი ს-შ ვ ი ლ ი ე რ ა ს ტ ი ფ ა რ ე მ უ ზ ი ს-ძ ე იხ. საქ. სიძვ. II, 306 (1718 წ.), 322 (1724 წ.) და სხვ.; გ ლ უ რ ჯ ი ძ ე პაპუა იხ. იქვე, გვ. 328 (1719—24 წ.წ.). ეს განსაზღვრავს ჩვენს საბუთს XVIII ს-ის 1-ლი ნახევრის ფარგლებში, ან ეგებ, უფრო ნიშანდობლივ, ამ საუკუნის 1-ლი მეოთხედის ფარგლებში.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ზალიაშვილმა მიქელ, მამამა ჩემ(მ)ან გაბრიელ, თქვენ, ჯავახის-შვილს ერასტის დედასა თამარს, ასე რომე, თუ თქვენი თამა-

[1] მურის ბეჭედი.
[2] მურის ბეჭედი თამარ ბატონიშვილისა (?).

სუქები გამოჩნდეს, გარდაწყვეტილი არის და ამ წიგნმა გა(ა)მტყუვნოს. ან პურის თამასუქი და ან თეთრისა(bis) ამ წიგნმა გა(ა)მტყუვნოს. არის ამისი მოწამე გლურჯიძე პაპუა, ხთისია, ჯომარდიძე ბერი. + +

48. XVIII ს-ის 1-ლი ნახევარი. თამასუქი, მიცემული რუკელი გონიარის მიერ პაპუასადმი. დედანი(?) ზომა 14×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 831 Sd.
საბუთის თარიღი ირკვევა ხელის მიხედვით, დაახლოებით.

ქ. ავიღე მე, რეკელმა გონიარმა, შენ, პაპუასაგან, შვიდი მარჩილი და ნახევარი მარტის დამდეგსა. თვეში ორი შაური სარგებელის მამცემი ვიყო. არის ამისი მოწამე გორელი ამირა საფარა, გორელი ჯარჩი, თათარი უღულა. თუ ამაზე გაგანაწყენო, ამილახვარის შემცოდე ვიყო. თუ გაგანაწყენო, საიასაულო მე გავიღო. მე, პაპუას მთულოიშვილ(ს)(?) დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

49. XVIII ს-ის 1-ლი ნახევარი. წერილი გივი ამილახორისა ბატონი კოსტანტილესადმი ვინმე აღალოს დავალიანების შესახებ. დედანი. ზომა 18,5×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14591 Hd.
ბეჭდის თარიღი (1722 წ.) მიგვითითებს XVIII ს-ის 1-ლ ნახევარზე ან შუახანებზე.

ქ. ამილახორის გივის არაოდეს არ დასავიწყარო ძმაო, ბატონო კოსტანტილე!

მრავალი მოკითხვა მოგვიხსენებია, მერმე, აღალოს ოცი თუმანი მე მივეც აქა. ათი თუმანი ხომ მანდ თქვენ მოგეც და თამასუქი გამოვართვი. თამასუქი თან მამაქვს. ამ აღალის თეთრი ექვსასი ყურუში ყოფილა, ეგ ორასი ყურუშიც გზას დაუჭირე. ამისი კაცი მომდევს, რომ მისცე, კიდევ არა გაგსარჯონ რა. რაც ჩემთვის კაცი მოგიცია, მაგათ სარჯელს ნურას დაუწყებ.

მნა ღთისა ამი გივი ლხ რი ქკს უი

[1]

[1] მურის ბეჭედი.

50. XVIII ს-ის 1-ლი ნახევარი. გადაწყვეტილი ვალების ნუსხა უცნობი პირისა. დედანი. მარჯვენა ზემო კუთხე მოხეულია. ზომა 26×18 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
სახ. საქ. მუზ. № 14579 Hd.
თარიღდება, ხელის მიხედვით, XVIII ს-ის 1-ლი ნახევრის ფარგლებში.

ქ. გარდამიწყვეტია თორმეტი თუმანი (ამო)ქიძის, ან ოცი კოდი პური. სალთხუცეს(ის) გარდამიწყვეტია შვიდი თუმანი. ლიპარიტის მიმიცია თუთრის სარგებელი ოთხი თუმანი. ბესარიონის მიმიცია თეთრის სარგებელი ოცი მარჩილი. ტლაშაძისთვინ მიმიცია თერთმეტი მარჩილი. ესტატეს მივეც შერმაზანის-შვილს ორმოცი კოკა ტკბილი. მამასახლისის ელიზბარ(ი)ს გარდავწყვიტე ასსამოცი კოკა ტკბილი და ოცი კოდი პური. ოცი კოდი პური ჭიჭინაძეს. ბეჟანის გარდამიწყვეტია ოცი კოდი პური. გლურჯიძე იონათამის კიდევ მიმიცია ამოქიძისთვინ ორმოზდა(ა)თი (sic) კოკა ტკბილი. ოთხი მარჩილი ლიპარიტის იასაულისთვინ მიმიცია. ცხრა აბაზი ჭიჭინაძის იასაულისთვინ მიმიცია.

51. XVIII ს-ის შუახანები. ყმის გირავნობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო ზაალის-შვილის მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. ზომა 32,2×16.5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხვდრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 510 Sd.
საბუთს თარიღი არა აქვს. მისი შედგენის დრო განისაზღვრება დაახლოებით იმისდა მიხედვით, რომ იგი მდივანს გო(რ)ჯასპის (თუმანიშვილს) დაუწერია. რომელიც XVIII ს-ის 60-იანებში უნდა გარდაცვლილიყო. პაპუნა წერეთელიც იხსენიება ერთს XVIII ს-ის 1-ლი ნახევრის საბუთში (იხ. აქვე საბუთი № 3793 Hd).

ქ. ესე წიგნი მოგართვი ჩვენ, ქაიხოსრომ ზა(ა)ლის-შვილმა, ძმისწულმა ჩემ(მ)ა ზა(ა)ლ და ვალადამ, თქვენ, ბატონს პაპუნას წერეთელს, ასე რომ თქვენი თეთრი გვემართა ასორმოცი მარჩილი. დაგვიწყეთ თხოვნა თეთრს(ა) და ვერ გიშოვნეთ. ახლა მოგართვით ამ ასორმოცს მარჩილს გირაოთ წლამდი მერჯევს მზარეულას-შვილი სეხნია, კაპანაძე კაცია, გიგია, მათის ცოლით, შვილით, მამულით, ალაგით, ბეგარ-ყალანით. თუ წლამდი თქვენი თეთრი მოგართვათ, ჩვენი გლეხი ჩვენთვინ იყოს, თუ არადა, წლამდინ ეს ასორმოცი მარჩილი ვერ გიშონოთ (sic), ამ კაპანაძეზედ ხელი აგვიღია, ღმერთმან მოგახმაროს ამისი თავი, მამული, ალაგი, ბეგარა და ყალანი. ჩვენ სხვეფ (sic) მოვინდომეთ ამ კაცის საქმე, მაგრამ ხატის ყმა იყო და გასასყიდლათ არას გვარგებდა, და თქვენ თეთრშიდ იმიტომ მოგართვით.

არის ამისი გამრიგე და მოწამე ძაღლუა მაჭავარიანი, პა(ა)ტა ფალავანდის-შვილი, ჩვენი აზნაურ(ი)შვილი ბერი გოდაბრელიძე, ყობია შალას-შვილი. მდივანი გო(რ)ჯასპის დამიწერია და მოწმეც ვარ + + +. Сей Документъ

въ имеретинскомъ временномъ правленіи отъ подполковника и кавалѣра князя Григора Церетеля 7-го дня августа 1822-го года явленъ и въ книгу подлинникомъ отъ слова до слова подъ № 468-м записанъ. Въ чемъ сиимъ за подписомъ (sic) присутдствующихъ и приложеніемъ казенной печати свидѣтельствуется.

პოლკოვნიკი მდივანბეგი ქაიხოსრო წერეთელი. მდივანბეგი თ᾽ი ლევან ჩხეიძე.

печать имеретинского временного правления

[1]

52. XVIII ს-ის შუახანები. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ელიზბარ ქარუმიძის მიერ ფირან თუმანიშვილისადმი. დედანი. ზომა 12×13,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 7855 Hd.
საბუთის ხელი მიგვითითებს XVIII ს-ის შუახანებზე.

ქ. ესე გარდასაწყვეტის წიგნი მოგეც მე, ქარუმიძე ელიზბარ, თქვენ, თუმანიშვილს ფირანს, ასე რომე ჩემი თერთმეტი მარჩილი გემართათ და მამეცით თავნიცა და სარგებელიც. აღარა დარჩა რა ჩემი თქვენზედა ძმობისა და მუსაიბობის მეტი. არის ამისი მოწამე ოსიტა იოსებიძე, თანდილა. მე, თუმანიშვილს შაველის, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი +.

53. 1751 წლ. აპრილის 20. თამასუქი, მიცემული მარქ(ა)რიშვილი ფარემუზას მიერ ბახუტასადმი. დედანი. ზომ. 17×12 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 220 Sd.

ქ. ავიღე მე, ფარემუზმან მარქ(ა)რიშვილმან, შენ, ბახუტასაგან ორი შინ(ა)ლთუნი და ათი შაური. რასაც ხანს ჩემ ხელთ დაყოს, თვეში შაურნახევარი სარგებელი მოგცე. არის ამისი მოწამე გორჯასპი. მე, არდაზიანს, დამიწერია და მოწმეც ვარ.

დაიწერა აპრილ(ის) კ გასულს, ქკ᾽ს ულ᾽თ +.

---

[1] მურის ბეჭედი, მრგვალ-ოვალური ფორმის, შუაში ღერბით.

54. **1753 წლ.** აპრილის 1. თამასუქი, მიცემული კუზიკანთ არუთინას მიერ თურღუანთ ავეტიქასადმი. დედანი. ზომა 22,5×16,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14582 Hd.

ქ. ავიღე მე, კუზიკანთ ამირას შვილი არუთინამა, შენ, თურღუანთ ავეტიქასაგან, ოცდაორი თუმანი ახალი თეთრი, რომ იქს ნახევარი ია (11 თუმ.) ამდენი. ამა თარიღიდამ სამი თვე ვადა. ვადაზედა შენი თეთრი გაურჯელად მოგცე და თუ ვადას გადასცილდეს, თვეში თუმანისა თავს ორი შაური სარგებელი მოგცე. არის ამისი მოწამე ხახუტას-შვილი არუთინ |___|[1] და კუთლოანთ ფარსადანას-შვილი ოსეფა. |___|[1] და მე, ნაცვლის-შვილი გიორგის, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა აპრილის დამდეგს, ქკს უმა. +

55. **1753 წლ.** ივლისის 4. პირობის წიგნი, მიცემული ხოდოგაანთ ესტატეს-შვილის მოსესას მიერ ჰ(ა)ვლაბარელი ბეჟანას შვილის გიორგისადმი. დედანი. ზომა 21×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 223 Sd.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, ხოდოგაანთ ესტატეს შვილი მოსესმა, შენ, ჰ(ა)ვლაბარელი ბეჟანას შვილი გიორგისა, ასრე რომე ფარემუზას ორი თუმნის თამასუქი აქს. ერთი თუმანი მიმიცია. ვინც ჩემი ორი თუმნის თამასუქი გამამიტა(ნო)ს, ერთი თუმანიც იმას მივცე. შენ რომე შამაპირე, ერთი თუმნის დარჩომოდა. გიორგი რომე ქალაქს მოვიდა, ქალაქს გამოგართვი. მაგასთან საქმე ნუ რი გაქს. ვინც თამასუქი მამიტან(ო)ს, ერთი თუმანიც იმას მივცემ. არის ამისი მოწმე თავ(ი)ლდარი ბეჟან და პაპა. და მე, მოსეს, დამიწერია, ყაბულიც მაქს.

დაიწერა ესე წიგნი კათათვ(ი)ს დ გასულს, ქკ^ს უმა.

56. **1753 წლ.** ნოემბრის 8. არზა მოქალაქე ბეჟანასი თეიმურაზ II-სადმი ნიკოლოზ გურამის-შვილის ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 20,8×16,3 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 218 Sd.

ქ. ჩვენი ბრძანება არის, გურამიშვილო ნიკოლოზ, მერმე ამა ბეჟანასი პური გმართებია. თუ სიტყვა არა გქონდეს, თავისი პური მიეც, ნულარა აჩივ-

[1] მურის ბეჭედი, არ იკითხება.

ლებ, და თუ სიტყვა (გ)ქონდეს, სამართალში ჩამოყევ. გიორგობისთვის Ѳ. ქკ˜ს უმა.

უფლისა მიერ მეფედ ცხებული თეიმურაზის დამტკიცებული

[1]

ქ. ღ˜თნ მოწყალემან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათ ფერჯთა მიწამტვერს, თქვენს ყმას, მოქალაქეს ბეჟანას მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებთ ბედნიერს ჯელმწიფეს: ერთაწმინდას ˜ვიყავ შარშან, ათი კოდი პური ვასესხე ნიკოლოზ გურამის-შვილს, რომ ავჭალას უნდა მოეცა. ჩამოვედი და ჩემი პური არ მამცა. ახლაც ვთხოვ ჩემს პურს და კიდევ არ მაძლევს. ცოლშვილი შიმშილით მეხოცება, ასე უსამართლო მჭირს. ღთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსე, რომ ჩემის პატრონი გამხადოს.

57. 1754 წლ. იანვრის 9. თამასუქი, მიცემული სოლომან აბაზაძის მიერ ავთანდილ ფავნელის-შვილისადმი. დედანი. ზომა 14,2×11,4 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 7845 Hd.

ქ. ავიღე მე, სოლომან აბაზაძემა, თქვენ, ჩვენი სახთხუცის ფავნელის-შვილის ავთ(ა)ნდილისაგან, მურვან რომა ქიტის და ჩდულის(?)[2] ერ(თ) თუმანს მედავებოდა, ეს ერთი თუმან(ი) უნდა მოგცე. ერთი თვე ვადა. თუ ვადას გადასცილდეს, თვეში ექ(ვ)სი შაური სარგებელი მოგცე. არის ამისი მოწმე სურამის ნაცვალი დავითის-შვილი ივანე, ჩხეიძის სახთხუცესი ბასილა-შვილი რევაზ, მორდალი ელიზბარ. მე, მდივანს ზურაბს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.
იანვრის თ, ქკს უმბ. +
სხვა ხელით: სოლომანის თამასუქი.

58. 1756 წლ. აპრილის 1. თამასუქი, მიცემული ქაიხოსრო და ბეჟან წერეთლების მიერ როსაპ მაჭავარიანისადმი. დედანი. ზომა 22,5×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით.
საქ. სახ. მუზ. № 3686 Hd.

ქ. ევიღე მე, ქაიხსორო წერეთელმა და ძმამა ჩემ(მ)ა ბეჟან, როსაპ მაჭავარიანისაგან ორმოცდაოთხი მარჩილი თეთრი. რასაც ხანს შენი თეთრი ჩემს ხელთ იყოს, თვეში მარჩილის თავზე ნახევარ შაურის ბამცემი ვიყო. ახლა ამის

[1] მურის ბეჭედი.
[2] ეს ორი სიტყვა გაუგებარია.

საწინდრათ მამიცემია მახარობელი ვაჩეჩილაძე, გიორგი გაჩეჩილაძის შვილე-ბი და ხარება გაჩეჩილაძის შვილები მათის ცოლით, შვილით, მამულ-ადგილით, ეკლესია-სასაფლაოთი, წყლითა და წისქვილით, მათის ყოვლისფრით საქმით, საძებარ-უძებრით. არის ამისი მოწამე ნიკოლოზ ჩიქუანი, გიორგი ჩხეიძე, მაჭავარიანი ნასყიდა, მახარობელი ბიბიჩაძე, დათუნა აზბედიაშვილი. მე, მღდელს ანდრიას, დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ეს წიგნი აპრილის დამდეგს, ქე˜ს ქკ˜სა ჩღნვ. + +

59. **1756 წლ. მაისის 16.** პირობის წიგნი, მიცემული ესტატე როსტევანას-შვილის მიერ იოსებ გლურჯიძისადმი. პირი. ზომა 11,5×9,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14175 Hd.

ესე წიგნი მოგეცი მე, ახალქალაქელმა როსტევანას-შვილმა ესტატემ, შენ, გლურჯიძე იოსეფს, ასე რომე ჩემ(ი)ს მამულისა ოცდაორი კოდი პურისა თამასუქი მაქს შენი და იმ პურ (sic) გარდა რვა მინალთუნიც თეთრი. ამ ორს კვირეზე უნდა მომცე და მეც უნდა სიგლები მოგცე. დაიწერა მაისის ივ, ქკს უმდ. +

გოგიბედას-შვილი დავით, ატენის ნაც(ვა)ლი დათუნა. მე, ჯავახის-შვილს დავითს, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. +

Verso იმავე ხელით: ესე წიგნი მოგე(ც) მე, გიორგიმ გლურჯიძემ, შენ, ბეჟიტას-შვილს სეხნიას, ასე რომ შენ ჩემი რვა მინალთუნი გემართა. მარტყობს კაცსზე (sic) ბარათი მომეც და ბარათი იმ კაცს მივეც. წერეთელს არა მო(უ)ც(ი)ა რა. იმ ბარათით თუ დაგიხუთოს რამე, პასუხი მე გ(ავ)ცე, ან ერთი ფული გამომერთმევნოს, ერთი ორ(ა)თ (მო)მცემი ვიყო. არის ამისი მოწმე ფრიდონ გლუ(რ)ჯიძე.

60. **1756 წლ. ივნისის 7.** განაჩენი ვალის თაობაზე, მიცემული ერეკლე II-ის მიერ ხორამზე ბატონიშვილის ქალის ელენესათვის. დედანი. ზომა 21×16 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14616 Hd.

ქ. ჯავახის-შვილს ფარემუზს და მის შვილს ერასტის ბატონის-შვილის ხორამზეს ქალის ელენესაგან თამასუქით თერთმეტი თუმანი ვალათ აეღოთ და [illegible] ბაინდურას-შვილი ნადირას შვილი ფარეში თავისის მამულით თამა-

სუქში გირაოთ დაეწერათ, რომ სარგებელი ამ თეთრისა იმას ეძლივა. და ჟამთა ვითარებისაგან ის კაციც აღარ ყოფილიყო, ელენეს იმ მამულიდან აღარა რგებოდა რა, მთავნიც და სარგებელიც არ მისცემოდა რა. ეს ფარეშის მამული ყარაღაჯს ელენესათვის თავის თეთრში დაგვინებებია სამართალით. ამან იმ მამულის გამოსავალი როგორც უნდა მოიხმაროს, მანამ თავისი თეთრი მიეცემოდეს. და თუ ჯავახის-შვილმა ავთანდილმა თავისი თამასუქის თეთრი მისცეს, მას უკან მამული ჯავახიშვილს და(ა)ნებოს, თუ არა, ელენეს ეჭიროს. აგრევ კიდევ ხუთი თუმანი ჭაჭიას-შვილს[1] დავითს მართებოდა თამასუქით. ამისი ორი ვენახი გირაოთ უწერია. ის ჭაჭიაშვილის ორი ვენახიც ელენესათვის დაგვინებებია. მანამ თავისი თეთრი მისცემოდეს, ეს ვენახებიც ამას უნდა ეჭიროს. თიბათვის ზ, ქკს უმდ.

ჯავახის-შვილმა ავთანდილ ან თავისი თეთრი ახლავ მისცეს და ეს გირაო მამულები ავთანდილს ქონდეს, ან არადა ხელაღებით ახლავ ელენეს და(ა)ნებოს მთავნს და სარგებელში, ჯავახის-შვილს საქმე აღარ ექნება. იესაულო, ელიზბარ მოლარეთ-ხუცესო, ეს ასე გაურიგე. |___| |___|[2]

ქ. ეს განაჩენი რომ მოგეცით, რადგან დიდი ხანი გავიდა რომ ჯავახის-შვილმა ვერ დაიხსნა, ახლა როგორც გენებებოდეს ისე მოიხმარეთ, სიტყვა ნულარავის აქვს ამ მამულში. გინდოდესთ გაყიდეთ, გინდოდესთ თქვენთვის გეჭიროსთ, საქმე აღარავის აქვს. მარტის ბ, ქკს უმე. |___| |___|[3]

61. 1756 წლ. სექტემბრის 10. თამასუქი მიცემული პოღოსა ასატურას-შვილის მიერ გორჯასპი მდივნისადმი. დედანი. ზომა 16×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნებად ნახმარია ორწერტილი ან მძიმე ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3842 Hd.

ქ. ავიღე მე, ალელმა ასატურას-შვილმან პოღოსამა, თქვენ, ბატონის ჩემის გორჯასპის მდივნისაგან, ერთი თუმანი ახალი თეთრი, რომა იქს ამისი ნახევარი ჭ (5 მინალთუნი) ამასა, ამა პირობით, რომა ეს თეთრი მე თავნათ დავიჭირო და აღებ-მიცემაში ვამუშავო და რაც ღმერთმან მამცეს ხეირი თუ შარი, თავნი ხომ თქვენ უნდა მოგაბარო და მონაგებისა ხეირი და შარი ორისვე უნდა იყოს. არის ამისი მოწამე თაყინანთ მელიქ ფარსადანას-შვილი თაყინა. და მე, ამირალანთ თამაზას-შვილს დავითს, დამიწერია ამა პოღოსას, იღრალითა და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ენკენისთვის ი გასულს, ქკ-ს უმდ.

განის მარცხენა აშიაზე სხვა ხელით: კიდევ ამისი მოწამე თუმანის-შვილი ბაინდურ. +

---

[1] დედანში: „ჭაჭიას-შვილის“.

[2] ქართული მურის ბეჭდები, რომელთა წარწერები არ იკითხება; ერთზე თითქოს განირჩევა: „ერეკლე“.

[3] ისეთივე ბეჭდები.

62. 1756 წლ. ოქტომბრის 7. არზა მზეჭაბუკ ჯავახის-შვილისა მეფის სახელზე, ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 22×15,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8123 Hd.

ქ. ღვთისაგან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ჯავახის-შვილს მზეჭაბუკს. ციხედიდელს იას-შვილს(?) თამაზას ორთუმან-ნახევარი თეთრი მართებს თამასუქით. ჩემს(ას) ვთხოვ, არას პასუხს მაძლევს. თქვენად გასამარჯვებლად ერთის ოქმის წყალობა გვიყავით, რომ ჩემის პატროხი გამხადონ.

სხვა ხელით: ქ. ჩვენი ბრძანება არის, იასაულო ედიშერ საამის-შვილო, წადი, რასაც ამ არზით ჯავახის-შვილი ჭაბუა ციხედიდელს კაცს უჩივის, თუ სიტყვა ქონდეს, სამართალში მოიყვანე, თუ არა, თავისი მოაცემინე. ღვინობისთვის ზ, ქკს უმდ. [1]

63. 1756 წლ. ოქტომბრის 20. თამასუქი, მიცემული ლუარსაბ ხერხეულიძის მიერ ქსნის ერისთვის დავითისადმი. დედანი. ზომა 24,5×21 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 207 Sd.

ქ. ავიღე მე, ხერხეულიძემ ლუარსაბ, ჩემ(მ)ა ძმამ ბეჟან და შვილმან ჩემ(მ)ან დავით, თქვენ, ქსნის ერისთვის დავითისაგან, ათი თუმანი ახალი თეთრი, რომ ამისი ნახევარი იქს ხუთს თუმანს. ამისი გირაოდ მოგვიცია ყანდოასშვილი გივი თავისის მამულით, ქცხინვალელი (sic) ჩვენი მკვიდრი ყმა. სანამდი თქვენი თეთრი ჩვენა გვქონდეს, მანამდი ჩვენ თეთრი(ს) სარგებელი ვერა გვთხოვო, ჩვენი კაცი შენთან გირაოთ იყოს და შენ იმსახურო. რახან [2] შენი თეთრი მოგართოთ, ჩვენი კაცი ჩვენვე გვიბოძო. არის ამისი მოწამე თაქთაქის-შვილი ელიზბარ და ფანველის-შვილი (sic) კაცია და კაჭკაჭაშვილი დავითა, გორელი ტერ-არისტაკისა [ტერ ·] [3]. და მე, მოქალაქე ბეჟანას-შვილს გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა ესე წიგნი ღვინობისთვის კ გასულს, ქკ-ს უმდ.

[4] [მონა ღთისა ლ
უარსაბ]

სხვა ხელით: წელსა ჩყდ ამ თამასუქში რაც თეთრი სწერია შენ, ჯამასპი ხერხეულიძისათვინ, მიპატიებია. აპრილის ბ. ერისთავი მირვანოზ.

---

[1] მურის ბეჭედი ქართული მხედრული წარწერით, რომელიც არ იკითხება.
[2] დედანში: „ნახან".
[3] ქართული მურის ბეჭედი, კარგად არ იკითხება
[4] მურის ბეჭედი.

64. 1757 წლ. მარტის 25. ყმობის წიგნი, მიცემული ტერ-ოსეფაშვილის მიერ ბა[რ]-ნაბის-შვილი ივანე მღვდლისადმი. დედანი? ზომა 21×13 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3687 Hd.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ტერ-ოსეფაშვილმა . . . . , შვილმა ჩემ(მ)ა-კირაკოზამ, შენ, ბა(რ)ნაბის-შვილს ივანე მღდელს, შენს ბიძაშვილს იასონს, თქვენს შვილებს ანდრიას, დავითს, გოგიას, იაკობს და რევაზს, ასე რომ დიაღ შიმშილით საქმე გამიჭირდა. ასეთი დრო იყო, მამა შვილს აღარ იკითხევდა, მამა შვილს ყიდდა, ასეთი დრო იყო. საქმე გამიჭირდა მე, შენც საქმე გაიჭ-რე და შემინახე. მამიცია ჩემი თავი ყმათ. ვერც მე, ვერც ჩემი შვილის-შვი-ლი ვერ დაეხწიოს თქვენს შვილის-შვილს. არას კაცს ჩემთან საქმე არა ქონ-დეს. თუ ვინმე მოდევე იყოს, პასუხის მიმცემი მე ვიყო. ვალი რაც მემართა-ისიც თქვენ მამსხლიტეთ. არის ამისი მოწამე ნაცლი-შვილი გურგენ, სალთხუ-ცესი რევაზ, ბოდბის ქევხა ჯიმშ[ერ], ბალაშვილი პა[ა]ტა. მე, დავით მღდელს, დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა მარტის ოცდახუთს, ქკ~ს უმე. + +

65. 1758 წლ. მარტის 1. თამასუქი, მიცემული გურგენა ჰირუმას-შვილის მიერ სტეფან შაბაზას-შვილისადმი. დედანი. ზომა 20×10.5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14296 Hd.

ქ. ავიღე მე, ჰირუმას-შვილმა სარაჯმა გურგენამა, შენ, შა(ა)ბაზას-შვილის სტეფანისაგან, ერთი თუმანი ახალი თეთრი. ამ თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს, თვეში ამ ერთ თუმანზე სამი შაური სარგებელი მოქცე (sic). თუ ამაზე გაგსარჯო რამე, სამდივნო და საიასაულო მე, გურგენამ, გავიღო. არის ამის მოწამე მე, შენი მეზობელი, ბირჩალჩი ალავერდა და როხროხანთ სიძე პაპა. მე, ზურაბს მწერალს, დამიწერია, მოწამეცა ვარ.

დაიწერა ეს წიგნი მარტის თვისა დამდექსა, ქკს უმვ. +

Verso სხვადასხვა ხელით: სარაჯი გურგენასია ჯამი ͡ ა (1 თუ-მანი).

ქ. ეს გურგენა ნუხის არისო.
სიონისა.

66. 1758 წლ. სექტემბრის 22. პირობის წიგნი, მიცემული ბერიძე ბერაძის მიერ. მდივანი გორჯასპისადმი პურის ვალის გადახდის თაობაზე. დედანი. ზომა 16,5×16,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 215 Sd.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, ბერიძე ბერაძემ, თქვენ, ჩემს ბატონს, მდივანს გორჯასპის, ასე რომე ამ თარიხიდამ (sic) რვა თვით უწინ თქენი ფქვილი მქონდა, რომ ქალაქს უნდა ჩამეტანა. ზოგი ჩავიტანე და ოთხმოცდახუთი ლიტრა ჩემთან დარჩა. ეს ოთხმოცდახუთი ლიტრა ფქვილი ამ ერთს თვეზე ჩავიტანო ქალაქს და თქვენს კაცს მივაბარო. თუ ამ ერთს თვეზე არ ჩავიტანო, ლიტრის თავს თითო აბაზი თეთრი მოგართვა.

არის ამისი მოწმე ამირღას-შვილი დავითა. და მე, ყანდინას-შვილს გიორგას, დამიწერია ამ ბერაძეს ილრარით და მოწმეცა ვარ ამისი.

დაიწერა ენკენისთვის კბ, ქჯ^ს უმვ. +

ქ. ბერაძის სანათი. იქს ფასი ̅ვკ (1 თუმანი და 7 მინალთუნი).

67. 1761 წლ. იანვარი. გორელი მენაღარის ესტატეს ჯალაბის მარეხას დანარჩომი ბეითალმალი და თამასუქები. დედანი. ზომა 21×14,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3600 Hd.
შდრ. საბუთი № 225 Sd.

ქკ^ს უმთ, იანვრის.

ქ. გორელი მენაღარის ესტატეს ჯალაბის მარეხას დანარჩომი ბეითალმალი და თამასუქები, რაც გორის მამასახლის გიორგის ქონოდა და გამოერთმევინა, რომელიც რომ ან თამასუქი იყო ან ანდერძში ეწერა, თამასუქი დაკარგოდა.

̅ბ (ცხრა თუმანი) ქ. გორელი ჯულაბას-შვილის ქაიხოსროს თამასუქი.

̅ე (ხუთი თუმანი) ქ. გორელი მექინას-შვილის თამასუქი ანდერძის წიგნში ეწერა, მთავნი ამილია, სარგებელი დარჩომილაო.

ქ. ნაზარას ქონია ̅იბ ̅ჯ (თორმეტ თუმან ნახევარი) მარეხისა. ამისი მოგება ნახევარი ნაზარასი ყოფილა, ნახევარი თეთრის პატრონისა.

ქ. ამას გარდა კიდევ ნაზარას და დედას იმის მართებს ანდერძის წიგნით. ამ ნაზარასგან ორ-სამ დაფათ მისცემია, ანდერძის წიგნში რომ სწერია და ყაბზი ხელთ უჭირავსო ̅ე (ხუთი თუმანი).

ქ. რაც თამასუქები და სიგლები მქონდაო, ტივზე დამეკარგაო. მოქალაქე სკანდარას ეპოვნა და ნაზარას გამოერთმევინა სკანდარასათვისაო.

ა (თუმანი) ქ. ჭოკა გიორგის მართებს ანდერძის წიგნით.
ა (თუმანი) ქ. როსტომ მამასახლის(ს) მართებს ანდერძის წიგნით; თამასუქი არა ჩანს.
გ (სამი თუმანი) ქ. თუთას-შვილს ბაღდასარას მართებს ანდერძის წიგნით; თამასუქი არა ჩანს.
ხ (ექვსი მინალთუნი) ქ. ღამბარანთ ბეროს მართებს ფეტვისა უთამასუქოთ, ანდერძით.
ქ. კიდევ როსტომა მამასახლისის დისა ოცი მისხალი ოქრო ტერ-საკას აბარია.

68. 1761 წლ. ნოემბრის 20. თამასუქი, მიცემული ხაშარაძისა, ცუცქირიძისა შარიქაძისა და ჭყოიძის მიერ მათი ბატონის ნიკოლოზ აბაშიძისადმი. დედანი. ზომა 16×9 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3794 Hd.

ქ. ავიღე მე სვიმონიკა ხაშარაძემ, ბერიკელა ცუცქირიძემ, თამაზიკა შარიქაძე[1] და მახარიკა ჭყოიძემ თქვენ, ბატონის ჩვენის ნიკოლოზ აბაშიძისაგან, თვრამეტი ზარმამუდის ოქრო. რასაც ხანს ჩვენს ხელთ იყოს, თვეში ნახევარ შაური სარგებელი გაძლიოთ მარჩილის თავს. ეს თეთრი, რომელიც თითო უზურში დაგვახელო და ცოცხალნი ვიყვნეთ, ერთმა გარდავიხადოთ ეს თეთრი და ულაპარაკოთ მოგართვათ. არის ამისი მოწამე თქვენი ძმისწული ქაიხოსრო, სალთხუცესი გელია, ჩხეიძე ბაანა (sic). დაიწერა გიორგობისთვის კ, ქკ᾽ს უმთ.

+ + +

სხვა ხელით: ამ თამასუქში ოთხი კაცი ეწერა; ერთმა იმართლა თავი თამაზელა შარიქაძის შვილმა; სამი ისევ სალაპარაკოთ დარჩა.

69. 1767 წლ. აპრილის 1. თამასუქი, მიცემული გორჯასპი მდივნის მიერ ნათისშვილი გიორგისადმი. დედანი. თავი მოხეული აქვს. ზომა 14×12,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 198 Sd.

....შენ, ნათის-შვილის გიორგი მღვდლისგან, ექვსი თუმანი თეთრი. რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თუმნის თავს თვეში სამი შაური სარგებელი მოგცე-

[1] ორი სიტყვა წაშლილია.

ამისი ნახევარი იქნება ͡გ (3 თუმანი) ამდონი. ამისი მოწამე ჩემი სიძე შაქარუა და ბარათანთ სტეფ(ა)ნა, მეწვრილმანე ფარეშა[1], ოანანთ არუთინა. და მე თვითონ, მდივ(ა)ნს გორჯასპის, დამიწერია, ჩემი დასტუხათი არის.

დაიწერა აპრილის დამდექს (sic), ქკ᾽ს უნე. [2]

70. **1767 წლ. ივნისის 15.** თამასუქი, მიცემული გ ო გ ი ა [თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა] და ნ ი კ ო ლ ო ზ [ს] ვ ი მ ო ნ ი ს - შ ვ ი ლ ი ს მ ი ერ პ ა პ უ ნ ა ს - შ ვ ი ლ ი ზ უ რ ა ბ ა ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 20,8×15,3 სმ. მოხეული აქვს მარჯვენა ზემო კუთხე. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ
საქ. სახ. მუზ. № 500 Sd.

ქ. ავიღეთ [ჩვენ, თუმანიშვილი სულხ]ან მდივნის შვილმა გოგიამ და მე [ს]ვ(ი)მონის-შვილმა ნიკოლოზ, შენ პაპუნას-შვილის ბაყალი ზურაბასაგან, ერთი თუმანი ახალი თეთრი. არის ამისი გირაო ჩვენი საჯინიბო. რაც ხანი შენ იდგე, ქირა არც ჩვენ გთხოვოთ და არც შენ თეთრის სარგებელი გვთხოვო. როიცა (sic) ჩვენ შენი ერთი თუმანი მოგცეთ, ჩვენი საჯინიბო დაგვიცალო. არის ამისი მოწამე თუმანიშვილი გიორგი, ბაყალი შავერდა და მევე, ნიკოლოზს, დამიწერია და ორთავე ყაბულიც გვაქვს, მეცა და გოგისაც.

დაიწერა თიბათვის იე, ქკს უნე.

71. **1769 წლ. იანვრის 1.** თამასუქი, მიცემული შ ე რ გ ი ლ ა ნ ა თ ს ტ ე ფ ა ნ ა ს მ ი ერ თ უ მ ა ნ ი ს - შ ვ ი ლ ი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე თ ბ ი ლ ე ლ ი ს ა დ მ ი. პირი. ზომა 23,5×17 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 204 Sd.

ქ. ავიღე მე, შერგილანთ პაპას შვილი სტეფანამ და ჩემ(მ)ან დედამ ფადიშამ, შენ, თუმანის-შვილი ქრისტეფორე თბილელისაგან[3], ოცდაათი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ახალი თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ͡იე (15 თუმანი) ამდენი. დაგიდევით ამ თეთრის გირაოთ ჩვენი სახლები, რომ ჩვენ შიგა ვდგავართ, კიდევ ჩვენ შიგ ვიდგეთ და თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიოთ. თუ რომ ან სარგებელი(სა), ან თავნისათვინ გაგსარჯოთ, სახლები თქვენ დაგანებოთ. დაიწერა ქალაქს, იანვრის დამდექს (sic), ქკ᾽ს უნ᾽ზ.

---

[1] დედანში: „ფარეშას“.

[2] ქართულ-სომხური მურის ბეჭედი. მთლიანად არ იკითხება, რადგან იგი ნაწილობრივ ამოგლეჯილია.

[3] დედანში: „ქრისტე. თურ. თაბილედსაგან“.

ჩვენი ნასყიდობის სიგელი ამ თამასუქთან თქვენთან არის. როცა თქვენი თეთრი მოგართოთ, ეს ჩვენი სანათი და სიგელი ჩვენ გვიბოძოთ.

ქ. მე, შერგილანთ პაპას შვილი სტეფანამ, ამ ზემო სანათის ყაბული ვარ. ბეჭედი არა მაქვს. ეს ჩემი ხელია.

ქ. მე, სტეფანას დედამ ფადეშამ, ამ სანათის ყაბული მაქვს. ეს ჩემი ხელია.

ქ. მე, შერგილანთ არაქელას შვილი ზურაბამ, ზემო სტეფანას და თავის დედას ყაბულობით, ამ სანათის მოწამე ვარ.

ქ. მე, თუმანიანთ იესეს შვილი პაპუამ, ამ ზემო ნაწერის მოწამე ვარ სტეფანას იღრარით.

ქ. მე, ნორაშნის ტერ საქიოზას შვილი ტერ დავითამ, ზემო ნაწერი სტეფანას და თავის დედას პირობით, ეს სანათი დამიწერია და მოწამე ვარ.

ქ. მე, მანანანთ ხატიას-შვილმა სტეფანამ, ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი გარდამოვწერე.

ქ. სტეფანას და თავის დედის პირობით ამ თამასუქის მოწამე ვარ. აბესალამანთ პაპას შვილი ჰასრათა.

ქ. მე, შადინანთ შავერდას შვილი როსტომამ, ამ ზემო ნაწერის, სტეფანას და თავისი დედის ყაბულობით, მოწამე ვარ.

ქ. ამისი ასლი ვნახეთ და ეს სავადი დავბეჭდე მე, მიღდის ავეტიქას შვილი ოსეფამ. [1]

ქ. მისი ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე მე, ჯგრ´გნს(?) ტერ-გრიქურას შვილი დავითა. [2]

72. **1769 წლ. იანვრის 2.** არზა ვალის თაობაზე ნიკოლოზ ციცის-შვილისა ერეკლე II-ისადმი. დედანი. ზომა 20,5×16,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 203 Sd.

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ზაზა ამირაჯიბო, ვისაც ამ არზის პატრონი იმ არზით უჩივის, თუ სიტყვა ჰქონდეს რამე სამართალში მოიყვანე და თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, თავისი მამული მიაცემინე.

იანვრის Ѳ, ქკ´ს უნზ. [3] ერეკლე

ქ. ლთ´ნ ბედნიერის ჭელმწიფის ჭირი ნიკოლოზ ციცის-შვილსა მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს: ბიძის ჩემის ციცის ერთი თუმანი მარ-

[1] მურის ბეჭედი, სახელი არ იკითხება.
[2] სომხური მურის ბეჭედი, კარგად არ იკითხება.
[3] მურის ბეჭედი, რვაკუთხედის მოყვანილობისა.

·თებოდა მამა ჩემსა. იმ ერთის თუმნის თამასუქი იმასვე დარჩომოდა. ის თეთრი გადაწყვეტილ ყოფილიყო, რომ ბარ(ა)თი ხელში მიჭირ(ა)ვს მობ(ა)რება (sic). ახლა იმისმა შვილმა ერთი ხოდაბუნი გამიყო და ამ თეთრის ჯათზე თუ სიტყვა აქვს, სამართალში მომყვეს, თუ არა, ერთის ოქმის წყალობა მიყავ(ი)თ, ჩემი მამული დამნებდეს.

იანვრის ბ, ქკ^ს უნზ. +

73. **1771 წლ. დეკემბრის 20.** ბრძანება ერეკლე II-ისა ბაღდასარ ყალუასშვილისადმი ვალის გადახდის თაობაზე. დედანი. ზომა 15,6×6 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 11827 Hd·

ქ. ყალუას-შვილო ბაღდასარ, შენ რომ თბილელის თეთრი გმართებს, იქიდამ გენებაშვილს ოთიკას ორი თუმანი შვილის სახსრად მოეცი, რომ იქნება ნახევარი ҂ (1 თუმ.) ამდენი. ქრისტეშობის კ, ქკს უნთ.

ერეკლე [1]

74. **1772 წლ. თებერვლის 1.** თამასუქი, მიცემული თუმანის-შვილი გოგიასა და მისი ძმის ნიკოლოზის მიერ თუთუნაშვილი დავითისადმი. დედანი. ზომა 17,3×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 177 Sd.

ქ. ავიღეთ ჩვენ, თუმანის-შვილმა გოგიამ და ჩემ(მ)ა ძმამ ნიკოლოზ, შენ, თუთუნაშვილის დავითისაგან, შვიდი თუმანი და რვა მინალთუნი და ერთი აბაზი ქალაქის ზარაფხანის აბაზი. რასაც ხანს ჩემს ჭელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ერთი აბაზი სარგებელი მოგცეთ. თუ ამაში გაგალაპარაკოთ, სამდივნო და საიასაულო ჩვენ გავიღოთ. მე თითონ, ნიკოლოზს, დამიწერია და ყაბულიცა მაქვს ამისი. ნიკოლ ოზ [2]

დაიწერა თებერვალს დამდეგს, ქკ^ს უჲ, ჭელთუბ(ანს).

სხვადასხვა ხელით: ქ. მე, გოგიას, ამ თამასუქის ყაბული მაქვს, ეს ჩემი ხელია. ბეჭედი არ მქონდა. +

ქ. ამ თამასუქში მომებარა მე, თუთუნიშვილს დავითს, შენ თუმანიშვილ

[1] მურის ბეჭედი.
[2] მურის ბეჭედი.

ნიკოლოზისგან. ორი წლის სარგებელი და თავნშიაც ორი თუმანი მამებარა. დარჩა თავნი ნიკოლოზზე ͡ ვ ̅ ̅ (ხუთი თუმანი, 8 მინალთუნი და 1 აბაზი). ამტოლი.

მარიამობას კ, ქკ᾽ს უჯბ.

ქ. ამ თამასუქის თავნი სარგებლიანათ მამებარა.

75. 1776 წლ. აგვისტოს 1. ფულის მიბარების ხელწერილი, მიცემული ზ ა ზ ა ყ ო რ ი ა ს ა-ულ-ბ ა შ ი ს მიერ მ ა მ უ კ ა ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 10,8 × 5,3 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 12187 Hd.

ქ. მამებარა მე, ყორ-იასაულ-ბაშს ზაზას, შენა, ჩემი ბიძაშვილ მამაუკასგანა, ჩემი შვიდი თუმანი და ოთხი მინალთუნი რომე გემართა, იმისი ანგარიშად ოთხი თუმანი, რომე დარჩება ჩვენი შენზედ სამი თუმანი და ოთხი მინალთუნი, ამა თარიღში: მარიამობისთვის დამდექს, ქკს უჯდ, ამა თარიღში. ამის მეტი არ არის ჩემზე თეთრის(?) [ზაზა] [1]

76. 1776 წლ. სექტებრის 21. თამასუქი, მიცემული ყ ა რ ა ნ - ბ ე ჟ ა ნ ი ს-შ ვ ი ლ ი ს გ ი ო რ გ ი ს მიერ ბ ა ტ ო ნ ი ი ო ს ე ბ მ დ ი ვ ნ ი ს ა დ მ ი. დედანი. მოხეული აქვს ერთი კუთხე ზომა 43,2 × 19 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 171 Sd.

ქ. ავიღე მე, ყარან-ბეჟანის-შვილმა გიორგ[ი]მ, შე[ნ], ბატონს ჩემ ბიძაშვილს იოსებ მდივნისაგან, ოთხი თუმანი ქალაქის ახალი ზარაფხანის თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ͡ ბ (2 თუმანი) ამდენს. რაც ხანს ჩვენ ხელში დაყოს, თვეში თუმანის თავს სამი შაური სარგებელი გაძლიონ, რომ იქს ზემო ოთხი თუმნის სარგებელი თვეში სამ აბაზს. თვე და თვე სარგებელი გაძლიონ. მოგართვი ზემო ნაწერის თეთრის გირაოთ აჭალდაბას ჩემი ყმის დათას ͡ ვენახი და სამი დღის ნაფუზარი ამავ ვენახის ბოლოს. როდესაც შენი თეთრი მოგართო, მამულზე ქელი აიღოთ. როდესაც თქვენი თეთრი დაგჭირდესთ, ერთის წლის უწინ მაცოდინო. თუ თეთრი ვერ მოგცე, გირაომ პასუხი მოგცეს. თუ ამაზე გაგსარჯო, სადივანბე(გ)ო და საიესაულო (sic) მე, გიორგიმ გავიღო. არის ამისი მოწამე თავათ ღთ᾽(ი), კაცთაგან ციხისთავი გიორგი, გიორგი[2], თუ-

[1] მურის ბეჭედი, ოვალური მოყვანილობისა.
[2] ხელრთვა.

მანიშვილი გიორგი +, ბირთველ მდივნი(ს) შვილი კაცია +. მე, ჭელთუბნის მღდელს ტერ მოსესას დამიწერია გიორგის ყაბულობით, მოწამეც ვარ, ეს ჩემი ხელია.

აღიწერა ენკენისთვის კა, ქ(კ)ს უჯდ. ტერ-მოსესა.

სხვადასხვა ხელით: ქ. მე, ყარა-ბეჟანის-შვილს გიორგის, ამ თამასუქის ყაბულს მაქვს, ეს ჩემი ჭელია.

ქ. ამ თამასუქის დამსწრე და მოწამე ვარ ციხისთავი გიორგი, ეს ჩემი ხელი(ა), ბეჭედი არ მქონდა. +

ქ. მე, თუმანის-შვილი ბირთველ, ამისი დამ(ს)წრე და მოწამეცა ვარ.

ქ. მე, გიორგი თუმნის-შვილი, ამ თამასუქის მოწმე ვარ, ეს ჩემი ხელი(ა), ბეჭედი არ მქონდა.

სათაური სხვა ხელით: ყარან-ბეჟანის-შვილი გიორგის თამასუქი.

77. 1776 წლ. ნოემბრის 16. პირობის წიგნი, მიცემული თუმანიშვილი სულხან მდივნის შვილის გოგიას მიერ მოქალაქე პეტრეს-შვილი ზეინალასადმი. დედანი. ზომა 27,5×19,3 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 503 Sd.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, თუმანიშვილი სულხან მდივნის შვილმა გოგიამ, შენ, მოქალაქე პეტრეს-შვილი ზეინალასა, ასე რომა მე ლეკებმა დამატყვეს (sic) ქართლში და ანდარიას მამიყვანეს და შენ ანდარიას დამხვდი. ზემოგეხვეწე და შენს ღმერთს მიმადლე და დამიხსენი ნაღდს რუსის მანეთზედა, რითაც იმ ლეკების გული შეჯერდებოდა. მერე ვიანგარიშეთ, რუსის მანეთი შეიქნა ქალაქის ზარაფხანის აბაზი ოცდა(ა)თი თუმანი. ეს ოცდა(ა)თი თუმანი, წავიდეთ ქალაქსა, ერთი თვე ვადა. ვადაზე ეს ზემო ოცდა(ა)თი თუმანი მე, გოგიამა, მოგცე შენ, ზეინალასა. ამა ზემო ოცდა(ა)თს თუმანს გარდა, კიდევ რაც ანდ(ა)რიაიდამა ქალაქამდინ დახარჯო ჩემზედა, ისიც გაუნაწყევნებით მოგცე. ღმერთმან ნუ ქნას, გზა არის, სიკვდილ-სიცოცხლე არი, ჩემს თავს მოვიდა რამე, ამ ოცდა(ა)თის თუმნის გირაოდ მამიცია ქალაქს ჩემი საჯინიბო, რომა შანშიასშვილი გივის სახლებს რომა აკრავს და ჩემი ყმა როსტომას-შვილი ხოსროვა ახალდაბელი და ფახირას-შვილის სახლები თავის მარნით და ბაღით გორს. ეს გირაოები შენთვინს (sic) მამიცია მანამდინ შენს თეთრს მოგაბარებდეს ჩემი ვარასი ვინმე.

დაიწერა ანდარიას, გიორგობის ივ, ქკ-ს უჯე.

ქ. მე, გორელს კაჭკაჭანთ ზურაბას-შვილს ნარიმანას, დამიწერია გიორგის იღრარითა და ამა მოწმე ვარ, ამა დამხდური. |___|[1] |___|[1]

სხვადასხვა ხელით: ქ. ეს სანათი მე, გოგიამ სულხან მდივნიშვილმა, დავაწერინე და ყაბულიც მაქვს ამისი. ბეჭედი არა მქონდა, ეს ჩემი ხელია +

[1] სომხური მურის ბეჭედი, წარწერა არ იკითხება.

ქ. ამ ზემო ნაწერის მოწამე ვარ, გოგიას სიტყვით, მე, გორელი საკანთ მანუჩარას შვილი სტეფანე [1].

ქ. ამ ზემო ნაწერის მოწამე ვარ, გიორგის სიტყვით, მე, გორელი ყანდინანთ გიორგის შვილი იაკობ. ეს ჩემი ხელია.

ქ. ამ ზემო ნაწერის მოწამე ვარ მე, გორელი მეწულიანთ ფარსადანას შვილი როსტომა, გიორგის იღრარით. ეს ჩემი ხელი არის.

ქ. ამ ზემო ნაწერის მოწმე ვარ, გიორგის სიტყვით, მე, შიხინათ გიორგის შვილი გრიგოლ. ეს ჩემი ხელი არის.

ქ. ამ ზემო ნაწერის მოწამე ვარ, გიორგის სიტყვით, მე, გორელი დოლმაზანთ რამაზას შვილი დავითა. ეს ჩემი ხელია.

78. 1777 წლ. ახლ. ვალის თაობაზე (მ ა ნ უ ჩ ა რ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა) და ქ ს ნ ი ს ე რ ი ს-თ ვ ი ს - შ ვ ი ლ ი ს ე ლ ი ს ბ ა რ ს შორის მიწერ-მოწერის ამონაკრები. დედანი. ზომა 11,4×8,3 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ◆ქა-იქ ნახმარია წერტილი.
ეს საბუთი რომ მ ა ნ უ ჩ ა რ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა ა, ირკვევა ხელის შიხედვით.
საქ. სახ. მუზ. № 192 Sd.

ქ. ქსნის ერისთვის-შვილმა ელისბარმა ჩემგან ოცდათექვსმეტი თუმანი ვალათ რომ აიღო და იმის გამოისათ თხოვნისათვის მე რაც წიგნი მიმიწერია და იმას პასუხი მოუწერია, იმის მოწერილის წიგნების ძალი(ან) შემოკლებით ამაზე არის გამოწერილი.

ქკ˜ს უჯე, ამ წლის თებერვლის ვ მოწერილს წიგნში სწერია ერთი საის ყაბალახის შეკერვა და შვიდის წყვილის ჯუფთის გაგზავნა და ამ წიგნს გარდა სხვა წიგნის მოწერა, რომ ის წიგნი აღა(რ) არის, დაკარგულია. ქკ˜ს უჯე, აპრილის კᲩ მოწერილს წიგნში სწერია: შენი წიგნი მამივიდაო; სამოსლისა მოგეწერა, რომე რათ არისო, როგორც მანდ არის აქაც ისე აფაუბენენო, და იმისთვის არ ვიყიდე; ერისთვისა ქალაქს ჩამოსვლა, იმასთან მისვლა და თეთრის თხოვნა; ზოგს მოგცემსო და ზოგი დარჩებაო; იმ დღეს რომ მითხარო, ოცდათუთხმეტი თუმანი იქნებაო—იმ[2] ათის თუმნით იქნება ოც და თუთხმეტი, დედაკაცისაგან რომ ავიღევით, თუ იმას გარდა?—ისიც მამწერე.

ქკ˜ს უჯე, მაისის ი მოწერილს წიგნში სწერია: წიგნი მოგწერეო და არაფერი ამბავი არ შემატყობინე; ღთ˜ი მემოწმება, რომ დიდათ მრცხვენიან, ჩემი სვინდისიც მტანჯავს, რომ აქამდის ვერა მოგართვი რა; მაგრამ რა ვქნა, ისევ შენვე უნდა შემინდო; შენი ჭირიმე, ჩემო მანუჩარ, ნუ დამემდურები და ნურც მაგისთვის გარდამაგდებ რაც (მ)მართებს; მე ასე ჩამოგართვი, იმიტომ აღარ მომწერა წიგნი მეთქი, რომ აქამდის ხიჯალათი გავაწევინე.

[1] სომხური შურის ბეჭედი, ღერბისებური, წარწერა არ იკითხება.
[2] დედანში ეს სიტყვა გამეორებულია.

ქკ˝ს უჲე, თიბათვის ბ. მოწერილს წიგნში სწერია: წიგნში რომ მოგეწერა ქალაქიდამ, ამისი პასუხი მოგწერე; თქვენე (sic) ქალაქს არ ყოფილიყავით; აღარ ვიცი, მოგერთოთ თუ არა?—თქვენს სადგომზე მიერთმევნათ. ის წიგნი აღარ არის, დაკარგულა.

79. 1778 წლ. მაისის 25. გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული დათუნა ბოჟაძის მიერ მამუკა ხოლუაშვილისადმი. დედანი. ზომა 16,5×7,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8999 Hd.

ქ. ეს წიგნი მამიცემია მე, დათუნა ბოჟაძეს შენ, მამუკა ხოლუაშვილო, შენ რომ ჩემი თეთრი გემართა, ამილია და გადმიწყვეტია. მე შენთან სადეო (sic) აღარა მაქ რა. თუ ამისი მაგიერი წიგნი გამოჩნდეს, ამ წიგნმა გა(ა)მტყუნოს. არიან ამისი მოწამენი და გამრიგენი ბერიკელა შარიქაძე, იოვანე მღვდელი, გიორგი თხილიაშვილი, გიგია საზანაშვილი.
დაიწერა მაისის კე, ქკს უჲვ.

80. 1779 წლ. ივნისის 10. პირობის წიგნი, მიცემული იოსებ მდივნის მიერ თავისი ბიძაშვილის გოგია (თუმანიშვილისადმი), ამ უკანასკნელის მიერ აღებული ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 21,5×15,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3690 Hd.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, მდივანმა იოსებ, შენ, ჩემს ბიძაშვილს ბეჟანის შვილს გოგიას, ასე რომ შენი ხელთუბნის მამული სრულათ გირაოთ მომეც და ოცი თუმანი აიღევ თამასუქით. ბადამდის(sic) ჩემს თეთრს მამცემდე, რაც იმ მამულის გამოსავალი იქნება, ჩემი არის და მე თეთრის სარგებელი არ უნდა ვთხოო. რასაც დროს ჩემი თეთრი მამცე, შენი მამული დაგანებო და თამასუქიც მოგცე.
მკათათვის ი, ქკ˝ს უჲზ[1]. 10.VII.1779
განის მარცხენა აშიაზე:
ქ. მე, აშხარბეგ, მდივნის იოსების სიტყვით, მოწამე ვარ[1].
ქ. მე, ამბარდარი ქიტესა, ამისი მოწამე ვარ. [illegible][2]
ქ მე, იოსებ მუშრიბი, იოსებ მდივნის სიტყვით, მოწამე ვარ[1].

[1] ბეჭედის ადგილი ამოხეულია.
[2] ქართული მურის ბეჭედი.

81. 1779 წლ. აგვისტოს 1. თამასუქი, მიცემული თუმანიანთ ბეჟანიკს შვილის გოგიას მიერ თავისი ბიძის იოსეფ მდივნისადმი. დედანი. ზომა 19,8×15,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 176 Sd.

ქ. ავიღე მე, თუმანიანთ ბეჟანის შვილმა გოგიამ, შენ, ბიძაჩემი იოსეფ მდივნისაგან, ოცი თუმანი ახალი ზარაფხანის თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ათი თუმანი. რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს[1], თუმნის თავს სამი შაური სარგებელი მოგცე თვეში. არის ამისი გირაოთ ჩემი წილი ყმა და მამული. როცა მე შენი თეთრი მოგცე, ჩემი ყმა და მამული მე დამანებო. თუ გაგსარჯო, სამდივნო და საიასაულო მე, გოგიამ, გავიღო. მე თითონ, გოგიას, დამიწერია და ყაბულიცა მაქვს, ეს ჩემი ხელია.

დაიწერა ეს თამასუქი ქალაქს, მარიამობისთვის დამდეგს, ქკ˜ს უჲზ. +

სხვადასხვა ხელით:

ქ. მე, მანან(ან)თ ფიბოას შვილი ხატინამ, გოგინას იღრარით, ამ თამასუქის მოწამე ვარ. [ ][2]

ქ. მე, შერგილა(ან)თ არაქელას შვილი ისაიამ, ამ თამასუქის მოწამე ვარ გოგიას იღრარით. [ ][2]

ქ. მე, ამირხ(ა)ნ(ან)თ ოჰანეზას შვილი გაფრიელა (sic), ამ თამასუქის მოწამე ვარ გოგიას იღრარით. [ ][2]

ქ. ამ თამასუქის თეთრი თამამათ მამბარდა, მარტს ლ, ქკ˜ს უჲზ. [ ][2]

82. 1777-იანი წლ. ასაღები ვალების ნუსხა (მანუჩარ თუმანიშვილისა?) დედანი. ზომა 20,5×16 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3586 Hd.
მანუჩარ თუმანიშვილი საფიქრებელია ხელის მიხედვით.
თარიღს დაახლოვ. განსაზღვრავს ლევან ბატონიშვილი, რომელიც გარდაიცვალა 1781 წელს.

რაც ასაღები გვაქვს:

ქ. არღუთაშვილი ფარსადანასა და დურმიშხანას-შვილის როსტომასაგან ნაქურდლის საქონლის მოცემა.
ი (ათი თუმანი) ქ. აბრამანთ გიორგას შვილი ნაზარასაგან თამასუქი. გირაო სირაჯხანაში დუქანი არის ა. ეს გირაოთ არის თუთუნჩი როსტომასთან იგ (თორმეტ თუმნად) ამდენათ. სამეჯლოს დუქანი ა და ჯონხანის დუქნის მეოთხედი გირაოთ არის ბასტამანთ სტეფანასთან დ ჰ (ოთხ თუმან ნახევრათ) ამდენათ.

---

[1] დედანში: „დაჰყოსთ".
[2] მურის ბეჭედი, არ იკითხება აპოგლეჯილია.

ⲅ (სამი თუმანი)	ქ. ყაფლანის-შვილის დიმიტრის მოსაცემი.
ⲅ (სამი თუმანი)	ქ. მიღდისას-შვილის სტეფანასი თამასუქის დანარ ჩომი.
ⲟⲃ (თექვსმეტი თუმანი)	ქ. არაგვზე ზაბანაშვილი გლახასი.
ⲁⲥ (ერთმეტი თუმანი და ორი მინალთუნი)	ქ. გორელი ჩარჩის-შვილი შაქარასი.
ⲉ (ექვსი თუმანი)	ქ. მუხრან-ბატონის აზნაურის მინანაშვილის ზედ· გინიძე დათუას თამასუქი.
ⲇⲙ (ოთხი თუმანი და რვა მინალთუნი)	ქ. სიონის ყმა დურგალი პაპასი.
ⲉⲃ (ხუთ თუმან ნახევარი)	ქ. სარქის-აღას შვილი სტეფანასი.
ⲗⲃⲃ (ოცდათექვსმეტი თუ- მანი და ხუთი მინალ· თუნი)	ქ. ყორღანაშვილი უთრუთასი ორის თამასუქით.
ⲓⲃ (თორმეტი თუმანი)	ქ. გორელმა ხითარაშვილმა სოლომანამ.
ⲑⲙ (რვა თუმანი და რვა მინალთუნი)	ქ. გურამის-შვილი კაპიტანი გოგიასი პური კოდი.
ⲉ (ექვსი თუმანი)	ქ. მერაბ-აღას ბიჭის პეტრუსასი.
	ქ. გაბაშვილის ანდრიასი და გოგიას თამისუქი პუ რისა და ქერისა ⲗⲃ კოდი.
ⲁⲃ (ხუთმეტი მინალთუნი)	ქ. სოლომან მდივნის თამასუქი.
ⲕⲃ (ოცდაორი თუმანი)	ქ. ჩემი დისწული სოსიასი ⲃ ბარათით.
ⲑ (რვა თუმანი)	ქ. ავჭალელი ვარდანანთ ზურაბაშვილმა ივანემ.
ⲇ (ოთხი თუმანი)	ქ. გაბაშვილმა ზაზამ.
ⲓⲃ (თორმეტი თუმანი)	ქ. ნათლია მესანთლე ასლანასი.
ⲥⲙⲁⲥ (ასორმოცდა ერთი თუმანი და ორი მი- ნალთუნი)	ქ. ბატონის-შვილისაგან მინდა ლევანისაგან.
ⲡⲉⲃ (ოთხმოცდა ხუთი თუ- მანი და ექვსი მინალ- თუნი)	ქ. ბატონიშვილი ალმასხანისა.
ⲕ (ოცი თუმანი)	ქ. ახალციხელი ღუგაზასაგან მინდა.
ⲓⲑⲃⲫ (თვრამეტი თუმანი, ხუთი მინალთუნი და ათი შაური)	ქ. აბესალმანთ ოჰანეზას თამასუქი.
ⲓⲃ (თორმეტი თუმანი)	ქ. მესანთლე ასლანასი [1].
ⲓⲑ (ცხრამეტი თუმანი)	ქ. ალიხანანთ აღალუასი, პურს გარდა.
ⲛ (ორმოცდა ათი თუ- მანი)	ქ. თუთუნანთ დავითასი.
ⲓⲃ (თორმეტი თუმანი)	ქ. ხითარაშვილი სოლომანისა [1].
ⲕⲃ (ოცდა ორი თუმანი)	ქ. ცხინვალელი სტეფანას.
ⲓⲃ (ათი თუმანი და ხუ- თი მინალთუნი)	ქ. ქაიხოსრო ფავლენიშვილისა.
ⲑ (რვა თუმანი)	ქ. ფავლენის-შვილის არჩილისა.
ⲓⲇ (თოთხმეტი თუმანი)	ქ. ფავლენის-შვილის იესესი.
ⲕ (ოცი თუმანი)	ქ. ერისთვის-შვილის ელისბარისა.
	ქ. მეწვრილმანე პაპასი ხუთი [2].

[1] ეს სტრიქონები წაშლილია.
[2] ეს სტრიქონი სხვა ხელითა და მელნითაა მიწერილი.

83. 1782 წლ. იანვრის 1. თამასუქი, მაცემული ერასტი უზბაშის მიერ ბატონი თამარისადმი. დედანი. ზომა 13×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3788 Hd.

ქ. ავიღევ მე, ერასტი უზბაშმა, თქვენ, ბატონის თამარისაგან, ხუთი თუმანი ა(ხ)ალი თეთრი. თუმანზედ ორი შაური და ნახევარი სარგებელი უნდა გაძლიოს. გირაო ამისთვის არ მოგართვი, რომ ჩემგან ხათრიჯამი ბძანდებით. იანვრის დამდეგს, ქკ<ს უჲი. |მ<ნა ღ<ისა ერასტი| [1]

verso დედნის ხელით: ამის სარგებელში მისცემია თხუთმეტი მილანთული (sic) და სამი აბაზი.

სხვა ხელით: ამ თამასუქის თეთრი თავნი და სარგებელი სრულათ მივეც თამარს მე, დავითმა, მაისის ი, ქკ<ს უჟა.

კიდევ სხვა ხელით: ამ თამასუქის თავნიც მომბარდა, სარგებელიც მე, სოლომანს, სრულათ, მელიქოვს.

84. 1781 წლ. თებერვლის 1. თამასუქი, მიცემული ხარგრძელი შიოს-შვილის ბეროას მიერ თუმანის-შვილი სულხან მდივნისადმი. პირი. ზომა 18×13,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად აქაიქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 158 Sd.

ქ. ავიღე მე, ხარგრძელი შიოს-შვილმა ბეროამ, თქვენ თუმანის-შვილის სულხან მდივნისაგან, რვა თუმანი ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ᲂ (ოთხი თუმანი) ამდენი. ამისი გირაო მოგეცი ზემო-ხვიდას ჩემი აშენებული ვენახი, ამ პირობით, რომ ვენახი კიდევ მე მეპიროს და მე შევიმუშ(ავ)ებდე ხოლმე და რაც ღ<თი წლის მოსავალს მოგვცემდეს, მანამ შენგან დავიხსნიდე, ვენახის გამოსავალი ნახევარი შენ, მდივნისა, და ნახევარი ჩემია.

არის ამისი მოწამე მდივანი სოლომან. |სოლომან| [2] და მე, ბასტამაშვილი შაქროამ, შიოშვილი ბეროას სიტყვით, დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა ესე სანათი თებერვლის დამდექს, ქკ<ს უჲთ. |შაქრო| [2]

ქ. ბეროას სიტყვით, მოწამე ვარ მე, მიღდისი ავეტიქას შვილი ოსეფ + |___| [3]. ქ. ბეროას სიტყვით, ამ თამასუქის მოწამე ვარ, ავეტიქანთ არუთინას შვილი ოჰანეზა + |___| [3].

---

[1] ბეჭედი.
[2] მელნით დასმული ოვალი წარწერით.
[3] მელნით დასმული ოთხკუთხედი უწარწეროდ.

სხვადასხვა ხელით: ქ. სავადი ასლთან თანაწორედ ვნახე, ფი-
თუანთ სტეფანას შვილი ისაი [ისაი] [1].

ქ. ამისი ასლი ვნახე და ამ სავადის მოწამე ვარ, ყორღანაშვილი ონ-
ნანა. ონან.

ქ. ამისი ასლი ვნახე და თანახმად ეს სავადი გადმოვწერე. მდაბალი
მღვდელი [2] მიღდისი ტერ-სიმეონ მოღნინისა. +

ქ. მე, მირიშქარმა იოსებმა, ამისი ასლი ვნახე და ეს იმისი პირია. [იოსებ] [3]

85. 1781 წლ. ნოემბრის 1. თამასუქი, მიცემული ვარდანანთ ივანეს მიერ მანუ-
ჩარ (თუმანიშვილისადმი). დედანი. ზომა 20×16,5 სმ. დაწერილია თეთრ ქა-
ღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 162 Sd.

ქ. ავიღე მე, ავჭალელმა ვარდანანთ ზურაბას შვილმა ივანემ, თქვენ,
გორჯასპი მდივნის შვილი მდივნის მანუჩარისგან, რვა თუმანი ქალაქის თეთ-
რი, რომ ნახევარი იქს ოთხი თუმანი. ამ ზემო თეთრის გირაო დაგიდევით
ჩემი შვილი ნონია. რაც ხანს ჩემს ჯელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორი
შაური სარგებელი გაძლიო და როდესაც ზემო რვა თუმანი მთხოვო, თავის
სარგებლით გაურჯელად მოგ(ი)ე. თუ გაგსარჯო [4], სამდივნო და საი(ა)საულო
მე, ივანემ, გავიღო. მე, ციხის დიდ(ი)ს ეკლესიის დეკონოზი ტერ-მელქისე-
თ(ი)ს შვილმა ტერ არაქელამ, ივანეს სიტყვით დამიწერია და მოწამეც ვარ
ამისი.

დაიწერა გიორგობისთვის დამდექს, ქკ~ს უჲთ. [ ] [5]

ქ. მე, კრწანისის მამასახლისი სოლომან, ივანეს სიტყვით ამ სანათის
მოწამე ვარ. [მამასახლისი სოლომონა] [6]

---

[1] მურის ბეჭედი ღერბისებურია, აქვს სპარსული თუ თურქული წარწერაც და სხვა ნიშ
ნები, რომლებიც არ განირჩევა.

[2] დედანში: „მღვრდელი“.

[3] მურის ბეჭედი.

[4] დედანში: „გაქსარჯო“.

[5] სომხური მურის ბეჭედი რვაკუთხედის მოყვანილობისა, რომლის წარწერა მთლიანად
არ განირჩევა.

[6] მურის ბეჭედი.

86. 1781 წ. ლეონ ბატონიშვილის ვალის ანგარიშის წიგნი მანუჩარ თუმანოვისა. დედანი(?). ზომა 22×17 სმ. დაწერილია ლურჯ თაბახის ქაღალდზე მხედრული ხელით.
საქ. სახ. მუზ. № 3506 Hd.
ლევან ბატონიშვილი, როგორც ცნობილია, გარდაიცვალა 1781 წ.

საქართველოს მეფის ირაკლის ძე, განსვენებულ ლეონ; რასაც თავის ბარათით მე, მანუჩარ თუმანოვისას, მოსაცემს არის, ამას ქვეით დაიწერება:

ჩღჲბ, ამ წლიდამ მოკიდებული ჩღნგ(sic) ამ წლის თიბათვის დ—ამდინ დანახარჯი ჰქონდა ⰾⰶ ⰽⰥⰻ (77 თუმანი, 7 მინალთუნი, 4 აბაზი და 2 ფული) ამდენი; ამაში ვ კალმათ მამცემოდა ⰾⰶ Ⱖ (37 თუმანი და 2 მინალთუნი) ამდენი; ამას რომ გავიდე, დარჩება ჩემი მოსაცემი ⰜⰽⰥⰻ (40 თუმანი, 5 მინალთუნი, 4 აბაზი და 2 ფული) ამდენი, რომ (მ)ისი ანგარიშის მუფასარის თავის ბეჭდით დაბეჭდი(ლი). ამავ წელს დ თავის ბარათით დაუხარჯავს ⰰⰾⰾ (18 მინ.) ამდენი;

Ⱌⰶⰷⰻ (42 თუმანი, 3 მინალთ., 4 აბაზი და 2 ფული)	იქნება ხუთის ბარათით მოსაცემი.
Ⱌⰶ ⰷ (46 თუმანი და 3 მინალთუნი)	ქ. ჩღოც, ამ წლის იანვრის ე ამდენიდამ მოკიდებული გიორგობის იდ—მდინ ერთის ბარათით, ერთის ოქმით და ბ სია-ბარათათ დაუხარჯავს; იქნება დ ბარათით მოსაცემს.
ⰠⰽⰥ (60 თუმანი, 9 მინალთუნი და 18 შაური.)	ქ. ჩღოთ, ამ წლის მარტის კდ-დამ მოკიდებული გიორგობის თვის კ ამდენიდან ვ ოქმით, გ ნუსხა-ბარათით დაუხარჯავს; იქნება თ ბარათით მოსაცემს.
Ⱓⰽⰵ (80 თუმანი, 1 აბაზი და 1 ფული.)	ქ. ჩღპ, ამ წლის იანვრის ივ მოკიდებული მაისის იდ ამდენამდინ თ ოქმით და ორის ნუსხა-ბარათით დაუხარჯავს; იქნება ია ბარათით მოსაცემს.

87. 1782 წლ. აპრილის 1. თამასუქი, მიცემული ყუთოლანთ არუთინას მიერ უზბაში ისაიას-შვილი შაქარასადმი. დედანი. ზომა 18×17 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 763 Qd.

ქ. ავიღე მე, ყუთოლანთ ავთანდილაშვილი არუთინა, შენ, უზბაში ისაიას-შვილ შაქარასგან, რვა თუმანი ქალაქის ზარაფსანის ოთხი დანგიანი ახალი თეთრი, რომე იქს ამის ნახევარი ⰴ (ოთხი თუმანი) ამდენი. ქვემო ბარიღიდამა ხუთი თვე ვადა. ვადაზე შენი თეთრი გაურჯელათ მოქცე. თუ ვადას გასცილდეს, თუმანის თავს ორი შაური სარგებელი მოქცე. თუ გაგსარჯო, სამდივნო და საია-

საულო მე, არუთინამ, გავიღო. არის ამისი მოწამე ფრიდონა(ნ)თ გულოა (ხელ-რთვა) და მანდენანთ ოქროა |___|[1]. და მე, მელიქ ყოფილი საჰაკას შვილი შა-ქარას |___|[2] დამიწერია არუთინას სიტყვით და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწე-რა ესა თამასუქი აპრილის ა, ქკ~ს უო.

88. 1782 წლ. ივნისის 8. თამასუქი, მიცემული თუმანის-შვილი ნიკოლოზის მიერ თუმანიშვილი პაპუასადმი. დედანი. ზომა 17×11 სმ. დაწერილია თეთრ ქა-ღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 163 Sd.

ქ. ავიღე მე, ნიკოლოზ თუმანის-შვილმა, შენ, თუმანიშვილის პაპუასაგან, ერთი თუმანი ქალაქის ზარაფხანის აბაზი, რომ იქს ამის ნახევარი ʒ (5 მი-ნალთუნი) ამდენს. რაც ხანს ჩემს ჭელთ დაყოს, თვეში ერთი აბაზი სარგებე-ლი მოგცე. თუ ამაზედ გაგალაპარაკო, სამდივანბეგო და საი(ა)საულო მე გა-ვიღო. არის ამისი მოწამე ღმერთი. მე, ნიკოლოზს, დამიწერია და ყაბულიცა მაქვს.

დაიწერა თიბათვის Ȣ, ქკ~ს უო. ეს ჩემი ჭელი(ა), ბეჭედი დავკარგე. ნი-კოლოზ.

89. 1782 წლ. აგვისტოს 1. თამასუქი, მიცემული ლელუას-შვილის გაბრიელას მიერ ასლანას-შვილის ავაქასადმი. დედანი. ზომა 33×11,6 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშანი ზოგან სულ არ არის, ზოგან კი ნახ-მარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 166 Sd.

ქ. ავიღე მე, ლელუას-შვილმა გაბრიელამა, შენ ასლანას-შვილი ავაქას-გან, ორი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხ დანგიანი სირმა აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი ʒ (1 თუმანი) ამთენს. რასაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს, წელი-წადში თუმნის თავს ექვსი კოდი პური სარგებელი გაძლიო. არის ამისი მო-წამე ივანის-შვილი ღვდელი, მურადას-შვილი ღთისია. და მე, აბელას-შვილს ფარსადანს, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი.

მარიამობის თვის დამდექს, ქკ~ს უო.

სხვა ხელით:

კიდევ მე, ლელუაშვილმა გაბრიელამ, ძმამა ჩემ(მ)ა გიუამ, ავიღეევით შენ, ასლანაშვილი ავაქასაგან, ერთი თუმანი ახალი ქალაქის ზარაფსანის სირმა

[1] ბეჭედი ქართული წარწერით.
[2] ბეჭედი გადასული ქართული წარწერით.

თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ჯ (5 მინალ თუნი) ამდენს. ამ ქვემო თარიხიდამ (sic) რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თუმნის თავს ექვსი კოდი პური წელიწადში სარგებელი მოგცე. არის ამისი მოწამე მეჩითე იარალა და მეჩითე ამირა. დაგვიწერია გაბრიელას სიტყვით და მოწამეცა ვართ ამისი. დაიწერა ეს წიგნი მარიამობის თვის თექვსმეტს, ქრონიკოს უო. +

ქ. ამა თამასუქის თეთრი რომ სამს თუმანს იქს, აქედამ ერთი თუმანი გაჩუქე. რაც სარგებელი იყო ამ თარიხამდინ (sic) სულ გაჩუქე და ორი თუმანი მომეცი. ამ ორ თუმანს დაგჯერდი სამ თუმნის თავნში და რაც სარგებელი იყო, იმაში. შენი თამასუქი შენ მოგეც. მე შენთან სალაპარაკო აღარ მაქს . . . . ჯანუაშვილი დავითის მოწმობით. და მე, ხითარაშვილის ზურაბას დამიწერია, მოწმეც ვარ ამისი.

დაიწერა მაისის ი, ქკ˜ს უოდ. +

90. 1783 წლ. მარტის 1. თამასუქი, მიცემული ტერ-შმოვონანთ აღას მიერ ნაზარბეგის-შვილი გიორგისადმი. დედანი. ზომა 22×16,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 704 Qd.

ქ. ავიღე მე, ტერ-შმოვონანთ ოჰანას შვილმა აღამ, შენ, ნაზარბეგის-შვილი ბატონი გიორგისაგან, ასი თუმანი ერევნის საღი თეთრი, ათი დანა ალთმიშლული ერთ თუმნათ, რომ იქს ნახევარი ნ (50 თუმ.) ამდენი. ღთ˜ით, ამ ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს თვრამეტი ფული სარგებელი მოგქცე (sic). როცა შენი ზემო მაბლაღი მოინდომო თავისი გავლილი სარგებლით ბეჰუზურათ მოგართო.

დაიწერა ერევანს მარტის ა გასულს, ქკ˜ს უოა. მე თითონ აღას დამიწერია და ყაბულიცა მაქვს.

ეს ჩემი ხელი და ბეჭედი არის [1].

ქ. ამ სანათის მოწამე ვარ მე, ჯულათ სტეფანა [1].

ქ. ამ სანათის მოწამე ვარ აღას სიტყვით მე, გურგინ-ბეგიანთ ზურაბის შვილი სტეფანა [1].

91. 1784 წლ. მარტის 1, თამასუქი, მიცემული ტერ-ასატურასშვილის არაქილას მიერ თუმანის-შვილი მანუჩარისადმი. პირი. ზომა 22×17 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 156 Sd.

ქ. ავიღე მე, ტერ-ასატურას შვილმა არაქილამა, შენ, თუმანის-შვილის მდივნისა მანუჩარისაგან, ოთხმოცი თუმანი ქალაქის რიჯი სირმა ოთხი დან-

[1] ბეჭედი ამოგლეჯილია.

გიანი აბაზი, იქნება ამის ნახევარი ͡ (40 თუმანი) ამდენი. წავიღო მე ეს თეთრი და როგორც ხეირათი ვნახო და ჭკვამ გამიჭრას, ჩემითვის ვამუშავო, რომ ამისი ხეირში და ზიანში შენ საქმე არ გქონდეს. ზიანი და სარგებელი ორივე ჩემი არის. და ამ ქვემო თარიღიდამ ამ შენმა ოთხმოცმა თუმანმა რა ერთი ხანსაცა ჩემთან დაჰყოს, წელაწადში ათი თერთმეტ-ნახევრათ გაურჯელათ მოგცე. თუ გაგსარჯო, სამდიგნო და საიასაულო მე გავიღო. და ეს ქალაქს სახლი მქონდა გირაოთ, რომე თვითონ მე ვდგავარ შიგა და ისევ ძე უნდა ვიდგე, და ამ სახლის გირაოს წიგნიც შენთვინ მამიცია და შენა გაქვს. როცა შენი თეთრი ითხოვო და მოგცე ზემოხსენებულის ანგარიშით, შენ ჩემი სახლის გირაოს წიგნი მამცე.

დაიწერა ესე სანათი ქალაქს მარტის ერთს დამდექს, ქკ^ს უობ. ეს სანათი მე, არაქილას, დამიწერია და ყაბული მაქვს. ეს ჩემი ხელია. +

ქ. ამ ზემო ნაწერის მოწამე ვარ მე, წურინანთ ხატიას შვილი მოსესამ, არაქილას სიტყვით. +

ქ. ამ სანათის მოწამე ვარ ბასილანთ ეფოანთ ოსეფას შვილი მიღდისი გრიქურამ არაქილას სიტყვით. +

ქ. ამ სანათის ასლი ვნახე და თანასწორე გამოვწერე მე, მანდენანთ ფირალას შვილი როსტევანამ. +

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ:

ქ. ამისი ასლი ვნახე, სავადზე ხელი მოვაწერე, მცირე . . . .[1] მე, გურგენ თელეთე.

ამისი ასლი ვნახე, სავადზე ხელი მოვაწერე. დავით ყორანოვი.

ქ. ამისი ასლი ვნახე და ეს სავადს ხელი მოვაწერე, აღალო ძე ზახარ ლაზაროვ.

ქ. ამისი ასლი ვნახე და ამ სავადზე ხელი მოვაწერე, სოლომან ტერშმოვანოვი.

92. 1784 წლ. მარტის 1. თამასუქი, მიცემული ტ ე რ - ა ს ა ტ უ რ ა ს შ ვ ი ლ ი ს ა რ ა ქ ი ლ ა ს მ ი ე რ თ უ მ ა ნ ი ს - შ ვ ი ლ ი მ დ ი ვ ა ნ ი მ ა ნ უ ჩ ა რ ი ს ა დ მ ი. ქ ი რ ის პ ი რ ი. ზომა 22×16,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნები არაა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 156 Sd.[2]

ქ. ავიღე მე, ტერ-ასატურას შვილმა არაქილამა, შენ, თუმანის-შვილისა მდივნისა მანუჩარისაგან, ოთხმოცი თუმანი ქალაქის რიჯი სირმა ოთხი და(ნ)გიანი აბაზი, იქნება ამისა ნახევარი ͡ (ორმოცი თუმანი) ამდენი. წავიღო მე ეს თეთრი და როგორც ხეირათი ვნახო და ჭკუამ გამიჭრას, ჩემთვის ვამუშაო, რომ ამის ხეირობაი და ზიან(ო)ბაი შენ საქმე არა (გ)ქონდეს, ზი(ა)ნი და სარგებელი, ორავე ჩემია. და ამ ქვემო თარიღიდამა, ამა შენმა ოთხმოცმა თუმანმა

[1] გაურკვევლად სწერია ერთი სიტყვა.
[2] დედანი ა-მეტია.

რა ერთს ხანსაც ჩემთან დაყოს, წელიწადში ათ(ი) თერთმეტ-ნახევრათ გაურ-ჯელათ მოგცე. თუ გაგსარჯო, სამდივნო და საი(ა)საულო მე გავიღო. და (ა)ქ ქალაქის საკლი მქონდა გირ(ა)ოთ, რომე თვითონ მე შიგა ვდგავარ და ისევ მე უნდა ვიდგე და საკლის[1] გირ(ა)ოს წიგნიც შენთვინ მამიცია და შენ გაქვს. როცა შენი თეთრი ითხოვო და მოგცე ზემოხსენებულისა ანგარიშით, შენ ჩემი საკლის გირ(ა)ოს წიგნი მომცე.

დაიწერა ესე სანათი ქალაქს, მარტის ერთს დამდეგსა, (ქ)კს უობ. ეს სანათი მე, არაქილას, დამიწერია და ყაბულიც მაქვს. ეს ჩემი ხელია. +

ქ. ამ ზემო ნაწერის მოწამე ვარ მე, წურინაანთ ხატიას შვილი მოსესამა, არაქილას სიტყვით. +

ქ. ამ სანათის მოწამე ვარ ბეჟოანთ ოსეფას შვილი მიღდისი გრიქურამ არაქილას სიტყვით. +

ქ. ამ სავადის ასლი ვნახე და ამ სავადის მოწამე ვარ მე, უზბაშის შვილი შაქრომ.

ქ. ამის ასლი ვნახე და ეს სავადს ვიმოწმე თარხანას შვილი მინასე.

ქ. ამის ასლი ვნახე, ეს სავათი თანათსწორე გადმოვწერე მე, ფირყულანთ ნაზარბეგას შვილი გიორგი, მარიამობის იე, ქკ^ს უპ.



[2]

93. 1784 წლ. მარტის 10. თამასუქი, მიცემული სამებისას დის მარიამას მიერ თუმანის-შვილი გიორგისადმი. დედანი. ზომა 20,2×9,9 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 168 Sd.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, სამებისას დამ მარიამამ, შენ, თუმანის-შვილს ბეჟანის შვილს გიორგის, ასე რომე შენგან თუმან-ნახევარი თეთრი ავიღე სარგებლით და ეს შენი თეთრი კარსუკანათ გიორგის შვილებს არუთენას და ბეჟანას მივეცი და ჩემის სახელით თამასუქი გამოვართვი. და შენ თეთრის თხოვნა დამიწყე. ავიღე ეს კარსუკანას-შვილების თამასუქი და შენ მოგეცი, რომ ამას იქით შენ იცი და იმათ. შენი თეთრი ამ კარსუკანას-შვილებისათვის მიმეცა და რათგან თხოვნა დამიწყე, იმათი თამასუქები შენთვის მომიცია, ღ^თის წინაშე, რომ ამათთვის მიმეცა, შენი თეთრი გინდოდეს გამოართვი, გინდოდეს ნუ გამოართმევ.

მარტის ი, ქკ^ს უობ. მარიამას სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ, ტერ დავით ტერ ოჰანას ძე. ტერდავით.

---

[1] დედანში: „შასვლის“.

[2] ქართულ-სომხური მურის ბეჭედი.

94. 1784 წლ. ივნისის 1. თამასუქი, მიცემული მ ი რ ი გ ო ზ ა ნ თ გ უ რ გ ე ნ ა ს მიერ გ ო-
გ ი ა ნ ა ზ ა რ ბ ე გ ა ს - შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 22×17 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14259 Hd.

ქ. ავიღე მე, მირიგოზანთ დანელას შვილმა გურგენამ, შენ, ნაზარბეგას-შვილი გოგიასაგანა, ცხრა თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხი-დანგიანი თეთრი, რომე იქს ამისი ნახევარი ⌣ ჭ (4 თუმ. და 5 მინალთ.) ამდენი. ამ თეთრის გირავნ არის ჩემი სახლები, რომე შიგა ვდგავარ: ერთი დარბაზი, ერთი სათორნე თავისი ეზოთ. ამ თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლივო. თუ ვერ მოგცე და გალაპაკო, შენი გირაო სახლები დაგიცალო და მოგაბარო.

დაიწერა ეს სანათი თიბათვის დამდექს, ქკს უობ. გურგენის სიტყვით დამიწერია და მოწამეც ვარ მე, ჰეჯუბანთ როსტომას შვილი გაფრიელა[1].

ქ. ზემოხსენებული გურგენას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ ავთანდილ მირიმანაშვილი ძე ოსეფასი. [2]

ქ. გურგენას იღრარით ამის მოწამე ვარ შაბუდალანთ ესტატეს შვილი-დავითი. [2]

მე, გურგენამ, ამ თამასუქის ყაბული ვარ, ეს ჩემი ხელია. +

ქ. გურგენას სიტყვით ამ სანათსა მოწამე ვარ ისაი ძე მკრტუმ(ი)ს. [2]

ქ. გურგენას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ მე, უზბაშის შვილი შაქარამ[1].

95. 1784 წლ. ივლისი. თამასუქი, მიცემული თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს მიერ ჩ ე-
რ უ ხ ა შ ვ ი ლ ი ა მ ი რ ა ნ ა ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 17×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 164 Sd.

ქ. ავიღე მე, ნიკოლაოზ თუმანიშვილმა, შენ, ჩერუხაშვილი ამირანასაგან, ოთხი თუმანი ზარაფხანის აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი ⌣ (? თუმანი). რაც ხანი ჩემს ჭელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო. თუ ამაში გაგალაპარაკო, სამდივნო და საი(ა)საულო მე გავიღო. არის ამისი მოწამე პირველად ღ~თი. მე, თუმანის-შვილს ნიკოლოზს, დამიწერია და ყაბულიცა მაქვს. ეს ჩემი ჭელი(ა).

დაიწერა მკათათვის, ქკ~ს უობ. ნიკოლოზ.

---

[1] ხელჩართული

[2] სომხური მურის ბეჭედი.

96. 1784 წლ. სექტემბრის 15. ბასტამანთ მიღდისი მელქუას-შვილი სტეფანას თამასუქით მოსაცემის ანგარიში (მანუჩარ თუმანიშვილისა). დედანი ზომა 16×10 სმ. დაწერილია მოცისფრო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3616 Hd.
შდრ. საბუთი № 3549 Hd., რომლიდანაც ჩანს, რომ მოცემული ანგარიში მანუჩარ თუმანიშვილისაა. ამას გარდა, აქვე შდრ. საბუთი № 3601 Hd

ქ. ბასტამანთ მიღდისი მელქუას-შვილი სტეფანა თანასუქით კ (28 თუმ.) ამდენს რომ არის მოსაცემს, ეს იმის ანგარიშია.

ლ ჰლნ (ოცდაჩვიდმეტი თუმანი, ცხრა მინალთუნი და ხუთმეტი შაური).	ქკ-ს უო, მაისის ა, თამასუქის თავნი არის კ (ოცდა რვა თუმანი). ქკ-ს ულბ, ენკენისთვის იე იქნება თვე კ. ამისი სარგებელი თუმანზე თვეში რკე (ორშაურ ნახევარი), იქნება სარგებლის ჯამი თ ჰლნ (9 თუმ., 9 მინალთუნი და ხუთმეტი შაური). თავნი და სარგებელი ორივ იქნება ერთათ.
ბ ხტ (ორი თუმანი, ექვსი მინალთუნი და ექვსი შაური)	ქ. უწინდელის ნუსხით მინდოდა გ ქკე (სამი თუმანი და თორმეტ შაურ ნახევარი); ბატონის-შვილის ანგარიშის მუფასის და სამწერლო მინდოდა ა (თუმანი); ამავ მუფასის დასაბეჭდი მინდოდა ა ც (თორმეტი მინალთუნი). იქნება სამის კალმის ჯამი ე ცქკე (ხუთი თუმანი, ორი მინალთუნი, სამი აბაზი და ნახევარი შაური); ამაზე სტეფანამ ლაპარაკი დაიწყო. ისაია თაყუას-შვილი მოსამართლეთ დავსვით; იმან ნახევარზე გასჭრა. ნახევარი იქნება.
ბ ხნ (ორმოცი თუმანი, ექვსი მინალთუნი და ერთი შაური)	ქ. ჯამი ბ კალმით ჩემის თალაბისა.
	რაც ამაში სტეფანას ჩემთვის მოუცია:
ე ც (ხუთი თუმანი და ორი მინალთუნი)	ქ. ა იზდის დარაია ფასი ა ც (თორმეტი მინალთუნი); გრეჯ ოჰანეზაზე ბარათი ჰ (ხუთი მინალთუნი); ერთის ბარათით ა (თუმანი); ხუთი ჩარექი ბურნიოთი ჰ (ხუთი მინალთუნი); ამბარადანს ქიტესას მისცა ბ (ორი თუმანი) ჯამი ხუთის კალმისა.
ლ (ოცდაათი თუმანი)	ქ. დანელა ტერტერას-შვილის ხელით მოუცია.
ა წ (თოთხმეტი მინალთუნი)	ქ. კიდევ დანელა ტერტერას-შვილისათვის მიეცა, რომ თავის ანგარიშ(შ)ი სწერია.
ა (თუმანი)	ქ. დანელას ბიჟი წაეყვანა, იმისის ხელით გამოეგზავნა.
ლ ზ ხ (ოცდაჩვიდმეტი თუმანი და ექვსი მინალთუნი)	ქ. იქნა ჯამი დ კალმათ მონაცემისა.

ქ. ამ მოცემულს ჩემის თალაბიდამ რომ გამოვიდე, უნდა თავნიდამ დარჩომილი გ ნ (სამი თუმანი დ ერთი შაური) ქკ-ს უობ, ენკენისთვის თხუთმეტიდამ სარგებელით მამცეს თამასუქი(ს) ძალით.

97. 1784 წლ. ნოემბრის 1. თამასუქი, მიცემული პოღოსას-შვილების არუთინასა და ყაზარას მიერ ტერტერას-შვილი თამაზასადმი. დედანი. ზომა 21,5×15,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 7197 Hd.

ქ. ავიღე(თ) ჩვენ, ბაყალი პოღოსას-შვილებმა არუთინამ და ყაზარამ, შენ, ლიპელი ტერტერას-შვილ თამაზასაგან, ოცდახუთი თუმანი ქალაქის ზარაფხანის რაიჭი თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ᲘᲑᲭ (12 თუმ. და 5 მინალ.) ამდენი. მოგეცით გირაოთ წმინდა ელუსალემის (sic) ჯვარის მამისაგან მოცემული სახლი ერთი დარბაზი თავის შესავალ-გასავლითა. რაც ხანს შენ ჩვენს სახლში იდგე, ჩვენ სახლის ქირა არა ვითხოვოთ, ნურც შენ თეთრის სარგებელი სთხოვო. როცა შენი თეორი მოგაბაროთ, ჩვენი სახლი ჩვენ დაგვანებო. თუ რომ სახლის ან კედლის აშენება უნდოდეს, ან ბინის გალესა, ან ზარურის მოთხრა უნდოდეს, ჩვენ ავაშენოთ. თუ ჩვენ ვერ გავაკეთოთ, ჩვენის მარიფათი(თ) შენ, თამაზამ, გააკეთო, ჩვენზე იანგარიშო, ჩვენ ყაბული ვართ. არის ამისი მოწამე სკანდარანთ გოგია +, და ყაზაზი სტეფანა +, და მე, ნორაშნის კრებული(ს) ტერ-საჰაკამ, დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა ესე სანათი გიორგობის დამდეგს, ქკს უობ.

ქ. მე, არუთინას, ამ სანათის ყაბული მაქ(ვ)ს. ბეჭედი არ მქონდა, ეს ჩემი ხელია. +

ზურგზე სხვა ხელით:

ქ. ამ თამასუქის ოცდახუთი თუმნის თანხა . . . ცამეტი თუმანი მამბარდა ანასაგან მე, ტერ-სტეფანას-შვილი თამაზას. მე, ევანგულათ გაბრიელმან თამაზას სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. [1]

ქ. ანას და თამაზას სიტყვით ამ ზემო ნაწერის მოწამე ვარ მე, ასლანბეგანთ ბაღდასარას შვილი ასლანამ. [2]

მონა ღვთისა
ასლან

98. 1784 წ. საჩივარი გლახა ჭილაევის ვალის თაობაზე, უცნობი პირისა. პირი(?) ზომა 17,2×11 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად აქაიქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ.-მუზ. № 5873 Hd.
თარიღი ირკვევა შინაარსის მიხედვით.

ჩღპბ წელსა კეთილშობილმა გლახა მილახვარ ჭილაევმა მეგობრობით თავისად დამჭირნაობაში ხელათ ჩემგან თეთრი ისესხა თექვსმეტი თუმანი, ორი მინალთუნი და ათი შაური, რომ ისევ ხელათ მცირეს ხანს უკან

[1] მურის ბეჭედი, რვაკუთხედის მოყვანილობისა, სახელი არ იკითხება.
[2] მურის ბეჭედი.

ულდა მოეცა. მეც მცირე ხნის გამოვლით, ასე რომ ექვს თვეს უკან და წელიწადს უკან, პირისპირ თავთავის დროს ბევრჯელ ვთხოვე და მოციქულიც მიუგზავნე. ბოდიშის მოთხოვნით მოცემას აღმითქომდა და უფროსი ერთა თავის მამულში იქნებოდა არაგვზე. იქაც ხან შეთვლით, ხან წიგნის მიწერით ჩემსას ვთხოვდი ხოლმე. იქიდამაც დაგვიანების ბოდიშის თხოვნით წიგნებსა მწერდა და შემოთვლითაც მითვლიდა, მაგრამ არ მამცა. წელსაც რამდენჯერ პირისპირ ვსთხოვე და რამდენჯერ წიგნის მიწერით. არა ჰქმნა ჩემზედ კეთილმნებელობა, რომ ჩემი თეთრი ამთენი ხნის დაყოვნების სარგებლით მოეცა. ამ თხოვნაში წავიდა რუსეთს. ვითხოვ, რომ იქ წერილის ბოძებით ებრძანოს, ან ჩემი მოსაცემი ეს ხსენებული თეთრი სარგებლით გამომიგზავნოს და თუ სამართალის მოსახსენები სიტყვა ჰქონდეს, აქ მოადგილე აჩინოს და პასუხი იმან მოგცეს ჩემის თეთრისა. იმისი მოწერილი წიგნისა, რომელიც დაუკარგავად შემრჩომია ამ საქმის, ასეთს იმისი პირიც ამასთან წარმომიდგენია.

99. 1782/84 წლ. ანგარიშის წიგნი ბასტამანთ სტეფანასი და მანუჩარ (მდივნისა). დედანი. ზომა 25,5×10 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3601 Hd.
შდრ. აქვე საბუთი № 3616. Hd.

ქ. ბასტამანთ მიღდისი მელქუას შვილი ბატონი სტეფანასი და მე, მანუჩარის, ანგარიში ამას ქვეით დაიწერება თუ თამასუქისა და თუ ხელათ მოსაცემისა:

ქკ᾽ს უო, მაისის ა თამასუქით მოსაცემს არის თავნს ⵣ (ოცდა რვა თუმანი) ამდენს. თვეში თუმანს ორშაურ-ნახევარ სარგებლით; ქკ᾽ს უობ, ენკენისთვის იე იქნება თვე კᲪ; ამისი სარგებელი იქნება ᲗᲰᲚᲜ (ცხრა თუმანი, ცხრა მინალთუნი და ხუთმეტი შაური) ამდენი; თავნი თავისის სარგებლით იქნება ᲚᲜᲰᲚᲜ (ოცდაჩვიდმეტი თუმანი, ცხრა მინალთუნი და ხუთმეტი შაური).

ქ. უწინდელის ნუსხით მინდოდა ᲒᲥᲔ (სამი თუმანი, სამი აბაზი და ნახევარი შაური) ამდენი. ბატონის-შვილის ანგარიშის მუფასის დასამწერლო მინდოდა Ⲁ (თუმანი) ამდენი. ამავ მუფასის დასაბეჭდი მინდოდა ᲐᲪ (თორმეტი მინალთუნი) ამდენი. იქნება ამ სამის კალმის ჯამი ᲔᲪᲔ (ხუთი თუმანი, ორი მინალთუნი და ნახევარი შაური) ამდენი. ამაზე სტეფანამ ლაპარაკი დაიწყო. ისაია თაყუაშვილი და დანელა ტერტერაშვილი მოსამართლეთ დავისხი და იმათ ამისი ნახევარი დამაკლეს. ნახევარი იქნება ᲒᲮᲢ (ოცდაექვსი მინალთუნი და ექვსი შაური).

ᲐᲮᲢᲜ (ორმოცი თუმანი, ექვსი მინალთუნი და შვიდი შაური) ქ. ჯამი ზემო ᲒᲚ კალმის ჩემის მოსაცემისა.

რაც ამაში სტეფანას ჩემთვის მოუცია:

ქ. ა იეზდის დარაია მამასახლისიანთ შერმაზანასაგან ვიყიდე და იმას შევა-
პირე ⁀ა ⁀ც (თორმეტი მინალთუნი). გრეჯო-ჰანეზაზე ბარათი მამცა ⁀ჭ (ხუ-
თი მინალთუნი), ერთის ბარათით მამცა ⁀ვ (თუმანი), ხუთი ჩარექი
ბურნუთო მამცა ⁀ჭ (ხუთი მინალთუნი), ამბარდან ქიტესას ჩემის ბა-
რათით მისცა ⁀ბ (ორი თუმანი). ჯამი ხუთის კალმისა ⁀ეც (ხუთი თუ-
მანი და ორი მანალთუნი).

⁀ოგ	(ოცდაათი თუმანი)	დანელა ტერტერაშვილის ხელით მამცა.
⁀ა ⁀წ	(თოთხმეტი მინალ-თუნი)	ქ. დანელა ტერტერაშვილისათვის მიეცა.
⁀ვ	(თუმანი)	დანელა ტერტერაშვილს ჩემი ბიჭი წაეყვანა, და-ნელას გამოერთმია.
⁀ლ ⁀ზ ⁀ხ	(ოცდა ჩვიდმეტი თუ-მანი და ექვსი მინალ-თუნი)	ქ. იქნა ჯამი დ კალმისა.
		ქ. მოსაცემს არის თავნიდამ დანარჩომს; ქკ˝ს უობ, ამ წლის ენკენისთვის იე სარგებელი უნდა მამცეს ⁀ბ (სამი თუმანი).
⁀ბ ⁀ხ	(ორმოცი თუმანი და ექვსი მინალთუნი)	ქ. ჯამი ბ კალმისა.

100. 1785 წლ. მარტის 1. თამასუქი, მიცემული ზაქარეს-შვილისა რუთენას მიერ მანუჩარ მდივნის ჯალაბისადმი. პირი. ზომა 17×11,2 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. ნგანკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 6860 Hd.

ქ. ავიღე მე, დაბალი ზაქარეს-შვილმა ერევნელი არუთენამ, თქვენ, ბა-ტონი მანუჩარ მდივნის ჯალაბისაგან, ორმოცი თუმანი ახალი ქალაქის ზა-რაფხანის ოთხი-დანგიანი თეთრი, რომ იქს ამის ნახევარი ამდენი ⁀ვ (20 თუმ.). ეს თეთრი წელიწადში, რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს, ათი თორმეტად მოგცე. მე, შარაშვილს გასპარას, დამიწერია არუთენას სიტყვით და მოწა-მეცა ვარ. დაიწერა მარტის ა დამდექს, ქკს უოგ.

ქ. მე, არუთინამ, ამ სანათის ყაბული ვარ[1].

ქ. ასლიდამ უმეტ-ნაკლებოდ გადმოვწერე ეს სავადი, ციხის დიდის ეკ-ლესი(ი)ს დეკანოზი ტერ-არაქელა |___|[2].

ქ. სავადი ასლთან თანასწორი ვნახე, აღა ფითუნოვი.

ქ. სავადი ასლთან თანასწორი ვნახე, თაყოაშვილი.

აღა ფითუნოვ

[3]

[1] მელნით დასმულია რგოლი.

[2] სომხური მურის ბეჭედი, ღერბისებური.

[3] ქართულ-სომხური მურის ბეჭედი, ღერბისებური.

101. 1785 წლ. ივლისის 1. თამასუქი, მიცემული მელიქის-შვილის თეიმურაზის მიერ მირიმანთ ოსეფას შვილის ოჰანეზასადმი. პირი. ზომა 34,3×22,3 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 146 Sd.

ქ. ავიღე მე, მელიქის-შვილმა თეიმურაზმა, შენ, მირიმანთ ოსეფას შვილი ოჰანეზასგან, თხუთმეტი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ახალი თეთრი, რომე იქს ამისი ნახევარი ზ ჭ (შვიდი თუმანი და ხუთი მინალთუნი) ამდენი. მოგეცი ამისი გირაო ჩვენი მკვიდრი ყმები ოჰანა თავისი ძმა ნაოათი და ამირხანა თავისის ძმებითა, ალავერდა და ლევანათი. ამ ქვემო თარიღიდამ მოუმავალი გიორგობის დამდეგამდინ ვადა; გიორგობის თვე რომ დადგეს, ორი თუმნისათვინ ოთხი ხარვარი კარგი წმინდა პური გამოვიგზავნო, შენს კარზედ მოგაბარო და ცამეტი თუმანიც ქალაქის ახალი თეთრი გაურჯელათ მოგაბარო. მანამდის შენს თეთრსა და პურს მოგაბარებდე[1] სრულათ, ამ გირაოს კაცებთან მე ხარჯში და გამოსაღებში ვერაში მიუდგე, ვერც ჩემს სათხოვარში, არც საჭელმწიფო სათხოვარში, თუ სარუსო და საქვეყნო, ყოვლის ნივთისაგან მაგათი სათხოვარის პასუხის გამცემი მე, თეიმურაზ, ვიყო. მანამდისინ შენს თეთრსა და პურს (მ)თლათ[2] შეგისრულებდე, მანამდისინ მაგ კაცებთან ჭელი არა მქონდეს რა.

არის ამისი მოწამე სარუხაანთ გევორქა |___|[3], და ივანგულაანთ[4] გაბრიელა |___|[5]. და მე, ტერ მიკირტიჩას შვილმა ხეჩატურას, თეიმურაზის სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა კათათვის დამდექს, ქკს უოგ.

მე, მელიქის-შვილს თეიმურაზს, ამ თამასუქის ყაბული მაქვს |ხეჩატურ|[6], ეს ჩემი ჭელია.

102. 1785 წლ. აგვისტოს 1. თამასუქი, მიცემული მანდენანთ ოსეფას მიერ მირიმანანთ ავთანდილისადმი. დედანი. ზომა 21×17 სმ, დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ
საქ. სახ. მუზ. № 764 Qd.

ქ. ავიღე მე, მანდენანთ როსტევანას შვილმა ოსეფამ, შენ, მირიმანანთ ოსეფას შვილი ავთანდილასგან, ოცდათვრამეტი თუმანი ქალაქის ზარაფხა-

---

[1] დედანში: „მოგაბარებდეს“.
[2] დედანში: „თალათ“.
[3] მელნით დასმული ბეჭედი, უწარწეროდ.
[4] დედანში „იავანგულაანთ“.
[5] მელნით დასმულია ოთხკუთხედი უწარწეროთ.
[6] მელნით დასმული ოთხკუთხედი წარწერით.

ნის ოთხი დანგიანი სირმა აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი ͡ით (19 თუმ.) ამდენი. ქვემო თარიღიდამ რვა თვე ვადა. ვადაზე შენი თეთრი გაურჯელათ მოგცე. თუ ვადას გასცილდეს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე. თუ გაგსარჯო, სამდივნო და საიასაულო მე ოსეფამ გავიღო. მე ოსეფას დამიწერია და ამღებიცა ვარ. დაიწერა მარიაიობისთვის დამდეგს, ქკ˝ს უოგ. ეს ჩემი ხელია და ბეჭედი |___|[1].

სხვა ხელით:

ქ. ოსეფას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ ტერ ყაზარანთ შაქაროას შვილი აღალა. |___|[2]

ქ. ოსეფას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ მე, იარბახანანთ ბეჟანას შვილი ოჰანამ. |___|[2]

103. 1785 წლ. აგვისტოს 1. თამასუქი, მიცემული მანდენანთ ოსეფას მიერ მირიმანანთ ავთანდილისადმი. დედანი. ზომა 20,5×17 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 765 Qd.

ქ. უნდა მოგცე მე, მანდენანთ როსტევანას შვილმა ოსეფამა, შენ, მირიმანანთ ოსეფას შვილი ბატონი ავთანდილას, რვა თუმანი ქალაქის თეთრი ოთხი დანგიანი სირმა აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი ͡ დ (4 თუმ.) ამდენი. ქვემო თარიღიდამ სამი თვე ვადა. ვადაზე შენი თეთრი გაურჯელათ მოგცე. თუ ვადას გასცილდეს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე. თუ გაქსარჯო, სამდივნო და საიასაულო მე გავიღო. მე ოსეფას დამიწერია და ამღებიცა ვარ. დაიწერა მარიამობისთვის დამდექს, ქკ˝ს ულგ. |___|[3].

სხვა ხელით: ქ. ოსეფას სიტყვით ამისი მოწამე ვარ ტერ ყაზარანთ შაქარას შვილი აღალოა|___|[4].

სხვა ხელით: ქ. ოსეფას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ მე, იარბახანანთ ბეჟანას-შვილი ოჰანამ. |___|[5]

---

[1] ბეჭედი გადასულ წარწერით.
[2] ბეჭედი სომხური წარწერით.
[3] ბეჭედი ქართულ-სომხური წარწერით.
[4] ბეჭედი სომხური წარწერით.
[5] ბეჭედი.

104. 1785 წ. დაგირავებული ნივთების სია. დედანი. ზომა 18,5×11,6 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკეთ. ნიშნად ნახმარი წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 5526 Hd.

ეს სია მოთავსებულია სერაპ ფალავანდოვის მიერ თავისი ბიძის დავით დავიდოვიჩისადმი მიწერილი და 1785 წლ. 9 მარტით დათარიღებული მოკითხვის წიგნის მეორე გვერდზე, რაც საფიქრებელს ხდის, რომ საბუთი ფალავანდიშვილებისაა. თვით სიაც 1785 წლითაა დათარიღებული.

ქ. ჩვენი გირ(ა)ოები სტეფანეს ფრანგს აქვ(sic): ერთი ორხოვა, ექვსი ადლი სიგრძე აქვ, ორი ადლი და სამი ჩარექი განი; ერთი დიდი ხალიჩა, დიაღ უცხო, იმისი ცალი შინ მაქ, უხმარებელი მიმიცია; და ერთი თეთრი შალი ოთხი ადლი; ერთი საწვიმარი, კაცის არის, უხმარებელი; ორი დარაი ბაფთის კაბა თეთრი; ერთი ყვითელი იაგუნდის ბეჭედი; ერთი ლურჯი იაგუნდის ბეჭედი; ერთი ფირუზის ბეჭედი; ერთი მინანქრის ჯვარი სამის მარგალიტით; თორმეტი ოქროს ღილი.

რვა თუმნის გირაო არის, რაც ამ ზემო ნაწერში სწერია.

ქ. ერთი ლანგარი ვერცხლის, ექვსის თუმნის, მებაღის ცოლს აქვს; სამის თუმნის გირ(ა)ოთ ერთი წითელი შალი; კიდემ ორის თუმნის გირაოთ ერთი მარჯნის კრიალოსანი; ორი შადა მარგალიტი, ექვსი ოქროს ღილი, ერთი თასი, ერთი ქათიბი უბეწო, ერთი თავსახურავი თეთრი შალი ხუთის თუმნის გირ(ა)ოთ აქ. ესენი ყველა ამ მებაღის ცოლს ნათელას აქვ დაბეჭდილები. მიმიცია ასი მარჯანი, არის ერთი მარგალიტის ღილი, ერთი ლალის ღილი, ერთი ალმასის ბეჭედი; ერთი სხვა ბეჭედი დიდი, გვილინას შვილს აქ, ორის თუმნის გირ(ა)ოთ, სარგებელი მიმიცია თვრამეტი აბაზი. პაპასთვინ ერთი რახტი ნათელას აქვ ორის თუმნის გირ(ა)ოთ.

105. 1786 წლ. მაისის 31. მოხსენების წიგნი იოანე ყანდინაშვილისა ბატონი მდივნისადმი ტუღუაშვილთან ანგარიშის გასწორების თაობაზე. დედანი. ზომა 20,8×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 446 Sd.

ქ. ჩემს მოწყალეს ბატონს მდივანს იოანე ყანდინაშვილი მდაბლად თავდაკვრით სამსახურსა მოვახსენებ. მერმე, წინაზედ ბარათი რომ გებოძათ ტუღუაშვილისა, ექვსის თუმნისა, იმისი პასუხი ხომ მოგწერეთ, რომ ჩვენზედ აღარა არის რა, ანგარიში გაგვიწმენდია მეთქი და მუფაზაც ხელთ გვიჭირავს. იმისი აღარა გვიბძ(ა)ნეთ, არ ვიცი, ის წიგნი მოგერთოთ თუ არა. ახლა ის თქვენი ექვსი თუმნის ბარათი ამ წიგნში ჩამიდვია და სულთნის კაცი ივანეს ხელით მიახლებია. შე(ნ)ნუ მამიკვდები და თუ ჩვენზე იყოს, უარს როგორ

მოგახსენებთ. მუფაზაც ამ ივანესათვის მიჩვენებია, ეს მოგახსენებსთ. თქვენს წიგნს ველოდი, თორემ ყაბზს აქამდინაც გაახლებდი. სამსახურს გვიბრძანებდეთ.

მაისის ლა, ქკ˜ს უოდ.

106. 1786 წლ. ივნისის 4. ფულის მიბარების ხელწერილი, მიცემული ვინმე ფირანის მიერ მურვანისადმი. დედანი. ზომა 10,5×7,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 11840 Hd.

ქ. მამებარა მე მურვანისგან მე, ფირანსა, ციცის-შვილის პაატა(ს) თამასუქისა თუმანი ორი, აბაზი რვა, რევაზ აბაზაძის და ნიკოლოზის მოწმობით.
ქკს უოდ(?) [1], თიბათვის დ გასულს. მე, ზურაბ, ამისი მოწამე +.

107. 1786 წლ. ოქტომბრის 1. თამასუქი, მიცემული გურამის-შვილის უზბაშრ გოგიას მიერ სულხან მდივნისა და მანუჩარ მდივნისადმი. პირი ზომა 21,8×18,3 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 152 Sd.

ქ. ავიღე მე, გურამის-შვილმა უზბაშმა გოგიამა, თქვენ, სულხან მდივნისა და მანუჩარ მდივნისგან, ხუთი თუმანი ახალი ზარაფხანის თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ბ ჭ (2 თუმანი და 5 მინალთუნი) ამდენი. რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თუმნის თავს თვეში ერთი აბაზი სარგებელი მოგცე. და ამ ხუთის თუმნის გირაოდ მოგეცი სტეფანე კალატოზი და მეზანდუკე არუთინა, რაც განწესება აძევსთ ამ ჩემს კაცთა წელიწადში, სარგებელიც ამათ გაძლიონ ჩემის განწესებიდამ. და თუ ამაზედ გაგსარჯო და ან გალაპარაკო, სადივანბეგო და საიასაულო მე, გურამის-შვილმა გოგიამა, გავიღო. არის ამისი მოწამე ლოარსაბ გარაყანიძე, ლევან გურამის-შვილი.

მე, სიონის კანდელაკს იოანეს, დამიწერია გურამის-შვილის გოგიას სიტყვით და მოწამეცა ვარ.

დაიწერა ესე სანათი ღვინობისთვის დამდექს, ქკ˜ს უოდ.

ქ. მე, თათულას და სტეფანეს ამისი ყაბული [2] გვაქვს და სარგებლის მიმცემიც ჩვენ ვიქნებით.

---

[1] დედანშია უიდ.

[2] დედანში: „გაბული“.

ქ. ამ სანათის მოწამე ვარ გურამის-შვილი უზბაში გოგიას სიტყვით მოლარეთხუცესი დავით [ ][1].

ქ. მე, სალაროს მუშრიბის პაპას ძე იოსებ, გურამის-შვილი გოგიას სიტყვით ამისი მოწამე ვარ. იოსებ.

ქ. მე, გოგიას უზბაშის, ამისი ყაბული მაქვს.

108. 1786 წლ. დეკემბრის 5. ბრძანება ვახტანგ ბატონის-შვილისა ვანქის ტერ-პეტროზასადმი თავდებობით ვალის გადახდის თაობაზე. დედანი. ზომა 16,5×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3693 Hd.

ქ. ბატონის-შვილი ვახტანგ გიბრძანებ ვანქის ტერ-პეტროზავ, მერმე ამ დანელას რომ ექვსი თუმანი უნდა მისცე, პენტელაშვილის თავდები რომ ხარ, ან ახლავ ამისი თეთრი მიეც და ან ორი კაცი დაისხით მოქალაქე. რაც იმ ორმა კაცმა თქვან, შენც დაზჯერდი და დანელამაც. იასაულო სტეფანე, ეს ასე აღასრულე. ქრისტიშობის ე, ქკ^ს უოდ. ეს ექვსი თუმანი გამოურთვი და დანელას მიაბარე. ბეჯითად უნდა მოიქცე ამაზედ.[2]

ლომად იუდას ბა
კეთად ვახტანგ
ირაკლის ნაკვეთად

109. 1787 წლ. იანვრის 1. თამასუქი, მიცემული ზედგინიძე დათოას მიერ თუმანის-შვილი მდივანი მანუჩარისადმი. დედანი. ზომა 17,5×14,9 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 167 Sd.

ქ. ავიღე მე, მინანას შვილმა ზედგინიძე დათოამ, თქვენ, თუმანის-შვილი მდივანი მანუჩარისაგან, ექვსი თუმანი ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი სირმა აბაზი, რომ იქს ამის ხახევარი სამი თუმანი ‿ (3 თუმანი) ამდენი. მოგეცი ამისი გირაოთა დედიჩემისეული მარგალიტის (ს)აყბეური. ამ ქვემო თარიღიდამ რაცხანს ჩემს ჭელთ დაწყოს (sic), თვეში თუმახზე ორი შაური სარგებელი მოგცე. რას წამს შენი თავნი და სარგებელი მოგცე, ჩემი მარგალიტის (ს)აყბეური მე მამცე.

4775 + 1312 = 1787. I.I

დაიწერა იანვრის ა დამდეგს, ქკ^ს უოე.
სხვადასხვა ხელით:
ქ. მე, დათუას, ამის ყაბული მაქს, ეს ჩემი ხელია. +

---

[1] მელნით დასმული ოთხკუთხედი უწარწეროდ.
[2] ბეჭედი წარწერით.

ქ. დათოას სიტყვით ამ სანათის დამწერი და მოწამე ვარ მე, ბეჟოანთ ავეტიქას ძე ბეჟანა. [1] [მნა ღთი სა ბეჟან]

ქ. დათოას სიტყვით მოწამე ვარ მე, მიღდსი რევაზამ. [1] [მიღდისი რევაზ]

ქ. მე, პაპა მეწვრილმანეს, ამ სანათის მოწამე ვარ. [1] [პაპა]

ქ. ეს თეთრი მე და მაღდისას რევაზას ხელით არის მიცემული. თუ ეს თეთრი ამან არ მოგცეს, ჩ(ვ)ენ, ორთავ[2] ამხ(ა)ნ(ა)კმა, პასუხის გამცემი ვიყოთ, მე, ავეტიქას შ(ვი)ლ(მა) ბეჟანმა და მიღდისი რევაზამ, თავისი სარგებლითა, და გირაოც ჩვენ მოგვცე. მე, ბეჟანს, დამიწერია და ყაბული მაქვს, ეს ჩემი ხელია. ბეჟან.

ქ. მე, მ(ი)ღდისი რევაზამ, ამისი ყაბული მაქს. [1] [მიღდისი რევაზ]

ქ. მუხრანის ბატონს იოვანესთან უჩივლე ამ ზედგინიძეს. ისაია ოქრომჭედელი მოაყვანინა, ეს გირაო (ს)აყბეური და(ა)ფასებინა. იმან ხუთ თუმნათ და(ა)ფასა. (ს)აყბეური მუხრანის ბატონს მივე და ხუთი თუმანი მე, მანუჩას(sic), მამბარდა, და გოგია ნაზირის ხელით რომ ბარათიც მივე სარგებელში და თავნში მობარებისა, მარტის ი, ქკ^ს უპბ. 1.III. 482 + 1312 = 1794

ქ. ამაში ბეჟანა რომ თავდებათ ეწერა, ამ თამასუქის ნახევარი რაც იყო, ბეჟანას შვილს ავეტიქას გამოვართვი იმის წილათ, საქმე აღარ მაქვს რა.

110. 1787 წლ. მარტის 26. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ივანე ტლაშაძის მიერ იოსებ გლურჯიძისადმი. დედანი. ზომა 23×8 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3797 Hd.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, ტლაშაძე ივანემ მღვდელმა და შვილმა ჩემ(მ)ა გლახამ თქვენ, იოსებ გლურჯიძეს, ასე რომ თქვენ ჩვენი ექვსი მინალთუნი გემართათ. თავნი და სარგებელი მთლად მოგვბარდა და თამასუქი გორის ციხეში არის. ვერ გამოვიტანე. გამოვიტან და მოგართმევ. არის ამისი მოწამე გიორგი გლურჯიძე, შავთევდორაშვილი გოგია, კიდევ ოანეზა. მე ივანეს გლურჯიძეს დამიწერია გლახა ტლაშაძის სიტყვით და მოწამეცა ვარ ამისი. მარტის კვ, ქკ^ს უოე.

---

[1] ბეჭედი წარწერით.
[2] დედანში: „ორთავს"

111. 1787 წლ. აპრილის 1. თამასუქი, მიცემული ქიტესა ამბარდარის მიერ მდივანი სულხან თუმანოვისადმი. პირი. ზომა 17×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 10356 Hd.

ქ. ავიღე მე, ამბარდარმა ქიტესამ, თქვენ, თუმანოვ მდივანი სულხანისაგან, ბიძის თქვენის ტფილელი ქრისტეფორეს თეთრი ოთხმოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხ-დანგიანი სირმა აბაზი, რომ ზემო მაბლაღის ნახევარი იქნება ორმოცი თუმანი. ქვემოთის თარიღიდამ ქკს უოვ ამ წლის იანვრის გასვლამდის ვადა. ვადაზედ თქვენი ოთხმოცი თუმანი ულაპარაკოთ მოგაბარო. თუ ვადას გადასცილდეს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო. მე თითონ, ქიტესას, დამიწერია. აპრილის ა, ქკს უოე. |___|[1].

სხვა ხელით: ქ. ასლთან თანასწორიჲ ეს სავადი, სტეფან გურგინბეგოვი. სტეფან[2].

ქ. ასლისგან უმეტნაკლებოდ გადმოვიწერე, ციხის დიდის ეკლესიის დეკანოზი ტერ-არაქელ |___|[3].

112. 1787 წლ. აპრილის 22. თამასუქების ნუსხა, გაგზავნილი (მანუჩარ თუმანიშვილის მიერ) გორში დავით თუთუნაშვილისადმი. დედანი. ზომა 16,3×11,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 7863 Hd.
საბუთი დაწერილია მანუჩარ მდივნის ხელით.

ქ. ლელუას-შვილს გაბრიელს თავის სიმამრის, ხიდისთავს მდგომის ქათალიკოზის ყმის, დვალის-შვილის პაპასი, მართებს თამასუქით ͡ე (5 თუმანი) ამდენი. ამას მიეც ͡გ (3 თუმ.) ამდენი, და თამასუქი დაიხსენ, რომ მამული სჭერია და მომატებითაც უხმარია.

ქ. ალელის-შვილის მანუჩარისა და ხითარაშვილი პეტრესი ახლა თამასუქით მართებს ლელუას-შვილს გაბრიელს ͡თ (9 თუმ.) ამდენი. მაგრამ, თავნი ყოფილა ͡ე (5 თუმ.) ამდენი. სხვა სარგებელია ზედ შესმული. თუ თავნს დაგჯერდენ, მიეც ͡ე (5 თუმ.) ამდენი, რომ მამულიც სჭერიათ და უჭამიათ.

ქ. გორელის ტერ-აკოფასი გაბრიელ ლელუას-შვილს მართებს თამასუქით ͡დ (4 თუმ.) ამდენი. მაგრამ, თავნი ყოფილა ͡გ (3 თუმ.) ამდენი. სხვა სარგებელია ზედ შესმული. თუ თავნს დაგჯერდეს, მიეცი ͡გ (3 თუმ.) ამდენი, ხომ მამულიც სჭერია და უჭამია.

ქ. კარელის ოქრუასი მართებს გაბრიელ ლელუას-შვილს თამასუქით ͡ა (1 თუმ.) ამდენი. სარგებელი მომატებით მუდამ აუღია, მიეც ѣ (ნ მინალთუნი) ამდენ(ი), და თამასუქი დაიხსენ.

---

[1] ბეჭედი.
[2] ხელრთვა.
[3] სომხური მურის ბეჭედი.

ქ. ბატონო დავით თუთუნაშვილო, შენის მოწერილის წიგნების პასუხი სულ მამიწერია და იქიდამა სცნობ ლელუას-შვილის ვალებისა. ამას წინათაც ამ რიგათ მამიწერ(ი)ა და ეს პირი აქ შემინახავს. როგორც ამ ჩემ(მ)ა გამოგზავნილმა გამოგიცხადოს, ისე უნდა იმოქმედო. ამ ჩემს მოწერილობაზე მეტს ნურას იმოქმედებ, რომ ჩემის მსახურის ალექსისათვისაც დამიბარებია, ისიც გნახავს და ჩემს დაბარებულობას გიანბობს. ბევრი შემოკითხვა აღარ გეჭირება, ბევრის შემოკითხვით სხვას არას მოგწერ. ამ სიაში მოხსენებული მოვალე(ე)ბისა როგორც ამამიწერია და ამაში გიცხადებს, თუ ასე დასჯერდენ, მიეც და თამასუქები დაიხსენ. რაც ამაში არ მამიწერია, მეტის მიცემისა მე ყაბული არა მაქვს. ამას გარდა მოვალე(ე)ბისათვის მე მიმიცია და თუ არის ვინმე დარჩომილი, იმათიც მე ვიცი, შენ საქმე არა გაქვს. იმან რომ ახალ-ახალი ვალები იღოს, მე იმისი მიცემა მომწყინდება. ამათ გარდა შენ სხვა მოვალე(ე)ბის საქმეში ნუ გაერევი. თეთრებისა გეკითხა, რომლის თეთრისა მივცეო. საიდამაც მისცემ, ჩემი თეთრი იქნება, რა თაფაუთი ექნება? ჯერ რაც შენთან თეთრია, ეგ მიეც ამ მოვალე(ე)ბს. თუ დაგაკლდეს, მას უკან, ბურნუთოს იჯარადრის თამასუქი რომ გაქვს, იქიდამ მიეც. თუ გინდა, სურსათის პურის თეთრიდამ მიეც. კიდევაც მამიწერია და ახლაცა გწერ, რომ გაბრიელ ლელუას-შვილის ხელში თეთრი არ ჩა(ა)გდო, რომ ყაბული არა მაქვს. თუ აქ ხსენებული თამასუქები ვერ დაიხსნა, შენთან ორ-სამ რიგობა თეთრი არის, თუ აქედამ გამოგზავნილი და თუნდ მანდ აღებული; თამასუქების თეთრიც სარგებლით აიღე და გამოგზავნე. ამაზე გაირჯები, მაგრამ მეც შენს საქმეზე გარჯით გარდ(ა)ვიხდი და ან სამსახურით მოგიმადლებ.

აპრილის კბ, ქკს უოე. ამისი პირი გორს თუთუნაშვილს გაუგზავნე და ეს აქ შევინახე

113. 1787 წლ. მაისის 1. თამასუქი, მიცემული პ ე ნ ტ ე ლ ა ნ თ მ ე ლ ქ ო ა ს ა და გ ა ბ რ ი ე ლ ი ს მიერ ვანქის ტ ე რ - პ ე ტ რ უ ს ა ს ა დ მ ი. პირი. ზომა 34×22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3849 Hd.

ქ. ავიღეთ ჩვენ, პენტილანთ გიორგის შვილებმა მელქოამა და გაბრიელმა, შენ, ვანქის ტერ-პეტრუსასაგან, ექვსი თუმანი ქალაქის ზარაფხანის რიჯი თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ‿ (3 თუმ.). მოგეცით თეთრის გირაოთ ჩვენი სახლკარი გარეთ უბნისა, რომ დღეს გარეთი ოთახები ორი მეექვსმლე თევდორესთან სამის თუმნის გირაოთ არის. ამაზედ მეტად აღარ დავაგირაოთ. ამ თეთრის ექვსი თუმნის თარიღიდამ ერთი წელიწადი ვადა. თუ შენი თეთრი ერთ წელიწა(და)მდინ მოგცეთ, ჩემი სახლები ჩვენ დაგვიბრუნდება; თუ ერთ წელიწადს ვერ მოგცეთ, თუმანი ორშაურად სარგებლისა და თავნისა ჩვენმა სახლებმა პასუხი მოგცეთ. მე თითონ, მიქელას, დამიწერია ჩემის და ჩემის ძმის გაბრიელის ყაბულით. დაიწერა ესე სანათი მაისის ა, ქკ-ს უოე.

ქ. მე, გაბრიელას, ყაბული მაქვს, ეს ჩემი ხელია.

ქ. მე, ნაზარბეგიშვილი ოსეფა, მიქელას და გაბრიელის ყაბულობით მოწამე ვარ.

ქ. პენტელაშვილი გაბრიელას და მიქელას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ მე, მელიქ ყოფილი საჰაკას შვილი შაქაროამა.

ქ. ასლთან თანასწორი და უმეტ-ნაკლებულო ესე სავადი გადმოვწერე, სურბნიშნის ეკლესიის კრებული ტერასატურ.

114. 1787 წლ. ნოემბრის 20, თამასუქი, მიცემული თუმანის-შვილი ნიკოლოზის მიერ თუთუნაშვილი დავითისადმი. დედანი. ზომა 22,3×13,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახძარია წერტილი ყოველ სიტყვის შემდეგ,
საქ. სახ. მუზ. № 154 Sd.

ქ. ავიღე მე, თუმანის-შვილმა ნიკოლოზმა, შენ, თუთუნაშვილის დავითისაგან, ექვსი თუმანი ქალაქის ზარაფხანის აბაზი, რომ იქს ამისი ხახევარი ბ (სამი თუმანი) ამდენს. რაც ხანს ჩემს ჭელთ დაყოს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე. თუ ამაზედ გაგალაპარაკო, სამდივნო და საი(ა)საულო მე, ნიკოლოზმა, გავიღო. ამის გირაოთ მამიცია ჩემი ნასყიდი, გარეჯვაროს ლელუაშვილისაგან მოყიდული ნავენაკობი, ტერმოსესანთ რომ ვენაკი გამოვართვი რუბლს, ის ვენაკი, და სიგელიც შენთვის გირაოთ მამიცია. მანამდინ შენსას მოგცემდე, ეს(ე)ნი გირაოთ მამიცია. ისევ მევე უნდა ვეკამო და შენ სარგებელი გაძლიო. არის ამისი მოწამე როსტომ მამასახლისის შვილი გაბრიელა, ყუზანაშვილი აბელა. მე, ნიკოლოზს, დამიწერია და ყაბულიცა მაქვს ამისი.

დაიწერა გიორგობას (sic) კ, ქკ^ს უოე. ნიკოლოზ.

ქ. ამ ზემო ნაწერის თამასუქის მოწმე ვარ, ნიკოლ(ო)ზის სიტყვითა, მე როსტომ მამასახლისის შვილი გაბრიელა, ეს ჩემი ხელია.

115. 1787 წლ. ნოემბრის 22. ვალების ნუსხა ეგნატე თუმანიშვილისა. დედანი. ზომა 42,5×17 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3552 Hd.

ქკ^ს უოე ამ წლის გიორგობის კბ გასულს რაც ამ თარიღში მე, ეგნატიმდივანს, ვალი მემართა, ამას ქვეით სწერია. თუ რამ ჩემის მეუღლის დამიხარჯავს, რომ ჩემი ვალი არის, ყველა ამას ქვეით სწერია:

ა ჯქნ	(ჩვიდმეტი მინალთუნი, სამი აბაზი და ერთი შაური)	ქ. მირიმანანთ ავთანდილს უნდა მივცე.
ა ჭს	(ხუთმეტი მინალთუნი და ერთი აბაზი)	ქ. ქოჭნანთ ბაღდასარასი უნდა მივცე.
ნ	(ორი თუმანი)	ქ. სარუხანანთ გეურქას უნდა მივცე.
გ წ	(სამი თუმანი და ოთხი მინალთუნი)	ქ. თავლიდარს ოჭანეზას უნდა მივცე.
ჭფ	(ხუთმინალთუნ ნახევარი)	ქ. ყაჯარდუზს ოსაფას უნდა მივცე.
ჩქ	(რვა აბაზი)	ქ. ჭონი მარტიროზას უნდა მივცე.
ნ ძქ კე	(ოცდასამი მინალთუნი და თორმეტშაურ ნახევარი)	იარაბახანანთ ბეჟანას შვილს უნდა მივცე.
წ	(ოთხი მინალთუნი)	ქ. ბაჭყალს სანველას უნდა მივცე.
ნ წ	(ორი თუმანი და ოთხი მინალთუნი)	ქ. ავეტიქანთ ოსეფას უნდა მივცე.
ა ჭ	(ხუთმეტი მინალთუნი)	ქ. კალატოზს ოჭანეზას უნდა მივცე.
ჯ	(შვიდი მინალთუნი)	ქ. გორელს იობანთ მოახლეს უნდა მივცე.
ით უკ	(ცხრამეტი თუმანი, ორი აბაზი და ერთი ბისტი)	ქ. ბიძის ჩემის ოსეფასი და-ჩემის რძლის ხელით აღებული უნდა მივცე, ზოგი სარგებლითა და ზოგი უსარგებლოთ.
ნ ც	(ოცდაორი მინალთუნი)	ქ. ოქრომჭედლის შაქარას შვილს უნდა მივცე.
ა ჩ	(თერთმეტი მინალთუნი)	ქ. ანაშელანთ ოსეფას უნდა მივსცე.
ჩს	(ორი მარჩილი)	ქ. ხარაზი გიორგის უნდა მივცე.
ნ	(ორი თუმანი)	ქ. კალატოზს ხეჩუას უნდა მივცე.
ჯ	(რვა მინალთუნი)	ქ. ფითუანთ აღას უნდა მივცე.
ა ც	(თორმეტი მინალთუნი)	ქ. პასტამანთ სტეფანას უნდა მივცე.
ხ	(ექვსი მინალთუნი)	ქ. ლილოზე მსახლობელს ოსს პურის ფასი უნდა მივცე.
დ	(ოთხი თუმანი)	ქ. კვეზერელის დავითის ჯალაბს უნდა მივცე.

მშ ჯრნმე	(ორმოცდა შვიდი თუმანი, რვა მინალთუნი, სამი შაური და ცხრა ფული)	იქნა ჯამი ცხრამეტ კალმისა.
ლ	(ოცდა ათი თუმანი)	ქ. ჩემი მეუღლისა თეთრი მქონდა სარგებლით აღებული კე (ოცდა ხუთი თუმანი). წელიწადს გაევლო ია. ამის სარგებელი საქართველოს განწესებით იანგარიშეს ერთი-ორად, იქნა ნ (ორმოცდა ათი თუმანი). ჯამისი კ თუმანი (ოცი თუმანი) სახლში მიცემული მაქვს, გირაოთ მიჭირამს. იქნება ვალი რომ უნდა მივცე.

ᲬᲬᲣ (სამი თუმანი, ოთხი მინალთ. და ორი აბაზი) ქ. მზითვის დარაი ბავთის კაბა გავყიდე და მე დავხაჯრე. იქნება სარგებლიო ერთი ორად. ამისი სარგებ(ელი) არ ჩა(ა)გდეს სწორეთ.

Ჯ (რვა მინალთუნი) ქ. მზითვის დიბის სარტყელი დავწვით. ნამწვი ვერცხლი და კიდევ ვერცხლის ნატეხები. ამისი სარგებელი არ ჩა(ა)გდეს.

Წ (ორი თუმანი) ქ. მზითვის ბადილის დიბის ქათიბი თავისის ბეწვით გავყიდე და მე დავხარჯე. ამის სარგებელი არ ჩაუგდიათ.

Წ (ორი თუმანი) ქ. ამავ ქათიბის გილანის ღილი გავყიდე და დავხარჯე.

ᲬᲤ (ოთხ მინალთუნ ნახევარი) ქ. ჩაფკნის ალმას თრაში სირმა ვერცხლის ღილი გავყიდე და დავხარჯე, ამისი სარგებელი არ ჩაუგდიათ.

Ჭ (ხუთი მინალთუნი) ქ. მარმაშის ლეჩაქი გავყიდე და მე დავხარჯე. ამისი სარგებელი არ ჩაუგდიათ.

ᲐᲪᲤ (თორმეტი მინალთუნი და ათიშაური) ქ. ვერცხლის სირმა ძაბრი გავყიდე და მე დავხარჯე. სარგებელი არ ჩაუგდია.

ᲭᲤ (ხუთ მინალთუნ ნახევარი) ქ. მზითვის მარგალიტის ღილი გავყიდე. ᲭᲤ (ხუთი მინალთ. ნახევარი) მე დავხარჯე. არც ამისის სარგებელი ჩაუგდიათ.

Წ (ოთხი მინალთუნი) ქ. ზანანა გილანის ჩაფრასტი გავყიდე, მე დავხარჯე. არც ამისი სარგებელი ჩაუგდიათ.

Ე (ხუთი თუმანი) ქ. პირის სანახავი ოქროები დავხარჯე ᲬᲭ (ორ თუმან ნახევარი) ამისი სარგებელი იქნება ᲬᲭ (ორ თუმან ნახევარი). იქნება.

Ზ (ექვსი თუმანი) ქ. სპარსული სახარება ნზითვისა მე გავყიდე და დავხარჯე, რომ ამისი სარგებელი არ დაუწერიათ. ამისი სარგებელი არ ჩაუგდიათ.

Ა (თუმანი) ქ. თითბრის ქანარა ყალიონი მზითვისა გავყიდე. Ა (თუმანი) სარგებ(ელი).

Ა (თუმანი) ქ. მზითვის ვერცხლის თასი გირაოთ აქვს ტეტა დედას (ტოტა დეიდას?), რომ მე უნდა მივცე ეს ვალები სულ.

ქ. იქნა ამ ზემო ჩემი მეუღლის ვალი რომ მე უნდა მივცე ᲜᲓ ᲫᲨ (ორმოცდა თოთხმეტი თუმანი და ოთხი მინალთუნი უზალთუნ ნაკლებ).

ქ. ბიძის ჩემის პაპუას მეუღლისა ხუთი თუმანი ᲬᲒ (ოთხმოცდა სამი თუმანი) ჩა(ა)გდეს და ჩემი ვალის სარგებელი სწორედ არ ჩა(ა)გდეს.

ᲠᲑ ᲪᲜᲛᲔ (ას ორი თუმანი, ორი მინალთუნი და ორი შაური ერთ ფულ ნაკლებ) ქ. იქნა ორისაევეს იქითის პირის ჯამების ჯამი.

ქ. მე, პაპუა თუმანის შვილი, ამ ჩემის ძმისწულის ეგნატის ვალი რაც საკითხავი იყო, გამოვიკითხე და რაც სალაპარაკო იყო, ველაპარაკე. მე ამ ვალის ყაბული მაქუს. სარწმუნო შევიქენ, რომ ᲭᲬ ვალი არის. მამის ჩემის სიტყვით მე იოსებს დამიწერია და ესეც მამის ჩემის ბეჭედი არის. | მონა ღთისა პაპუა |

[1] მურის ბეჭედი.

116. 1787 წლ. ახლ. ანგარიში (მ ა ნ უ ჩ ა რ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა) და ახალციხელი ღ უ- გ ა ზ ა ს ი. დედანი. ზომა 42,3×10,8 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი. საბუთს თარიღი არა აქვს, შინაარსის მიხედვით იგი დაწერილი უნდა იყოს 1787 წლ. ახლოს.
საქ. სახ. მუზ. № 3137 Hd.
შდრ. საბუთი № 3660 Hd.

ქ. ჩემი და ახალციხელი ღუგაზას ანგარიში, მთავარ ეფისკაპოზის ბე- სარიონის თამასუქით მისაცემის ანგარიში, ამას ქვეით დაიწერება, რასაც მო- საცემს არის და ან მოუცია.

როეც ქ. ა თამასუქით თავნი არის რკ (120 თუმ.) ამდენი. თამასუქის რი- ცხვი არის ქკ^ს უო, იანვრის პირველი. ქკ^ს უოგ ამ წლის ღვინობისთვის გასულს იქნება თვე მვ. ამისი სარგებელი იქნება ნეც (55 თუმ. 2 მინალთ.) ამდენი. თავნი თავისის სარგებლით იქნება როეც (175 თუმ. 2 მინალთ.).

რაც ამ ზემო მოსაცემში მოუცია:

ი	(10 თუმანი)	ქ. თვითონ მთავარეფისკაპოზის საიმტვერიოთ ზურაბა- მესანთლისათვის მივაცემინე.
ი	(10 თუმანი)	ქ. ბატონისშვილის ვახტანგის ბარათით საწირავებისათ(ვ)ის კიდევ ზურაბას მიეცა.
იგ	(13 თუმანი)	ქ. ბერძნის ეფისკაპოზი ეგნატიოს(ს) მიეცა.
ბ	(2 თუმანი)	ქ. ბატონისშვილმა ვახტანგიმ ბარათით მ(ი)ირთვა.
ა ჰკ	(19 მინალთ. და 3 აბაზი)	ქ. გორს ხარების საყდრის კრებულის საწირავათ.
ე	(5 თუმანი)	ქ. გერმანე თბილელის ბარათით საწირავებათ.
ბ	(2 თუმანი)	ქ. ბატონისშვილის ვახტანგის ბარათით საჩადრე.
ჯ	(7 მინალთუნი)	ქ. ბატონის რძლის ბარათით თეთრი.
ბ ჭ	(2 თუმან-ნახევარი)	ქ. ფრა ანტონის მიეცა ბარათით.
კა	(21 თუმანი)	ქ. ბარათით ყორღანაშვილს ოსეფას მიეცა.
კ	(20 თუმანი)	ქ. ორ დაფათ მე მამცა.
ი	(10 თუმანი)	ქ. ორ დაფათ მე კიდევ რუსის თეთრი მამცა.
ა ჯუ	(18 მინ. და 2 აბაზი)	ქ. სალთხუცის ქაიხოსროსთვის მივაცემინე ა ც (12 მინალთ.), მე გამოვართვი ხელათ ხუ (6 მინალთ. 2 აბაზი) შეიქნა.
რ	(100 თუმ.)	ქ. იქნა იგ კალმის ჯამი რ (100 თუმ.) ამდენი.

ოეც ქ. ამ ცამეტ^კალმათ მოცემულს რ (100 თუმ.) ამდენს თუმანს ზემოთ როეც (175 თუმ. 2 მინალთ.) ამდენს მისაცემში გამოველ, დარჩა ღუგაზა- ზე თამასუქის თავნიდამ ქკ^ს უოგ, ამ წლის გიორგობის პირველიდამ სარ გებლით ოეც სამოცდა თხუთმეტი თუმანი და ორი მინალთუნი, ამდენი.

ქ. ქკ᾽ს უოე, ამ წლიდამ მოკიდებული რასაც ღუგაზადამ წამოვიღებ, ამას ქვეით თვითეულად დაიწერება:

ჩ (მინალთ.) ქ. ასე მითხრა: „უწინდელს მოსაცემსა ხარ“, აქ დამაწერინა.

ნ̄ ც (12 მინალთ.) ქ. ერთი საჩადრე გამოვართვი საშინაოთ.

ბ̄ წ (24 მინალთ.) ქ. ბ̣ თოფი დაბალი ყალამქარი მამცა.

ბ̄ (2 თუმანი) ქ. ა ჯერათ თეთრი მამცა.

ბ̄ (3 თუმანი) ქ. ბ ჯერათ თეთრი მამცა.

ზ̄ ჭ (7 თუმან-ნახევარი) ქ. ა თოფი სალეჩაქე ბ̄ ჭ (ორთუმან ნახევარი) ასე, თოფჩაფის ხელსახოცი ბ̄ (ორი თუმანი) ასე, ა თოფი ყალამქარი ბ̄ (ორი თუმანი) ასე, ა თოფი გუჯრათის ბოხჩა ნ̄ (თუმ.) ასე, იქნება რომ ესენი ჩემთვის წამოვიღე.

კ̄ ჭ (21 თუმან-ნახევარი) ქ. მიღდისი რევაზას შევაპირე, ქკ᾽ს უოე თებერვლის თვეში რომ ფარჩა მისცა.

ბ̄ (2 თუმანი) ქ. ჩემის იაკობის ხელით მოვატანინე.

ნ̄ (1 თუმანი) ქ. კიდევ მამცა თეთრი.

ნ̄ (1 თუმანი) ქ. ა თოფი ყალამქრის ჩითი მამცა.

ბ̄ (3 თუმანი) ქ. იაკობის ჭელით ყურუში გამოეგზავნა.

ბ̄ (2 თუმანი) ქ. დავითა ტერტერაშვილისათვის მიცემულად დამაწერინა, რომ ამისი თვითონ დავითას ბარათი უნდა მოიტანოს.

ნ̄ (1 თუმანი) ქ. მესანთლე ასლანას ღუგაზასი ემართა, მე უანგარიშე აქ დაწერით.

ჩ (1 მინალთ.) ქ. ა თოფი მსხვილი ჭელსახოცი წამოვიღე.

ფ̄ (4 თუმანი) ქ. თეთრათ მამცა მე.

ნ̄ჯ (51 თუმანი და 8 მინალთუნი) ქ. იქნება იე კალმათ მეორეთ მოცემულის ჯამი.

ლ̄ ვსპ ქ. იქითი პირის თამასუქის თავნიდამ დანარჩომის თეთრის ჯამი აქ დავსწერე ო̄ ც (75 თუმ. 2 მინალთ.) ამდენი. ამას იდ თვის სარგებელი დაედვას, სარგებელი იქნება ი̄ ვსპ (10 თუმ. 5 მინალთ. და აბაზ-ოთხი ბისტი) ამდენი. თავნი და სარგებელი ორივე ერთათ იქნება პ̄ ვსპ (85 თუმ. 7 მინალთ. და აბაზ-ოთხი ბისტი) ამდენი. ამაში მეორეთ მოცემულს თუთხმე(ტ კა)ლმათ ორმოცდათერთმეტს თუმანს და რვა მინალთუნს რომ გამოველ, დარჩება თავნიდამ ოცდაცამეტი თუმანი, ცხრა მინალთუნი და აბაზ ოთხი ბისტი ლ̄ ვსპ, ამდენი.

რაც ღუგაზადამ წამომიღია, ამას ქვეით სწერია:

ბ̄ (2 თუმანი) ქკ᾽ს უოე, აპრილის კზ მოვატანინე ქალაქის თეთრი და თუთუნაშვილს გაუგზავნე.

ბ̄ ც (22 მინალთ.) ქ. ამავ თვეში მოვატანინე კ დანა ალთმიშლული, ა ჩრ (1 მინალთ. და 2 შაური) იქნება. ესეც თუთუნაშვილს გაუგზავნე.

ნ̄ (10 თუმანი) ქ. ამავ წლის მაისის ე მეწვრილმანე პაპასთვის მიეცა ჩემის ბარათით.

117. 1788 წლ. იანვრის 14. ხელწერილი, მიცემული სულხანას მიერ მანუჩარ მდივნისადმი. დედანი? ზომა 11,5×7,4 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 11995 Hd.

ქ. უნდა მოგცე, მე, სულხანამ, შენ, მანუჩარ მდივანს, სავა(sic) მინალთუნი. ამ ერთს თვეზე ბოგართვა.
იანვრის იდ, ქკს უოვ.

118. 1788 წლ. სექტემბრის 11. არზა პეტრე ამირანას-შვილისა გიორგი ბატონის-შვილისადმი, ვალების გარდახდევინების დაცადების შესახებ. დედანი ზომა 21×12 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3860 Hd.

ქ. ღთ~ნ ყ~დ მოწყალის მეფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს მათ ყმას ამირანას-შვილს პეტრეს. ეს არის ჩემი ვედრებით მოხსენება: ბიძის ჩვენისა ვალი გამოგვაჩნდა. სამოცი თუმანი თეთრი გამოგვართვეს და ამ მიზეზით ორნივე ძმანი რუსეთისაკენ გადავცვივდით. მე თქუენის ბრძანებით და ნუგეშის წიგნით აქვე გიახელ და ის ჩემი ძმა იქავ რუსეთს გახლავთ.

ახლა იმ ჩემი ძმისაგან წიგნი მამივიდა, ასე მოეწერა: ამ ოთხსაოდ თვეზედ მანდ მოვალო. იქა-აქა ცოტაოდენი ვალი გვაქვს ჩემი თუ ჩემის ძმისა და იმ ვალებს გვაწუხებენ. ამ წყალობას გევედრებით, თქუენის შვილების სადღეგრძელოდ ერთი ოქმი შებოძოს, რომ მოვალებმა იმ ჩემის ძმის მოსვლამდინ დამაცალონ. სექტემბრის ია, ქკ~ს უოვ.

ზემოაშიაზე სხვა ხელით: ქ. ბატონის-შვილი გიორგი გიბრძანებთ რომელნიც ამ არზის პატრონის მოვალენი ხართ, მერე სანამდისინ ამის ძმა მოვიდოდეს, მანამდისინ უნდა დაცალოთ და ნურც სთხოვთ თავის ძმის მოსვლამდის. დეკემბრის იბ, ქკ~ს უოვ. [გიოოგი] [1]

Verso სხვა ხელით: ქ. მისს უგანათლებულესობას ასე რომ უბძანებია, ჩვენ მსაჯულნიც ამას განვაჩენთ: რადგან შეუძლებელია, ნახევარი წელიწადი დააცადოს, თუ ნახევარ წლამდინ ამას ძმა მოუვიდა, უნდა იმისმა ძმამ მოსცეს და თუ ამ ვადამდინ ვერ მოვიდა, უნდა ამან მოსცეს. მანამდინ ვეღარასა სთხოვენ ამას. ქრისტისშობის კ, ქკ~ს უოვ. [ ] [2] [ ] [2]

119. 1788 წლ. ოქტომბრის 1. თამასუქი, მიცემული მიღდისი რევაზას და ავეტიქას შვილის ბეჟანას მიერ მდივანი მანუჩარისადმი. დედანი. ზომა 16,3×11,3 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 155 Sd.

ქ. ავიღეთ ჩვენ, ორთავ ამხანაკმა, მიღდისი რავაზამ და ავეტიქას შვილმა ბეჟანამ, თქვენ, მდივნი(ს) მანუჩარისაგან, თორმეტი თუმანი ახალი ზარაფ-

[1] ბეჭედი.
[2] ქართული მურის ბეჭედი, არ იკითხება.

ხანის ოთხი დანგიახი სირმა აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი ვ (ექვსი თუმანი) ამდენი. მოგეცით ამისი გირაო ერთი ნაკერი ქათიბა. რაც ხანს ჩვ(ე)ნს ხელთ დაჰყოს, თვეში თუმანზე ორ(ი) შაურ(ი) სარგებელი მოგცეთ. დაიწერა ღვ(ი)ნობ(ი)სთ(ვი)ს ა დამდეგს, ქკს უოვ. მე, ბეჟანამ, დამიწერია და ყაბულიც ვარ ამ ს(ა)ნ(ა)თ(ი)სა. ეს ჩემი ხელი(ა) და ბეჭედი [მნა ღთი სა ბეჟან][1].

476 + 1312 = 1788

სხვა ხელით:

ქ. ამ ზემო ნაწერის თამასუქის ყაბული მაქვს მე, მ(ი)ღდისი რევაზას, და ეს ჩემი ხელია და ბეჭედი [მიღდისი რევაზ][1].

ქ. ამაში რომ გირაო ქათიბა სწერია, მე, მ(ი)ღდისი რევაზამ, გავყიდო და ამისი ფასი გამოვგზავნო. ახლა თან წავიღე, გიორგობის გასულს, ქკ(ს) უოთ.

31. XI

479 + 1312

სხვა ხელით:

ქ. ეს გირაო ქათიბი ერევანს გაეყიდა რევაზას. მოვიდა ერევნიდამ. ორთავ ამხანაკებმა მამიტანეს ოთხი თუმანი და მომცეს, და მეც სარგებელში მობარების ბარათი მივეცი. კიდევა დამპირდენ მოტანას და აღარ მომიტანეს რა. ბეჟანას თავისი წილისა ბარათი აქვს ჩემი მობარებისა.

120. 1788 წლ. ანგარიშის წიგნი მანუჩარ მდივნისა. დედანი. ზომა 29,5×20,5 სმ. დაწერილია თეთრ თაბახის ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3508 Hd.

ქკ-ს უოგ, ამ წლის თიბათვის კე მოკიდებული მე, მანუჩარ მდივნისა და ახალციხელი ღუგაზას ანგარიში რომ ერთის თავისის თამასუქით მთავარეფისკოპოზის ბესარიონისას მისაცემს იყო თავნს ⍩ (ას ოცი თუმანს) ამდენს, ამისი თავნისა, სარგებლისა და მოცემის ანგარიში ამას ქვეით გარჩევით დაიწერება:

რაც ბატონი ღუგაზადამ დამიხარჯამს.

⍩	(ათი თუმანი)	ქ. მთავარეფისკოპოზის საიმტვერიოთ ზურაბა მესანთლისათვის მივაცემინე.
⍩	(ათი თუმანი)	ქ. ბატონიშვილის ვახტანგის ბარათით საწირავებისათვის კიდევ ზურაბა მესანთლისათვის მიეცა.
⍩	(ცამეტი თუმანი)	ქ. ბერძნის ეფისკოპოზის ეგნატესათვის მივაცემი(ნე).
⍩	(ორი თუმანი)	ქ. ბატონისშვილს ვახტანგს ბარათით მიართვა.
⍩	(ცხრამეტი მინალ. თუნი და სამი აბაზი)	ქ. გორს ხარების საყდრის კრებულს საწირავათ.
⍩	(ხუთი თუმანი)	ქ. გერმანე თბილელის ბარათით საწირავებათ.
⍩	(ორი თუმანი)	ქ. ბატონიშვილის ვახტანგის ბარათით საჩადრე.
⍩	(შვიდი მინალთ.)	ქ. ბატონის რძლის ბარათით თეთრი.
⍩	(ორი თუმანი და ხუთი მინალთ.)	ქ. ფირა(ა)ნტონის მისცა ბარათით.
⍩	(ოც და ერთი თუმ.)	ქ. ბარათით ყორღანაშვილს ოსეფას მისცა.

[1] მურის ბეჭედი.

 კ (ოცი თუმანი) ქ. ორ დაფათ მე მომ კა თეთრი.
ი (ათი თუმანი) ქ. ორ დაფათ მე კიდევ რუსის თეთრი გამოვართვი.
ა ჯუ (თვრამეტი მინალთ. და ორი აბაზი) ქ. სალთხუცის ქაიხოსროსთვის მივაცემინე ა ც (ერთი თუმანი და ორი მინალთუნი). მე გამოვართვი ხელათ ხუ (ექვსი მინალთ. და ორი აბაზი) ამდენი. იქნება.

რ (ასი თუმანი) ქ. იქმნა იგ კალმათ მინაცემის ჯამი ასი თუმანი.

ოეც ქკ^ს უო, იანვრის ა თარიღი. თავნი არის რ (ას ოცი თუმანი) ქკ^ს უოგ, ღვინობისთვის გასულს იქნება თვე მე, ამისი სარგებელი იქნება ნე ც (ორმოცდა ხუთმეტი თუმანი და ორი მინალთუნი) ამდენი. თავნი და სარგებელი როე ც (ასსამოცდა ხუთმეტი თუმანი და ორი მინალთუნი) ამდენი. ამაში ზემო ცამეტს კალმათ მოცემულს რ (ას თუმანს) ამდენს რომ გამოვიდეო, დარჩება ღუგაზასთან თამასუქის თავნიდამ ქკ^ს უოგ, ამ წლის გიორგობის დამდე. ქიდამ სარგებლით ოე ც (სამოცდა ხუთმეტი თუმანი და ორი მინალ. თუნი).

ქ. ამ მოსაცემში რაც კიდევ ბატონი ღუგაზადამ წამომიღია ქკ^ს უოდ, ამ წლის ქრისტიშობის კდ მოკიდებული, ისიც ამავ ქაღალდზე სწერია.

ჩ (ერთი მინალთუნი) ქ. უწინდელს მოსაცემს იყავო, აქ დავსწერე.
ა ც (თორმეტი მინალთუნი) ქ. ერთი საჩადრე გამოვართვი.
ბ წ (ორი თუმანი და ოთხი მინალთ.) ქ. ა$_0$ დაბალი ყალამქარი მამცა.
ბ (ორი თუმანი) ქ. ერთ ჯერათ თეთრი მამცა.
ბ (სამი თუმანი) ქ. ბ-ჯერათ თეთრი მამცა.
ქ. ა თოფი სალეჩაგე ბჭ (ორი თუმანი და ხუთი მინალთუნი); ბ თოფი ჩაფის ხელსახოცი ბ (ორი თუმანი); ა თოფი ყალამქარი ბ (ორი თუმანი).
ზ ჭ (შვიდი თუმანი და ხუთი მინალთ.) ქ. ა თოფი გუჯარათის ბოხჩა, ესენი წამოვიღე.
კ ბ ჭ (ოცდა ერთი თუმანი და ხუთი მინალთუნი) ქ. მიღდისი რევაზას შევაპირე ქკ^ს უოე, თებერვლის გ, რომ ფარჩა მისცა.
ბ (ორი თუმანი) ქ. მასუკან თეთრი მოვატინინე იაკობის ხელით.
ა (ერთი თუმანი) ქ. კიდევ თეთრი მომცა.
ა (ერთი თუმანი) ქ. ა თოფი ყალამქრის ჩითი მომცა.
ბ (სამი თუმანი) ქ. იაკობის ხელით . . . (?) გამოეგზავნა.
ბ (ორი თუმანი) ქ. დავითა ტერტერაშვილისათვის მიცემული დამაწერინა, რომ ამისი თვითონ დავითას ბარათი უნდა მოიტანოს.
ა (ერთი თუმანი) ქ. მესანთლე ასლანას ღუგაზასი ემართა. მე უანგარიშე აქ.
ჩ (ერთი მინალთუნი) ქ. ა თოფი მსხვილი ხელსახოცი წამოვიღე.
დ (ოთხი თუმანი) ქ. თეთრათ მამცა მე.

ნა ჯ (ორმოცდათერთმეტი თუმანი და რვა მინალთუნი) ქ. იქნა იე კალმათ მეორეთ მოცემულის ჯამი.

ლ͡ჩ͡ლნი (ოცდაცამეტი თუმანი, ერთი მინალთუნი, ხუთმეტი შაური და ორი ფული).

ქ. პირდაპირ თამასუქის თავნიდამ დარჩომილი თეთრის ჯამი აქ გამოვიტანე, ჯამია ო͡ ც (სამოცდა ხუთმეტი თუმანი და ორი მინალთუნი) ამდენი; ამას ცამეტის თვის სარგებელი დაედვას, იქნება თ͡ კ͡ ლ͡ ნ͡ ი (ცხრა თუმანი, შვიდი მინალთუნი, ხუთმეტი შაური და ორი ფული) ამდენი; თავნი და სარგებელი ორივ ერთათ იქნება ა͡ დ͡ ჰ͡ ლ͡ ნ͡ ი (ოთხმოცდა ოთხი თუმანი, ცხრა მინალთუნი, ხუთმეტი შაური და ორი ფული) ამდენი; ამაში მეორეთ მოცემულს ზემო თუთხმეტ კალმათ მოცემულს ჯამს ნ͡ ჯ (ორმოცდა თერთმეტი თუმანი და რვა მინალთუნი) ამდენს რომ გამოვიდეთ, დარჩება თავნიდამ ღუგაზასთან ქკ͡ ს უოე, აპრილის ერთს სარგებლით.

ქ. რასაც ამაში მამცემს და წამოვიღებ, აქა სწერია, რაც ბატონი ღუგაზადამ წამომიღია:

ბ͡ (ორი თუმანი) ქკ͡ ს უოე, აპრილის კზ მოვატანინე ქალაქის თეთრი თუთუნას-შვილთან გასაგზავნათ.

ბ͡ ც (ოცდა ორი მინალთ.). ქკ͡ ს უოე, აპრილის კ͡ მოვატანინე დანა ალთმიშლუ-ღი კ, ა-ჩრ (ერთი მინალთუნი და ორი შაური) ასე. ესეც თუთუნაშვილთან გასაგზავნათ. იქნება ქალაქის თეთრი.

ი͡ (ათი თუმანი) ქკ͡ ს უოე, მაისის ე მეწვრილმანე პაპას ხელით მოვატანინე, რომ ჩემი ბარათი აქვს.

121. 1788 წლ. ახლ. ანგარიში მ ა ნ უ ჩ ა რ (თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა) და ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ ი ღ უ გ ა ზ ა ს ი. დედანი. ზომა 42,5×10 სმ. დაწერილია მოლუურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3660 Hd.
საბუთს თარიღი არა აქვს, შინაარსის მიხედვით იგი დაწერილი უნდა იყოს 1788 წლის ახლოს.
შდრ. საბუთი № 3137 Hd.

ქ. მე, მანუჩარისა და ახალციხელი ღუგაზასაგან მთავარეპისკაპოზის ბესარიონის თამასუქით მისაცემის ანგარიში ამას ქვეით დაიწერება, რასაც მოსაცემს არის და ან მოუცია:

რ͡ ო͡ ც ქ. ა თამასუქით ღუგაზა მოსაცემს არის ქკ͡ ს უო, ამ წლის იანვრის პირველიდამ თავნს რ͡ კ͡ თუმანს (ასოცი თუმანი). ქკს უოგ, ამ წლის ღვინობისთვის გასულს იქნება თვე მვ, ამის სარგებელი იქნება ნ͡ ე͡ ც (ორმოცდა ხუთმეტი თუმანი და ორი მინალთუნი) ამდენი. თავნი თავისის სარგებლით იქნება რ͡ ო͡ ე͡ ც (ასსამოცდა ხუთმეტი თუმანი და ორი მინალთუნი) ამდენი. [რომ ეს ამოდენი თეთრი ბატონის-შვილის ვახტანგის ანგარიშ(შ)ი მე მანუჩარს თავლად მიწერია.

რაც ამ ზემო მოსაცემში ღუგაზას მოუცია:

ბ (ათი თუმანი) ქ. მთავარეფისკოპოზის საიმტვერიოთ ზურაბა მესანთ-ლისათვის მივაცემინე.

ი (ათი თუმანი) ქ. ბატონის-შვილის ვახტანგის ბარათით საწირავებისა-თვის კიდევ ზურაბისათვის მივაცემინე.

იგ (ცამეტი თუ-მანი) ქ. ბერძნის ეფისკოპოზის ეგნატისათვის მეფის ბა-რათით მივაცემინე.

ბ (ორი თუმანი) ქ. ბატონის-შვილმა ვახტანგმა თავის ბარათით მი(ი)რთვა.

ნ ჰ ქ (ცხრამეტი მინა-ლთუნი და სამი აბაზი) ქ. გორის ხარების ეკლესიის კრებულს გასაგზავნათ სა-წირავებისათვის.

ე (ხუთი თუმანი) ქ. გერმანე თბილელის ბარათი საწირავებისათვის ზუ-რაბას მიეცა.

ბ (ორი თუმანი) ქ. ბატონის-შვილის ვახტანგის ბარათით საჩადრე.

ვ (შვიდი მინალ-თუნი) ქ. ბატონის რძალის ბარათით თეთრი.

ბ ჭ (ორ თუმან ნა-ხევარი) ქ. ბარათით ფრა პატრისათვის(?) მივაცემინე.

კა (ოცდაერთი თუ-მანი) ქ. ბარათით ყარლანაშვილის ოსეფასათვის მივაცემინე.

კ (ოცი თუმანი) ქ. ორ დაფათ მე მომცა თეთრი.

ი (ათი თუმანი) ქ. ორ დაფათ კიდევ მე მომცა რუსის თეთრი.

ნ ჯუ (თვრამეტი მი-ნალთუნი და ორი აბაზი) ქ. სალთხუც(ეს) ქაიხოსროსათვის მივაცემინე თეთრი ნ ც (თორმეტი მინალთუნი); მე გამოვართვი ხელათ ხუ (ექვსი მინალთ. და ორი აბაზი), იქნება.

რ (ასი თუმანი) ქ. იქნა ამ იგ კალმათ მოცემულის ჯამი, რომ გიორგო-ბის თვეში ანგარიში ვნახე და რაც ბარათი ჰქონდა, გა-მოვართვი. ჯამია.

ქ. ამ ას თუმანს ზემო ჯამიდამ რომ გამოველ, დარჩა ღუგაზასთან თამა-სუქის თავნი ოე ც (სამოცდა ხუთმეტი თუმანი და ორი მინალთუნი), ქკ-ს უოგ, ამ წლის გიორგობის ა, სარგებლით.

ქკ-ს უოე, ამ წლის პირველის თვიდამ მოკიდებული მარტის თვის გასვლა-მდინ რაც ღუგაზადამ წამომეღო ამ ზემო მოსაცემში არა სწერია.

ჩ (ერთი მინალთუნი) ქ. მითხრა მოსაცემსა ხარო და არ დაუწერე.

ნ ც (თორმეტი მინალთუნი) ქ. ერთი საჩადრე გამოვართვი საშინაოთ.

ბ წ (ორი თუმ., ოთხი მინალთ.) ქ. ბ0 თოფი ყალამქარი გამოვართვი.

ბ (სამი თუმანი) ქ. ორჯელ თეთრათ მამცა.

ზ ჭ (შვიდ თუმან ნახევარი) ქ. ა თოფი სალეჩაგე ბ ჭ (ორი თუმან ნახევარი); ბ თოფი ჩაფის(?) ხელსახოცი ბ (ორი თუმანი) ასე; ბ თოფი ყალამქარი ბ (ორი თუმანი) ასე, ბ თოფი გუჯრათის ბოხჩა ნ (ერთი თუმანი) ასე. იქნება.

ესენი ჩემთვის წამოვიღე.

კა (ოცდა ერთი თუმანი) ქ. მიღდისი რევაზას შევაპირე ქკ-ს უოე, თებერ-ვლის თვეში, რომ ფარჩა მივაცემინე.

ბ (ორი თუმანი) ქ. ჩემის იაკობის ჯელით მოვატანინე.

ვ	(ერთი თუმანი)	ქ. კიდევ მამცა თეთრი.
ა	(„ „)	ქ. ერთი თოფი ყალამქრის ჩითი მამცა.
გ	(სამი თუმანი)	ქ. იაკობის ხელით ყურუშები გამოეგზავნა.
ბ	(ორი თუმანი)	ქ. დავითა ტერტერაშვილის მიცემულად დამიწერინა, რომ ამისი თვითონ დავითას ბარათი უნდა მომიტანოს.
ა	(ერთი თუმანი)	ქ. მესანთლე ასლანას ღუგაზასი ემართა, მე უანგაროიშე აქ დაწერით.
ჩ	(ერთი მინალთუნი)	ქ. ა თოფი მსხვილი ხელსახოცი წამოვიღე.
დ	(ოთხი თუმანი)	ქ. თეთრათ მამცა მე.
ბ	(ორი თუმანი)	ქ. თეთრი მამცა.

ნაჯ	(ორმოცდა თერთმეტი თუმანი და რვა მინალთუნი)	ქ. იქნება იე კალმათ მეორეთ მოცემულის ჯამი.
ბ	(ორი თუმანი)	ქკ^ს უოვ, ამ წლის აპრილის კზ მოვატანინე ქალაქის თეთრი და თუთუნაშვილს გაუგზავნე.
ბ ც	(ორი თუმ. და ორი მინალთუნი)	ქ. ამავ თვეში მოვატანინე კ დანა ალთმიშლული, ა-ჩრ (მინალთუნი და ორი შაური), იქნება. ესეც თუთუნაშვილს გაუგზავნე.
ი	(ათი თუმანი)	ქ. ამავ წლის მაისის ე ჩემი ბარათით მეწვრილმანე პაპასათვის მიეცა.

122. **1789 წლ. დეკემბრის 15.** თამასუქი, მიცემული კაკალოანთ რევაზას მიერ ი ო ვ ა ნ ე მ უ ხ რ ა ნ - ბ ა ტ ო ნ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 22×17 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3858 Hd.

ქ. ავიღე მე, კაკალოანთ გიორგის შვილი მიღდისი რევაზამ, თქვენ, ჩემი ბატონი მუხრან-ბატონი სალთხუცესი იოვანესაგან, სამოცი თუმანი ოთხ დანგიანი სირმა ზარაფხანის თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ლ (30 თუმ.) ამდენი. ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგართო. ამ მაბლაღის გარდა წინა წლებისაც სარგებელი მართებს თვრამეტი თუმანი და სამი და ათი შაური. ამათ გირაოთ არის თქვენთან ჩემი სახლის სიგელი. როდესაც თქვენი თეთრი თავისი ანგარიშით მოგართო, ჩემი სიგელი მევე მიბოძო. მე თითონ მიღდისი რევაზას დამიწერია ეს სანათი და ეს ჩემი ხელი დამიბეჭდია. დაიწერა ქრისტიშობის იე გასულს, ქკ^ს უოზ.

| მღლთისა რევაზ | [1]

ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: მიღდისი რევაზას სიტყვით ამა სანათის მოწამე ვარ იენოქასშვილი მერაბ. [ ] [2]

---

[1] ბეჭედი.
[2] ბეჭედი სპარსულ-სომხურ წარწერით.

123. 1790 წლ. მარტის 6. თამასუქი, მიცემული თუმანის-შვილი გოგიას მიერ მდივანი მანუჩარისადმი. დედანი. ზომა 16,8×11 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ სახ. მუზ. № 153 Sd.

ქ. ავიღე მე, თუმანის-შვილი ბაჟანის შვილმა გოგიამამ, თქვენ, მდივნის მანუჩარისგან, კურთხეულის ჩემის რძლის ხანუმისა ხუთი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხი დანგიანი სირმა აბაზი, რომ იქს ამის ნახევარი ᲒᲭ (2 თუმანი და 5 მინალთუნი) ამდენი. რაც ხანს თქვენმა თეთრმა ჩემს ხელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორშაურ ნახევარი სარგებელი გაძლიო და როცა თქვენი თეთრი მთხო(ო)თ, გაურჯელათ მოგართვა. თუ ამაზე გაგალაპარაკო, სამდივანბეგო და საი(ა)საულო მე, თუმანის შვილმა გოგიამ, გავიღო. ეს თამასუქი თითონ მე, გოგიას, დამიწერია და ყაბულიცა მაქვს.
დაიწერა მარტის ვ, ქკ᾽ს უოᲪ. გიორგი.

124. 1790 წლ. მარტის 11. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზურაბ თარხნიშვილის მიერ წმინდა ევსტატის (ეკლესიისათვის) ვალის სარგებელში. დედანი. ზომა 13,1×12,5 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 5754 Hd.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, ზურაბ თარხნიშვილმა, თქვენ, წმინდას ევტატის (sic), ასე რომე თქვენი ექვსი თუმანი რომ(ᲛᲛ)მართებს, იმის სარგებელში ორის დღის მიწა მომირთმევია, პატარას კარს ქვემოთ ჭანჭახ-ზემოდამ ლოდის მიწა ორი. დაიწერა მარტის ია, ქკს უოᲪ. არის ამისი მოწამე ოთიაშვილი ბერუა, გლახა ჯაჯანაშვილი, ჯანგიშერაშვილი ივანე. მე, იოსებ ცალქალამანიძეს ზურაბის სიტყვით (დამიწერია) და მოწამეცა ვარ. +
სხვა ხელით:
ქ. ზურაბ თარხნის-შვილის.

125. 1790 წლ. აპრილის 12. თამასუქი, მიცემული ხუჭუკი ნან(ე)ის-შვილის მიერ მოშია კაკას-შვილისადმი. დედანი. ზომა 13×9 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3834 Hd.

ქ. ავიღე მე, ხუჭუკი ნან(ე)ის-შვილმა, შენ, მოშია კაკას-შვილისაგან, თექვსმეტი მარჩილი ძველი თეთრი თორმეტს გასულს აპრილს. თუ მოგეცი გასულს

ამ თვეს, არას მემართლები, თვარა მარჩილის თავს თვეში ორი ფარის სარგებლის მომცემი ვიყო. არის ამისი მოწამე ქაიხოსრო ასათიანი, ოტია კახიანი, სვიმონ ნემსაძე, იესელა ულაჯის-შვილი. მე ქართველს კაკაციას(?) დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ქკ~ს ათას შვიდას ოთხმოცდა ათს. ✝

იმავ ხელით: ეს თეთრი ღატუა(?) ქაჯის-შვილს გადახდია.

126. 1790 წლ. აპრილის 25. ფულის მიბარების ხელწერილი, მიცემული ნიკოლოზ თუმანიშვილის მიერ ამირანა ჩარუხაშვილისადმი. დედანი. ზომა 16,5×11,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 455 Sd.

ქ. მამებარა მე, ნიკოლოზს თუმანიშვილს, შენ ჩარუხაშვილის ამირანასაგან, მანუჩარ მდივანს რომ თოფის ფასი გამოეგზავნა, ცხრა მინალთუნი, თავისის სარგებლით. ბევრი უარი თქვა, მაგრამ მოსამართლე(ე)ბმა მდივნის წიგნით დაადვეს.

აპრილის კე, ქკს უოზ. ნიკოლოზ.

127. 1790 წლ. მაისის 29. პირობის წიგნი, მიცემული თუმანის-შვილის მდივანი ლაშქარნივისის მანუჩარის მიერ ცხინვალელი ხოჯას-შვილის ხოსროსადმი ვალის გარდახდევინების თაობაზე. დედანი. ზომა 21,7×16 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 151 Sd.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, თუმანის-შვილმა მდივან ლაშქარნივისმა მანუჩარმა, შენ, ცხინვალელს ხოჯას-შვილს ხოსროს, ასე რომ შენ ჩემის მეუღლის ხანუმისა ორმოცდათექვსმეტი თუმანი თეთრი გემართა და შენი დიდი ვენახი იმაში გირაოთ მეჭირა. ამ ჟამათ თეთრის თხოვნა დაგიწყე. შენ რომ მოცემა ვერ შეიძელ, მეც ორმოცდათექვსმეტ თუმნათ შენი დიდი ვენახი, რომელიც ჩემთან გირაოთ იყო, ვიყიდე. შენც ნასყიდობის სიგელი დამიწერე და მამეც, და ძველი სიგელებიც მამეც. მეც ეს პირობა აღგითქვი შენის შემატებისა და რგებისათვის, რომ ამ ქვემო თარიღიდამ ერთი წელიწადი ვადა დაგიდე, ასე რომ ერთს წელიწადზე ან თუ ღ~თნ შენ მოგცეს შეძლება, ან თუ სხვა მუშტარი და ამ ვენახის მსყიდავი იშოვო და ამ ჩემს მოცემულს ფასზე ხუთი თუმანი და უფრო მეტიც რომ მოგცენ, იმას მიეც და მიჰყიდე ვენახი და მე ჩემი ორმოცდათექვსმეტი თუმანი მამეც და ვენახი ღ~თნ მშვიდობაში მოგახმაროს. და თუ ამ ერთს წელიწადზე ვერ დაიხსნი, ეს წიგნი ბათილი იქნება და მე უნდა მომცე. და მე ხომ ძველი და ახალი სიგელები ჭელში მაქვს და მო-

ნასყიდე ვიქნები. წელს რადგანაც შენი შემუშავებულია, რასაც ღ~თი მოსავალს მოგვცემს, ნახევარი ჩემია და ნახევარი შენია ყოვლისფრისა, მაგრამ ჭაჭა მთლივ შენ უნდა აიღო, მე საქმე არა მაქვს. და რაერთიც ღვინო მერგოს, იმის საყოფი საფერეც უნდა მამეცეს. მანამ ეს ვადა გავიდოდეს, მანამ ისევ ვენახი სანახევროთ, როგორც რიგია, ისე კარგა შეიმუშავე, და მასუკან ჩემის ნაყიდობისა მე ვიცი, ვისაც მი(ნ)და იმას შევამუშავებინებ. ამ წიგნის მიცემა ჩემი ყაბულია და ჩემი ხელიც არის. ვისაც ეს წიგნი მოგიტანოსთ, დაუბეჭდეთ, მე ყაბული მაქვს.

მაისის კთ, ქ~კს უოᲪ. მანუჩარ.

128. 1790 წლ. ივლისის 1. თამასუქი, მიცებული ერასტი გოსტაშაბის-შვილის მიერ ფარსადან ერაჯსტიშვილისადმი. დედანი. ზომა 14,5×11 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3819 Hd.

ქ. ავიღე მე, გოსტაშაბის-შვილმა ერასტიმ და შვილმან ჩემ(მ)ან დავით შენ, ერასტიშვილის ფარსადანისაგან ერთ(ი) თუმანი ახალ(ი) ქალაქის თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ჭ (ხუთი მინალთუნი) ამდენს. სამი თვე ვადა არის. თუ ამ ვადას გარდაცილდეს და ვერ მოგ(ც)ე, თუმნის თავს თვეში ორი შაური სარგებელი მოგცე ულაპარაკოთ. არის ამისი დამსწრე, მოწამე და დამწერი ჩემი ბიძაშვილი იო(ა)ნე. ჩემის ყაბულობით აღიწერა იულისის ა, ქ~კ~ს უოᲪ.

მნ ღთისა [1]
ერასტი

129. 1790 წლ. ივლისის 21. თამასუქი, მიცემული ფუღანთ აღას მიერ მანუჩარ მდივნისადმი. პირი. ზომა 17×11 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3673 Hd.

ქ. აეიღე მე, ფუღანთ არუთინას შვილმა აღამ შენ, გორჯასპი მდივნის შვილი მანუჩარ მდივნისაგან, ორმოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის სირმა ოთხ დანგიანი აბაზი, იქს ნახევარი ⁐ (ოცი თუმანი) ამდენი. ამ ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ჭელთ იყოს, თვეში თუმანზე ორშაურ-ნახევარი სარგებელი მოგცე. ამისი გირაოთ მოგე ჩემი პაპეული სახლი, რომ მე შიგა ვდგევარ. ამისი სიგელებიც შენ მოგე. მე თითონ აღას ამიღია. ჩემი ჭელია.

დაიწერა კათათვის კა, ქ~კს უოᲪ [ ] [2].

---

[1] ბეჭედი მხედრული წარწერით.

[2] მელნით მოხაზული კვადრატი უწარწეროდ.

ქ. ასლიდამ ეს სავადი გადმოვწერე ციხის დიდის ეკლესიის დეკანოზი ტერ აარაქელ. [—] [1]

სხვა ხელით და მელნით: ქ. სავადი ასლთან თანასწორი ვნახე.

აღა ფითუნოვ.

ქ. ეს სავადი ასლთან თანასწორი რომ ვნახე. თაყოაშვილი.[2]

130. 1790 წლ. ნოემბრის 1. თამასუქი, მიცემული თუმანის-შვილი ნიკოლოზის მიერ ტერმოსესაშვილი ზურაბასადმი. დედანი, ზომა 21,5×16,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნასმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუზ. № 372 Sd.

ქ. ავიღე მე, თუმანის-შვილმა ნიკოლოზმა, შენ, გორელი ტერმოსესაშვილის ზურაბისაგან, ცამეტი თუმანი ქალაქის სირმა აბაზი ოთხ-დანგიანი, რომ იქს ამის ნახევარი ვ ჭ (6 თუმანი და 5 მინალთუნი) ამდენს. ამის გირაოდ ბოგეცი ჩემის ბიძაშვილის ზურაბის წილი გორს ბერაძე გიორგის დანდრის სახლები: ერთი გვერდი როსტომაშვილის სტეფანას სახლების მიდგმამდინ. მეორე გვერდი ხითარაშვილის ტერ რასტაკისას სახლის მიდგმამდინ, თავს დაქცეულის საყდრის შარამდინ, წინ ბაზრის შარამდინ. ამ თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ჭელთ დაყოს, თუმნის თავს თვეში ორი შაური სარგებელი გაძლიო. ექვსი თვე ვადა იყოს, რომ შენი თავნიცა და სარგებელიც მოგცე. თუ შენი თეთრი ვადაზე ვერ მოგცე, როგორც ზემოთ აცხადებს ისევ სარგებელი მოგცე. როდესაც შენი თეთრი მთხლვო, ვადას უკან თუ გავალაპარაკო, სამდივანბეგო და საიასაულო მე გავიღო. არის ამისი მოწამე ამირაღაშვილი ისაია, აბელისშკილი ფარსადან, ჭელთუბნის მღვდელი ტერმოსესა. და ძე, ნიკოლოზს, დამიწერია და ყაბულიცა მაქვს ამისი.

დაიწერა გიორგობის ა, ქ^კს უოᲨ.

სხვა ხელით:

ქ. მე, ზურაბ თუმანის-შვ(ილს) ამ თამასუქის ყაბული მაქვს. [—] [3]

სხვადასხვა ხელით:

ქ. მე, თუმანის-შვილი მდივნის გორჯასპის შვილი მდივანი მანუჩარ, ჩემის ბიძასშვილის ნიკოლოზისაგან მოცემულის ამ თამასუქისა თვითონ ნიკოლოზის სიტყვით და ჩემის ბიძაშვილის ზურაბის ყაბულობის ხელმოწერობისა დამსწრე და მოწამე ვარ ამ თამასუქისა. ეს ჩემი ხელია და ხელიც ჩამიროთავს. მანუჩარ.

---

[1] სომხური მურის ბეჭედი.

[2] ჩართული.

[3] ქართული მურის ბეჭედი რვაკუთხედის მოყვანილობისა; ნაწილობრივ ამოგლეჯილია, მაგრამ ეტყობა რომ ზურაბ თუმანიშვილისა ყოფილა.

ქ. მე, ტერ-სარქისანთ ხეჩატურაშვილი ტერ-მოსესა, ნიკოლოზის სიტყვით ამ თამასუქის დამ(ს)წრე და მოწამე ვარ. ეს ჩემი ხელია და ხელიც ჩამირთავს. ტერმოსესა.

ქ. მე, ამირღანთ ოჰანჯანას შვილი ისაია, ამის მოწმე ვარ.

ქ. მე, ფეშანგიანთ პეტრეს შვილი სტეფანა, ზემო ნაწერის მოწამე ვარ. ეს ჩემი ხელია. სტეფან.

ქ. ამ სანათის მოწმე ვარ ნიკოლოზის სიტყვით და ზურაბის ყაბულობითა მე, გორელი აბელიანთ მანუჩარის შვილი ფარსადანა. ფარსადან.

ქ. ამ თამასუქის თავნი და სარგებელი ჩვიდმეტი თუმანი მამებარა ბატონი სულხან მდივნისგან მე, ტერ მოსესანთ ზურაბას შვილს გოგიას. ეს ჩემი ხელია.

131. **1790 წ.** უდეობის წიგნი, მიცემული ნიკოლოზ წერეთლისა და მისი ძმების მიერ გრიგოლ წერეთლისადმი. დედანი. ზომა 22,5×9,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია. წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3865 Hd.

ქ. ესე უდეობის წიგნი მოგეცი ჩვენ ერთობით ძმანებმა(sic) ნიკოლოზ წერეთელმან, ზურაბ, ბერმა, გოგიამ და ბეცნიკამ, შენ, გრიგოლ წერეთელს, ასე რომე შენი თეთრი გვემართა ოცდათოთხმეტი მარჩილი ექვსი წლის სარგებლით. ბიძის ჩემისაგან მოყიდული საგლეხო მამული გქონდა. მაშიდ გედეევბოდით და ამ თეთრს მთავნიან სარგებლიანა მაშიდ გიკავებდით. გვთხოვდით და არ გაძლევდით. ახლა ამა თეთრზედ სიყვარულით დავრიგდით და ეს უდეობის წიგნი მოგვიცემია და კიდევ გაგვიახლებია. იმ ბიძის ჩემის და მამი ჩვენის მხალაძისეულ მამულს ადგილზედ აროდეს ჩვენ ძმები და ბიძაშვილები არ გედეოთ და არც სიტყვა გვქონდეს და არც ჩვენი შვილი და მომავალი. თუ ვინმე მოდევე გამოჩნდეს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. არის ამისი მოწამე ესტატეშვილი მღვდელი იოანე, წერეთელი ნიკოლოზ, ბატონის მეფის ქეშიკები: კოკინი აბესაძე, კაციელა ვაჭარაძე, ბეჟანიკა ჩუბინიძე და სვერის მეცხოვენი: კვირია ბიწაძე და გორგაძე ნინია და ჩვენი კაცები ერთობით ასანიძე, შენი კაცი ხელოსანი თაზიკ ტყემალაძე და ჩიჩხრაძე სიმონიკა. მდივანი ვერ ვიშოვეთ და გვერდს მოგიჯედით და ჩვენის ნება დასტურობით შენვე დაგაწერიეთ და დაგიმტკიცეთ ქ~ს აქეთ ჩღუ. + + + +

132. 1791 წლ. აპრილის 23. თამასუქი, მიცემული სოლომონ და გრიგოლ გვარამაძეთა მიერ მანუჩარ მდივნისადმი. დედანი. ზომა 11×10,5 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 7275 Hd.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ბატონს მდივანს მანუჩარს ჩვენ, გვარამაძე სოლომონმა და გრიგოლმა, ასე რომე ბატონმა წყალობა გვიყო და თავის სახ(ა)სოთ დაგვდვა და თქვენ განაჩენი უნდა დაგვიბეჭდინო და გვიბოძო. და თქვენს გასამრჯელოთ ერთი თუმანი თეთრი აბაზი მოგართვათ. რასაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თვეში სამი შაური სარგებელი მოგართვათ. არის ამისი მოწამე ყული პაპა. თითონ ჩვენ გვარამაძე(ე)ბის ხელია.

აპრილის კგ, ქკს უოთ.

133. 1791 წლ. ივნისი 16. არზა ზაალ ყაფლანის-შვილისა ერეკლე II-ისადმი ვალებში სარგებლის გადაუხდევნელობის თაობაზე. დედანი. ზომა 28×11.5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 13698 Hd.

ქ. ღნ ბედნიერის ჭელმწიფის ჭირი მათს ფეხთა მტუერს ყაფლანის-შვილს ზაალს მისცეს.

ახლა ამას მოვახსენებ ყდ მოწყალეს ხელმწიფეს: განჯიდამ რომ ქისიყს მობძანდით, თალიღა მიბოძეთ, რომ ჩემს მოვალე(ე)ბს დაეცალათ და სარგებელი ებატიებინათ (sic) მანამდინ ჩემი საქონელი მამესხა ახალციხიდამ, გამეყიდა და მიმეცა. ის საქონელი აღარ მომცეს. მოგეხსენებათ, ახლა ჩემს შვილს თარხანაღას შვილისათვინ ორმოცი თუმანი მიუცია, მამაჩემს ვალები გარდუხადეო. იმდენი თქუენი წყალობა მაქუს, რამდენი ორმოცთუმანზე მეტი მე მემართოს. ხომ მოგეხსენებათ, რომ ილაჯი არა მაქვს თუინიერ თქუენის მოწყალებისა. სხვისათვინაც ბევრისათვინ გიქნიათ ეს მოწყალება, მეც ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ.

Verso: ვისაც რა ერგოსთ, თავნი მივცე და სარგებელი მეპატიოს, ღთი უმეტესად აღგამაღლებსთ ყდ მოწყალევ ჭელმწიფევ. ასეთიც არავისია რომ იმას დააკლდეს. მთიბათვის ივ, ქკს უოთ.

ქ. გიორგი ლარაძის მ(მ)ართებს ათი თუმანი.

ქ. მირზა გურგინასი მ(მ)ართებს ოცდა ექვსი თუმანი.

ქ. ხანუმა დალალისა მ(მ)ართებს ათი თუმანი.

ქ. თელეთელის ბაყალი ბეჟანასი შვიდი თუმანი.

ქ. განჯას რომ წავედით, მაშინ ავიღე ვალი, ცხენები ვიყიდე—ექვსი თუმანი.

ქ. ანა დალალისა მ(მ)ართებს სამი თუმანი.

ქ. მამულას-შვილისა მ(მ)ართებს სამი თუმანი.

ქ. გორელი დავრიშაშვილის მ(მ)ართებს სამი თუმანი.

ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: უფალნო მსაჯულნო, ამ ზალს რომ ასე მოუხსენებია, თქვენც იცით, რომ ამ გვარი საქმე ბევრი მომხდარა და ესეც ვალის პატრონი არის, რომ მიცემა არ შეუძლიან და უნდა რომ ამისმა მოვალე(ე)ბმა სარგებელი აპატიონ და თავნს დასჯერდნენ. თორემ თუ ასე არ იქმონენ, თავნის მიცემაც იქნება ვეღარ შეიძლოს და სულაც დაეწოსთ და რა სარგებელი იქნება მაგათი? ივნისის კგ, ქ^კს უოთ. თუ შეუძლიან, საბუთი უყონ და გამოართონ. |___|[1]

გ ა ნ ი ს ა შ ი ა ზ ე დ: მისის უმაღლესობის ბრძანებისებრ უნდა აღსრულდეს. აპრილის კდ, ქ^კს უპბ. |___| |___| |___|[2]

134. 1791 წლ. აგვისტოს 2. თამასუქი, მიცემული ვ ა ხ ტ ა ნ გ ყ ა ფ ლ ა ნ ი ს-შ ვ ი ლ ი ს მიერ ი ო ს ე ბ თ უ მ ა ნ ი ს-შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. ახალი დროს პირი, რომელსაც შემდეგი შენიშვნა აქვს. „ვალის აღების წიგნი, [ზომა] 21×16,5 სმ. დაწერილია მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი“.
საქ. სახ. მუზ. № 11325 Hd.

ქ. კიდევ ავიღე თქვენ, ბატონის თუმანის-შვილის მდივნის იოსებისაგან, მე, ყაფლანის-შვილმა ვახტანგმა, სამი თუმანი ახალი ზარაფხანის ოთხ-დანგიანი თეთრი, ოცდაათი თუმნის ჩემი თამასუქის ნესია(sic), იმ პირობით და იმ სარგებლით. ამ სამის თუმნით შეიქმნა სულ ჩემზედ ოცდაცამეტი თუმანი. ეს თამასუქი ჩემი დაწერილი არის და ყაბულიცა მაქვს.

მარიამობისთვის ბ, ქკს ურთ |___|[3] |___|[3] ბეჭედი ჩემი არის ნგ[4] ხელიც ჩავრთე.

ქ. მე, მდივანს დიმიტრის და ჩემს ძმებს ამ თამასუქის თავნი და სარგებელი გასწორებული მომბარდა. ეს თამასუქი ბათილი არის. მარტის კზ, ქკს უჟ. დედ[5]

---

[1] ბეჭედი ერეკლესი.

[2] სამი ბეჭედი მსაჯულთა.

[3] ბეჭედი.

[4] ეს ორი ასო შესაძლოა იყოს ბეჭდის წარწერის კვალი; (ვახტა)ნგი.

[5] ესეც რაღაც გაუგებარი მინაწერია. შესაძლოა იყოს გადამწერის მიერ გაკეთებული აღნიშვნა: „დედ(ანი)“.

135. 1791 წლ. აგვისტოს 30. წერილი მ ა ნ უ ჩ ა რ (თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა) ვინმე ფ ა რ ს ა დ ა ნ თ ა ნ ვალის თაობაზე. დედანი, ზომა 3,2×8,2 სმ. დაწერილია მორუხო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 13211 Hd.
ხელი მ ა ნ უ ჩ ა რ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

ქ. ძმაო ბატონო ფარსადან, ორი მინალთუნიც მიქარსაზე და აღარასა გთხოვ.
მარიობის ლ, ქ᾽კს უოთ. მანუჩარ[1].
ც (2 მინალთუნი)[2].

136. 1791 წლ. ოქტომბრის 21. ბათილამის წიგნი, მიცემული ა მ ი რ ა ღ ა ს-შ ვ ი ლ ს ღ თ ი-ს ა ვ ა რ ა ს მიერ ი ე ს ე ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 16,6×11,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 6643 Hd.

ქ. ესე ბათილამის წიგნი მოგეც მე, ამირაღას-შვილმა ხთისავარამ, შენ, საყვარელიძე იესესა, ასე რომ ჩემი სამი თუმანი რომ გემართა, თამამად თავნიცა და სარგებელიც მომებარა. თუ ჩემში სამი თუმნის თამასუქი ასლი თუ სავადი გამოჩნდეს, ბათ(ი)ლი იყოს.
მე, ხითარის-შვილს ზურაბს, დამიწერია ღთისავარას სიტყვით, მოწამეცა ვარ ამისი.
დაიწერა ღვინობისთვის კა, ქკს უოთ. [3]

137. 1791 წლ. ნოემბრის 7. თამასუქი, მიცემული გ ო გ ი ა ლ ო მ გ უ ლ ა ს-შ ვ ი ლ ი ს მიერ ი ო ს ე ბ ა ზ უ ბ ა ლ ა ს-შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 22×17 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 11418 Hd.

ქ. ავიღეთ ჩვენ, ქვემო-ნიქოზს მოსახლემა ლომგურ(ა)ს-შვილმან გოგიამა და ჩემ(მ)ა ძმამა ლომგულმან, შენ, გორელი ზუბალ(ა)ს-შვილის იოსებას და იოვანესგან, ექვსი თუმანი ახალი ქალაქის ოთხ დანგიანი სირმა აბაზის თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი $\overset{\frown}{\text{გ}}$ (3 თუმანი) ამდენს. ამის გირაოთ მოგეცი ჩემი სამკვიდრო მინდვრის პირზედ ჩვენი ვენახი ნ(ა)მორ(ა)ძის ვენახის მიდგმამდინ,

[1] ხვეულად.
[2] ეს ციფრი მეორე, ცარიელ გვერდზე სწერია.
[3] მურის ბეჭედი რვაკუთხედის მოყვანილობისა, სახელი არ იკითხება.

საქვენაქროთ თავის რუს პირამდინ, საზენაქროთ კიდევ რუს პირამდინ, ბოლოს კიდევ შარამდინ, თვისი შესავლით და გასავლით და თვისი ხითა და ხილითა და ნიგვზით. შენ თეთრის სარგებელი ვერ მთხოვო, მე ვენახის გამოსავალი ვერ გთხოვო. როდისაც შენი თეთრი მოგცე, ამა ვადაზედ ისევ ჩვენი ვენახი უნდა დავვანებო. თუ ამა ვენახის მოდავე გამოჩნდეს ვინმე, პასუხი ჩვენ უნდა გავცეთ. როდისაც თქვენი თეთრი მოინდომოთ, ულაპარაკოთ მოგცეთ, ჩვენი ვენახი უნდა დაგვანებო. არის ამის მოწამე გრიქოლას-შვილი ფარსადანა, ხახანას-შვილი პატრიაქის მამასახლისი მოსესა. და მე, ცხინვალელს ავეტიქას-შვილს დავითს, დამიწერია ამა ლომგულას-შვილის გოგიას და ლომგულას სიტყვითა და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა გიორგობის თვის ზ, ქკს უოთ. + +

ქ. მე, გრიქოლას-შვირი ფარსადანა, ამ ზემო ნაწერის თამასუქის მოწამე ვარ, ეს ჩემი ხელია. +

ქ. მე, ხახ(ა)ნაშვილი მამასახლისი, ამ სანათის მოწამე ვარ, ეს ჩემი ხელია +. მოსესა +.

Verso: ʒ (6 თუმანი) ქ. ქვემო-ნიქოზელ ვენახის გირაოსი, ლონგურა-შვილსა.

138. **1791 წლ. დეკემბრის 11.** წერილი ვინმე ერასტისა დეკანოზი ნიკოლოზისადმი ვალის დაბრუნების თაობაზე. დედანი. ზომა 10,6×6,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუზ. № 11653 Hd.

ქ. ბატონო დეკანოზო ნიკოლოზ, თქუენი ორი თუმანი რომ მემართა, ხომ მოგართვი. რვა მინალთუნი[1] სარგებელი უნდა მოგართო იმ ორის თუმნისა და, ღვთით, ამ ცოტას ხანში იმასაც მოგართმევთ. სარგებელი მეტიც გერგებოდათ, მაგრამ ამას უნდა დამჯერდეთ.

ქრისტიშობის ია, ქკს უოთ. | მნა ღთსა ერასტი | [2]

სხვა ხელით:

ქ. ამ ბარათის თეთრი მე, ზაქარია თურქესტანიშვილმა, მივაბარე პატრონს[3], კათათვის აზ.

---

[1] დედანში: „მილანთუნი".

[2] მურის ბეჭედი რვაკუთხედის მოყვანილობისა.

[3] დედანში: „პატრომს".

139. 1791 წ. ფულის მიბარების ხელწერილი, მიცემული ტერ-მოსესას მიერ ამირანა ჩარუხაშვილისადმი. დედანი. ზომა 10,8×7,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 441 Sd.

ქ. მამებარა მე, ტერ-მოსესას, ამირანა ჩარუხაშვილისაგან მანუჩარ მდივნის სიტყვით ხუთ მინალთუნს აბაზ ნაკლებ(ი) შარშან. მე, გურგენას, დამიწერია ტერტერას სიტყვით, მოწმეც ვარ. ქ᾽კს უოთ. + +

ქ. რომ მდივანს შვიდი მინალთუნი ებრძანა ზურაბისთვინ, ამირანამ ზემო ნაწერი ხუთ(ი) მინალთუნი აბაზ ნაკლებ მამცა.[1]

140. 1792 წლ. იანვრის 1. მინას თარხანოვის მიერ მანუჩარ მდივნისათვის მიბარებული ვალში მისაცემი საქონლის სია. დედანი. ზომა 22×18 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3579 Hd.

1792

წელსა ჩღჟბ იანვრის ა, ქვემო ნაწერი რაც საქონელი მივაბარო ბატონს მანუჩარ მდივანს, რომ ჩვენი კუნთისა(?) მეფის ᲗᲐ (ოთხმოცი თუმანი) ამდენი ვალის თანხაში მისცეს, როგორც ბევრი ფასი და ზომა არის.

ითᲩᲜᲜ (ცხრამეტი თუმანი, ხუთი აბაზი და ხუთი შაური)	ქ. კა+ ადლი ბაგრასტი; ა ადლი ფასი ᲔᲗ (ცხრა მინალთუნი) . ჯამი.
კᲔᲪ (ოცდა ორი თუმანი და ორი მინალთუნი)	ქ. მაჰუდი რომ არის წითელი და წვანე და ერთის ბარათით მურვანიშვილი ქაიხოსროვისათვის მიუციათ, რომ არის სამი კალმის ჯამი კᲖ ადლი, გ ჩარექი; ერთის ადლის ფასი Ⲕ (რვა მინალთუნი) . ჯამი.
ᲜᲔ (ორმოცდა ხუთმეტი თუმანი)	ქ. შფანცკი, ზომა არის რ ადლი; ა ადლი ᲭᲤ (ხუთი მინალთუნი და ათი შაური).
ᲟᲕᲫᲜᲜ (ოთხმოცდა თექვსმეტი თუმანი, სამი მინალთუნი და ხუთი შაური)	ქ. რომ არის სამი კალმის თქვენი მოცემული საქონლის ფასი . ჯამია.

ქ. ეს ზემო ნაწერი ბატონთან ანგარიში რომ ნახევდე, როგორც შაიძლოთ მეტათ ან ნაკლებათ. მერე ოთხმოცის თუმნისა რაც მოემატოს, ჩვენ უნდა მოგვაბარო და სხვა დავშთები მდაბალი მონა

მინას თარხანოვი.

ქ. როგორც ამისი პირი ჩემთან არის თქვენი ხელმოწერილი.

[1] აქ მოსდევს ხელრთვა ხვეულად, არ იკითხება.

141. 1792 წლ. იანვრის 1. საწინდრების მიბარების წიგნი, მიცემული ზაალ ამირეჯიბის მიერ ლუარსაბ მურვანიშვილისადმი. დედანი. ზომა 17×9,6 სნ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 5787 Hd.

ქ. მამებარა მე, ამირეჯიბს ზალს, ჩემი საწინდრები მურვანიშვილის ლუარსაბისაგან, თ(ა)ვისი თეთრი ათი თუმანი მთლათ. არის ამისი მოწამე ბაბუკიძე სვიმონა, ნა..ნიაშვილი ბეჟან.

იანვრის ა, ქორონიკონს უპ. 480+1312 = 1792 .1.I

ზალ

142. 1792 წლ. მარტის 24. სასამართლოს განაჩენი არუთუნ შერმაზანაშვილისა და საყვარელიძის ვალის საქმეზე. ზომა 22×9,7 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ხანმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 5353 Hd.

ქ. არუთუნ შერმაზანაშვილსა საყვარელიძის ერთი თუმნის თამასუქი ქონდა თორმეტი წლის სარგებლით, მოვიდენ და ილაპარაკეს ბატონს აღათანგი ხერხეულიძესთან, მამუკა უნაძესთან, კენჩხაძე(?) გაბრიელთან, კენჩხაძე(?) სვიმონთან. მე, ამირაღ(ა)შვილი ოსეფაც, ამათ ვახლდი. ვილაპარაკეთ. საყვარელიძე ერთს თუმანის ს(ა)ია(ა)ულოს ედავებოდა. ამაში გავშინჯეთ, არუთუნს თამასუქი ორი თუმნისა ხ(ვ)დებოდა. ჩვენ ამის მეტი ვერ შევატყვეთ, რომ საყვარელიძემ აიღოს არუთუნს და თავისი მთავნი ერთი თუმანი მისცეს და არუთუნს საყვარელიძესთან არც ერთის ფულის საქმე აღარა ექნება რა. თვითონ არუთუნმაც თქვა, რომ შოშია ს(ა)ია(ა)ულოს მედავებოდა. მე, ამირაღაშვილს ოსეფს, დამიწერია ამათს ბრძანებით, მოწამეცა ვარ.

დაიწერა მარტის კდ, ქკს უპ.

სხვადასხვა ხელით:

ქ. მე, ხერხეულიძე აღათანგი, ამ სამართალში დავესწარ, ასრე გადაწყდა. [illegible] [1].

ქ. მე, უნაძე, მეც ამ სამართალში მოსამართლებს ვახლდი, ეს ჩემი ხელია. +

ქ. მე, გაბრიელ, ამ სამართალში ვახლდი.

---

1 ქართული მურის ბეჭედი, არ იკითხება.

143. 1792 წლ. მარტის 27. თამასუქი, მიცემული ვახტანგ ყაფლანის-შვილის მიერ; იოსებ თუმანის-შვილისადმი. ახალი დროის პირი, გადაწერილი ჩვეულებრივ რვეულის ფურცელზე შემდეგი შენიშვნით: „ვალის აღების წიგნი“ [ზომა] 19×11 სმ; დაწერილია ლიბრ ქაღალდზე ნუსხა მხედრული ხელით. ნიშნებად ნახმარია თითო წერტილი. ბეჭდისა და ხელის მოწერის ადგილები ამოხეულია. 1792 წ.“
საქ. სახ. მუზ. № 11327 Hd.

ქ. კიდევ ავიღე თქვენ, ბატონის მდივნის თუმანის-შვილის იოსებისაგან, მე, ყაფლანის-შვილმა, ორი თუმანი ახალი ზარაფხანის თეთრი ოთხი დანგიანი. იქნება ამის ნახევარი ̅ (თუმანი) ამდენი. რაც ჩემს ხელთ დაყოს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო. ამა ორის თუმნით შეიქნა ჩემზე ვალათ ორმოცდაორი თუმანი, ჩემზედ არის. როგორათაც იმ სხვას თამასუქებში სწერია, იმ სიტყვით და იმ პირობით ეს ორი თუმანიც ამიღია. ეს თამასუქი ჩემი ხელნაწერი არის და ყაბულიც მაქვს ამის.

იანვრის იე, ქკ̅ს უპ. [ ][1] ბეჭედიც ჩემი არის და ხელიც მე ჩავრთე.

ქ. მე, მდივანს დიმიტრის, ჩემს ძმებს იმ თამასუქის თავნი და სარგებელი გასწორებული მომბარდა. ეს თამასუქი ბათილი არის. მარტის კზ, ქკს უპ.

144. 1792 წლ. ივნისის 1. თამასუქი, მიცემული ოქუანთ ანტონას მიერ ონოქას-შვილი მერაბ-აღასადმი. პირი. ზომა 22×18 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 411 Sd.

ქ. ავიღე მე, ოქუანთ ზურაბას შვილმა ანტონამ, თქვენ, შენდობილი ინოქას-შვილი ბატონი მერაბ-აღასაგან, ხუთასი დანა ალთმიშული (sic) ოსმალოს სიქა, რომ იქს ამისი ნახევარი სნ ამდენი დანა. ამ ქვემო თარიღიდან რაც ხანს ჩემს ჯელთ დაყოს, თვეში ას ალთამიშულზე ერთი ალთამიშული სარგებელი მოგცე. როცა შენი თეთრი ითხოვო, საცა ვიყო, თავნი თუ გავლილი სარგებელი ბეუზურად მე, ანტონამ, ან ჩემ(მ)ა ურდუნომ მოგცეთ შენ, მერაბ აღას, ან შენს ურდუნოს. მე თითონ, ანტონის, დამიწერია და ეს ჩემი ჯელია და ბეჭედია.

დაიწერა ხოის, თიბათვის დამდეგს, ქ̅კს უპ. [ბეჭდის ალაგი][2]

ქ. ანტონას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ ბაღდადან ზურაბას-შვილი სტეფან. [ბ ჭ / ა ლ][2]

ქ. ანტონას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ მე, კიკუანთ სტეფანას შვილი აღა +.

---

[1] ბეჭედი.

[2] შემოხაზულია ოთხკუთხედი წარწერით: „ბეჭდის ალაგი“.

ქ. ანტონას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ მანდენაათ აღას შვილი სტეფანა. +

ქ. ანტონას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ მე, თალელი აბელ.

145. 1792 წლ. ივლისის 1. თამასუქი, მიცემული ტერ-შმოვანანთ აღას მიერ ყორღანას-შვილი ოსეფასადმი. დედანი. ზომა 23×18,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 769 Qd.

ავიღე მე, ტერ-შმოვანანთ ოვანას შვილმა აღამ, შენ, ბედნიერი მდედოფლის (sic) მილახვარი ყორღანას-შვილი ·ბატონის ოსაფესაგან, ორასოთხმოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხი დანგიანი სირმა აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი რბ (140 თუმ.) ამდენი. ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორშაური სარგებელი მოგცე. როცა შენი ზემო მაბლაღი მოიმდომო (sic), თავისის გავლილის სარგებლითა ბეჰუზურათ მოგართო თქვენ, ბატონს მილახვარს, ან თქვენს ურდნოს მე, აღამ, ან ჩემა ურდნომ. ოზრი არ მოვიტანო, ბეჰუზურათ მოგართო.

დაიწერა ქალაქს მკათათვის ა, ქკ-ს უპ. მე, თითონ აღას, დამიწერია და ამღებიცა ვარ, ეს ჩემი ხელია და ბეჭედი[1].

სხვა ხელით: ჩემი ძმა აღას სიტყვით მოწამე ვარ ყოვლათ ცოდვილი ტერ-გრიქურა[1].

სხვა ხელით: ზემო ჩემს ძმისწულ აღას სიტყვით მოწამე ვარ ტერ-შმოვანას შვილი სტეფანამა.[1]

სხვა ხელით: ქ. მამიჩემის მოცემულის ამ თამასუქის ყაბული მაქვს, ბანდა იოვანე. იოვანე[2].

სხვა ხელით: ქ. მამიჩემის მოცემული ამ თამასუქის ყაბული მაქვს, ბანდა ზურაბ. ზურაბ[2].

სხვა ხელით: ქ. ზემო ნაწერის მოწამე ვარ ჩემი ძმა აღას სიტყვით, ბანდა აბელ.

სხვა ხელით: ქ. ბატონი აღას სიტყვით ამ თამასუქის მოწამე ვარ მე, ვანქის ტერ-ყაზარამ.

146. 1792 წლ. ოქტომბრის 1. თამასუქი, მიცემული გულულანთ სტეფანას მიერ მდივანი მანუჩარისადმი. პირი. ზომა 17×10,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახმარია წერტილი ან მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 3843 Hd.

ქ. ავიღე მე, გულულანთ პაპას შვილმა სტეფანამ, შენ, ბატონი მდივანი მანუჩარისაგან, ოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხი დანგიანი სირმა აბა-

[1] მურის ბეჭედი ამოგლეჯილია.

[2] ხელრთვა.

ზი, რომ იქნა ნახევარი ᾶ (ათი თუმანი) ამდენი. მოგეცი ამის გირაოთ ჩიგიანთ სამოცი თუმნის სახლის გირაოს სანათი და დედის ჩემის ნახევარი დუქანი სარაჯ-ხანაში, რომ იმის ნახევარი იოსებ მდივნისა არის. ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ჭელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორი 'ბაური სარგებელი მოგცე. როცა შენი თეთრი ითხოვო, თავის გავლილის სარგებელით უმიზეზოთ მოგართო და ჩემი გირაოები მე დამანებო. მე, თითონ სტეფანამ, დამიწერია და ამღებიც ვარ. ეს ჩემი ჭელია და ბეჭედი. დაიწერა ღვინობისთვის დამდეგს, ქკ᾽ს უპ.

ქ. ბატონი სტეფანას სიტყვით მოწამე ვარ ტერ-შმაონაშვილი სტეფან.

ქ. ბატონი სტეფანას სიტყვით მოწამე ვარ ფითოანთ ისაიას-შვილი აღა.

ქ. ასლისაგან უმეტნაკლებოდ გადმოვწერე ციხის დიდის ეკლესიის დეკანოზი ტერ-არაქელ. [1]

გ ა ნ ი ს ა შ ი ა ზ ე ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: ასლთან თანასწორია ეს სავადი,
გურგინ ბეგოვ სტეფან.
სტეფან [2]

147. 1792 წლ. ოქტომბრის 15. თამასუქი, მიცემული მ ე თ ე ვ ზ ე ა ღ ა ლ ო ა ს მიერ ბ ა შ-ბ ე უ ქ ა თ ა მ ა ზ ა.ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 20,5×16,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 857 Qd.

ქ. ავიღე მე, მეთევზე მელოას შვილმა აღალოამ, შენ, ბაშბეუქათ ამაზა-საგან, ათი თუმანი ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი სირმა აბაზი, რომ იქ-ნება ამისი ნახევარი ᾶ (ხუთი თუმანი) ამდენი. არის ამისი გირაოთ ჩემი კვიდრი სახლი თავისი შესავალითა. დღეს იქით არა მე სახლის ქირა ვითხო(ო), არც შენ თეთრი(ს) სარგებელი მოგცემდე. როცა შენი თეთრი ითხოვო, შენი თეთრი გა-ურჯელათ მოგცე, ჩემი სახლები მე დამანებო. რაც გასაკეთები გასაკეთი მო-უნდეს და ზარური, ჩემის ხარჯით გავაკეთო. ღ᾽თნ წინაშენ, ჩვენი პირობა ეს არი. არის ამის მოწამე თავათ ღ᾽თი. კაცთაგან გერმანოზის-შვილი დავითა, ანბარდარი ქიტესა და შერგილანთ არაქელას შვილი სარაიდარი ისაიამ. მე, ყაფადარის გევურქას, დამიწერია აღალოას თამაზას სიტყვითა, აღალოას დე-დის სიტყვით, მოწამე ვარ. [გევურქ] [3].

ამისი დაიწერა ესე თამასუქი ღვინობისთვს იე, ქ᾽კს უპ.

---

[1] ბეჭედი სომხური წარწერით.

[2] ხელრთვა.

[3] მურის ბეჭედი.

148. 1792 წლ. ახლ. ანგარიშის წიგნი ციხის თავის გიორგი (თუმანიშვილისა). დედანი. ზომა 40,5 × 17,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3652 Hd.

ქ. ციხის თავის გიორგის ვალი ამას ქვეით დაიწერება:

+ ბ ქ. ჩარუხაშვილი ამირხანასი მართებს ორი თუმანი. მე მივეც[1].

+ ა ქ. შიუკას-შვილი ბერუასი მართებს ერთი თუმანი. მე მივეც.

+ ა ქ. ფოციაურისა მართებს ერთი თუმანი. მე მივეცი.

+ ჰ ქ. აქუას-შვილი ტერ-საკასი მართებს ხუთი მინალთუნი. მე მივეც.

ცქ ქ. პაპუასი მართებს ცამეტი აბაზი. მე მივეც.

ა ქ. ტერ-მოსესასი მართებს (ერთი თუმანი). ვისგანაც თითონ აუღია, გირაო აქვს.

+ ჩ ქ. ხუთასის თავის ზაზასი მართებს ხუთი აბაზი. მე მივეც.

ქ. მწყნეთელი პეტრესი მართებს სამი აბაზი ბიჭის ჩოხისა. ამისი ჩემა რძალმა თქვა: „მე მიმიცია“.

ქ. ღ᾽თის წინაშენ, ღ᾽თ ვფიცამ ჩემს განკითხვის დღეს, რომ ჩემს ოჯახსა ერთი მარცვალი არ ურევია. ჩემი უბედური მეუღლისა მართებს ოცდა თოთხმეტი კოდი პური. ვალათ ამიღია და მიჭამია და დამიხარჯამს. ამაში მიმიცია სამჯერ პური კოდი სამოცდათოთხმეტი.

+ ძფ ქ. ოთარას დისა მართებს სამი და ათი შაური. მივეც მე.

ძყ ქ. ტერ-საკასი მართებს ცხრამეტი აბაზი. ამისი ჩემა რძალმა თქვა: „მე მიმიცია“.

+ ა წრნ ქ. ჩემს ძმას ნიკოლოზასა მართებს თოთხმეტი მინალთუნი და სამი შაური ცხენისა. ისევ ცხენი აუფვანია. იმისი წილიც თან მიუღევნებია.

ქ. ალაპაპას-შვილი სტეფანასი მართებს ხუთი კოდი პური, რომ ჩემი თამასუქი აქვს. ამის ჩემა რძალმა თქვა: „ნიკოლოზს ჩემის წილის ალალიღამ მივაცემინე“.

ქ. კირაკოზას უნდა მიეცეს ამ კალოზედ თორმეტ კოდ-ნახევარი, რომ ჩემი ხელთნაწერიცა აქვს. ამისთვისაც ჩემს რძალს მიუცია ჩემის მოსავლის პურისა.

+ ა ჰ ქ. იორამასი მართებს საჯამაგირო თხუთმეტი მინალთუნი. ამას ხარი მივე.

ჰ ქ. ჩემი ბიძაშვილის ზურაბისა მართებს ხუთი მინალთუნი. ამაში ლაბანჩა(sic) წაუღია.

+ ჰ ქ. თეთრუასი მართებს ხუთი მინალთუნი. მე მივეც.

---

[1] სხვა შრიფტით აწყობილი ყველა შემდეგ არის მიწერილი დედნისაგან ოდნავ განსხვავებული ხელით და მელნით.

+ ჩს ქ. თამაზასი მართებს ესტატე მღდლის ქვისლისა (ექვსი აბაზი)[1]. მე მივეც.

+ ლვ ქ. ნაზირის ცოლსა მართებს ორი თუმანი და ხუთი აბაზი, რომ პური მიყიდნია, ზოგი დამიხარჯამს, ზოგი ორმოში ჰყრია. ოცდა თექვსმეტი კოდი და ნახევარი უნდა მიეცეს. ეს თავნი არის. როგორც გაზაფხულზედ სა(ა)ხლოთ გაჩნდება, ოცდა თექვსემეტი კოდ ნახევარისა თავის სარგებლით უნდა მიეცეს, რომ დარჩომილი პური მე მინდება. ესეც ჩემს რძალს მიუცია ჩემის მოსავლის პურიდამ.

ქ. მის უმაღლესობას მეფეს ჩვენთვის მოასილობა ებძანა საქვეყნოსი: ზალ დავითის-შვილისათვისა, შანმე მილახვრისთვინა და მე, სულხან მდივნის შვილი გიორგისათვის. წავედით და თქვენი სამსახური აღვასრულეთ. ესენი თეთრს ხარჯამდნენ, მე გამოცდილება არა მქონდა და ვერას ვხარჯამდი. უძოს რომ აბძანდი, ედოფალი შეუძლოთ ბრძანდებოდა, სალოცავად რომე (ა)ბძანდით, იქ არზა მოგართვი. ეს არზა იყო, რომ ერთი ოქმის წყალობა გებოძათ მოხელებზედ, რომ ჩვენი მოეცათ, რაც თქვენი წყალობა იყო. თქვენგნივ ოქმი გვებოძა მოხელებს: „ოცის თავი მიეცით“. მოხელებმა ოცის თავი მოგვცეს. ამხანაკებმა ჩვენთვის ვიანგარიშეთ. ჩემი დაედვა შანშეს ჩვიდმეტი მინალთუნი და ოთხი აბაზი. უთხარ: „ძმაო მამეცი, მეც შენთან მამკვდარვარ“, მე ვთქვი. ადგა, თამასუქი დამიწერა და მამცა. ის დღეა და ეს დღე არის, ველარ გამამიტანებია რა. რამთონჯერ ვთხოვე, მატყუა. შანშე ამასაც ამბობს: „დოთის-შვილს ბერუასთან გირაოები ქონდა, ამისი ან თეთრი ან გირაოები რა იქნა?“ მივედი, დოთას-შვილს უთხარ: „გირაოები რომ გქონდა, ის თეთრი რა უყავ?“ დოთას-შვილმა შანშეს ყაბზები მამცა, რომ შანშეს წაეღოო. ის ყაბზები უზურში ჩემთან გახლავთ. ის თეთრიც სამთავ სანახევრო იყო. ისიც საკუთრივ იმან შეჭამა. ეს რაც დამიწერია, სწორე და ჭეშმარიტია. ჩემი ახი და ჩვიდმეტი მინალთუნი და ოთხი აბაზია. ეს ალალ ახათ უნდა მამცეს.

+ ნ ქ. ესტატე დეკანოზს წლის შაბათს საწირავათ მივე (1 თუმ.).

+ d ქ. ღოლოვნელს ღვდელს ათის საწირავისათვის (3 მინალთ.).

---

[1] მთელი ეს § განსხვავებული ხელით და მელნითაა დაწერილი.

149. 1793 წლ. მარტის 1. თამასუქი, მიცემული ლომინანთ ონანას მიერ დედოფლის ფარეშისადმი. დედანი. ზომა 22,5×18 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 10360 Hd.

ქ. ავიღე მე, ლომინანთ გიორგის შვილი ონანა, შენ, ბედნიერის დედოფლის ფარეშისაგან, ათი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ახალი თეთრი, რომ იქს ნახევარი ე (5 თუმ.) ამდენი. ამ ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე. და მოგეცი ამ თეთრის გირაოდ ჩემი სახლები, რომ მე შიგ ვდგავარ ის სახლები და, ღთ<ნ გვაშოროს, თუ რომ ჩემ თავს ერთი რამ ჯუქამი მოვიდეს, ჩემ(მ)ა შვილებმა შენის თეთრის პასუხი მოგცენ. და თუ გაქსარჯო, სამდევნო და საიასაულო მე, ონანამ, გავიღო. არის ამისი მოწამე ფეთხაინის ეკლესი(ი)ს დეკანოზის შვილი ტერ-სტეფანე |___|[1], არღუთაშვილი ფარსადანა. და მე, ციხის დიდის ეკლესიის დეკანოზი ტერ-არაქელას შვილს გასპარას, ზემოხსენებული ონანას სიტყვით დამიწერია და მოწამეც ვარ.

დაიწერა მარტის დამდეგს, ქკ<ს უპა. გასპარ[2]

150. 1793 წლ. აპრილის 7. მუჩალგის წიგნი, მიცემული იასე მიქელაძის მიერ ნიკოლაოზ თუმანის-შვილისადმი. პირი. ზომა 12×10 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 429 Sd.

ქ. ესე მუჩალგის წიგნი მოგართვი შენ, ნიკოლაოზს თუმანის-შვილს, მე იასე მიქელაძემ: ექ(ვ)სი მინანთული (sic) აღდგომის სამშაფათს მოგართო თუ იმას გადასცდეს, მაგ თამასუქის სარგებელიც მოგართო. მე, ზაბილონის-შვილს სფირიდონს, დამიწერია ამ იასეს სიტყვითა და მოწმეცა ვარ.

აღიწერა აპრილის ზ, ქკ<ს უპა.

სათაური სხვა ხელით: მიქელაძის თამასუქები.

151. 1793 წლ მაისის 3. წერილი ლევან აბაშიძისა მამუკელა ღამბაშიძისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 8,5×8,1 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 11809 Hd.

ქ. აბაშიძე ლევან სიყვარულით მოგიკითხავ ღამბაშიძე მამუკელა. მერმე, რახანც ასე სალაპარაკო შეიქმნა ამ ფულის საქმე, სხვაც არის შენი ჩემ-

[1] სომხური ბეჭედი.
[2] ხელრთვა.

ზე. ამ ხუთს მილანთულსაც (sic) მე მოგცემ. ან საქონელს მოგცემ, ან ფულს. ამ გამგებელზე ხელი აიღე. მაისის გ, ქკს უპა. ლევან.

152. 1793 წლ. ივნისის 1. თამასუქი, მიცემული ნიკოლოზ და ამიღამბარ ციციშვილების მიერ გიორგი ციციშვილისადმი. დედანი ზომა 16×13 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 13700 Hd.

ქ. ავიღე მე, ციციშვილმა ნიკოლოზ და ძმამან ჩემა ამიღამბარმა, თქვენ, ბატონი ჩემის ბიძაშვილის ციციშვილის გიორგისაგან, ათი თუმანი ქალაქის თეთრი. ამის გირაოთ ჩვენი წილი დოესი მოგვირთმევია. რაც ხანმა ამ თეთრმა ჩვენს ჯელთ დაყოს, თუმნის თავს ორშაური სარგებელი გაძლიოთ თვეში.

დაიწერა მკათათვის ა, ქკს უპა. მე, ნაზირს როჭიკაშვილს, დამიწერია მათის ნებაყოფლობითა.

ასე გარდასწყდა. [1]

153. 1793 წლ. ივლისის 10. თამასუქი, მიცემული თუმანიშვილი მდივანი სულხანის მიერ ტერ-მოსესაშვილი ზურაბისადმი. დედანი. ზომა 20,5×12,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი. საქ. სახ. მუზ. № 410 Sd.

ქ. უნდა მოგცე მე, თუმანიშვილმა მდივანმა სულხან, შენ, გორელს ტერ-მოსესაშვილს ზურაბას, ჩვიდმეტი თუმანი ხარაფხანის აბაზი, იქნება ამისი ნახევარი ⓪ ჯ (8 თუმანი და 5 მინალთუნი) ამდენი. ქვემო თარიღიდამ სამი თვე ვადა. ვადაზე შენი თეთრი ულაპარაკოდ მოგაბარო. ეს ჩემი ჯელი და ბეჭედი არის.

მკათათჳს ი, ქკს უპა. [2]

ქ. თუ ვადას გასცილდეს, თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე. [3]

ქ. ზურაბა ტერტერაშვილო, ამ მაისის ოცს ჩამოხველ და ამ თამასუქის თეთრი მთხოვე. ამ ჟამად თეთრი არ მქონდა, რომ მომეცა. ღთით გიორგობის თვეში მოდი და ამ თამასუქის თავნსა და სარგებელს უკლებლად მოგაბარებ.

მაისის კ, ქკს უპბ. [4].

---

[1] ორი ბეჭედი.
[2] მურის ბეჭედი, შუაში ამოგლეჯილია, იკითხება: „მონა ღვთისა თუმანის-შვილი მდივანი“
[3] მურის ბეჭედი, შუაში ამოგლეჯილია, იკითხება: „მონა ღვთისა თუმანის . . . მდივანი“
[4] მურის ბეჭედი, შუაში ამოგლეჯილია, იკითხება: „მონა ღვთისა თუმანის-შვილი მდივანი“

154. 1793 წლ. ნოემბრის 1. არსა ქაიხოსრო და ევგენი აბაშიძეებისა ერეკლე II-ისადმი ჩხეიძეთა დავალიანების თაობაზე. დედანი. ზომა 21,5×17 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 9C00 Hd.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჭელმწიფის ჭირი აბაშიძეს ქაიხოსროსა და ევგენს მოგვცეს!

მერე, ჩვენო ჭელმწიფევ, სამჯერ-ოთხჯერ თავი გვიწყენია და მოგვიხსენებია: ჩხეიძე თეიმურაზსა და ჩხეიძე როსტომს ჩვენი თეთრი მართებს. რომ თამასუქი ხელთ გვიჭირავს. მაშინ ღმერთის წყალობა და შენი წყალობა მე მქონდა, იმას ეჭირვებოდა და ვასესხე. ახლა მე ავანტყოფი გახლავარ და მეჭირება. თქვენი გარისხებული მოვკვდე, თუ მე შეშის ფასი მქონდეს. იმას ეხლა ოცდაათი თუმანი მოქონდა ყაზახიდამა და შვიდი სული ხარი და ძროხა თითვან როსტომსა და ერთი თუმანი არ მამცა. ერთი ოქმი და იასაული მიბოძეთ, რომ ჩემის პასუხი გამცეს. და თუ იმას სიტყვა ქონდეს რამე, შვიდეულათ მიმაცემინეთ და თქვენც საუპატიო გადამახდევინეთ. ყოველთვინ თქვენ როგორ გაწყინოთ თავი და შეშის ფასი გთხოვოთ. ქრისტემ გადაგიხადოს დ(ა) შეგძსღვნას (sic) მაგიერი, რაც შენი მოწყალება ჩენზედ არის. გიორგობის ა, ქკ^ს უპა.

სხვა ხელით:

ქ. ჩვენი ბძანება არის, ციციშვილო მინბაშო გოგიავ! მერე ამ არზით აბაშიძე ქაიხოსრო და ევგენ რომ ჩხეიძეებს ასე უჩივიან, როგორც იმათს მოცემულს თამასუქში უცხადებდესთ, ამათ ჰახყი თავის სარგებლით გამოურთვი უკლებრად და მოეც. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, ახლავ ჩკენს სამართალში ალაპარაკე. ნოემბრის გ, ქკს უპა. ერეკლე [1]

155. 1794 წლ. თებერვლის 1. ბარათი ერეკლე II-ისა ბაღდასარ ყალუაშვილისადმი ისაია თაყუაშვილის ვალის გადახდის შესახებ. დედანი. ზომა 15×18 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედურული ხელით. განკვ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 803 Qd.

ქ. ყალუაშვილო ბაღდასარ, ჩვენის მოსაცემის თეთრიდამ თაყუაშვილს ისაიას თავის ვალის თანახმად ორასორმოცდახუთი თუმანი მოეც. იქნება ნახევარი რკბ ჭ (122 თუმ. და 5 მინალთ.) ამდენი. რომ მოსცე, ყაბზი მოაწერინე. თუ ამ თარიღისა სხვა ამისი ბარათი გამოჩნდეს, ბათილია.

ფებერვალს (sic) ა, ქკს უპბ. ერეკლე [2]

---

[1] მურის ბეჭედი.
[2] მურის ბეჭედი.

156. 1794 წლ. თებერვლის 15. ბარათი მინბაში გიორგი ციცის-შვილისა მამასახლისს ხვარბალაძეს თეიმურაზ ჯავახის-შვილისათვის ფულის მიცემის შესახებ. დედანი. ზომა 21,6×8,5 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5509 Hd.

ქ. გიორგის ციცის-შვილის მინბაშის იმედო, ხვარბალაძე მამასახლისო, მერე მე რომ ერთი თუმანი რომ მომართვი, ოთხი მინათული (sic) ხომ მე დავხარჯე. ეგ ექვსი მინათული ჯავახის-შვილს თეიმურაზს მიართვი[1] ახლავე. ამისი მოუცემლობა არ იქნება. თუ ვისთვისმე მიგეცეს, ისევ უკან გამოართვი, ამას ეგ ექვსი მინთული (sic) ახლა მიართვი. ღთისმაცა(sic).

ფებერვლის იე, ქკს უპბ. [2] მინბაში გიორგი

157. 1794 წლ. მარტის 1. თამასუქი, მიცემული ასლანა სიმონას-შვილისა და სოღროანთ შაქაროას მიერ გორჯასპი მდივნის ქალის მაიასადმი. პირი. ზომა 22×17 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3852 Hd.

ქ. ავიღე მე, ოქრომჭედელი სიმონას-შვილი ასლანამ და სოღროანთ ოსეფას-შვილმა შაქაროამ, შენ, გორჯასპის მდივნის ქალის მაიასაგან, ორმოცდაათი თუმანი სირმა ქალაქის ზარაფხანის ოთხი-დანგიანი აბაზი. იქს ამისი ნახევარი კ̄ (25 თუმანი) ამდენი. ამ ქვემო თარიღიდამ ექვსი თვე ვადა. ექვს თვეს უკან შენი თეთრი გაურჯელათ მოგცეთ. თუ ექვს თვეს უკან ვერ მოგცეთ, თუმნის თავს თვეში ორი შაური სარგებელი გაურჯელათ მოგცეთ. როცა შენი თეთრი ითხოვო, რომელიც ჰუზურში ვიყვნეთ თუ შენ, თუ შენს ურდუნოს, თუ ჩემს ურდუნოს გაურჯელათ მოგცეთ თავის ანგარიშით. თუ გაქსარჯოთ, სამდივნო და საიასაულო ჩვენ გავიღოთ.

დაიწერა მარტის ა, ქკს უპბ. მე, სოღროანთ ოსეფას-შვილი შაქარამ, დამიწერია და ყაბულიც ვარ, ეს ჩემი ჭელია +. მე, ოქრომჭედელი სიმონას-შვილი ასლანამ, ზემონაწერის ყაბული მაქვს, ეს ჩემი ჭელია +.

ამ თამასუქის ასლი ვნახე, მისი თანასწორი ეს. სავადი გადმოვწერე, ულირსი მიღდისი ტერ-სიმეონ მოღნინისა. ქ. სავადი ასლთან თანასწორე ვნახე, აღა ფითუნოვ. ქ. ეს სავადი ასლთან თავასწორე ვნახე, თაყოაშვილი[3].

სხვა ხელით:

---

[1] დედანში: „მეართვი".
[2] ქართულ-სპარსული თუ თურქული მურის ბეჭედი.
[3] ხელრთვა.

ქკს უპდ, იანვრის ზ შვიდს ამ თამასუქის თავნში ასლანასაგან და გრიქურასაგან ოცი თუმანი ქალაქის თეთრი მამებარა მე, მანუჩარ მდივანს.

ქ. ამ თამასუქის თეთრი ჩემის დის მაიასთვის მე, მანუჩარს, მიმიცია და ეს თამასუქი ჩემია, იმას საქმე არა აქვს რა. მარიამობისთვის გასულს, ქკს უპბ.

158. 1794 წლ. მარტის 1. თამასუქი, მიცემული ა ბ ი ს ა ლ ა მ ა ნ თ ა ბ ე ლ ა ს ა და შ ა ქ რ ო ა ს მიერ ქ ე ო ხ უ დ ა ნ თ ო ს ე ფ ა ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 22×17,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 860 Qd.

ქ. ავიღეთ ჩვენ, ორთა ძმებმა აბისალამანთ ბაინდურას შვილებმა აბელამა და შაქროამა, შენ, ქეთხუდანთ დავითას შვილი ოსეფასაგან, ოცი თუმანი ქალაქის ოთხი დანგიანი ზირმა (sic) აბაზი ზარაფხანისა, რომ იქს ამისი ნახევარი ̄ (10 თუმ.) ამდენი. ამ ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თუმნის თავს შაურ-ნახევარი სარგებელი გაძლიო. როცა შენი თეთრი მოინდომო, რომელიც უზურში ვიყოთ, გაურჯელათ მოქცეთ. დაიწერა ესე სანათი მარტის ა გასულს, ქკ̄ს უპბ.

ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: ქ. ამ სანათისა მე, აბელამ, ყაბული მაქვს, ეს ჩვენი ვალი არის |___|[1]. ქ. მე, შაქარუამ, წიგნი არ ვიცოდი, სხუას დავაწერინე, ჩემი ყაბული არის |___|[2]. მე, ოანეზ, დავწერე. ქ. მე, უსტისეანთ საფიქ(?) ბეეან(ა)ს ძე ანტონამ, აბელას ყაბულობით და შაქაროას ყაბულობით დამიწერია და მოწამეც ვარ ამ სანათისა. ანტონ[3]

ქ. აბელას და შაქარუას სიტყვით ამა სანათის მოწამე ვარ ავეტიქანთ არუთინას შვილი ოჰანეზამა |___|[4].

159. 1794 წლ. მარტის 1. თამასუქი, მიცემული პ ე ნ ტ ე ლ ა ნ თ მ ი ქ ე ლ ა ს ა და გ ა ბ რ ი ე ლ ა ს მიერ ვ ა ნ ქ ი ს დ ე კ ა ნ ო ზ ი ს ტ ე რ-პ ე ტ რ უ ზ ა ს ა დ მ ი. პირი. ზომა 20,5×16 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3773b Hd.

ქ. ავიღე მე, პენტელანთ გიორგის შვილმა მიქელამ და ძმამა ჩემ(მ)ა გაბრიელამ, შენ, ვანქის დეკანოზ ტერ-პეტრუსაშვილი ტერ-პეტრუზასაგან, ორ-

[1] ქართული მურის ბეჭედი.
[2] ბეჭედი.
[3] ხელჩართული.
[4] სომხური მურის ბეჭედი.

მოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის რაიჯი თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი კ (ოცი თუმანი) ამდენი. და არის ამისი გირაოდ რომ მოგეცით ჩვენი ველაზედ პრასოანთაგან მოსყიდული ბაღი ჩვენი ორისავ ძმისა ორი წილი, რომ ჩვენს ძმას იოანეს ბაღს აკრავს; ორი კომლი ყმა ალიხანანთ ფარემუზას შკილები სიმონა და მიკრტუმა და გულულანთ მატიას შვილი პაპა. და გარეთ ბანში ჩვენ სახლს წინ რამდენიც ქოხები არის, ესენი იყოს შენთან გირაოდ ამ პირობითა, რაც ხანს ჩვენ ველთ დაჰყოს შენი თეთრი, თუმნის თავს თვე)) ორი შაური სარგებელი მოგცეთ. მანამ შენთან გირაოთ არის ეს მამულები, უშენოდ არც სხვასთან დავაგირაოდ და არც გავყიდოთ. როცა შენი თეთრი გვთხოვო, გაურჯელად მოგცეთ. თუ გაგსარჯოთ და გალაპარაკოთ, სამდიენო და საიასაულო ჩვენ, მიქელამ და გაბრიელამ, გავიღოთ... და არის ამისი მოწამე თავად ღ´თი და კაცთაგან ავეტიქანთ ისაია +, და თქვენი მეზობელი ნალჩაგარი გურგენა +, და მე, თითონ მიქელას, დამიწერია ჩემის და ჩემის ძმის გაბრიელას ყაბულობით და ბეჭედი არა გვქონდა და ჩემი, მიქელას, ველია. დაიწერა ესე სანათი მარტის დამდეგს, ქკ´ს უპბ. მიქელ.

ქ. მე, გაბრიელას, მიქელას ძმას, ამ სანათის ყაბული მაქვს. ეს ჩემი ველია.

ქ. მე, ნაზარბეგიანთ ოსეფა, მიქელას და გაბრიელას ყაბულობით ამ სანათის მოწამე ვარ. [ ][1]

ქ. ზემო მიქელას და გაბრიელას ილრაღით მოწამე ვარ მუნთოანთ მიკირტუმაშვილი ოსეფა [ ][1].

ქ. ამ სანათის მოწამე ვარ ფითოანთ ისაიას-შვილი აღა [ ][1].

ქ. მიქელას და გაბრიელას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ ავეტიქა(ა)ნთ არუთინაშვილი ოჰანეზამა. [ ][1]

ქ. მამებარა მე, ვანქის ტერ-პეტრუზას მეუღლეს მარიამსა, პენტელაშვილი მიქელა და გაბრიელასაგან ჩემი ვალის თანხაში თვრამეტი თუმანი ქალაქის თეთრი, რომ იქნება ნახევარი ѿ (9 თუმანი). ქკს უპდ, გიორგობის იᲂ. მე, ფრიდონ ყორღანაშვილს, დამიწერია მარიამის სიტყვით და მოწამეცა ვარ. ფრიდონ.

ამ თამასუქის ანგარიში ვქენით, დღევანდღემდესინ მოცემულიც შიგ გამოვედით თვრამეტი თუმანი და ჯამი სულ შეიქმნა ამ თამასუქისა ას ორმოცდა ერთი თუმანი და ექვსი მინალთუნი რმა ხ[2].

141000 600

160. 1794 წლ. აპრილის 1. თამასუქი, მიცემული ერასტი გოსტაშაბის-შვილის მიერ ფირღულანთ გოგიასადმი. დედანი. ზომა 17×21 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით.
საქ. სახ. მუზ. № 3517 Hd.

ქ. ავიღე მე, ერასტი გოსტაშაბიშვილმა უზბაშმა, შენ, ფირღულანთ ნაზარბეგიშვილის გოგიასაგან, ოთხი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხ დანგია-

[1] ბეჭედი.

[2] დედანში შეცდომით წერია რნა ხ.

ნი სირმა აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი ϩ (ორი თუმანი) ამდენი. ამ ქვემო თარიღიდამ რას ხანს ჩემს ხელს დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე. ამ თეთრის გირაოთ მოგე ჯოდაზედ მდგომი ჩემი ყმა გელიტაშვილი პეტრე თავისის ცოლ-შვილით ამ პირობითა: როცა შენი ზემო მაბლაყი თეთრი თავისის გავლილის სარგებელით მოინდომო, ბეუზურათ მოგცე. თუ ამაზე გალაპარაკო და შენი თეთრი არ მოგცე, ეს ჩემი ყმა გელიტაშვილი პეტრე თავისის ცოლშვილით რომ შენი გირაო არის, ამათგან ხელი. ამიღია, შენ გემსახურონ. სანამ შენი თეთრი თავის გავლილის სარგებლით არ მოგაბარო, მე ამ კაცთან საქმე აღარა მქონდეს. დაიწერა ეს სანათი აპრილის ა, ქკ^ს უპბ.

ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: მე, ერასტის, ამ სანათის ყაბული მაქვს, ეს ჩემი ხელი და ბეჭედია. [1]

მნა ღთისა ერასტი

დ ე დ ნ ი ს ხ ე ლ ი თ: მე, ზაქარია დეკანოზმა, ეს სანათი ერასტი უზბაშის ყაბულობით და სიტყვით დავწერე და მოწამეცა ვარ, აპრილის ა, ქკ^ს უპბ.

ზაქარია [2].

ს ა ბ უ თ ი ს მ ე ო რ ე (ც ა რ ი ე ლ) ნ ა ხ ე ვ რ ი ს უ კ ა ნ ა გ ვ ე რ დ ზ ე ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ დ ა მ ე ლ ნ ი თ:

ამ თამასუქის ფული იოანე ორბელიანის სიტყვით მომებარა დავით გოსტაშაბის-შვილისაგან სრულებით მე, პროთოდიაკონს ეგნატი იოსელიანს.

161. 1794 წლ. მაისის 1. თამასუქი, მიცემული ი ე გ უ ლ ა ნ თ გ ო დ ე რ ძ ა ს მ ი ე რ ჩ ი თ ა ხ ა ნ თ ს ტ ე ფ ა ნ ე ს ც ო ლ ი ს მ ა ი ა ს ა დ მ ი. პირი. ზომა 22×17 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი და მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 403 Sd.

ქ. ავიღე მე, ი ე გ უ ლ ა ნ თ გ ი ო ა ს შვილმა გოდერძამ, შენ, გორჯასპის მდივნის ქალი ჩითახანთ სტეფანეს მეუღლე მაიასაგან, ხუთი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხ დანგიანი სირმა აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი ϩ ϭ (2 თუმანი და 5 მინალთუნი) ამდენი. ამ ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩენს ხელთ დაყოს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო. როცა შენი თეთრი ითხოვო, ბეუზურათ მოგცე. თუ გაგსარჯო ან გალაპარაკო, სამდივნო და საიასაულო მე გავიღო.

მე, ნორაშნის წმინდა ეკლესიას ტერ-სა(ა)კას, ზემო გოდერძას სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა მაისის ა, ქკ^ს უპბ. გოდერძას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ ნორაშნის ტერ მელქისეთას შვილი ტერ გრიქურამ. [3]

---

[1] ბეჭედი.
[2] ხელრთვა.
[3] მელნით დასმულია ოთხკუთხედი უწარწეროდ.

162. 1794 წლ. მაისის 2. ანგარიში მელიქის-შვილისა და მანუჩარ მდივნისა. პირდ. ზომა 22,7×20 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 415 Sd.

ქ. მე, მელიქის-შვილმა, შენ, მანუჩარ მდივანთან, ანგარიში ვნახეთ: ქკ<ს უოთ—ქკ<ს უპა, ამ ორი წლის რასაც მოსაცემს ვიყავ და რაც დაგეხარჯა, ერთმანეთში გავედით და გამოვედით. დარჩა შენი ჩემზედ ჩვიდმეტი თუმანი და რვა-აბაზ-უზალთუნი, რომ იქს ნახევარი ᲗᲕᲔᲜ (8 თუმანი, 5 მინალთუნი და 17 შაური) ამდენი.

მაისის ბ, ქკს უბპ |___| [1].

ქ. ძმაო ბატონო გასპარ, მე, გეურქა, მოგახსენებ—ჩემი ცხრა თუმანი ამ თვის გასულს უნდა მომცე. ბატონი მანუჩარ მდივანს მიართვი ჩემ ვალში, ჩემი ყაბული მაქვს. მარტის ით, ქკს უპა.

ქ. ბატონო (მ)დივან(ო), ამ თვეში მე შეგისრულო. მე, გასპარამ, ამაში ახლავ მივეც ერთი თუმანი, კიდევ მივეც სამი თუმანი.

163. 1794 წლ. მაისის 2. წერილი მანუჩარ გორჯასპოვ (თუმანიშვილისა) იენუქას-შვილის მერაბ-აღასადმი მისი ძმის ვალის დაბრუნების თაობაზე. დედანი. ზომა 21×17 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8596 Hd.

ყოვლის სიკეთით სრულო და პატიოსნებით ჩინებულო ჩემო მწყალობელო მეგობარო!

კარგა ხანია რომ თქვენი ამბავი არ მომსვლია და მსურს თქვენი მშვიდობის ამბვის გაგონება. აქაურს ამბავს მოიხსენება—მშვიდობით გახლავან ყველანი, და სხვას ქვემოურს ამბავს ხომ მუდამ მანდედამ მოველით.

ამას წინათ წიგნები მოგართვი და აქაური ამბავი ყველა მოგახსენე. თქვენის ძმის კაკალასათვის ბატონი ჩემი სიმამრი აღა-სტეფანას ორასი თუმნის ბარათი რომ გამოვართვი და გავგზავნე, იმისი ვადა ხომ მარტის დამდეგს შესრულდა. ვადა რომ შესრულდა, ამ საქმეზე ორი წიგნი მოგართვი: ერთი პირველათ ქარავნით და მეორე ბატონი გურგინბეგანთ სტეფანას ხელით. და იმ ორის წიგნით ასე მოგახსენე: იმ ორასის თუმნის თანხას მანდედამ გამოგზავნი, თუ აქ გოგიას მოსწერთ, რომ ამან მამცეს, თუ აქ ვისაც თეთრი ჰქონდეს მანდ წამოსაღები, იმას გიმოვართო და მანდ თქვენ უბოძოთ? რომ ამის პასუხს როგორც თქვენ ინებებთ, იმას მუდამ მოველი. მაგრამ ახლა ბატონს ჩემს სიმამრს სტეფან-აღას თეთრი მოუნდა. მანდ ანშინანთ ბატონი

[1] მელნით დასმულია ოთხკუთხედი უწარწეროდ.

არუთინას კაცი იერემია გახლავს, იმას ხუთას-ექვსასი ალთმიშლული უბოძეთ და მიბარების ბარათი გამოართვით და აქ მე გამომიგზავნეთ. როგორც რომ თქვენ მამწერთ და რიგია, აქ ალთმიშლულს იმ ფასათ უანგარიშებთ. წყალობას ვითხოვ, რომ ამისი პასუხი და თქვენი მშვიდობის ამბავი მიბრძანოთ.

მდაბალი მანუჩარ გორჯასპოვი. ქკს უპბ, მაისის ბ.

ქ. ღვთით, ხუის კურთხეული იენოქას-შვილს ბატონ მერაბ-აღას მიერთოს.

ქ. ეს ის წიგნია, რომ მერაბ-აღას უკან დაებრუნებინა და თეთრი არ მიეცა.

164. 1794 წლ. მაისის 30. ჩანაწერი (უცნობი პირისა) ჯაჰვის დაგირავების შესახებ. დედანი(?). ზომა 10,6×4,6 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 5105 Hd.

ინ (12 თუმანი) ქ. ქკს უპბ, მაისის ლ, ხანუმა დალალს მივეცით დასაგირავებლად პტყელი ჯაჰვი მისხალი ჲ, ნაჭერი ორმოცდათორმეტი, თავისის გრგოლით.

165. 1794 წლ. ივნისის 1. თამასუქი, მიცემული ამირხანაანთ გიორგის მიერ დაბაღი სიმონასადმი. პირი. ზომა 36×25 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 691 Qd.

ქ. ავიღე მე, ამირხანა(ა)ნთ დავითას შვილმა გიორგიმა, შენ, დაბაღი ისაიას შვილი სიმონასაგან, ოცდა თხუთმეტი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხდანგიანი სირმა აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი ინ ჭ (17 თუმან-ნახევარი) ამდენი. მოგეცი ამისი გირაო ორთაჭალას მამის ჩემის ნასყიდი ბაღი თავისი სიგლითა. რომ ეს ბაღი ნახევარი ჩემი არის, ნახევარი ჩემი ძმისა. ეს ჩემი წილი შენთან იყოს გირაოთ. არც შენ თეთრის სარგებელი ითხოვო, არც მე ბაღის მოსავალი სანამდინ შენ ჭელთ იყოს. ამის გარდა კიდევ ავიღე თეთრი ოცდახუთი თუმანი სარგებლითა. თუმანი ორ შაურათ სარგებელი მოგცე ეს მაბლაღის თეთრისა. ბაღი იყოს შენთან გირაოთ. როიცა შენი თეთრი გირაოსი და სარგებლისა მოგცე, ჩემი ბაღი მე შომცე. დაიწერა ეს თიბათვის ა, ქკ-ს უპბ. მე, აბესალამანთ ოსეფას შვილი სტეფანამ, გოგიას სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. მე, ამირხანა(ა)ნთ ზურაბას შვილი ავეტიქა, ამ ზემო ნაწერის მოწამე ვარ გოგიას სიტყვით.

მოურავი მოსე	[1]	მამასახლისი ავეტიქ	[1]

[1] ბეჭედი.

მე, გოგია, ამ სანათის ყაბული ვარ, ეს ჩემი ხელია.

მე, ზაქარია, ჩემი ძმა გოგიას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ.

მე, გულამისანთ შაქარას შვილი ასატურა, გოგიას სიტყვით ამ სანათის მოწამე ვარ |___|[1].

ᲐᲧᲜ (1 თუმანი და 17 შაური) ქ. პენტელაშვილის იოვანეს ყმამ მეულაყე პაპამ უნდა მამცეს, რომ ნუხსა არის.

ᲮᲧᲜ (6 მინალთ. და 17 შაური) ქ. მეულაყე სეხნიამ უნდა მამცეს, რომ ნუხსა არის.

ᲭᲤ (5 მინალთუნ-ნახევარი) ქ. მეულაყე ანტონამ უნდა მამცეს, რომ ნუხსა არის.

ჩ (მინალთუნი)	ქ. ლაზარე მეულაყემ უნდა მამცეს.
ც (2 მინალთუნი)	ქ. მევირე ფარსადანას შვილმა უნდა მამცეს.
ᲂ̃ ჯ (3 თუმანი და 8 მინალთ.)	ქკ˝ს უპა, დოლა სარქისას შვილმა მოსესამ თეთრი უნდა მამცეს, რომ როგორც მიმიცია, ნუხსა (sic) არის, აგური ხუთ(ი) ათასი.
ᲂ̃ ჯრ (3 თუმანი, 8 მინალთ. და 2 შაური)	ქკ˝ს უოვ, ამ წლისა ყასაბ ასატურას შვილი დავითამ და როხროხაშვილმა იოსებამ ჩვენი სარგოს დანარჩომი უნდა მამცენ, რომ ბარათი მაქვს[1].
ᲂ̃[2]ჭფ (2 თუმანი, 8 მინალთ. და 2 შაური)	ქკ˝ს უოზ, ამ წლისა როხროხა-შვილმა იოსებმა ჩვენი სარგოს დანარჩომი უნდა მამცეს ᲂ̃ჭ ფ (2 თუმანი, 5 მინ. და 10 შაური). ქკ˝ს უოდ ბარათით ᲂ̃ (1 თუმანი).
ᲂ̃ძრ (13 მინ. და 2 შაური)	ქკ˝ს უოვ, ამ წლის საბეჭდავის სარგოს დანარჩომი მინდა ქართველი მიღდისაშვილი იოსებისაგან.
ᲂ̃ᲑᲮᲣ (12 თუმ., 6 მინალთ. და 2 აბაზი)	ქკ˝ს უოთ, ამ წელს როხროხაშვილის იოსებისაგან მინდა, თუ საბეჭდავის სარგო, თუ სხვისაგან შეპირებული ᲙᲔᲪᲡ (25 თუმანი და 11 აბაზი) ამდენი. ქკ˝ს უპ, ამ წელს თავის ბარათით მინდა Ე̃(5 თუმ.). იქნება ᲚᲪᲡ (30 თუმ. და 11 აბაზი) ამდენი. ამაში მოუცია ᲘᲖᲭᲣ (17 თუმ., 5 მინალთ. და 4 აბაზი) ამდენი. უნდა მამცეს.
ძ (3 მინალთ.)	ქ. ჩვენ თევდორეს ძმას ბერუასთან არის ტივის თეთრის დანარჩომი.
ᲖᲩᲢᲜ (7 თუმ., 1 მინალთ. და 7 შაური)	ქკ˝ს უოდ, ამ წლისა მეფემ გიორგიმ სამს კალმად ხავედისა და სეტკის[3] ფასი უნდა მამცე(ს).
Ე̃ (5 თუმანი)	ქ. შანშიაშვილი გიორგისაგან თავის მოცემულს თამასუქს გარდა ხელათ ანგარიშისა მინდა.
ᲐᲪ (12 მინალთ.)	ქ. ხარაზი დავითაშვილის ოსეფასაგან მინდა თეთრი და თორმეტი ადლი კარგი აბრეშუმის ჯეჯიმის პირი, რომ ანგარიშის ნუხსა არის[1].
ᲂ̃ ძ (3 თუმ. და 3 მინალთუნი)	ქ. ხერხეულიძე ომან ლაშქარნივისი ქორწილს რომ აპირობდა, იმ წლის ჩემი ჯამაგირი ᲘᲑ (12 თუმანი) ამდენი იმან ისესხა და დახარჯა. ამაში მამცა Ე̃ (5 თუმ.), კიდევ მამცა ᲐᲭ (17 მინ.), კიდევ მამცა Ბ̃(2 თ.), დარჩა რომ მოსაცემს არის[1].
ᲛᲗ (48 თუმანი)	ქ. ერთის სიით სანატრელს მეფეს ერეკლეს დანახარჯი ჰქონდა, რომ იმისი ერთიანი ბარათი ერევანზე მიბოძა. მაშინ ერევნიდამ არ მომეცა, ბარათი ისევ მივართვი და უნდა მებოძოს.

---

[1] ეს § გადახაზულია.

[2] „Ბ̃“ გადახაზულია, მის მაგიერ წერია: „ᲂ̃“ (სამი თუმანი).

[3] დედანში: „სვეტკის“.

ⵓⵀⵙ	(8 თუმ. და 6 აბაზი)	ქ. ა სიით მუხრან-ბატონის ყმას მიღდისი რევაზას თავის მოცემულს ⵉⵓ (12 თუმ.) ამდენის თუმნის თავნს და სარგებელში მოუცია.
ⵖⵢ	(6 მინ. და 4 აბაზი)	ქ. მირზა მიხეილს ნალბანდს ერთი ჯორი მივყიდე, ფასი ⵉⵛ (12 მინ.) ამაში მოუცია ⵃⵙ (5 მინ. და 1 აბაზი), დარჩება.
ⵓⵛ	(2 თუმანი და 18 შაური)	ქ. ბეზირგნის-შვილმა ოსეფამ უნდა მამცე(ს), რომ ანგარიშის ნუხსა (არის).
ⵓⵃ	(2 თუმანი და ნახევარი)	ქ.კ⸗ს უოზ, აპრილის ი უთამასუქოთ სარგებლით მივე, თუმანი თვეში რ (2 შაური). რაც ამის სარგებელში მოუცია, იმისი ნუხსა არის. ეს დავითა ბატონის-შვილის იულონის ყმა არის, სარაჯი დავითა არის.
ⵃⵜ	(7 მინალთუნ-ნახევარი)	ქ. თელეთელმა სარაჯმა კაკალამ უნდა მამცეს, რომ ნუხსა არის.
ⵓⵜ	(8 თუმანი და 10 შაური)	ქ. გოშტაშაბის-შვილმა ტეტიამ თავის ბარათით და უბარათოთ უნდა მამცეს, ნუხსა არის.
ⵓⵀⵙⵏ	(21 მინალთ. და 5 შაური)	ქ. ფარეშ ასლანანთ არუთინას შვილმა მეწერილმანე ასლანამ უნდა მამცეს, რომ ნუხსა არის.
ⵏⵜ	(10 თუმანი და 10 შაური)	ქ. სულინას შვილმა მკერვალმა ისაიამ უნდა მამცეს, რომ ნუსხა არის, და ერთიც თეთრი ჩაქანის (sic) ფილონი აქვს ჩემი ქართველისა.
ⵉⵃ	(5 თუმ. და 7 მინალთ.)	ქ. ნაზარბეგის-შვილს ოსეფას ბეითალმანი ქალაქისა რომ ებარა დავთარხანაში, ანგარიში უნახეთ: საბატონო აეღო თეთრათ ⵜⵓⵉ (392 თუმ.) ამდენი. ამისი თუთხმეტის თავი ჩვენ წილათ სარგო უნდა მოგვცეს.
ⵓ	(6 თუმანი)	ქ⸗ს უჯ, ამ წელს თანბაქოს იჯარა ნაზარბეგის-შვილს ეჭირა. ჩვენი წილი თერთმეტის თავი სარგო და ნახევარ(ი) საშართლამო უნდა მოგვცეს.
ⵓⵃ	(8 თუმანი და 7 მინალთუნი)	ქ⸗ს უოზ, ამ წელს ნაზარბეგის-შვილს ოსეფას ჰქონდა ამანათან (sic) თანბაქოს იჯარა. კახეთის მოხელეებს გარდა, ჩვენი წილი თერთმეტის თავი ნახევარ საშართლამოთი.
ⵓⵃ	(25 მინალთუნი)	ქ⸗ს უოზ, აპრილის ი ბატონის-შვილს იულიონის ყმას სარაჯს დავითს მივე სარგებლით, თვეში თუმანი რ (2 შაური).
ⵊ	(8 მინალთ.)	ქ⸗ს უოⵎ, მკათათვის ით ამავ დავითას მივე ერთი ცალი დიდი წითელი თალათინი.

190. 1799 წლ. მარტის 16. თამასუქი, მიცემული თუმანის-შვილი ნიკოლაოზის მიერ ისაიაშვილი ნასყიდასადმი. დედანი. ზომა 21,5×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ მუზ. № 399 Sd.

ქ. ავიღე მე, თუმანის-შვილმა ნიკოლაოზმა, შენ, მოქალაქე ისაიაშვილი ნასყიდასაგან, სამი თუმანი და ოთხი მინალთუნი ქალაქის ზარაფხანის აბაზი, რომ იქს ამის ნახევარი ვ̃ ჯ (1 თუმანი და 7 მინალთუნი) ამდენს. ამ თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ჯელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს სარგებელი ერთი აბაზი მოგცე. არის ამისი მოწამე დავით თუთუნაშვილი. მე, ნიკოლაოზ თუმანიშვილს, დამიწერია და ყაბულიც მაქვს.

დაიწერა მარტის ივ, ქკ̃ს უპზ. ეს ჩემი ჯელი(ა), ნიკოლოზ.

ქ. მე, თუთუნაშვილი დავით, ამა თამასუქის მოწმე ვარა (sic), ესა ჩემი ხელია.

ქ. თუმანისაშვილი (sic) ნიკოლოზა. გ̃ წ̃ (3 თუმანი და 4 მინალთუნი).

191. 1799 წლ. აპრილის 6. თამასუქი, მიცემული გიორგი XII-ის მიერ ბეგთაბეგისშვილი იოანესადმი. პირი. ზომა 22×17 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 689 Qd.

ქ. ჩვენ, მეფემ გიორგიმ, გიბოძეთ ეს წიგნი შენ, ბეგთაბეგის-შვილს მდივანს იოანეს და შენს ძმისწულს სოლომონს, ასე რომ ჩვენ ჯარი მოვიყვანეთ ლეკისა და იმის მისაცემად დაგვჭირდა. შენ გამოგართვი ათასორასორმოცდაათი ბაჯაღლის ოქრო და სამი ათასი ალთმიშლული. ეს ჩვენ დავხარჯეთ. იყავ. ამას შენ არ დაგიკარგავთ და საიდამაც იქნება შეგისრულებთ.

აპრილის ვ, ქკს უპზ.

სხვა ხელით: თანასწორ შევამოწმე ასლთან, სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თუმანოვი.

ასლიდამ გადმოვწერე, ღუბერსკის რეღისტრატორი იოსებ აქიმოვი.

192. 1799 წლ. მაისის 4. არზა ნეკრესელის იოსებ მღვდლისა გიორგი XII-ისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 18,4×12,2 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 423 Sd.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის, ნეკრესელის სიძის იოსებ მღვდლისა. მერმე ამას მოგახსენებ-

მოლარე მოსეშვილის თეთრი მემართა, ჩემი გირაოები ჰქონდა. ახლა ასე მეუბნება: ჩემ(მ)ა შვილმა არ ვიცი ვის მიაბარაო. პასუხს არას მაძლევს. მოწყალებას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძოთ, ჩემი გირაო მომცეს, თავის თეთრი გამომართოს.

მაისის დ, ქკ^ს უპზ.

პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: ქ. ჩვენი ბრძანება არის, ციციშვილო იოსებ, მეორე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, რომელსაც ამის გირაოები აქვს, უნდა რაც ამას მართებს, ის მოაცემინო და თავის გირაოები გამოურთო და მოსცე.

მაისის ზ, ქკ^ს უპზ. [1]

193. 1799 წლ. ივნისის 16. თამასუქი, მიცემული ნ ი კ ო ლ ო ზ თ უ მ ა ნ ი ს-შ ვ ი ლ ი ს მიერ გ ა ბ რ ი ე ლ მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ხ ს შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 14,2×11 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 430 Sd.

ქ. ავიღე მე, ნიკოლოზ თუმანის-შვილმა, შენ, გაბრიელ მამასახლისის შვილისგან, ცხრა მინალთუნი ახალი აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი წ ფ (4 მინალთუნი და 10 შაური) ამდენს. ამ კალოზედ შენი თეთრი მოგაბარო. თუ ამაზე გაგალაპარაკო, სამდივნო, საიასაულო და სარგებელი მოგცე. ეს ჩემი ჭელი და ყაბულიც მაქვს.

აღიწერა თიბათვის ივ, ქკ^ს უპზ, ნიკოლოზ.

ს ა თ ა უ რ ი ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ:

თუმანის-შვილი ნიკოლოზის თამასუქი.

ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ:

ჩყლ. ქ. შვიდი აბაზიც მასუკან გამამართვა ბარ(ა)თი.

ქ. ამაში პირველათ მამცა, სარგებელში მოგცემო, თანდუანთ ზურაბასგან პური კოდი ხუთი, მეორე წელიწადს მომცა პური კოდი ცხრა.

ქ. კიდევ მომცა ჩანახი ათი.

[1] ქართული მურის ბეჭედი გიორგი XII-ისა.

194. 1799 წლ. აგვისტოს 12. თამასუქი, მიცემული სულხან და მანუჩარ თუმანის-შვილების მიერ ბასტამანთ სტეფანასა და მუნთუანთ გასპარასადმი. დედანი. ზომა 11×11 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3838 Hd.

ქ. ავიღე მე, თუმანის-შვილმა მდივანმა სულხან და ჩემა ძმამ მანუჩარმა, შენ, ბასტამანთ სტეფანასაგან და მუნთუანთ გასპარასაგან, ოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხდაწგიანი სირმა აბაზი, იქნება ამისი ნახევარი ი͡ (10 თუმ.) ამდენი. ამის ქვემო დარიღიდამ ერთი თვე ვადა, ერთს თვეს უკან გაურჯელად მოგაბარო. თუ ვადას გასცილდეს, თუმნის თავს თვეში ორი შაური სარგებელი მოგცეთ. მარიობის იბ, ქკ͡ს უპზ. მე, მანუჩარს, დამიწერია და ყაბული მაქვს ამისი. მანუჩარ[1]

სხვა ხელით:

ქ. მე, კვეზერელი დავითა, ამ ზემო ნაწერის ოცი თუმნის თავდები მე, ვარ. თუ ვადაზე ეს ოცი თუმანი მდივნებმა არ მოგცენ, მე, დავითამ, მოგცე ვადაზე; თუ ვადას გასცილდეს, სარგებელით მოგცე. დავით[1].

განის აშიაზე სხვა ხელით: ქ. მე, არღუთაშვილი მინბაში სოლომონ ამისი მოწამე. სოლომონ[1].

195. 1799 წლ. სექტემბრის 1. თამასუქი, მიცემული ავთანდილ კვეზერელის მიერ მანუჩარ მდივნისადმი. პირი. ზომა 17×11 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3072 Hd.

ქ. ავიღე მე, კვეზერელმა თანდილამ, შენ, ბატონის მდივნის მანუჩარისაგან, ოთხი თუმანი ქალაქის ოთხი დანგიანი სირმა აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი ბ͡ (ორი თუმანი) ამდენი. ამ ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ჭელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო და როდესაც მთხოვო, გაურჯელათ მოგცე. თუ გაქსარჯო, სამდივანბეგო და საიასაულო მე, თანდილამ, გავიღო.

დაიწერა სეკ(ტ)ემბრის ა, ქკ͡ს უპზ. ავთანდილას სიტყვით დავწერე და მოწამეცა ვარ [ავთან დილ][2] ციხის დიდი ეკლესიის დეკანოზი ტერ-არაქელ. + ქ. ავთანდილას სიტყვითა ამ სანითის მოწამე ვარ მე, ნორაშნის ტერ-მელქისეთას-შვილი მოსეს. + ქ. ამ თამასუქის ასლი ვნახე, მისი თანასწორი ეს სავადი გადმოვწერე. უღირსი მიღდისი ტერ სიმეონ ბოღნინისა.

ქ. სავადი ასლთან თანასწორე ვნახე, აღა ფითუმოვ.

ქ. სადავი ასლთან თანასწორი ვნახე, თაყაოვ. . . .[3]

---

[1] ხელრთვა.

[2] მელნით მოხაზულია ოთხკუთხედი.

[3] აქ მოსდევს ხელჩართული.

196. 1799 წ. ანგარიში (მ ა ნ უ ჩ ა რ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა) და მისი სიმამრის შვილის ს ო ლ ო მ ო ნ ა ს ი. დედანი. ზომა 18×11 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი და მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 412 Sd.
საბუთი დაწერილია მ ა ნ უ ჩ ა რ, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ხელით.

ქ. ჩემი სიმამრის შვილის სოლომონასი და ჩემი ანგარიში ამას ქვევით დაიწერება:
რაც ბატონს სოლომანას უნდა მივცე თეთრი ფული:
ჲ (65 თუმანი) ქკს უპზ, ამ წლის მკათათვეს ა ერთის თამასუქით ჩემ(მ)ა ძმამ სულხან და მე უნდა მივცეთ თავის სარგებლით, თავნია.
რაც ბატონი სოლომანასთვის მიმიცია თეთრი ფული:
ლ (30 თუმანი) ქკს უპზ, ამ წელს ენკენისთვ(ე)ს ა, მივე.
ვ (6 თუმანი) ქ. თავის დას შუშანას მივე თავნი ვ (6 თუმანი) ამდენი, თავისის სარგებლით.
ბ ხუ (2 თუმანი, 6 მინალთუნი და 2 აბაზი) ქ. ფქვილი უყიდე, იმის ფასია.
ბ ჯუ (2 თუმანი, 7 მინალთუნი და 2 აბაზი) ქ. გ კალმათ ჩვენის კაცებიდამ ჩემ(მ)ა სიდედრმა ფქვილი იყიდა, ფასი მე მივე.

197. 1799 წ. ვალის ნუსხა მ ა ნ უ ჩ ა რ და ს უ ლ ხ ა ნ თ უ მ ა ნ ი ს - შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა. დედანი. ზომა 35,5×23 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3758 Hd.
შდრ. აქვე საბუთი № 3503 Hd და საბუთი № 14406 Hd.

ქკ"ს უპზ, ამ წლის აპრილის შვიდს მათმა უმაღლესობამ მეფემ გიორგიმ ჩვენ, თუმანის-შვილი მანუჩარ და ჩემი ძმისწული, გორს ყოფნაში დაგვაჭერინა მუხრანის ბატონს იოვანეს და ფალავანდის-შვილს ელიაზარს. ამათ ჩვენ ორისავ ძმის სახლი აიკლეს. რაც ჩვენის სახლიდან ან მეფის ბძანებით და ან თავიანთ მონდომებით წამოიღეს, იმისი ნუსხა სახელდობ დაწერილი სხვა არის. მე და გივი ქალაქს ჩამოგვიყვანეს, რომ დაჭერილი ვყვანდით. ჩემი ძმა სულხანიც დაიჭირეს და ჩვენთან მოიყვანეს და მას უკან ორ ათას თუმანს თეთრს დაგვიწყო (თხოვნა). რამთენის თხოვნით და ვედრებით ექვსას თუმანზე გადაგვიჭრა. ვალათ აგვაღებინა. გამოგვართო და ლეკის ჯარს მისცა. ეს ექვსასი თუმანი ვისგანაც სარგებლით ვალათ ავიღევით ან ვისთვისაც თავიანთ მოვალებული თეთრი მიგვიცია და ან ვისასაც დღესაც მისაცემსა ვართ, ამას ქვემოთ სახელდობ სწერია.

Recto პირველი სვეტი

ქ. ვისგანაც თეთრი აგვიღია:
ი (ათი თუმანი) ქ. ჩვენმა ბიძაშვილმა ეთერამ აგვართვა.
ჰ (ოცი თუმანი) ქ. ჩემა ძმამ სულხანამ მოიტანა.

(სამი თუმანი) ქ. ჩემი ძმის მოტანილია, ა. თეთრი შალი გაიყიდა.
(ხუთი თუმანი) ქ. მიღდისი ეთერასაგან ვისესხეთ.
(ოცი თუმანი) ქ. ეგნატე მდივნის ჯალაბისაგან ავიღეთ.
(სამოცი თუ- ქ. დედოფლის მარიამისაგან ავიღეთ.
მანი)
(ორმოცდა- ქ. სამ დაფათ ოსეფა მილახვარისაგან ავიღეთ.
ათი თუმანი)
(ექვსი თუმანი) ქ. ჩემის ასაღების თეთრიდამ ტურფუანთ ბატუას დას გა-
მოვართვით.
(თორმეტი ქ. გივის სიდედრიდამ ავიღევით.
თუმანი)
(ოცი თუმანი) ქ. ჩემის ასაღებიდამ ფავლენის-შვილის პაპუნასაგან მო-
გვივიდა.
(ათი თუმანი) ქ. არღუთაშვილმა ზაქარამ მოგვიტანა.
(რვა თუმანი ქ. ამავ ზაქარამ მოგვიტანა.
და რვა მინალთ.)
(ოცი თუმანი) ქ. ნასყიდამ გვასესხა.
(სამოცდა ხუ- ქ. სამ დაფათ ტერ-შმოვანანთ სოლომანამ აგვართვა თავი-
თი თუმანი) სის თამასუქით.
(ხუთმეტი თუ- ქ. ისაია ფითუაშვილისაგან ავიღევით.
მანი)
(ოცი თუმანი) ქ. ყაფლანის-შვილის ზურაბისგან ავიღეთ.
(ათი თუმანი) ქ. ჩვენის დისწულის გასპარას და სოსიასგან მოვატანინეთ.
ჩვენ მოსაცემში მასუკ(ან) ტურფუანთ ესტატესაგან ნას-
ყიდი სამოსლები აიღეს.
(ოთხმოცი თუ- ქ. გურგინ-ბეგანთ სტეფანასაგან ავიღევით.
მანი)
(ათი თუმანი) ქ. ტერ-შმოვანანთ ზურაბასაგან ავიღეთ.
(თოთხმეტ თუ- ქ. მუშრიბიანთ იოვანესაგან ავიღევით.
მან ნახევარი)
(ოცი თუმანი) ქ. ჩემს ქვისლს შუშანას ავაღებინე.
(ოცი თუმანი) ქ. ჩემის ასაღებიდამ სურგუნაშვილს გამოვართვი.
(რვა თუმანი) ქ. ჩვენის ბაღის იჯარისა.
(ოთხი თუმანი) ქ. ოჰანეზ ვართაპეტის მოცემული.
(ოცი თუმანი) ქ. სიოანთ პაპასგან ავიღევით.
(ოცი თუმანი) ქ. კვეზერელი დავითისაგან ავიღევით.
(ოცი თუმანი) ქ. ჩვენს მოსაცემში მელიქმა დარჩიამ მოგვცა.
(ოცი თუმანი) ქ. თავლიდარმა სტეფანამ და გასპარამ გვასესხეს კვეზე-
რელის თავდებობით თამასუქით.
(ათი თუმანი) ქ. ტურფუანთ ესტატესაგან ავიღეთ.
(ათი თუმანი) ქ. კაურდედას ავაღებინეთ.
(ხუთი თუმანი) ქ. ჩემის მოსაცემიდამ საძაგლის-შვილს გამოვარ(თვი).

ბ ჩ ქ (ორი თუმანი და რვა აბაზი)	ქ. ჩენს მოსაცემში აბელა ვექილ ხარჯს გამოვართვი.
⁀ ⁀ ⁀ (ხუთმეტი მინალუნი)	ქ. ჩემის დის მაიასი დავხარჯეთ.
⁀ ⁀ ⁀ ⁀ (ექვსას ცხრამეტი თუმანი, ცხრა მინალთ. და სამი აბაზი)	ქ. ჯამი ამ ზემო ლგ კალმისა.

Verso პირველი სვეტი

⁀ ⁀ ⁀ ⁀ (ექვსას ცხრამეტი თუმანი ცხრა მინალთუნი და სამი აბაზი)	ქ. იქითის ჯამი აქ დავსწერე. არის.
⁀ (ექვსასი თუმანი)	ქ. ამ ჯამიდამ მეფის ბძანებით თავილდრებს ლეკის ჯარის მისაბარებლად მივეცით ⁀ (ექვსასი თუმანი) რომ ანგარიში თვითონ უწერიათ.
⁀ (ცხრა თუმანი)	ქ. შიოშმა ასი ალთმიშლული კვეზერელს წაუღო.
⁀ (ცხრა მინალთუნი)	ქ. თეთრის სადალალო მივეცით.
⁀ ⁀ (სამ თუმან ნახევარი)	ქ. ბ ბარათით ლეკებისათვის თეთრი მიგვაცემინეს. ერთი ბარათი დავკარგეთ. არ ჩაგვიგდეს.
⁀ ⁀ ⁀ (ექვს თუმან ნახევარი და სამი აბაზი)	ქ. ჩვენ დავხარჯეთ ჩვენზე.

Recto მეოთხე სვეტი

ქ. პირდაპირ აღებულს ვალში ვისთვისაც მიგვიცია:

ქ. ეთერას აღებულის ⁀ (ათი თუმნის) ფავლენის-შვილის პაპუნას თეთრიდამ მიეცა ⁀ ⁀ (ხუთი თუმანი და შვიდი მინალთუნი) ამდენი. ჩვენის კაცებიდამ აღებულისაც მიეცა ⁀ (ხუთი თუმანი).

ქ. მიღდისი ეთერას თავის დის სიკვდილზე მე მივე ⁀ (ხუთი თუმანი) ამდენი, უსარგებლოთ.

ქ. ეგნატეს ჯალაბის ⁀ (ოცი თუმანი) ამდენისა ათი თუმანი თავის სარგებლით ჩემა ძმამ მისცა და ათი თუმანი თავის სარგებლით მე მივე, რო(მ) თუთხმეტ თუმნათ ხანუმის ჩამოსავლები აიღო.

ქ. დედოფლის მარიამისა ⁀ (სამოცი თუმანი) ამდენისა. ზოგი გვაპატიეს და სხვა ჩვენის ბაღის იჯარიდამ და კიდევ სხვაგნიდამ მივეცით.

ქ. გივის სიდედრისა ⁀ (თორმეტი თუმანი) ამდენ(ი) პაპუნა ფავლენის შვილის თეთრიდამ მიეცა ჩემი.

ქ. არღუთას-შვილის ზაქარას ⁀ (ათი თუმანი) ამდენი. ეს ხატისანთ მოსაცემის თეთრიდამ მიეცა.

ქ. ნასყიდასი ⁀ (ოცი თუმანი) ამდენი ხატისანთ თეთრიდამ მიეცა.

ქ. ამავ ზაქარას ᲩᲯ (რვა თუმანი და რვა მინალთუნი) ამდენი. ესეც ხატისანთ თეთრიდამ მიეცა.

ქ. ისაია ფითუას-შვილისა ᲘᲔ (ხუთმეტი თუმანი) ამდენი. მე მივე მას ამისი Ი (ათი თუმანი) ამდენი. ჩემის მეუღლის ელისაბედისა და ჩემზე ვალია.

ქ. ყაფლანის-შვილის ზურაბისა Კ (ოცი თუმანი) ამდენისა. ჩემ წილათ რაც გირლები ჰქონდა მოთვალული ამბარჩა, მარგალიტის ღილი და ორი ზურმუხტის ბეჭედი მიეცა.

ქ. გურგინ-ბეგანთ სტეფანასი Ѯ (ოთხმოცი თუმანი) ამდენი. ეს ხატისანთ თეთრიდამ მიეცა ჩემი.

ქ. ტერ-შმოვანანთ ზურაბას Ი (ათი თუმანი) ამდენი. ეს ფავლენის-შვილის პაპუნას მოსაცემიდამ მიეცა.

ქ. მუშრიბიანთ იოვანეს ᲘᲓ Ѯ (თოთხმეტ თუმან ნახევარი) ამდენი. ჩემის ჯამაგირიდამ მიეცა.

ქ. სიუანთ პაპას Კ (ოცი თუმანი) ამდენი. ხატისანთ თეთრიდამ მიეცა.

ქ. კვეზერელი დავითას Კ (ოცი თუმანი) ამდენი. ხატისანთ თეთრიდამ მიეცა.

ქ. თავილდრი სტეფანასი და გასპარასი Ѯ (ოცი თუმანი) ამდენი. ამისი Ი (ათი თუმანი) ამდენი კვეზერელს დავითს ჩემი ემართა. ის იანგარიშა. Ი (ათი თუმანი) გაუშვა ჩვენს თეთრში.

ქ. ტურფუანთ ესტატესი Ი (ათი თუმანი) ამდენი. ეს თუთუნჩ ასასაგან ჩვენი მოსაცემიდამ მიეცა.

ქ. კავურ დედას აღებული Ი (ათი თუმანი) ამდენი. მე მივე თავის სარგებლით.

198. 1799 წლ. ახლ. გირაოების ნუსხა (მ ა ნ უ ჩ ა რ დ ა ს ულ ხ ა ნ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ებ ი-ს ა). დედანი. ზომა 18 × 14 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით.
საქ სახ. მუზ. № 3503 Hd.
შდრ. აქვე საბუთი № 3758. Hd.

ქ. მათის უმაღლესობის მეფის გიორგის მისართმევათ საიდამაც გირაოებით თეთრი ავიღევით სარგებლით, ამას ქვეით სწერია:

Ი (ათი თუმანი)[1] ქ. ჩვენმა ბიძაშვილმა ეთერამ აგვართვა ათი თუმანი. ამის გირაოთ მიგვიცია ჩვენის რძლის ქეთევანის დიბის სარტყელი და ერთი ხანუმის ზურმიხტის ბეჭედი და ერთი თავისი ათიანი ოქრო. მაისის იე, ქკ᾽ს უპზ. ნახევარ თვის სარგებელი ხელთა აქვს.

Კ (ოცი თუმანი) ქ. მდიყანმა სულხანმა შამასახლის პაპას ხელით მოატანინა ოცი თუმანი მაისის კ, ქკ᾽ს უპზ.

Გ (სამი თუმათი) ქ. ერთი თეთრი შალი გავყიდე სამ თუმნათ.

---

[1] ა ქ დ ე დ ნ ი ს ხ ე ლ ი თ: „ამ ათის თუმნისა ოთხის თვის სა(რ)გებელი Ე (5 თუმანი). ამდენიც თავნიდამ მივეც“.

ᲔᲒ (ხუთი თუმანი) ქ. ჩვენის ბიძაშვილის მიღდისი ეთერადამ მოვატანინეთ ხუთი თუმანი მაისის კ, ქკ-ს უპზ.

Ⴒ (ოცი თუმანი) ქ. ჩვენმა დისწულმა თინანამ და ეთერამ აგვართვეს სარგებლით, თუმანი თვეში ორ შაურათ, ოცი თუმანი. ამის გირავოთ აქვსთ მიცემული მდივნის უბის ნაწილი თავის ოქროს ჯაჭვით ჩვენი დაბეჭდილი და ხანუმის ერთი წყვილი ჩამოსავლები. მაისის კ, ქკ-ს უპზ.

ᲚᲘ (ოცდა თვრამეტი თუმანი) ქ. ოსეფა ბაზაზისაგან ავიღევით მაისის კე, ქ-კს უპზ.

Ⴓ (სამოცი თუმანი) ქ. სრულიად საქართველოს დედოფლის ბატონის მარიამისაგან ავიღეთ სარგებლით. ამის გირაოთ მივართვი ერთი წყვილი კაი (sic) ჩამოსავლები ნათხოვარი, ერთი შარგალიტის სასმული (?), ოქროს მინაქრის ჯაჭვი მურასა ამბარჩით ჩვენის რძლის ქეთევანისა.

Ⴔ (ექვსი თუმანი) ქ. ჩვენის ასაღების თეთრიდამ ტურფუანთ ესტატეს გამოვართვით.

ᲘᲒ (თორმეტი თუმანი) ქ. გივს სიდედრიდამ მოვატანინეთ, მაისის კე, სარგებლით.

Ⴕ (ოცი თუმანი) ქ. ფავლენის-შვილის პაპუნას გამოგზავნილი თეთრი მოვიდა ყანდის-შვილის (?) ხელით თიბათვის ე, კქ-ს უპზ.

Ⴖ (ათი თუმანი) ქ. არღუთაშვილმა ზაქარიამ მოიტანა, თიბათვის თ, თეთრი.

Ⴗ ჯ (რვა თუმანი და რვა მინალთუნი) ქ. ამან ზაქარიამ მოიტანა ალთმი მლუღი რ, იქნება Ⴗ (რვა თუმანი) და თეთრი ჯ (რვა მინალთ.). იქნება. თიბათვის თ.

Ⴘ (ოცი თუმანი) ქ. ერთმა კაცმა მოიტანა ოქრო ბაჯაღლისა ნ. თიბათვის ი.

ᲘᲒ (თორმეტი თუმანი) ქ. ოსეფა ბაზაზმა მოიტანა თიბათვის ი, ქკ-ს უპზ.

ᲘᲔ (ხუთმეტი თუმანი) ქ. ისაია ფითუაშვილმა მოიტანა თიბათვის ი, ქკ-ს უპზ.

Ⴙ (ოცი თუმანი) ქ. ყაფლანის-შვილის ზურაბისაგან ავიღევით. თუმანი თვეში ორშაურ სარგებლით. ამის გირაოთ მივეცით ერთი ოქროს ანბარჩა ჩემი თვლებით მურასა და ხანუმის ორი ზურმუხტის ბეჭედი, ჩემის რძლის მაიასი გულის მარგალიტის ღილი, ჩემის რძლის ქეთევანის გულსაკიდი ოქროს ჯვარი ჯაჭვიანა და ერთიც ალმასის ბეჭედი. თიბათვის იბ, ქკ-ს უპზ.

Ⴚ (ათი თუმანი) ქ. ჩემა დისწულმა გასპარამ და სოსუამ მოგვცეს.

Ⴛ (ოთხმოცი თუმანი) ქ. გურგინ-ბეგანთ სტეფანასაგან ტერ-შმოვანანთ სოლომანას სარგებლით თუმანი თვეში ერთ აბაზათ ავაღებინეთ სარგებლით, რომ ჩვენი ვალია. თიბათვის იე, ქკ-ს უპზ.

ჯ (ოცი თუმანი) ქ. ტერ-შმოვანანთ სოლომანამ მოიტანა თიბათვის ი.

ტუთჯ(სამას ოთხმოცდაცხრამეტი თუმანი
და რვა მინალთუნი) ქ. ჯამი ით კალმისა.

ამისი ანგარიში ასეა:

ქ. ერთის ბარათით თავლ(ი)დრებს (მ)ივაბარეთ — ს (ორასი თუმანი)
ქ. ერთის ბარათით მივაბარეთ — რვ (ასექვსი თუმანი)
ქ. ერთის ბარათით კიდევ მივაბარეთ — ჳ (ოთხმოცი თუმანი)
ქ. დალალისათვის მიგვიცია — ᲗᲐ (ცხრა მინალთუნი)
ქ. კვეზერელს დავითს ალთმიშლული რ — თ (ცხრა თუმანი)
ქ. აბელა ვექილხარჯმა მოგვცა — ბ ჩქ (ორი თუმანი
და რვა აბაზი)

199. 1800 წლ. იანვრის 11. არზა ხატიასი და კაკალასი გიორგი XII-ისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 24×14,7 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 368 Sd.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ხატიასა და კაკალასი. წინაზედ შანშიაშვილების თაობაზედ არზი მოგართვით, ოქმი და იასაული გვებოძა—ან მოეც და ან სამართალში ელაპარაკეო. არც ერთი არა ქნა. მართალია, თამასუქი წახდენაში დავჭკარგეთ, მაგრამ იმ თამასუქის დამბეჭდავი და მოწმები ისევ უზურში გახლიან. გვევედრებით, ოქმი გებოძოთ, რომ სამართალში გველაპარაკოს. იანვარს ია, ქკ^ს უპᲗ.

ზემო აშიაზე: ქ. ჩვენი ბძანება არის, ეშიკალბაშო ორბელიანო ასლან, ესენი მდივანბეგებთან სამართალში ალაპარაკე და ჭეშმარიტი სამართალი უსაჯონ.

იანვარს იᲗ, ქკ^ს უპᲗ. მეფე გიორგი [1]

200. 1800 წლ. იანვრის 27. არზა თამაზაშვილი გოგიასი გიორგი XII-ისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 28×14 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 7197₂ Hd.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის, თამაზაშვილი გოგიასი.

[1] მურის ბეჭედი რვაკუთხედის. მოყვანილობისა.

ცხრა სულით დავტყვევდი. მე გამოვიპარე. ჩემი ტყვეებიდამ ზოგი დავიხსენ და ზოგი დასახსნელი არიან. კარგა ვალი დამედო. ახლა ვისაც ჩვენი რამ მართებს, იმათი თამასუქი და ანდერძის წიგნი გვიჭირავს, ვთხოვ პასუხს, არას მაძლევენ. ოქმისა და იასაულის წყალობას ვითხოვ: ვისაც ჩვენი ემართოს, მოაცემინოთ. თუ ვისმეს სიტყვა ქონდეს, სამართალში მელაპარაკნენ.

იანვრის კვ, ქკ^ს უპ©.

ქ. ჩვენი ბძანება არის, აფიცარო პეტრე, ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ვისაც ჭეშმარიტობით ამისი ემართოს რამე, შენ უნდა გამოურთვა და ამას მოსცე. თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მელქი დარჩიასთან სამართალში ილაპარაკონ. იანვრის კზ, ქკს უპ©. [მეფე გიორგი] [1]

201. 1800 წლ. თებერვლის 5. არზა გ ა ბ რ ი ე ლ რ ა მ ი ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ი ო რ გ ი XII-ი ს ა დ მ ი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 22,5×12,3 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე, მხედრ. ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 416 Sd.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის, რამინიშვილი გაბრიელისა.

კეხელი იორდანე ტყვეთ გახლდათ, ჩვიდმეტი თუმნის თავმდებათ დაუდექ და ისე დავიხსენ. ოთხი წელიწადია თუმანი სამ შაურათ იმ თეთრის პატრონის სარგებელი მაძევს და ეს მე აღარას მაძლევს. გევედრებით, ოქმი და იასაული მიბოძოთ, თავნი და სარგებელი სრულობით მამცეს, რომ მეც თავი გამოვიხსნა.

თებერვლის ე, ქკ^ს უპ©.

ქ. ჩვენი ბრძანება არის, ამილღამბარ ციციშვილო, მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ვისაც უჩივის, შენ უნდა რიგიანისა და სამართლიანის საქმით გაურიგე და მოეც და თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში ალაპარაკე.

თებერვლის ვ, ქკ^ს უპ© [მეფე გიორგი] [2]

202. 1800 წლ. თებერვლის 28. განაჩენი ლ ი პ ე ლ ი თ ა მ ა ზ ა ს ქ ვ რ ი ვ ი ს ა და მ ა რ ტ ი რ ო ზ ა ს ვალის საქმეზე. დედანი. ზომა 34,5×20,4 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 7197 Hd.

ქ. მისის უმაღლესობის ოქმითა და მელიქის მარიფათითა ქრისტეს საფლავის ყმა მარტიროზა და ლიპელი თამაზას ქვრივი და ობოლი ვალაპარაკეთ. თამა-

[1] მურის ბეჭედი რვაკუთხედის მოყვანილობისა.
[2] მურის ბეჭედი რვაკუთხედის მოყვანილობისა.

ზას ქვრივი ასე ჩიოდა: ქრისტეს საფლავის ყმას ჩვენი ოცდა ხუთი თუმანი ემართა თამასუქით, სახლები გირაოდ ეწერა. ამ მარტიროზას ეთქო თამაზასათვინ: შენის თამასუქის თეთრს მოგცემო და სახლებს მე დავიჭერო. ცამეტი თუმანი მიეცა თამაზასათვინ და სახლებში ეს მარტიროზა დამდგარიყო, და თორმეტი თუმანი აღარ მოგვცა, სამართალი მაღირსეთო. მარტიროზა მიუგებდა: ხელმწიფის ბრძანებით თამაზას ვალებში გურამის-შვილს ზ(ა)ალს მივეცი ცხრა თუმანი და ექვსი მინალთუნი, თავსუბუქს ბერუას მივეცი ცამეტი თუმანი და ფეტვიაშვილს იოვანეს მივე სამი თუმანი მელქუას დასწრებითაო, რომ იქნება ჯამი კ ხ (25 თუმ. და 6 მინალთ.). ამების თამასუქები დავიხსენ, დამეკარგაო. თამაზას ქვრივმა იმ სახლის გირაოს თამასუქი მოიტანა ოცდა ხუთის თუმნისა. ზურგზე მოწერილი: ამ ოცდა ხუთის თუმნის თანხაში ცამეტი თუმანი მე, თამაზას, მამბარდაო. თორმეტის თუმნისა მარტიროზას არც სხვა თამასუქი ჰქონდა დახსნილი და არც ასეთი მოწამე ჰყვანდა, რომ სწორეთ სცოდნოდა, ამ თამასუქის ოცდა ხუთს თუმანში სრულად მარტიროზამ მისცაო. ეს სამართალი მივეცით: მარტიროზას ერთი თვე ვადა დაუდევით. თუ ამ ვადაზე მარტიროზამ გურამის-შვილი ზა(ა)ლითა, თავსუბუქი ბერუათი და მელქუათი თამაზას ქვრივი და ობოლი ხათრიჯამი გახადა, რომ იმ თამაზას ოცდა ხუთის თუმნის თამასუქის თეთრი კ თუმანი (25 თუმ.) იმ სამთა თამაზას ვალში მიცემული იყოს, ქვრივი და ობოლი მარტიროზას ველარას ედავებიან. და თუ ზა(ა)ლმა, ბერუამ და მელქუამ თამაზას ქვრივი და ობოლი ხათრიჯამი ვერ გახადეს, მარტიროზამ თორმეტი თუმანი უნდა მისცეს თამაზას ქვრივსა და ობოლსა. ჩვენმა მცირე გონებამ ასე დაინახა და ნება მისის უმაღლესობისა არის.

თებერვლის კ, ქკს უპ [illegible][1]. ფარსადან.

203. 1800 წლ. მარტის 11. სარგებლის გადაწყვეტილობის წიგნი, მიცემული (რ ო ტ ი ნ ა ნ თ) ა ვ ე ტ ი ქ ა ს მ ი ე რ დ ა თ ო ა გ ო ს ტ ა (შ ა) ბ ი ს-შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 12,8×7,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუზ. № 12266 Hd.

შდრ. აქვე საბუთი № 7317 Hd.

ქ. გოსტა(შა)ბის-შვილი დათოა(ს) რომა ჩემი თამასუქისა რვა თუმანი მართებს, ამის სარგებელში ხორბალი მამცა ოცდათვრამეტი კოდი, ლიტრა სამი ბისტი და ნახევარ ფულათ იქს. ჯამი ორი თუმანი, თვრამეტი აბაზი და სამი შაური. არყუთანთ ავთანდილას ხელითა. მარტის ია, ქკს უპ. ავეტიკ[2].

---

[1] სომხური მურის ბეჭედი, ლერბისებური.

[2] ხელჩართული.

204. 1800 წლ. სექტემბრის 13. არზა თომა ჩიკორიძისა გიორგი XII-ისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 22,6×14,1 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრ: ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი თიოქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 369 Sd.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჭელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის, თომა ჩიკორიძესი.

კიკოაშვილი მოსესასი სახლი მაქვს გირაოთა. ის თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნა. მეტად სიღარიბემ საქმე გამიჭირა. მელიქზედ ერთი ოქმი მებოძოს, ჩემი თეთრი მოაცემინოს.

სეკდე(მ)ბრის იგ, ქკ^ს უპ^ბ.

ზემო აშიაზე: ქ. მელიქო დარჩიავ, ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ამას თავისი თეთრი სამართლიანის საქმით შენ გაურიგე და მოეც, ნუღარ აჩივლებ.

სეკდენბრის იე, ქკ^ს უპ^ბ. მეფე გიორგი [1]

205. 1800 წლ. ნრემბრის 15. არზა მდივანბეგის ნიკოლოზ ციციშ-შვილისა გიორგი XII-ისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 33,2×14,6 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 417 Sd.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჭელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის, ციცის-შვილის ნიკოლოზ მდივანბეგისა.

ჩემო ჭემწიფევ, ამ მაღრაძე ხუცისაგან ილაჯი აღარა მაქვს. ამას წინად მიმიხდუნა იასაული და შვიდი სული ხარი და ძროხა წამართვეს. მოგახსენე და თქვენის ოქმითა და იასაულით გამოვართვი. ახლა კიდევ ოქმი აუღია და იასაული გაუგზავნია ჩემს კაცებზედ ხელის ასამართავათა. ჭელმწიფევ, გამიკითხეთ, ქრისტიანობა არის. ვისთან მომცა ასორმოცი თუმანი და სად მამცა? ეს კაცი ასე მიკლებს, ეს მოწყალება მოიღეთ[2], ის კლიმიაშვილიც აქ დაიბარეთ და ვინც ამ საქმეში დამსწრენი არიან, ისინიც. თქვენს შვილს იოანესუბძანეთ, მოსამართლენი დაისხას და ჭეშმარიტი სამართალი განსაჯოს. მოწყალებას ვითხოვ, უსამართლოთ ნურც კაცნი მერთმევიან და ნურც მე ვხდები. იმ ჩემს აზნაურ(ი)სშვილს ჩემი ბატონყმობა არ უნდა და ის მტანჯავს. მაღრაძე მოყვარე არის შეთარხნებული. გაუკითხავათ ვხდები და ნუ წამახდენთ, ჭემწიფევ, უსამართლოდ. ამ მაღრაძემ ჯერ აზნაურშვილი მომპარა, რუ-

[1] მურის ბეჭედი რვაკუთხედის მოყვანილობისა.
[2] დედანში: „მოიღო“.

სეთს[1] წაიყვანა, ოთხი წელიწადი იქ გახლდა. იქიდამ მოვიდნენ, თეთრი მოიტანეს. ახლა ყმასა და ძამულსაც ძართმევენ. ქრთამითა და უსამართლობით ვხდები. რაც სამართლიანის საქმით დამემართება, რა სიტყვა მაქვს. გევედრებით, მანამ სამართალი ვადაწყდებოდეს, ნურც კაცნი მერთმევიან და ნურც იასაულები მიკლებენ.

ნოემბერს იე, ქკს უპᲧ.

პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: ქ. ჩვენი ბძანება არის, ვინცა ვინ ამ არზის პატრონის მოასილნი ხართ, მერე ესეცა და მის მოდავე მაღრაძე მღუდელიცა და კლიმიაშვილიც ჩვენ სამართალში უნდა მოიყვანოთ და ორსავ მხარეს რაც საბუთები ჰქონდესთ, ისიც მოატანინეთ და სამართალი მიეცემათ. სამართლის გადაწყვეტამდის ნურას გამოართმევთ.

ნოემბრის ივ, ქკს უპᲧ. [მეფე გიორგი][2]

206. 1800 წლ. ნოემბრის 18. დავის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ი გ ო გ ი ა ს მ ი ე რ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ე ფ რ ე მ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 16,5×11,7 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 1226 Hd.

ქ. ესე გადასაწყვეტის წიგნი მოგეც მე, ხიმშიაშვილმა გოგიამ, შენ, გურამიშვილ ეფრემს, ასე რომ ცხენზე გედავებოდი. ვილაპარაკეთ და იასაულიც მყვანდა, ამ ცხენზე მოვრიგდით და გადავწყვიტე—ამას იქით მე შენთან საქმე არა მაქვს რა. თუ ან მე და ან ჩემი შვილი და მამავალი (sic) წამოგედაოს, პასუხი მე გავცე. არის ამისი მოწამე გიქოა მეღვინე +. მე, დავით მუშრიბს, გოგიას სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. [დავით][3].

დაიწერა გიორგობის იᲧ, ქკს უპᲧ. ამ ცხენის ბარობაზე რომ ოქმი ამეღო, ისიც შენ მოგეც.

ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ:

მე, გოგიას ხიმშიაშვილს, ამის ყაბულ(ი) მაქს.

207. 1800 წლ. დეკემბრის 1. არზა თ ა ყ ო ა ს - შ ვ ი ლ ი ი ს ა ი ა ს ი (მ ე ფ ი ს ძ ი ს დ ა ვ ი თ ი ს ა დ მ ი) ვალის თაობაზე. პირი. ზომა 21,5×12 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 837 Qd.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჭელმწიფის წინაშე მოსახსენებელი თაყოას-შვილი ისაიასი.

---

[1] ოედანში: „სუსეთს“.
[2] მურის ბეჭედი.
[3] მურის ბეჭედი რვაკუთხედის მოყვანილობისა.

მოგეხსენებათ ბერძენაშვილებისაგან როგორც დაღუპვილი (sic) ვარ, რომ მრავალჯერ თქვენთვისაც თავი მიწყენია. მაბლაღი თეთრი მართებსთ თავიანთ გამორჩეული მოქალაქების სამართლით და ანგარიშით. თითონ ბერძენაშვილის ყაბულობის ჭელმოწერილიც არის. იმათი სახლები და ბაღი გირაოდ მიჭირავს თავისი სიგლეებით. რაც ქონება აქვსთ და საქონელი, სულ გირაოდ მიწერია. ანგარიშს და განაჩენს უკან ცოტა რამ აქ და ყირიმს სარგებელში მომბარებია სანატრელის მეფის და თქვენის ბძანებით, და იმის უკან დევნაზედ მრავალიც დაგვიხარჯამს. ჩემო მოწყალევ, ამ ქალაქში გირაო არავის მოშლია. გავიგონე, არზა მოურთმევიათ. წყალობას ვითხოვ, ჩვენი ქალაქის განწესება და სამართალი ნურც მე მამეშლება. გირაოებიც გაყიდონ, რაც მამბარებია, ისიც მიანგარიშონ, ჩემი ასაღებიც და ხარჯიც თავის სარგებლით. თუ მეტი იყოს მოსული ჩემზედ, წაიღონ, სხვა მოვალეებს გაუყონ და თუ კიდევ ჩემი დარჩეს, იმისიც პასუხი მამცენ. ეს ჩემი მოხსენება თუ სამართლიანი და ჭეშმარიტი იყოს, ოქმის წყალობას ვითხოვ. დეკენბერს ა, ქკ᾽ს უპᲪ.

ზემო აშიაზე: ქ. თაყოაშვილო ისაიავ, ასე რომ მოგიხსენებია, ჩვენ ქალაქის განწესება და სამართალი არ მოგვიშლია, არც მოვშლით. ჩვენგან რაც ოქმი გაუტანიათ, ისიც დაგვიყენებია. რაც შენი გირაოებიდამ აგიდგეს და ან აქამდინ საიდამაც თეთრი მოგბარებოდეს, თუ მეტი მოვიდეს, მიუბრუნე და თუ დაგაკლდეს, უნდა მოგცენ. დეკემბრის გ, ქკ᾽ს უპᲪ.

ასლთან თანასწორე იყო და ხელს ვაწერ, ტიტულარნი სოვეტნიკი არტემ მოძღვაროვი.

208. 1799—1800 წ.წ. ფულის ანგარიშის წიგნი (სულხან თუმანიშვილისა). დედანი. ზომა 16,7 × 10,7 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.

საქ. სახ. მუზ. № 4824 Hd.

გიორგი XII-მ სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებს 600 თუმანი გამოართვა 1799 წ. (იხილე აქვე საბუთი № 3758 Hd). ჩვენი საბუთის მიხედვით გიორგი XII ჯერ ცოცხალი ჩანს. ეს განსაზღვრავს საბუთის შედგენის დროს საკმაოდ ზუსტად 1799—1800 წლებით.

„მდივნის“ ქვეშ იგულისხმება, უეჭველია, მანუჩარ მდივანი და, მაშასადამე, საბუთს სწერს მისი ძმა სულხანი.

მეფემ გიორგიმ ექვსასი თუმანი რომ გამოგვართო, იმისას დღეს რასაც ვალებს ვართ მისაცემს თავნებს:

ᲔᲐ (60 თუმანი) ქ. დედოფლის მარიამის ვალი.
ᲙᲐ (20 თუმანი) ქ. ეგნატეს ჯალაბის ვალი.
Ნ (50 თუმანი) ქ. მილახვრის ოსეფას ვალი.
ᲔᲔ (65 თუმანი) ქ. ტერ-შმოვანანთ სოლომანას აღებული ვალი.
ᲝᲔ (15 თუმანი) ქ. ისაია ფითუას-შვილის ვალი.
ᲙᲐ (20 თუმანი) ქ. ყაფლანის-შვილის ზურაბის ვალი.

ლ (30 თუმანი) ქ. ჩემის ქვ(ი)ისლის შუშანასაგან დედაკაცურებ ორის ადგილისაგან აღებული ვალი.

Verso:

ან მდივანს და ან მე რაც ექვსასი თუმნისათვის მოგვიტანია და მიგვიცია:

კ (20 თუმანი) ქ. მდივანმა მოიტანა თეთრი.

გ (3 თუმანი) ქ. ა თეთრი შალი გაიყიდა ამათი.

რმ (140 თუმანი) ქ. ხატისას-შვილის მოსაცემისა.

ი (9 თუმანი) ქ. თუთუნჩის-შვილიდამ მიეცა.

ო (8 თუმანი) ქ. ბაღის იჯარებისა.

ვ (20 თუმანი) ქ. მელიქიდამ ჩვენს მოსაცემში.

რკთ ძ (129 თუმ. და 3 მინალთ.) ქ. მე მომიტანია ჩემის ასაღებიდამ.

ე (10 თუმანი) ქ. ჩვენის დისწულების მიცემული.

დ (4 თუმანი) ქ. ოჰანეზ ვართაპეტის მოცემული.

209. XVIII ს-ის დასასრული. ყმის ვალში მიცემულობის წიგნი ნ ი კ ო ლ ო ზ და ა მ ი ლ ღ ა ბ ა რ ც ი ც ი ს - შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა, მიცემული მ ი ნ ბ ა შ ი ს გ ი ო რ გ ი ც ი ც ი ს-შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ბოლო მოხეული აქვს.ზომა 18,3 × 12,6 სმ. დაწერაილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ვანკვეთილ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 823 Sd.

საბუთს თარიღი არა აქვს, მაგრამ ც ი ც ი ს-შ ვ ი ლ ებ ი გ ი ო რ გ ი, ნ ი კ ო ლ ო ზ და ა მ ი ლ ღ ა ბ ა რ არაერთხელ არიან მოხსენებული XVIII ს-ის დამლევის სხვა საბუთებში (იხილე აქვე საბუთები №№ 13700 Hd, 5509 Hd და სხვ.).

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, ციცის-შვილმან ნიკოლოზმან და ძმამან ჩემ(მ)ან ამილღაბარმან და შვილებმან ჩემ(მ)ან და ძმისწულებმან ჩემ(მ)ან სულ ყველამა. ეს პირობა დაგიდევით და მოგეცით თქენ, ჩვენს ბიძაშვილს ციცის-შვილს გიორგის მინბაშსა, ასე რომ თქვენი თხუთმეტი თუმანი ემართა ჩემს ყმას პარკუაშვილს, მოთაბ(ა)რის(?) თამასუქითა[1]. ალალ ახათ დაედვა ეს თეთრი პარკუაშვილსა. ჩვენ, ნიკოლოზმან, და ჩემ(მ)ა ძმამ ამილღაბარმა და ჩვენმან შვილებმან ეს პარკუაშვილი ისაია ცამეტს წელიწადს შენს თეთრში მოგეცით, რომ ამ ცამეტს წელიწადში ჩვენ უარზე აღარ გაუაროთ, არც არა ვთხოვოთ, არც სახემწიფო, არც საქვეყნო, არც ჩვენი სამსახური ვთხოვო. ამ ცამეტს წელიწადში თქვენი თეთრი უნდა აიღოთ ამ კაცისაგანა. ჩვენ არაფერი საქმე ამ კაცთან არ გვექნება. ამ ც(ა)მ(ე)ტს წელიწადს უკან ამ პარკუაშვილთან თქვენ ხელი აღარ გექნება, ისევ ჩვენი იქნება. არის ამისი მოწამე ჩვენ(ი) ბიძაშვილი სახჩიბაში სვიმონ, ალექსიძე დავით მღდელი, ბატონიშვილის მოლარეს გურგენას მოასილობითა, კიდევ კლიმიაშვილ(ი)...[2]

---

[1] აქ წაშლილია 2 სტრიქონი: „თხუთმეტი თუმანი და ნახევარი დადგა თავნი და სარგებელი“.

[2] ბოლო მოხეულია.

210. XVIII ს-ის დასასრული. ბარათი (მეფისა?) გოგია ნაზარბეგის-შვილისადმი მანუჩარ მდივნის შვილისათვის 1 ტოლული ხათაიას მიცემის თაობაზე. დედანი(?) ზომა 11,8×8,4 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 6742 Hd.
საბუთის ხელი XVIII ს-ის დამლევზე მიგვითითებს.

ქ. ნაზარბეგის-შვილო გოგიავ, როდესაც შენი საქმე გარიგდეს, მანუჩარ მდივნის შვილისაგან ერთი ტოლული ხათაია ვისესხეთ, ამას ერთი ტოლული კაი ხათაია მოეც.

211. XVIII ს-ის დასასრული. დანახარჯის ნუსხა უცნობი პირისა. დედანი. ზომა 22×17 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3751 Hd.
საბუთის ხელი გვაგულვებინებს XVIII ს-ის დასასრულს ან XIX ს-ის დასაწყისს. „განსვენებული ბატონის" ქვეშ შეიძლება მეფე იგულისხმებოდეს—ან ერეკლე II, ან გიორგი XII.

რაც განსვენებულ ბატონზედ დარჩომილი ხარჯი მირთმევია და (ა)ნგარიშ(შ)ი აგდებენ:

ᲜᲪ	(თუმანი და ორი მინალთუნი)	ქ. ჩემის ხელით მირთმევია.
Თ	(შვიდი მინალთუნი)	ქ. მარქარასგანაც მირთმევია.
ᲩᲣ	(შვიდი აბაზი)	ქ. აზარასგან მირთმევია.
ᲩᲣ	(შვიდი აბაზი)	ქ. არაქელასგან მირთმევია.
ᲩᲡ	(ექვსი აბაზი)	ქ. მათოზას-შვილისგან მირთმევია.
ᲪᲭ	(ცამეტი აბაზი)	ქ. კირაკოზამ ჩამოიტანა ერთი საპალნე პური, თავის ხარჯში ანგირიშობს.
ᲪᲭ	(ცამეტი აბაზი)	ქ. ბაბის-შვილმა ჩამოიტანა, ისიც ანგარიშობს თავის ხარჯში.
Ც	(ორი მინალთუნი)	ქ. კლემ(მ)ა ჩამოიტანა ერთი საპალნე ღვინო, ისიც ანგრიშობს.
Ძ	(ექვსი შაური)	ქ. სიმონას-შვილს ლეჩაქები მოექსოვა, მიანგარიშა.
ᲪᲠ	(ორი მინალთუნი და ორი შაური)	ქ. ქარას-შვილისგან მირთმევია.
Ნ	(თუმანი)	ქ. არონას-შვილი ანგარიშობს — განსვენებული ბატონისთვის მიმირთმევიაო ერთი თუმანიო.

212. XVIII ს-ის მე-2 ნახევარი. ვალის ნუსხა უცნობი პირისა, დედანი. ზომა 20,5×15 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3728 Hd.
თარიღდება ხელის მიხედვით XVIII ს-ის მე-2 ნახევრის ფარგლებში.

+ ა ქ. ფარსადანისა მმართებს[1] ერთი თუმანი. მიცემულია[2].
ე ქ. თამარისა მმართებს ხუთი თუმანი. მე მიმიცია.
+ ჯ ქ. ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილისა მმართებს რვა მილანთული (sic). მე მიმიცია.
ბ ქ. ნაზარბეგის-შვილისა მმართებს სამი თუმანი მე, ნინიასა
და კიკოლასა. მე მიმიცია.
+ ჰ ქ. კიკოლა ჩოლაყას-შვილისა მმართებს ხუთი მილანთული. მე მივეცი.
+ ზ ქ. წერეთელისა მმართებს ორი თუმანი, თოფი აქს გირაოთა.
თავნი მივეც. სარგებელი დარჩა. მე მივეცი.
+ დ ქ. გოგია ნაზარბეგიშვილისა მმარრებს ოთხი თუმანი, გირაოთ
კაცი უწერია. მე მივეცი.
ე ქ. ტერტერას დედისა მმართებს ხუთი თუმანი. გირაოთ
წისქვილი უწერია. არავიცი.
ქ. ჩოლახ შერმაზანას შვილისა მმართებს სამი თუმანი. გი-
რაოთ წისქვილი უწერია. მე მივეცი.
+ ბ ქ. ერაპეტას ცოლის აღებული მმართებს თვრამეტი მილან-
თული. გირ(ა)ოები აქს. მივეცი.
ჰ ქ. პეტროზასი მმართებს ხუთი მილანთული და სამი აბაზი. მე მივეცი.
ა ჰ ქ. ქრისტესიასი მმართებს თხუთმეტი მილანთული. ყაბზი აქს. მე მივეცი.
ა ჰ ქ. მანველასი რაც დამიხარჯავს (თხუთმეტი მინალთუნი).
ყაბზი აქს. მე მივეცი.
ქ. ქვაბია რვა აბაზის გირაოთა.
ქ. თინათინის ჯვარი აქს ორის თუმნის გირაოთ ხუროს ცოლს.
ქ. შალია ორის თუმნის გირაოთ სუსანასთანა.
ქ. თასი და ქათიბი აქს სუსანას გირაოთ ერთ (თ)უმნათა.

---

[1] როგორც აქ, ისე ყველგან ქვემოთ სწერია „მართებს".
[2] განსხვავებული შრიფტით აწყობილი ყველგან შემდეგ არის მიწერილი დედნისაგან განსხვავებული ხელით და მელნით.

213. XVIII ს-ის მე-2 ნახევარი. არზა მეფის დისწულის მ ა რ ი ა მ ი ს ა ე რ ე კ ლ ე II-ი ს ა-დ მ ი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 19×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
სახ. საქ. მუზ. № 3840 Hd.

ქ. ღთ^ნ თქვენი ჭირი მოსცეს თქვენს დისწულს მარიამს. მერმე, მიღდისის-შვილისაგან დიმიტრის საქორწილო ფარჩა ავიღე. იმის ფასათ ცამეტი საპა(ლ)ნე ღვინო გამომართო ქრისტიშობისთვეში ამ პირობით, რომ როგორც კახეთს იყოსო, ხუთ აბაზ მეტად ავიღებო. მე მოვიკითხე რომ მაშინ თუთხმეტ მინალთუნათ ყოფილიყო და თექვსმეტ მინალთუნათ მივეც. ოსეფაც ფიცამს ყორღანას-შვილი, რომ მაშინ თვრამეტ მინალთუნათ ავიღეო. თამასუქიც იმასვე აქვს და თოთხმეტ მინალთუნსაც არ მაძლევს. ფარჩაშიაც სარგებელი ქნა და ამ ღვინოსაც ასე ნაკლებ იუერს. სამართალს ვითხოვ, ღთ^ი გაგიმარჯვებს.

მ ა რ ც ხ ე ნ ა ა შ ი ა ზ ე ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: ქ. ყორიასაულბაშო, ეს საქმე შენ გადაუწყვიტე სამართლიანის გზით, ახლავ გაურიგე. გაურიგებელს ნუ გაუშვებ, გაურიგე. [1]

214. XVIII ს-ის მე-2 ნახევარი. სასამართლოს განაჩენი ს ი მ ო ვ ა ნ ა ს და ზ უ რ ა ბ ა ს ვალის საქმეზე. დედანი. ზომა 21,6×16,3 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 854 Sd.
დაახლოებითი თარიღი ირკვევა მურის ბეჭდის მიხედვით, რომელიც უჩვენებს 1748 წ.

ქ. დავსხედით დივანბეგის ბძანებითა ჩვენ, მონთოანთ მიკრტუმამა და ტერტერას-შვილი შაქროამა და ბარათანთ სტეფანამა, სიმოვანას და ზურაბას საქმეზე. და ზურაბამ ათი თუმანის რუსსის (sic) თეთრის თამასუქი ქონდა. რათგან სიმოვანაც კადრი იყო, ახლა რათგან მაშინაც რუსის თეთრი ნაკლები იყო, და ახლა ჰუზურჩიც (sic) არა იყო რა, და ცამეტი თუმანი ერთი წელიწადის უკან უნდა მისცეს. სახლები გირაოთ დაიწეროს, და ოთხი თუმანი ახლა უნდა მისცეს, რომ შეიქნება შვიდმეტი (sic) თუმანი. ჩვენი ჭკვა ასე გაგვიჭრა, ბრძანება თქვენი არის.

[2] [3] მ^ნ ღ შქრო [4] 1748 სტეფნ

ზ ე მ ო დ ა ნ ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ, ს ა თ ა უ რ ა დ: ბატონს.

---

[1] ერეკლეს ბეჭედი.
[2] სომხური მურის ბეჭედი, რვაკუთხედის მოყვანილობისა სრულად არ იკითხება.
[3] თურქულ-თუსპარსულ-სომხურ-ქართული მურის ბნჭედი, რვაკუთხედი.
[4] მურის ბეჭედი, რვაკუთხედი.

215. XVIII ს-ის მე-2 ნახევარი. ანგარიშის ნუსხა (მ ა ნ უ ჩ ა რ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა) და პ ე ტ რ ე ე ნ დ რ ო ნ ი კ ა ს - შ ვ ი ლ ი ს ა. დედანი. ზომა 17×13,2 სმ. დაწერილია მოომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5861 Hd.

⌒	(3 თუმანი)	ქ. მდივა(ნ)ს გამოვართვი სარგებლითა ფული, თუმანი სამშაურად, თებერ(ვ)ლის დამდექს.
ტ	(6 შაური)	ქ. მდივა(ნ)ს გაუგზა(ვ)ნე მეჯვრისხევსა[1] თუთუნი ნახევარი ლიტრა, მამასახლისის ხელითა.
რკე	(2 შაურ-ნახევარი)	ქ. ინა გაუგზა(ვ)ნე თევდორეს ხელითა სამი რუბ(ი).
ტ	(6 შაური)	ქ. ინა წააღებინა რუბი ბ, კიდევ რუბი გ.
ს ნ	(5 შაური)	ქ. ინა წააღებინა პეტრეს ხელითა სტილ(ი) ერთი.

მ ა ნ უ ჩ ა რ მ დ ი ვ ნ ი ს ხ ე ლ ი თ: ქ. ენდრონიკას-შვილმა პეტრემ ჩემგან სამი თუმანი ისესხა სარგებლით, რომ აქა სწერია. ანგარიში რომ ვნახეთ, ხუთი მინალთუნი მჭედლის-შვილის სტეფანას წანაღებათ ჩამიგდო, რომ სტეფანამ უნდა მამცეს. და სხვა თვითონ პეტრემ მამცა, რომ ჩემი წერილი აქვს მობარებისა.

Verso მ ა ნ უ ჩ ა რ ი ს ვ ე ხ ე ლ ი თ: ქ. სტეფანე მჭედლის-შვილისა.

216. XVIII ს-ის მე-2 ნახევარი. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული მ ა ნ უ ჩ ა რ თ უ მ ა ნ ი ს-შ ვ ი ლ ი ს მიერ ფ ი რ ა ნ ბ ე ჟ ა ნ ი ს - შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 16,2×12,7 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8165 Hd.

საბუთს თარიღი არა აქვს, მაგრამ, როგორც ცნობილია, მ ა ნ უ ჩ ა რ მ დ ი ვ ა ნ ი ცხოვრობდა XVIII ს-ის მე-2 ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში. საბუთი დაწერილია მისი ხელით. წესიერი ხმარება ორწერტილისა ყოველი სიტყვის შემდეგ უფრო ნიშანდობლივ XVIII ს-ის შუახანებზე მიგვითითებს.

ქ. ესე გარდასაწყვეტის წიგნი მოგეცი თუმანის-შვილმა მანუჩარ შერ, ბეჟანის-შვილს ფირანს, ასე რომე ჩემი ხუთი მინალთუნი გემართა. თავნიცა და სარგებელიც მამებარა. შენთან ხელი არა მაქვს. არის ამისი მოწამე ქ(ა)იხოსროვ თურქისტ(ა)ნიშვილი და ზაქარია თუმანიშვილი. ქ. მამუკა თუმანის-შვილი. მე, მანუჩარს, დამიწერია და ყაბული მაქვს ამისი +.

---

[1] დედანში სწერია: „მეჯრეხესესა".

217. XVIII ს-ის მე-2 ნახევარი. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ბ ა ხ უ ტ ა მ ო რ-ჩ ი ლ ი ძ ი ს მიერ თ ე ი მ ურ ა ზ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 12,6×7,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 11876 Hd.
თეიმურაზ ჯავახიშვილი იხსენიება XVIII ს-ის დამლევს (იხილე აქვე საბუთი № 8521 Hd).

ქ. ესე გარდასაწყვეტილობისა წიგნი მოგართვი მორჩილიძე ბახუტამ თქვენ, ჯავახიშვილს თეიმურაზს, ასე რომ ჩემი თორმეტი მინალთუნის გემართა. გარდასწყვიტე. თამასუქი აქ არა მქონდა. როცა ის თამასუქი გამოჩნდეს, ამ წიგნმა გა(ა)მტყუნოს. არის ამისი მოწამე ნაც(ვ)ლიანთ ელიზბარა, ბიჭიკაშვილი ზაქარია. მე. ყორჩის-შვილს იასეს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი +.

218. XVIII ს. თ ო მ ა მ ო ლ ა დ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ მთავარეპისკოპოზისაგან მოპარული და განასესხები ფულის ნუსხა. დედანი. ზომა 21×15,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3570 Hd.
თარიღდება ხელის მიხედვით XVIII ს-ის ფარგლებში.
ამ საბუთის პირია საბუთი № 3570a Hd. ამას სათაური არ აქვს; ბაშინჯაღელის სიძე აქ დასახელებულია არა გიორქა-დ არამედ გიქუა-დ; ქიტესა დალაქის ქრთამი აქ ასოებითაც „ი“ და სიტყვითაც თხუთმეტი თუმანია აღნიშნული. დედანში აღნიშნული სტრიქონს ზემოთი სიტყვები აქ სრულიად არ არის.

ქ. თომასაგან მოპარული თეთრი მთავარეფისკოპოზისა ვისთანაც აქს გაცემული. ეს კი ზედმიწევნით ვიცი და რაც არ ვიცი, ის სხვა არის.
ქ. ოქუანთ დავითას-შვილებს მართებს ოთხმოცი თუმანი.
ქ. ჩემს შვილს ივანეს მართებს ოცი თუმანი.
ქ. ოქუანთ ზურაბას მართებს ოცდა ათი თუმანი.
ქ. ეშგურგენას-შვილს დავითას მართებს ოცდაათი თუმანი.
ქ. ბაშინჯაღელის სიძეს გიორქას მართებს ხუთი თუმანი ორთავ ძმათა[1]. ამ გიორქას სახლებიც გირაოთ აქს თომას ცოლსა[2].
ქ. ყაზაზს მიკირტუმას მართებს ოთხი თუმანი.
ქ. ყასაბ თათულას მართებს ხუთი თუმანი.
ქ. ოქუზას ქალსა მართებს თვრამეტი თუმანი.
ქ. ჩემს რძალსა მართებს ორი თუმანი.
ქ. გოგია მილახვარის-შვილსა მართებს ხუთი თუმანი.
ქ. ერთი ბაღი აქთ ნასყიდი ოქუას-შვილს დავითას სახელზედა ასორმოც თუმნათ.

[1] უკანასკნელი ორი სიტყვა სტრიქონს ზემოდან სწერია დედნის ხელითვე.
[2] უკანასკნელი შვიდი სიტყვა სტრიქონს ქვემოდან არის მიწერილი .დედნის ხელითვე.
[3] ასო „Ꝑ„ პირშეკეული „ჰ“-აეს სახით არის წარმოდგენილი.

ქ. ზურაბა მესანთლეს მართებს სამოცი თუმანი.

ქ. თხუთმეტი(sic) თუმანი და ერთი ‿ვერცხლის ჩარექა ქიტესა დალაქს ქრთამათ.

Verso სხვა ხელით და მელნით:

ქ. მამის ჩემისაგან მოცემული ნუსხა არის თომა მოლადინაშვილს რაც თავარეპისკოპოზის თეთრი ქონია მოპარული.

219. XVIII ს. გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული სულხან მარტიროზის-შვილის მიერ იესე კოსტადილეს-შვილისადმი. დედანი. ზომა 16×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუზ. № 3810 Hd.

თარიღი განზსაზღვრულია ხელის მიხედვით XVIII ს-ის ფარგლებში.

ქ. ესე წიგნი მოგეცი გარდაწყვეტილობისა მე, სულხან მარტიროზის-შვილმა და ძმის წულმა ჩემა პატარკაცმა, თქვენ, კოსტადილეს (sic) შვილს იესესა, ასრე რომე ჩემს ძმასა ოცი მარჩილი ემართა. თამასუქსა მთხოვდი და თამასუქი არა მქონდა და მელაპარაკებოდი. არც მე მქონდეს ჭელი, არც სხვას კაცსა. სადაც თამასუქი გამოჩნდეს, ამ წიგნმა გამტყუნოს. არის ამისი მოწამე წაბნალი ნოზაძე ჩინელი, ხუცის-შვილი ზურაბა. მე, ტერ-ოვანას, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. +

220. XVIII ს. თამასუქი, მიცემული ხოსია მესხიშვილისა და შიო მწყერაშვილის მიერ მუსტაფა ბარბაქაძისადმი. დედანი. ზომა 16×7,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუზ. № 3802 Hd.

თარიღი განსაზღვრულია ხელის მიხედვით XVIII ს-ის ფარგლებში.

ქ. ევიღე(sic) შენ, მუსტაფა ბარბაქაძისაგან, მე, ხოსია მესხიშვილმა და შიო მწყერაშვილმა, შუა ე(ნ)კენისთვეს ოცი მარჩილი ასე ამა პირით, თუ ვივაჭრო, რაზედაც შეგპირდი, ის საქმე შენა გუნებისათ. თვარამ შენი თეთრი არ დიგიხარჯო, ისევ შენი თეთრი მოგაბარო. თუ ამაზე გაგიმტყუნდე, ვიყო მეფე სოლომონის შემცოდე, მისი შვილების მკლელი ვიყო. ვიყო ქუთათელისა და ყოვლის პატრიაქისაგან შეჩვენებული.

221. XVIII ს. გირავნობის წიგნი, მიცემული დათუნა ბლიაძის მიერ ბერუკა ნინას-შვილისადმი. დედანი. ზომა 19,5×12 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3691 Hd.
თარიღი განსაზღვრულია ხელის მიხედვით, XVIII ს-ის ფარგლებში

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, თამაზაშვილმა ბლიაძემა დათუნამა და შიომა და გიორგიმა, შენ, ნინას-შვილსა ბერუკასა და გიორგისა, ასე რომე შვიდი მარჩილი ვალათ მემართა და ახლა ამისთვინ მამიცემია მლაშეხევში ჩემი ნასყიდი მიწა ზეით ქოჩორაძის მიდგმამდინ, ქვეით ტყემდი გირაოდ. როდესაც შენი თეთრი მოგიტანო, ჩემი მიწა მევე დამანებე. არის ამისი მოწამე დათუნა ხახუტას-შვილი. მე, ნიკოლოზს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მაი(ის) ნახევარს.

222. XVIII ს. ყმის გირავნობის წიგნი, მიცემული სულთან ჯაფარიძის მიერ ზაალ ფალავანდის-შვილისადმი. დედანი. ზომა 26×23 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 511 Sd.
თარიღი განსაზღვრულია ხელის მიხედვით, XVIII ს-ის ფარგლებში.

ქ. ნებითა და შეწ(ე)ვნითა მღთისათა, ეს წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ ჯაფარიძემ სულთან, ძმისწულმან ჩემ(მ)ან ჯახვამ, ქაიხოსრომ, როსტომ, გელიამ, გიორგიმ, პაპუნამ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა, თქვენ, ფალავანდ(ი)ს-შვილს ზაალს, შვილსა შენსა შიოშს, მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, ასე რომ დამეჭირა და ორასი მარჩილი იმერული თეთრი გამოგართვით. ამისდა გირაოთ მოგეცით სარეკს ჩვენი სამკ(ვი)დრო ყმა მღდელი კუტალაძე პეტრე, ამის განაყოფი ლეკვია, ჭიღლაძე დათია თავისის ძმით და სახლის-კაცით, ბაჯითს გაბაძის საკომლო თავისის პარტახტით. თუ წელიწადზე შენი ორასი მარჩილი ვერ მოგართვათ, ცვითელაძის პარტახტი გირაოთ იყოს ისიც ამათ(თ)ან. თუ, ვინ იცის, ჩვენს ქვეყანაში წავედეთ, ამის სარგებელში ეს კაცები ვეღარა ვიმსახურო, მარჩალ(ი)ს თავს ნახევარ(ი) შაური სარგებელი მოგცეთ წელიწადში. ამისდა გასათ(ა)ვ(ე)ბლ(ა)დ მოგვიცემია ღმერთი და ყოველნი იმ(ი)სნი წმინდანი. კაცთაგან გიორგი მაქერქველიძე და გამრიგე ქველი ხუცის-შვილი, ცოცხალ შეყრილაძე, მახარიკი ხარებას-შვილი, სულეკი ცერცვაძე. ეს ორასი მარჩილი თქვენთვინ მამიბარებია. როდესაც გთხოო, ეს ჩემი თეთრი თქვენ უნდა მომცეთ. ამას გარდა, კიდევ მოწმე მაჭავარიანი კაკა, მამისთვალას-შვილი გოგია, ამისი მოწმე კოკან ეგებას-შვილი,

გოგიტა გაგნიძე და ძამაძე დათუნ(ა), ბერეკას-შვილი კაკი. მე, ბესარიონს ქარუმიძეს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, ბესარიონ.

დაიწერა თებერვლ(ი)ს ოცთაერთს გასულს, ქკ~ს...

+ + + + + + +

Сей документъ въ Имеретинскомъ временномъ правлении отъ подполковника и кавалѣра князя Григора Церетеля 7-го дня августа 1822-го года явленъ и въ книгу подлинникомъ отъ слова до слова под № 467-м записанъ въ чемъ сиимъ за подписомъ (sic) присудствующихъ и приложеніемъ казенной печати свидѣтельствуется. პოლკოვნიკ მდივანბეგი თავადი ქაიხოსრო წერეთელი. მდივანბეგი თ~დი ლევან ჩხეიძე.

[1]

223. XVIII ს. ვალების ნუსხა უცნობი პირისა. დედანი. ზომა 33,8×21,7 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8173 Hd.
თარიღი განსაზღვრულია ხელის მიხედვით, XVIII ს-ის ფარგლებში.

ი) ქ. ხთის (sic) წინაშენ, რევაზის აღებული ვალი, ქალაქში აღებული თეთრი ფული ათი თუმანი ოქრომჭედლისა.
ლ) ქ. თავზარაშვილის პაატასი ვალი ოთხი თუმანი, რევაზის აღებული.
ბ) ქ. კიდევ ტერ-პეტროზასი ორი თუმანი.
ვ ხ ქ. რევაზის შვილის ივანესი აღებული ვალი გამოგ(ვ)ართვეს ექვსი თუმანი და ექვსი მინალთუნი.
ნ) ქ. ნებიერიძე დეკანოზის ორი თუმანი.
ა) ქ. მათიაშვილის (მ)ღ(ვ)დლის მართეფს (sic) (1 თუმანი).
ბ) ქ. ისხაკა ურიისა არის ორი თუმანი რევაზის აღებული, საკუთრათ რევაზის აღებულ(ი), რომ თამასუქში არც ერთი ძმა არა ვწერივართ.
[ ][2] ქ. რევაზმა მაგყიდა ჯეგაძე კახეთში ჩვენი სამკვიდრო ყმა ერთ(ი) კომბლი (sic) ნინია. ახლამს (sic) ანდრია ასანიძე.
ბ) ქ. კიდევ ქალაქში ნონიაშვილი ბეცია(ს) შვილები და იმისი ძმა დათუა, თავი და(ა)ხსნევინა ორ კომლს (2 თუმანი).
ბ) ქ. ჩვენი საოჯახო ყმა არის ჩვენს ხელში ორი კომლი ბარბაქაძე (2 თუმანი).
ბ) ქ. კიდევ ორი კომლი ლიაძე და სანდაძე (2 თუმანი).
ბ) ქ. კიდევ მჭედელი და თათარაშვილი (2 თუმანი).
ბ) ქ. კიდევ ნონიაშვილი და ძვილიაშვილი, ეს ორი ჩვენი ყმა (2 თუმანი).

---

[1] მურის ბეჭედი მრგვალ-ოვალური ფორმისა, შუაში ღერბით.
[2] აქ ორი ციფრი გადასულია.

224. XVIII ს. უცნობი პირის ჩანაწერი ვინმე მ ე ს ხ ი ს-შ ვ ი ლ ი ს დავალიანების შესახებ. დედანი. ზომა 21,4×7,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5756 Hd.
თარიღდება ხელის მიხედვით XVIII ს-ის ფარგლებში.

ქ. ამ მესხის-შვილში ნახარჯა (sic) და ნახსარი (sic) მაქვს სამასი მარჩილი. მაგის ნამრეხში (sic) ოთხასის მარჩილის თეთრი თუ საქონელი კიდევ გადანახადი მაქვს. სამართალი შემიძლია.

225. XVIII ს. მამულის გირავნობის წიგნი, მიცემული ჯ ო ლ ო რ ი ა კ ო რ ძ ა ი ა ს მიერ ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 12×12 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5774 Hd.
თარიღი განსაზღვრულია ხელის მიხედვით, XVIII ს-ის ფარგლებში.

ქ. ასე წმინდა პირობა მოგეცი მე, ჯოლორია კორძაიამ, შენ, ნანეიშვილს ხუჭუკას და მის ძმას დათიკას, იასეს, მალაქიას ასე რომე შენი ზიარი მამული მქონდა სანავარდოის ჭალაში. აწ გამიჭირდა და თოფი გამოგართვი თერთმეტ მარჩილათ და ის მამული დაგაწინდრე. აწ თუ მოგართვი შენი თეთრი, თვარა თეთრის მოცემამდი საოგეველში მამული კრიფე. როდესაც შენი თეთრი მოგცე, მის რიგათ ჩემი მამული ისევე მომეცი. არის ამის მოწამე გოგია ნანეიშვილი და მე, მერაბას, დამეწეროს და მოწამეც ვარ ამისი.
თუ მოგეცი ნასთ(ვ)ლებს თებერვა(ლ)ში, თვარა ისთევე მამული მოკრიფე.

226. XVIII ს. წერილი ი ე ს ე ნ ი ჟ ა რ ა ძ ი ს ა ხ უ ჭ უ კ ო ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი თამასუქის თაობაზე. დედანი. ზომა 15×10,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 5778 Hd.
თარიღი განსაზღვრულია ხელის მიხედვით, XVIII ს-ის ფარგლებში.

ხ უ ჭ უ კ ო ს.

ქ. ძმას, ბატონს ნანეის-შვილს, შენი კარგად ყოფნის წადიერი ნიჟარაძე იესე მრავალს მოკითხვას და უვნადგების სურვილს მოგახსენებ. მერმეთ, რატომ ასე მიქენი, რომ თამასუქიც წამართვი და თეთრიც? ვახტანგეის, ჩემი ბიძაშვილის, საქმეზე აბესამ ხარი წამართვა და ახლა თუ თეთრი არ გამომიგზავნე და ხარი არ დამახსნევინე, მეფეს შევეხვეწები და ბოქაულს მოგიყვან. და თუ ჩემი ძმობა გწამს, ამ საქმეში ნუ დამინდურებ და ნურც შეგძულდები.

და ახლა თუ თეთრი არ გამომიგზავნე, ჩემი თამასუქი გამომიგზავნე, მეფეს მივართმევ და ბოქაულსა ვთხოვ და ჩემსას ავიღებ. და სჯობს რომ თეთრი გამომიგზავნო, ბატონო.

227. XVIII—XIX ს. წერილი თულა აქიმისა მანუჩარ მდივანს ვალის გადახდის თაობაზე. დედანი. ზომა 18,5×8 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3815 Hd.
საბუთის ხელი გვაგულვებინებს XVIII ს-ის დამლევს ან XIX ს-ის დამდეგს.

მათს ბრწყინვალებას, ბატონს მანუჩარ დივანს.

თუ თქვენი ნება იქმნეს, თორმეტის თუმნის ბარათი რომ გახლავსთ გლახასი, ის ბარათი მიბოძეთ და ოთხი თუმანი გაკლიათ, იმას მე მოგვართმევთ.

სხვა ლაპარაკები რომ იყო, ის ლაპარაკები ერთი ხელში დასაჭერი საქმე არ არის და ნურც თქვენ გამოეკიდებით.

მონა თულა აქიმი.

228. XVIII—XIX ს. თამასუქების სია უცნობი პირისა. დედანი. ზომა 17,5×10,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია წერტილი და მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 3620 Hd.
რუსული დაბოლოებანი (გვარი ერისთოვ) განსაზღვრავს საბუთის თარიღს XVIII ს-ის დამლევით ან XIX ს-ის დამდეგით. ხელიც ამ ხანაზე მიგვითითებს.

ლთ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი არის ოცდა ცხრამეტი თუმანი და ნახევარი.
მ ქ. ციციშვილის მოურავის თამასუქი არის ორმოცდა ხუთი თუმანი.
კ ქ. მაღალაანთ თამასუქი არის ოცდარვა თუმანი.
ბ ქ. დავითისა და სოლომონ ერისთოვთ თამასუქი არის თოთხმეტი თუმანი.

რკვ ქ. ამ ზემონაწერის ოთხის კალმის ჯამი არის ასოცდაექვსი თუმანი და ნახევარი.

ქ. ნიკოლაოზ ამილახვარის თამასუქი არის ორი ათას ასოცდა რვა თუმანი, ოთხი მინალთუნი და ათი შაური ცრკ წფ.
ი ქ. ოსინაანთ თამასუქი არის ათის თუმნისა ქრისტესიას-შვილისა.

229. XVIII—XIX ს. ვალებზე დავის გადაწყვეტილობის წიგნი. დედანი. კიდეები დაზიანებული აქვს. ზომა 16×12,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია ორწერტილი ან სამწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8970 Hd.
საბუთს დაახლოებით ათარიღებს ხელი, რომელიც XVIII ს-ის დამლევს ან XIX ს-ის დამდეგზე მიგვითითებს.

ქ. მამუკას ერგო ვალი თოთხმეტი მარჩილი. კიდევ მამუკას ერგო ვალი . . . მარჩილი. გიგიას ერგო ვალი ძველი ხუთი მარჩილი და ერთი მ(არჩ)ილი ახალი. ხოსიას ერგო ახალი ვალი ოთხი მარჩილი. ამათი მოსამართლე იყო გიორგი ღდელი(sic), გიორგი შავბერას-შვილი, მამასახლისი კაცია დაღონენა და ზურაბა. ხოსიას დაედვა მამუკასი ოთხის მარჩილის სარგებელი. ახალზე უნდა მისცეს ოთხი კოკა ტკბილი და სამი კოდი სიმინდი. ამას გარდა ერთმანერთში სადაო არა დარჩენიათ რა ძმობის და მუსეებობის(sic) მეტი.

230. XVIII—XIX ს. ფულის მიბარების ხელწერილი, მიცემული პეტრე მანველის-შვილის მიერ დავით თარხნიშვილის ყმებისადმი. დედანი. ზომა 7,8×8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 11824 Hd.
დავით თარხნიშვილი ხშირად იხსენიება ჩვენს საბუთებში XVIII ს-ის მე-2 ნახევარსა და XIX ს-ის 1-ლ ნახევარში. ხელის მიხედვით მოცემული საბუთი შეიძლება განისაზღვროს XVIII ს-ის დამლევით, ან XIX ს-ის დამდეგით. უფრო საფიქრებელია XVIII ს.

ქ. მამებარა მე, მანველის-შვილს პეტრეს, თარხნიშვილის დავითის ყმებისგან, გარგლელის პეტრესგან, ხუციშვილისგან იესესგან, ექსი მილანთუნი და თხუთმეტი შაური თეთრი, ქ(რ)ისტიშობისთვეს გასულს. ქალანთრის ჯამაგირი(?).

231. XIX ს-ის დასაწყისი. თამასუქი, მიცემული ბერიკა კირკიტაძის მიერ გოგია ტყემლაძისადმი. დედანი. ზომა 18,3×10,7 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5805 Hd.
თარიღს დაახლოებით განსაზღვრავს საბუთის რეალიები („ქართული თეთრი", „მანათი").

ქ. ღთით ავიღე მე, ბერიკამა კირკიტაძემ, შენ, სკინდორის(?) მცხოვრების გოგია ტყემლაძისაგან, ოცი მანათი ქართული თეთრი არ . . .[1] ეს ზემო-

[1] აქ სიტყვა წაშლილია.

ხსენებული თეთრი რომ იქს სარგებლათ. რასაც ხანს ეს ხსენებული თეთრი ჩემს ხელათ იქნეს, ეს წელიწადში სარგებელი გაძლიოს ოცდასამი მარჩილი. სარგებელში ამოვალ. როცა მოგცე, ყოლისფერი გამოგართვა.

არის ამისი მოწამე და გამრიგე კურტანიძე დათიკი, პერანიძე გოგიელა. მე, პაატა წერეთელი, ვწერ და მოწამეცა ვარ ამისი +.

232. 1801 წლ. თებერვლის 5. არსა ლუარსაბ გლურჯიძისა მეფის ძის დავითისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 19,5×7,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3796 Hd.

ქ. მათის დიდებულობის ბრძანებით, საქართველოს მემკვიდრის მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ლუარსაბ გლურჯი(ძი)საგან. ხუთი თუმანი ემართა ერთს კაცს ჩემი. შარშან თქვენ მოგახსენე. სოლომან მდივან-ბეგის ძმას იოსებს უბძანეთ: გამოურთვი, მოეც. ოთხი თუმანი მე მომცა. ერთი თუმანი ჩემის თეთრიდამ აუღია და იმისთვის საიასაულო გამოურთმევია. თუ სიტყვა არა ჰქონდეს, ჩემი ერთი თუმანი მომცეს და თუ სიტყვა აქვს, მოსამართლე(ე)ბთან მომყვეს. ფებერვლის ე, ქკ˜ს უპთ.

ზემო აშიაზე სხვა ხელით: ქ. უფალნო მსაჯულნო, ეს მოხსენება საჯეთ ჭეშმარიტად და აღასრულეთ. თებერვლის იზ, ქკ˜ს უპთ. [ ][1]

233. 1801 წლ. თებერვლის 15. მენაბდე გრიქურას თამასუქის დამოწმება თავილდარი ნასყიდას მიერ. დედანი. ზომა 21,6×22 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5114 Hd.

ქ. ძალა ამ ნაწერისა ეს არის, რომ ქალაქის წახდენას უწინ გურჯი ოსეფას (sic) შვილი Ოუსენამ მოვიდა ჩემთან, ხუთი თუმნის თამასუქი დამაწერინა მე, თავილდარი ნასყიდას: მენაბდე გრიქურასაგან ხუთი თუმანი ავიღეო და ჩემი სახლი გირაოთ ვაძლევ განჯის კარის უბანშიო. მეც დაუწერე ხუთის თუმნის თამასუქი. ც(ი)ხის დიდ(ი)ს ეკლესიის დეკანოზიც ტერ-არაქილასაც დააბეჭდინა. ის Ოუსენამ ამ თარიხში თავრიზს იყო, გრიქურამ მოვიდა ჩემთან, ასე მითხრა—ჩემის სახლის თამასუქი ხომ შენი დაწერილი იყოო, ქალაქი რომ წახდაო, ცოლშვილით დავტყვევდიო და თამასუქიც დამეკარგაო. მეც ეს წიგნი დავწერე და გრიქურას მივე, მანამ Ოუსენამ მოვიდეს. მერმე თითონ იციან როგორც შერიგდებიან.

დაიწერა თებერვლის იე, ქკ˜ს უპთ. [ნასყიდ][2].

[1] ქართული მურის ბეჭედი ასომთავრული წარწერით, რომელიც არ იკითხება.
[2] მურის ბეჭედი, რვაკუთხედის. მოყვანილობისა.

234. 1801 წლ. მარტის 11. არზა ლუარსაბ გლურჯაძისა დავით ბატონიშვილისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 29,5×10 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3803 Hd.

ქ. მათის დიდებულების ბრძანებით, საქართველოს გაუმგებლის მეფის ძის მემკვიდრის დავითის წინაშე მოსახსენებელი გლურჯიძე ლუარსაბისა.

ჩემო ხელმწიფევ, პეტრე მღდელს რომ მოუხსენებია, ოთხის თუმნის მეტი თუ იქიდამ მოსცემოდეს, ღ~თნ შენი რისხვა მომცეს. რაც ოთხს თუმანში სადივანბეგო ერგებოდეს, ის მი(ი)რთვას და ჩემი კი მებოძოს. კაცებიც აქ გახლავან, თუ სიცრუ(ი)თ მომეხსენებინოს, იმათ კითხეთ. მარტის ია, ქკ~ს უპთ. და ამას გარდა თორმეტი მინალთუნი ხატის თეთრი შექამა, რომ მაგისგან ვერა გამოვიტანე რა. ამისს მოწყალებას გევედრებით, რო(მ) ეკლესიას თავისი თეთრიც მიერთოს. ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა მიბოძეთ, ერთი კაცი, რომელიც თქვენი ნება იქნება, დაგვისვას და სამართალი გვიყოს.

ზემო აშიაზე სხვა ხელით: ქ. უფალო პეტრე მღვდელო, შენს მღვდელობაზე მოგვიგდია, თითოს კაცს მირვანოზ(?) გამოგარჩევსთ და ერთმანერთს მორიგდით. მარტის იბ, ქკ~ს უპთ. |—|[1].

235. 1801 წლ. მარტის 17. თამასუქი, მიცემული ჯულაბანთ დავითას შვილის ბაღდასარის მიერ ბატონი მანუჩარ მდივნისადმი. დედანი. ზომა 10×10,8 სმ. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 853 Sd.

ქ. ავიღე მე, გორელმა ჯულაბანთ დავითას შვილმა ბაღდასარმა, შენ, ბატონი მანუჩარ მდივნისაგან, ორი თუმანი ახალი ქალაქის თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ̅ა(1 თუმანი) ამდენს. ამა ქვემო თარიღიდამა რაც ხანს ჩემთ ხელთ დაყოს, თუმნის თავს თვეში ერთი აბაზი სარგებელი გაძლიო. არის ამისი მოწამე ბაბუა მამასახლისი და მე თვითონ, ბაღდასარას, დამიწერია და ყაბულიცა მაქვს ამისი.

დაიწერა მარტის იზ, ქკ~ს უპთ +.

ამ თამასუქის თავნში ორი ოქრო მამბარებია ექვს მინალთუნათ. მაისისით, ქკს უჟბ.

---

[1] მურის ბეჭედი დავით ბატონიშვილისა.

236. 1801 წლ. ივნისის 27. თამასუქი, მიცემული ლიონგურა ლიონგურას-შვილის მიერ იოვანე ზუბალაშვილისადმი. დედანი. ზომა 31,5×12 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8174 Hd.

ქ. ავიღე მე, ქვემო-ნიქოზელმა ლიონგურას-შვილმა ლიონგურამამ, შენ, ზუბალაშვილი იოვანესაგან, ხუთი მინალთუნი ქალაქის სირმა აბაზი, რომ იქს ამის ნახევარი ცფ (ორ ნახევარი მინალთ.) ამდენი. ამ ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, ყოველს რთველზე ერთი კოკა ტკბილი გაძლიო. არის ამისი მოწამე ღებრის-შვილი გაბრიელ. და მე, გვრიტაძე ბერუას, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა თიბათვის კზ, ქკს უპთ. ეს ფული ჩემი ძმის სამკვდროთ ავიღე.

237. 1801 წლ. ივლისის 14. წერილი მოზდოკის ბურღომისტრის წოჯაიოვისა მანუჩარ თუმანოვისადმი არაქელა ტერტერას-შვილის ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 22,7×19,3 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 7730 Hd.

მაღალ-ბრწყინვალებაო თავადო მდივანო მანუჩარ თუმანოვ, ჩვენო მწყალობელო უფალო, უმაღლესად თაყვანისცემას მოგახსენებთ და მაღალ-ბრწყინვალების თქვენი დღეგრძელობას ღმერთს ვევედრებით.

შემდგომად, მიცვალებული ტერ-ასატურას შვილი არაქელას გამოისად იმგვარი საქმე მოხდა და გვთხოვა, რადგან დიდებული ყოვლად მოწყალე ჭელმწიფის ბრძანებით საკუთრივ Ѳიოსთ გვარის სასამართლო გვეწყალობა და ჩვენ მოსამართლენი ვიცხადებით ქალაქის მოზდოკისა. რადგან არაქელას თქვენი მაღალ-ბრწყინვალებისაგან სანუკვარი Ѳქონდა მიზეზი, დუშელი აზიზას-შვილი აკოფას საამხანაკო წიგნი, მოზდოკელი ოსი დაიჭირა და სამი თუმანი ქირა დაѲპირდა და ჩვენც იმ არაქელას წერილზედ ჭელი მოვაწერეთ და კაცი გა(ა)ხელით. მიზეზი ეს იყო, რომელიც ზემო აკოფას შვილი ბესო მოზდოკში გახლდათ და კიდეც ჩვენს სასამართლოში თავდები გამოვართვით და თავი დავანებეთ ამიტომ რო, თუმც ჩვენზედა და არაქელაზედა წერილი გვიბოძა, მარამ სა(ა)მხან(ა)კო წიგნისა გებძანათ, ჩემი ოთხმოცი თუმანი მართებსო არაქელასაო და თუ ჩემის თეთრის გამორთმევას დამპირდებით, გამოგიგზავნით. ამის პასუხი ეს მოგხსენდეს, ჩვენ ასრე გარწმუნებთ: თუ რომ, ღვთით, ბერუა მოვიდეს მოზდოგს (sic), ღვთისა და დიდებულის ჭელმწიფის სამართლით, ტერტერას-შვილი არაქელას და ბერუას სამართალს ვნახამთ, ბატონი ბრძანდები. მაგრამ თქვენი მაღალ-ბრწყინვალებისა პირველ დაწყების ამის

მოვალობას აცხადებ, ოთხმოცი თუმანი და რაც ამ თქვენი ჯალაბში თქვენ და თქვენი ძმა უფალი სულხან მდივნის მოზდოგში ყოფნის დროს გამოგირთმევიათ, პირველათ თქვენი ჭელნაწერი ბარათი ვნახეთ—გიორგობისთვის კვ, ქკს უოდ, ამ რიცხვში ორმოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის[1] ახალი სირმა აბაზი მოგბარები(ა)თ; მეორე უფალი სულხან მდივანის ჭელთნაწერი ბარათი ვნახეთ მარტის იე, ქკს უოვ—ამ რიცხვში ოცდაათი თუმანი რუსის ასიგნაცი მოგბარებია. ამას გარდა, ცოტა ხანს უკან ხარაზიანთ ოსებასთან ამისი დანარჩომის ურდუნობა გიბრძანებია და თქვენის წერილით ამტკიცებს, რო ამის თამასუქიც და ის სა(ა)მხანაკო წიგნიც ამასთან ყოფილა. და არაქელას, თავისის ვარაუდით, ათი თუმნის მეტი მოვალობა არ უკისრია. და ათი თუმანი ვკითხეთ ოსეფას, თუ მართლა ათი თუმანი მოგცა, შენთან იყო. ოსეფამ ასე პასუხი მოგვცა თუ—მართალია, მე მქონდა და ჭელმეორედ უფალს მანუჩარს მდივანს წიგნი მივწერე და ვკითხეო, თუ სარგებელს არას მაძლევს და ათს თუმანს მაძლევს; პასუხი მომივიდაო—მანამ თავის სარგებლით არ მოგცემს, ათი თუმნის გამორთმევას არ ვყაბულობო; როდის ეს წიგნი მომივიდაო, ავიღე ის გამორთმული ათი თუმანი, არაქელას უკან მივეციო. ბევრი თავი რაღა გაწყინოთ, ჩვენი მოხსენება ეს არის, ასე რომ რომელსაც თქვენი მაღალბრწყინვალების ნება იყოს, იმ კაცს სრული ვექილობა მიეცით, ტერტერასშვილ(ი)ს თამასუქი და აზიზას-შვილი აკოფას სა(ა)მხანაკო წიგნი გამოუგზავნე. ჩვენგან ასრე დარწმუნებული ბრძანდებოდე, რომ როდეს თქვენი ვექილი ჩვენთან გამოცხადდება, რაც თქვენი ვალი არის მოგართმევს. ბურღ(ო)მისტრ.

სხვა ხელით:

ბურღ(ო)მისტრ [2]ხოჯაიოვ[3]. მოზდოგს, ქკ[ს] ჩყა, მკათათვის იდ გასულს.

238. 1802 წლ. იანვრის 1. თამასუქი, მიცემული ტერ-შმოვანანთ სოლომანას მიერ მანუჩარ თუმანოვისადმი. დედანი. ზომა 18×10 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. საბ. მუზ. № 14595 Hd.

ქ. ავიღე მე, ტერ-შმოვანანთ სტეფანას შვილმან სოლომანამ, თქვენ, კნიაზ მდივანი მანუჩარ თუმანოვისაგან, ოთხას ოცდა ცამეტი დანა ბაჯაღლუს ოქრო, 316. რომ იქს ამისი ნახევარი ორას თექვსმეტ-ნახევარი დანა ბაჯაღლუს ოქრო (სივ) ამდენი. ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ჭელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე. რაც შენი თეთრი ითხოვო, უმიზეზოთ მოგაბარო. და მოგეცი ამის გირაოთ ჩვენი მკვიდრი სახლების ადგილი მთლივ და ჩვენი ორი დუქანი მექვაბეების ბაზარში და ნახევარ-დუქანიც ბატონის

[1] დედანში: „ზარაფრხანის“.
[2] სახელი არ იკითხება.
[3] აქ მოსდევს კიდევ სომხური ხელრთვა, რომელიც ძნელად განირჩევა.

ქარვასლის ქართან, ჩვენი ბიძაშვილებთან სა(ა)მხანაკო. როცა შენი ზემო მაბ-
ლაღი თავისის ანგარიშით დე სარგებლით შოგცე, ჩემი გირაოები დამანებო,
დაიწერა ჰაშტარხანს, ჩყბ წელსა, იანვრის ა. მე თვითონ, სოლომანს, და-
მიწერია და ყაბულიცა მაქვს, ეს ჩემი ხელია. სოლომან [1]

239. 1802 წლ. თებერვლის 16. პირობის წიგნი, დადებული ავეტიქასა და დათოას შორის შარბაბჩი ჰამზას ვალის სანახევროდ გაყოფის შესახებ. დედანი. ზომა 10,8×7,3 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 11833 Hd.

ქ. მიცვალებული ტეტია უზბაშისა შარბაბჩი ჰამზა(ს) აბრეშუმისა ოცდა-
რვა მინალთუნი ემართა. საცა ჰამზასი ან შვილები, ან საქონელი გამოჩნ-
დეს, თუ მე ან შენ, დათომა, დავიხელოთ, რაც გამოვართოთ, ნახევარი მე,
ავეტიქასია, ნახევარი შენ, დათოასია.
თებერვლის ივ. ქკს უჟ.

240. 1802 წლ. მარტის 3. არზა გიორგი თამაზაშვილისა იმპერატორი ალექ-
სანდრესადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 21,4×15,5 სმ. დაწერილია ლურჯ
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშები არ აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 7197, Hd.

ყოვლად უგანათლებულესო დიდო ჭელმწიფევ. იმპერატორო ალექსანდრე
პავლეს ძევ, თვითმპყრობელო სრულიად რუსეთისაო, ყოვლად მოწყალევ
ჭელმწიფევ!
ვითხოვ ორბელიანი თამაზის ყმა გიორგი თამაზაშვილი.
ჩვენი სახლი ხარაზი მარტიროზასთან გირაოთ არის ოცდახუთ თუმნა-
თა, თამასუქიც გვიჭირავს და ანდერძის წიგნიც არის. სახლებშიაც ის იდგას.
თორმეტი თუმანი მოსაცემს არის და ცამეტი თუმანი კი მოუცია და იმ და-
ნარჩონს აღარ გვაძლევს. წყალობას ვითხოვთ, თამასუქიც და ანდერძის წიგ-
ნიც გაშინჯოთ და სამართალი გვიბოძოთ.
მარტის გ, ქკს უჟ. ტყვე მოვიყვანე, ოცდაათი თუმანი უნდა მივცე; თუ
ახლა სახსარი არ მივცე, ტყვეს უკანვე წაიყვანს.
სხვა ხელით:
ბრძანება საქართუჩლოს სამოქალაქოს მმართებელთაგან თავადო ზურაბ
ორბელიანო!

[1] ბეჭედი.

ესე და ამისი მოდავე მელიქს დარჩიასთან მიაყვანინე და სამართალი მოაცემინე. თებერვლის კვ, ქკს უჟ.

სხვა და სხვა ხელით:

Генералъ-майоръ Лазаревъ[1].

თავადი ბარათოვი[1].

თავადი იოანე ჩოლაყოვი[1].

თავადი სულხან თუმანოვი[1].

თავადი ეგნატე თუმანოვი[1].

241. 1802 წლ. ნოემბრის 24. ქართლის მოვალეების სია (მანუჩარ თუმანიშვილისა). დედანი. ზომა 34,5×11 სმ. დაწერილია მორუხო ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

საქ. სახ. მუზ. № 14596 Hd.

შედარება სხვა აქვე დაბეჭდილ საბუთებთან ცხადჰყოფს, რომ მოცემული სია მანუჩარ თუმანიშვილს ეკუთვნის.

ქ. თევდორევ, ქართლში რაც საქმეები გაქვს გასარიგები, ამას ქვემოთ სწერია თითეულათ.

არ მოუცია[2] ქ. მეჯვრისხევს ჩემი ყმა მურადაშვილი დავითა დგას, იქ მიდი იმასთან, ის ჩემსას ერთს თუმანს არის მოსაცემს, გამოართვი.

არა მოეცის ქ. ერედვს მიდი, ფავლენიშვილი არჩილ და მისი ძმა დავით ნახე, ჩემი მიწერილი წიგნი მიართვი, ცამეტი თუმანი თავნი უნდა მამცეს და თოთხმეტი მინალთუნი სარგებელი და გამოართვი.

ოცი თუმანი მამცა ქ. იქივ ერედვს ფავლენის-შვილის პაპუნას ქვრივთან მიდი, ჩემი მიწერილი წიგნი მიართვი. მამული გაუყიდნია, იმისი თეთრი ოცდა ორი თუმანი მზას ქონდა. გამოეგზავნოს, ხომ ის არის, თუ არა, შენ გამოართვი. და ერთი ურემი ოცდახუთი კოდი პურიც მითხოვნია, ისიც გამოართვი, ხელთუბანს იმანვე ჩამოგიტანინოს.

ეს ასე გაურიგებია ქ. ცხინვალს უნდა მიხვიდე, იქ ჩემს კაცს გოდერძასთან ცოტა სამარხო და ნიგოზი იყო, თუ არ წამოიღოს, წამოიღო და გორს ჩამოიტანო, რომ იქიდამ ურმით გამოგზავნო. იქ ჩვენი მეზვარე ნახო და უთხრა, როგორც პირობა აქვს სამასის წიდნის ჩაყრისა და ნეხვის შეტანისა, სულ წელს უნდა შეასრულოს, თორემ ამ სამს წელიწადს რაც მოსავალი აუღია, სრულებით უკან გამოვართმევ.

მისცა ერთი თუმანი ქ. ცხინვალს მურადანთ ბაბელას შვილს სოსიასთან უნდა მიხვიდე, ჩემი მიწერილი წიგნიც უნდა მიუტანო, თეთრი ხუთი მილანთუნი (sic). და თუ ერთი თუმანი გთხოვოს, მიეცი. ერბოსი და ყველის ყიდვა მიმიწერია—ასყიდვინე და გამოაგზავნინე. თაფლის ყიდვაც მიმიწერია, ისიც ასყიდვინე, ერთი თუმანი მიეც.

---

[1] ხელრთვა.

[2] განსხვავებული შრიფტით აწყობილი ყველა შემდეგაა მიწერილი იმავე ხელით.

ეს იქივ არის ქ. ჩვენს პატარა გარეჯვარს ერთს ორმოში ორმოცდაათი კოდი ერედვული პური ჩაუყრევინებია გივს, რომ ის ორმო მურადა-შვილმა ღთისიამ იცის. გორს რომ მეურმე იაკობა არის, იმას უნდა უთხრა და თავის ტომრებით წამოაღებინო. გორს ჩემს წისქვილში წმინდათ და(ა)ფქვევინო და ქალაქს ჩქარა გამოის-ტუმრო. ერედვიდამ ერთი ურემი პური პაპუნანთ უნდა გაარი-გებინო და ის პური კოჩუას-შვილს ბეჟანს წამოაღებინო, რომ ჩემს ნასესხებს თეთრს არის მოსაცემს და ქირას იმაში უანგა-რიშებ.

ეს არ გა-მოურთმევია ქ. ახალდაბას აბრამაზე უწინდელის ნასყიდის პურისა ხუთი კოდი პური არის დარჩომილი, ის გამოართვი, თორემ, თუ ახლაც არ მოგცა, ერთს სამათ გამოვართმევ, ნუ მოეშვები, უნდა გამოართო.

ეს ჯერ არ მოუციათ ქ. იქივ ახალდაბას მამასახლის სიმონას ჩემი ერთი თუნანი ჰქონ-და, რომ ოცდაცამეტი კოდნახევარი პური უნდა ეყიდა. იმ პურ-ში გორს გამოუგზავნია ოცდახუთი კოდი და ნახევარი პური, რომ იმაში ხუთი კოდი პური აზრუმელას-შვილის მოცემული ყოფილა და ოცი კოდი და ნახევარი პური თავისი ნასყიდისა ყოფილა. მაგაზე დარჩომილია ცამეტი კოდი პური. თავისთან იყოს და თუ სხვასთან, უნდა ახლავ გამოართო და გამოგზავნო.

არ ჩამოუ-ტანია ქ. იქივ ახალდაბას გოგებაშვილს გლახასთან ქალაქს ჩამოსატანი თერთმეტი კოდი პური არის. ახლავ დადექ, სადაც იყოს და ვისთანაც იყოს, წამოაღებინე, წმინდათ და(ა)ფქვევინე და ქა-ლაქს წამოაღებინე, რომ აქ მე ჩამომიტანოს, თორემ ერთს ურემს პურს თავისას წავართმევთ.

თექვსმეტი აბაზი მოუცია ქ. მჭედლის-შვილს გოგიას ერთი თუმანი მივე ბერბუკის წისქვილ-ზე დასახარჯავათ. რაც დაეხარჯოს, ის გითხრას. რაც დარჩო-მილიყოს, შენ გამოაბარე.

არ მოუცია ქ. მჭედლის-შვილს სტეფანასთან ტერტერაშვილის სიმონას მოცე-მულის თეთრისა რვა მინალთუნი დარჩა, ის გამოართვი. და თუ თავის ძმის გოგიასათვის მიეცეს, იმას გამოართვი.

სამი თუმანი მოუცია ქ. მჭედლის-შვილს სტეფანას ამხანაკი პეტრე სამს თუმანს თავნს და ხუთს მინალთუნს სარგებელს მოსაცემს არის, სამ თუმან-ნახევარი თეთრი გამოართვი.

ქ. ტერტერანთ გიგოლა ჩემის ანგარიშით ოთხ მინალთუნს არის მოსაცემს და რაც თვითონ მაგცეს, ის გამოართვი.

არა მაუცია რა ქ. გორს ჯულაბაშვილს გოგიას ჩემი მიწერილი წიგნი მიუტანე და თექვსმეტი მინალთუნი გამოართვი. რომ მოგცეს, ჩემს მიწერილს წიგნზე მობარება მოუწერე.

ერთი თუმა-ნი მოუცია ქ. გორს ჯულაბაშვილი ბაღდასარა თავნსა და სარგებელს ოცდა-ცხრა მინალ(თ)უნს არის მოსაცემს. რვა მილანთუნი (sic) მოუცია. ოცდა ერთი მინალთუნიც ახლა გამოართვი ჩემის მიწერილის

წიგნით. თუ სულ არა ჰქონდეს, ერთი თუმანი მაინც მოგცეს. თოთხმეტი მინალთუნი გამოართვი.

არ ჩ(ამოუ-ტანია)[1] ქ. რეხას ჩაჩიკას-შვილს გოგიასთან უნდა მიხვიდე და ჩემი მიწერილი წიგნი მიუტანო.

ქ. ჩვენს ჩარუხას-შვილს ამირანას უთხარ წიგნის პასუხი მაცოდინოს.

გიორგობის კდ, ქკს უჟ.

242. 1803 წლ. თებერვლის 17. არხა სტეფანე ბასტამაშვილისა მეფის ძის დავითისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 23×12,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 836 Qd.

მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი ბასტამაშვილი სტეფანესაგან. ჩემი მოხსენება ეს არის. თქვენის მართებლობაში თაყოაშვილმა ისაიამ რომ მიჩივლა და თეთრსა მთხოვდა, თქვენის ბძანებით როგორც გადასწყდა და ან რასაც უნდა დამჯერებოდა, მოწყალებას ვითხოვ, მოწმობა მამიწერეთ. თებერვლის იზ, ქკ˝ს უჟა.

ზემოაშიაზე: ქ. სტეფანე ბასტამაშვილო, ჩემს მმართებლობაში თაყუაშვილმა ჩვენთან გიჩივლა და ჩვენ რომ გამოვიძიეთ და ვსცანით, რომ ეს იმის ვალი, რომელსაც გედავებოდა, ბარათის თეთრი ყოფილიყო ოცდაათი თუმანი და რადგანაც ბატონის მამის ჩვენის ოქმიც გიცხადებდა, რომ შენს მოვალეს არ უნდა შეეწუხებინე, ამ ორის მიზეზით და სამართლის გვარით ასე გარდავსწყვიტეთ, რომ ან ოცს თუმანს მაშინვე უნდა დაგჯერებოდა და ან ეს ოცდა ათი თუმანი ოთხად უნდა გაყოფილიყო და წელიწადში ერთი წილი უნდა მისცემოდა და ასრე ოთხს წელიწადში უნდა შეგესრულებინა. მაშინ სამართალი ასე გარდასწყდა. თებერვლის იზ, ქკ˝ს უჟა.

რადგან ბარათის თეთრი იყო და ვალად არა ქონდა აღებული და მეფის ოქმიც შეძლებინებას გიცხადებდა მოვალეთაგანა, ჩვენც სამართლიანად დავინახედ (sic) და ასე გადავსწყვიტეთ.

დავით[2]

---

[1] აქ სიტყვა დაუმთავრებელია: „არ ჩ . . .„

[2] ხელრთვა.

243. 1803 წლ. იგლისის 1. თამასუქი, მიცემული დავით ბეჰბუდოვის მიერ შემაზანაშვილი არუთინასადმი. დედანი. ზომა 23×17,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 861 Qd.

ქ. ავიღე მე, მელიქანთ სტეფანას შვილმა დავით ბეჰბუდოვმა, შენ, შემაზანას-შვილი არუთინასაგან, თოთხმეტი თუმანი ახალი ზარაფხანის ოთხიდანგიანი სირმა აბაზი, იქს ამის ნახევარი ზ (7 თუმ.) ამდენი. ამ თარიღიდამა რაც ხანს ჩემს ხელს დაჰყოს, თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო. თუ გაგსარჯო, სამდივნო და საიასაულო მე, დავითმა, გავიღო. ამას გარდა ასოცი თუმნის თამასუქი გიჭირავს და დუქანი შენთან გირაოთ არის. ეს ზემო თოთხმეტის თუმნის სარგებელი უნდა გეძლიოს და როცა ის შენი ასოცი თუმანი მოგეცეს, ეს თოთხმეტი თუმანიც იმ დუქნიდამ უნდა მოგეცეს. მე თითონ, დავითსა, დამიწერია. ეს ჩემი ხელია და ბეჭედი არა მქონდა, ხელი ჩავრთე: დავით. დაიწერა კათათვის ა, ქკ´ს უჟა.

სხვა ხელით: ქ. მე, ნორაშნის დეკანოზი ტერ-აკობამ, ზემო დავითას ყაბულობით ამ სანათის მოწამე ვარ [1].

განის აშიაზე: ქ. ბატონი დავითას სიტყვით ამ თამასუქის მოწამე ვარ, სტეფანე ბასტამაშვილი |___| [2].

ქ. ბატონი დავითას სიტყვით ამა სანათისა მოწამე ვარ შოჰთა (sic) უსუბეგასა შვილი ფარსადანამა |___| [3].

244. 1803 წლ. აგვისტოს 10. ნასყიდობის წიგნი, მიცემული იოსებ ბეჟანის-შვილის მიერ თარხნის-შვილებისადმი ვალში. დედანი. ზომა 27×12 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3639 Hd.

ქ. თქვენ თარხნის-შვილ მეითარს და თქვენს ძმებს ეს ბარათი მოგვართვი მე, ბეჟანის-შვილმა იოსეფმა, ასე რომ ჩემი სამკვიდრო და ნასყიდი მამული ჰვიროს სოფელი მოგყიდეთ. ამ მამულში თქვენგან მიჭირავს ე (ხუთი თუმანი), რომ იქს ამისი ნახევარი ბჭ (ორ თუმან ნახევარი) ამდენსა. ერთი თქვენგან მოცემული ბარათიც მე მიჭირავს, რომ რამდენის დღის მიწას მოგითლი, იმდენს ხუთი აბაზი თქვენ უნდა მომცეთ. ეს ბარათი მე, ამირაღაშვილს ოსეფას, დამიწერია ამ ბეჟანის-შვილი იოსეფის სიტყვით. დაიწერა მარიამობის ი, ქკ´ს უჟა.

+ იოსეფ. [4]

---

[1] აქ მოსდევს ხელრთვა, არ იკითხება.
[2] სომხური მურის ბეჭედი.
[3] მურის ბეჭედი გაურკვეველი წარწერით.
[4] ხვეულად.

245. 1803 წლ. სექტემბრის 2. პირობის წიგნი, მიცემული ტურფოანთ ესტატეს მიერ მანუჩარ მდივნისადმი ვალის გასწორების თაობაზე. პირი. ზომა 11×6,4 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 11855 Hd.

ქ. ესე ბარათი მოგეცი მე, ტურფოათ სტეფანას-შვილმა ესტატემ შენ, ბატონი მანუჩარ მდივანს, ასე რომ თუთუნჩას-შვილი ას(ა)ტურასაგან შენთან ფითოათს ამირჯან(ა)ს და იმისი შვილი დავით(ი)ს მიცემული ხუთი-დუქან-
44 ნახევრის გირ(ა)ოს ორმოცდაოთხის თუმნის თამასუქი შენთან გირაოთ იყო. ახლა ასატურას თამასუქი შენგან ეს ძველი წიგნი მე გამოგართვი, რომა შე-ნ(ი) შეპირებული თერთმეტი თუმანი და ოთხი აბაზი გამოვართო. მას უკან ისევ ის ძველი ფითოათ თამასუქი შენ მოგცე, რომ შენ და ასატურამ იმით გასწორდეთ. ენკენისთვის ბ, ქ^ს უჟ.

246. 1804 წლ. მაისის 1. თამასუქი, მიცემული ბესარიონ თარხნის-შვილის მიერ ელიზბარ მამაცაშვილისადმი. დედანი. ზომა 16×11,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14160 Hd.

ქ. ავიღე მე, თარხნის-შვილმა ბესარიონმა, შენ, მამაცაშვილი ელიზბარისაგან, ორი თუმანი ქალაქის თეთრი, ოთ^ იქს ამისი ნახევარი ᲐᲐ (1 თუმ.) ამდენსა. ამ თარიღიდამ რასაც ხანს ჩემ ხელში დაყოს, თვეში თუმანზედ სამი შაური სარგებელი გაძლიო. თუ ამაზე გაგალაპარაკო, საიასაულო და სადივანბეგო მე მივცე. არის ამისი მოწამე მამასახლის-შვილი ესტატე, წვერიანას-შვილი ზურაბა. მე, ახალქალაქის დეკანოზ ტერ-მელქისედეკს, დამიწერია ბესარიონის სიტყვით და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა მაისის დამდეგს, ქკს უჟბ + +.

მე, გასპარა მღებარი, ამის მოწამე ვარ ბესარიონის სიტყვით.

Verso: ბესარიონისა, წმინდის ევსტატის არის.

247. 1804 წლ. მაისის 17. ბათილამა, მიცემული მოლარეთ-ხუცესის ნიკოლოზის მიერ ერისთვის ასულის მარიამისადმი. ახალი დროის პირი. არავითარი შენიშვნა თან არ ახლავს.
საქ. სახ. მუზ. № 11494 Hd.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, მოლარეთ-ხუცესმა ნიკოლოზ, თქვენ, ჩემს რძალს ერისთვის ასულს მარიამს, ასე რომე ჯავახიშვილს ევსტათის ხუთი თუ-

მანი მართებს, ჩმისი თამასუქი დამეკარგა. თუ გამოჩნდეს სადმე ის თამასუ-ქი, ბათილი იყოს. და ის თეთრი როდესაც აიღოთ, ჩემის ძმისწულის მარ-თას მზითვისა არის, იმისათვის მიმიცია. იმას გარდა საქმე არავისა აქვს. მე, პაატა მეღვინეთხუცის-შვილს, მოლარეთ-ხუცის ნიკოლოზის სიტყვით დამიწე-რია და მოწამეცა ვარ.

მაისის იზ, ქკს უჟბ.

ქ. მე, მოლარეთ-ხუცეს ნიკოლოზს, ამ წერილის ყაბული მაქვს.

მე, მიხაილ შარვაშიძე, ჭელს ვაწერ ამ ბათილამაზედ.

მე, ელიზბარ შარვაშიძე, ამ ბათილამაზედ ხელს ვაწერ.

248. 1804 წლ. სექტემბრის 15. არზა პაატა აბაშიძისა ღუბერნატორ ვოლ-კონსკისადმი სეხნია ჩხეიძის ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 22×17 სმ. დაწე-რილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 7690 Hd.

შის ბრწყინვალებას საქართველოს ღუბერნატორს იარნალ-ლეიტენატს და კავალერს კნიაზ ვოლხონწკოვს(sic), მოწყალეს ხელმწიფეს!

ჩხეიძეს სეხნიას და მის შვილებს თეთრი მიმართებს სამოცდაათი თუმანი. და გირაოთ ერთი კომლი კაცი მყამს მოცემული. ვთხოვ ამდენი ხანია და არც ჩემი თეთრი მამცა და არც გირაო მამცა. იანვრის რვას ბორის სასამართლო-შიდ არძა შივართვი და ჩემი თამასუქიც სასამართლოშიდ მივართვი. ვილაპარა-კეთ და ჩემი თეთრი თავს დაედვა. ხელმწიფის მუხანათობის სახელზედ წერილი მიართვა სასამართლოს—თუ დამდეგს მარიამობის თავსშიდ არ მივცე თეთ-რიო, ხელმწიფის მუხანათი ვიყოვო. ახლა რომ ვადა შესრულდა, აქ თქვენ-თვის მოუხსენებია—წელიწადს უკან მივცემ(ო). თქვენც გიბრძანებიათ—ხელი აიღეთ წლამდისინაო. მე თქვენის ბრძანების უმორჩილობა არ შემიძლია, მაგ-რამ ჩემი თეთრი დიდათ მეჭირვება. წყალობას ვითხოვ, ებრძანოს გორის უეზ-ნის სასამართლოს, რომ ჩემი თეთრი გამომმირთვან და მომცენ. აქამდი იმას ეჭირვებოდა და ეასესხე, ახლა მე მეჭირვება და ჩემი მომცეს, სხვისაგან აიღოს. და თუ არ ინებოთ თეთრის მოცემინება, ეს ბაინც ებრძანოს გორის უეზნის მოსამართლებს, რომ ჩემი თამასუქი მომცენ, მე შევინახო, რომ არ და-მიკარგონ. ვითხოვ, რომელიც ინებოთ, ბრძანება მომეცეს.

სეკტემ(ბ)რის იე, ქ^კს უჟბ. მათის ბრწყინვალების უმორჩილესი მონა და
მოსამსახურე აბაშიძე პაატა.

249. 1804 წლ. ნოემბრის 19. თამასუქი, მიცემული სოლომონ თარხანოვ-მოურავო-ვის მიერ ელიზბარ მამაცას-შვილისადმი. დედანი ზომა 11×8,5 სმ. დაწე-რილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3719 Hd.

ქ. ელიზბარ მამაცას-შვილო, შენგან სამი თუმანი თეთრი დავხარჯე წმინ-დის ევსტატისა და ამ თვეს გასულს შენი თეთრი უნდა მოგაბარო. ნოემბერს ით, ქკ^ს უჟბ. თავადი სოლომონ თარხანოვ-მოურავოვი.

250. 1804 წლ. თამასუქი, მიცემული ნასყიდელა შილაკაძის მიერ ისხაკა შალომას-შვილისადმი. დედანი. ზომა 21,5×7,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3697 Hd.

ქ. ავიღე მე, ნასყიდელა შილიკაძემ, შენ, ისხაკა შალომას-შვილისაგან, ოთხი მარჩილი და ნახევარი დამდეგს მარტს. აწ რასაც ხანს შენი თეთრი ჩემ ხელთ იქნეს, თვეში მარჩილის თავს ორი ფარის სა(რ)გებლის მამცემი ვიყო. არის ამისი მოწამე ივანე. მე, ბინოს, დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ქორონიკონს ათას რვას და ოთხს.

251. 1805 წლ. იანვრის 17. თამასუქი, მიცემული გოგია ჯვრაშვილის მიერ გაბრიელ ბერუას-შვილისადმი. ზომა 33×22,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3773ბ Hd.

ქ. ავიღევ მე, გოგია ჯვრაშვილმა, შვილმა ჩემან პატამ, შენ, გაბრიელ ბერუას-შვილისაგან, თუმან ნახევარი ქალაქის თეთრი. ამის გირაოდ მოგეც ჩემი პატარა წისქვილის ბაღი. ხუთს წელიწადს შენ უნდა გქონდეს. რაც რიგი არის, შენს მამულსავით უნდა გა(ა)კეთო სრულად. ხუთ წელს უკან თუ შენი თეთრი მოგაბარო, ჩემი ალაგი მე მამეცეს. ეს პირობა: თუ გავყიდე, შენ მეტს კაც არ მივყიდო. ღთის წინაშე მერწმუნე, კა(რ)გათ იმ(უ)შავე, ბოლოს არ გილალატო, შენ მოგცე. არის ამისი მოწმე პირველ ღმერთი, კაცთაგან ზალინა იოანეს-შვილი. ამ(ა)ში არც სხვისა და არც ჩემს ბიძაშვილებს ხელი არა აქვთ. დაიწერა იანვრის იზ, ქკ˜ს უჟგ. გოგია[1]. ეს მამის ჩემის ხელი არის და მეც ყაბული მაქვს ამ წერილისა. პატა[1].

სხვა ხელით: ქ. პატ(ა)ს გამ(ო)ერთმევ(ი)ნა ჩემის სიტყვით მინალთუნი ე, იქნა ჯამი თუმანი გ, მილ(ა)ნთ(უ)ნიც გ, მღთის წინ(ა)შე, ჩემი ვალი არის. გოგია და პატა.

კიდევ სხვა ხელით: ამ იტრიაშვილისაგან გამოიხსნა ჩვენის თეთრით და ნასყიდობის სიგელი მოგვცა ბაღისა და წისქვილისა[2].

მარჯვენა აშიაზე პირველი მინაწერის ხელით და მელნით: ამას გარდა კიდევ გამოგართვი ღთის წინაშე ჩვენის ქალაქის ფული მილანთ(უ)ნი ხუთი. გოგია. რომ შესრულდა ორ თუმნად. მარტის ე, ქკ˜ს უჟვ.

კიდე მიჭირავს ამაში მილ(ა)ნთ(უ)ნი დ ოთხი. აპრილის იზ.

სხვა ხელით: ღთის წინაშე კიდევ მიჭირავს დ ოთხი მინალთუნი.

---

[1] ეს სიტყვა წრეშია ჩასმული.
[2] აქ მოსდევს ხელრთვა, რომელიც არ იკითხება.

252. **1805 წლ.** ივლისის 4. თამასუქი, მიცემული პეტრე ინაკავაძის მიერ ბატონი ქუთათელისადმი. დედანი ზომა 16,5×12 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14573 Hd.

ქ. ღვთით, ავიღე მე, ინაკავაძემ იესეს შვილმა პეტრემ, შენ, ბატონი ქუთათელისაგან, ორმოცი მარჩილი იმერული ძველი თეთრი, რომ იქს ამის ნახევარი ოცს მარჩილს. ამ ქვემო თარეხიდამ (sic) რასაც ხანს ჩემს ხელათ იყოს, ათი თორმეტათ სარგებელი მოგართვა. არისი ამის მოწამე ოცხელი არუთენა, ოცხელი დავითა, ბეგაშვილი ივანე. მე, პეტრეს სომეხის შვილს ოვანესას, დამიწერია პეტრეს ინაკავაძის სიტყვით, მოწამეც ვარ.

დაიწერა კათათვის სამ დღეს გასულს, ქკს ჩყე +.

253. **1805 წლ.** დეკემბრის 20. თამასუქი, მიცემული დავით ბებუდოვის მიერ როტინანთ არუთინასადმი. დედანი. ზომა 34×22 სმ. დაწერია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 859 Qd.

ქ. ავიღე მე, თავადი დავით ბებუდოვმა, შენ, როტინათ შერმაზანას შვილი არუთინასაგან, ხუთი თუმანი ახალი ზარაფხანის ოთხი-დანგიანი სირმა აბაზი, რომ იქს ამისი ნახევარი ნ̄ჭ (2 თუმანი და 5 მინალთუნი) ამდენი. ამ თარიღიდამ რაც ხანსა ჩემს ხელთ დაჰყოს, თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო. თუ გაგსარჯო, სამდივნო და საიასაულო მე, დავითმა, გავიღო.

დაიწერა ქრისტიშობის კ, ქკ̄ს უჟგ. მე თითონ, დავითსა, დამიწერია. ეს ჩემი ხელია. ბეჭედი არა მქონდა, ხელი ჩაურთე. დავით[1]

სხვა ხელით: ქ. ბატონი თავადი დავითის თანხმობით ამ სანათის მოწამე ვარ, ხატი იფრუმოვ. ხატი[1].

254. **1806 წლ.** იანვრის 6. თამასუქი, მიცემული გიორგი მდივნის მიერ იესე ნუცუბიძისადმი. დედანი. ზომა 13×10,5 სმ. დაწერია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ მუზ. № 3798 Hd.

ქ. ავიღე მე, მდივანმა გიორგიმ, შენ, იესე ნუცუბიძისაგან, თურამეტი მარჩილი. რამდენს ხანსაც ეს შენი თეთრი ჩემს ხელათ იყოს, წელიწადში სარგებელი ორი საპანე შუმი ღვინის მომცემი ვიყო. მე, საყვარელიძეს ბერიკას, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქრონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩყვ, თვესა იანვარსა ვ. + +

[1] ხელრთვა.

255. 1306 წლ. თებერვლის 28. თამასუქი, მიცემული სოლომან თარხნის-შვილის მიერ ელიზბარ მამაცას-შვილისადმი. დედანი. ზომა 21,5×21 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3786 Hd.

ქ. ავიღევ მე, მეითარმა სოლომან, შენ, მამაცას-შვილი ელიზბარისაგან წმინდის ევსტატის თეთრიდამ სამი თუმანი თეთრი და სამი თუმანი უწინ დავხარჯე. ერთი ბარათი სხვა გაქვს სამი თუმნისა, რომ ორივ იქნება ექვსი თუმანი. რეთსაც (sic) ჩემს ხელთ დაყობს, თვეში თუმნის თავს ორშაური სარგებელი უნდა დავადვა და ასე მივართვა. იმ სამი თუმნისა იმ რიცხვიდამ და ამ სამი თუმნისა ამ თარიღიდამ უნდა მივართვა. მე თითონ, სოლომანს თარხნის-შვილს მეითარს, დამიწერია და ჩემი ხელია. ფებერვლის გასულს, ქკ^ს უჟდ: თავადი სოლომან თარხანოვ მოურავოვ.

ob 2 46

256. 1306 წლ. მარტის 23. არზა დევონოსიოს ტერ-პეტროზაშვილისა რუსის ხელმწიფისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 34,5×21 სმ. დაწერილია ლურჯ თაბახის ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აკა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3513 Hd.

ყ^დ უგანათლებულესო დიდო ჴელმწიფევ იმპერატორო ალექსანდრე პავლეს ძევ, თვითმპყრობელო ს-დ რუსეთისა, ყ^დ მოწყალევ ჴელმწიფევ!

ვითხოვ ვანქის კრებული ტერ-პეტროზაშვილი დევონოსიოს. ქალაქში მცხოვრებელს სარქის-აღაშვილებს კარავეტ-აღასა და გეურქ-აღას ჩენი თეთრი მართებსთ. იმ თეთრისათვის არის წასული აშტარხანს დედაჩემი გამოსართმევად, ასერ (ასე რომ?) ათი წელიწადი არის, და მეც ტყვეთ ვიყავ და მოველ და გამოვიხსენი ას ათ თუმნათა, და მეც ხარჯი მომივიდა. აშტრახნიდამ წერილი მომივიდა, რომ მანდ გამოართვი და მოვალეს მიეცო. ის წერილი დიდმარხვის პირველს კვირას ისპოლნიტის ექსპედიციას მივართვი და ამის სამართალი ტიფლიზის უეზდის სუდზე გამოცხადდა. იქიდამაც ეს პასუხი მივიღე: თქვენი სამართალი აშტარხანს უნდა იქნასო. მე მოვალე მაწუხებს. რადღანც აქედან ვერ მივიღე სამართალი, ვითხოვ უმდაბლესად, ჩემი მორთმეული ის წერილი მებოძოს მისართმევად ისპოლნიტელსა ექსპედიციასა შინა. მარტის კგ, ქკ^ს უჟდ.

იმავ ხელით: ამ არზის პატრონმა წიგნი არ იცოდა და ამისის თხოვნით ასე ხელი მოუწერე კეთილშობილმა იოსებ ქანანოვმა.

257. 1806 წლ. ივნისის 10. მედიატორთა განაჩენი თეთუნას-შვილი დავითასი და თაყინას-შვილის ცოლის ვალის საქმეზე. დედნის შავი. ზომა 35,5 × 10,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი, ან ორწერტილი, ან წერტილმძიმე, ან ტირე.
საქ. სახ. მუზ. № 3694 Hd.

უფალი კამანდათის ბრძანებით თეთუნას-შვილმა დავითამ და თაყინას-შვილი ზალიას ცოლმა ჩვენ ქვემო ველის მომწერნი თავათს სალაპარაკოს სამართალში დაგვისწრეს და წერილიც მოგვცეს, (თქვენს) სამართალს დავჯერდეთო.

დავითს ერთი თამასუქი ჰქონდა ზაალისა, რომელი იყო ოცდა ხუთის წლისა და იმ თარიხიდამ თუმანს ორ შაურათ სარგებლით სთხოვდა და ერთიც ოთხის თუმნისა. ეს იყო ოცდასამის წლისა და ამაში ეროი დუქანი გირაოთ ჰქონდა. ზაალის ცოლი უპასუხებდა: „ათის თუმნისა, მართალია, მოვალე ვარ. სხვისაც ბევრისა მმართებს. როგორც შეეიძლებ, ან რასაც სამართალი იტყვის, უნდა მოგცეო, მაგრამ ჩემი ბევრი გიჰირავსო, ის უნდა მაგაში ჩაიგდოო. მორდლისაგან რომ დუქანი დაგიხსენით ქკ-ს უპე, იმ წლის ქირა არის შენზედ თორმეტი მინალთუნი. ქკ-ს უპვ, ამ წლის ქირა არის შენი დუქნისა ორი თუმანი და პეტრეს დუქნისაც ორი თუმანი, რომ შეიქნა ხუთი თუმანი და ორი მინალთუნი. ოთხი თუმანი დუქანში უნდა დაგეჭირა და დუქანი დაგენებებინა, ჩვენი კიდევ დაგედებოდა თორმეტი მინალთუნი და დუქანიც გთხოვეთ და მაგ შენი ათის თუმნისაც ზაალის მოწერილი წიგნით გითხარით: „გვიანგარიშე, ეს ქირები ჩაიგდე და ორისავ თამასუქისას თეთრს მოგცემთ“. შენ არც გვიანგარიშე, არც დუქანი დაგვანებე. იმ თარიხში ჩემი დუქანი დახსნილი არის. მას აქეთ დუქნის ქირაც უნდა მომცე, ის თორმეტი მინალთუნიც და თუთაშვილისაგანაც აგიღია ჩემი დუქნის ქირა ორის წლისა და ნახევრისა. ჩემი დუქნის ქირას შენ რათ იღებდი? ესენი ყველა მაგ თამასუქში მიანგარიშე და რასაც სამართალი დამადებს, იმასაც მოგცემ“.

ამაებზედ ამას წინათ ზუბალაშვილს ანდრიასთან და მოქალაქე გასპარასთან ელაპარაკნათ და დავითს ესენი არ ეყაბულებინა. ასე ეთქვა: „ჩემი დუქნის ქირა ე-ნის (sic) წლისა მორდალს მივეც და ვ-ინის წლისა ტერ-სააკას მივეც და პეტრეც ერთი წლის მეტი არა ჯდომილა. თორმეტი მინალთუნი ველში მივეც და თუთაშვილს მე რათ გამოვართმევდი, არა გამომირთმევია რაო“. ეს იმათ განაჩენში სწერია[1]. ახლა ჩვენთან ასე თქვა: „ჩემის დუქნისა ე-ნის წლის მორდალს მეეეც და ვ-ინის წლისა თუ ტერ-სააკასთვინ არ მიმიცია, ბარგაშტისა უნდა გამოვიდეს და სხვა ჩემზედ იქნება. პეტრეს დუქნისა ჩემზედ არა არის რა და თუთაშვილისაგან თუ ამიღია რამე, რაც თუთას-შვილმა თქვას, ჩამიგდეევითო“. თავისი დავთარი მოიტანა: ე-ნის წლისა მორდლისათვინ მიმიციაო, მაგრამ ის დავთარი ჰაზრის განმასვენებელად ვერ დავინახეთ. მორდა-

[1] უკანასკნელი ოთხი სიტყვა სტრიქონს ზემოდან წერია.

ლისგან დახსნილი თამასუქი ვნახეთ, რომ ზუბიაშვილს მიბარებოდა ოეთრი იანვარს იე, ქკ-ს უპე და ტერ-სააკასთვინ დაუგირავებიათ იანვარს იე, ქკ-ს უპვ. ტერ-სააკასაც ვკითხეთ და ასე თქვა: „ჩემი თეთრი მორდლისთვინ არ მიუციათ, უწინ დახსნილი ჰქონდათ და მერმე მე დამიგირავესო“. ამაზედ დიდად ეჭვი გვაქვს, რომ ორსავ თარიხში იანვრის თხუთმეტი სწერია და ზედმიწევნით ვერ დავინახეთ დავითას ე-ნის წლისა მიუციათ თუ არა და ამისთვის ასე ვიანგარიშეთ: ე-ნის წლისა მისცეს დავითამ თავისი დუქნის ქირა თორმეტი მინალთუნი. ვ-ინის წლისა ტერ-სააკას ვკითხეთ და ასე თქვა: „ვ-ინის წლისა მე [ვინის წლისა მე (bis)] არ გამომირთმევიაო“ და ვერც გამოართმევდა, ამისთვის რომ სამი დუქნისა რვა თვის ქირა ზაალისაგან ველში სჭერია. იმ წლის ქირა ორი თუმანი ყოფილა. სამი თვე ბარგაშტი. უნდა გამოვიდეს ხუთი მინალთუნი და უნდა მისცეს თუმან-ნახევარი. ეგრეთვე პეტრეს დუქნისაც უნდა მისცეს თუმან-ნახევარი. ამას გარდა კიდევ თუთაშვილისაგან აუღია ორის წლისა და ნახევრისა სამი თუმანი და ორი მინალთუნი. ჯამი იქნება შვიდი თუმანი და ოთხი მინალთუნი, ამაში დავითასი ნუსხით ზაალის დანახარჯი დასდებია რვა მინალთუნი და ორი აბაზი, რომ იმაზედაც ულაპარაკნიათ. ეს რომ გამოვიდეს, დარჩება ექვს მინალთუნ-ნახევარი და სამი აბაზი. ამის გარდა ის გირაო დუქანი რომ ჰქონია, იმისი ქირა ქკ-ს უპდ, ამ წელიწადს თორმეტი მინალთუნი გამხდარა. მას აქეთ თორმეტი მინალთუნი ქირა ყოფილა, ზოგჯერ მეტიც ყოფილა. მას აქეთ ბარგაშტს გარდა ათი წელიწადი არის, იმისი ოთხი თუმნის სარგებელი ოცდაოთხი აბაზი არის და იმაში დუქანს არ აჭმევდნენ. ამ ათს წელიწადს დუქნის ქირა აუღია დავითას თავის სარგებელზედ მეტი —წელიწადში შვიდი მინალთუნი და ერთი აბაზი, რომ იქნება ათის წლის შვიდი თუმანი და ორი მინალთუნი. სულ გახდება, რაც დავითას უჭირავს, ცამეტი თუმანი, შვიდი მინალთუნი და სამი აბაზი. თუ დავითას რაც სჭერია, ან დაწერილი ჰქონოდა, ან სიტყვით თავს ედვა და უარი არ ეთქვა, ის ექვს თუმან-ნახევარი და სამი აბაზი ათის თუმნის სარგებელში უნდა სჭეროდა და დღეს კიდევ ოცი თუმანი ერგებოდა, მაგრამ რადგან არც დაწერილი ჰქონია და არც სიტყვით სრულებით იყაბულა, დღეს რაც უჭირავს, იმის ერთი ორად უნდა შეუთავდეს. ის ზემო ცამეტი თუმანი, შვიდი მინალთუნი და სამი აბაზი რომ ოცდაოთხ თუმანში გამოვიდეს, დარჩება ზაალზედ ათი თუმანი და თორმეტი აბაზი და დღეს ათი თუმანიც მისცეს ზაალის ცოლმა. ამათი სამართალი ჩვენ ასე დავინახეთ. ივნისის ი, ქკ-ს უჟდ.

258. 1806 წლ. ივნისის 18. არზა მონაზონი გაიანესი საქართველოს მმართებლის ლიტვინოვისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 22,2×18 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 7197₃ Hd.

მის მსვლელობას, უფანს (sic) მმართებელს საქართველოისასა დეისტვიტელს სტატსკის სოვეტნიკს პეტრე მაქსიმოვიჩს ლიტვინოვს.
ვითხოვ მოლოზანი გაიანე.

ქალაქში მსახლობელი მარტიროზა ზურაბოვთან სახლის სადაო მქონდა. ტიფლიზის უეზდის სასამართლოდამ ოთხი კაცი გამოვირჩიეთ და ჩვენი დავა გადაწყვიტეს, რომ განაჩენიც მიჭირავს: ან ოცდა ოთხი თუმანი თეთრი ფული უნდა მამცეს და ან სახლი უნდა დამანებოს. ტყვის პატრონი გახლავარ, ვითხოვ წყალობასა, ერთი იასაული გვიბოძოთ, თეთრი გამოგვირთოს და მოგვცეს, ჩვენს მოვალეს პასუხი გავცეთ.

ივნისის იᲒ, ქკს უჟდ.

ამ არზის პატრონის თხოვნით ხელი მოუწერე, კეთილშობილმა იოსებ ქანანოვმა.

259. 1806 წლ. ივნისის 22. თამასუქი, მიცემული დავით თარხან-მოურაოვის მიერ ხუჩატურაოვ აფკარაშვილისადმი. დედანი. ზომა 28×11 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8192 Hd

ქ. აფკარაშვილო ხეჩატურაოვ, ჩემის ძმის ბესარიონის ბარათი რომ გქონდა ექვსი ოქროსი, ის ბარათი მე გამოგართვი და უნდა მოგცე ექვსი წონის ოქრო თავის პატივით. ამ ცოტას ხანში მოგეცემა მეტი და არა ნაკლები. და თუ გინდა აქ, გორს, მივცემ ვისაც დაუბარებ.

ივნისის კბ, წელსა ჩყვ. თავადი დავით თარხან მოურაოვ.

ქ. ბეშმახჩი გოგიას მამბარდა ამ ბარათის ფული ექვსი ოქრო სრულათ. ამ გოგიამ წიგნი არ იცოდა, მე, ტერ-სტეფანაშვილმა მოსესამ, მოვაწერე ამ გოგიას სიტვით.

260. 1807 წლ. მარტის 4. ფულის მიბარების წიგნი სტეფანე ყუზანოვისა. დედანი. ზომა 17,2×13,9 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 5898 Hd.

ქ. მე, სტეფან ყუზანოვს, მამბარდა თერანის ფული ათი თუმანი, თერანიდამ გამოტანებული, გიორგი ცერცვანძისაგან (sic) მოტანილი, რომელიც რომ ქალაქში იოსებ მუშრიბის-შვილმა მოკლა. მარტის დ, წელსა ჩუზ.

სხვა ხელით:

სტეფ(ანესგან) მელქომ ბუღდანოვს მამბარდა.

261. 1807 წლ. მაისის 2. თამასუქი, მოცემული ნინია ღუდლიშვილის მიერ ვინმე გიგილასადმი. დედანი. ზომა 17×11 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 908 Hd.

ქ. ავიღე მე, ღ(ვ)დლიშვილმა ნინიამ, ცამეტი თუმანი თეთრი გიგილ(ა)საგან დამდეგს მ(ა)ის(ს). ამ თვეს გასულს თუ არ მივცე, სამდივნო, ს(ა)ია-საულო მე გავიღრ. არის ამისი დამწერი დ(ა) მოწამე გლახა განჯელაშვილი, არის კოკოშიშვილი თმმაზა[1] მოწამე. მაისის ბ, ქკს უჟე.

Verso სხვა ხელით:

ქ. გიგილასთან ხელი აღარ მაქვს, ღვდლის-შვილმა ნინიამ უნდა მამცეს. არის ამისი მოწამე იაკოფას-შვილი ძიბანას ბიჭი. გიგილამ ეს თამასუქი ნინიას ყაბულობით მამცა.

262. 1807 წლ. მაისის 21. მოხსენება ვანქის ტერ-პეტრუზას ქვრივის მარიამისა, წარდგენილი მედიატორთა წინაშე თომა აღნიაშვილთან ვალის სარჩელის თაობაზე. დედანი. ზომა 34,5×22,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი და მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 3574 Hd,

აღმორჩეულთ უფალთ ჩინებულთ მოქალაქეთ წინაშე მოსახსენებელი ვანქის ტერ-პეტრუზას ქვრივი მარიამისაგან.

თომა აღნიაშვილმა მიჩივის: „ათ თუმანს ვთხოვო, არ მაძლევსო". ქრისტეს სიყვარულისათვის ჭეშმარიტ სამართალს გევედრებით, რომ მისაჯოთ: პირველად ჰკითხოთ, რომელ სახითა მთხოვს მაგ ათ თუმანს, ვექსილით ამიღია, თუ გირაოთი, ვადით თუ სხვა ფრივ? მაგის პასუხი მინდა მაცნობინოს. თუ ვექსილით ამიღია, ვექსილი გამოიტანოს, რას სიტყვა მექნება, ჩემი ვალი მე უნდა გარდაუწყვიტო, თუ გირაოდ ამიღია, გირაო მამცეს, თავისი თეთრი მიიღოს და თუ ვადით ამიღია კიდევ, წერილი ექნება; და თუ სხვა ფრივ ითხოვს, სამართალში მალაპარაკეთ. როგორც ღ'თნ გაცნობინოსთ, ისე სამართალი მაღირსეთ. სამართალს ხომ ვერ გავექცევი.

ეგ კაცი თოთხმეტი წელიწადი ჩემი პირუტყვნის(sic) შემნახავი და მენახირე ყოფილა. ამ თოთხმეტ წელიწადში თავისი სამუშაო და გასამრჯელო თვე და თვე უკლებრივ მიმიცია და ჩვენი საქონელიც ზაფხულ და ზამთარ მაგით ხელში ყოფილა. თუ ჩემგნით სიკეთე არ მისცემია, არც კი ზიანი უხილავს. შემდგომად მაგისი ყმაწვილიც მოგვინათლავს. ჩვენში უმეტესობით ღ'თიურ სიყვარული და მოყვრობა გვყოლია. რათგან ჩვენში წმინდა მირონი ყოფილა,

[1] აქ დედანში კიდევ გამეორებულია: „არის".

მეც რაც შემძლება მაგას წურთვნით მიქადავნია, მითქომს: შვილო, მუდმივ ტყეში და მინდორში დახვალ, არამც, ღ^ნ გაშოროს, დატყვევდე. შენთვის ორიოდ შაური უკუაგდე. ამ ჩემს სიტყვით თოთხმეტი თუმანი შეეყარა. მოვიდა, მითხრა: „დედავ, შენის სიტყვით ეს უკუ-ვაგდე და ეგების მუჰტაბარი ალაგი იცოდე, ეს თეთრი გავცეთ. იმ ხანათ ჩემს ოთახში ერთი მდგუმარე დედაკიცი გახლდათ. წავიდა, ერთს დედა-კაცს შეატყობინა. მოვიდნენ, მითხრეს, რომე ის თეთრის პატრონი სად რასა დგას. ყმაწვილი გამიგზავნია, შემიტყობინებია, რომა თეთრს ითხოვენ. მოსულა ეგ კაცი, თეთრი დაუთვლია, მიუცია, ხუთი აბაზიც ამ თავად სარგებელი აუღია, უბეში ჩაუდვია, გირაოები გამოურთმევია. თავის თხოვნით და ვედრებით ჩემთვის უთქომს, რომ ეს გირაოები გარეთ-უბანს ვერ გავიტან, მანდ შემინახეო, შემინახამს. მრავალს მამხდარა ამისთანა საქმე, სიკეთისათვის შემინახამს.

კიდევ შემდგომად, ჯერ ქალაქის არეულობა არავინ იცოდა, ეგ თოქა მოსულა ჩემთან. მაგას შეუსმენია ჩემთვის, რო ასეთი ამბავები არისო და თქვენი საქმე მზათ დაიჭირეთო, რომ უნდა გავიდეთო. თუ ინებებთ, ამის პასუხათ ეს მიუგე, რომ არ გავიდეთ მაშ რა უნდა ვქნათ. თითონაც ნუგეშათ ასე უთქომს, რომა ეს არის მივალ, ურმები გავაკეთო, თქვენთვინაც ერთი ურემი დავამზადო, რომ თქვენთვინ ერთი ურემი კმარაო. მაგის მიზეზით რაც მებადა, ველარ შევინახე, რომ უნდა ავეყარნეთ, რაცა მაქვს გავიტან, სულ დავაწყე, მზათა მქონდა რაც საქონელი მქონდა. ამაობაში აყრილობაც შეიქნა ქალაქსა. მე რო დიდათ შევწუხდი ურმისათვის, იმ წუხარებაში მოვიდა ჩვენსა, მნახა ისე ტირილით, ნუგეში მცა, მითხრა: „რათა სწუხარ, ღ^თი შენი თავდებათ მომიცია, რომე თქვენ არ დაგაგდებ, მე მირონს როგორ უღალატებ? მარჯვენა მუხლი გამეყაროს, თუ მე თქვენ გიღალატო“, ასე მოიმედე გამხადა. და მაგისი მოვალემაც ასე ამბობდა, რომა ჩემი გირაოები არ დავანებებო, რომ სოფლათ გაიტანოს. ეგ ამბობდა, რომე მაშ ჩემი თეთრი მამეცითო, ისინიც ამბობდნენ, რომ შენი თეთრის თადარიგში ვართ. ამაობაში ეგ თომა აყრილიყო, წასულიყო, მე დამაგდო აქა. ყმაწვილი და ჩვენი ნოქარი შაბათს ღამეს გავგზავნე და პირუტყვნიც წაასხეს, რომა ქალაქს ნულარ შემოსულიყო და ამით პირითაც დავაბარე, რომა „ამალამ გამოვიდეთ თუ ცისკრისას?“ მაგას დაებარებინა, რომა დილაზედ გამოდითო. დილაზე მივედით, ვნახეთ. ასე გასულ იყვნენ, გოდრებიც არ გაეშოთ. კარები ისა ღიათ გაეშოთ. ჩვენი საქონელიც წაესხათ. ჩვენ ის იმედ გაწყვეტით რო დავრჩით, მაგ თომას ბიძაშვილმა ასე თქო: „ნუ გენაღვლებათო, ასერ სადაც არის, მოვა, წაგიყვანსთ“. აღარ მოვიდა და ჩვენც ასე დაგვღუპა სულით, ხორცით, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, და თუ თავის ხელით გაცემულ თეთრს ჩვენა გვთხოვს, ის სამართალმან იცის. მე ასე ხარისხში როდის ყოფილვარ, რომ მაგისგნით თეთრი ამეღოს. მე სხვას ვაძლევდი თეთრსა, არამც მე ამეღო. რა დაჭირება მადგა? რომ ოქროთი, თვალ-მარგალიტით და ვერცხლეულით სავსე ვიყავ. მაგის მუცვლის გვრა ათი თუმანი არ არის. ჩემი ცამეტი ძროხა და კანბეჩი ჰყავს, იმის მიზეზით შურება, მითამც არ ვედაო. მაგრამ ხელს არ ავიღებ, სამართლიანის გზით ჩე-

ში პირუტყვნი მინდა. მაგის დაყუპული ვარ სახლითა და კარით. წყალობას ვითხოვ, ქრისტეს სიყვარულისათვის ჭიშმარიტი სამართალი მისაჯოთ. ჩყზ წელს, მაისის კა.

სხვა ხელით: მე, მარიამა, ეს ჩემი ხელია.

263. 1808 წლ. მაისი. არაქილა ტერტერაშვილის ვალის ანგარიში, შედგენილი (მანუჩარ თუმანიშვილის მიერ). დედანი. ზომა 20,2×18 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ ნიშნებად ნახმარია წერტილი და მძიმე.
საქ. სახ მუზ. № 460 Sd.
საბუთი დაწერილია მანუჩარ მდივნის ხელით.

ჩლპდ წელსა, მარტის თვის ა თამასუქით ტერტერაშვილი არაქილა მოსაცემს არის ოთხმოც თუმანს ტფილისის სირმა ვერცხლის თეთრს, წელიწადში ათი თერთმეტ-ნახევრის სარგებლის მოცემით.

ჩლპვ წელსა, გიორგობის თვის გასულს იქნება თვე ლგ. ამის სარგებელი იქნება თუმანი ⌒ლგ (33 თუმ.) იქნება თავნი თავისის სარგებლით ⌒რიგ (113 თუმანი). ამაში მოუცია, რომ ჩემი ბარათი აქვს, ვერცხლის თეთრი ⌒ბ (40 თუმანი). ამას რომ გამოველ დარჩება თავნი თუმანი ⌒ოგ (73 თუმ.).

ჩლპვ წელსა, ქრისტიშობის ა მოკიდებული—ჩლპᲪ წელსა, მარტის თვის იე, იქნება თვე იე₀. ამისი სარგებელი იქნება თუმანი ⌒დჩულე₀ (თორმეტი თუმანი, ერთი მინალთუნი, ორი აბაზი, შვიდი ფული და ნახევარი). იქნება თავნი თავისის სარგებლით თუმანი ⌒ვზ ჩულე₀ (87 თუმანი, 1 მინალთუნი, 2 აბაზი და $7^1/_2$ ფული). ამაში მიუცია ჩემის ძმის სულხან მდივნისათვის ოცდაათის თუმნის ასიგნაცი, რომ იმისი ბარათი აქვს. ოცდაათის თუმნის ასიგნაცი ვერცხლის თეთრი იქნება თუმანი ⌒კე (25 თუმ.). ამასაც რომ გამოველ, დარჩება თავნი თუმანი ⌒ბ ჩულე₀ (62 თუმ., 1 მინალთ., 2 აბაზი და $7^1/_2$ ფული).

ჩლპᲪ წელსა, მარტის იე მოკიდებული—ჩყᲪ წელსა, მაისის თვის გასულს, იქნება წელიწადი ოცი და თვე ორნახევარი, ამისი სარგებელიც იქნება რკᲬძი₀ (188 თუმანი, 3 მინალთ. და $2^1/_2$ ფული). თავნი თავისის სარგებლით იქნება ⌒ნ ᲬᲣᲜ (250 თუმანი, 4 მინალთუნი და 9 შაური) ამდენი.

264. 1808 წ. ანგარიშის წიგნი მანუჩარ თუმანოვისა. დედანი. ზომა 21×17 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3747 Hd.

ქ. ჩყზ წელს, ქრისტიშობის კზ, მის უგანათლე(ბულე)სობაზე ბატონისშვილს იოვანეზე შვიდასის ბაჯაღლის ოქროს ბარათი მივე ხატისანთ ონანას და იმის შვილს ბეჟანას, რომ პეტრებულს უნდა მიბარებოდათ. წელსა ჩყᲪ,

თებერვლის იბ მიბარებოდათ შვიდასი წონის ოქრო. ამისი ა-ცყ (ორი მინალ-თუნი და ოთხი აბაზი), ასე იყო ნა(ა)ნგარიშევი. ქალაქის თეთრის ჯამია რ̅ჟ̅ (ასოთხმოცდა თექვსმეტი თუმანი) ამდენი. რომ ეს თეთრი მიბარებიდამ მოცემამდინ თუმანი თვეში ორ შაურ სარგებლით უნდა მე, მანუჩარს თუმანოვს, მამცენ. ამ ზემო ჯამიდამ წელსა ჩყᲘ, მაისის გასულს მამცეს ჟ̅Გ (ოთხმოცდა-თექვსმეტი თუმანი) ამდენი, და Რ (ასი თუმანი) ამდენის თუმნისა წელსა ჩყᲘ, მარტის ა ვექსილი მამცეს, რომ ვექსილი ჩემთან არის და ამისი ანგარიში ამის ქვეით სწერია მოცემულისაც და დახარჯულისაც.

პირველი სვეტი

რაც ხატისოვს ონანას მოუცია

ჟ̅Გ (ოთხმოცდა თექვსმეტი თუმანი)	ქ. ჩყᲘ წელს, მაისის გასულს ერთად მამცა.
ე̅ (ხუთი თუმანი)	ქ. ა ბარათით მოვატანინე.
ზ̅ (შვიდი თუმანი)	ქ. ა ბარათით მოვატანინე.
ი̅ (ათი თუმანი)	ქ. ა ბარათით მოვატანინე.
ᲩᲐ (ხუთი მინალთ.)	ქ. ა ბარათით მოვატანინე.
ᲘᲑ (რვა თუმანი)	ქ. ა ბარათით მოვატანინე.
იბ̅ (თორმეტი თუმ.)	ქ. ა ბარათით მოვატანინე.
ი̅ (ათი თუმანი)	ქ. ა ბარათით მოვატანინე.
დ̅ (ოთხი თუმანი)	ქ. ა ბარათით მოვატანინე.
იდ̅ (თოთხმეტი თუმანი)	ქ. ა ბარათით მეთხოვნა ი̅ე (ხუთმეტი თუმანი). გა-მოეგზავნა.
ი̅ (ათი თუმანი)	ქ. ა ბარათით მოვატანინე.
ვ̅ (ექვსი თუმინი)	ქ. ა ბარათით მოვატანინე.

მეორე სვეტი

პირდაპირი დაწერილი თეთრი როგორც დახარჯულა

ᲩᲐ (ოთხმოცი თუმანი)	ქ. ჩყᲘ წელს, თიბათვის Ი თამაზ უშიკაღათბაშის კირის ფასათ მივე.
ᲘᲑ (რვა თუმანი და ოთხი მინალთუნი)	ქ. ლ ოქროსათვის მე დავხარჯე.
ᲑᲐ (ოცდაორი მინა ლთუნი)	ქ. ა ნუსხით არის დახარჯული.
დ̅ (ოთხი თუმანი)	ქ. ა ცხენის სასყიდლად არის გაგზავნილი.
ᲒᲘᲒ (სამოცდარვა თუმანი და ორი მინალთუნი)	ქ. ბ ნუსხით უდაბნოს მუშაობაზე არის დახარ-ჯული.
ᲩᲖ (ჩვიდმეტი თუ-მანი)	ქ. ბ წინამძღვართან გამიგზავნია ღვინის სასყიდ-ლათ და მუშისათვის.

265. 1809 წლ. თებერვლის 25. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული იოსებ შალუბათოვის მიერ ანდრია გაბაოვისადმი. დედანი. ზომა 20,5×16,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 768 Qd.

უგანათლებულესს მეფის ძეს დავითს ემართა ჩემი ორმოცდა თვრამეტი თუმანი ვერცხლის თეთრი ფული. ეს თეთრი თავისივე აქავ ყოფნაში უნდა მისგან მამცემოდა. იმ ჟამად არ მამეცა. რუსეთს მიბძანების რიცხვი რომ იყო ჩყგ-სა წელს, თებერვლის კბ-ს დღეს მიბოძა ჭელით წერილი რომელსა შინა ეწერა: „აზნაურო ანდრია გაბაოვანო, ბრინჯის თეთრი ხომ შალუბათოვს უნდა მოაბარო, ღვინის თეთრიც ამას მოაბარე. თუ დაკლდეს. სხვა შემოსავლიდამ შეუსრულე ამისი ვალი ორმოცდა თვრამეტი თუმანი“. ამაში გაატარა დრო. გაბაოვისაგან ჩემი თეთრი არ მომეცა. უჩივლე გაბაოვს. სასამართლომ ასე გააჩინა: სამს თვეზედ გაბაოვისაგან თუ თეთრი არ მამცემოდა, მაშინ იმისი სრულიად სახლები და სხვა რაღაებიც მაშინ დააფასეს ჩემდა მოსაცემად. გაატარა სამი თვე, ვერ მამცა თეთრი. განჩინების ძალით დამნებდა ხსენებული სახლები და სხვა ნივთი. შემდგომ გაბაოვმა იჩივლა და სასამართლომ ასე დაუმტკიცა, რომ იმან ბატონის-შვილის ასაღებიდამ აიღოს ხსენებული ჯამი თავისის სარგებლით. მასუკან ჩვენ ასე მოვრიგდით: ჩემი თეთრი თავისის სარგებლით გაბაოვისაგან მამეცეს და თავისი სახლები და სხვა ნივთი თითონივ დაინებოს შეკრულობისამებრ. ჩვენისა ვიანგარიშეთ. იყო გასული ამ თარიღამდისინ თვე სამოცდა თორმეტი. თვეში შეხვდა სარგებელი ძყ (3 მინალთუნი და 4 აბაზი), იქნება სარგებლის ჯამი მ̄ ჯქ (41 თუმანი, 7 მინალთ. და 3 აბაზი), თავნი და სარგებელი შეეაერთეთ, ჯამი ოთხმოცდა ცხრამეტი თუმანი, შვიდი მინალთუნი და სამი აბაზი. ეს ასე სრულობით გაბაოვისაგან მომბარდა. თავისი სახლები და სხვა ნივთი თითონვე გაბაოვმა დაიმკვიდრა. თებერვლის კე. ჩყთ წელსა.

აზნაური იოსებ შალუბათოვ.

266. 1809 წლ. სექტემბრის 22. თამასუქის გადაცემის მოწმობა, მიცემული ერემიას-შვილის გეორქის მიერ მროველი მიტროპოლიტი იუსტინესადმი. დედანი. ზომა 21,5×18,3 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8664 Hd.

ქ. ქვემო წერილი რომ მე დამიწერია და შენთან გამოვგზა(ვ)ნე მე, ვანელმა ერემიას-შვილმა გეორქმა, თქვენ, ბატონს მთავარეფისკოპოზ მროველ მიტროპოლიტს იუსტინეს. ამილახორის-შვილი ნიკოლოზის სამოცდათორმეტის თუმნის თამასუქი მოგეცი და ამისი ვექილობა მოგეცი, რომ წლის თავზე თეთრი შენ უნდა მოგაბაროს. მე ყაბული მაქვს, რომ იქით პირზედ სომხური

წერილიც ჩემი ჴელით დამიწერ(ი)ა. მე, ისაია ამირალოვს, დამიწერ(ი)ა გეორ-ქის სიტყვით და მოწამეცა ვარ. დაიწერა ენკენისთვის კბ, ქკს უუზ[1].

მე, ისაია ამირ(ა)ლოვი, ამ ზემო ნაწერის მოწამე ვარ გეორქალას სიტყვითა.

Verso სხვა ხელით:

ქ. ეს თამასუქი ვანელი გიორგისა ნიკოლოზ ამილახვარს ემართა და მე დავიხსენ.

სხვა ხელით:

დახსნილი თამასუქები.

267. 1809 წლ. ოქტომბერი. წერილი მანუჩარ თუმანოვისა დავით თარხანოვისადმი ანგარიშის გასწორების თაობაზე. დედანი. ზომა 21,6×18 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი. საქ. სახ. მუზ. № 8636 Hd.

ბრწყინვალეო თავადო დავით თარხანოვ, ჩემო სარწმუნო შეგობარო.

თქვენს მშვიდობის ამბავს ვიკითხავთ. ჩემს ამბავს მოიხსენებ, მშვიდობით ვიმყოფები, მაგრამ მე შენგან ასე დავიწყებას არ მოველოდი და მე რომ შხირათ (sic) წიგნი მომეწერა, სხვა რიგათ ჩამომართმევდი. შარშან წიგნი მოგწერე, პასუხი არ მივიღე. არ ვიცი, წიგნი არ მოგივიდა და იმისთვის პასუხი არ მამწერე, თუ მოგივიდა და მაშინც პასუხი არ მამწერე. ორშივე შენი ნება იყოს აღსრულებული, მე მაგაზე თავს არ შეგაწყენ.

ამასწინათ შამახიდამ მწერ, ჩემგან რომ ერთი ფუთი შაქარი გითხოვნია აქ ძვით (sic) არისო, და ბაქუს წასვლას ვაპირებ და ბაქუდამ გამოგიგზავნიო. ეს რამთენი წელიწადიც რომ იქნება ის შენ მოგეხსენება, რომ ჯერაც არ გამოგიგზავნია. ამაზიაც შე(ნ) არა გაქვს ბრალი, ჩემი ბრალი არის.

ჩემის მოცემულის ოცის ბათმანის სპილენძისათვის მოგეწე(რა): რამნითც (sic) იყო ის ჩემის ვარპიტის ტერ-დავითასათვის მითქვამსო. იმ საბრალოს ტერ-დავითას თქმას, ჩემის საქონელისა ჩემთვის უნდა გეთქვა და მოციქულით ლაპარაკი რათ გეჭირებოდა? ჩემი სპილენძი ზოგი შენ გაგიყიდია და შენთვის სახარჯოთ გამოგიყენებია, ზოგი შენს ძმას მინასას სახარჯოსათვის გაუყიდნია, ზოგი შენს ბიჭს გაუყიდნია და დაუხარჯავს და ზოგი დედის სახსარში მიუცია და იმით დაუხსნია. ამთენის კაცისაგან დახარჯული, გამოყენული, ოცი ბათმანი როგორ არ იქნებოდა, მაგრამ შენ თუნდა ტერ-დავითას-

[1] მეორე ფურცელზე სომხური ტექსტია, სომხ. მურის ბეჭდით (քի ԺԷ ԳՀ-ուրդ); ამის შემდეგ მოდის დამოწმება, ხოლო აღნიშვნა დახსნის შესახებ მოთსვსებულია ამ ფურცლის მეორე გვერდზე.

თუ ის ოცი სტილი გეთქვას, იმისი შენ იცი. ჩემი ოცი ბათმანი სპილენძი მამიცია შენთვის და არა მინასასთვის და ჩემი ოცი ბათმანი სპილენძი თქვენ უნდა მამცეთ თავის ანგარიშით.

მერეც ამას მწერ, რომ ჩემგან დანახარჯი გაქვსო და იმისი ნუსხაც ტერ-დავითასთან გამიშვიაო. იმ საბრალოს ვთხოვე ბევრჯელ შენი გაშვებული ნუსხა, არც მაჩვენა და არც პირი მამცა, რომ მეც შენთვის პასუხი მამეწერა. და სპილენძისაც ასე მითხრა და ასე მწერს ტერ-დავითა, რომ იმისი წიგნი მაქვს, სპილენძი ჩემზე გაყიდული ჰქონდაო, დავითამ ასე მითხრაო. თუ მოსყიდულია, ხომ მით ფასი უნდა მამცე ნუსხით დანახარჯისა. ასე მოგხსენდეს, შენცა გაქვს ჩემგან დანახარჯი, რომ ახლა ამასთან ნუსხა მამირთმევია. და შენგან რაც მე დამიხარჯავს ჩემს მოსაცემში, ის მეც მიწერია შენის ნუსხიდამ გაზოწერილი, მაგრამ ისიც მე ამისთვის არ გამოგიგზავნე, რომ შენ გექნება დაწერილი და შენ გამოგზავნე და გავსწორდეთ.

ზემო ჩვენს ბაზარში მოქალაქე ყარა-ანტონაშვილი მოსია ბაყლათ რომ ოჯდა, იმას ჩემი თამასუქით თეთრი ემართა. იმას რომ ჩემი თამასუქის თეთრი გამოვართვი, შენგან წაღებული ჩემს თამასუქში ოცდაშვიდი კოდის ფქვილის ფასი ჩამიგდო. შენც გეწერება და ამისიც მაცოდინე, რა ერთი წაგიღია? თქვენზე და თქენ სახლზე მრავალ რიგათ გარჯისა და სიკეთის მეტი სხვა დანაშაული არა მაქვს და თქვენ დამადლების მაგიერ ჩემის ახისათვისაც მალაპარაკებთ და თქვენის მისაცემის ვალისთვისაც მე მაწუხებინებთ. ბრწყინვალება და კეთილშობილება რომ კაცმა მი(ი)ღოს, კიდეც უნდა მოიხმაროს, არა თუ კეთილშობილების უკადრისად მოიქცეს. შენი ძმა მინასა აქ არის, შენც მოსწერე რომ იმ მირზა-გუროგინანთ ვალს მაპარჩინოს, რომ თქვენ არ გენდვნენ და ჩემი თამასუქი უჭირავსთ და მუდამ მე მაწუხებენ. და კიდევ მინასა რასაც მოსაცემს იყოს, პატიოსნებით მამცეს, თორემ უპატიურობით ხომ მაშინაც გამოერთმევა. თქვენაც ამ წიგნის პასუხი პატიოსნებით დაბიბრუნეთ და უკადრის სალაპარაკოთ ნუ გახდი.

ღვინობისთვეს, ქკს უეზ.

შენი სიამოვნის მდომე, თავადი
მანუჩარ თუმანოვი

თქვენ, დავით თარხანოვ, რაც მე, მანუჩარისას, მოსაცემსა ხარ:

ჯს	(7 მინ. და 1 აბაზი)	ქ. ბ	ბაჯაღლის ოქრო, ა—ძქ (3 მინ. და 3 აბაზი).
ჯ	(8 მინალთუნი)	ქ. ბ	იალდუზის ოქრო, ა—წ (4 მინალთუნი).
ა ჭ	(1 თუმ. და 5 მინალთ.	ქ. ბ$_0$	ადლი თალხი ხინაი მაუდი, ა ადლ(ი)—ხ (6 მინ.).
ბ	(2 თუმანი)	ქ.	ამირხანანთ ზურაბას შვილს ავეტიქას მივაცემინე.
ჭ	(5 მინალთ.)	ქ.	ამირხანანთ ზურაბას შვილს ნიკოლოსას მივაცემინე.
ჩფნი	(1 მინ. 11 შაური და 2 ფული)	ქ.	თავის ბარათით მჭედელს ლურსმნის ფასი მივე.
ი	(8 თუმ.)	ქ. კ	ბათმანი სპილენძში, ა—წ (4 მინალთუნი).
იგ ხლნი	(13 თუმ. 6 მინალ. 15 შაური და 2 ფული)	ქ. ჯამი ზ	კალმისა.

268. 1809 წლ. დეკემბრის 30. პირობის წიგნი, მიცემული კნეინა ანნა აბაშიძის მიერ მროველი მთავარეპისკოპოსი იუსტინესადმი ვალის გადახდის თაობაზე. დედანი. ზომა 22,5×13 სმ. დაწერილია მოთეთრო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8656 Hd.

მათს ყოვლად უსამღდელესობას უფალს არხიერს მთავარეპისკოპოზს მროველს, მოწყალე ხელმწიფეს იუსტვინეს (sic)!

მე, ხიზიხის (sic) მოურავის ასული, აბაშიძის გიორგის კნეინა ანნა, ამ პირობის წერილს გაძლევ. ასე რომ ჩემს სიძეს ნიკოლოზს ოთხმოცდაათი თუმანი ემართა თამასუქით. გირაო თელეთი ეწერა სარგებლითა. ამ ოთხმოცდაათის თუმნიდამ ათ(ი) თუმანი თავნიდამ მოგართვი და სარგებელიც მოგართვი. და ოთხმოცი თუმანი უნდა მიბოძო(?) დეკემბერს ლ, წელს ჩყთ. ამისი მოწამე დეკანოზი სფირიდონ და ზაზა ხითარაშვილი.

სხვა ხელით:

ქ. ამ წერილის დამსწრე და მოწამე ვარ, დეკანოზი სფირიდონ.

სხვა ხელით:

ქ. მე, ხითარ(ა)შვილი ზაზა, ამას მოწამე ვარ, ეს ჩემი ხელია. ზაზა.

სათაური სხვა ხელით: აბაშიძის გიორგის კნეინას წიგნები.

269. 1809 წ. არზა ვანქის მღვდლის ტერ-პეტრუზას ქვრივის მარიამისა საქართველოს მმართებელის თეოდორ ჰახვერდოვისადმი ვალის თაობაზე. დედნის შავი. ზომა 22×17 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 6715 Hd.

საბუთის თარიღი ირკვევა შინაარსის მიხედვით: ტფილისის წახდენა მოხდა 1795 წ.; მარიამი თავს დაიხსნიდა, ალბათ, 1796 ან 1797 წ.; ამის შემდეგ იგი 12 წელიწადი „სარგებელს ეწეოდა", ე. ი. მისი მოხსენება დაწერილია 1808 ან 1809 წ., ხოლო თ. ახვერდოვი საქართველოს მმართებლად იყო 1809 წლიდან (1811 წლამდე).

მოქალაქის ვანქის ეკლესიის მღდლის ტერ-პეტრუზას ქვრივის მარიამის მოხსენება. ამ[1] ოცდაორის წელიწადს უწინარესს ქალი გავათხოვე, აღალო აბიმელიქოვს მივე. ოჯულიერის კანონის რიგზედ ნიშანი მომივიდა და რიგიანი მზითევი აღუთქვი და იმ თავათ მივეცი თუმანი ოცი თეთრი ფული. სიძე ჩემი[2] წავიდა რუსეთს სავაჭროდ და დედა იმისი მარად მაწუხებდა მზითვის შესრულებასა—შეასრულე, რომ შვილი ჩემი დავიბარო, მოვიდეს, დაქორწილ-

[1] ამ სიტყვის წინ წაშლილია: „ამის უწინარეს".

[2] ამის შემდეგ წაშლილია: „მარად მაწუხებდა სწრაფად მზითვის შესრულებასა და ქორწი იყო".

დესო. ვალის აღებით შეუსრულე მზითვი (sic) და სიძე ჩემი არ მოვიდა. მერე სპარსთ რომ ქალაქი წა(ა)ხდინეს, ქმარი მომიკლეს, სახლ-კარი ამიკლეს, ის ვალით გაკეთებული მზითვიც დამეკარგა და მეც ჩემის შვილებით ტყვეთ ჩავარდი. ვალის აღებით თავი დავიხსენ. მერე კიდევ ვალის აღებით ასოც თუმან თეთრ ფულად ქალი დავიხსენ. ეს თორმეტი წელიწადია, ვფიცავ ღმერთსა, იმ ასოცი თუმნის სარგებელს ვეწევი, რომ სარგებელი თავნს გარდამატებია. ამ ქალის საცოდაობამ რომ შემაწუხა, გავარდი, წაველ რუსეთს, იქ დაშეყოვნა ყარიბობაში ათი წელიწადი. ვიყავი მახვეწარი ჩემის სიძისა—ან ჭელი აიღე და ან შენს დანიშნულს ჭელი მოჰკიდე. იქიდამ თავის დედას წიგნი მოსწერა—რომელიც არის დაპირებულ მზითვის მოცემა, თუ ჩემმა სიდედრმა შეასრულა, დამიბარე, მოვალ; თუ არ შეასრულოს, შენთვის ნება მომიცია, დაუნიშნა აქ თავის მამულები, ეკენი გაყიდე, სამართლიანად ქალს თავისი მიეცი, რომ გათხოვდესო. გიახელ ქალაქს, ვალზე კიდევ ვალი ავიღე და მზითევი შეუსრულე, მაგრამ დედას ასეთი წიგნი მიუწერია შვილისათვის, რომ აღარ მოვიდა. მიველ, ჩვენს არქიერს ოჰანეზას მოვახსენე[1]. მან დამისხა თავის განწესებულნი მოსამართლე საღმრთო კაცნი. დიდის გამოძიებით გაშინჯეს, განაჩენი მომცეს, რომ არქიერმაც დაამტკიცა და მიბძანა—წადი ახლა უჩივლე. და გამოართვიო. არზის მირთმევით მოვახსენე გუმბერნატს (sic) ლიტვინოვს, განაჩენიც მივართვი. პოლიციაზე ბძანება მომცა—ამას თავის(ი) გამოურთვით და სწრაფათ მიეცითო. არქიერმაც პოლიციას ორჯელ წიგნი მიართო—სწრაფათ თავისი თეთრი გამოურთვითო[2]. დარჩომილია ეს საქმე ისრევე ეს ჩვიდმეტი თვეა. როგორც[3] ზემოთ მომიხსენებია, ამდენი მწუხარება გამოვიარე ამ ქალის თაობაზედ და ვალში ვარ ჩავარდნილი. ჩემს საქმეს დასაყოვნებელი მიზეზი არა აქვს რა. ვითხოვ ვედრებით, ბრძანება მოგვეცეს პოლიციაზედ, ეს ჩვენის განჩინების რიცხვს აქეთ ჩემი თეთრი სარგებლით მომეცეს, ამ ქალს პატრონი გაუჩინო და ამის საცოდაობას მოვრჩე.

მის აღმატებულებას, უფალს არტელიერის ღენერალ-მაიორს, საქართველოს მმართებელს და კავალერს თეოდორ ჰახვერდო(ვ)ს, უმდაბლესათ მოქალაქის ვანქის ტერ-პეტრუზას ქვრივის მარიამის მოხსენება.

---

[1] ამის შემდეგ წაშლილია: „წიგნის მოცემით ნება მომცა უჩივლეთ. გუმბერნატს ლიტვინოვს არზა მივართვი“.

[2] აქ წაშლილია: „ეს ვერ“.

[3] დედანში ეს სიტყვა გამეორებულია.

270. 1810 წლ. აპრილის 11. თამასუქი, მიცემული გოგია და ქაქუცა მაჭავარიანების მიერ ვახუშტი წერეთლისადმი. დედანი. ზომა 23,5×9 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3814 Hd.

ქ. ავიღეთ ჩვენ, მაჭავარიანმა დათუკის შვილებმა გოგიძმ და ქაქუცამ, თქვენ, ბატონის ჩვენის ბოქაულთხუცეს წერეთლის ვახუშტისაგან, ორმოცი მარჩილი თეთრი. ამისდა საწინდრათ მოგართვი ღრაბელის(?) მიწა. სამს წელიწადს თუ მოგართვი თქვენი თეთრი, თვარემ მიწა გახლდეს. არის ამისი მოწამე ხელოსანი ხიხო, არაბიძე მახარა, დათიკა თათარი. დაიწერა აპრილის ია, წელსა ჩყი. + +

271. 1810 წლ. აპრილი. თამასუქი, მიცემული პეტრე ინაკავაძის მიერ ბეჟან წერეთლისადმი. დედანი. ზომა 17×10,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 14552 Hd.

ქ. ღვთით, ავიღე მე, პეტრე ინაკავაძემ, თქვენ, ბეჟან წერეთლისაგან, ოთხმოცდაცამეტი მარჩილი. რაც ხანს ჩემს ხელში იქნეს, ათი თორმეტათ სარგებელი მოგა(რ)თვა. არის ამისი მოწამე ნიკოლოზ ქოქაშვილი. მე, ივანეს გრიგოლის-შვილს, დამიწერია პეტრეს სიტყვით.

დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს აქეთ ათას რვაას და ათსა, აპრილსა +.

Verso სხვა ხელით:

ეს თამასუქი პეტრიელა ინაკავაძის არის.

272. 1810 წლ. მაისის 4. თამასუქი, მიცემული გლახა გუდაძის მიერ კოსტანტინე მუხრან-ბატონისადმი. ზომა 32×21 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3682 Hd.

ქ. ავიღე მე, გუდაძე გლახამ, თქვენ, ჩვენის ბატონის მუხრანის ბატონის კოსტანტინესაგან, ცხრა თუმანი რუსის მანათი და ქალაქას სირმა აბაზი ოთხ-დანგიანი, რომ იქს ამისი ნახევარი ᲂᲗ (ოთხ თუმან ნახევარი) ამდენს. რასაც ხანს ამ თეთრმა ჩემს ჯელთ დაჰყოს, თვეში თუმანზედ სამი შაური სარგებელი მოგართოთ. როდესაც გვიბძანოთ და გვთხოოთ, თქვენი თეთრი მოგართოთ. თუ ვერ მოგართოთ, სადიამბეგო და საიასაულო მე, გლახამ, გავიღო. არის ამისი მოწამე ტეტუნას-შვილი შალვა, კათალიკოზის მსახური კორხელი

გიორგი. და მე, ევსტათი მღვდელმა, დავსწერე გლახა გუდაძის სიტყვით და მოწამეცა ვარ.

დაიწერა მაისის დ, ქკ~ს უჟ8.

ევსტათი[1].

სხვადასხვა ხელით: ქ. მე, დავით გონბოროვი, ამ თამასუქის მოწმე ვარ გუდაძის თხოვნითა.

მე, ჩითვის-შვილი, ამ თამასუქის მოწამე ვარ ბეჟანა გუდაძე გლახას სიტყვითა.

მე, ბიჭიას-შვილი არუთინა, ამ გუდაძის თამასუქისა მოწამეც ვარ.

273. 1810 წლ. სექტემბრის 1. „პენციის აღების ვექილობა", მიცემული ეგნატი თუმანოვის მიერ აღალუა ყორღანოვისადმი. დედანი. ზომა 21,5×17 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3881 Hd.

აღალუა ყორღანოვს ჩემის პენციის აღების ვექილობა ასე მივეც:
ჩყი-სა წელს, მაისის პირველიდამ მოკიდებული ამ მომავალს ენკენისთვის პირველამდინ იქნება თვე ოთხი. ამ ოთხი თვის პენციის ჯამი კგ ჩ (ოცდასამი თუმანი და ერთი მინალთუნი) რომ თვე და თვე უნდა მიიღოს ე ჯლნ (ხუთი თუმანი, შვიდი ნინალთუნი და ხუთმეტი შაური).

ა ქ. აქედამ აღალუამ თავის ვალში უნდა აიღოს ერთი თუმანი.

ბ ქ. სტეფანე ყორღანოვისა შვიდი თუმანი რომ მაქვს, თუ სტეფანემ მოინდომოს, ის შვიდი თუმანიც აქედამ მისცეს.

გ ქ. აქიმბაში თათულასი მმართებს თამასუქით ი (10 თუმ.). ქკ~ს უჟდ, მკათათვის ა-ს ამ თარიღიდამ მოკიდებული ქკ~ს უჟ8, ამ წლის ენკენისთვის პირველამდის იქნება თვე ნ, თვეში თუმანზე ორშაური სარგებელი იქნება ე (5 თუმ.). ჯამი თავნისა და სარგებელისა თხუთმეტი თუმანი.

კგ ქ. ჯამი ამისი ოცდასამი თუმანი.

ჩ ქ. დარჩება მეტი ხუთი აბაზი.

ქ. როგორც ამას ზევითა სწერია ყველა ასე უნდა დაურიგო. კოლლეჟსკის სოვეტნიკი თავადი ეგნატი თუმანოვი.

სხვა მელნით:

ქ. ეს ზემო ნაწერი ჩემი ერთი ტრეტის თეთრი ასე როგორც ვექილობა მიმეცა აღალოსათვის და აღალოს კაზონში დავთარზე ხელი მოუწერია, ეს ამისთვის მოვაწერე რომ მე მომბარდა როგორც ამაში სწერია.

კოლლეჟსკის სოვეტნიკი თავადი ეგნატი თუმანოვი.

ქ. ამ ერთი ტრეტისა თხუთმეტი თუმანი თათულა აქიმს მიჰბარდა და ერთი თუმანი ამავ აღალუას თავის ვალში და შვიდი თუმანი და ხუთი აბაზი მე მომბარდა და ასე შემისრულდა.

კოლლეჟსკი სოვეტნიკი თავადი ეგნატი თუმანოვი.

---

[1] ხელრთვა.

274. 1810 წლ. დეკემბრის 3. არზა ტერ-პეტრუზას ქვრივის მარიამისა საქართველოს მმართებელის ახვერდოვისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 34,5×24,5 სხ. დაწერილია ლურჯ თაბახის ქაღალდზე მხედრული ხელით.
საქ. სახ. მუზ. № 3511 Hd.

მათს აღმატებულებას, უფალს არტილერიის ღენერალ-მაიორს და კავალერს, საქართველოს მმართებელს, ფიოდორე ისაიჩს ახვერდოვს, მოქალაქე ვანქის ეკლესიის ტერ-პეტრუსას ქვრივის მარიამისაგან, უმდაბლესად თხოვნა.

პენტელოვი გაბრიელს და მიქელსა ორთავ ძმათა რამდენიმე თუმანი თეთრი ფული ვექსილით მოსაცემს არიან, რომელისაც ყმა და მამული და ვექსილი გირაონი აწ უზურში გახლავთ, რომლისგან ზოგი მოუციათ და ზოგისაც მოსაცემს არიან და ჩვენც ტყვეობიდამ ახალი მოსული გახლავართ და ჩვენც სხვისა მოვალენი ვართ და გვაწუხებენ. უმდაბლესად ვთხოვთ თქუენს აღმატებულებასა, რათა საცა ალაგია უბრძანოს, რომელ ორი კაცი მუსუფი მან მოიყვანოს და ორი კაცი მე, და რაც ამ ოთხმა კაცმა გამოიძიონ და გადასჭრან, ორთავ დავჯერდეთ და სამართალი იმათზე რაც ჩვენი დაედოს, მოგვეცეს, რომელ მოვალეებს დაურიგო. მეტად მაწუხებენ.

წელსა ჩყი-სა, დეკენბრის
3-სა დღესა, ტფილისსა შინა.

ხსენებული ამ არზის პატრონის
მარიამის თხოვნით ჴელი მოუწერე
სურბნიშნის კრებული ტერასატურ[1].

მარცხენა აშიაზე: Проси въ Исполнительной Экспедиции, Феодор Ахвердов.

აქვე თარგმანი: ჰსთხოე ისპოლნიტელის ეკსპედიციას. თეოდორე ახვერდოვი.

275. 1810 წლ. ახლ. პეტელას-შვილების ვალის ანგარიშის წიგნი. დედანი. ზომა 36×22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3771 Hd.
საბუთს დაახლოებით ათარიღებს ქაღალდის ჭვირნიშანი, რომელიც უჩვენებს „[1]810“ წელს.

ჲთ (69 თუმანი) ქ. ჩემი მოხსენება ეს არის: რომელიც პეტელას-შვილების ჩვენგნით ვექსილით სათხოვარი გაგისამართლებიათ სამოცდაცხრა თუმანი და მამულების სიგელიც გიბოძებიათ, რომელიც ახლა ხელათ გვიჭირამს, და გვიბძანებთ, ფული მი(ი)ღევიო, ჯერ მე თქვენ გა-

[1] ხელრთვა.

		სამართლებულ სამართალს ვერ გადავალ და არც სიგელს გავაბათილებ. ნება სასამართლისა ასრულდეს და თუ გულ შემაჯერებს და ჩემს დანახარჯს სრულობით მომცემს, იქნება რომ ფულს ხელი მოვკიდო, თუ არა და, მე ვერ მივიღებ მაგ ფულსა.
ბ ღ	(ორი თუმანი და თოთხმეტი შაური)	ქ. ახლა ამის სიგლის უკანა რაც ხანი გაუვლია, ზემორე თეთრის სარგებელი მინდა ამ თარიღამდინ. ეს სარგებელი სიგლის პირი მანდ სასამართლოში გახლავთ. თუმანი ორშაურობაზედა სარგებელი იქს სამი თვისა.
დ ჯ	(ოთხი თუმანი და შვიდი მინალთუნი)	ქ. სიგლისა ფასი მივეცი სახელმწოფო.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. არზების დასაწერი მივეცი.
ჰ ფ	(ცხრა მინალთუნი და ათი შაური)	ქ. პეტელას-შვილისათვის პოლიცაში გაუგზავნეს, რომე ესენი სასამართლოში დამიხარჯამს სარგებელს გარდა.
ჯ	(რვა მინალთუნი)	ქ. ახლა ბაღზედა მაქვს დანახარჯი, პირველად მოქალაქე(ე)ბი რომ წავიყვანე და მებაღე(ე)ბი ბაღის დასაფასებლათა, სადილზე და დავხარჯე.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. გარეთუბნის ქოხების გასახომლათ მივეცი კალატოზებს.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. ჭაღისათვის კარაჩხა ვიყიდე, მივეცი.
ჰ შ	(ექვსი მინალთუნი ორშაურ ნაკლებ)	ქ. ბაღზედა დავხარჯე, თუ მუშაზედა, თუ თესლზედა. ესენი ბაღზედა დამიხარჯამს, მოჯამაგირის სასმელსაჭმელ გარდა.
ჰ ფ	(ხუთი მინალთუნი და ათი შაური)	ქ. მოჯამაგირე შემინახამს ჩემი სასმლითა და საჭმლითა ხუთი კვირა, ესეც თქვენ ჩა(ა)გდევით, რა დამეხარჯებოდა.

276. 1811 წლ. **თებერვლის** 1. თამასუქი, მიცემული კ ნ ე ი ნ ა ა ნ ნ ა ა ბ ა შ ი ძ ი ს ა და მისი შვილის ქ ა ი ხ ო ს რ ო ს მიერ ჯვარის მამის ვ ე ნ ე დ ი კ ტ ე ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 34,6×21,5 სმ. დაწერილია თეთრ ღერბიან ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8348 Hd.

ქ. ავიღე მე, ამილახორის ასულმა ანნამ და ჩემ(მ)ა შვილმა ქაიხოსრომა, თქვენ, ჯვარის მამის ვენედიკტესაგან, ოთხი თუმანი ქალაქის თეთრი, რომ იქს ამისი ნახევარი ბ (2 თუმანი) და მოგეც ამისი გირაოთ ჩემი (მ)კვიდრი ყმა და პირის სანახავი ბერი გამგებელი თავის მამულით. თვეში სამი შაური

სარგებელი გიძლიო. თუ თქვენ წასლვა (sic) მოგიხდეს სადმე, რომელიც ჩვენი ვექილი იქნება, თეთრი თავნი და სარგებელი იმან მოგაბაროს. მე, იოსებ მღვდელს თურქისტანოვს[1], ანნას სიტყვით დამიწერია და მოწამე ვარ. დაიწერა ფებერვლის (sic) დამდეგს, ქკს უჟია, წელსა ჩყია.

სხვა ხელით:

აბაშიძის კნეინა ამილახვრის ქალი ანნას ამ თამასუქის ყაბული მაქვს. თავადი ქაიხოსრო აბაშიძე, ამ თამასუქის ყაბული მაქვს.

სხვა ხელით:

წელსა ჩყით თამასუქის დახსნაში მივე ქაიხოსროს შემოსავლიდამ ოთხი თუმანი. გამგებელმა უნდა მისცეს სამი თუმანი.

277. 1811 წლ. მარტის 20. თხოვნა ვალის დამოწმების შესახებ მანუჩარ თუმანოვისა ბირთველ თუმანოვისადმი. დედანი. ზომა 21,5×16 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი და მძიმე. საქ. სახ. მუზ. № 5432 Hd.

ქ. ბრწყინვალეო თავადო, ბირთველ მდივან თუმანოვო, იმათი უგანათლებულესობა საქართველოჲსა მეფის ძე, უფალი ვახტანგ, ჩემსას რომ თეთრს იყო მოსაცემს და იმის თხოვნისათვის არზა მივართვი, იმ ჟამად იმას ახლდი და შენ მოგგზავნა ჩემთან მოციქულათ და რაც ებძანებინა, შენ მიანბე მე, მანუჩარ თუმანოვს. და ახლა ამისთვის გთხოვ რომ, როგორც შენთვის ჩემ სათქმელად დაებარებინოს და გახსომდეთ, ამაზედ მამიწეროთ ჭეშმარიტებით. მარტის კ, ქკს უჟთ.

სხვა ხელით:

წინაშე ღუთისა, ასე იყო: მათის უმაღლესობის, ნეტარჴსენებულის დედოფლის დარეჯანის[2] სანახავად რომ ჩამობძანდა ტფილისში მათი უგანათლებულესობა, საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, იმ ჟამად თან ვახლდი. თქვენ იახელით ავლაბარში და ნახეთ. მეორეს დღეს მე მიბრძანა: ბიძაშენს მდივანს მანუჩართან მიდი და ჩემს მაგიერ უთხარ, რომ ნუ სწუხარ რომ შენდა მოსაცემი თეთრი ასე დაგიგვიანე. ღვთის მოწყალებით თუ მშვიდობა მექნება, ვეცდები რომ მალე მოგცე რასაც მოსაცემს ვარო. მაშინვე მოველ და თქვენ მოგაჴსენე. ამას ჭეშმარიტებით ვსწერ, თავადი ბირთველ თუმანოვი.

[1] დედანში: „თურქისტავნოს".
[2] დედანში: „დარაჯანის".

278. 1811 წლ. დეკემბრის 2. ურზა მთავარეპისკოპოსის იუსტინესი საქართველოს მმართველის მარკიზი მალიცკისადმი ვალის თაობაზე. პირი. ზომა 34×24,3 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახმარია წერტილი და ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 8657 Hd.

მისს აღმატებულებას, უფალს დევისტიტველს (sic) შტატის სოვეტნიკს, კავალერს, საქართველოს მმართველს, ღრუბელატარს (sic) მარკიზ ლევანტოვიჩს მალიცკის.

მოხსენება იუსტინე მთავარეფისკოპოზისაგან.

თავადს ნიკოლოზ ამილ(ა)ხვაროვს[1] თავის სიდედრის, გიორგი აბაშიძის კნეინა ანასათვის, ოთხმოცის თუმნის თამასუქი მიეცა, ნიკოლოზ ამილახვაროვს. რამდენსამე ხანს უკან კნეინამ მითხრა: ჩემი სიძე მე აღარას მომცემს, თქვენ მე შემპირდით, თქვენ უფრო მოგცემსთ, მერე თქვენ მე მამეცითო. ნიკოლოზ(ს) უთხარ: თუ შენ მე მომცემ, მე შენ სიდედრს შევპირდები. ნიკოლოზმა მითხრა: თქვენ ჩემს სიდედრს შეპირდით, მე შენ მოგცემ, თქვენ კნეინას მიეცითო. ამ სიტყვას არ ვენდე, წერილიც მამცა. კნეინას ახლა ჩემთვის უჩივლია და მე ბილეთი შემიკრეს. ჩემთვის თეთრი არ მოუცია და ნივთი. მართალია, მღუდელ-მთავარი ვარ, შევიბრალე, დავაცდევინე. თუ არ მოიცდის მანამ თავისი მოვალე თავისივე სიძე მე მომცემდეს და მეც მაგას მივცემდე, მაშ ისევ იმასვე სთხოვოს ვისაც მისცა. და თუ ეს ჩემი მოდავე ჩემგან ხელს არ აიღებს და მევე მთხოვოს, ვითხოვ უმდაბლესად ებრძანოს გორის უეზდის სასამართლოს, იქ გვალაპარაკონ, რადგან ამ თეთრის ამღებიცა, მიმცემიცა და მეც ამავე უეზდისანი ვართ. უკეთუ ამ საქმეში უბრალოს სულს დამედება, აქ ხომ არა მაქვს რა ცარიელის კონდაკის მეტი, იმავე უეზდში უნდა უშოვო და მივცე. და თუ სამართალი დაუნაშავებელს არ დამსჯის, ნება სამართლისა იქნება. ვითხოვ, მოხუცი მღვდელ-მთავარი უსამართლოდ არ დავისაჯო.

ჩყია წელსა, დეკემბრის ბ დღესა.

279. 1812 წლ. მარტის 20. წერილი მანუჩარ თუმანოვისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 34,5×23,3 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5433 Hd.

ქ. უგანათლებულესო სრულიად საქართველოჲსა და სხვა მეფის ძეე, უფალო ვახტანგ, უმოწყალესო ჴელმწიფეე!

ორს წელიწადში თქვენს უგანათლებულესობას ხუთი რიგი წიგნი მივართვი და რასაც ჩემსას მოსაცემს იყავით, იმის ბოძებას გეაჯე. ჩემის უბედუ-

[1] დედანში: „ამილხვაროვოს“.

რობით ამ ჟამამდინ პასუხის ღირსება ვერ მივიღე. ამ მარტის თვის ია მისმა კეთილშობილებამ, ჰაქიმბაშმა არუთინ ჰაქიმოვმა გამომიცხადა: კეთილშობილს უფალს გლახა მილახვარს ჭილოვს ჩემთვის მოუწერიაო, მანუჩარს მდივანს ბატონის-შვილსათვის წიგნი მოუწერია, ჩემი თეთრი გმართებსო, უნდა მამცეო, თქვენი წერილი მაქვსო; ბატონისშვილი ბძანებს—მე კი არა მგონია მე მანუჩარისა მემართოს რამეო და ან ჩემი წერილი ეჭიროს რამეო და თუ ჩემი წერილი უჭირავს, რომ სამარლად შესაწყნარებელი იქნება, ჩემს წერილს სად წაუვალო, ერთს კაცს ანდოს, ის წერილებით აქ გამოგზავნოსო და თუ მისაცემს ვარ, მივცემო. მეორეც ეს მოეწერა: აღამამადხანის მოსვლის ჟამს ჩემი ბანბა წიწუას-შვილისას იყო და ბატონის-შვილმა დახარჯაო, იმის ფასიც უნდა მომცესო. ბატონის-შვილი ასე ბძანებს—მე ბანბა არა დამიხარჯამსო. ამისთვის ვმადლობ ღმერთს და თქვენს უგანათლებულესობას, რომ მაშინც უპასუხო არ დაგიგდივარ.

უმოწყალესო ჭელმწიფევ, მოგეხსენებათ, თქვენის სამსახურის აღსრულებისათვის ჩემის შეძლებით მარადის მზას ვყოფილვარ. ჟამთა ვითარებამ სამს განსაცდელს შემამთხვივა: პირველად ქალაქის წახდენას რომ ქონებისა და წიგნების დაკარგვით წავხდი; მეორედ დუშეთს საქონლის აკლებით რომ იქაურთ მცხოვრებელთ აიკლეს და აიონავრეს, რომელიც თქვენც უწყით, მაშინაც დავკარგე საქონელი და წიგნები; მესამედ კურთხეულმა თქვენმა ძმამ, მეფემ გიორგიმ, ვითარი განსაცდელი მოგვაყენა, კარგათ მოგეხსენებათ—მაშინ მათგან ჩვენზე ჩენილმა იასაულებმა რაც დაუკარგავათ წიგნები დაგვრჩომოდა, დაჩხრიკეს და თავედს თავათ ჩვენ წიგნებს რაც უნდოდათ, ის უყვეს. ამდენ რიგათ დაონავრებულს და მიხლილ-მოხლილს სრულებით, რაღა წიგნი შემრჩებოდა, და თუ რომ წიგნი იმ შემთხვევებს გადარჩა, რომელიც თქვენგან ნაბოძები წიგნები დარჩომილიყო, ის წიგნები კი მზას გახლავსთ, რომ ამას წინათ მორთმეულს წიგნებითაც მომიხსენებია. მარა მე მანდ ასეთი ვინა მყავს და მეყოლება, რომ ის წიგნები გამოუგზავნო და იმით ვითხოვო თქვენგან ჩემი მოსაცემი? ასეა თქმული: ადამის ტომს ორი რამ ძნელად დაავიწყდებაო—ერთი ცოდვა და მეორე ვალი. მარა უბედურობას რა გაეწყობა. თქვენ უგანათლებულესობას როგორც ვიცნობ, მე სასოებას არ წარვიკვეთ, ჩემი მცირე და მდაბალი სამსახური რომ არ გახსომდესთ და თუ მიგფარვიათ, ვგონებ თქვენმა ჩემთან ბოძებულმა წიგნებმა მოგაგონოსთ, რომელიც ზოგიერთი კიდევ დღეს ჩემთან დარჩომილი არის.

რომელიც ჩემგან ვალად თქვენს უგანათლებულესობას მირთმევია, ამას ქვეით თვითეულად დაიწერება. ერთის ნუხსით (sic) თქვენის დანახარჯისა, რომ თქვენგან ნ(ა)ანგარიშევი და ჭელმოწერით თქვენის ბეჭდით დაბეჭდილი სამოცის თუმნისა და ექვსის მინალთუნისა, რომ ის დაკარგული არის და იმას იმისი შემდგომი თქვენი წერილები იმოწმება. ამ მოსაცემში ღუგაზაზე ოცდათის თუმნის ბარათი მიბოძეთ, მარა იმაზედ იმთენიც აღარ იყო დარჩომილი და იმავ ბარათის მოცემას უკან წულუკიძის საჩუქრისათვის და იმერლების ტანისამოსებისათვის თქვენი წერილები გებოძათ, რომ ორივ დაუკარგავათ ბზათ არის. იმაში მე არა მოგართვი რა და მოგახსენე: რადგან გეჭირებათ, ღუგაზაზე რომ ბარათი მიბოძეთ, ის იმისგანვე თქვენ დახარჯეთ და რაც იმასთან იყო დარჩომილი, თქვენ მი(ი)რთვით და მე არა მომცემია რა.

კიდევ ერთი ფარჩა გებძანათ. იჯარაზე ბარათიც გებოძათ. ის ბარათი ისევ თქვენ მოგართვი, რომ მე არა მომეცემოდა რა. და ფარჩა შვიდ თუმნათ ვიყიდე და მოგართვი, რომ ამისიც თქვენი ხელწერილი დაუკარგავთ მზას არის.

კიდევ თქვენის უცხოს პოლეტიკიანის საუბრით მიბძანეთ, მამის თქვენისა და დედის თქვენისა დაფიცებით მარწმუნეთ, ეს ორი ფარჩაც მიშოვეო, შენს მოსაცემებს და ამის ფასსაც სარგებლით მოგცემო. ორი ფარჩა მასყიდვინეთ ექვს თუმნად, თქვენის მკერვლის პაჭუა სტეფანას ხელით მ(ი)ირთვით— ერთი მილახვრის ოსეფას ჯალაბს და ერთი მელიქ ავეტიქას გადახურეო. ამისიც თქვენი ხელწერილი ბარათი იყო და დაკარგული არის.

კიდევ ერთის საპალნის ბანბისას რომ ბძანებთ, წიწუას-შვილისას ნაქონი შენი ბანბა არ დამიხარჯამსო, მე არც ბანბის ვაჭარი ვყოფილვარ და არც წიწუაშვილისას ბანბა მქონია. იმ ბანბის ვითარება ასეა: თქვენი წიწუასშვილი საქონლების ამკლებად და ქურდათ რომ აღმოჩნდა, სანატრელის ბატონის მამის თქვენის გასამართლებით იასაულებმა აკლებულის საქონლის პატრონებს წიწუაშვილის ბანბები მისცეს და ჩვენც ერთი საპალნე ბანბა გვიბოძა. სხვათ ვისაც მიეცა, ყველამ თავისთვის წაიღეს და ჩვენის დანაკარგის საქონლიდამ ნაპოვნს საქონელზე და ერთს საპალნეს ბანბაზედ ბატონის მამის თქვენის ნაბოძები ოქმი არის თქვენზე. არც იმისი ბძანება შემისრულე და არც ჩემის მცირეს ნამსახურობით შემიწყალე და მე კი არ დამანებე სიმართლით მოცემული ერთი საპალნე ბანბა. მე თქვენის თავაზით ბატონს ბანბის დაუნებლობა არ მოვახსენე და კიდევაც მპირდებოდით მოცემას და აღარ მომეცით და თქვენ აიღევით ბანბა, რომ ამაზედაც თქვენი წიგნი მზას არის, რომ ბანბა თქვენ არ დამანებეთ. და თუ თქვენ გარეთ სხვას ვისმე დაუხარჯამს, იმას თქვენ იპოვით. ამისი ფასი უნდა მიბოძოთ თორმეტი თუმანი.

წიწუას-შვილს ჩემთვის ფშავ-თიანეთიდამ წიგნი მოეწერა. იმაში ასე მოეწერა, რომ ჩემი სამი სათი თქვენის ნაზირის კეთილშობილის უფალის რევაზ მურვანოვისათვის მიეცეს თქვენ მოსართმევათ. და სხვა მაუდისა და საწერლისაც მიცემაც მოეწერა რევაზისათვის, რომ ამაზედ რევაზს აქ უჩივლეშაუდის ფასი თავს დადვეს თავისი მოწერილის წიგნის ძალით და თავის მოწერილს წიგნში სხვა ჩემის საქონლის ამკლები და ქურდები ეჩვენებინა. ის იმისი მოწერილი წიგნი და ჩემი წიგნი დუშეთს მოგართვი და გთხოვე სამართლის მოცემა და თქვენ სამართლის მოცემის მაგიერ იმისგან მოწერილი წიგნიც აღარ დამანებეთ, რომ იმითი ბატონთან მეჩივლა. ამაზედაც თქვენი წერილი მაქვს. დუშეთსაც გიახელ ჩემის აკლებულის საქონლის საქმეზე და სამი ნივთი ჩვენის საქონლისა თქვენის სალაროდამ თქვენ მიბოძეთ. სხვაც ცოტა რამ საქონელიც ვიპოვე. მაშინაც ბანბის ბოძებაც დამპირდი და აღარ მიბოძეთ.

აქ მოხსენებულის თქვენის მოსაცემის თეთრის ბოძება ბევრჯერ მომიხსენებია თავთავის დროს. თქვენც კეთილის სიტყვის მოგებით და ჩემის მცირე სამსახურის დანახვით მადლობა და დაგვიანებისათვის ბოდიში გებრძანებინათ და წყალობიანის სახითაც ბოძებას დამპირებიხართ და ამაზედ ბირთველ თუმანოვიც მოციქულათ გებოძებინით ჩემის მოსაცემის თეთრის დაცლისათვის.

თუ ჩემსას არ ირწმუნებთ, იმისის შეკითხვით მოიხსენეთ. ამის გარდა ქართლიდამ დუშეთს წიგნი მოგართვი და ჩემი მოსაცემი გთხოვე. ამაზედაც პასუხად თქვენი ნაბოძები წიგნი მაქვს. ახლა სადმე ბძანებთ: მე არ მახსომს, რომ იმისთვის გამომერთმიოს რამეო და ან მისაცემს ვიყო რასმეო. მე მახსოვროგისთვის და სამსახურის დანახვისთვის მცირეთ გემსახურე, თორემ მე ხომ ვაჭარი და მედუქნე არ ვიყავ, რომ მოგებისათვის და გამორჩომისათვის მემსახუროს. ვაი ჩემს ბედს, რომ თქვენი სამსახური აგრე დაუნახავათ მოვიხმარე. თქვენს ნაბოძებს წიგნებს თუ კი სხვებთან გამოსაყენებლად მტკიცეთ ვხმარობთ და მოვიხმარებთ, თქვენთან როგორ არ უნდა მოვიხმაროთ, თვითო თქვენი წერილი როგორც აცხადებს მტკიცე მოწმობათ და საბუთათ მოსახმარებელია და არც უგზო უარყოფით დასაყენებელია. აქ მოხსენებულს თქვენს წერილებს გარდა, სამი-ოთხი სხვა ასეთი თქვენი ხელწერილები მაქვს, რომ თქვენს ერთგულათ და მისანდო კაცად გიცნივარ. თუ უნდა ერთს ას თუმანს ცილს გიგონებდე, იმ თქვენის წერილის მიხედვით უნდა ითმინოთ და მიბოძოთ. თუ კი სხვანი თქვენს წერილს მამულის და ყმის მოხმარებით შვილით შვილამდე მოიხმარებენ, მე ჩემის ალალის თეთრის ასაღებათ რისათვის არ უნდა გამოვიყენო.

მოწყალეო ხელაწიფევ, ჩემის მცირეს სამსახურის ჩვენებით თქვენი უგანათლებულესობა ბევრს ჩინებულს ადგილებში ჩემთვის რეკომანდაციის ბძანებას ნებულობდა, რომ იმისის მოსმენით თქვენმა ძმებმა და ძმისწულებმა და ასრეთვე ბრწყინვალე თავადმა და კეთილშობილთ აზნაურთ სამსახური ზოგი მიბძანეს და ზოგი შემომიკვეთეს და მეც როგორც შემძლებელ ვიქმენ, ისე ვმსახურე. ერთ-ორს შემოკლებით მოგახსენებ: თქვენს ძმას, მის უწმინდესობას სრულიად საქართველოჲსა კათალიკოზს უფალს ანტონის, ვმსახურე, რომ არც ხელწერილი მქონდა; ჩემგან წანაღები რა ერთიც ჰქონდა, ვთხოვე და მიბოძა; ის მათგან მოიხსენე. აგრეთვე თქვენის ძმის, მათის უგანათლებულესობის მეფის ძეს ფარნაოზს უბრძანებია სამსახური, აღმისრულებია და კიდეც უბოძებია; ჩვენებათ თუ ამას არ აკმარებთ, მას უკან სხვებისაც მოგხსენდებათ. მარა მე სამსახურითაც და უსამსახურითაც ვისთვისაც ჩემი თავი მიცნობებია, ვგონებ ისე მიცნობენ, რომ ვისთვისაც არა მიმეცეს რა, არც თხოვნა შემეძლოს მოვალობის სახით. თორემ ბატონყმობის სახით და მეგობრულებ თხოვნა იქნება, იმისი ბოძება და არ ბოძება მბოძებელის ნებაზე არის. ამაზე მოგმე ლაპარაკი არ შვენოდა, მაგრამ თქვენ რომ გიბძანებიათ, რომ მე არ მახსომს, რომ იმისგან ან დამეხარჯოს რამე და ან მისაცემს ვიყო, ამისთვის მოგახსენე და მოგმე წერილის მორთმევით მოგაგონე და მოიმედე ვარ ჭეშმარიტებისა: რაკი ამ მოხსენებას მოისმენთ, ჩემი მონართმევიც მოგაგონდებათ და მცირეს სამსახურსაც მიფარვისაგან განი(ა)ხლებთ. რასაც უნდა ჟამს და ცხოვრებას შევესწრა, მე იმისთვის სასოებას როგორ წარვიკვეთ, რომ ჭეშმარიტება არ გამოცხადდეს.

ჩვენი დაკავშირება ასეა: თქვენ სრულიად საქართველოს მემკვიდრე მეპატრონის შვილი ბძანდებით და მე თქვენი მემკვიდრე ყმის შვილი გახლავართ. ჩემგან მოცთუნობით შემოდგომა არ შეიძლება. მერე ზოგიერთა თქვენი ნაბო-

ძები წერილების ქონებასაც მოგახსენებს. იმისთანა წერილების მბოძებელსაც ჩემგან მოცთუნების ეჰვი არ უნდა ჰქონდეს. ერთს ალაგს რომ წერილები იყოს და ის წერილებიც ერთმანეთს ემოწმებოდეს, იქ მოცთუნების თქმა უკადრისი იქნება. გთხოვ რომ თქვენ უგანეთლებულესობის საკადრისათ მოიქცეთ და თქვენის ყოვლის კეთილის მოქმედის სვინდისი მსაჯულად დასვათ და ეს ჩემი მოხსენებები, რომელიც მოგაგონდესთ და ხსომა ირწმუნოს თქვენმა გულმა, ხომ მიბოძოთ, და რომელიც არა—თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს. რომლისათვისაც ბძანებთ, რომ ეს მე არ წამიღებინებია და არა მოსაცემსა ვარო. იმაზე რა მეთქმის, რომ მოგახსენო; ამაში თქვენ თავსაც გაუფთხილდი და მეც შეცოდებისაგან გამომიხსენ, რომ, რომელიც არ მომეცეს და გთხოვდე, ეს ამდენი ჩემი ტანჯვა და თქვენი თავის წყენა ჩემი მუსტაჰაზია; რასაც დროს ინებებთ, ვისაც ენდობით და უბძანებთ, მე რაც თქვენი ხელწერილები მაქვს, იმის პირებს ავაღებინებ და სარწმუნო კაცთაგან დამოწმებულს მოგართმევ. გაიშნჯეთ და მერე თქვენი ნება აღსრულდეს. გთხოვ, რომ პასუხი მიბძანოთ.

ერთი ამისთანა წიგნი შარშან აპრილის იე მოგართვი და პასუხი ვერ მივიღე, რომ იმ ჩემს წიგნთან ჰაქიმ თათულის მორთმეული წიგნიც გახლდა. ამ ჩემის მოხსენებულისას როგორც ინებებთ, ის მიბძანეთ, რომ ჩემი სათხოვრის პასუხათ ის თქვენი ბძანება ვიკმარო. მარტის კ, ქკს ფ.

თქვენის უგანათლებულესობის უმდაბლესი მონა და მოსამსახურე, თავადი მანუჩარ თუმანოვი.

280. 1812 წლ. ივნისის 13. თამასუქების ნუსხა ხევთუბნის ეკლესიისა. დედანი. ზომა 21,5×13 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3364 Hd.

რ	(ასი თუმანი)	ქ. ციცის-შვილის სანათია. თარეღია (sic) მაისის ა, ქ^კს უოე.
კბ	(ოცდა სამი თუმანი)	ქ. ტერტერას-შვილის დავითას სანათია. მარტის ით, ქ^კს უოგ.
ბ	(ხუთი თუმანი)	ქ. გურამის-შვილი გოგიას სანათია. ღვინობას ა, ქ^კს უოდ.
კვ	(ოცდა ექვსი თუმანი)	ქ. თავლიდარი ოჰანეზას შვილების სანათია. თიბათვის იბ, ქ^კს უპბ.
დ	(ოთხი თუმანი)	ქ. გლახა თურვანიძის სანათია. ქრისტიშობის ზ, ქ^კს უობ.
რაბ	(ასათი თუმანი და ექვსი მინალთუნი)	ქ. შაქარას და ოსებას სანათია. კათათვის ა, ქ^კს უპბ.

ქ. თაყას-შვილი თავის სანათი რომ წაიღო, თარეღი იყო მარტის ა, ქ̅კს უპგ. ბ̅ (ოთხმოცდა ერთი თუმანი).

თიბათვის იგ ,ჩყიბ.

ქ. მე და დიმიტრი მდივანი მივედით ფითუაშვილს აღასთანა და ხევთუბნის ეკლესიის თეთრის თამასუქებისა ვკითხეთ: „განსვენებულის მეფის გიორგისა შენ რომ გებარა ის თამასუქები და ან იმ თამისუქების თეთრის საქმე როგორ მოხდა“? ფირუაშვილმა ამას ზევითი თავისი ხელით ნაწერი დაგვიწერა და მოგვცა—ზემო შვიდი კალამი თამასუქები ჩემთან არისო. როგორც თავისის ხელით თვისა და წლის რიცხვი სწერია, ამ რიცხვში ეს თამასუქები მე მაქვსო. მთიბათვის იგ, ჩყიბ, ამ რიცხვშიაო. ეგნატი თუმანოვი[1].

281. 1812 წლ. დეკემბრის 28. წერილი ლუარსაბ (თარხნიშვილისა) სოლომონ თარხან-მოურავისადმი ვალის თაობაზე, დედანი. ზომა 17,5×11 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი. საქ. სახ. მუზ. № 7934 Hd.

მის ბრწყინვალებას, უფალს პოდპოლკოვნიკს, შამშადილის მოურავს სოლომონ ზახარიჩ თარხან-მოურავს, მოწყალე ჭელმწიფეს!

თქვენს უვნოდ და ბედნიერად დაცვას იესოს მიერ ვსასოებთ. ჩვენ, ღვთით, ჟამსა ამას გახლავართ თელეთ-გორს მშვიდობით ყოველნი. სხვა ამბავი, ღვთით, ყოველივე მშვიდობა არის ყოველს ალაგსა. ერთი ტიკჭორა ოტკა მოგართვი, დიახ უცხო და გემო-წმინდა, რომელიც არის თუნგი სამი და ნახევარი და სავსე სპილენძის თუნგითა და დაბეჭდილი[2] სამი ფერითა ლაქით და ამ ღერბით, რომელიც ამ წიგნში ძევს. და ესეც იმითი არის წიგნი დაბეჭდილი. გთხოვ, გახსოვდესთ ჩემი დარდი და მებრძანოს ჩემი საქმისათვის მართალი. თუ რომ არ იქნებოდეს, იმის თადარიკი ვნახო, რომელიც სჯობს მართალი. ამისთვის რომ სარგებელი მატულობს წელიწადში დ̅ჯ̅ (4 თუმ. და 8 მინალთ.) ამდენსა და არის ორი წელიწადი, რომ იქს წელიწადში თ̅ხ (9 თუმ. და 6 მინ.) ამდენსა. ამაში საქმე დამძიმდება ჩემთვის. ასე რომა თქვენ რომ ისურგძელებთ, მე სარგებელი მემატება და ბოლოს რომ აღარ ინებოთ ჩემმა ძმებმა, მე ხომ დავიღუპები და ნუ მიზამთ, ქრისტეს გულისათვის შემიწყალეთ და მართალი მიბრძანეთ, ამ იანვარში იქნება თუ არა. ეს ჩემთვის შეწევნა არ(ა) არის რა, თქვენ რომ ბრძანოთ: „მივსცემთო“, იმათ არა მიეცესთ რა, მე სიტყვით დავალნა მამყოფოთ და სარგებელი გაძლიერდეს,

---

[1] ეს მინაწერი ეგნატე თუმანოვის ნაწერია, „ზევითი“ კი ფათუაშვილისა.

[2] დედანში: „ღბებეჭდილი“.

ბოლო ჩემთვის პოლიცია იქნება. და თუ ჩემი სიბრალული გაქვსთ, ახლა კი სწორე მიბრძანეთ, დიდათ მადლობელი ვიქნები. ჩემი რომ არ გეშინიანთ და მიბრძანეთ, რომ არას მივსცემთო, მაშინ ანუ ვიცე თავში ქვა და ანუ გადავარდე სადმე. მეითარო, ამ რიცხვში სწუხს სული ჩემი და უკანასკნელი მოხსენება ესღა არის, გთხოვ და გთხოვ მართალსა პასუხსა, შემიწყალეთ მართლის პასუხითა თქვენი ულირსი ძმა ლუარსაბი.

დეკემბრის კᲩ დღესა, ჩყიბ წელსა, თელათ-გორით.

მის ბრწყინვალება უფალს პოდპოლკოვნიკს შამშადილს მოურავს სოლომონ ზახარიჩს თარხან-მოურავს, მოწყალე ხელმწიფეს, შამშადილში[1].

282. 1812 წლ. ახლ. გასესხებული ფულის ანგარიში იუსტინე მთავარეპისკოპოზისა. დედანი. ზომა 34,2×21,7 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი, ორწერტილი ან წერტილ-მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 14144 Hd.
საბუთის მიახლოვებითი თარიღი ირკვევა შინაარსის მიხედვით.

ქ. ჩყი ამ წლის რიცხვში თავადმან ნიკოლოზ ამილახოროვმან ისესხა,
უკ3 ღერბოვიანს ქაღალდზედ თავისის საკუთარის ჴელით დაწერილის ვექსილით, ოთხას ოცდა ექვსი თუმანი რუსის მანათი თეთრი.

ჩყე ამ წელის რიცხვში კ(ვალა)დ თავადმა ნიკოლოოზ ამილახოროვმა ისეს-
ნ ხა ჩემგან თეთრი ორასი თუმანი, რუსის მანათის თეთრი, რომლისა დასამტკიცებლად ვექსილზედ იმისი ჴელი მიწერია.

კითᲩ ქ. თავადმა ნიკოლაოზ ამილახვაროვმა ისესხა ოცდა ცხრამეტი თუმანი და ნახევარი.

+კე ჩყე ამ წლის რიცხვში თავადმა ფავლენის-შვილებმა გიორგიმა, ტეტიამა და სოლომონმა ოცდა ხუთი თუმანი რუსის მანათის თეთრი, რომლისა დასამტკიცებელად ჴელმოწერილი მათგან ვექსილი ჴელთ მიჭირავს.

+კე ჩყთ ამ წლის რიცხვში ქალაქის მოურავმა თავადმა ევსტათი, ნიკოლოზ, იოანემ და დიმიტრიმ, ღერბოიანს ქაღალდზედ დაწერილის ვექსილითა მართებს ოცდა ხუთი თუმანი რუსის მანათის თეთრი.

3 ჩყდ ამ წლის რიცხვში ისესხა ექვსი თუმანი თეთრი ფული თავადმა ციციანოვმა ქალანთრის შვილმა დიმიტრიმ, რომლისა ნიშნად იმისგან ჴელმოწერილი ვექსილი ჴელთ მიჭირავს. იმის შვილს ედიას მართებს.

Ꙋ ჩყე ამ წლის რიცხვში აზნაურმა ქარსიძემ დავითმა ისესხა რვა თუმანი თეთრი ფული, რომლისა ნიშნად ჴელმოწერილი ვექსილი მიჭირავს.

---

[1] დასმულია ლუკის ბეჭედი.

Ე ჩყვ ამ წლის რიცხვში აზნაურმა ანანიას-შვილმა მალხაზამ ისესხა ხუთი თუმნის თეთრი ფული, რომლისა ნიშნად ჴელმოწერილი ვექსილი ჴელთ მიჭირავს.

Ე ჩყ ამ წლის რიცხვში თავადთა ზაალის-შვილებმა როსტომ(მ)ა და გიორგიმ ისესხეს ხუთი თუმანი თეთრი ფული, იმათის საკუთარის ჴელით დაწერილი ვექსილი ჴელთ მიჭირავს.

Ვ ჩყვ ამ წლის რიცხვში თავადმა დავით ხერხეულიძემ ომან მდივნის ძემ ისესხა ათი თუმანი თეთრი ფული, რომლისა ნიშნად ვექსილი ჴელთ მიჭირავს.

Ე ქკ᾽ს უჟე თ᾽ა პეტრე ციცშვილმა ისესხა ვექსილით ხუთი თუმანი.

ᲘᲒ ქ. გორელს ხითარაშვილს ზაზას მართებს თამასუქები ცამეტი თუმანი.

+ ᲒᲭ ჩყგ ამ წლის რიცხვში თავადთ ჩხეიძეებს იოანესა და დავითს მართებსთ ორის ვექსილით სამ-თუმან-ნახევარი თეთრი ფული და ოცი ოქრო, რომლისა ნიშნად ჴელმოწერილი ვექსილები ჴელთ მიჭირავს. სამი ცხენის საპანე ღვინოც მართებსთ.

Ვ ჩყ ამ რიცხვში თავადს ციციანოვს ნიკოლოზ დიამბეგს მართებს ვექსილით ერთი თუმანი თეთრი ფული თავისის სარგებლით.

Ზ ჩყ კირბალელს პეპანას-შვილს ბეციას მართებს ვექსილით ორი თუმანი თეთრი ფული.

Თ ჩყ გომელს გელიას-შვილს ნინიას მართებს ორი თუმანი თეთრი ფული თავისის სარგებლით.

Ი ჩყ ზაბულონის-შვილს მღვდელს სფირიდონს მართებს ხუთი თუმანი თეთრი ფული ორის ვექსილითᲙ და ხუთი კოკა მაჭარი.

Ლ ჩყ კლიმიას-შვილს თამაზას მართებს ორი თუმანი თეთრი ფული თავისის სარგებლით, ვექსილი ჴელთ მიჭირავს.

+ᲒᲛ წელსა ჩყიბ კლიმიაშვილს გლახას მართებს სამი თუმანი და სამი მინალთუნი ვექსილით.

Ნ ქ᾽კს უჟვ ალექსიძეს სფირიდონს მართებს ოცი თუმანი ვექსილით.

+Გ ქ. გორელს გლახა ხარაზის-შვილს მართებს ვექსილით სამი თუმანი. ამას გარდა სხვანიცა თამასუქები მაქვს, რომელსაც შემდგომსა შინა წარმოვადგენ თქვენს მალალს კეთილშობილებასთან.

Ო ქკს უჟგ ამ წლის რიცხვიდამ ბუჩუკურს სვიმონას მართებს ვექსილით ხუთი თუმანი.

+Ო ქსკ უჟზ ამ წლის რიცხვიდამ მართებს გორელს ტერ-ოჰანას ხუთი თუმანი ვექსილით.

Პ ქკს უჟე ამ წლის რიცხვიდამ მართებს გორელს ჯანუაშვილს იაკოფას ორი თუმანი ვექსილით.

Ჟ ქ. ხითარაშვილის ბარათი ერთის თუმნის.

ᲧᲓ სამღუდელო მთავარეპისკოპოზი ჴელს ვაწერ, იუსტინე [1].

მთავარეპისკოპოზის ნუსხები [2].

---

[1] ხვეულად.

[2] წარწერა ფურცლის უკანასკნელ გვერდზე.

283. 1812 წლ. ახლ. ვალის ანგარიშის წიგნი რომელიღაც ეკლესიისა. დედანი. ზომა 31×18,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუზ. № 3752 Hd.

ფულის ჩაბარების მინაწერი დათარიღებულია 1812 წლის ენკენისთვის 3-ით, მაგრამ რგი ცხადლივ უფრო გვიანდელია, ვიდრე ძირითადი ტექსტი.

ქ. დანარჩომი ტურაზე, რომელიცა ჩვენი იმაზე ვალი არის. ოცდაცამეტი თუმანი ღვინოზე არის. იმას მოუცია ღვინო საპალნე ამ წლისა თორმეტი. აჯი მამუდიანთ რომ მივყიდე გავლილის წლისა ექვსი საპალნე, ხუთი ცალი წინა-პირველი, როდესაც ფული მივე. ესენი ია(ნ)გარიშეთ, თერთმეტს თუმანს და ცხრას თუმანს უნდა გ(ა)უყოს. თერთმეტი თუმანი ჩემია და ცხრა თუმანი სახლისა არის. ტერ-ოსეფამაც კარგათ იცის.

ბ ქ. ორი თუმანი სარგებლითა მართებს, ამ თეთრისა არის.

ა ქ. ერთი თუმანი ახლა ისესხა ჩემი თეთრი. მჭედლია(ნ)თ იოსებს ემართა ჩემი და ამის ხელმა მისცა ტურიას, ეს არის ტურიაზე. ექვსი მინა(ლ)-თუნი, ერთი ღვინო იყიდა, სამი ჩემია, სამი სახლის.

ს ქ. ექვსი თუმანი ზუნიასა მართებს ჩემი საკუთარი. ტერტერამა და პეტ-რემ იცის როგორც მართებს.

ბ ქ. სამი თუმანი ველიციხეს არის. ვისაც მართებს, პეტრემ იცის.

ა ქ. ერთი თუმანი თათრის-შვილს მართებს კიკოს.

ა ქ. რევაზას მართებს თუმანი.

ჯ ქ. ლიპარიტაშვილს მართებს ეგნატეს ორი წელიწადია მინათული (რვა).

ა ქ. დავითა მჩითავს მართებს თუმანი.

ა ჩ ქ. ეკლესიისა მართებს წონია ნაცვალს თერთმეტი მინათული.

ხ ქ. ავლადის-შვილს გლახას მართებს ეკლესიისა მინათული (ექვსი), აბა-ზი (ოთხი).

ხ ქ. ქავთარაშვილსა მართებს ბეჟიას მინათული (ექვსი).

ხ ქ. ლიპარტაშვილს გლახას მართებს მინათული (ექვსი).

ჭ ქ. გოგია ლიპარტაშვილს მირთებს მინათული (ხუთი).

ჯ ქ. კიდევ გლახამა წაიღო რვა მინათული, ქავთარაშვილი გივი რომ მოკვდა.

ძ ქ. პეტრეს მართებს მინათული (სამი).

ძ ქ. ათუას მართებს მინათული (სამი).
ეს რომელიცა ნინია ნაცვლამდი სწერია, ეკლესიისა არის.

ძ ქ. დათიკას მართებს ცამეტი მინათული, ათუამ იცის.
მამბარდა მე რვა თუმანი და შვიდი მილანთული (sic) ექშაური (sic) დიმიტრის თეთრი, ენკენისთვის გ, ქ´კს ფ.

284. 1813 წლ. თებერვლის 21. თამასუქი, მიცემული ბ ა რ ბ ა რ ე ბ ა რ ა თ ო ვ ი ს მიერ ნ ი-კ ო ლ ო ზ ა რ ღ უ თ ო ვ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 27,5×22 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი და წერტილ-მძიმე. საქ სახ. მუზ. № 3851 Hd.

ჩუიგ-სა წელსა, ფებერვალს კა-სა დღესა მე ქვემორე ამის ჯელის მომწე-რელმა ავიღე თქვენ, თავადის ნიკოლოზ ბეჟანის ძე მხარგრძელის არღუთო-ვისაგან, თორმეტი თუმანი და ოთხი მინალთუნი ვეცხლის თეთრი თბილისს

ქალაქის ოთხ დანგიანი აბაზი, რომ იქნება ამისი ნახევარი ვ ც (6 თუმ. და 2 მინალთ.) ამდენი, ერთის წლის ვადით. ამის გირაოთ მოგეც თბილისის ქალაქ-ში მოსახლე ჩემი მემკვიდრე ყმა სამნი ძმანი თათუა, გიქუა და კოხია ასლა-თას-შვილები თავეთის ცოლშვილითა და ამ ვადაზედ თქვენი თეთრი ულაპა-რაკოთ მოგართვა ან მე, ან ჩემან ურდუნამ თქვენ, ან თქვენს ურდუნას. თუ ამ ვადაზედ ვერ მოგცეთ, ამ თქვენმა გირაომ პასუხი მოგცესთ ამ თქვენის თეთრისა.

სხვა ხელით: მე, კნეინა ბარბარეს დავით ბარათოვისასა, ამ თამასუ-ქის ყაბული მაქვს და ხელს ვაწერ.

ამ კნეინა ბარბარეს თხოვნით დავწერე ეს თამასუქი და მოწამეცა ვარ, სტატსკის სოვეტნიკი თავადი ელიაზარ ფალავანდოვ.

სხვა ხელით: ამ თამასუქის მოწამე ვარ კნეინა ბარბარეს ბარათოვი-სას თხოვნით, თ' იოსებ მელქოვი.

285. 1813 წლ. ოქტომბრის 25. ბარათი დავით ციციშვილისა დავით თარხან-ოვისადმი ვალის გასწორების თაობაზე. დედანი. ზომა 22×17,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 7421 Hd.

1813 წელსა, ოკტომბის 25 დღესა მივიღე ანდრია ზუბალოვისაგან რვა თუმანი თეთრი ფული, რომელიც უნდა მოეცა ციციშვილის ვალში ბატონს სალთუხუცესს ზურაბ წერეთელსა. და ეს რვა თუმანი თქვენ უბოძეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, უფალო მაიორო და კავალერო თავადო დავით ზახარიჩ თარ-ხანოვ, თქვენი მოსამსახურე. რომელიც თქვენი თორმეტის თუმნის ბარათი მაქვს, იქიდამ და ოთხი თუმანი ამასვე უბოძეთ, ვისთვისაც არი დანიშნული. დავით ციციშვილი.

სხვა ხელით:

ქ. ეს ბარათი ანგარისში ჩამოვარდება. როგორც დავითს მოუცია, ჩვენ ყაბული გვაქვს. ოქტომბრის ლ დღესა, წელსა ჩყიგ, თავადი თარხან-მოურავ.

286. 1814 წლ. იანვრის 1. ფულის მიბარების ხელწერილი, მიცემული დავით თარხან-მოურავის მიერ ანდრია ზუბალოვისადმი. დედანი. ზომა 18,1×11,8 სმ. დაწერილია მოთეთრო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი
საქ. სახ. მუზ. № 5525 Hd.

მივიღე მე, დავით თარხანოვმა, ანდრია ზუბალოვისაგან, სალთხუცის ან-გარიშიდამ ცხრა თუმანი ციციშვილის დავითის მისაცემელად, რომ იქს ამისი ნახევარი ₾ (4 თუმ. და 5 მინ.) ამდენს. ის ბარათი ანგარიშში ჩავარდება.

იანვრის ა დღესა, წელსა ჩყიდ. ხელს ვაწერ თავადი თარხან მოუროვი.

287. 1814 წლ. ივნისის 3. თამასუქების სია იუსტინე მთავარეპისკოპოზისა. პირი. ზომა 34×21,5 სმ. დაწერილია ლურჯ თაბახის ქაღალდზე მხედრული ხელით. საქ. სახ. ნუზ. № 3525 Hd.

1814 წელსა, ივნისის გ-ს დღესა გარდაცვალებულის ყოვლად სამღუდელოს იუსტინეს დანაშთენი თამასუქები სრულებით ამას ქვემოთ დაიწერება ვის რა მართებს:

კე ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი არის ოცდა ხუთის თუმნისა მკათათვის გ, ქ^კს უჟე-ს აღებული.

ბ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი არის სამის თუმნისა იანვრის იე, ქ^კს უჟდ-ს აღებული[1].

ბ ქ. ევსტათი ციციშვილის ჯალაბის თალიასაგან არის აღებული ორი თუმანი აგვისტოს ზ, ქ^კს უჟა-ს.

ბ ქ. ბატონის-შვილის მარიამის და იმის შვილის ევსტათის თამასუქი არის ორმოცის თუმნის თეთრისა დეკემბრის ა, ქ^კს უჟვ-ს აღებული.

ბ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი არის ხუთის მინალთუნისა მარიამობის ა-ს, ქ^კს უჟა-ს აღებული.

დ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი არის რთხის თუმნისა აპრილის კე, ქ^კს უჟე-ს აღებული.

ბ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი არის ორ თუმან-ნახევრისა თიბათვის ა, ქ^კს უჟე-ს აღებული.

ბ ქ. ზაზა ხითარაშვილის ორს თუმნის თამასუქი არის იანვრის ა, ქ^კს უჟდ-ს აღებული.

ბ ქ. ზაზა ხითარაშვილის თამასუქი ერთის თუმნისა არის მარიამობის ია, ქ^კს ფა-ს აღებული.

ბ ქ. ზაზა ხითარაშვილის ყაბზი არის თხუთმეტის მინალთუნისა, ქორონიკონი არ უწერია.

ბ ქ. ბეჟან არაგვის-ერისთვის-შვილის თამასუქი არის სამოცის თუმნისა ივლისის დ, ქ^კს უჟე-ს აღებული.

ბ ქ. დავით მაღალაშვილის თამასუქი არის თვრამეტის თუმნისა მკათათვის ა, ქ^კს უჟზ-ს აღებული.

ი ქ. გაბრიელ, იაკობ, იოანე და გაბრიელ ამ ოთხის მაღალაანთაგან თამასუქი არის ათის თუმნისა დეკემბრის ი, წელსა ჩყზ-ს აღებული.

ბ ქ. დავითისა და სოლომონ ერისთოვთ თამასუქი არის თოთხმეტის თუმნისა აგვისტოს იე, ქ^კს უჟვ-ს აღებული.

ი ქ. ოსინაანთ ქრისტესიას-შვილის თამასუქი არის ათის თუმნისა მკათათვის კდ, ქ^კს უჟა-ს აღებული.

ბ ქ. ციციშვილის კონსტანტინეს თამასუქი არის სამის თუმნისა თიბათვის ივ, ქ^კს უპთ-ს აღებული.

რუ ქ. ამ ზემო ნაწერის თექვსმეტის[2] კალმით თექვსმეტის[2] თამასუქის თეთრის ჯამი არის ასოთხმოცდა თვრამეტი თუმანი.

---

[1] აქ სტრიქონს ზემოდან დედნისაგან განსხვავებული ხელით: „ბ ქ. ავალის-შვილის ანტონის თამასუქი არის რვა თუმნისა“.

[2] ეს სიტყვა სტრიქონს ზემოდან სწერია, მის ქვეშ წაშლილი სიტყვა: „ჩვიდმეტის“ მაგივრად.

ვ ქ. ნიკოლოზ ამილახვაროვის თამასუქი არის ექვსის თუმნის თეთრისა ივლისის ივ, წელსა ჩყია-ს აღებული.

რივ ქ. ნიკოლოზ ამილახვაროვის თამასუქი არის ას თექვსმეტის თუმნის თეთრისა სეკდემბრის კ, წელსა ჩყი-ს აღებული.

ოეძფ ქ. ნიკოლოზ ამილახვარის თამასუქი არის სამოცდა თხუტმეტის თუმნისა, სამის მინალთუნისა და ათის შაურისა თეთრისა ივლისის კ, წელსა ჩყია-ს აღებული.

ნ ქ. ნიკოლოზ ამილახვარის თამასუქი არის ორასის თუმნისა თეთრისა აპრილის კვ, ქ´კს უეზ-ს აღებული.

მდ ჰ ქ. ნიკოლოზ ამილახვარის თამასუქი არის ორმოცდა ოთხის თუმნისა და ხუთის მინალთუნის თეთრისა ივლისის ზ, წელსა ჩყი-ს აღებული.

რ ქ. ნიკოლოზ ამილახვარის თამასუქი არის ასის თუმნის თეთრისა თებერვლის იე, ქ´კს უეე-ს აღებული.

რკგ ჰ ქ. ნიკოლოზ ამილახვარის თამასუქი არის ასოცდა სამის თუმნისა და ხუთის მინალთუნის თეთრისა აპრილის იე, წელსა ჩყია-ს აღებული.

რ ქ. ნიკოლოზ ამილახვარის თამასუქი არის ასის თუმნის თეთრისა ქრისტეშობის ა, ქ´კს უევ-ს აღებული.

ნ ქ. ნიკოლოზ ამილახვარის თამასუქი არის ორასის თუმნისა თეთრისა თებერვლის იდ, ქ´კს უევ-ს აღებული.

რ ქ. ნიკოლოზ ამილახვარის თამასუქი არის ასის თუმნისა თეთრისა დეკემბრის ა, წელსა ჩყთ-ს აღებული.

რ ქ. ნიკოლოზ ამილახვარის თამასუქი არის ასის თუმნისა თეთრისა იანვრის ა, ქ´კს უევ-ს აღებული.

ლაც ქ. ნიკოლაოზის თამასუქი არის ოცდა თერთმეტის თუმნისა და ორის მინალთუნის თეთრისა სეკდემბრის კ, წელსა ჩყი-ს აღებული.

რეჰ ქ. ნიკოლაოზის თამასუქი არის ას ხუთის თუმნისა და ხუთის მინალთუნისა თეთრისა მაისის ვ, წელსა ჩყი-ს აღებული.

ტ ქ. ნიკოლაოზი ამილახვარის თამასუქი არის სამასის თუმნისა თეთრისა იანვრის Ჩ, ქ´კს უეე-ს აღებული.

უკვწ ქ. ნიკოლაოზ ამილახვაროვის თამასუქი არის ოთხას ოცდა ექვსის თუმნისა და ოთხის მინალთუნის თეთრისა თებერვლის ით, ქ´კს უეᲩ-ს აღებული.

კე ქ. ნიკოლოზ ამილახვარის თამასუქი არის ოცდა ხუთის თუმნისა თეთრისა დეკემბრის ა, წელსა ჩყი-ს აღებული.

ოე ქ. იმავე თამასუქით არის ნიკოლაოზ ამილახვაროვისაგან აღებული სამოცდა თხუთმეტი თუმანი თეთრი იანვარის კგ, წელსა ჩყია-ს აღებული.

ცრკᲩ ქ. ამ ზემო ნაწერის ნიკოლაოზ ამილახვაროვის ვალისა თვრამეტის კალმით თვრამეტის თამასუქის თეთრის ჯამი არის ორი ათას ას ოცდარვა თუმანი, ოთხი მინალთუნი და ათი შაური. ივნისის გ, წელსა ჩყიდ.

თავადი მაიორი თორნიკე ერისთოვი.

ი მ ა ვ ე ხ ე ლ ი თ: თ´ა მაღალოვი ზაქარია.

ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: თ´ა იაკობ მაღალოვი.

თ´ა იოსებ მაღალოვი.

288. 1814 წლ. ივლისის 3. წერილი ეგნატი თუმანოვისა აღალუა (ყორღანაშვილისადმი) თამასუქის დაბრუნების თაობაზე. დედანი. ზომა 22×17 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკ. ნიშნებად ნახმარია წერტილი და მძიმე. საქ. სახ. მუზ. № 3888 Hd.

მისს მაღალკეთილშობილებას, ჩემს უსაყვარელესს ბიძისა ჩემისა ძეს, უფალს აღალუას, უმოწყალესს ჴელმწიფეს.

მრავლის სიყვარულიანის ალერსით მოკითხვასა, უვნებლად ბძანების სუფევასა და ნახვის ნატრას მოვახსენებ. შე-მდ, თქვენი წერილი მებოძა ამას წინათ, თქვენის ხილვისა და თქვენის შეყრის მგზავსად მაამა და მასიამოვნა. გმადლობთ თამასუქის ბოძებასა და სარგებლის მიუღებლობასა, და ის რაღა იყო, ორი მინალთუნიც გებოძებინათ. გზის ჯუქამში როგორ ჩაგდევით. უმდაბლესად გმადლობთ. დიდად ვწუხვარ თქვენთვისა, რომ მაგ სნეულებაში ქალაქში ბძანდებით. ბაღები გაქვსთ და რატომ ბაღებში არსად გაბძანდით და არ მოერიდეთ მაგ განსაცდელსა. ვეჰოფ, რომ ახლა ისე აღარ იყოს, უკუწყვეტილი იყოს, ჩემი შვილი დავით ასე მწერს. ღ-თნ ქნას, რომ სრულებით განქარდეს. დიდათ მსურს თქვენთან ხლება, მაგრამ დრო და ჟამი არ მაძლევს. ვედრებითა გთხოვ თქვენის მშვიდობით ბძანების ამბავს არ დამაკლებდეთ და ეგრეთვე ვინცა ვინ ჩვენიანნი ბძანდებიან და ან შენიანნი, ყველას მოკითხვა უბძანოთ კაცით ქალამდისინა.

ამას გარდა, ჰასრათას მეუღლის მიცვალება შვილითურთ შევიტყე. დიდის მწუხარებით შევსწუხდი და ვწუხვარ. კიდევ გულს არ ვაჯერებ. ეგების ტყუილი იყოს მეთქი, რომ მიბრძანოთ როგორ არის, ჭორია თუ დასტურია ამისთვის, დიაღ ბევრისა მოიგონეს სიკვდილი, მაგრამ ღ-თით ყველასი გამტყუნდა, ეგების მაგისიც გამტყუნდეს.

თქვენი მაღალკეთილშობილების უმორჩილესი მოსამსახურე ეგნატი თუმანოვი.

ივნისის გ დღესა, ჩყიდ წელსა,
ხევთუბნით

გ ა ნ ი ს ა შ ი ა ზ ე: მაგის მაღალკეთილშობილებას ბატონს ჩემს რძალს მრავალ მაგის შესაბამს მოკითხვას მოვახსენებ თქვენის ძეებითა და ასულებითურთ.

289. 1814 წლ. ივლისის 7. ბარათი გ ი ო რ გ ი ა მ ი ლ ა ხ ვ რ ი ს ა ზ ა ალ მ ურ ა დ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი. ფულის გადაცემის თაობაზე. დედანი. ზომა 16,7×10,3 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5542 Hd.

გიორგი ამილახვარის სიკეთით სახსოვარო, მურადაშვილო ზაალ!

მართალია, სომეხი ხარ და თეთრი გიყვარს. იმისთვის გამოგატანე რომ პატრი ონოფრესათვის უნდა მიგებარებინა. ახლა ეგ ოცი თუმანი ჩემს ქალს

თინათინს მივეც. ჩემი სიძის იოვანეს კაცი მოვა და უნდა მიართვა ეგ თეთრი თავისის სარგებლით ახლავ.

თავადი გიორგი ამილახვარი.

ივლისის ზ, ჩყიდ წელსა.

290. 1814 წლ. ოქტომბრის 25. ფულის მიბარების ხელწერილი, მიცემული დავით თარხანოვის მიერ ანდრია ზუბალოვისადმი. დედანი. ზომა 20×12 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5524 Hd.

ანდრია ზუბალოვისაგან მივიღე თორმეტი თუმანი, რომელიც მივეც დავით ციციშვილს და შეუსრულე სამოცდარვა თუმნად. და ეს ბარათი სალთხუცის მისაცემის რკინის ფასის ანგარისში ჩაგივარდება.

ოკდონბრის კე, წელსა ჩყიდ. თავადი დავით თარხანოვი.

291. 1815 წლ. მაისის 21. მედიატორის განაჩენი დავით ციციანოვის და იოსებ მურადაშვილის ვალის საქმეზე. დედანი. ბოლო აკლია. ზომა 35×22,3 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი და მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 5718 Hd.

1815 წელსა, მაისის 21 დღესა მე, ქვემო ამისა ჭელის მომწერელი, ალმომირჩევეს თავეთის კეთილის ნებით ბჭედ უფალმან მაიორმა თავადმან დავით ციციანოვმან და ცხინვანელმან (sic) იოსებ მურადაშვილმან, რომელნიცა[1] შეიკვრნენ ჭელის-წერილითა ჩემთან და მომცეს იგი დამოწმებული გორის უეზდის სასამართლოთი. რაჲცა მე მათ ურთიერთისადმი ქონებულის ანგარიშითა უსაჯო, დაწესებულ ვყო, ორნივე იგი კერძო უნდა კმა იყოფებოდნენ და დასარღვეველად მისსა არღარა ექმნებოდესთ ადგილი რომელსამე სასამართლოსა შინა საჩივრის შეტანისა. და ამის მიხედვით შეველ გამოძიებად და მოვთხოვე უფალს მაიორს თავადს დავით ციციანოვს—დავა მისი რაზედ მდგომარეობდა, რომელიცა წარმომიდგენს შემდგომსა შინა[2], სახელდობ რაც დავითს მურადოვისათვის მიუცია:

1. 1809-სა წელსა, იანვრის 16-სა დღესა ტფილისში ვერცხლის ფული თავნი თორმეტი თუმანი.

2. მასვე წელსა, სეკტემბრის 7-სა დღესა ორი თუმანი გორში ვართაპეტის ფულიდამ ყანდუაშვილის თამასუქით.

---

[1] დედანში: „რ˘ლნიცა“

[2] დედანში: „შ˘ა“.

3. მასვე წელსა, ნოემბრის 2-სა დღეს გორშივე თოთხმეტი თუმანი თავნი ვერცხლის ფული.

4. 1810-სა წელსა, მარტის 3-სა დღესა ვერეშკოვის ფულიდამ თავნი ოთხი თუმანი ვერცხლის ფული.

5. მასვე წელსა, დეკემბრის 19-სა დღესა კამისიანერს პრეპსტინღს წაურთმევია სურამში დავით ციციანოვისათვის ასოცდაშვიდმეტი ჩეთვერთი ფქვილი მურადაშვილის თაობაზედ, რადგან მისი თავდები ყოფილა. მას ჟამსა სახალხოდ ფასებული პური კოდი რვა აბაზათ.

6. მურადაშვილს[1] რომ ფოდრატი ჰქონია აღებული კამისიანვირის (sic) პრეპსტინღისაგან 1810-სა წელში და პირობისამებრ ვერ შეუსრულებია მურადოვს პურის შეტანა და დარჩენილა ორმოცდა ორი თუმანი და თორმეტი აბაზი შეუტანელისა პურისა, რადგან ციციანოვი თავდები ყოფილა, ამისთვის უთხოვნია პრეპსტინღს ამ ორმოცდაორის თუმნისა დ(ა თორმეტი აბაზის) პური მურადოვის ბარობაზედ 1811-სა წელსა დეკემბერში დავითისათვის წაურთმევიათ.

7. 1811-სა წელსა, აპრილის 29-სა დღესა არჩილ ფავლენიშვილისათვის დავითს ფეტვი მიეყიდნა ორის თუმნისა და ამ ორის თუმნიდან მურადოვს გამოერთმივა თვრამეტი მინალთუნი თავნი.

8. 1811-სა წელსა, ნოემბრის 1-სა დღესა მურადაშვილს გამოურთმევია დავითის დედისა და რძლისათვის ექვსის თუმნის პური.

9. მურადოვს რომ პრეპსტინღისაგან ფოდრატი აუღია, მას ჟამსა დავითს ორმოცდაათი ტომარა მიუცია და აქამომდე არა მიუღია რა მისგან. პირის პირ ამისა ხოსია მურადოვმა შემოიტანა—რაც მივიღე ციციანოვისაგან, ყოველივე ჩემს ვალში მიმიღიაო, რომ ჩემი ემართაო.

ერთის ნუსხით მართებს ორმოცდაოთხი თუმანი და ცხრა აბაზ-შაურ-ნაკლები, ციციანოვს რომ ნივთები დაუხარჯავსო 1808-სა წლიდამ დღევანდლამდის.

ცხინვალს რომ ქერი იყიდა ცხრა(ა)სორმოცი კოდი ღენერალ-მაიორის შტალისაგან, ეს ქერი მე მომაბარა, უნდა მე გამომერთმევინა ცხინვანელებისათვინ (sic) და დრაგუნებისათვისაც მე მიმეწყო, რომელიცა ორივე შევასრულე. მაგრამ ქერი დაჰკლებიყო დრაგუნების მისაცემად, ჩვენზე ბარათა ექნა, ვითომ ავალაშიაც მივეცი. დავითსა ვთხოვე რომ, რათ მიშვრები ამისთანა უსამართლოს? ჯერ იფიცა, მე არ შემტყობია(ო). წავიყვანე ცხინვალს, სადაცა შევჰყარე ზუბალოვი და დავით, ილაპარაკეს. ამისთვინ ქერი ძალიან საჭირო იყო და დავითმა მთხოვა ესრეთ: „ოღომც ახლა მიქარსაზე, და, მამა ჩემი ნუ წამიწყდება, ამ ათ დღეში ქარელიდამ გამოგიტან“, სადაც დამესწრო მამაჩემი და ბიძაჩემი ტერ-დავითა. მეც შეუსრულე დავითს თავისი თხოვნა, ოცდათოთხმეტის თუმნისა და ექვსი მინალთუნისა ქერი უკვე ზოგი ხახანამთაგანა, ზოგი ჩემი ძმებისაგან, ზოგიც ავეტიქას შვილებისაგანა მიუბარე, მაგრამა დავითმა კი არა მომცა რა, ეს ფულიც არის იმაზედაო.

როდესაც ვასილ ფეოდორიჩს ფოდრატი უყავით, მაშინ სამნი ამხანაკები ვიყავით, დავით, ზუბალოვი და მე. რაც რომ მოვიგეთ, ისევ დავით(თ)ან არის.

---

[1] დედანშია: „მურადაშვილის“.

292. 1815 წლ. აგვისტოს 3. თამასუქი, მიცემული მ ურ ა დ ა შ ვ ი ლ ი ს ო ს ი ა ს მ ი ე რ დ ა-ვ ი თ თ უ მ ა ნ ო ვ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 20,2×15.8 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 6571 Hd.

უნდა მოგართო თქვენ, უფალს დავით თუმანოვს ეგნატის ძეს, მე, მურადაშვილმა სოსიამ, სამასი ოქრო ღალანდიისა ტფილი(ს)ში. თუ ოქრო ვერ მოგართო, ოქროს ანგარიშით ოქროზე სამი მილანთული (sic) თეთრი ფული მოგცე. როდესაც ეს ზემოხსენებული თეთრი მოითხოვო, გაურჯელად მოგაბარო ან მე, ან ჩემ(მ)ა ვარისმა თქვენ, ან თქვენს ვარის(ს)ა.

დაიწერა აგვისტოს გ, ჩყიე წელსა. მურადოვი[1] სოსია

293. 1815 წლ. აგვისტოს 27. წერილი ი ვ ა ნ ე გ ა რ ს ე ვ ა ნ ო ვ ი ს ა უცნობი პირის მიმართ გრიგოლ ბატონის-შვილის საათის გამოხსნის თაობაზე. დედანი. ზომა 22,8×17,9 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახმარია წერტილი მძიმე ან წერტილ-მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 6710 Hd.

ბრწყინვალეო კნიზო, უმოწყალესო ჭელმწიფევ,

უმდაბლესათ თავს დაგიკრავ და სამსახურს მოგახსენებ. სა(ხ)ლთხუცესი აქ ბძანდებოდა, ვერ ვაბედნიერე თავი ჩემი მათის ხლებითა. კახეთს გახლდი რომელიმე საკუთარი ჩემის საჭიროებისათვის. ბატონის რძალს წიგნი ებოძებინა, მივიღე. მიბრძანებს გრიგოლისაგან გამოგზავნილის ს(ა)ათის გამოხსნას ალექსანდრე ჭავჭავაძოვის მსახურისაგან, რომელსაც აქვს გრიგოლ ბატონის-შვილისაგან ხელწერილი მოვალობისა. ათი თუმანი ვერცხლის ფული უწერს შიგ ბატონის სძლისაგან მიღებასა. ბატონის სძალს მოეხსენება ეს საქმე ყოველივ. სა(ა)თი გამოვართი. ფულს მე შევპირდი. ნახევარი მივეცი, ხელათ არ მქონდა. დანარჩომსაც მალე მივსცემ. კადნიერებისათვის გთხოვ, არ გამიწყრეთ, მოახსენეთ, რას ბძანებს. რუსობაში არ უნდა ჩამომართვათ, ს(ა)ათი გიროოთ მქონდეს. თქვენმა მზემ, სარწმუნო წამოსასვლელი არვინ გახლავსთ, მომერთმევინა. უმდაბლესად გთხოვ, ეგ წიგნი გრიგოლს უბოძეთ. აქ რომ ბძანდებოდა, ქაღალდი (მომა)ბარა მოსკოვიდამ დასაბეჭდავი სახარებისათვისა. მითხრეს, თქვენ გებრძანებინათ ჩემი სად ყოფნა, ფული უნდა მივსცეო. ფრიად ვალდებულ მყოფ. ბატონის რძალიც მიბრძანებს, დარჩომილი შვიდი თუმანი არი ბოძებასა. დიახ საჭიროება მაქვს, თუ მიბოძებთ, თქვენი ნება არის.

---

[1] მურის ბეჭედი, რვაკუთხედის მოყვანილობისა.

რომელიც გიახლათ, ნებავს გამოვგზავნო, რას მიბძანებს. პეტრებურხიდამ იწერებიან მშვიდობასა. ბატონის-შვილის წიგნი არ გახლავსთ. ნაპალეონი სირცხვილეული პარიჟიდამ გასულა. აფრიკაში აპირობს შესვლასა, თუ ანღლიელთ შეუშვეს. კეისრის სამხედრო პრუს(ი)ისა და ჩვენი მხედრობა პარიჟში იმყოფებიან. მეორეთ ლაფი დაესხა ნაპალიონსა. გრიგოლ ბატონის-შვილი ორდენს მიიღებს. აქაური ანბავი მოხსენებული გექმნებათ. მალხაზ მურავფასშვილი გიახლათ, მთავარ-მართებელმა კარგათ მიიღო. ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, სამსახურს მიბძანებდეთ, რაც შემეძლოს თქვენის ბრწყინვალებისა.

მოწყალისა ჭელმწიფისა უმორჩილესი. ერთგული მონა, ივანე გარსევანოვი

კზ-ს აგვისტოს, ჩყიე წელსა, თბილისიდგან.

294. **1815 წლ. ოქტომბრის 12.** პასუხი დავით ციციანოვისა გორის მაზრის სასამართლოსადმი. ვალის თაობაზე თუმანიათ მიერ აღძრული საჩივრის გამო. პირი. ზომა 36,6×22,2 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.

საქ. სახ. მუზ. № 6690 Hd.

გორის უეზნის (sic) სასამართლოსა შინა მაიორის, თავადის დავით ციციანოვისაგან პასუხი.

მოცემულსა პასუხსა შინა თავადი უფლის ნადორნის სავეტნიკის შიოშ თუმანოვს და ტიტულარნის სოვეტნიკს მანუჩარ თუმანოვთაგან, რომლისაცა მივიღე კოპია რუსულიცა და ქართულიცა, გარნა ვერცა ერთსა შინა რომელსამე მუხლში ვერას მივხვდი, რომელსა შინაცა არა რაი იხილვება მას შინა გარკვეული საქმე, რომლისაცა სწერენ რუსულად, რადგან იციან იმათ რომ მე რუსული არ ვიცი და თარგმანშიაც ვერ გადმოიღებენ და ამისთვის გრეხს რომ უნდა შემაცდინოს და სასამართლოს უჩვენოს, რომ ვითომ მე იმათი მოვალე ვიყო. და ჩემის ცნობით, თვით მათ განუზრახავთ მიზეზი დაგვიანებისა და მართლიად მათსა ლაპარაკსა ამა საქმესა ზედა არა აქვს სიმართალე და მე მართლად განუცხადებ ამავ სასამართლოსა და პასუხად უგებ—უკეთუ სწადსთ განუგრძელებლობა საქმისა, თავეთსა დედაენაზედ დასწეროან და პასუხს უგებ. მაგრამ მე მაინც ჩემს პასუხს შემოვიტან. მე არა ვარ მოვალე ამისათვის:

პირველი, ჩვენი სასახლე ტფილისში მაგათგან გირაოდ იყო და უჩვენოდ მაგათ დაეგირავებინათ თავადის ჩოლაყაშვილის გიორგისათვინ ოცდა ჩვიდმეტ თუმნად, რომლისაცა სასახლის ქირა მეტი შემოვიდოდა ოთხმოცის თუმნის სარგებელზედაც და ესეც რამდენსამე წელიწადს უკან ჩვენ დავიხსენით.

მეორე, ოცდაჩვიდმეტი თუმანი და ექვსი მინალთუნი თვით მაგ თუმანიათ მივეცით.

მესამე, მაგ თუმანიათ ქონდათ გირაოდ ოქროს ყაწიმები თავადის გიორგი ამილახვაროვისა. ყაწიმები მაგათ მიიღეს და იმისი ფასი ჩვენ მივეცით გიორგი ამილახვარის-შვილსა ოცდათორმეტი თუმანი და სამი მინალთუნი.

მეოთხე, თვით ეგ თუმანიანი აშენებდნენ სასახლესა ტფილისში და რაც ხე მოუნდათ, სულ ჩვენ ჩაუზიდეთ ჩვენს ვალში, რომ გარდახდილი შეიქნა მრთლივ. რომელ ეს საქმე იციან ჩვენ ყმათ, რომ თვით გამოუზიდავსთ, ესე იგი სტეფანე გოჩაშვილსა, თევდორე გოჩაშვილსა, სესია მთიულიშვილსა, ტეტია თათანაშვილსა, დათია ნადირაშვილსა, პაქსია ჯიქურაშვილსა, ლაზარე ქერეჯაშვილსა და ზოგნი დახოცილნი არიან, რომ ჭეები მაგათ მივეცით და იმათ გამოზიდეს.

მეხუთე, როდესაც განსვენებულმან მეფემ გიორგიმ იასაული დააყენა მაგ თუმანიანთ და თეთრის თხოვნა დაუწყო, მაშინ მაგ თუმანიანთ სია გაკეთეს და მიართვეს მეფეს და იმ სიაში ჩვენც ვეჩვენებინენით, რომ ვითომ გვმართებოდა. სადაცა მეფემ იასაულად ზაალ ფალავანდიშვილი დაგვაყენა და გვთხოვდა. რადგან გარდახდილი გვქონდა, ამისათვის ეს ზემოთ თქმული მიბარების საბუთები მივართვით მეფეს და რა გასინჯა, მაშინვე ოქმით მისწერა ზა(ა)ლ ფალავანდიშვილს, ასე რომ, რადგან ციციშვილ(ი)ს ზაქარიას შვილებს თუმანიანთ ვალი გარდახდილი ქონიათ, ჭელი აიღე და ან საიასაულო არა სთხოო. მაშინვე ჭელი აიღო, თორემ გამოგვართმევდნენ. ამისთვის 1809 ამ წელს, აგვისტოს დღესა უპრავასა მოვახსენე თუმანიანთ განცხადების პასუხად, რომ ფიცით ეკითხოდა იმ ფალავანდის-შვილსა და ოქმიც მოეტანინებინათ და ამასთანვეცა ეკითხათ ფიცით იმ მეფის გიორგის მოძღვრის იოსებ პროთო-პაპისათვის, რადგან იმან გამომიტანა ის ოქმი და მეფემ ოდეს ზედმიწევნით სცნა გარდახდა იმ ვალისა, თამასუქიც აღარ დაუბრუნა იმ თუმანოვთა და დასდვა უქმად, რადგან სრულიად გარდახდილი გვქონდა. აღარ მისცა იგი და თუმცა მიპოონ ვექსილი იგი, მე მაინც მოვალედ არა ვსთვლი თავსა ჩემსა, რადგან ადრევე გარდამიხდია.

მეექვსე, ჰკითხეთ თუმანიანთ—ზემოთ აღწერილი სამი კალამით თეთრი ამ სახით მიბარებიათ თუ არა და ან მამაჩემს რას რიცხვში აუღია და ან ესენი რას რიცხვში მიბარებიათ და მეოთხე ხეებისა ჰკითხეთ. ესეცა უპრავასა გამოუკითხავთ თუ არა და უკეთუ არა, რა მიზეზით დაუგდიათ? ესეც რწმუნებული მაქვს დედისა ჩემისაგან, რომ მამასა ჩემსა სიცოცხლისა ჟამსა თვისსა მსწრაფლად აღებისა ვალისა შემდგომად რაოდენისამე თვისა მიუცია ოცდა ათი თუმანი თეთრი იმ ვალში მაგ თუმანიანთთვის, ცოტა რამ მეტია ანუ ნაკლები, რომლისაცა ბარათი ქონია და არ ვიცი რას გზით დაკარგულა.

ასლზედ ხელს აწერს მაიორი თავადი დავით ციციანოვი. ამისის ასლიდამ უმეტნაკლებოდ გადმოვწერე ეს კოპია ღუბერეკის რეღისტრატორმა ამირაგოვმა.

1815 წელსა,
ოკდობრის 12 დღესა.

295. 1816 წლ. მარტის 1. თამასუქი, მიცემული იოვანე და სვიმონ გურამის-შვილების მიერ თათარას-შვილი თევდორესა და მისი ძმებისადმი. დედანი. თაბახის ქვემო ნაწილის შუა ადგილი ამოხეულია. ზომა 35×20,2 სმ. დაწერილია თეთრ ღერბიან ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი და ორწერტილი. საბუთი დაზიანებულია.
საქ. სახ. მუზ. № 5939 Hd.

ქ. ავიღე(თ) ჩვენ, გურამის-შვილებმა თავადთა იოვანემა და ძმამან ჩვენმა სვიმონმა, ლეონის ძეთა, დედის ჩვენის ნებართვითა ორი თუმანი თეთრი რუსის მანათი, რომ იქს ამისი ნახევარი ა̃ (1 თუმანი) ამას შენ, თათარას-შვილის თევდორესა და შენის ძმების გიორგისა, მამუკასა, დავითისა და მოსესაგანა, და მოგეცით ამის გირაოდ ჩვენი სამკვიდრო მამული ჩვენ წილათ სამი დღის მიწა წიწამურის ნავენახობები პირ-აღმა სამხრეთის მხრივ, თავისის წყლითა და შესავალ-გასავლითა, სამართლიანის სამძღვრითა, უღალოთა და უკულუხოთა. თუ ვინმე წამოგედაოს, პასუხი ჩვენ მივსცეთ. მინამ შენი თეთრი ჩვენს ხელთ იყოს, ეს მიწა თქვენა გქონდეთ და იხმარებდეთ, რითაცა გზით იყოს მოსახმარებელი. არა გეთხოებოდ(ე)ს რა, არა ღალა, არა კულუხი, არა სხვა ბეგარა. და თუ გაყიდვა იყოს, შენზედ გავყიდოთ თავის ფასათ, თუ შენი ნება არის, და არა—სხვაზე. და როცა შენი თეთრი მოგაბაროთ, ჩვენი მიწა ჩვენ დაგვნებდეს. არის ამისი მოწამე (სვეტის-ცხოვლის დეკა)ნოზი იოვანე მაღალო(ვი)... გიორგი, ნაცვალი ბეცია, მღებარი თა(მაზა) და სრულიად მცხეთაში მცხოვრებელნი. თანდასწრებითა და მოწმობითა ზურაბ გურამოვისათა და ჭელმოწერითა დედისა მათისა დარეჯან კნეინასითა, იოვანე და სვიმონ ლეონის ძეთათა, დამიწერია და მოწამეცა ვარ, სვეტის-ცხოველის მღვდელს იესესა.
აღიწერა თამასუქი ესე მარტის პირველსა, წელსა ჩყივ, ქკს ფდ.

296. 1816 წლ. დეკემბრის 10. თამასუქი, მიცემული იოსებ ციციანოვის მიერ აღალო ალიხანოვის დედის მაიასადმი. დედანი. ზომა 35×20 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 14711 Hd.

ქ. ავიღე მე, თავადმა ამირლაბარის ძემან იოსებ ციციანოვმა, შენ, გორში მცხოვრებელი აღალო ალიხანოვის დედის მაიასაგან, შვიდი თუმანი თეთრი ფული მანათი ხუთ აბაზათ, რომ იქს ამისი ნახევარი გ̃ ჭ (3 თუმ. და ნახევარი) ამდენს. ამის გირაოთ მოგეცი ერთი ოქროს თითა მინაქრიანი, ხუთი ალმასიანი და ერთი ზურმუხტის თვლიანი. ამ ქვემო თარიხიდამ რაც ხანი ჩემს ჭელით დაჭყოს, თვეში თუმნის თავს სამი შაური სარგებელი გაძლიო. როცა შენი თეთრი გინდოდეს და მთხოვო, თავისი გავლილის სარგებლით ულაპარაკოთ მოგცე. რომლისთვისცა ჭელს ვაწერ, თავადი იოსებ ციციანოვი, ამისი ყაბული მაქს. ე(ს) ჩემი ხელია.

მე, გორში ახალი საყდრის დეკანოზს ტერ-ბარსელას, დამიწერია, ზემოთ ხსენებული იოსების თხოვნით და მოწამეცა ვარ ამისი დაიწერა დეკემბრის ი, ჩყივ წელსა.

სხვა ხელით:

ამ თამასუქის თავნში მომბარდა ერთი თუმანი თეთრი ფული და სარგებელიც დღევანდლამდინა იანვრის ა, ჩყიᲪ წ-სა. გიორგი ალიხანოვი.

297. 1817 წლ. ნოემბრის 4. თამასუქი, მიცემული აბრამა ზანდარაშვილის მიერ ბეჟანა ღვინიაშვილისადმი. დედანი. ზომა 37×23 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 7742 Hd.

ქ. ავიღე მე, დიღომს მცხოვრებელმა ზანდარაშვილმა აბრამამა და შვილმა ჩემ(მ)ა დათიამა და ისაკამა, შენ, ღვინიაშვილის ბეჟანასაგან და შვილებისა შენისა პეტრესა, კიკოლასა და გლახუასაგან, თორმეტი თუმანი თეთრი ფული რუსის მანეთი, რო იქს ამის ნახევარი ᲬᲗ (7 თუმანი)[1] ამდენს. და მოგეცი ამ ზემო ხსენებულის თეთრის გირაოდ ჩემი ნასყიდი მიწა უბე, უბეში ოთხის დღის. არის ამის სამძღვრები და ნიშნები: თავს გზამდინა, ბოლოს ხოხნიანთ მიწის მიდგმამდინა, აქვე წმინდის გიორგის მხრივ გზამდინ, იქით ჟამუტანთ მიწის მიდგმამდინა. ეს არის ჩვენი პირობა, რომ არც შენ მთხოვო თეთრის სარგებელი[2] და არც მე მქონდეს იმ მიწასთან საქმე, შენ იხმარო და ისარგებლო. როდესაც შენი თეთრი მოგაბარო, ჩემი მიწა მევე დამნებდეს. არის ამისი დამსწრე თავვთ ღმერთი. კაცთაგან მამასახლისი თეთრა, კენჭიაშვილი ივანე, ლასურის-შვილი იოსებ, ხეჩუმაშვილი თათულა. და მე, ზანდარას-შვილს ზაქარიას, დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა გიორგობის დ, წელსა ჩყიზ.

298. 1818 წლ. თებერვლის 7. თამასუქების სია იუსტინე მთავარეპისკოპოზისა. დედნის წაკითხვა. ზომა 34×21,5 სმ. დაწერილია ლურჯ თაბახის ქაღალდზე მხედრული ხელით.
საქ. სახ. მუზ. № 3526 Hd.

თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვის თამასუქები ერთობით თვითეულად ამას ქვემოდ აღიწერება[3].

ᲧᲓ უსამღვდელოესის მთავარეფისკოპოზის იუსტინეს დანაშთენი თამასუქნი ამას ქვემოთ თვითეულად აღიწერება.

---

[1] უთუოდ შეცდომაა, უნდა იყოს ᲬᲗ (6 თუმანი).

[2] აქ დედანში გამეორებულია: „მთხოვ(ო)“.

[3] ეს სათაური წაშლილია.

1. ტ ჩყზ-ს წელს, იანვრის Ꙗ-ს დღეს თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული სამასი თუმანი თეთრი.

2. რ ჩყზ-ს წელს, თებერვლის იე-ს დღეს თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ასი თუმანი თეთრი.

3. რ ჩყꙂ-ს წელსა, იანვრის ა-ს დღეს თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან ერთის თამასუქით აღებული ასი თუმანი თეთრი.

4. ნ ჩყꙂ-ს წელს, ფებერვლის იდ-ს დღეს თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ორასი თუმანი თეთრი.

5. რ ჩყꙂ-ს წელს, დეკემბრის ა-ს დღეს თავვადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ასი თუმანი თეთრი.

6. ნ ჩყთ-ს წელს, აპრილის კვ-ს დღეს თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ორასი თუმანი თეთრი. ამ თამასუქში სწერია: რაც შენი თეთრი მართებს ამის გირაოდ მოგართვი ერთი შავი ალმაზის თვალი [1].

7. რ ჩყთ-ს წელს, დეკემბრის ა-ს დღეს თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ასი თუმანი თეთრი. ამაში გირაოდ სწერია ერთი ბაზმანდის თვალი [1].

8. უკვ წსნ ჩყი-ს წელს, თებერვლის ით-ს დღეს თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ოთხას ოცდა ექვსი თუმანი, ოთხი მინალთუნი და ხუთი შაური თეთრი.

9. რეჰ ჩყი-ს წელს, მაისის ვ-ს დღეს თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ას ხუთი თუმანი და ნახევარი თეთრი.

10. მდჰ ჩყი-ს წელს, ივლისის ზ-ს დღეს თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ორმოცდა ოთხი თუმანი და ნახევარი თეთრი.

11. �აც ჩყი-ს წელს, სეკტემბრის კ-ს დღეს თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის ბარათით აღებული თორმეტი სადღესასწაულო წიგნი. ამის ფასს არის მოსაცემს ოცდა თერთმეტს თუმანს და ორს მინალთუნს თეთრს.

12. რივ ჩყი-ს წელს, სეკტემბრის კ-ს დღეს თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ას თექვსმეტი თუმანი თეთრი.

13. კე ჩყი-ს წელს, დეკემბრის ა-ს დღეს ნიკოლაოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ოცდახუთი თუმანი თეთრი. იგივე შავი ალმაზის თვალი სწერია გირაოდ.

14. რე ჩყია-ს წელს, იანვრის კგ-ს დღეს ნიკოლოაზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული სამოცდა თხუთმეტი თუმანი თეთრი. ამაში იგივე შავი ალმაზის თვალი არის გირაოდ.

15. რკგჰ ჩყია-ს წელსა, აპრილის იგ-ს დღეს ნიკოლოაზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ას ოცდა სამი თუმანი და ნახევარი თეთრი.

სხვა შრიფტით აწყობილი ყველგან დედნისაგან განსხვავებული ხელითაა მიწერილი.

16. ვ ჩყია-ს წელს, ივლისის კ-ს დღეს ნიკოლაოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ექვსი თუმანი თეთრი.

17. ოეძფ ჩყია-ს წელს, ილისის კ-ს დღეს ნიკოლაოზ ამილახვაროვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული სამოცდა თხუთმეტი თუმანი, სამი მინალთუნი და ათი შაური თეთრი. ამაში გირაო არის შავი ალმაზის თვალი.

ცრკცწლნ ამ ზემო ნაწერის 17 პუნკტის ჯამი ორი ათას ას ოცდა რვა თუმანი, ოთხი მინალთუნი და თხუთმეტი შაური.

სხვათა და სხვათაზე თავადზე[1] გავალებული თამასუქები[2] ამას ქვემოთ აღიწერება[3].

1. ჭ ჩყბ-ს წელს, აგვისტოს პირველს დღეს ზაზა ხითარაშვილისაგან ერთის თამასუქით არის აღებული ხუთი მინალთუნი თეთრი. ამაში სწერია გირაოდ სახლები. 6·+3·III,300

2. ბ ჩყვ-ს წელს, იანვრის იე დღეს ზაზა ხითარაშვილისაგან არის ერთის თამასუქით აღებული სამი თუმანი თეთრი.

3. ა ჭ ჩყზ-ს წელს, აპრილის Ѳ-ს დღეს ზაზა ხითარაშვილისაგან არის ერთის თამასუქით აღებული თუმან-ნახევარი თეთრი. ვენახი სწერია გირაოდ.

4. კე ჩღეზ-ს წელს, ივლისის გ-ს დღეს ზაზა ხითარაშვილისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ოცდა ხუთი თუმანი თეთრი. ამის გირაოდ არის იგივე სასახლე.

5. დ ჩყზ-ს წელს, აპრილის კე-ს დღეს ზაზა ხითარაშვილისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ოთხი თუმანი თეთრი. ნახევარ თვალი წისქვილი არის გირაოდ.

6. ბ ჩყვ-ს წელს, იანვრის ა-ს დღეს ზაზა ხითარაშვილისაგან ერთის თამასუქით აღებული ორი თუმანი თეთრი. ამის გირაოდ არის კოჭლ-ბერუაშვილი არუთინა.

7. ა ჭ ჩყია-ს წელს, ივლისის Ѳ-ს დღეს ზაზა ხითარაშვილისაგან არის აღებული ერთის ბარათით თხუთმეტი მინალთუნი თეთრი.

8. ბ ჭ ჩყზ-ს წელს, ივლისის ა-ს დღეს ზაზა ხითარაშვილისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ორთუმან-ნახევარი თეთრი. იგივე წისქვილი არის გირაოდ.

9. ა ჩყიგ-ს წელს, აგვისტოს ია-ს დღეს ზაზა ხითარაშვილისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ერთი თუმანი თეთრი.

10. ბ ჩღეე-ს წელს, მარტის ე-ს დღეს ზაზა ხითარაშვილისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ორი თუმანი თეთრი.

---

[1] ეს სიტყვა წაშლილია.

[2] ეს სიტყვა სტრიქონს ზემოდან სწერია დედნისაგან განსხვავებული ხელით.

[3] სტრიქონს ზემოდან დედნისგან განსხვავებული ხელით სწერია და შემდეგ წაშლილია: „ყოვლად სამღვდელოს მთავარეფისკოპოზის დანაშთენი“.

11. ᲘᲗ ჩყზ-ს წელს, სეკდემბრის ლ-ს დღეს თავადის ანტონი ავალიშვილისაგან არის ერთის თამასუქით აღებული რვა თუმანი თეთრი.

12. ᲘᲐ ჩყბ-ს წელს, ივლისის კდ დღეს ქაიხოსრო ოსინაშვილისაგან ერთის თამასუქით აღებული ათი თუმანი თეთრი. ამის გირაოდ არის სახლკარი თავისი.

13. ᲘᲐ ჩყზ-ს წელს, დეკემბრის ი-ს დღეს გაბრიელ, იაკობ, იოანე და კიდევ გაბრიელ მაღალოვთაგან არის ერთის თამასუქით აღებული ათი თუმანი თეთრი.

14. ᲘᲑ ჩყთ-ს წელს, ივლისის ა-ს დღეს დავით მაღალოვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული თვრამეტ თუმანი თეთრი. ვენახია გირაოდ ამ თამასუქში.

15. ᲘᲓ ჩყᲘ-ს წელს, აგვისტოს იე-ს დღეს თავიდის დავით და სოლომონ ქსნის ერისთავთაგან არის ერთის თამასუქით აღებული თოთხმეტი თუმანი თეთრი.

16. ᲘᲒ ჩღᲘᲘ-ს წელს, დეკემბრის ა-ს დღეს უგანათლებულესის მეფის ასულის მარიამის და მისი ძის თავადის ევსტათი ციციანოვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული ორმოცი თუმანი თეთრი. ამის გირაოდ არის რუსის ვენახი თავისის[1] მეზვრითა სამი კომ(ლ)ი კაცი და კლიმიაშვილი თავის ყმითა და მამულით.

17. ᲘᲘ ჩყგ-ს წელს, აგვისტოს ზ-ს დღეს კნეინა თალია ციციანოვისაგან ერთის თამასუქით აღებული ორი თუმანი თეთრი. ამის გირაოდ არის მწყერაძე ნინია და სამწევრის ერთი საკომლო სამოცის ღლის მიწა.

18. ᲘᲒ ჩღᲘᲐ-ს წელს, ივლისის ივ-ს დღეს განსვენებულის თავადის კოსტანდილე ციციანოვისაგან არის ერთის თამასუქით აღებული სამი თუმანი თეთრი.

ᲠᲛᲘ ამ ზემო ნაწერის თვრამეტის პუნკტის ჯამი არის ას ორმოცდა რვა თუმანი თეთრი.

ამასთანავე წარმომიდგენია სრულიად ზემორე აღწერილნი თამასუქნი და ეგრეთვე ისპოლნიტელის ეკსპედიციისაგან დაბეჭდილი თვლები.

მაიორი თავადი თორნიკე ქსნის-ერისთავი[2].

თებერვლის ზ-ს დღეს, ჩყიᲘ წელს.

299. 1818 წლ. თებერვლის 11. იუსტინე მთავარეპისკოპოზის თამასუქების მიბარების წერილი. დედანი. ზომა 22,5×18 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8661 Hd.

ჩყიᲘ წელსა, თებერვლის ია დღეს უფლის მაიორის და კავალერის თავადის თორნიკის ერისთვისაგან არზისათა წარმოდგენილნი თამასუქნი, თავა-

---

[1] ეს სიტყვები დედანში წაშლილია.
[2] ეს ხუთი სიტყვა წაშლილია.

დის ნიკოლოზ ამილახოროვისაგან მიცემულნი, ჩვიდმეტი, სრულ ორიათას ასოცდარვა თუმნისა, ოთხი მინალთუნისა და თხუთმეტი შაურისა, და სხვათა და სხვა კაცთაგან მიცემულნი, თვრამეტი, ასორმოცდარვა თუმნისა, მიცემულნი მთავარეპისკოპოზის იუსტინესათვის, მივიღე ისპოლნიტელნის ეკსპედიციის მთარგმნელმან, ტიტულიარნის სოვეტნიკმან თავადმან გიორგი ჩიქოანმან.

სათაური სხვა ხელით: თამასუქების მიბარების წერილი არის.

300. 1818 წლ.მარტის 30. თამასუქი, მიცემული დავით თარხან-მოურავის მიერ ტარიელ შარვაშიძისადმი. დედანი. ზომა 36×22,2 სმ. დაწერილია თეთრ ღერბიან ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 6857 Hd.

ჩყიᲲ წელსა, მარტის ლ დღესა ავიღე მე, ქვემო ჯელის მომწერელმან, თქვენ, თავად ტარიელ შარვაშიძისაგან, ათი თუმანი ვერცხლის ფული, რომ იქს ამისი ნახევარი ᲜᲔ (5 თუმ.) ამდენს. ამ ზემო რიცხვიდამ ერთი თვე ვადა არის. თუ ვადას გადასცდეს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო ულაპარაკოთ. ხელს ვაწერ, თავადი დავით თარხან-მოურაოვი.

სხვა ხელით: მოებარა ამისი თ წელსა ჩყით, ნოემბრის თვეს ია.

სხვა ხელით: ამ თამასუქის თანადამსწრე და მოწამე ვარ, ქაშ(ვ)ეთის მღვდელი პავლე.

301. 1818 წლ, მაისის 6. მოხსენება ფარსადან ესიტაშვილის ქვრივის მარიამისა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას სახლის გირაოს თაობაზე. დედანი. ზომა 33,8×22 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი და მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 7751 Hd.

საქართველოს-იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორასა შინა კეთილშობილის ფარსადამ (sic) ესიტაშვილის ქვრივის მარიამისაგან უმდაბლესი მოხსენება.

მეუღლესა ჩემსა ფარსადანს დავით-გარეჯის მონასტრისა ორი სახლი დაუგირავა ამავე მონასტრის უფალმან, არხიმანდრიტმან თეოდოსიამ, ცხრა თუმნათ და ახლა უფალს არხიმანდრიტს ვიტალიოსს დაუყენებია ჩემთვის პალიცია და მაწუხებენ, სახლები დაგვიცალეო. მე ვარ ქვრივი, ოხერი დედაკაცი და შეუძლებელი. რომელიც ჩემის სამარხად ამ სახლების თეთრი მეგულება, უმდაბლესათ ვთხოვ უწმინდესის სინოდის კანტორას, ნუ ანებებინებს ჩემებრ ქვრივ-ოხერს დედაკაცზე უსამართლობას და მომეცეს ჩემი ფული, რომელიც ჩემდამი ხვედრი არის. და ამავე არზასთან წარმომიდგენია დავით-გარეჯის არ-

Ხიმანდრიტის თეოდოსიასაგან მოცემული წერილი, მეუღლისა ჩემისა ფარსადანისადმი მიცემული, და ვისდა ჯერ-იყოს, ებრძანოს, მომეცეს კანონიერი კმაყოფილება და შემდგომ მოცემისა ფულისა ჩემისა, მიიღოს უფალმა არხიმანდრიტმა სახლები თავისი.

ქვრივი მარიამ ესიტოვისა.

მაისის ᲒᲐ-ს დღესა, წელსა ჩყიᲒ-ს.

302. 1818 წლ. ნოემბრის 15. ბრძანება ტფილისის უპრავისა დიდი ავჭალის ნაცვლისადმი ბაღის მოსავლის ჩაბარების შესახებ. დედანი(?) ზომა 21,5×17,7 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 1225 Hd.

ბრძანება ტფილისის უპრავისაგან

დიდი ავჭალის ნაცვალო, რასამ წამს ეს ბრ(ძ)ანება მოგვიდეს, კნეინა ნინოს ბაღი, რომელიც უპრავის ბრძანებით იყო შეკრული ვალის გულისათვის, ახლა ამისთვის გიბრძანებს ეს უპრავა, რაც ღვინო იყოს ანუ შემოსავალი, სულ ჩააბაროთ ამ კნეინა ნინოს საჩქაროთ. ჩყიᲒ წელსა, გიორგობისთვის იე დღესა. Заседатель Князь Орбелиани.

303. 1819 წლ. იანვრის 1. თამესუქი, მიცემული მებაღის-შვილის პეტრეს მიერ სოლომან ნაზარბეგოვის გამდელისადმი. დედანი. ზომა 35,5×22,2 სმ. დაწერილია თეთრ ღერბიან ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8650 Hd.

ᲩᲧით წელსა, იანვრის ა დღესა ავიღე მე, მებაღის-შვილმა მამასახლისი პეტრემა და ჩემმა ძმამა ნინიამა მეჭურჭლემ, შენ, სოლომან ნაზარ-ბეგოვის გამდელი ანასაგან, ხუთი თუმანი ვერცხლის მანეთი ხუთ აბაზათ, რომ იქნება ამისი ნახევარი ბ̄ჭ (2 თუმ. და 5 მინალთ.) ამდენი. ამ ზემო თარიღიდამ რაც ხანს ჩვენს ხელთ დაჰყოს, თვეში თუმნის თავს ერთი აბაზი სარგებელი გაძლიო შენ, ანასა, ან შენს ურდუნუს, მე, პეტრემა, და ან ჩვენმა ურდუნომ და რაიცა შენი თეთრი მოინდმო, უმიზეზოთ მოგცეთ.

სხვა ხელით:

თამასუქის ყაბული გვაქვს ორთა ძმათა დ(ა) ეს ჩვენი ხელია. პეტრე და ნინია მებაღოვი.

სხვა ხელით: ქ. ამ თამასუქის პეტრეს და ნინიას თხოვნით მოწამე ვარ, მიქელ მირიმანოვი.

სხვა ხელით:

პეტრესა და ნინიას თხოვნით ამ თამასუქს ხელს ვაწერ მე, სტეფან ტულოვმა.

ზემორე თამასუქი მამასახლისი პეტრე მებაღოვის თხოვნით დამიწერია და მოწამეცა ვარ, გაბრიელ მირიმანოვი.

304. 1819 წლ. თებერვლის 16. ვალის ანგარიშის წიგნი უცნობი პირისა. დედანი. ზომა 20,5 × 16,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3887 Hd.

 კ͡ე (ოცდა ხუთი თუმანი) ქ. თავნი იყო.
კ͡ე (ოცდა ხუთი თუმანი) ქ. თამასუქის თარიღი იყო ჩყი წლის ოკტომბრის ივ-ს. ამ თარიღიდამ ჩყით წლის თებერვლის ივ-ს ამ რიცხვამდინ იქნება რ თვე. თვეში—ცფ (ორი მინალთ. და ათი შაური) შედგება სარგებელი.

ნ͡ (ორმოცდაათი თუმანი) ქ. ერთი ორად თავნი და სარგებელი შედგება.

305. 1819 წლ. მარტის 24. სესხის აღების ხელწერილი, მიცემული სოლომონ დავითოვის მიერ გიორგი კაპიტანისადმი. დედანი. ზომა 21,5 × 17.5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 7630 Hd.

გიორგი კაპიტანო, ჩემ(მ)ა კაცმა, დავითა მეჩითემ, რომ ოთხი თუმანი მოგაბარათ, იმ ოთხის თუმნიდამ ერითი თუმანი მე ვისესხე. ამ ორ კვირეზე ისევ მე შევასრულო და მოგართო.

თავადი სოლომონ დავითოვი.

მარტის კდ, ჩყით წელსა.

306. 1819 წლ. დეკემბრის 4. თამასუქი, მიცემული გლახა გოზალაშვილის მიერ ნაზარას-შვილი ნაზარასადმი. დედანი. ზომა 33 × 16,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8639 Hd.

ქ. ავიღე მე, ახალქალაქში მცხოვრებელმა გოზალაშვილმა გლახამ და შვილმან ჩემ(მ)ა ხოსრუამა და ბეჟანამ და გიორგიმა, შენ, ახალქალაქში მცხოვრებელს ნაზარას-შვილი ნაზარაგან, ჲ͡ თუმანი ათი, რომ იქს ამისი ნახევარი ე͡ (5 თუმ.). ამ ქვემო თარიხიდამ რაც ხანს ჩემს ხელს დაჰყოს, თვეში

თუმნის თავს სამი შაური საუგებელი გაძლიო. და თუ ამაზე გაგალაპარაკო, სამდივნო და საიასაულო მე, გლახამ, გავიღო. არის ამისი მოწამე გოზალაშვილი არუთინა, სულხანაშვილი პაპა. და მე, დანდურის-შვილს თათუას, დამიწერია ამათის თხოვნით და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა ქრისტეშობისთვის დ დღესა დამდეგს, ქკს ფზ. ამ ჟამათ ღერბის ქაღალდი არ იყო და ამაზედ დავწერეთ და როცა მოგიტანო, ამაზედ დავწეროთ.

307. 1819 წ. მარტი. ფულის მიბარების ხელწერილი, მიცემული (ოსეფა ყორღანოვის) შვილების მიერ აღალო ყორღანოვისადმი. პირი(?) ზომა 16,5×14,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3885 Hd.

1819 წელს, მარტის[1] დღეს ჩვენ, ქვემო ამის ხელმომწერთ, მოგეცით ეს ხელწერილი შენ, აღალო სტეფანიჩს ყორღანოვს, ასე რომ რომელიც ყარამანტარიელის ძეს ჯორაევს 1810-ს წელს, ოკდომბრის 16-ს დაწერილის ერთის თამასუქით მამის ჩვენისა ოცდახუთი თუმანი თეთრი ფული ემართა სარგებლით და ის თამასუქი ჩვენის უფროსის ძმის გიორგისაგან კანონიერის წერილით მამის ჩვენის სიცოცხლეშივე ს. პეტრეპრუხიდამ შენთან იყო გამოგზავნილი და მისაღებლად რწმუნებული, რომელიც თავნი სარგებლითურთ მიიღე ჯორაევისაგან ორმოცდაათი თუმანი თეთრი ფული და შემდგომ მამის ჩვენის გარდაცვალებისა ჩვენ რომ მოვედით ტფილისს, მაშინ ჩვენის საჭიროებისათვის გზაზედ აღებულის მამის ჩვენის ვალისათვის და სამარხისათვის ზემოხსებული ორმოცდაათი თუმანი თეთრი ფული სრულად ჩვენ გამოვართვით და ეს წერილი მოგეცით, რომ თუ ჩვენმა ძმებმა ეს თეთრი მოგთხოონ, ჩვენ გავცეთ პასუხი, რომლისთვისაც ხელს ვაწერთ.

რაც ყარამანის თამასუქით ნ (50 თუმ.) თეთრში მივაბარე ჭილაევთ ბაბანას და შიოშს:

ბ	(3 თუმ.)	ქ. იოანე აქიმოვს მილახვართან გასასტუმრებლად დეკემბერს ზ, ჩყიᲦ-ს.
ე	(5 თუმ.)	ქ. ჩყით-ს წელსა, იანვრის ა-ს დავითის ხელით გაუგზავნე, ბაბანამ რომ მითხრა.
ე	(5 თუმ.)	ქ. ამავე იანვრის იე ბაბანამ თითონ მიიღო ჩემგან.
ი	(10 თუმ.)	ქ. ამავე იანვრის კდ-ს ბაბამან მიიღო.
ი	(10 თუმ.)	ქ. ამავე წლის თებერვლის ა პაიჭაძის ვალში ბაბანას ბარათით.
ბ	(3 თუმ.)	ქ. კიდევ ბაბანამ მიიღო თეთრი.
ე	(5 თუმ.)	ქ. ამავე წლის მარტის იდ მიიღო თეთრი.
ვ	(1 თუმ.)	ქ. კიდევ ამავე დღეს.

[1] რიცხვისათვის ადგილია დატოვებული.

ჯ	(5 მინალთ.)	ქ. კიდევ.
ა ცუ	(12 მინალთ. 2 აბაზი)	ქ. კიდევ.
ბ ჯყ	(2 თუმ., 7 მინ. და 4 აბაზი)	ქ. კიდევ.
ა ჰქ	(19 მინალთ. და 3 აბაზი)	ქ. ა თეთრი შალის ჩარლათი ჯ (7 მინალთუნი), ბ გირვანქა ზაფრანა ძუ (3 მინალთ. და 2 აბაზი), ე ჩარექი ალიბუხარი ცქ (2 მინალთ. და 3 აბაზი), ა დიდი და პატარა დიბის ქისები ხქ (6 მინალთ. და 3 აბაზი).
ა ჭს	(15 მინალთ. და 1 აბაზი)	ქ. თეთრად უნდა მივცე.
ნ	(50 თუმანი)	ქ. ჯამი.

308. 1820 წლ. ივნისის 22. თამასუქი, მიცემული სარქის მირიგოზოვის მიერ მიკირტუმა ოსეფას-შვილისადმი. დედანი. ზომა 24×17,5 სმ. დაწერილია თეთრ ლერბიან ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14294 Hd.

ქ. წელსა ჩყკ, თიბათვის კბ გასულს ავიღე მე, ამის ქვემორე ხელის მომწერელმა სარქის მირიგოზოვი, შენ, ოსეფას-შვილი მიკირტუმასაგან, ოკი თუმანი რუსის სიქა თეთრი ფული, მანეთი ხუთი აბაზათ, რომ იქს ამისი ნახევარი ნ (10 თუმ.) ამდენი. მ(ო)გეცი ამ ზემო მაბლაღი თეთრის გირაო ჩემი მამა-პაპისაგან გაშვებული კლდის-უბანში სახლები, რომელიც არის ერთი შირვანული სახლი და ერთი სარდაფი და ერთი სათორნე თავისი ტახტით და თავისი შესავალ-გასავალითა, ამ სახით: რამდენიც შენ ჩემს სახლებში იდგე, არც მე შენ სახლის ქირა გთხოვო და არც შენ შენის თეთრის სარგებელი მთხოვო. და ოდესაც შენი თეთრი მთხოვო და ჩემი სახლში დგომა[1] აღარ მოინდომო, შენი თეთრი მოგცე და ჩემი სახლები მე დამანებო. და თუ მე ვერ შევძლო შენის თეთრბს მოცემა, მაშინ რაც გინდოდეს დააგირაო და შენი თეთრი აიღო. ამის გარდა, თუ კედელი დაიქცეს და ან ჭერი, მე გავაკეთო და თუ მე ვერ შევიძლო გაკეთება, შენ გააკეთო და ისიც ჩემი ვალი იქნება. და სახლის ოთხ-ოთხი აბაზი შენ, მიკირტუმამ, უნდა მისცე. ვინიცობა არის, თუ ფათერი სთხოვონ, მე, სარქსამ, პააუხის გამცემი მე, სარქისამ, ვიყო. და თუ ან სახლი და ან სიგელი სადმე გირაოთ იყოს, პასუხი(ს) გამცემი მე, სარქისამ, ვიყო. რომელიც ჭელს ვაწერ, სარქის მირიგოზოვი.

ქ. სარქისას თხოვნით ამ წერილის მოწამე ვარ, ნიკოლოზ ავეტისოვი.

ქ. სარქისა(ს) თხოვნით ესე გირაოს წიგნი დამიწერია და მოწამეცა ვარ, ტერ-აოუთინ ვართანოვი.

[1] დედანში: „მდგომა“.

309. 1821 წლ. დეკემბრის 1. თამასუქი, მიცემული გიგოლა სოხნიაშვილის მიერ ბეჟანა ღვინიაშვილისადმი. დედანი. ზომა 22×18 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8744 Hd.

წელსა ჩყკა, დეკემბრის ა.

ქ. ავიღე მე, სოხნიაშვილმა გიგოლამ, შენ, ღვინიაშვილის ბეჟანასაგან, ორი თუმანი თეთრი ფული, რომ იქს ამისი ნახევარი Ა (1 თუმ.) ამდენს. და მოგეცი ამ ზემოხსენებულის თეთრის გირაოდ ჩემი მამის მამული უგუშებია(?) ერთის დღის მიწა. მანამ შენი თეთრი ჩემთან იყოს, ჩემი მიწა შენ სჭამო და ინმარო, არც შენ შენის თეთრის სარგებელი მთხოვო და არც მე მქონდეს იმ მიწასთან საქმე. და როდესაც შენი თეთრი მოგაბარო, ჩემი მიწა მევე დამრჩეს. არის ამისი დამსწრე თავად ღ᾽თი, კაცთაგან თეთრაძე პეტრე. და მე, ხანდარაშვილს ზაქარიას, დამიწერია გიგოლას თხოვნით და მოწამეცა ვარ. ეს არის ჩვენი პირობა: ორ წელიწად უკან შენი თეთრი მოგაბარო, ჩემი მამული დამანებო.

310. 1822 წლ. ივლისის 1. თამასუქი, მიცემული შაქარა ტულოვის მიერ ტერ-პეტრუზას ქალის მარიანასადმი. დედანი. ზომა 35×22 სმ. დაწერილია მორუხო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 7366 Hd.

ჩყკბ წელსა, კათათვისა ერთსა დღესა ვიანგარიშეთ მე და ჩემი დანიშნული მარიანისაგან რაც დანახარჯი მქონდა. თეთრი გამოერთვა. მე ვინაიდან ოჯახზედა დამეხარჯა ოცდა ათი თუმანი თეთრი ფული, ღვთის წინაშენ ავიღე მე, შაქარ ტულოვამა (sic), შენ, ტერ-პეტრუზას ქალი მარიანასაგან, ოცდა ათი თუმანი თეთრი ფული, რომ იქს ამის ნახევარი ᲘᲔ (15 თუმანი) ამდენი. ამ თარიღიდამ რაც ხანს ჩემ ხელთ დაჰყოს, თუმნის თაეს ორი შაური სარგებელი გაძლიოთ. აწ მე და ჩემ(მ)ა ურდუნმა უზური ვერა მოვიტანოთ რაი. მე, შაქრა ტულოვამა, დამიწერია და ეს ჩემი ვალია[1].

311. 1822 წლ. ოქტომბრის 20. წერილი ვინმე პაპასი არქიმანდრიტი სეროფიონისადმი კნეინა ანა ბაგრატიონის ვალის თაობაზე. დედანი. ზომა 22×18 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 7640 Hd.

მის მაღალ ღირსებას, უფალს არსიმანდ(რ)იტს სეროფინსა (sic), მრწყალეს ხელმწიფეს!

წმინდას მარჯვენ(ე)ს ა(მ)ბორის ცემასა მოგახსენებ და ვითხოვთ უფლისაგან თქვენ მაღალ ღირსებას უვნებლად ბძანებასა. ახლა, ბატონო, რომე-

[1] ხელრთვა.

ლიც თქვენი სამი თუმანი თეთრი მართებთ და შვიდი მინალთუნი თეთრი მართებს გიორგი ბაგრატიონისა კნეინა ანასა, ეს ზემოხსენებული თეთრი გიორგობისთვის გასულსა მე მოგაბარო. არძი, თუ ამ ვადაზედ ვერ მოგაბარო ეს ფული, სამი თუმ(ა)ნი და შვიდი მინალთუნი, თუმნისა თავს თვეში ორი შაური სარგებელი გაძლიო უარის უყოფლად. ჩემი ვალი იქნება სამი თუმანი თავნის და შვიდი მინალთუნისა სარგებელი, რომ იქს ჯამსა სამ თუმანსა და შვიდ მანეთსა. და მამას ნუ შეაწუხებ. და თუ ინებებ, ჩემი ვალი იქნება და მე მოგართმევ ამ ფულსა. მე, პაპასა, დამიწერია და ჩემი ყაბული არის. დაიწერა ღვინობისთვისა კ, ჩყკბ წელსა.

მის მაღალ ღირსებას უფალსა არხიმანდრიტსა სერაფიონს მიერთვა(ს), მოწყალეს ხელმწიფეს, ცხინვალით[1].

312. **1823** წლ. ივლისის **23.** რწმუნების წერილი, მიცემული იოსებ ზუბალოვის მიერ გასპარა ნაცვალოვისადმი დავით თარხანოვისაგან ფულის მიბარებისათვის. დედანი. ზომა 18,6×12 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5399 Hd.

ქ. თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ჰელმწიფევ დავით ზაქარიას-ძევ.

რომელიც თქვენმა ბრწყინვალებამ მიბრძანა, რომ გრიგოლ წერეთელი-ს(ას) მწერთ—ას ოთხმოც თუმანს მოგაბარებო მათს ფულიდამ ქალაქსაო, გთხოვთ ამ ჩვენს სიძეს, გასპარას, მიაბაროთ და ბარათი მიიღოთ მისგან, ჩვენი ყაბული იქმნება.

თქვენი ბრწყინვალების უმორჩილესი მოსამსახურე, იოსებ ზუბალოვი. ივლისის 23, 1823. გორსა.

სხვა ხელით:

ქ. ამ ბარათში მივაბარე ას ათი თუმანი გასპარას, დავით თარხანოვი. რომლისაც ბარათი მაქვს ღერბოვი ქაღალდზედ.

სხვა ხელით:

ქ. ას ათი თუმანი მამბარდა თეთრი ფული მე, გასპარასა ნაცვალოვსა. ამ ასათი თუმნის ბარათი ღერბოვის ქაღალდზე მიმიცია.

---

[1] აქ მოსდევს ხელრთვა.

313. 1823 წლ. აგვისტოს 3. თამასუქი, მიცემული ათოა მიკირტუმას-შვილის მიერ აბრამა ბაიანდურას-შვილისადმი. დედანი. ზომა 23,5×12,5 სმ. დაწერილია თეთრ ღერბიან ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი, წერტილ-მძიმე ან ორწერტილი.
საქ. საქ. მუზ. № 7938 Hd.

ჩყკგ წელსა, აგვისტოს გ დღესა ავიღე მე, ტფილისში მცხოვრებელმა სახელმწიფო ყმამ, მიკირტუმას-შვილმა ათოამ, შენ, ბაინდურას-შვილის აბრამასაგან, ექვსი თუმანი ვერცხლის თეთრი ფული. ამავ მომავალის გიორგობის დამლევამდის ვადა. ამ ვადაზედ უნდა მოგცე შენი ექვსი თუმანი და თუ ვადას გადავაცილო, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო. და შემდგომად როდესაც მოინდომო, ულაპარაკოთ და მიზეზ შემოუღებლივ მოგცე მე და ან ჩემ(ნ)ა ურდუნომან, შენ და ან შენსა ურდუნოსა. ჰუზური არა შემოვიტანო რა, ბეჰუზურათ მოგცე. ჴელსა ვაწერ და ჩემი ვალია, მიკირტუმას-შვილი ათოა. რადგან ამან წერა არ იცოდა, ამისი თხოვნით ჴელი მოვაწერე, ისაჰავ ტერ-მოსესოვი.

314. 1824 წლ. თებერვლის 13. პირობის წიგნი, ვალის გადახდის თაობაზე, მიცემული ნიკოლოზ ფიცხელაურის მიერ გრიგორ სარაჯევისადმი. დედანი, ზომა 34,5×22,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 6895 Hd.

წელსა ჩყკდ-სა, ფებერვრის (sic) იგ-სა დღესა ესე წერილი მოგეც მე, ქვემორე ამისსა ჴელისა მომწერელმან, თქენ, გრიგორი დავითის ძესა სარაჯევსა, მისთვის რომ, რომელიც ერთის ფარდის ვექსილით ამავე წერილის თარიღით თქვენი მმართებს მე სამოცი თუმანი ⁂ თეთრი ფული ექვსის თთჳს ვადით. იმ თეთრის სარგებელში მოგეცი ჩემის სიძის, თავადიკ ბარძიმ მაჩაბლისაგან გამოგზავნილი ყმა, მისი პატარა ბიჭი, ქართველი სოლომონ. ამ პირობითა რომ, თუ შენი თეთრი სამოცი თუმანი ვადის უწინ მოგცე, უნდა მიიღო და რადგან ვადის უწინ თეთრის მობარებისათვის სარგებელი შეუმოკლდება იმ ჩემგან მიღებულს სამოცს თუმანსა, ამისთვის იმ სარგებლის ოდენი თეთრის რიცხვი თავნიდამ უნდა დაიკლო და მე დამიტეო იმ ხსენებულის ბიჭის სახსრად. და როდესაც ჩემი სიძე ტფილისში ჩამოვიდეს, მაშინ იმ ბიჭის კუბჩი ექსპედიციიდამ უნდა გამოგიტანოს და მოგცეს. და თუ იმ ბიჭის მოცემა მან, ჩემმა სიძემან, აღარ ინებოს, მაშინ იმის მაგიერ სხვა უნდა მოგცეს იმავე აღწერილობისა სახითა, რომლისათვისაცა ვაწერ ჴელითა ჩემითა, აზნაური ფიცხელაური ნიკოლოზ.

315. 1826 წლ. იანვრის 1. ანგარიშის წიგნი ჯიმშერ თუმანოვისა და დაჭვით თამამშოვისა. დედანი. ზომა 34×22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3850 Hd.

ბატონი დავით თამამშოვისა და ჩემი ანგარიში.

ᲐᲖ (67 თუმანი) ქ. ფარდის თამასუქით ჩყით წელს, ქრისტიშობის ვ დღეს წლის ვადით დაწერილით უნდა მომცეს სამოცდა შვიდი თუმანი თეთრი ფული.

ჩყკ წელს, ქრისტიშობის კ დღეს ვადა შესრულდა. ამ თარიღიდამ ვიდრე ჩყკვ წლის იანვრის ა დღეს იქნება გასული ხუთი წელიწადი და ათი დღე. ამ ხუთის წლისა და ათის დღის სარგებელი იქნება ორმოცი თუმანი, ოთხი მინალთუნი, ერთი აბაზი და ექვსი ფული. თავნი და სარგებელი დადგება ას შვიდი თუმანი, ოთხი მინალთუნი, ერთი აბაზი და ექვსი ფული.

ამაში რაც მოუცია:

ᲐᲔᲢ (1 თუმ. 7 მანეთი და 6 შაური) ქ. ა თოფი და ე ადლი მადარფაკი.

ᲯᲣ (8 მან. და 2 აბაზი) ქ. გ ადლი მსხვილი მაუდი.

ᲭᲥ (8 მან. და 3 აბაზი) ქ. ბ გირვანქა ჩაი.

ᲘᲓ (14 თუმანი) ქ. ა ბარათით ჩყკბ წელს, ივლისის ია დღეს თეთრათ.

Თ (6 თუმანი) ქ. ა ბარათით ჩყკგ წელს, ენკენისთვის კვ თეთრათ.

ᲑᲫ (2 თუმანი და 3 მანეთი) ქ. ბ ცალი ყოლამქრის საბნის პირი თავის რახტარით.

ᲮᲡ (6 მანეთი და 1 აბაზი) ქ. დ უბე ყალამქრის თავსაკრავი თავის რახტარით.

ᲐᲭᲤ (1 თუმ. 5 მან. და 10 შაური) ქ. ზ₀+ ადლი ჩიჩაგლის ხარა იმის ამხანაგის ბატონის ტარიელისგან ა—ც (2 მან.).

Თ (6 თუმანი) ქ. ა ბარათით ჩყკე წელს, მაისის ვ-ს იმის სიმამრის ბატონი ავთანდილასაგან.

Წ (4 მანეთი) ქ. ბ გირვანქა ჩაი.

ᲩᲤ (მანეთ-ნახევარი) ქ. ა₀ ადლი ჩითი.

ᲚᲓᲩᲤ ქ. ია კალმის ჯამი ოცდათოთხმეტი თუმანი და ოცდაათი შაური.

ამ თერთმეტ კალმათ მოცემულს ოცდათოთხმეტ თუმანს და ოცდაათშაურს ჩემს მოსაცემს ას შვიდს თუმანს, ოთხ მინალთუნს ერთს აბაზს და ექვს ფულში რომ გამოვიდე, დარჩება ჩემი ბატონს დავითაზედ სამოცდა ცამეტი თუმანი, ორი მინალთუნი, თოთხმეტი შაური და ექვსი ფული. ამაში სა-

მი თუმანი, ორი მინალთუნი, თოთხმეტი შაური და ექვსი ფული ახლა გამოვართვი და დარჩა ჩემი ბატონს დავითასთან ჩყკვ წლის იანვრის ა-დამ სარგებლით სამოცდა ათი თუმანი თეთრი ფული და ჩემი ბარათები ამ ანგარიშით ბათილია და გარდა ⍩ თუმნისა (70 თუმ.) ამ თარიღამდინ ერთმანეთში გასწორებული ვართ.

თავადი ჯიმშერ თუმანოვი.

ამას გარდა კიდევ წავიღე იანვრის პირველიდამ ძღწ (სამი მინალთ. და ხუთმეტი შაური).

316. XIX ს-ის 1-ლი მეოთხედი. განაჩენი მდივანბეგის ر ო ს ტ ო მ ჩ ხ ე ი ძ ი ს ა ი ვ ა ნ ი კ ა ინ ა კ ა ვ ა ძ ი ს ვალის საქმეზე. დედანი. ზომა 21,5×12,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 14165 Hd.

შდრ. აქვე საბუთები №№ 14573 Hd და 14552 Hd—პ ე ტ რ ე ი ნ ა კ ა ვ ა ძ ი ს თამასუქები, გაცემული 1805 წლის ივლისში და 1810 წლის აპრილში. ეს განსაზღვრავს მოცემული საბუთის თარიღს, როგორც საფიქრებელია, XIX ს-ის ათიანი ან ოციანი წლებით.

ქ. ბატონმა ქუთათელმა და მისმა ძმისწულმა ბეჟანმა და დეკანოზმა ნიკოლოზ გაბაშვილმა უბძანეს ივანიკა ინაკავაძეს: შენს ძმას პეტრიელას თეთრი ემართა ჩვენი, ის შენი ძმა შენს სახლშიდ მოკვდა და თუ რამე ქონდა თეთრი, საქონელი, ცხენი, ხარი და ძროხა, სპილენძი, თალათინი, სამუგვე და იარაღი, ყოვლისფერი შენ დაგრჩა. ახლა გედავებით, რომ ჩვენი ვალის ამავალი საქონელი მოგვეცი. ინაკავაძემ აშორო უთხრა.

ჩვენ გავსინჯეთ[1] და ასე გავაჩინეთ: წამოდგეს თვითან და ასე დაუფიცოსთ—ჩემი ძმის საქონელი არც თეთრი, არც ხარი, არც ძროხა და ცხენი, არც არაფერი სხვა რამე, არც მომეხმაროს, არც ამის მეტი არაფელი მქონდეს და არც[2] არაფელი ამის მეტი ვიცოდე; ქურციკიძისაგან რომ ალაგი ვიყიდე, არაფელი მისი საქონელი იმ ალაგშიდ არ გაცემულიყოს. თუ ასე უფიცოს, რას ემართლებიან? რომელსაც გამოტყდეს, ყველა მევალეს რო მისცეს და მის მის რიგათ გაიყონ და სხვას ვერას შეუვლიან. და ვინც მევალე გამოჩნდეს, სხვას ნულარავის უფიცავს ინაკავაძე, თუ ამათ გაუმართლდეს.

მდივან ბეგი
ჩხეიძე როსტომ[3]

---

[1] დედანში: „გავშინჟეთ“.

[2] დედანში: „რაც“.

[3] მურის ბეჭედი მთავრული წარწერით.

317. XIX ს-ის 1-ლი მეოთხედი. წერილი გრიგოლ წერეთლისა დავით თარხანოვისადმი ფულის მიბარების თაობაზე. დედანი. ზომა 17×15,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8742 Hd.

დავით თარხნიშვილი ხშირად იხსენიება XIX ს-ის 1-ლი მეოთხედის საბუთებში. მასთან ერთად გვხვდება გრიგოლ წერეთელიც, მაგ., 1826 წლის საბუთში (№ 8457 Hd, აქვე). ეს განსაზღვრავს მოცემული საბუთის თარიღსაც, როგორც ყველაზედ უფრო საგულვებელია XIX ს-ის 1-ლი მეოთხედის ფარგლებში.

უბრწყინვალესო კნიაზო დავით თარხანოვ, მოწყალეო ხელმწიფევ!
თქვენის ნებისაებრ ჩემის ხელით მიბარდა მის უგანათლებულესობა მეფის ასულს მზეხათუნს ოცდაცამეტი თუმანი ვერცხლის ფული და მაკლიაო, ბრძანებს, ამას გარდა შვიდი თუმანიო, ხელმწიფეო ჩ(ემო).
თქვენი ცოლის ძმა, თავადი გრიგოლ წერეთელი.

318. 1827 წლ. აპრილის 24. გირაობის წიგნი, მიცემული იოსებ მორბედაძის მიერ ლუა მორბედაძისადმი. დედანი. ზომა 35×18,5 სმ. დაწერილია თეთრ ღერბიან ქაღალდზე მხედრული ხელით.
საქ. სახ. მუზ. № 3512 Hd.

ეს გირაობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, მორბედაძე იოსებმა, შვილმა ჩემმა ზაქარამ და მომავალთა სახლისა ჩემისათა, შენ, მორბედაძე ლუას, ძმისა შენსა გლახასა, სეხნიასა და გიორგი მამასახლისს და ბერუასა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ჩემი ალალი ვენახი ხუთ თუმანნახევრათ. სანამ ამ ფულს მოგცემდეთ, სანამ თქვ(ე)ნს ფულს[1] მოგცემდეთ, სანამ ეს ჩემი ნასყიდი და უკულუხო მამული თქვენ გეპიროთ. როცა თქვენი ფული მოგცეთ, ჩემი ვენახი მე დამრჩეს. არის ამის მოწამე თავათ ღმერთი და კაცთაგან ჯარმელიშვილი დავითა, თუაური ნინია, (ა)ზადისშვილი. დამიწერია საფეშეთის პრიხოდის მღვდელს ზოდიკეს ამ იოსებ მორბედაძეს სიტყვითა და მოწამეც ვარ. თვესა აპრილსა კდ, წელსა ჩყკზ.

319. 1827 წლ. ნოემბრის 9. თამასუქი, მიცემული პეტრე და ზურაბა თევდორეშვილების მიერ რევაზ ჯორჯაძისადმი. დედანი. ზომა 21,6×17 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5875 Hd.

ქ. ჩყკზ წელსა, ნოემბრის დღესა თ ავიღეთ ჩვენ, მონასტრის ყმამ თევდორეშვილებმა პეტრემ და ზურაბამ, თქვენ, თავადის რევაზ ჯორჯაძისაგან, სამი თუმანი თეთრი. ამ თვის გას(უ)ლამდი ვადა. და თუ ვადას გადასცილდეს,

[1] დედანში: „ფლმ“.

თვეში თუმანზედ აბაზის სარგებელი გამ(ეღოს). თუ ამაზედ გაგსარჯო და ან გალაპარაკო, სამდივნო და საიასაულო მე გავიღო.

არის ამის მოწამე ნახუცრის-შვილი გოგილა. და ისევ მე, თევდორეს-შვილს ზურაბას, დამიწერია, ჩემი ვალია ამ თამასუქის ვალი, ჩვენი არის და ხელსაც ვაწე(რ)თ მე, ზურაბა თევდორეს-შვილი.

320. 1828 წლ. მარტი. „ბატონი ნასყიდას მოსაცემის ანგარიში". დედანი. ზომა 22,7×17,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუზ. № 7130 Hd.

ბატონი ნასყიდას მოსაცემის ანგარიში.

ნ	(40 თუმანი)	ქ. თავნი უნდა მამცეს.
თხ	(96 მანეთი)	ქ. ჩყკვ წლის მარტის პირველიდამ ვიდრე ჩყკᲪ წლის მარტის პირველამდინ ორის წლის სარგებელი მერგება.
კა	(21 თუმანი)	ქ. ზურაბ სარქისოვს შეპირდა.
ოკ	(7 თუმანი და 7 მანეთი)	ქ. ამ სამის კალმის ჩემის თალაბის ჯამია.
ნკტ	(2 თუმ., 7 მან. და 6 შაური)	ქ. იქით პირის მისაცემში ბარათით და უბარათოთ მოუცია ცხრა კალმათ.
ლ	(30 თუმანი)	ქ. ამ მოცემულს ჩემს მოსაცემში რომ გამოველ დარჩა ჩემი იმაზედ ჩყკᲪ წლის მარტის პირველიდამ ოცდაათ-თუმან-ექვს შაურ-ნაკლები.
ნ	(1 თუმანი)	ქ. ჩყით წელს, მარტის დღეს მოვატანინე.
ბ	(2 თუმანი)	ქ. ამავ წლის გიორგობის დღეს თინათინს მოუტანინებია.

321. 1828 წლ. აპრილის 27. წერილი დავით თარხანოვისა იაგორ ივანიჩ ზუბალოვისადმი ანგარიშის გასწორების თაობაზე. დედანი. ზომა 34,2×22,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუზ, № 6900 Hd.

თქვენო კეთილშობილებავ, მოწ(ყ)ალეო ჭელმწიფევ იაგორ ივანიჩ ზუბალოვ!

პირველად პატივცემულს მოკითხვას მოგახსენებ და შემდგომად ამას გთხოვ, რომ იმ თამასუქის საქმეს მომარჩინოთ. ეს მეორე წელიწადი შესრუ(ლ)და, რომ გთხოვ იმის ანგარიშის გაწმენდას და მორჩენას. ბევრჯელ

მოგახსენე, რომ სიკვდილის მომლოდინენი ვართ და რა საკადრისი არის, რომ ჩემზედ დარჩეს რამე. თუმცა თქვენ ამითი მაყენებთ, რომ სარგებელს ვინ ითხოვსო, მაგრამ ორმოცი თუმანიც რომ დარჩეს, არც ის მინდა. ყოველივე მითქვამს თქვენთვის და ღმერთს გაფიცებ და შენს ცოლსა და შვილებს, ამოდი და ეს საქმე გავსწმინდოთ. ახლა რომ აღალუა მანდ ჩამოვიდა, რუსეთს რომ მივიდოდა, მაშინაც დავაბარე და ესენი ჯარში აპირობენ[1] წასვლას. მერე იტყვით, თამასუქი აქ არ არისო. რა გენაღვლებათ, ჩემს სიცოცხლეში გავსწმინდოთ ყოველივე. მე უშენოთ ამათ ხმას არ გავსცემ. ხომ იცი, სულ შენ გენდე და დღესაც შენ გენდობი. არც შენ გიჭირს ამისთანა საქმე, რომ ჩემზედ საბოლოოდ შესაწუხარი დააგდო რამე. მე და შენს მეგობრობას არ შეესაბამება და სწორე მომწერე, როგორც გნებავდეს და ან როდის გარდასწყვეტ. ამაზედ მეტს ნუღარ გავაგრძელებთ. მე შენ გელი, თორემ სხვა აზრი მაქვს, იცოდე.

სხვეებ დავშთები თქვენის კეთილშობილების მოსამსახურე, დავით თარხანოვი.

ჩყკ̃ წელსა, აპრილის კზ დღესა.

322. **1830 წლ. ივლისი.** ვალების ნუსხა კნეინა ახუა სუმბათოვისა. დედანი. ზომა 36×22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით, განკვ. ნიშნები არა აქვს. საქ. სახ. მუზ. № 8375 Hd.

ჩყლ წელსა, ივლისის დღესა რაც კნეინა ახუას სუმბათოვისას მართებს.

ი͡ე	(15 თუმანი)	ქ. ა ბარათით მართებს რომელიც განსვენებულს იოვანე სუმბათოვს აუღია მოსკოვსა კ͡ (20 თუმანი) ამდენი თეთრი ჩყიბ წელსა, აპრილის კვ. იმ ბარათში მოუცია კნიაზ იოანე სუმბათოვსა კათათვის კბ, ჩყიგ წელსა ე͡ (5 თუმ.).
ა͡ჯყ	(18 მან. და 4 აბაზი)	ქ. საძმო გაყოფილ ნისიაში შემხვდა მე ნისია ასაღები, რომელიც კნეინა ანნა იოსეფოვნას ემართა.
ბ͡ხტ	(3 თუმ., 6 მან. და 6 შაური)	ქ. ჩყით წელსა თ კალმით აქვს დუქნიდან დანახარჯი საქონელი.
დ͡ჩნე	(4 თუმ., 1 მან., 1 შაური, 1/2 კაპ.)	ქ. ჩყკ წელსა კიდევ ერთის ნუსხითა აქვს დანახარჯი.
ა͡	(1 თუმანი)	ქ. ა წყვილი ფინჯანი კარგი ფრანცეცისა, რომელიც პეტრ ანტონიჩს მიართო.
ე͡	(5 თუმანი)	ქ. ჩყკბ კნეინამ წააღებინა თავის სიმ. კნიაზ ციციანოვის ხელით ერთი ზურმუხტის ბეჭედი გარშემო ბრილიანტათ.

[1] დედანში: „აპირობონ“.

ბ ჭს (25 მან. და 1 აბ.) ქ. ამავე წელს კნეინამ წააღებინა კისერას ხელით ზ ადლი მატერია, ადლი—ძქ (3 მან. და 3 აბაზი).

ა ჭს (15 მან. და 1 აბ.) ქ. ზ ადლი გრანაპოლი, ადლი—ც (2 მან.)—ა წ (14 მან.), და ა სალეჩაქე ჩს (6 აბაზი).

ითხფნ (196 მ. და 11 შ.) ქ. ზემო ზ კალმის დანახარჯის ჯამი არის.

ბ (2 თუმანი) ქ. ამაში მოგვბარებ(ი)ა კნეინა[1] ანნა ოსეფოვნასაგან თეთრი.

ოზხფნ (176 მ. და 11 შ.) ქ. ეს რომ გამოვიდეთ, რჩება.

323. 1830 წლ. დეკემბრის 15. თამასუქი, მიცემული გ ი გ ო ლ ა პ ა პ ე ლ ი ს - შ ვ ი ლ ი ს მიერ ი ო ს ე ბ ძ ი ნ ძ ი ბ ა ძ ი ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 17×11 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8745 Hd.

ჩყლ-სა წელსა, დეკემბრისა იე ავიღე მე, სვერს მცხოვრებელმან პაპელის-შვილმა გიგოლამა და ძმამა ჩემ(მ)ა ოთარამა და ბეჟანამა, შენ, ძინძიბაძე იოსებასაგან, ერთი თუმანი თეთრი ფული რუსის მანათი, მანათი ხუთ აბაზათ, რომ იქს ამისი ნახევარი ჭ (5 მან.) ამდენს. ამ ზემო თარიღიდამ რასაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, წლის თავზე ორი მანეთი სარგებელი გაძლიო ულაპარაკოთ. და როდესაც შენი თეთრი დაგჭირდეს და მთხოვო, თავისი გავლილის სარგებლით ყოველის უარის უყოფელად მოგცე. არის ამისი მოწამე ვინც ამაზე მოწმობის ხელს მოაწერენ და მე, აზნაურს ნიკოლოზას ბუტაურს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

324. 1833 წლ. სექტემბრის 20. თხოვნა გირაოს დამტკიცების შესახებ, მიცემული მ ა რ ი ა ი ვ ა ნ ო ვ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი ს მიერ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს უ ზ ე ნ ა ე ს ი მ ა რ თ ებ ლ ობ ის ე ქ ს პ ი დ ი ც ი ი ს ა დ მ ი. დედანი(?) ზომა 35,5×22 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი და მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 7208 Hd.

უზენაესის საქართველოს მართებლობის ექსპედიცი(ი)ს სუდა და რასპრავასა შინა კნეინა მარია ივანოვნა ორბელიანოვისაგან თხოვნა.

წელსა ჩყლგ, სეკდემბრის კ-ს დღესა ავიღე ვალად მისის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ასულის თეკლა ირაკლიევნასაგან სამას სამოცდათხუთმეტი თუმანი თეთრი ფული ვალად, ამ ზემოხსენებოლის რიცხვიდამ

[1] დედანში შეცდომით: „კნეიკა"

სამის წლის ვადით, ვიდრე მომავალს ჩყლვ-ს წლამდის, სეკდემბრის კ-ს დღემდის. ამ ხსენებულის სუმის დასარწმუნებლად ვაძლევ გირაოდ ჩემდა საკუთარს კუთვნილ სახლს მეორეს ჩასტში, მეორეს კვარტალში, მდებარეს ტფილის(ს)ა შინა, რომლისა გრანიცა არს აღმოსავლეთის მხარეს დავით ღირღიდოვის სახლის მიდგმა, დასავლეთის მხარეს გლახა მდივანოვის სახლის მიდგმა, სამხრეთის მხარეს ქუჩა და ჩრდილოეთის მხარეს ხევის პირი. თუმცა ეს ხსენებული სახლი იყო გარდაცვალებულთ დედისა ჩემისა კნეინა ელისაბედ ორბელიანოვისაგან და ძმისა ჩემისა პრაპორჩიკის ზაალ ორბელიანოვისაგან და ჩემ მიერ დაგირავებული სამას თუმან თეთ(რ) ფულად კნეინა რივსიმა თუმანოვასთან, და ახლა სრულებით მიიღო კნეინა რივსიმამ ჩემგან კმაყოფილება და იმისის მხრით არა რომელიმე დაბრკოლება აღარ იქნება. ამისვის ვთხოვ უმორჩილესათ ექსპედიცია სუდა ი რასპრავას, რათა დაუმტკიცდეს კანონიერი გირაობის წერილი ხსენებულს მეფის ასულს თეკლა ირაკლიევნას სახელზედ და მიეცეს მას თავის გირაობის წერილი, რადგანაც ეს ზემოხსენებული სამას სამოცდა თხუთმეტი თუმანი ამ თავით მივიღე სრულებით მეფის ასულის თეკლა ირაკლიევნისაგან.

325. **1834** წლ. ნოემბრის **21.** თამასუქი, მიცემული კახნიაშვილი ტეტიას მიერ იოსებ ძინძიბაძისადმი. პირი. ზომა 17,3×7,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 5494 **Hd.**

უნდა მოგცე მე, კეხვში მოსახლე კახნიაშვილმა ტეტიამა, თქვენ, ძინძიბაძე იოსებსა, ცხრა მინალთუნი მანათის თეთრი ფული ამ იანვრის გასულს, ულაპარაკოთ მოგცე. არის ამის მოწამე ვინც ამაზე ხელს მოაწერენ. და მე, ნონია ამირაღოვს, დამიწერია ტეტიას თხოვნით.

დაიწერა გიორგობისთვის კა ჩყლდ წელსა.

326. **1834** წლ. დეკემბრის 1. თამასუქი, მიცემული დათუა ლაფანაშვილისა და თევდორე კაციტაძის მიერ იოსებ ძინძაბაძისადმი. დედანი. ზომა 21,5×17,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 7754 **Hd.**

ჩყლდ წელსა, ქრისტიშობის ა პირველსა ავიღეთ ჩვენ, ორთავ ამხანაკთა, ცხინვალაში მცხოვრებელთა, დათუა ლაფანაშვილმა და თევდორემ კაციტაძემ, შენ იოსებ, ძინძიბაძისაგან, ხუთი მანათი თეთრი ფული, რომ იქს ამისი ნახევარი ცფ (2 მინალთ. და ნახევარი). ამ ზემო თარიღიდამ რაც ხანს შენმა ფულმა

ჩვენ ხელთ დაყოს, თვეში ორი შაური სარგებელი გაძლიოთ. როდესაც შენი ფული მოინდომო, ულაპარაკოთ და უმიზეზოთ მოგაბაროდ თავისის გავლილის სარგებლითა. ეს არის ჩვენი მტკიცე პირობა. არის ამისი მოწამე, ვინც ამაზე ხელს მოაწერს. და ამ ორთავეს თხოვნითა დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, იაკოფ მიქელაძე.

სხვა ხელით:

ამ თამასუქს ხელს ვაწერ, რადგან დათუამ წერა არ იცოდა, მის თხოვნით ხელს ვაწერ, გიორგი ამირალოვ. რადგან თევდორემ წერა არ იცოდა, ხელს ვაწერ მე, გიორგი ამირალოვ. ეს თევდორეს ვალია კაციტაძის და ლაფანაშვილისა.

სხვა ხელით:

მივიღე დათუა ლაფანაშვილისაგან სამი მანათი თეთრი ფული თავნსა და სარგებელში ხუთ მანათში, რომელიც შევჯერდი, რომ ნახევარს ხუთს მანათში და მის სარგებელში მე დათუასაგან ამით შევიქენ კმაყოფილი, რომელზედაც ხელს ვაწერ, იოსებ ძინძიბაძე.

327. 1836 წლ. სექტემბრის 20. თხოვნა თეკლა ბატონიშვილისა საქართველოს უზენაესი სასამართლოსადმი გირაოს განაღდების თაობაზე. დედნის შავი. ზომა 35,1×21,7 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 7160 Hd.

საქართველოს უზენაესის ექსპედიცია სუდა ი რასპრავასა შინა საქართველოს მეფის ირაკლის ასულის თეკლას მიერ თხოვნა.

აიღო ვალად ჩემგან ღვარდ(ი)ის პრაპორჩიკის მეუღლემ კნეინა მარია ორბელიანოვისამან წარსულს წელსა[1], ჩყლე სენტემბრის (sic) კ დღესა სამი ათას შვიდას ორმოცდა ათი რუბლი თეთრი ფული სამის წლის ვადით. და ამ სუმის დასახათრიჯამებლად მაქვს კანონიერი გირაობის წერილი თავის საკუთრის სახლისა მეორეს ქვართალში, პირველს[2] ჩაშტში მდებარე. და რადგანაც ვადა შესრულდა ამ წელს, ჩყლვ სენტებრის ოცს, ამისთვის ვთხოვ უმორჩილესად ამა ექსპედიციას, რათა მოეთხოვოს მოვალესა ჩემსა რჯულიერ კმაყოფის მოცემა, ანუ იმის პოვერენიას შტაბს-კაპიტანს პავლე თუმანოვს, რადგანაც ეს ჩემთან დაგირავებული სახლები აქვს თუმანოვს რწმუნების წერილით მინდობილი. ამასთანავე წარმოვადგენ გირაობის წერილს.

Verso დედნის ხელით და მელნით: პრიკაზის ძალუას ვალის[3] სახლის გირაობისა ძალუას ვალში.

---

[1] წაშლილია: „მარტის კა დღესა".
[2] წაშლილია: „მეორეს".
[3] წაშლილია „ბატონიშვილის".

328. 1844 წლ. ივნისის 15. თამასუქი, მიცემული რევაზ ჯავახის მიერ ბერიანიძე ბეროსადმი. დედანი. ზომა 22,5×17,6 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8229 Hd.

წელსა თიბათვის დღესა იე, ჩყმდ.

ქ. ავიღე მე, დადიანეთში მცხოვრებელმა ჯავახმა რევაზმა და შვილმა ჩემ(ნ)ა სოლომანმა და ანდრიამა, შენ, ბერიანიძე რევაზიშვილი ბეროსაგან, ერთი თუმანი თეთრი ფული ახალი რუსის სიქა მანეთი, მანეთი ხუთაბაზიანი, რომ იქს ამის ნახევარი ამდენი ჭ (5 მან.). ღვთის წინაშენ მოგეცი გირაოთ ჩემი ალალი მამული, თავსა და ბოლოს ბეროასი და შუაზედ ჩემი მარილული ერთი დღისა მიწა. მანამდინ ღმერთმა შემაძლებინოს და შენი ფული გიშოვნო, მინამდინ ჩემი მამული შენ უნდა ქამო უდავოთ და უჩხუბროთ. და რაც შენი ფული გიშოვნო, ჩემი მამული უარის უთქმელათ მამცე. არის ამისი მოწამე ბერიანიძე იასე.

და მე, დემორაშვილს იოვანეს, დამიწერია რევაზას თხოვნით და ყაბულობით, და მოწამეც ვარ ამ ზემოხსენებული წერილისა.

329. XIX ს-ის 1-ლი ნახევარი. თამასუქი, მიცემული მირიგოზანთ სარქისას მიერ ნონია ნავტიკუას-შვილისადმი. დედანი. ზომა 35,5×22 სმ. დაწერილია მორუხო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14250 Hd.
თარიღი განისაზღვრება ხელის მიხედვით XIX ს-ის 1-ლი ნახევრის ფარგლებში.

ქ. ათას ოთხმოცს, მარტის ოცს, ამ დღეს ავიღე მე, მირიგოზანთ გურგენას შვილმა სარქისამ, შენ, ნავტიკუას-შვილი ნოხიასაგან, სამი თუმანი თეთრი რუსის სიქა მანათი ხუთი აბაზათ, რომ იქს ამისი ნახევარი ა ჭ (15 მანეთი) ამდენი. გირაოთ მოგეცი ჩემი ქვემო ოთახი თავის ბანით. მინამ შენი ფული მოგცე, ამდენს ხანს შენს ხელთ დაყოს ჩემ(ნ)ა გირაომ.

მე, ზაზანას-შვილმა ნინიამ, დამიწერია და მოწამეცა ვარ.

ამ ზემოხსენებული წერილის მე ყაბულსა ვარ მე, სარქისამ მირიგოზოვმა.

ქ. ბეჟან ფირალოვ(ი)საგან მომბარდა, სამი თუმნის თამასუქში ოთხი თუმანი თეთრი, სარქის მირიგოზოვს.

330. XIX ს-ის 1-ლი ნახევარი. თამასუქი, მიცემული ნანიულა ზოლუაშვილის მიერ პაატა ზოლუაშვილისადმი. დედანი. ზომა 15,5×9 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 8913 Hd.
თარიღი განისაზღვრება ხელის მიხედვით XIX ს-ის 1-ლი ნახევრით.

ქ. ავიღე მე, ნანიულა ზოლუაშვილმა, შენ, პაატასგან ზოლუაშვილისაგან, ორი ოქრო თეთრი. მოგეცი გირაოთ მანკაურს ხოსიკა მთხილიაშვილის ზიარი მიწა ჩემი წილი და კიდევ ვენახის ბოლოს საფერავი. არის ამისი მოწამე[1] და გამრიგე გოგია მამასახლისი და ხოსიკა მთხილიაშვილი, დათიკა გოგაშვილი, ბერუა გაგნიძე.

331. XIX ს-ის 1-ლი ნახევარი. ვალების ნუსხა უცნობი პირისა. დედნის შავი. ზომა 14,3×22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 6835 Hd.
თარიღი განსაზღვრულია, ხელის მიხედვით, XIX ს-ის 1-ლი ნახევრის ფარგლებში.

ქ. ივანიკა იობიძე და დათიკელა ქარჩხაძე გამიზიარა წიგნით. იობაძის საქმეშიდ დასჭირდა და ჩემი თეთრი მივეცი ორმოცდაოთხი მანათი და ერთი თერულის (?) ფარა, ერთი ფიშტო და ერთი პტყელი ძეწკვი ვერცხლის. კაცებიც წამართვა, აღარ მამსახურა და თეთრიც მეკარგვის ფიშტო და ძეწკვი.

ქ. სამი თუმანი ბარბაქაძის ბარათზედ ადევს და აღარ მომცა.

ქ. პეტრიე მწყერაშვილშიდ და ოფჩელს გეწაძეშიდ ჩემი საკუთარი რომელიც დავხარჯე, ნუსხა ამასთან წარმომიდგენია.

ქ. რომ გავიყავით გუთნეული, ერთი ხარი საზიაროთ დარჩა და მე დავაფასე რვა მანათათ და მაგან წაიყვანა და ოთხ მანათს შემპირდა. ხარი მაგან მოიხმარა, მე თეთრი აღარ მომცა.

332. XIX ს-ის 1-ლი ნახევარი. გადაწყეტილი თამასუქების სია უცნობი პირისა. დედანი. ზომა 34,4×21,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ სახ. მუზ. № 6502 Hd.
თარიღი განისაზღვრება ხელის მიხედვით XIX ს-ის 1-ლი ნახევრის ფარგლებში.

ქ. სია თამასუქებისა რაც გადაუწყვეტიათ:

ნ ქ. გიორგი სალთუხუცისაგან აღებული აფრიამაშვილის ზურაბისაგან ორმოცდახუთმეტი თუმანი თავნი.

[1] აქ ჯვარი ხის.

ია ქ. ნოქრის-შვილის სვიმონასი თერთმეტი თუმნის თამასუქი გრიგოლ ჩოლაყაშვილისაგან.

ს ქ. ქართველი სოლომანასი ოცი თუმანი მეფის ასულის და გრიგოლ ჩოლაყოვისაგან არის აღებული თამასუქი.

კე ქ. ქაიხოსრო სალთხუცისაგან აღებული ტერ-ყაზარას ვალი ოცდახუთი თუმანი.

ნზ ქ. გრიგოლ ჩოლაყოვისაგან არის აღებული ორმოცდაჩვიდმეტი თუმანი.

ჩკთ ქ. ზურაბას თამასუქი არის ბატონის შვილის ეკატერინასაგან და გრიგოლ ჩოლოყოვისაგან ასოცდარვა თუმანი.

იე ქ. მღებრის-შვილი ნინიასაგან აღებული გრიგოლ და აბელ ჩოლაყაევთაგან თხუთმეტი თუმანი.

�ბ ქ. ზურაბას თამასუქი არის გიორგი სალთხუცისაგან და გრიგოლისაგან ოცდათორმეტი თუმანისა.

ბ ქ. გიორგი სალთხუცისაგან არის აღებული ორი თუმანი ბუქურაულისა.

რმივ ქ. ასორმოცდათექვსმეტი თუმანი ბატონიშვილის საკუთარი ვალი ხაზინისათვის მიმიცია.

333. XIX ს-ის 1-ლი ნახევარი. თხოვნა უცნობი პირისა კ ა პ ი ტ ა ნ-ი ს პ რ ა ვ ნ ი კ ი ს ა დ მ ი თამასუქების განაღდების შესახებ. პირი. ზომა 18,3×11 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 5795 Hd.
თარიღი განისაზღვრება ხელის მიხედვით XIX ს-ის 1-ლი ნახევრის ფარგლებში.

კეთილშობილო უფალო კაპიტან-პრავნიკო (sic), მოწყალეო ჭელმწიფევ.

მდაბლად თავს დაგიკრავ და შენს მშვიდობით ბრძანების ამბავს ვიკითხავ. შენს აქ ყოფნაში რომ მოგახსენე, საერისთოში თამასუქებით ასაღები მაქვს და ამართვი და შენც მიბძანე გამორთმევა. ახლა ორი თამასუქი, ქართულებ დაწერილი, ერთი ავენისური და ერთი ქასის-ხეური, რუსულათაც თავთავის კოპია გარდმოლებული, მამირთმევ(ია), გთხოვ, ჩემის მოვალე(ე)ბისა, ძმა იყოს თუ შვილი, ამ თამასუქებით გამომირთო, თავის ამთენ ხნის სარგებლით.

იჯარა და ვაჭრობა

334. 1729 წლ. იანვრის 1. მ ძ ო ვ რ ე თ ი ს ბაჟის იჯარით აღების წიგნი, მიცემული გ ა ბ რ ი ე ლ ა ფ ი რ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ ბ ა გ რ ა ტ (ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი). დედანი. ზომა 14.×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3795 Hd.

ბ ა გ რ ა ტ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი „მცხეთის ზეითის“ განმგებელი იყო ოსმალთა ბატონობის დროს, 1727 წლიდან (იხილე ვ ა ხ უ შ ტ ი ს „ისტორია“, გვ. 135).

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ფირალაშვილმა გაბრიელამ, თქვენ, ბატონს ბაგრატს, ასე რომე მძოვრეთის ბაჟი ბედნიერის ვეზირის ბძანებით და ბუირუთით ჩემის ნებაყოფლობით მომეცით ამ იანვრის დამდეგიდამ იმ იანვრამდის. ექვსი თუმანი თეთრი უნდა მოგართვა, რომ ამაში ქართული აღარა გვაქვს რა.

დაიწერა იანვარს ა, ქ^კს უიზ.

ამისი დამხდური და მოწამე ბატონი ამილახორი გივი[1].

თუ ამაში გავმტყუნდე, ბედნიერის ვეზირის შემცოდე ვიყო.

მე, ძამუაშვილს პაპუას, დამიწერია, მოწამეც ვარ. +

335. 1769 წლ. ნოემბრის 10. არზა, მიცემული პ ა ა ტ ა ც ი ც ი ს-შ ვ ი ლ ი ს მიერ (ერ ე კ ლ ე II-ი ს ა დ მ ი) მ ძ ო ვ რ ე თ ი ს სამღებროს წყალობის თაობაზე. დედანი. ზომა 22×14 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14574 Hd.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწამტვერს ციცის-შვილს პა(ა)ტას. მერე ამას მოვახსენებთ: ბატონის პაპის თქვენისა და ბიძის თქვენის წყალობის წიგნი მომირთმევია, მძორეთის სამღებრო უბოძებიათ მამის ჩემისათვის. ამას ვევედრებით მათს სიმაღლეს, ქარელში რომ სამღებრო არის, იმის იჯარას წყალობა მიყოთ. როგორც ბატონის პაპის თქვენის წყალობის წიგნი მქონდეს, ნურც თქვენ მამიშლით. ღმერთმან ასე მაგათს მტერს გაუჭიროს საქმე, როგორც ჩვენ გვიჭირდეს. სიღარიბემ გაგვაბედინა თავის წყენა.

აღიწერა გიორგობის თვეს ათს გასულს, ქკს უნზ.

ქ. ჩვენი ბრძანება არის. მერე, ბატონს პაპას-ჩვენს და ბიძას-ჩვენს მძოვ-

[1] აქ ცარიელი ადგილია დატოვებული ბეჭდისათვის.

რეთის სამღებრო თქვენთვის უბოძებია. ჩვენ იმათს წყალობას არ მოგიშლით, ჩვენც თქვენთვის გვიბოძებია და დაგვიმტკიცებია. აღიწერა ნოემბრის კზ, ქკს უნზ. [___][1]

336. 1780 წ. ანანურის სამღებროს იჯარის ხარჯის ნუსხა (ბატონიშვილი ლევანისა). დედანი. ზომა 21,5×9,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით საქ. სახ. მუზ. № 3509 Hd.

ანანურის სამღებრო ეკუთვნოდა ლევან ბატონიშვილს, რომელსაც ამ ხანებში არაგვის საერისთო ეჭირა.

ქ^კს უჲᲪ, ამ წლის მარტის ათს ყარახანაშვილმა სულხანამ ანანურის სამღებრო იჯარით აიღო ოცდათორმეტ თუმნათ. ეს როგორც დახარჯულა, ხურდა-ბარათით, ამას ქვეით სწერია.

ბ̑	(ორი თუმანი)	ქ. თვითონ სულხანას ხალათათ მისცემია.
ი̑ძქ	(ცამეტი მინალთ. და სამი აბაზი)	ქ. ა ბარათით ნალბანდებს ვალში მისცემია.
ცუ	(ორი მინალთუნი და ორი აბაზი)	ქ. ა ბარათით მარილის ოსტატის ცხენების ქირათ.
ცფნ	(ორი მინალთუნი და თერთმეტი შაური)	ქ. ა ბარათით სახაბაზოს სამეზრეთ ოსური შალი ა ყ (ოთხი აბაზი). სამოსელი ადლი ზ₀—ფნ (თერთმეტი შაური), მარილი ლიტრა ვ—ჩს (ექვსი აბაზი).
ყ	(ოთხი აბაზი)	ქ. ა ბარათით მარილი ლიტრა დ.
ძფ	(სამი მინალთუნი და ათი შაური)	ქ. ე თოფი ხამი ერთის ბარათით, ა—ღ (თოთხმეტი შაური).
ჩუ	(შვიდი აბაზი)	ქ. ა ბარათით სტეფანა აქიმის ცხენის ქირა.
ჯფ	(შვიდი მინალთ. და ათი შაური)	ქ. ა ბარათით ლეინი ი; ა—უ (ორი აბაზი), ხამი თოფი ე, ა—ღ (თოთხმეტი შაური).
წ	(ოთხი მინალთუნი)	ქ. ა ბარათით ბეჟანა დურგალს მისცემია.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. ა ბარათით ხადაგი ე, (ა)—უ ორი აბაზი.
დ̑	(ოთხი თუმანი)	ქ. ა ბარათი ასათი ტანი ფარჩა. ამაში ხამი იყო თოფი მ, ა—ღ (თოთხმეტი შაური); ლეინი იყო ლ, ა—უ (ორი აბაზი).
ხ	(ერთი აბაზი)	ქ. ა ჩემის ბარათით მარილი ლიტრა ა.
ბ̑	(ორი თუმანი)	ქ. ა ჩემის ბარათით თეთრი, რომ ეს თეთრი გზირისშვილის მღვდლისათვის მიმიცია და იმას რომ ბატონის-შვილის ბარათით აქვს, იმაზე მომიწერია.
ბ̑ხქ	(ორი თუმანი ექვსი, მინალთ. და სამი აბაზი)	ქ. ა ბარათით ჩილგდრებს თავიანთ ვალში.

[1] შურის ბეჭედი, ერეკლეული უნდა იყოს.

ჩს (ექვსი აბაზი) ქ. გ ლეონი ყაითუყას ბარათით.
დ (ოთხი თუმანი) ქ. ა ბარათით რევაზ ნაზირს.
ა ჭ (ხუთმეტი მინალთ.) ქ. სალთხუცის-შვილს ოთარას ოცის თავი მისცემია.
ჩ (ერთი მინალთუნი) ქ. ჭილას-შვილის ქვრივს მისცემია.

337. 1784 წლ. მარტის 10. სამღებროს იჯარის წიგნი, მიცემული გ ო გ ი ა ც ი ც ი შ ვ ი ლ ი-ს ა დ მ ი. დედანი(?) ზომა 20×7,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3835 Hd.

ქ. ესე წიგნი მოგართვი შენ, გოგიას ციციშვილსა, ასე რომა შენი სამღებრო მიბოძე ექს თუმნათ და ორ მინალთუნათ. ასე უნდა იჯარა მოგართვა, რომა ექსის თვის თავს მოგართვა და ექსი თვე რომ გამოვიდეს, იმას გარდა რამთენი თვე გამოვიდეს, თვის და თვის თავს მოგართვა ხო(ლ)მე ხუთ-ხუთი მილანთუნი (sic). არის ამისი მოწამე უთრუთიშვილი ნიკოლოზ, ზალია მეღვინეთ-ხუციშვილი. დაიწერა ეს წიგნი მარტის ათს იმა მარტის ათამდი ი, ქკს უობ.

338. 1788 წლ. ოქტომბრის 10. ლ ე ო ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს იჯარების ხარჯის წიგნი. დედანი. ზომა 15,5×9 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3649 Hd.

ქ ̄კს უ̄ოგ, ამ წელს სარქრიდამ დაბაღი არუთინას აღებულს იჯარებზე ბატონის-შვილის ლე(ო)ნის ვალში მისაცემათ ოცდაორის თუმნის ბარათი მქონდა. არუთინამ ამაში დემურჩი ასანლუზე ოცის თუმნის სარქრის ბარათი მამცა. იმ ოცის თუმნის ბარათში ქ ̄კს უოვ, ამ წლის ღვინობის თვის ი ბუჭ-ყიშვილმა ივანემ რაც ყასბებს შემაპირა და გამოვართვი, ამას ქვეით სახელ-დობრ სწერია:

ბ (ორი თუმანი) ქ. ყასაბი აფრასიობს გამოვართვი.
გ ჭ (სამი თუმანი და შვიდი მინალთუნი) ქ. ყასაბი არუთინას გამოვართვი.
ბ (ორი თუმანი) ქ. ყასაბი რიზა ყულის გამოვართვი.
ა (თუმანი) ქ. თვითონ ივანემ მომცა ალთმიშლუღ(ი).
ძ (სამი მინალთუნი) ქ. ჩემი ბიძაშვილი გოგიასთვის მიეცა.
ჰფ (შვიდ მინალთუნ-ნახევარი) ქ. თათრის გირაო თოფისა ყასაბმა ბაღდასარამ მომცა.
ე (ხუთი თუმანი) ქ. დანარჩომის ასაღებათ არუთინამ თავისი სიძე გა-

		გზავნა, იმისი მოტანილი მამბარდა, რომ ბარათი- მივე. რაც თავის სიმამრისათვის მიეცა, თვითონ- იცის და დანარჩომი იმის ზურგზე დამაწერინა.
Verso:		
		დარჩომილი:
ჩ	(რვა აბაზი)	ქ. ილმაზლუზე.
ჩუ	(შვიდი აბაზი)	ქ. მანზარლუ მირზა ალიზე.
ა	(თუმანი)	ქ. ქეშალუ სამად ბეგზე.

339. 1790 წლ. ივლისის 23. არზა, მირთმეული ქისიყის იჯარადრის გასპარა-შაროას-შვილის მიერ ალექსანდრე ბატონის-შვილისადმი ერთი თუმნის ბარათის თაობაზე. დედანი. ზომა 22×11,7 სმ. დაწერილია მონაცრისფრო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი, ორწერტილი ან მრავალწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 5259 Hd.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჭელმწიფის ძის ალექსანდრეს ჭირი მოსცეს ქის(ი)ყის იჯარადარს შაროას-შვილს გასპარას.

ჩვენო მოწყალეევ, მოგეხსენებათ, ჩემი იჯარა გადაწყვეტილი მაქვს. იმთავათ დახარჯული არის მოხელ(ე)ების მარიფათითა და ბატონის მუფაზაც ხელში მიჭირამს. ამისი საბაბობაზე(?) მაბლაღი ვალი დამედო, რომ იმ თავათ დახარჯეს. ახლა ბებურის-შვილისთვის ერთი თუმნის ბარათი გიბოძებიათ. თავიც რომ გამაგდებინო, მე იმისი მიცემა არ შემიძლია. ნეტაი იმთენი აუვიდე, რომ ეს ჩემს ვალებს მოვრჩე. თქვენის ხათრითა ბატონს არ შევატყობინე, ბატონის ოქმიცა მაქვს და ბძანებაცა. ღმერთი გადღეგრძელებს, ერთი ოქმის წყალობა მაღირსე, რომ ჩემზე ხელი აიღოს, ჩემი ზარალიც თქვენია. ვიცი რომ ჩვენი მოწყალე ბძანდებით. კათათივის კგ, ქკს უოᲪ.

ქ. ეშიკაღ(ა)თბაშო ბებურის-შვილო გარსევან, მერე შენ რომ ამას წინათ ბეკდის იჯარადარს შარუაშვილს გასპარაზედ ერთი თუმნის ბარათი რომ გიბოძეთ და ახლა ასე შევიტყვეთ, რომ აღარა დარჩომილა რა ამ შარუას-შვილზედ და სულ დაუხარჯამთ, და შენ ხელი აიღე, ნულარ შეაწუხებ, და მაგის სანუქაფოს მოგცემთ საითმე. და ვისაც სხვას ქონდესთ ბარათი ჩვენი ნაბოძები, იმათაც ხელი აიღონ.

კათათვის კგ, ქკს უოᲪ.

ალექსანდრე [1]

[1] მურის ბეჭედი.

340. 1790 წლ. სექტემბრის 21. ბრძანება ერეკლის II-ისა თელავის საბეჭდავის იჯარადრებისადმი დავით ალექსის-შვილის ჯამაგირის თაობაზე. დედანი. ზომა 11,5×8,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3700 Hd.

ქ. ვინც თელავის საბეჭდავის იჯარადარნი იყვნეთ, ხუთს თუმანს მოსცემდეთ ხოლმე ყოელს წელს ალექსის-შვილს დავითს თავის ჯამაგირში, რომ იქს ამისი ნახევარი ბ̄ ჭ (ოცდა ხუთი მინალთუნი) ამდენი. ამას ჩვენი მოხელები ანგარიშ(შ)ი ჩაიგდებენ. სეკდემბრის კა, ქ̄კს უოᲩ.

ერეკლე[1]

341. 1789—1791 წ.წ. ჩელიექისა, საყარაულოს და მარილის იჯარის ხარჯის წიგნი. დედანი. ზომა 21,5×10 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3647 Hd.

ქკ̄ს უოზ, ამ წელს ჩელიექი და საყარაულო და მარილი სიძე შაქარას და იოსებას იჯარით ჰქონდათ. რაც ჩვეთვის მოუციათ და დაგვიხარჯამს, ამას ქვეით სწერია.

ბ̄	(თუმანი)	ქ.	ა ბარათით	თეთრი.
ჭ	(ხუთი მინალთუნი)	ქ.	„ „	მოვი შიოშს.
ბ̄ ჭ	(ხუთმეტი მინალთუნი)	ქ.	„ „	თეთრი.
ქ	(სამი აბაზი)	ქ.	„ „	მუშის თავს.
ხ	(ექვსი მინალთუნი)	ქ.	„ „	მუშებისთვის.
ყ	(ოთხი აბაზი)	ქ.	„ „	შიოშს ტარიელისათვის მიუცია.
ჩ	(ხუთი აბაზი)	ქ.	„ „	თეთრი.
ყ	(ოთხი აბაზი)	ქ.	„ „	გივს ქოშის ფასი.
ჩლ	(მინალთუნი და თოთხმეტი შაური)	ქ.	„ „	შიოშს ტარიელისათვის ა ლეინი და ტილო.
ძ	(სამი მინალთუნი)	ქ.	„ „	მუშისათვის.
ჴ	(შვიდი მინალთუნი)	ქ.	„ „	იავანგულანთ მურადას ვალში.
ფ	(ათი შაური)	ქ.	„ „	შიოშს ხელსახოცი წაულებინებია.
ბ̄ ც	(თორმეტი მინალთუნი)	ქ.	„ „	თეთრი.
ჩ	(ხუთი აბაზი)	ქ.	„ „	ფული და ხელსახოცები.
ჴ	(შვიდი მინალთუნი)	ქ.	„ „	თეთრი.

[1] ბეჭედი.

ჩშ	(ორ იმინალთუნი ორ-შაურ ნაკლებ	ქ. ა ბარათით	შიოშს ა ლეინი, ვ ადლი ნირმა.
ცქ	(ცამეტი აბაზი)	ქ. „ „	შიოშს ტარიელისათვის ჩოხა მი(უ-ცია).
ჭ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. „ „	შიოშს ხარჯათ.
ა ცფ	(თორმეტ მინალ-თუნ-ნახავარი)	ქ. „ „	გი ადლი ნიმი ყმარწვილებს.
ჩ	(ხუთი აბაზი)	ქ. „ „	შიოშს წაუღია.
ა	(თუმანი)	ქ. „ „	ანდრიას ჯამაგირში.
ქ	(სამი აბაზი)	ქ. „ „	შიოშს ტარიელისათვის ქუდის ფასი.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. „ „	ერთი ლიტრა ბანბა.
ჩ	(ხუთი აბაზი)	ქ. „ „	თეთრი.
ცქნ	(ორი მინალთუნი და ცამეტი შაური)	ქ. ა მოკითხვის წიგნით.	
ყ	(ოთხი აბაზი)	ქ. ა ბარათით	შიოშს წაუღია.
ა	(თუმანი)	ქ. „ „	თეშირი(?) და შავი.
ჩ	(ერთი მინალთუნი)	ქ. „ „	თეთრი.
ა ხ	(თექვსმეტი მინალთ.)	ქ. „ „	თეთრი.
ცუ	(თორმეტი აბაზი)	ქ. „ „	ბ ურმის ფირჩხის ფასათ.
ა ც	(თორმეტი მინალ-თუნი)	ქ. „ „	თეთრი.
ჩ	(ხუთი აბაზი)	ქ. „ „	გოგია გაბაშვილს.
დ	(ოთხი თუმანი)	ქ. „ „	თეთრი.
ძ	(სამი მინალთუნი)	ქ. „ „	თეთრი.
წ	(ოთხი მინალთუნი)	ქ. „ „	თეთრი.
ჭ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. „ „	გაბაშვილს ანდრიას.
ტ	(ექვსი შაური)	ქ. „ „	ა$_0$ სტილი შაქარი.
ა	(თუმანი)	ქ. „ „	თვითონ მაიას წაუღია თეთრი.
ჭფ	(ხუთი მინალთუნი და ათი შაური)	ქ. „ "	შიოშს სალეჩაქები წაუღებინებია.
უ	(ორი აბაზი)	ქ. უბარათოთ	აბანოს ფული.
ნ ჯ	(ჩვიდმეტი მინალ-თუნი)	ქ. ბ რძლის ბართით.	
ი ბ	(ცამეტი მინალთუნი)	ქ-კს უოთ, ქრისტიშობის დ	მერაბ-ალას შემაპირეს.

ჯ ა მ ი ს ს ა ხ ე ლ ი: ლ ვ ჭ ნ (ოცდა თექვსმეტი თუმანი, ცხრა მინალთუნი და ერთი შაური).

342. 1792 წლ. ივლისის 4. არხა, მიცემული აბელა ვექილ-ხარჯის მიერ ერეკლე II-ისადმი მობარათეებისა, სტუმრებისა და ქარხნის ხარჯის თაობაზე. დედანი. ზომა 23×17 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14887 Hd.

ქ. ღ᾽თან ბედნიერის ჴელმწიფისა ჴირი მისცეს მათ მონას, ვექილ-ხარჯი აბელას. მერმე ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს—ღ᾽თან თქვენი მუხანათი და ორგული შეაწუხოს, როგორც მე დაღონებული გახლავარ. ღ᾽თან ვფიცულობ და თქვენს ბედნიერ თავს, რომა მობარათ(ე)ებისათვის და სტუმრებისათვის და ქარხნისა ხარჯისათვის ასე შეჭირვებაში გახლავარ; თუ სადმე ვიმალები, მომიხდებიან შინა, კარებს მიმიმტვრევენ და ცოლშვილთან ავად მეპყრობიან. მუდამა ამა სატანჯველში გახლავარ, ეხტიბარი აღარ დამრჩომია. ამა წყალობას გთხოვ თქვენს მოწყალებისაგან, მრავალი დაღონებულის და შეწუხებულისა მოწყალე ბრძანდებით, ან ერთი ოქმი მიბოძოთ, ცოტახანს ჩემზედ ბარათი არ დაიწეროს, არც სტუმარისათვის და არც ქარხნისათვის არა შემაწუხონ, მანამ ჩემი ანგარიში მოხელე(ე)ბთან გავასწორო. თუ სარქრისა დამედოს რამე, შვილები გავყიდო და მივართო. თუ ჩემი სარქარზედ დარჩეს, მებოძოს, რომა ისევ სამსახური შევიძლო. ჩემო ხელმწიფევ, მოხელე(ე)ბს ბევრჯერ მოვახსენე და შევტირე, ყურს არავინ არ მიგდებს. წელს გორის იჯარაზედ ბარათი მომცეს, ერთი ფული არა მომეცა, ბარათი უკან მომიტანეს. ღ᾽თნ შვილებს გიდღეგრძელებს, მოწყალება მოიღევით ჩემზედ, ამა შეჭირვებასა და სატანჯველს მომარჩინეთ, ღ᾽თნ ყოველსა განსაცდლისაგანა დაგიფაროს.

კათათვის დ, ქ᾽კს უპ.

Verso სხვადასხვა ხელით: მელიქისგან და მანუჩარ მდივნისგა(ნ).

ქ. ა(მ) ბარათის თალთა მა(მ)ბარდა მე, აბელ ვექილ-ხ(ა)რჯს.

ᲙᲬ (20 თუმანი და 4 მინ.) ქ. ამაში მიეცა მარმარი თოფი ჩვიდმეტი, ᲐᲑᲒ (12 მინალთ.) იქნება.

Recto საბუთის თავზე სხვა ხელით:

ქ. მელიქო ავეტიქ და მდივანო მანუჩარ, ახლა რომ ქალ-ოჰანეზას საქონელი იყიდეთ, იქიდამ ამ ვექილ-ხარჯს ოცის თუმნისა მოეცით და თავლათ დააწერეთ.

მკათათვის ი, ქრკ უპ. ერეკლე[1]

[1] მურის ბეჭედი.

343. 1796 წლ. იანვრის 1. შართლამის წიგნი, მიცემული ძმების თარხნის-შვილების მიერ მღებრების გასპარა და შაქარასადმი, ახალქალაქის სამღებროს იჯარით გაცემის თაობაზე. დედანი. ზომა 21×13 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3859 Hd.

ქ. ესე შართლამის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, თარხნის-შვილმა მეითარმა სოლომონ, ძმამა ჩემმა დავით, დიმიტრიმ, ლუარსაბ და ბესარიონმა, თქვენ, მღებრებს გასპარასა და შაქარას, ასე რომ ბედნიერის დედოფლის ბრძანებით ახალქალაქის სამღებრო ჩვენ გვებოძა და ჩვენ თქვენთვის გვიბოძებია წელიწადში თორმეტ თუმნათ, რომ იქს ამისი ნახევარი ვ(6 თუმანი) ამდენს. ორს წელიწადს თქვენს ხელში უნდა იყოს, რომ ამისი თქვენი მცილე არავინ იყოს და მასუკანაც როგორც თქვენი ეხტიბარი ვნახოთ, კიდევ თქვენვე მოგვბაროთ. მაგრამ, თუ ვინ იცის, ღმერთმა ნუ ქნას, და ერთი ბაგრასტობა მოხდეს რამე, ჩვენგანაც სამართალი დაგემართოსთ. იანვარს ა, ქკს უპდ. |სოლომონ| [1]

დიმიტრი, ლუარსაბ, დავით, ბესარიონ [2].

344. 1796 წლ. აპრილის 2. წერილი მედუქნე ისაისა (მანუჩარ?) მდივნისადმი ანგარიშის გასწორების თაობაზე. დედანი. ზომა 31,2×10,3 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 6547 Hd.

ქ. ღმერთმან ბატონის მდივნის . . . . შეწყენა ნუ გა(ა)გონოს ისაის. მერე, როგორ გეკადრებათ, რომ ამ რიგ წიგნს იწერები. ეს მიბძანე, რა დანაშული მაქვს ან რა მმართებს თქვენი? თუ . . . წელიწადში ჩემზე ბარათი გქონდა, თქვენ ბარათს რომ ჩამოგართმევდი შენ, მაგიერს ჩემის თავით მოგცემდი. მაშინ ოთხნი ამხანაკნი ვიყავ(ი)თ. ვინც შენი ბარათი ჩამოგართვა, თუ კისერზე აიღო შენი ბარათი, იმისი წერილი გექნება და ოთხს ამხანაკში მე რათ გაწყენინებ? თორემ როდესაც შენ ჩემზე ბარათი აგეღო, იმ თავნში ჩვენი იჯარა მთლათ მოცემული იყო და შენი ბარათი თქვენვე გახლდათ. ვინც ჩამოგართვათ ბარათი და რაც პირობა დაგიდვა, შენ იცი და იმანა, მე რას მემართლები? თუ ჩემი დუქნიდამ დაგიხარჯამთ რამე, მოველე ხარ და სარქრიდამ ასაღები ვარ სამართლით და იმისთვის გემსახურებით. ახლა თუ უსამართლოს იკადრებთ და ჩემის ამხანაკების წერილი გექნებათ, რაც შემხვდება, თუ არ შეგძულდები, თუ არა და ექვსი თუმნის კიდევ მეტი დაგიხარჯავსთ

[1] ბეჭედი.
[2] ხელრთვა.

რამე რაც მობძანებულხართ. სამსახურის მაგიერ[1] არის, რომ მე უსამართლოთ მომეკიდო? ჩვენ სომეხი კაცნი გახლავართ, ჩვენის პირისა და ჩვენის წერილის მონანი ვართ. მე ხომ არა ვიცი რა და თუ სტეფან(ა)ს წერილი გახლავთ, ის კი არ ვიცი, ან თქვენ რა პირი მიგიციათ, ან იმას. ბატონო, რასაც ჩემგან ხარჯამ, თქვენი ვალი არის და თუ მაშინდელი დავა გაქვსთ რამე, ოთხი ამხანაკი გახლავართ, მე რას მემართლები?

აპრილის ბ, ქკს უპდ.

345. 1796 წლ. დეკემბრის 2. ყაბზი, მიცემული იოსებ ყორღანაშვილის მიერ გასპარა და შაქარასადმი ახალქალაქის სამღბროს იჯარის მიღების შესახებ. დედანი. ზომა 14,5×9,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3861 Hd.

ქ. მამებარა მე, მილახვარს ყორღანაშვილს იოსებს, შენ, ახალქალაქის სამღებროს იჯარადარი გასპარასაგან და შაქარასაგან, ამ წლის იჯარა თორმეტი თუმანი, რომ იქნება ნახევარი ‿ s (6 თუმ.) ამდენი. ქრისტიშობისთვის. ბ, ქ~კსუპდ. მის სიმაღლე ბედნიერი დედოფლის ბრძანებით.

[2] იოსებ

Verso სხვა ხელით: ესეც დახსნილია და ბათილი არის.

346. 1799 წლ. იანვრის 10. ბრძანება დავით ბატონიშვილისა ჩელიექის იჯარის თაობაზე. დედანი. ზომა 22×13 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 357 Sd.

ქ. ბატონის-შვილი დავით გიბძანებთ, მერე ვინც ვინ ჩელიექზე ჯამაგირის ბარათი გაქვსთ და ან სხვა მობარათენი ხართ, ჯერ ორმოცამდისინ ამისი იჯარით აღების ყავლი აქვსთ. ახლა ამთავით ძალა არავინ შეგიძლიათ. მის უმაღლესობის ბრძანებაც აქ არის. ახლა ეს ქაქალა ჯერ არც იჯარადარი არის და არც ამანათქარი. ჰალბათ (sic) ამ ცოტას ხანში ან იჯარადარი გაჩნდება, ან ერთი ყაღნში ამანათქარს დავისომთ ვინმე და ყველას თავთავის რასათით ყველას მიეცემა. და თუ ვისმეს სიტყვა ჰქონდეს, მოვიდეს და ჩვენ მოგვახსენოს, ჩვენ გზას მივცემთ.

იანვრის ი, ქ~კს უპზ. [3] დავით

[1] დედანში: „მაგიარ“.
[2] ბეჭედი მხედრ. წარწერით.
[3] ქართულ-თურქული თუ ქართ.-სპარსული მურის ბეჭედი.

347. 1799 წლ. იანვრის 23. ბრძანება გიორგი XII-ისა მოლარეთ-ხუცის ნაიბის კაკალასადმი ჩელიექის იჯარის თაობაზე. დედანი. ზომა 21×16 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი. საქ. სახ. მუზ. № 358 Sd.

ქ. ჩვენი ბრძანება არის, მოლარეთ-ხუცის ნაიბო კაკალავ, მერე შენ რომ მანდ ჩელექში მოხელე(ე)ბს განუწესებიხარ, მადამდინ იჯარადარი გამოჩნდებოდეს ვინმე, შენ უნდა კარგათ ბეჯითობით და ერთგულათ მოუარო, რომ ჩვენი საქონელი არა დაიკარგოს რა. და რომელთაც ჩვენი ბარათი აქვსთ ჩელიექზედ, წლის მოჯამაგირე(ე)ბისა თუ სხვა, ყველა ბარათები ორმოცს დღემდის დაგვიყენებია. ორმოცს დღეს უკან ქარავანი რომ მოვიდეს, ყველას რიგით მობარათეს მიეცი. ჩვენის შვილის დავითისათვისაც მოგვიწერია, რომ მობარათე ვერავინ ვერ შეგაწუხებს და არცავის შეგაწუხებინებს, არც ჩვენის ბარათითა და არც თავისის ბარათითა. თუ რომ შეგაწუხებს ვინმე, ეგ ჩვენი იჯარა დააგდე და შენ ჩვენთან წამოდი, და მასუკან ჩვენ ვიცით და იმ კაცმა.

იანვრის კგ, ქ-კს უპზ. [გიორგი][1]

348. XVIII ს-ის დასასრული. ანგარიშის წიგნი აღალო (ყორღანაშვილისა). დედანი(?) ზომა 15,5×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3878 Hd.

საბუთი თარიღდება დაახლოებით, ხელისა და რეალიების მიხედვით (შდრ. აქვე საბ. № 3875 Hd, რომელიც შეეხება ყორღანაშვილების სამღებროს იჯარას).

ხ	(ექვსი მინალთ.)	ქ. ე თოფი შილა, ა—ჩს (ექვსია ბაზი).
ძქ	(თვრამეტი აბაზი)	ქ. გ წითელი ლეინი, ა—ჩს (ექვსი აბაზი).
ძ	(სამი მინალთ.	ქ. გ შავი ლეინი, ა—ჩ (ერთი მინალთუნი).
ჩფ	(მინალთ. და ათი შაური)	ქ. ა ჯიგარი ლეინი.
ჯფ	(შვიდი მინალთ. და ათი შაური)	ქ. ე თოფი ხამი, ა—ჩფ (მინალთ. და ათი შაური).
ცს	(ორი მინალთ. და ერთი აბაზი)	ქ. ა თოფი წმინდა ნარმა.
ჩ	(მინალთუნი)	ქ. ბ უბე მუშის ხელსახოცი, ა—ფ (ათი შაური).
ჩუ	(შვიდი აბაზი)	ქ. ზ ადლი მიანა ქათანი, ა—ს (ერთი აბაზი).

[1] მურის ბეჭედი.

შ (თვრამეტი შაური) ქ. გ ადლი წმინდა შავი ლეინი, ა—ტ (ექვსი შაური).
ᲐᲨ (ცხრამეტი მინალ.) ქ. ით ლურჯი ლეინი, ა—შნ (ცხრამეტი შაური).
ღ (თოთხმეტი შაური) ქ. ამების ქირათ ველის-ციხის მოვრავის კაცებს მივე.

ესები ამას წინათ მოგართვი თქვენ მილახვარ-ბაშის ხელით. ერთი ნუხსა მოგეწერა დანარჩომის, იმაში ხამის არ მოგეწერა. თუ მოგსლია, არ ვიცი, დაგვიწყებია თუ არა[1].

Verso: როგორ მამხდარ(ა), ხუთი თოფი ხამი არ მოგეწერა, მილახვარმა არ ჩამიგდო. ასე ბრძანა: „აღალოს ამ ნუხსაში არ დაუწერიაო". თუ გზაზე მოიპარეს, ველის-ციხის მოვრავის კაცებისათვის ქირა მიმიცია, იასესთვის და დემეტრესთვისა. ეს იქითი პირის საქონელი სულ იმითვის გამომიტანებია, მაგათ გარდახდებიან. თუ დაგვიწყებია, რა დასავიწყი იყო, რომ დაივიწყე. ეს კარგათ მოიკითხე. თუ დაგვიწყებოდეს, ხუთი თოფი ხამის ბარათი გამომიგზავნე. ა თოფი ჩფ (მინალთუნი და ათი შაური) ასრე. იქს—Ჯფ (შვიდი მინალთუნი და ათი შაური), ამდონის ბარათი გამოგზავნე, რომ სამღებროს იჯარადარს მივცე. კაცი რომ სამსახურს ცდილობდეს, ბოლოს აქურდებდეთ, არც თქვენ გეკადრებათ, აღარც ამ კაცს შე(ე)ძლება სამსახური. მე დანაშაული არა ძაქვს რა. ეს ხამები თქვენს ნონიას თავის ხელით იმ საქონლის ჩაუყლყთ(?) გაუკეთებია, ისე მ(ო)ურთმევია, დიაღ ბევრი მოწმები მყავს, რომ გამ(ო)ერთმევინოს.

349. XVIII ს-ის დასასრული. წერილი ავთანდილ მირიმანოვისა აღალო ყორღანოვისადმი სამღებროს იჯარის თაობაზე. დედანი. ზომა 21,5×11 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხეორული ხელით. განვკვეთილობის ნიშნათ ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3875 Hd,
თარიღდება ხელისა და რეალიების მიხედვით, რომლებიც ამ საბუთს XVIII ს-ის უკანასკნელ ათეულს მიაკუთვნებენ.

აღალო-ბეგს.

ქ. ჩემს მოწყალეს ბატონს, კნიაზ (აღალო ბეგს), მათი ბანდა სამსახურის ღირსებას მოვახსენებ. მერმე ამას მოგახსენებთ, საქმე ასე მოხდა, რომ სამღებრო მილახვარმა მიბოძა იჯარითა. ვახსენე ღმერთი და შევები. ვნახოთ, როგორ მოხდება. პირველ ღთის მოწყალება და მასუკან ბატონისა. თქვენი შემწეობით, ეგების ასე მწარეთ წამხდარი და დავარდნილი კაცი ამაყენოთ. ახლა ვნახოთ, ჩემო ბატონო, თუ როგორ მომეხმარებით. ამ თავით მობარათემ არ შემაწუხოს. ცოტა ხანი ჯილავი შეანახვინოთ. შენმა დღეგრძელობამ, თუ არ გეწყინებათ, ვალი გაძეს, რომ მომეხმაროთ და შემეწიოთ. ეს წიგნი საიდუმლოთ წაიკითხეთ. იქ მილახვრისთვისაც ბამიხსენებია და თქვენც მოგახსენებთ, იცოდეთ და გახსომდესთ, მაისის დამდეგამდის არის ვადა მო-

[1] აქ წაჭრილია სტრიქონი.

მატებისა. ვინიცობა არის, თუ მანდ ვინმე მოვიდეს ჩამი აღებულზედ მოსამატებლად, მუყაითი ბძანდებოდეთ, რომ არ ვის მიაცემინოთ. რაც მოუმატონ, მე ყაბული მაქვს, ისე მე ავიღებ და თუ არავინ მოუმატებს, ხომ მიჭირავს და ვარ. ეს საიდუმლოთ იცოდეთ. მილახვრისათვისაც მიმიწერია და მირიასთვისაც დამირიგებია. თუ იქ წავა ვინმე, იმათ იციან და თუ მანდ გიახლებათ, თქვენც ხომ ეს არის მოგახსენეთ. ჩემი უფრო ჰახია ვირემ სხვაზედ. ჰალბათ არავის მიაცემინოთ.

ყოველთა ფეხთა მიწა და მათი ბანდა ავთანდილ მირიმანოვ ძე ოსეფასი მოვახსენებ აპრილის იბ.

Verso დედნის ხელით: ჩემო საჰიბ, ნურავის გამოუცხადებ თუ ავთანდილას ასე მოუწერია. ამიტომ ამ თავით მოგახსენე, რომ იცოდე: ქვეყნის საქმე არის, თუ კარგათ დაინახვენ, ხომ მოუმატებენ და თუ არა და ან ვინ მოუმატებს და ან ზარარში ვინ მომიდგება. ამიტომ უნდა გებრალებოდეს საწყალი ჩემი თავი. ღ~თმა ნუ მოგაკლოსთ თავისი უხვი მოწყალება. ამინ.

იმავ ხელით ცალკე: ქ. ღ~თით, აღალობეგ ორღანოვს (sic) მიერთოს.

350. 1800 წლ. ივნისის 7. ბრძანება დავით ბატონიშვილისა სურამის მოურავების ევგენ და დავით აბაშიძეებისადმი სურამისა და ხეფინის-ხევის ბაჟისა და სამღებროების იჯარით გაცემის შესახებ. დედანი. ზომა 20×14 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3855 Hd.

ქ. ბატონს სურამის და ხეფინის-ხევის მოურავნო, აბაშიძეებო ევგენ და და დავით, მერმეთ როგორც რიგი იყოს და ჩვენი შესამატი, სურამის ბაჟს, სამღებროს, და ეგრეთვე ხეფინის-ხევის სამღებროს თქვენ უნდა გასცემდეთ და ჩვენ მოგუართმევდეთ. ჩვენი შემოსავლიდამ ათის თავს თქვენ აიღებდით.
ივნისის ზ, ქ~კს უპ. [1] [დავით]

351. 1802 წლ. იანვარის 1. ჰავლაბრის და აბანოს კარის სამინბაშოს იჯარის წიგნი, მიცემული უზბაშანთ ისაიას მიერ მანუჩარ მდივნისადმი. დედანი. ზომა 17×11 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 14585 Hd.

ქ. ბატონი მანუჩარ მდივნისაგან ავიღე ჰავლაბრის კარის სამინბაშო და აბანოს კარის სამინბაშო ბაღებით, თავის განწესებით, სამოც თუმნათ, მე, უზ-

[1] ბეჭედი.

ბაშანთ შაქარუას შვილი ისაიამ. აქედამ ხუთი თუმანი ჩემი ხალათი. ორმოცდა თხუთმეტი თუმანი თაფაათით (sic) თვე და თვე მოგართო. ღ~თნ ნუ ქნას, თუ ბარგაშტობა მოხდეს, რაც სხვა მოიჯარეს სამართალი მოეცეს, ისრე მე. ამ იანვრიდამ მომავალს იანვრამდინ.

იანვრის ა, ქ~კს უჟ[1].

352. 1802 წლ. დეკემბრის 19. არბოს სამღებროს იჯარის ანგარიში, შედგენილი გ ი ო რ გ ი ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი ს მიერ. დედანი. ზომა 21,5×21 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3589 Hd.

ქკს უჟ, ამ წელს იანვრის იე არბოს სამღებრო მდივანი მანუჩარისაგან თოთხმეტ თუმნათ იჯარით აეღო დონდარაშვილს გოგიასა და მისის მსვლელობის (sic) საქართველოს მმართებელს პეტრე ფანიჩის ბძანება გვქონდა თავადს გიორგი ამილახვარს და ანგარიში გამოგართვით.

დ	(ოთხი თუმანი)	ქ. მანუჩარ მდივანს დ(ა)ეხარჯა ორის ბარათით ოთხი თუმანი. პირველი ბარათი მარტისა ᲘᲐ იყო და მეორე ბარათი მაისის ე.
ბ	(ორი თუმანი)	ქ. ერისთვიანთ დაეხარჯათ ორი თუმანი ბარათით ივლისის ი.
ა	(ერთი თუმანი)	ქ. ეკლესიის წმინდის გიორგის არბოს შეწირული არბოს დეკანოზ დ(ა)ეხარჯა ბარათით ერთი თუმანი მკათათვის ა.
ბწ	(ორი თუმანი და ოთხი მინალთუნი)	ქ. კაპიტან ისპრავნიკს დ(ა)ეხარჯა თავისი ბარათით ორი თუმანი და ოთხი მინალთუნი სეკდემბრის კდ.
ა	(თუმანი)	ქ. მოურავს მირზაშვილს დაუხარჯამს თავისი ბარათით თავის ათის თავში ერთი თუმანი მკათათვის ა.
�ხ	(სამი თუმანი და ექვსი მინალთუნი)	ქ. ჯანუაშვილი გოგიასათვინ მიგაცემინე დანარჩომი მაღაქელაშვილის ბარათით სამი თუმანი და ექვსი მინალთუნი დეკემბრის იᲘ.

იქნა ზემო ექვსი კალმის მიცემულის ჯამი თოთხმეტი თუმანი.

ეს ბარათები ჩვენ გამოგართვით და ეს ერთიანი დიდი ბარათი მოგეცით თოთხმეტი თუმნის, რომ ამ იჯარის შენზედ აღარა არისრა დარჩომილი, დეკემბრის ით, ქ~კს უჟ.

თავადი გიორგი ამილახვარი.

---

[1] აქ მოსდევს ხელრთვა.

353. 1805 წლ. მარტის 10. აბანოს იჯარის წიგნი, მიცემული ხამამადა-შვილის მამადას მიერ მეითრის-შვილი მდივანი ნინიასადმი. დედანი. ზომა 22,3×17,5 სმ. დიწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 5490 Hd.

ქ. ავიღე მე, ხამამადა-შვილი ჩითავი მამადა(მ), თქვენ, მეითრის შვილი ბატონი დივანი ნინიასაგან, თქვენი აბანო. ოთხმოც თუმნად ავიღეევით, რომ იქს ამისი ნახევარი ̄ (40 თუმ.) ამდენი. ოთხმოცი თუმნიდამ ოთხი თუმანი ჩემი ხალათი არის და სამოცდათექვსმეტი თუმანი თქვენ მოგართოთ უკლებლათ თვე-და-თვე თაფ(ა)უთითა (sic), ამ ნავრუზიდამ მომავალ ნავრუზამდინ. რაც რომ აბანოს ხარჯი იყოს, კედელზე თუ წყალზე თუ ფიცარზე, რაც რომ მოუ(ნ)დეს, იჯარიდამ დაიხარჯოს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ბარგაშტი მოხდეს — როგორც სხვა აბანოების იჯარ(ა)დრებს გადახდეს, ისიც ჩვენ. ხამამადას-შვილი ჩითავი მამადას სიტყვით მე, ბოლისელი ოსეფას, დამიწერია და მოწამეცა ვარ.
დაიწერა მარტის ათს. ქკს უჟგ.

354. 1805 წლ. მარტის 10. აბანოს იჯარის წიგნი, მიცემული მამადას მიერ მდივან-ბეგიჭს იოვანე სუმბათოვისადმი. პირი. ზომა 22,7×17 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5484 Hd.

ქ. ავიღე მე, მამადამ, შენ, ბატონი დიანბეგი (sic) თავადი იოვანე სუმბათოვისაგან, თქვენი აბანო. ამ ნავროზიდამ მომავალს ნავროზამდინ, სამოცდაცამეტ თუმნათ. აქედამ სამი თუმანი ჩემი ხალათი[1] და სამოცდაათი თუმანი თვედა-თვე გინდა დღე-და-დღე თაბა(უ)თით მოგართო. ღმერთმან ნუ ქნას, ბარგაშტობა მოხდეს — რაც სხვა იჯარ(ა)დარს სამართალი მიეცეს, მეც ის სამართალი მომეცეს. თუ აბანოს შენობას რამ მოუნდეს, მე ავაშენო და თქვენ იჯარაში მიანგარიშოთ. ეს სამოცდაათი თუმანი თქვენი იჯარა უნდა წლამდინ შეგისრულო და სამი თუმანი ჩემი ხალათია, რომ სრულათ ჩემი ხალათით ჯამი იქნება სამოცდაცამეტი თუმანი. დაიწერა მარტის ი, წელსა ჩყე, ქკს უჟგ.

355. 1806 წ. ბაღის იჯარის ხარჯი უცნობი პირისა. დედანი. ზომა 21,5×9 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3559 Hd.

ქ̄კს უჟდ ამ წლის ბაღის იჯარის ̄ (ათი თუმნის) ხარჯი:
სნი (ხუთი შაური და ქ. ღვინო და ჯონჯოლი.
ორი ფული)

[1] დედანში: „ხალთა".

უ	(ორი აბაზი)	ქ. ფიჩხი და ენდროს ფასი.
რ	(ორი შაური)	ქ. ქონის სანთელი.
უმ	(ორი აბაზი და ორი ბისტი)	ქ. ბ საპალნე ფიჩხი.
რ	(ორი შაური)	ქ. წყლის მუშას.
რლ	(ორი შაური და ექვსი ფული)	ქ. ზეთის ხილი და ქონის სანთელი.
ხ	(აბაზი)	ქ. სავარცხლები და ისპანახი.
უ	(ორი აბაზი)	ქ. ბ თუნგი ღვინო.
უ	(ორი აბაზი)	ქ. საყდარში დავხარჯე.
ს	(აბაზი)	ქ. შინ დაეხარჯათ შავი ფული.
ს	(აბაზი)	ქ. სატაცური ვიყიდე.
რკ	(ორი შაური და ერთი ბისტი)	ქ. სანთელი ქონისა.
სლ	(აბაზი და ექვსი ფული)	ქ. ა თუნგი ღვინო.
ს	(აბაზი)	ქ. ა სტილი ზეითუნი და სანთელი.
რ	(უზალთუნი)	ქ. საყდარში.
ფნლ	(თერთმეტი შაური და ექვსი ფული)	ქ. ა თუნგი ღვინო და ნახშირი.
ხ	(ექვსი მინალთუნი)	ქ. საფლავის საკურთხავი ა ცალი დოში.
რ	(ორი შაური)	ქ. დალაქს.
ხნ	(ხუთი შაური)	ქ. მე და ელისაბედს საყდარში.
ხ	(ექვსი მინალ-თუნი)	ქ. ა ალი დარაია და საყოშეები ნინოს.
ქ	(სამი აბაზი)	ქ. ა საქოშე ელისოს.
უ	(ორი აბაზი)	ქ. ა დოში და სატაცური.
სნი	(ხუთი შაური და ორი ფული)	ქ. ლავაში და ისპანახი.
ქს	(ხუთი მინალთუ-ნი და ერთი აბაზი)	ქ. გ+ ადლი შეიდიში ქალებისთვის.
ქნ	(ცამეტი შაური)	ქ. გ ადლი ტილო ჯარაბათ.
ლ	(სამ აბას უზალ-თუნი)	ქ. ა ხელსახოცი დავითს.
სნ	(ხუთი შაური)	ქ. ელისოს მივე.
ჯ	(რვა მინალთუნი)	ქ. გ ოქროს ფასი ქეთევანის პირის სანახავი.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. ბ ასფარიანი(?) მეწყლეს.
ჩ	(ხუთი აბაზი)	ქ. დ თუნგი ღვინო.
ყ	(ოთხი აბაზი)	ქ. ტოტის ბაბთის ფასი.
ს	(აბაზი)	ქ. მყ და ელისაბედს საყდარში.
ლნ	(ხუთმეტი შაური)	ქ. ქეთევანისათვის მუმია.
ქნ	(ცამეტი შაური)	ქ. ხორცის ფასი.

ფ	(ათი შაური)	ქ. მარაბდის ფქვილის ქირა.
ჰ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. ლეინის ფასი და ხეჩუას ვალი.
წ	(ოთხი მინალთუნი)	ქ. შეშის სასყიდლათ.
ჩ	(ხუთი აბაზი)	ქ. ფიჩხი და შეშა.
ხნ	(ხუთი შაური)	ქ. ა საპალნე შეშა.
ქ	(სამი აბაზი)	ქ. ა სტილი აბრეშუმი.
უ	(ორი აბაზი)	ქ. ხრრცი და ქონის სანთელი.
ფ	(ათი შაური)	ქ. გოჩუას-შვილს გიორგის ვაჩუქე.
რ	(ორი შაური)	ქ. საფლავის საკურთხი.
ყ	(ოთხი აბაზი)	ქ. ელისოს ბაბთისა.
ჩ	(მინალთუნი)	ქ. ერბო და ლობიო.
ფ	(ათი შაური)	ქ. მეწყლეს.
ხს	(ექვსი მინალთუნი და ერთი აბაზი)	ქ. ნონის ნუსხით დაეხარჯა.
წლ	(ოთხი მინალთუნი და თოთხმეტი შაური	ქ. ისაიანთ მეირდნის ფასი.
ჰ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. ისაის ხელათ ვალში მივე.
ზ	(თვრამეტი შაური)	ქ. ელისოს ქოში.
ჰ	(ხუთი მინალთუნი)	ქ. კუტლო გოგის ყველის ფასათ და არაყი და დარ[illegible](?)
ჰ	(„ „)	ქ. ჩვენს დავითას ყველი ვასყიდვინე.
ხუ	(ექვსი მინალთუნი და ორი აბაზი)	ქ. შინ წვრილათ დახარჯულა და აქ ერთათ დავწერე.

356. 1809 წლ. იანვრის 1ზ. გოგია ხითარაშვილის მოხსენება ამილახვრის ასულს ანნას, უკანასკნელის მამულში სამღვბროს გაკეთებისა და მისი იჯარით აღების შესახებ. დედანი. ზომა 35,5×11 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
სჯქ. სახ. მუზ. № 3569 Hd.

ბრწყინვალე თავადის ამილახვრის ასულს ანნას, მოწყალეს ხელმწიფეს.

ამას მოვახსენებ: თუ ინებებთ თქვენის ერთგულობისთვინ, თუ ნება თქვენი იქნება, თქვენს საწილით სამღვბროს ვაკეთებინებთ. მე დავდგები, როგორც თქვენის მაზლის გიორგისა წილი უჭირამთ ოცდაათს ყურუშათ, იმაზე მეტს ათს ყურუშს მეტს მოგართმევ, რომ იქს რრმოცს ყურუშს და თუ თქვენი ნება იყოს და გა(ა)კეთებინოთ, გლახა ჩხეიძეს და ხახუტელა მამასახლისს წიგნი უბოძეთ, ერთი სახლი დადგან, ორი ქვევრი მოიტანონ. სხვა რაც მოუნდება, მე გავაკეთებ. სხვანიც მეხვეწებიან, მაგრამ თქვენის ერთგულობისთვინ მოგახსენე, რომ თქვენც გააკეთებინოთ და გერგოთ, თვარემ ნება

თქვენია. თუ ინებოთ გაკეთება, წიგნი მალე მებოძოს, რომ გავაკეთებინო. თუ არ ინებოთ, ამასაც გევედრები, ისიც წერილით მიბძანოთ, ჩემო ხემწიფევ. იანვრის ი, ქ^კს უუზ.

თქვენი უმსახურო და მონა ხითარაშვილი გოგია მოგახსენებ სიმდაბლით, მოწყალეო ხემწიფეო ჩემო, უმსახურო გახლავარ. მოხსენებისთვინ ნუ გამიწყრებით.

357. 1811 წლ. ნოემბრის 3. წერილი პოდპოლკოვნიკოვისა დავით თარხნიშვილისადმი ახალქალაქის სამღებროს შესახებ. დედანი. ზომა 32×22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3862 Hd.

თქვენო ბრწყინვალებავ, უფალო მაიორო თავადო დავით ზახარიჩ, მოწყალეო ჭელმწიფეო.

მეფის გიორგის ასულმა სოფიამ მომართვა მე არზი, რომ ვითამც თქვენს ბრწყინვალებას ჟამსა მეფისა გიორგისსა ნაბოძები ოქმი მეფისა გიორგისსა სამღებროსაი იასაულისათვის თქვენ წაგერთმევინოსთ და გქონდესთ და აღარ აძლევდეთ და თუმცა ერთ გზივ უჩივლია მეფისა ასულსა უპრავასა შინა თქვენთვისა და თქვენც აღგითქვამს პოვნა და მიცემა და შემდგომად აღარ მიგიციათ. ახლა გწერთ: ვითარცა გვაქვს ურთიერთაშორის შეკრულება სიყვარულისა და მეგობრობისა, ვითხოვ, რათა იგი ოქმი გაულაპარაკებლივ და უარისუყოფელად წარმომიდგინო მე, რათა დაშთეს საქმე ესე გამოუძიებელად და თუ უარსა ჰყოფთ ხსენებულსა ოქმსა მეფისსა, რომელიც წაგირთმევიათ და არ წარმომიდგენთ და ურჩმექმნებით, მეცა ვალდებულებითა ჩემითა წარვადგენ მთავრობასა შინა თქვენსა ურჩებასა და გაუგონებლობასა.

თქვენო ბრწყინვალებავ მოწყალეო ხელმწიფეო
Покорный слуга..... в должности окружного
начальника Подполковников.

ნოემბრის გ, დღესა ჩყია წელსა.

მეოთხე გვერდზე იმავ ხელით: მათს ბრწყინვალებას, უფალს თავადს დავით ზახარიჩს და კავალერს თარხანოვს, მოწყალეს ჭელმწიფეს, ახალქალაქით.

358. 1812 წლ. მაისი. წერილი ზურაბ წერეთლისა დავით თარხანოვისადმი პურის საქმეზე. დედანი. ზომა 33,3×10,3 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5443 Hd.

მის უბრწყინვალესობას, მინბაშ თარხანოვს დავითს, მოწყალეს ხელმწიფეს.

უბრწყინვალესო თავადო დავადო თარხანოვ, ჩემო მოწყალე ხელმწიფე.

თქვენი სიმამრი, სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, მდაბლათ თავს დაგიკრავთ და თქვენს მშვიდობას ვიკითხავთ. მერმეთ ვიცი, ჩვენს ამბავს იკითხავთ და მოვედი დაბლიდამ და პურის საქმე გავარიგეთ, რომელსაც მდიდრად ერგო ყოველს კაცს. ცამეტი ათასი ბათმანი მარტო მე მერგო და ასე კიდე ჩვენს შემდგომს კაცებს. სხვა კიდევ ქეთევანის საქმე გვიბძანე. თუ აჩქარიან გასტუმრებას, გიახლებით სანახავათ და თუ არა და, რა სამჭირნო იქნება ჩვენი მანდ წამოსვლა, ბატონო. თქვენი მშვიდობის ამბავი ყოველივე გვიბრძანენ, ხელმწიფეო ჩემო.

მაისის ზ, წელთა ჩყიბ.

ზურაბ [1]

359. 1813 წლ. მარტის 10. აბანოს იჯარის წიგნი, მიცემული მაჰმად ყასუმა მაჰმად ალიას შვილისა და მაშადი მაჰმადას შვილი ყურბანას მიერ ნინია სუმბათოვისა, მირზა აბილფუთა აღალაროვისა, მირზა ისმეილა ყიას ვეზიროვის და მირზა სადუხა მაჰმად-ბეგოვისადმი. დედანი. ზომა 34,5×21,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედურული ხელით. განკვ. ხიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

საქ. სახ. მუზ. № 8360 Hd.

მისს ბრწყინვალების, უფლის თავადის ნინია სუმბათოვისაგანა, მირზა აბილფუთა აღალაროვისაგანა, მირზა ისმეილა ყიას ვეზიროვისაგანა და მირზა სადუხა მაჰმად-ბეგოვისაგანა ავიღეთ იჯარითა თქვენი აბანო მაჰმად ყასუმა მაჰმად ალიას შვილმა და მაშადი მაჰმადას შვილმა ყურბანამა ამ ნავრუზის ათიდამ მამავალის წლის ნავრუზის ათამდინა, ასოცდახუთ თუმნათა თეთრ ფულათ [2] იჯარითა, რომ იქს ამისი ნახევარი ⸢ბ⸣ჭ (62 თუმ. ნახევარი) ამდენი. ამ პირობით: ჩვენ უნდა გვეჭიროს და თქვენ დაბათით (sic) თვე და თვე იჯარა გაძლიოთ. თუ ან შიგნით და ან გარეთ აბანოს გაკეთება მოუნდეს და ან წყალი წახდეს, თქვენ გა(ა)კეთოთ და, ღ᾽თან ნუ ქნას, თუ ბარგიშტობა მოხდეს, რაც სხვა აბანოს იჯარადრებს სამართალი მიეცესთ, ჩვენც იმათ სამართალს დავჯერდეთ.

დაიწერა ესე იჯარის წიგნი მარტის ი, ქ᾽კს ფა. რადგან მაჰმად ყასუმამ და ყურბანამ წიგნი არ იცოდნენ, ამათის თხოვნათ ხელს ვაწერ და კიდეც დაძიწერია და მოწამეცა ვარ ამისა მეარზე აზ᾽ი იოსებ ქანანოვ, იოსებ [3].

---

[1] მურის ბეჭედი ოვალური მოყვანილობისა.

[2] დედანში: „თულათ“.

[3] ხვეულად.

360. 1816 წლ. მაისის 1. შეკრულობის წერილი, მიცემული მელიქიანთ იოსებას მიერ სიმონა და სოლომონა იოსების-შვილებისადმი დუქნების ქირით გაცემის შესახებ. დედანი. ზომა 22×17 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ № 14587 Hd.

ქ. ესე შეკრულობის წერილი მოგეცი მე, მელიქიანთ შაქაროას შვილმა იოსებამა, შენ, იოსების-შვილი ბაყალი სიმონას და ბაყალი სოლომონას, ასე რომ ხადაკოანთშვილ(ის) ქისეთას ორი დუქანი ჩემთან გერაოთ არის და თქვენ ერთის წლის პირობით ქირით მოგეცით ორი დუქანი, თაეში[1] ორი მინალთუნით. წლამდინ[2] არც მე მოუმატო, არც შენ გახვიდე და სახელმწიფო პოლიციის ხარჯი სამი მინალთუნიც ჩემზედ უნდა იანგარიშო. და ამ თავით გამოგართვი ქირის ანგარიშ(შ)ი შვიდი მინალთუნი. თუ რამ შენობა მოუნდეს, მე შემატყობინო და რაც საჭირო იყოს, მე გავაკეთო. თუ რამ ბარგაშტობა მოხდეს, როგორც სხვა დუქნის პატრონს, ისე შენ დაიწერ.

მაისის პირველს, ჩყივ წელსა. ხელს ვაწერ, იოსებ მელიქოვი.

361. 1820 წლის იანვრის 20. აბანოს იჯარის წიგნი, მიცემული ნონია როტინოვისაგან ლუარსაბ სუმბათოვისა და სხვებისადმი. პირი. ზომა 36,2×21,4 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ № 8231 Hd.

წელსა ჩყკ, მარტის ი დღესა ესე იჯარის წიგნი მოგართვით თქვენ, ვოლეცკის სეკლეტარი ლუარსაბ სუმბათოვისაგან, პრაპოშიკი სოლომან სუმბათოვისაგან, მეათთოთხმეტე კლასისა მირზა აბულბუთი აღალაროვისაგან, პრაპორშიკი მირზა ისმეილ ვეზიროვისაგან და მირზა მაჰმად სადუხ მსტოფოვისაგან ავიღე იჯარით თქვენი აბანო მე, მოქალაქე ნონია როტინოვმა, ასე რომ წელსა ჩყით წლის აღებულის იჯარაზე მამიმატებია ოცი თუმანი თეთრი ფული. ამ ოცის თუმნისა თხუთმეტი თუმანი თქვენი იჯარაზე მოემატება და ხუთ(ი) თუმანი ჩემი ხალათი. იქნება მომატებული და შარშანდელი თეთრის ჯამი რჰჯ (187 თუმანი). ეს მაბლალი თეთრი სრულად თქვენ უნდა მოგართო თვე და თვე თავის თაფაუთით. ზემოხსენებულის მარტის ათიდამ ორმოცი დღე ვადა. თუ ვადამდინ ვინმე მოუმატოს, ჩემი ხუთი თუმანი ხალათი აბანოდამ მამეცეს და თუ მე დამჩეს, ხუთი თუმანი ჩემი ხალათი იქნება და ასოთხმოცდა შვიდი თუმანი თქვენ უნდა მოგართოთ. და პოლიციის სახელმწიფო თეთრი თქვენ იჯარაში უნდა ვიანგარიშო. თუ აბანოს ან აშენება და ან მილის

[1] თვეში(?)
[2] დედანში: „წალმადინ“.

გაკეთება მოუნდეს, თქვენ იჯარაში უნდა ვიანგარიშო. სიკვდილ-სიცოცხლე არის, თუ აბანო ყორული მოგინდეს ან ღამე, ან დღე, ოთხჯერ ყორული მოგართოთ. თუ თქვენი გვარისა ვინმე იბანოს, უფულოთ იყოს და თუ სტუმარი მოიყვანოთ, ფული მიბოძოთ. და თუ ბარგაშტი მოხდეს, როგორც სხვა აბანოს, ისე ჩვენ. დაიწერა ესე იჯარის წიგნი იანვრის კ, წელს ჩყკ, ნონია როტინოვი.

362. 1822 წლ. აბანოს იჯარის წიგნი, მიცემული მამად ალიაშვილისა და სხვ. მიერ სოლომან სუმბათოვისა და სხვებისადმი. დედანი. ზომა 35×22,3 სმ. დაწერილია ლერბიან მონაცრისფერო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8232 Hd.

ჩყკბ წელსა ესე იჯარის შეკრულობის ჭელწერილი მოგეცით ჩვენ, ამის ქვემო ხელის მომწერელმან მამად ალიაშვილმა, მამად ყასუმამ და ქალბალი ალავერდი იოლჩიაშვილმა, თქვენ, თავადს პარუჩიკს სოლომან სუმბათოვს და პოლკოვნიკს ლუარსაბ სუმბათოვსა და კეთილშობილს მირზა აბულფუთ ალლაროვსა და კეთილშობილს ყიას ვეზიროვს და მირზა მამად სადულ თუშმალოვს, ასე რომ თქვენი აბანო იჯარით მცგვეცით ორის წლით, ოთხას თუმნათ თეთრ ფულად ბეჭართათ. და ასე რომე ვერცარა თქვენ უნდა მოგვიმატოთ და არცა რა ჩვენ დაგაკლოთ. ღმერთმა ნუ ქნას, აბანოს დაექცეს სადმე რამ, ან წყალი წაუხდეს, თქვენის ხარჯით მალე საჩქაროთ გააკეთოთ. ამას გარდა, ღმერთმა ნუ ქნას, ბარგაშტობა მოხდეს, რაც სხვა აბანოებს სამართალი მიეცეს, ჩვენც იმას დავჯერდეთ. ამას გარდა, ჩვენ, მამულის პატრონები რომელიც მოხვიდეთ, უსტუმროთ, საბანებლათ თქვენ თეორი არ გამოგართოთ. და წელიწადშიაც ოთხჯერ თქვენთვინ უნდა დავაყორულოთ. ოთხი ყორული რომ შესრულდეს და სხვა ყორული მოინდომოთ, რაც რომ ფული გერგებოდესთ, იჯარაში გვიანგარიშოთ. ეს არის ჩვენი პირობა. თხოვნითა ქვემო ხელის მომწერელთა ეს იჯარის წიგნი დავწერე და მოწამეცა ვარ, სტეფან არტემოვი.

სხვა და სხვა ხელით: ქაბალა მამად ყასუმა.
ქალბალარ ალავერდი.

363. 1824 წლ სექტემბრის 17. თამასუქი, მიცემული იოსებ ციციანოვის მიერ დავით თარხანოვისადმი. დედანი. ზომა 21,3×17,3 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 7766 Hd.

ჩყკდ წელსა, სეკტემბრის იზ დღესა მივიღე ვალად თქვენ, უფალი მაიორი და კავალერი თავადი გორის უეზდის მარშალის დავით ზახარიჩის თარ-

ხანოვისაგან, მე, თავადმა იოსებ ციციანოვმა, ათი თუმანი თეთრი, რომელიც ამ ათის თუმნის თეთრისა ვალი მაქვს, რათა, ვითარცა დაფასებულია, იმ ფასით პური შემოვიტანო მაღაზიაში, რომლისათვისაც ხელს ვაწერ, თავადი იოსებ ციციანოვი.

სხვა ხელით:

ათის თუმნის თამასუქი არის იოსებ ციციანოვისა.

364. 1825 წლ. სექტემბრის 16. შეკრულობის წერილი, დადებული დავით თარხანოვსა, გიორგი ზუბალოვსა და აღალო ალიხანაშვილს შორის იმერეთის ფოდრატის შესახებ (პურზე). დედანი. ზომა 34×22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია აქა-იქ წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 8823 Hd.

ჩუკე წელსა, სექდემბრის ივ დღესა ესე შეკრულების წერილი დავსდევით ჩვენ, ქვემო ჭელის მომწერელთა მაიორმა თავადმა დავით თარხანოვმა, მეათორმეტე კლასმა გიორგი ზუბალოვმა და აღალო ალიხანაშვილმა, ასე რომ თქვენ, უფალმა მაიორმა დავით თარხანოვმა, იმერეთის ფოდნატი(sic) აიღეთ თქვენს სახელზედა და ამის ხელმოსაწერად და ტორგში დასასწრებად აღალუა ალიხანოვი პოვერენია გაისტუმრეთ ამ პირობით, რომ მე, გიორგი ზუბალოვი, შევიკვრი ამ სახით, რომ არც ჩემმა ძმამ და არც სხვა კაცმა იმ ტორგში წინააღმდეგი არ გამოაჩინოს რამე. და თუ ამისი წინაადმდეგი გამოჩნდეს რამე, ჩემის მოქმედებით ორასი თუმანი თქვენ, უფალს მაიორს დავით თარხანოვს, მოგცე და ასი თუმანი პრიკაზში შევიტანო სახელმწიფოთ, ამაზედა რომელ, რადგან თქვენს სახელზედ იღებთ ფოდრატსა და თქვენ და აღალუა ალიხანოვი თუმცა ერთად შეკრულნი ხართ სასამართლოში, მაგრამ ამ ჩვენის ერთობის წერილით ეს არის უკანასკნელი სრული პირობა. რაც ღმერმან მოგება მოგვცეს, ამ მოგებიდამ ორასი თუმანი აღალუა ალიხანოვსა და პეტრე, პავლე ზუბალოვს მიეცეს და დანარჩენი ორად გავიყოთ და ერთი წილი უფალმა მაიორმა დავით თარხანოვმა და ერთი წილი მეთორმეტე კლასმა გიორგი ზუბალოვმა მივიღოთ. და აგრეთვე რაც მაღაზიები მაქვს მე, გიორგი ზუბალოვს, ისიც უქირაოდ საერთო იყოს და ყოველავე ზარალი და სარგებელი თანასწორი იყოს და ამისი შესახვედრი ზალოღაც მე, გიორგი ზუბალოვმა, მოგცე თქვენ, დავით თარხანოვსა, და როგორც მე, გიორგი ზუბალოვს, დამიწერია ორასი თუმანი ჯარიმა, თუ გიმტყუვნო რამე, ისე თქვენ, უფალმა მაიორმა, თუ ამ პირობაზე მიმტყუვნოთ, ორასი თუმანი მე მომცეთ და ასი თუმანი პრიკაზში შეიტანოთ.

სხვადასხვა ხელით:

მაიორი თავადი დავით თარხანოვი, იბ კლასისა.

გიორგი ზუბალოვი. აღალოა ალიხანოვი.

ამ წერილის დამსწრე და მოწამეცა ვარ, პოლკოვნიკი თავადი შანშე ერისთოვი.

365. 1825 წლ. ოქტომბრის 17. პირობის წერილი პეტრე ისარლოვისა, მიცემული მარშალი დავით თარხანოვისადმი სურამის მაღაზიაში პურის ჩაბარების შესახებ. დედანი. ზომა 36,4×21,8 სმ. დაწერილია მოთეთრო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 8324 Hd.

ჩყკე წელსა, ოქტომბრის იზ[ჯ]დღესა მოგართვით ეს პირობის წერილი მე, ქვემოთ ხელის მომწერელი, თქვენ, უფალს გორის უეზდის კეთილშობილთ მარშალს თავადს დავით თარხანოვს, მისთვის, რომელიც გაქვსთ აღებული ფოდრატით გორის უეზდიდამ რამდენიმე ათასი ჩეთვერთი პური და ქერი სახელმწიფო მაღაზიებში მისაბარებლად, ამ რიცხვიდამ რომელიც უნდა მიბარდეს ნაწილი სამიათასექვსასოთხმოცდახუთმეტი ჩეთვეროი ხორბალი და შვიდასოცდაცამეტი ჩეთვერთი ქერი სურამის მაღაზიაში, ამ ხსენებულის რიცხვის ხორბალისა და ქერის მსყიდველათ და მოსაბარებლათ მე განმაწესე, რომ მე მივაბარო სახელმწიფო წონის ქვითა თქვენის თანაშემწეობით. რაიც ამ პურსა და ქერს სასყიდლათ ფული მოუნდება, თქვენგან უნდა მივიღო მობარების კვიტანციებით. მე ანგარიში უნდა მოგართვათ. ამის მიბარებაზედ და წონაზედ, ანუ ამწყველზედ ხარჯი მოუნდეს, თქვენ უნდა გარდიხადოთ და აგრეთვე რაც მოსატანათ ტომარა მოუნდეს, ისიც თქვენ უნდა მოგვცეთ. და ჩემდა გასამჯელოთ გადამიკვეთეთ და განმიწესეთ ოცდაათი თუმანი თეთრი ფული. და აგრეთვე თუ სამს კოდობაზედ ჩეთვერთმა მოიმატოს რაიმე, ისიც თქვენი არის. ეს არის ჩემი პირობა თქვენს ბრწყინვალებასთან. ჭეშმარიტებით და ერთგულობით თქვენი სამსახური ავასრულო, რომლისათვის ხელს ვაწერ, პეტრე ისარლოვი.

366. 1825 წლ. ოქტომბრის 25. წერილი—მოხსენება გიორგი ალხაზოვისა დავით თარხანოვისადმი. პურის ფოდრატის საქმეზე. დედანი. ზომა 24,5×20,3 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 5396 Hd.

ქ. თქვენო ბრწყინვალებავ, ჩვენო მოწყალეო ჭელმწიფევ, დავით ზაზას ძევ.

მრავალს სამსახურს მოგახსენებთ და თქვენს მშვიდობასა და ბედნიერებასა ბარადის უფალსა ვსთხოვ. უკეთუ ჩვენს ანმავს მოიხსენებ, ასე გაიარა ჩვენმა საქმემა: მანდედამ რომ გიახელით მუხრანს, ვნახე მუხრან-ბატონი კოსტანტილე, დიდათ შევეხვეწე და დასტური დამცა პურის ყიდვისა. შემდეგად გიახელით ქალაქს, ტომრები გავგზავნე, ოთხასი ჩანახიც და კაცებიც და ახლა პურს მოველი იქიდამ.

მეორე ეს არის რომ, ქვემოთ რომ ხუთი ათასი ჩეთვერტს გარიგებული ვიყავ, ახლა დავებარებინე, წიგნი მოვიდა—უეჭველათა რომ წამოდიო და ფუ-

ლი წამოიღეო, პური მზათ არისო. თეთრიც მიმაქვს ტ̇Ა თუმანი (360 თუმ.), ხელათ თეთრი მეტი არ შემხვდა და იქ თეთრს მივაბარებ და მე საჩქაროდ გამოვბრუნდები და მერე ის გამოგზავნის პურსა. იმედი მაქვ ღვთისაგან, რომ გამარჯვებული გამოვბრუნდე. ეს საქმე თქვენის ძმის დიმიტრისთვინაც მამიხსენებია.

მესამე ეს არის, რომ ქარუმიძე გიახლათ აქ და პურს გამირიგდა ათას ჩეთვერტსა. საქათიბე ყმაწვილებისთვინ მივეცი შესაკერავათ და შევაპირე, ხვალ ჩაიცმენ. ფულიც მივეცი ექვსი მინანთული.

მეოთხე ეს არის, რომ შაქარი ნასყიდი არის ცამეტ მინანთულად და ათ შაურად ორი ფუთი. თუ გნებავს გაახლებ, კარგი შაქარი არის.

მეხუთე ეს არის რომ, თქვენმა ბრწყინვალებამ რომ ტომრები დამაბარა, სემიკოვთან ვნახე და აღმითქვა რომ გაუგზავნი უთუოთაო. ზუბალაშვილს ელის, ის რომ წამოვა, უქაზ(ს) ზედ დ(ა)ადევნებს გორის მაღაზიაზედ, რომ მარშალს ამდენი ტომარა მიართვითო, ამის წამოსვლას ელის. გასაყიდი ტომრები არ იშოვება, ბევრი ვეძებე, მაგრამ არ იშოვება, თორე ვიყიდდი. და იქიდამ რომ გიახლები და ჩემი მოსვლა და წიგნის მოტანა ერთი იქნება, რომ ყოველს ანბავს გაცნობებთ. შალვა ერისთვის-შვილისთვის საბნის პირი რომ დამაბარეთ, ვნახე და ერთ თუმანს ნაკლებ არავინა ჰშვრება. თუ გნებავ(ს) ვიყიდი და გამოგიგზავნი.

მანდედამ რომ გიახელ, აღალუას წიგნი დეედევნებინა, დავით მუხრანბატონთან მიეწერა, რომ ეცადე ძრიელ, რომ გიორგი ალხაზოვს სამუხრანოში პური არ ასყიდვინოო და თუ მაგან არ იყიდაო, ჩვენ დაგვრჩებაო. იმედი მაქვს ღვთისაგან, რომ თქვენს ბრწყინვალებასთან პირნათლად გამოვიდე. ბევრს რასმე მოგახსენებენ და ნუ დაიჯერებთ. მე იმედი მაქვს, რომ იანვრამდინ სულ შესრულდეს თქვენი პური. დანდურიშვილს ველოდი და არ ჩამოვიდა. უმდაბლესად ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას რომ, სოლომონა რომ გახლავს ახალქალაქს, იმას უბრძანოთ, რომ ჩამოვიდეს, ტომრები მზათა მაქვს. ეს ორშაფათი რომ თენდება, განთიადს გიახლები, ღვთის მადლით. თქვენი ბრწყინვალების მცირე მონა, გიორგი ალხაზოვი.

ფარსადან დიაღ კარგ ღერბს აჭრევინებს, საუცხოოს. მეც ვნახე და ამ კვირია ვინც წამოვა, გამოატანს. ჩყკე-სა წელსა ღვინობისთვის კე დღესა.

ქ. მის ბრწყინვალებას, გორის უეზდის კეთილშობილთ მარშალს, თავადს უფალს მაიორს და კავალერს, დავით ზაზას ძეს თარხანოვს.

ტფილისით გორს.

367. **1825 წლ. ოქტომბერი.** ანგარიში დავით თარხანოვისა სურსათის ფოდრატის თაობაზე. დედანი. ზომა 32,5×20 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები თითქმის არა აქვს (აქა-იქ ნახმარია ორწერტილი).
საქ. სახ. მუზ. № 8317 Hd.

ჩყკე, ოკტომბრის თვეში ამა წლის პრავიანტი ვიტვირთეთ მისაბარებლად ქალაქსა და გორის მაღაზიაში და სურამის მაღაზიაში, რომელსა ზედა

ხელმოწერილნი ვა(რ)თ ექვსი თავადნი და შეკრულნი ჩვენის მამულით, სახელდობ: უფალი პოლკო(ვ)ნიკი თავადი შანშე ერისთოვი, პოდპოლკო(ვ)ნიკი თავადი მირმანოზ ერისთოვი, მაიორი თავადი დავით ციციანოვი და პრაპოშიკი თავადი ნიკოლაოზ ციციანოვი, პოდპორუჩიკი თავადი შალვა ერისთოვი და მე, გორის უეზდის მარშალი, თავადი დავით თარხანოვი. ხოლო პირველი სუმა მესამედის ნაწილისა მივიღე მე, მარშალმა, თეთრი ფული 13302 რუბლი და 53, ორმოცდა ცამეტი, კოპიკი.

რუბლი 6660[1], კოპიკი 66		ქ. ამ სუმიდამ მიეცა გიორგი ალხაზოვს ექვსას სამოცდა ექვსი თუმანი თეთრი ფული ტფილისში შესატანის პრავიანტისათვის,თავისის ხელწერილის ძალით როგორც შეკრული არის, და სამოცდაექვსი კოპიკი.
976		ქ. გიორგი ზუბალოვს მიეცა ოთხმოცდაჩვიდმეტი თუმანი და ექვსი მანათი.
900	1876	ქ. სურამის მაღაზიაში შესატანად მიიღო გიორგი ზუბალოვმა ოთხმოცდაათი თუმანი.
120	1996	ქ. მირმანოზ ერისთოვმა მიიღო თორმეტი თუმანი.
220	2216	ქ. დავით ციციანოვმა მიიღო ოცდაორი თუმანი.
120	2336	ქ. ნიკოლოზ ციციანოვმა მიიღო თორმეტი თუმანი.
120	2456	ქ. კამისიერს მიეცა თორმეტი თუმანი სიმიკოვს, ყაასოვის ხელით.
120	2576	ქ. იოანე ბეგთაბეგოვს და იმის სახლის კაცს თორმეტი თუმანი მობარების თავის სადგომად.
100	2676	ქ. კოსტანტინე მუხრან-ბატონს მიერთვა ათი თუმანი.
10	2686	ქ. იმის მდივანს სოლომანს ერთი თუმანი.
450	3136	ქ. ისპრავნიკს მიეცა ორმოცდახუთი თუმანი.
200	3336	ქ. კიდევ მიეცა.
300	3836	ქ. დავით ბაგრატიონისათვის მიუცია რუბლი.
120	3956	ქ. შალვა ერისთოვმა მიიღო თორმეტი თუმანი.
	6660	
	10616 66	

368. **1825 წლ.** ნოემბრის 14. პირობის ხელწერილი თავადი შანშე ერისთოვისა დავით თარხანოვისადმი პურის ჩაბარების შესახებ ტფილისის მაღაზიაში. დედანი. ზომა 21,3×17,3 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8327 Hd.

ჩყკე წელსა, ნოემბრის იდ დღესა ესე წერილი მოგართვი მე, ქვემო ამისა ჴელის მომწერელმა პოლკოვნიკმა თავადმა შანშე ერისთავმა, თქვენ, გორის უეზდის კეთ(ი)ლშობილთ მარშალს, უფალს მაიორს და კავალერს დავით თარხანოვს, ესრედ რომელ მე ვალი მაქვს, რათა დაუყოვნებლად შევიტანო ტფილისის მაღაზიაში ათასექვსასორმოცდაათი ჩეთვერთი ვარგისი ხორბალი ჩვენ

[1] დედანშია: „6666“

მიერ აღებულის ფოდრათის რიცხვში განწესებულს ვადამდინ. და ამა პურის მესამედი ნაწილი ფული ასათი თუმანი თეთრი აწვე მივიღე თქვენგან და დანარჩენი ორასოცი თუმანი თეთრიც მაშინ უნდა მიბოძოთ, ოდეს წარმოვადგინო მე ტფილისის[1] მაღაზიიდამ მოცემული კვიტანცია ზემოთხსენებულის პურის შესრულებისა, რომლისათვის ველს ვაწერ.

სხვა ხელით:

პოლკოვნიკი თავადი შანშე ერისთოვი.

369. 1825 წ. გორისა და სურამის მაღაზიებში შესატანი პურისათვის ავანსად გაცემული ფულის ანგარიში (დავით თარხნიშვილისა). დედანი. ზომა 34,5×22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8824 Hd.
საბუთს ათარიღებს და მისი პატრონის ვინაობას განსაზღვრავს საბუთი № 8317 Hd. (იხილე აქვე).

| | გორისა და სურამის მაღაზიათა შესატანი პურის ფული ვისაც წინათ მიეცა | ლ ო ბ ლ (ი) | კ ო პ ე ბ ი | პ ე ტ ი (ტ) (ჩ) (ა) (ნ) (ე) | (((

	გორისა და სურამის მაღაზიათა შესატანი პურის ფული ვისაც წინათ მიეცა	რუბლ(ი)	კოპეკი	პური ჩეტვერ(ტი) ანუ კოდი
	კიდევ მივეცი მირმანოზის ბარათით ერთი თუმანი ბირთველ თუმანოვს	ა		
9	სურამის მამასახლისს უჭირავს ოცი თუმანი, პური უნდა შეიტანოს სურამის მაღაზიაში	კ		
10	პეტრე ფრანგს ამირალოვს უჭირავს რვა თუმანი, ასი ჩეტვერტი პური უნდა შეიტანოს და ორმოცდაათი ჩეტ-ვერტ(ი) ქერი სურამის მაღაზიაში. ამ რვა თუმნისა გვერ-გება ჩეტვერტ(ი) სამოცდახუთი და ნახევარი . .	ᲗᲔ		რ
11	მე და დავით ციციანოვის წილი ათასოთხმოცი ჩეტ-ვერტი პური და სამასი ჩეტვერტი ქერი, ორმოცი თუ-მანი მიჭირავს	მ		ᲩᲯ
12	იოსებ ციციანოვს უჭირავს ოთხი თუმანი, უნდა მია-ბაროს გორის მაღაზიაში ორასორმოცდათექვსმეტი კოდი	დ		სნ
13	ზაზა ციციანოვს უჭირავს ორთუმან-ნახევარი და ასი კოდი პური უნდა შეიტანოს სურამის მაღაზიაში . .	ბ Ჭ		რ
14	კნეინა ანნა გიორგი აბაშიძისას უჭირავს ოთხი თუმა-ნი, ასი კოდი პური უნდა შეიტანოს სურამის მაღაზიაში	დ		რ
15	გლახა ყიფიანს უჭირავს ფული თუთხმეტი მანათი და ერთი აბაზი, ამან უნდა შეიტანოს ოცდაჩვიდმეტი კო-დი პური სურამს	ა ᲭᲡ		ᲚᲖ
16	სურამს მცხოვრებელმა ნონის აკოფაშვილმა უნდა შე-ეიტანოს ორმოცდაათი კოდი პური, ამას უჭირავს ორი თუმანი	ბ		ნ
17	ნაბახტეველმა კიკოლა ძინძიბაძემ უნდა შეიტანოს ორ-მოცდაათი კოდი სურამს, ამას უჭირავს ორი თუმანი	ბ		ნ
18	აქვე ნაბახტევიდამ გოგია ფაფაკერაშვილმა უნდა შე-ეიტანოს ოცდახუთი კოდი სურამს, ამას უჭირავს ერთი თუმანი	ა		კე
19	აქავე კნეინა ეკატერინა თარხანოვისას უჭირავს ერთი თუმანი, ამან უნდა შეიტანოს სურამს სამოცი კოდი, ანუ მეტი	ა		Ჯ
20	ივანე კიკოს-შვილს ფალავანდოვს უჭირავს თუთხმეტი მანათი, ამან უნდა შეიტანოს სურამს ოცდახუთი კოდი	ა Ჭ		კე
21	გიორგი ამირეჯიბმა უნდა შეიტანოს სურამს ორმოცი კოდი პური, ამას უჭირავს ხელში ერთი თუმანი	ა		მ
22	ვარიანის მოურავს უჭირავს ხელში თუმან-ნახევარი, ამან უნდა შემოიტანოს გორის მაღაზიაში სამოცი კოდი	ა Ჭ		Ჯ

	გორისა და სურამის მაღაზიათა შესატანი პურის ფული ვისაც წინათ მიეცა	ლარ(ი)	კოპეკი	პური ჩეტვერ-(ტი) ანუ კოდი
23	გიორგი თაქთაქოვს უჭირავს ხუთი თუმანი, ამან უნდა შემოიტანოს ასი კოდი პური გორის მაღაზიაში . .	Თ		რ
24	ბარძიმ მაჩაბელს უჭირავს ათი თუმანი, ამას აკლია კიდევ პური შემოსატანი ოთხმოცდაორი კოდი და ნახევარი	ი		ᲭᲑ
25	ზურაბ ერისთოვს უჭირავს ათი თუმანი, ამან უნდა შემოიტანოს გორის მაღაზიაში ორასი კოდი პური . .	Ა		ს
26	ივანე ერისთოვს უჭირავს ხუთი თუმანი, ამან უნდა შემოიტანოს ასი კოდი პური გორის მაღაზიაში . . .	Ე		რ
27	ავთანდილ ამილახვაროვს უჭირავს თუმან-ნახევარი, ამან უნდა შემოიტანოს ოცდაათი კოდი	ᲚᲐ		Ლ
28	ქაიხოსრო მირზაშვილს უჭირავს ერთი თუმანი, ამან უნდა შემოიტანოს ოცდახუთი კოდი პური	Ა		ᲙᲔ
29	გოგშელაძემ უნდა შემოიტანოს თოთხმეტი კოდი, ამას უჭირავს შვიდი მანათი	Ჭ		ᲘᲓ
30	კიდევ შალვა ერისთოვისათვის ყისოვის ეყიდნა ჩემის თეთრით შალი (ერთი თუმანი)	Ა		
31	კიდევ შალვას მივეც გორს ერთი თუმანი	Ა		

370. 1825 წლ. ახლ. სურსათის გამომღებთა სია. დედანი. ზომა 36×21,6 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 6840 Hd.

ამ საბუთს დაახლოებით ათარიღებს საბუთი № 8317 Hd (იხილე აქვე).

პირველი სვეტი

ქ. იოსებ შალიკოვ 35
ქ. ვეზიროვ საწყაოთი 201
ქ. კნიაზი ბარძიმ ამილახვაროვისა $37^1/_2$
ქ. დავით თარხანოვისა საწყაოთი . 82
ქ. შალვა ერისთოვ საწყაოთი . . 87
ქ. მირმანოზ ერისთავისა . . . . $424^1/_2$
ქ. ბეცია ფალავანდოვ . . . . . $80^1/_2$
ქ. ზურაბ ერისთავისა 191
ქ. ბადურ ციციანოვისა 120

ქ. გიორგი ქარუმიძის 24
ქ. გრიგოლ მაჩაბელოვისა 120
ქ. ბლაღოჩინისა მამაცოვის . . . $223^1/_2$
ქ. ივან ერისთავს კოდი 61
ქ. არქიმანდრიტ სეროფინეს(?) . . $379^1/_2$
ქ. გიორგი ქარუმიძისა 27
ქ. თედოსის გარსევანოვისა . . . $48^1/_2$
ქ. მაიორ გარსევანოვისა . . . . $58^1/_2$
ქ. თაყა ამილახვროვისა . . . . . $55^1/_2$
ქ. ლუარსაბ ფალავანდოვისა . . . 17
ქ. სოლომონ ციციანოვისა 109
ქ. იასე ქარუმიძე . . . . . $61^1/_2$
ქ. იასეს ქარუმიძისა 48
ქ. ივანე ამილახვაროვისა 10
ქ. მიხაილ მაჩაბლისა . . . . . $65^1/_2$
ქ. სულხან თაქთაქოვი 68
ქ. ანანია გედ(ე)ვანოვისა . . . . $82^1/_2$
ქ. ლევან ერისთავს 108
ქ. გიორგი ამილახვროვისა . . . . $24^1/_2$

მეორე სვეტი

ქ. ძვრელი მელქუა 40
ქ. ივანე ამილახვროვი . . . . . $41^1/_2$
ქ. იასე თუმანოვი 123
ქ. დიმიტრი [. . .] . . . . . $25^1/_2$
ქ. ნიკოლოზ ფანიევ 24
ქ. თონიკე ერისთოვი 285
ქ. დავით ფალავანდოვი . . . . . $25^1/_2$
ქ. დავით დიასამიძისა ნარდათ . . 105
ქ. დავით ციციანოვისა 25
ქ. ტარიელ ფანიევისა . . . . . $69^1/_2$
ქ. გაბრიელ სააკოვისა 154
ქ. ბერი მაჩაბლისა 61
ქ. ქაიხოსრო ჯავახოვისა 33
ქ. პოდ-პორუჭიკ თაქთაქოვი . . . 98
ქ. ივან თუმანოვისა . . . . . $11^1/_2$
ქ. ზაზა ციციანოვისა . . . . . $19^1/_2$
ქ. გულიშანბაროვისა საწყაოთი . 83
ქ. კიდევ ამისი 29
ქ. მარშლისა 763
ქ. სიმონ მაჩაბელოვისა 24

მეორე გვერდზე, მარცხნივ, ცალცალკე სწერია:

25 თუმანი, 4 მანათი, ორი შაური. 97 თუმანი, ორი მანათი. სამას ოთხმოცდა ათი ჩეტვერტისა.

მეორე გვერდზე, მარჯვნივ, ცალცალკე წერია:
1622—ათას ექვსას ჩვიდმეტი და ნახევარი კოდი. 75 თუმანი, 4 მანათი, ოთხი აბაზი და შაურ-ნახევარი. 1317—ამისი ფასი ერგებათ 59 თუმანი, ორი მანათი, ოთხი აბაზი და შაურ-ნახევარი.

371. 1826 წლ. აპრილის 13. ხელწერილი, მიცემული იაგორ ივანიჩ ზუბალოვისადმი გორის მაღაზიაში ჩაბარებული პურის შესახებ. ზომა 34×22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 8569 Hd.

ჩყკვ წელსა, აპრილის იგ დღესა მოგეცით იაგორ ივანიჩს უფალს ზუბალოვის რასპისკა იმაზედ, რომელიც შეტანილი იყო გორის მაღაზეინში პრავიანტი კეთილშობილთაგან დღევანდლამდინ რვაათასოთხმოცდათექვსმეტი კოდი და ექვსი ჩანახი, რომელსაც კვიტანცია მაქვს, ადრე და ახლა მიღებული ანგარიშით შედგენილი გახდა ზემოხსენებული პური ორიათასხუთასსამოცდაცამეტი ჩეთვერთი (და) სამი ჩეთვერიკი. და უკეთუ ამაზედ მომატებული ბარათი აღმოჩნდება სადმე, ესეც უნდა მაღაზიამ ჩაიგდოს ანგარიშში.

372. 1826 წლ. მაისის 10. ხელშეკრულება, დადებული გიორგი ალიხანოვის მიერ გრიგოლ წერეთელთან სურსათის ჩაბარების შესახებ ჯარისათვის. პირი. ზომა 34,6×21,3 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 8568 Hd.

ჩყკვ-სა წელსა, მაისის ი დღესა ესე შეკრულების წერილი მოგეცი თქვენ, უფალს პოდპოლკოვნიკს და კავალერს თავადს გრიგოლ ზურაბის-ძეს წერეთელს, მე, ქვემო ამისსა სახელდებულმან გორს მოქალაქე გიორგი გიორგის ძემ ალიხანოვმა, ამას შინა, რომელ თქვენგან აღებულის კონტრახტითა ათასრვაასოცდაექვსის წლისა მაისის პირველიდამ იმერეთს და რაჭას დაბანაკებულთ მხედრობის პრავიანტას მობარების აღსრულება მე გთხოვე თქვენ და თხოვნითა ჩემითა მ(ი)ანდევით თქვენ ძმასა ჩემსა აღალუა გიორგის ძეს ალიხანოვს თქვენის ნაწილის პრავიანტის მიბარება მსგავსად კონტრახტისა შინა მოხსენებულის მუხლებისა. აწ მე მივიღე დღეისიდამ ვალად ჩემდა თავისა ზედა ჩემსა საქმე ესე და ვიკვრი თქვენთან ამ პირობის წერილით, რათა ამა საფუძველსა ზედა ყოველივე თქვენგან აღსასრულებელი ვალი ვიტვირთოთ და აღვასრულოთ მე და ძმამან ჩემმან, რომელსა ზედა თქვენი მოცემული ვექილობა დაიწერება კანტრახტისა იმის ძალით, ეგრეთვე როგორც მთავრობის მხარეთ, თანასწორივე: სყიდვასა და მობარებასა პურისასა, მიღებასა ზედა ტომრებისასა, კვიტანციისასა, გამოურიცხველად ყოველიც რაჲსამე ამას ზედა სახმართა სა-

ჭიროებათათვის ვიქმნეთ შოვალე და ჩვენ ვქმნათ ყოველი აღსასრულებელი განკარგულება, ხოლო თქვენზედ და თქვენს წარდგენილს გირაოებზედ არავითარი შრომა და ზარალი არ მიუშვათ. და უკეთუ მოხდეს რაჲმე წინააღმდგომე და შეგემთხვესთ თქვენ ვნება და მოგადგესთ თქვენ ზარალი, მაშინ ჩვენმან ქონებამან გარდაიხადოს უპასუხოდ და გირაოები თქვენი ყოველითურთ თავისუფალ იქმნეს. ესრეთ უნაკლულოთ გვიტვირთავს კანტრახტითა მით თქვენგან შეკრულების ვალი. ამასთანავე დაურთავთ ამ პირობასაც, რომელ რაოდენიც პური შემოიტანოთ, ანუ შეგეტანოსთ დანიშნულ ადგილებში, მე მივიღო დაუკლებლათ იმ ფასათ, როგორც თქვენ დაგნიშვნიათ მთავრობისაგან. დასარწმუნებლად ამის პირობასა გაძლევ მე თქვენ თავისმდებათ მეთოთხმეტე კლასის იაკოფ ივანეს-ძეს ზუბალოვს და მე ვწერ ჩემის ნებით ამ წერილსა, გიორგი გიორგისძე ალიხანოვი.

მე სწორეთ ჩემის ნებით თავსმდები ვარ ალიხანოვისაგან თავად გრიგოლ წერეთელთან, რათა შემთხვეული მის ზარალი ქონებისა ჩემისაგან გარდავიხადო, მეთოთხმეტე კლასის იაკობ ზუბალოვი.

აქ სასამართლოში დამტკიცებული არის და მდივანბეგის ჩხეიძის ხელი აწერია.

აქ სეკრეტარის შაბინისა.

აქ სტოლნაჩალნიკის.

373. 1826 წლ. მაისის 10. წერილი გრიგოლ წერეთლისა დავით თარხანოვისადმი პურის ფოდრატის თაობაზე. დედანი. ზომა 24×19,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 8460 Hd.

მოწყალებო ხელმწიფევ, თავადო დავით ზახარიჩ.

მე რომ მადეთ ვემზადებოდი ისე აქ წამომიყვანეს. ქუთაისს გახლავარ ისევე ჩემი ძმის საქმეებზე, თუმცა მე და სიმონ ვგონებ გავრიგდით. აღალუას ძმა აქ დამახვედრა უფალმა იაკობმა. რაც მე და იაკობს მასთან მოგვიხდა, ჰკითხეთ, ის მოგახსენებს. მე თქვენის ხათრით და თავაზით ას თუმანს აღარ დავსჯერდი და ვამჯობინე, რომ სულ ხელი ავიღო და ვნახოთ რას იქმს თქვენს მესამედ მოწილობაზე. ამით დაუყავ პირი, რომ ჩვენს მიცემულს არძაზედ (sic) სწერია—ჩვენთან ავხანაგათ (sic) არის თ(ავად)ი დავით თარხანოვი და კონტრახტში სწერია—ჩვენთან ავხანაგათ (sic) თ(ავად)ი დავით თარხანოვი. და რით ამბობს ზუბალოვი, ხოს ნახევარი თქვენი და ჩემი არისო და ნახევარი მისი? ბოლოს ეს მითხრა: დავით თანახმა არის, რომ ნახევარი თქვენ და იმან მიიღოთ და ნახევარი მეო. და ეს სომხური შარი არის, თორემ მე რათ არ მომწერდით? მაგრამ მაინც მომატყუა და მომატყუა იაკობამ. ვნახოთ რაი იქნას(sic) კიდევ. მალე მოგწერთ ფოჩტით აგრეევე ჩემს მად გადმოსვლას, ბატონო.

აწ უნდა გთხოვო ჩემის საქმისა, რომ ერთსთავად ამაზე მეტი აღარა მომადგება რა. მერაბ ნიჟარაძის ცოლს, არ ვიცი ჩემთა მტერთაგა შეგონებით, არ ვიცი უგუნურებით, ულია ვალი, რომელიც თითქმის ორას თუმნამდის შედგება. ამისთვის ველარას ღონეს გახდა, მეც შემაწუხა და მივეც ნება, რათა რაც კახეთში და ქალაქშიდ ყმანი არიან, გაიყიდოს და მით გარდიხადოს ის ვალი. და წამოვიდა დავით წულუკიძე, თვით იმ მერაბის ცოლის შვილი ფირანა და მასთან ეს ჩემი კაციც და მღვდელი გამოვატანე. ამაზედ უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, პოლიცმეისტართან შეგეძლოსთ, თუ საქართველოს თავადთან იყოს საჭირო, ანუ უმეტესად კახეთის თავადებთან, თქვენი წერილები გააკეთონ და გაატანოთ ამათ, რომ ეგების როგორმე ამათი საქმე შესრულდეს და მოვრჩე ამ მწუხარებას. ასე მადლობელი გეახლები, გინდ ორასი თუმანი თქვენი საკუთარი გებოძოთ.

რაღა გრძლათ მოგახსენო, რუსუდანის წაყვანისთვის თუ გაიბედება, მაკრინე მინდა გადმოვიყვანო. და თუ არ შეიძლება, ახლავე მიბრძანეთ, ბატონო.

ივან ნიკოლაიჩმა აფხაზოვმა დაინიშნა ქაიხოსრო წერეთლის მეორე ქალი შვიდ მაისს საღამოზედ და მოვალე იყო ბეჭდისა, შუამდგომლობითა თომა ბაინდუროვისათა და იაკობ ზუბალოვისათა. დიდი ყოფა აქვთ, ვიშოვეთ ჩვენ სიძე, მაღლა ჰყივიან.

თქვენი მოსამსახურე გრიგოლ წერეთელი.

ჩყვკ წელსა, მაისის ი, ქუთაისი.

374. 1826 წლ. ივნისის 13. წერილი გრიგოლ წერეთლისა დავით თარხანოვისადმი. დედანი. ზომა 24,7×20 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 8457 Hd.

თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფევ თავადო დავით ზაზას ძევ.

თქვენი წერილები მომიტანა, ოდიშს ვიყავ რა დადიანთან, ივანე კიკოსშვილმა და მაქვს იმედი მოგგვაროსთ თორმეტი უღელი ხარი და კამბეჩი.

ზუბალოვმა მომატყუა და რაღა მოგახსენო ოს ბტძფძხღოყც ღო უჯწფს ხძფღ საჯდ (sic). ჩვენი არხიერი წამოვიდა, შეეხვეწეთ, მიტროპოლიტს ან ჯამაგირით უზრუნოს რამე, ან ისე. იმედი მოგვცა და აღთქმა დიდი მანაც და მისმა სეკრეტარმაც და უფრო ამისთვის მომეცა იმედი, რომელ სეხნიას პირით დამიბარა ჩემს იქ ყოფნაშიდ, დავით ჩამოვიდეს ჩემთანაო. ამისთვის გთხოვ იტვირთოთ უდიდესი ესე ვალი და ერთი ჩაბრძანდეთ და შევიტყოთ მისი კარგი კაცობა. განა არ ვიცი რომ თქვენ მად საქმე(ე)ბი გაქვსთ, მაგრამ ეს საქმეები ცოტა არის და ეს დიდი საქმე არის. ეს ერთი კიდევ ვეცადოთ და თუ ინებოს რამე ღმერთმა და ეშველოს, თორემ ვმადლობდეთ ღმერთს

და მაქვს იმედი, რომელ თქვენისთანა აღრზდილს ჩვენთვის ზრუნვას ვერა რა დამაბრკოლებელ ექმნება და ინებებთ წაბრძანებას ტფილისშიდ ჩვენის არქიერის იქ ყოფნაშიდ.

ეს წიგნი პროკურო(რ)ს დადიანმა მოსწერა და ან თქვენ ეს ხელთ უბოძეთ, ან ფოჩტით დაუყოვნებლად, ჩემო ბატონო. ისევე მეტროპოლიტის საქმეზედ არის და მის მეტს არავის ჩაუვარდეს.

ეს ჩვენი არქიერის წიგნიც დადიანისგან მეტროპოლიტის საქმეზედ არის და უბოძეთ.

ეს ნიკოლოზ ფალ(ა)ვანდოვის წიგნი კი არ არის, მეტროპოლიტის საქმეზედ დადიანისაგან.

ეს ევგენიოს არხიმანდრიტის წიგნი ჩემგან არის. მოეწერა და მისი პასუხი არის და გთხოვთ დაუყოვნებლად გაუგზავნოთ, ჩემო ბატონო. ეგების იწამოს ღმერთი და იზრუნოს რაჲმე მიტროპოლიტისთვის. ჩემო ბატონო, ამაების პასუხს მალე მოველი თქვენგან საჩხერეს, ამ იმედნეული, რომ თქვენ არ დაუტევებთ ჩვენს არქიერთან ჩაბრძანებას და, ნუ გენაღვნებლათ(sic), ჩხეიძე არხიმანდრიტთანაც ეცადეთ, ბატონო.

თქვენი მონა, გრიგოლ წერეთელი.
ჩყკვ-ს წელს, ივნისის იგ, ქუთაისი.

375. 1837 წლ. აპრილის 5. ზვრის იჯარის ფულის მიბარების ხელწერილი, მიცემული ივანე იესეს ძე გარსევანოვის მიერ პოდპოლკოვნიკი თავადი დავით თარხანოვისადმი. დედანი. ზომა 21,8×17,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად აქა-იქ ნახმარია წერტილი და მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 8331 Hd.

უფლის სამოქალაქო ღუბერნატორი(ს), თავადი ნიკოლოზ ფალავანდოვის ბრძანებით, საეკლესიო ძეგვის ზვარის ღვინო და ოტკა ათას რვა(ა)ს ოცდათოთხმეტის წლისა და ათას რვა(ა)ს ოცდახუთმეტის წლისა, მინდობილი უფალი პოდპოლკოვნიკი თავადი დავით თარხანოვისადმი გასასყიდათ, რომელიც გაუყიდია ორმოცდაერთი თუმნის, სამი რუბლისა და ერთი აბაზისა, ეს ხსენებული ვერცხლის ფული პოდპოლკოვნიკი დავით თარხანოვისაგან მომბარდა ეგზარხის კანცელარიაში შესატანად საეკლესიო ძეგვის ზვრის იჯარის ფულისა, რიცხვში—ე აპრილს, ჩყლზ-ს წელსა. ივანე იესეს ძე გარსევანოვი.

სხვა ხელით:

ივანე იესევიჩისაგან მოცემული ბარათი არი, რომელიც მივაბარე ძეგვის ზვრის ღვინისა და ოტკისა.

ვ ა ჭ რ ო ზ ა

376. 1703—1716 წ.წ. ბრძანება კახთ-ბატონის იმამ-ყული-ხანისა ენისელთ მოურავის მერაბისადმი აბრეშუმზე ყადაღას დადების შესახებ. დედანი. ზომა 17×14 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3854 Hd.

იმამ-ყული-ხანი კახეთში მეფობდა 1703—1721 წლ., ხოლო ენისელთ მოურავი მერაბი ლეკებმა მოკლეს 1716 წ. (იხ. ვახუშტის „ისტორია", ზ. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 204).

ქ. ჩვენ მაგიარათ ენისელთ მოურავს ბატონს მერაბს ასე მოახსენეთ: აწე ენისელში ჩვენს სახასოს, თუ საბატონოს კაცის შვილს ყმას აბრეშუმი დაეჭიროს, მანამდის ჩვენს კარზედ ნიხრი არ გავაკვეთინოთ, ან სოფელში სომეხს არ მიყიდონ და ან სხვაგან არ წაიღონ გასასყიდლად. ძალიანი ყადაღა უყავი. მოიტანონ აქ ჩვენს კარზედ, ბაზარში გაყიდონ. თორემ ეს იცოდეთ, შევიტყევით, ეს ჩვენი ყადაღა გაუტეხია ვისმე, ჩვენად შეცოდებად მოვკითხავთ.

მეფე იმამ-ყული-ხან

[1]

377. XVIII ს-ის 1-ლი ნახევარი. სომხით-საბრათიანოს და ყაიყულის ბაეების იჯარის წიგნი, მიცემული მუსტაჯირების მიერ ყაფლანიანთ გორჯასპის შვილის ქაიხოსროვ-ბეგისადმი. დედანი. ზომა 30×21 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3587 Hd,

საბუთის თარიღს დაახლოვ. განსაზღვრავს ქაიხოსრო გორჯასპის ძე ყაფლანიშვილი (ორბელიანი), რომელიც იხსენიება 1730 წლის ქვეშ (საქ. სიძვ. II, № 308, გვ. 356).

ქ. ეს დასტურამალი ამა წლის მუსტაჯირებმან, ფითუანთ ელიზბარამ, ნარიმანანთ ნარიმანას შვილმან სულემანამან, ზარაფის-შვილმან გურგენამ და მელიქი ზურაბის შვილმან ავთანდილამ, მოგეცით თქვენ, ყაფლანიანთ გორჯასპის შვილს ქაიხოსროვ-ბეგს, ასე რომ რაც ქალაქს გარდა ქარავანმა გაიაროს სომხით-საბარათიანოს მამულშიდ და ყაიყულის, ასე რომ გატეხილ ხიდიდამ რომ აქეთ გამოსცილდეს, თუ არაყელი, თუ ჰადირბეჯანელი, თუ სომეხი, თუ თათარი, თუ თათი, თუ ურუმი და თუ ურუმის ქვეყნიდამ ამ მამულებშიდ ქარავანმა გაიაროს, ამების ბაჟი შენ აიღო. დასტური ყადიმ, რაც

[1] ბეჭედი.

ამაში ბარათი სწერია, ამ კვალად აიღოთ; ან მოქალაქე, ან საქართველოს კაცი, ყველასგან აიღო შეუწყენებლივ. ამაზედ ნამეტნავობა არა ქნათ რა.

რაც ჩვენმა მოქალაქემ, ან ჩვენის ქვეყნის კა(ც)მან გაროვინო(ს), ამათი წესი ეს არის. რაც ამას ქვეით სწერია, ასრე არის:

აბრეშუმი აქლემის საპალნე ც (ორი მინალთუნი), ცხენის საპალნე ჩ (მინალთუნი); ქ. ქაშანის ფარჩის საპალნეზე ჭ (ხუთი მინალთუნი); ქ. თავრეზის ფარჩის საპალნეზედ ცხენის ცფ (ორი მინალთუნი და ათი შაური), აქლემის საპალნე ჭ (ხუთი მინალთუნი); ქ. ბანბის საპალნე თუ ცხენის თუ აქლემისა უ (ორი აბაზი); საყათის ცხენის საპალნე ჩ (მინალთუნი), აქლემის საპალნე ჩფ (ერთი მინალთუნი და ათი შაური); ქ. ხამ ხალათზე ცხენის საპალნე ჩქ (რვა აბაზი), აქლემის საპალნე ცხ (თერთმეტი აბაზი); ქ. ბაგრასტი და მაუდი ცხენის (საპალნე) ცუ (თორმეტი აბაზი), აქლემის საპალნე ძუ (სამი მინალთუნი და ორი აბაზი); ქ. ლანდრა ცხენის საპალნე ხს (ექვსი აბაზი), აქლემისა ჩლ (ერთი მინალთუნი და თოთხმეტი შაური); ქ. ბეწვეული საპალნეზედ ც (ორი მინალთუნი); ქ. ქათანი ცხენის (საპალნე) ჩ (ერთი მინალთუნი), აქლემის საპალნე ჩუ (შვიდი აბაზი); სპილენძი ცხენის საპალნე უ (ორი აბაზი), აქლემისა საპალნე ქ (სამი აბაზი); ქ. შაბი, კინა[1], ბრინჯი ცხენისა თუ ხარისა რ (ორი შაური), აქლემის საპალნე რნ (სამი შაური); ერბო, ქონი, თაფლი, ენდრო, ძროხის ტყავი ცხენის (საპალნე) ს (აბაზი), აქლემის საპალნე ტ (ექვსი შაური).

ამიებს გარდა რაც სომხით-საბარათიანოს მამულში ფარჩა გაისყიდოს ქალაქს მოსულს გარდა, თუმანზე აბაზი აიღეთ.

რაც ამ გზებზედ საპალნეს გარდა წვრილათ ფარჩა გაიაროს, თუ ურუმისაკენ წავიდეს, თუ ყიზილბაშისაკენ, თუმანზე ორი შაური აიღე.

ქ. ეს თავსილი რომ სწერია, ჩვენის ქვეყნის კაცისთვის არის და თუ სხვა ქვეყნის კაცმა გაიაროს, რაც ამ წიგნშიდ თავსილი სწერია, ამის ნახევარი უნდა აიღოთ.

ქ. ამებს გარდა, ურუმიდამ რომ ჯალაბმან გაიაროს, თუ განჯისკენ, თუ ერევანისაკენ, ცხენზე რ (ორი შაური), ძროხაზედ ნ (შაური), ცხვარზე ი (ორი ფული). ესენიც ამ კვალად აიღე და ქალაქისკენ მამავალთან ხელი ნუ გაქვსთ. და ქალაქიდამ თუ ვისმე რამე გამოეპარებინოს, თუმანზე ორი შაური აიღე. და თუ ჩვენის ბეჭდით თასვირა ჰქონდეს, ხელი ნუ გაქვსთ, და რაც თასვირაზე მეტი რამე ჰქონდესთ, იმისიც თუმანზე ორი შაური გამოართვითა.

[ ] [ ] [ ] [გურგენ][2]

---

[1] „(რ)კინა“ (?)

[2] ოთხი ბეჭედი: ერთი სომხური წარწერით, ერთი სპარსულითა, ერთი თურქულითა, ერთიც ქართულითა.

378. 1773 წლ. ივნისის 14. შართლამის წიგნი, მიცემული ხალტაკოანთ კარაპიტას მიერ იოვანე მდივან-ბეგისადმი ბასრაში რუსის-შვილისათვის ვალის გარდახდევინების თაობაზე. დედანი(?) ზომა 20×14,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი, ორწერტილი, სამწერტილი ან ოთხწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3679 Hd.

ქ. ღთ, ეს შართლამის წიგნი მოგეცი მე, ხალტაკოანთ გასპარას შვილმან კარაპიტამან, თქვენ, იოვანე დივან-ბეგს, ასე რომ ერთი ფარდი ვექილობის წიგნი გამატანე ბასრას. ან საცა შეგეყაროს მუსი(?) რუსის-შვილის ფრანგსისის ის ასაღები გამოართო და მაინც უნდა წახვიდე ბასრას. იმისგან აღებული მაბლაღის ხრიდი ვქნა და მოვიდე ქალაქს და რაცა თეთრი რომ ფრანციციდან მაღდური გახდეს და მომებაროს, იმ თავნიდამ ოთხი წილი შენ, დივან-ბეგმა, უნდა აიღო და ერთი წილი მეხუთედი მე, კარაპიტამ, უნდა ავიღო და სარგებლისა ორი წილი შენია და ერთი წილი მე, კარაპიტამ, უნდა ავიღო. რომელისაც ამ საქონელზედ ხარჯი, ქირა ან ბაჟი გავიდეს, სულ შვადამ უნდა ადგეს და დაიხარჯოს და ჩემი (bis) ბოლზის(?) ხარჯი მე უნდა გავწიო. ამიტომ რომ მე ჩემს საქმეზედ მივდივარ და შენ ჩემს სხვა შარიშტსთან საქმე არა გაქვს, მარტო(bis) ფრანგსიზის ასაღების საქმე გექნება ჩემთან, როგორც პირობა გვაქვს. მაგრამ ეს პირობაც დავდევით, რომ ხელი ღ᾽თისა არის და უნდა იყოს, რომ მე ჯუქმთან საქმე არა მაქვს და, ღმერთმან ნუ ქნას, რაცა ჯუქმი მოვიდეს იმ ქვეყნისა და ქარავნისაგან მუჯალამა მოგიტანო და დაგაჯერო, თუ ბასრას იქით შენი თანხა წავიღო, ჯუქმი და ზიანი მე გავწიო. თუ ბრანგსიზი(sic) ან საფრანგეთს ან ინდოეთს წასულიყოს, მე საქმე არა მაქვს. ჩვენი შართი ჰალაბი, ბაღდადი და ბასრა არის. მე, კარაპიტამ, დამიწერია. ესეც ჩემი ხელია. დაიწერა მთიბათვის იდ, ქ᾽კს უჲა.
კაკ |დაიწერა ღ᾽თი

379. 1785 წლ. მაისის 11. ბრძანება (ერეკლე II-ისა) ქანდასა და განჯას წამსვლელი მეურმეებისადმი. ახალი დროის პირი. არავითარი შენიშვნა თან არ ახლავს.
საქ სახ. მუზ. № 11448 Hd.

ქ. ჩვენ, ბრძანიბა არის, ქანდას და განჯას წამსვლელნო მეურმეებო! მერე, როცა თქვენი წასვლა მოხდეს, თქვენს ქარავანს შაბათ თეიმურაზ ჯავახიშვილი უნდა გამოგყვესთ. ამას სიტყვას გაუგონებდეთ და დაუჯერებდეთ.

თეიმურაზ ჯავახიშვილო, შენც მართებულად გაისარჯე, რიგიანათ უთავე და, ღვთით, ამათ მოვლას კარგათ ეცადე.

აღიწერა მაისის ია, ქკს უოგ.

მაგათს ერთად დაყენებაზე და ყარაულობაზე, რიგიანათ ერთად აყრაზე დიდათ ბეჯითი უნდა იყო.

380. 1785 წ. წერილი იოანე ამილახვარის-შვილისა საამ (შიხინაშვილისადმი) აღა ტერ-სვიმონაშვილისათვის ამანათების მიბარების შესახებ. დედანი ზომა 13×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საქ. სახ. მუზ. № 735 Qd.

შდრ. აქვე საბუთები №№ 703, 736 და 734 Qd. საბუთი № 736 გვიჩვენებს, რომ წინამდებარე წერილი 1785 წლის ივლისამდეა დაწერილი, ხოლო საბუთი № 703—რომ საამ შიხინაშვილი ისპაანში იმყოფება.

ქ. ძმაო ბატონო საამ, სიყვარულით მოგიკითხავთ. მერე, თუ ჩვენს ანბავს იკითხავთ, ღ(ვ)თით მშვიდობით ვიმყოფებით. აღა ტერ-სვ(ი)მონაშვილი გამომიგზავნია. ეგ ჩემი ამანათები მიეცი და წიგნი თქვენ შეინახეთ: კრიალოსანი მარგალიტისა, სამი თითი ალმასისა, ორიც კიდევ იაყუთ და ზურმუხტია, ოცდაათი ოქროს ბეჭედი, ექსი ალმასით, თორმეტი აყუთი, შვიდიც ლალია, ორიც ყულაბა იაყუთ ზურმუხტნარევი, გულებიც ალმასია, თორმეტი შალი, ოთხი თავისა, რვა წელის. ალბათ უბოძეთ. აღიწერა რეშტს ქ(ვ)კს უოგ.

მათი სიკეთის მდომე, დიმიტრი ამილახვარის-შვილი იოანე.

381. 1785 წლ. ივნისის(?) 22. (იოანე ამილახვარის-შვილს) ამანათების მიბარების წიგნი, მიცემული აღა ტერ-შიმონაშვილის მიერ საამ შიხინაშვილისადმი. დედანი(?) ზომა 15×15 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.

საქ. სახ. მუზ. № 703 Qd.

შდრ. აქვე საბუთები №№ 735, 736 და 734 Qd. საბუთი № 736 გვიჩვენებს, რომ წინამდებარე წიგნი დაწერილია 1785 წლის ივლისამდე, ისე რომ მის ბოლოში მოყვანილი თარიღი „კბ“, თვის დაუსახელებლივ, შესაძლებელია, ივნისს ჰგულისხმობდეს.

ქ. მომებარა ტერ-შიმონაშვილს აღას შენ, სა(ა)მა გორელი შიხინაშვილისაგან თავისი ხელწერილით კრიანოსანი მარგალიტისა და სამი თით(ი) ალმასისა, ორიც კიდევ იაღუთ (იაგუნდი?) ზურმუხტ-ნარევი, ოცდა ოთხი ოქროს ბეჭედი, ექსი ალმასისა, თორმეტი იაღუთისა, შვიდიც ლალია, ორიც ყულაბა იაყუთ ზურმუხტ-ნარევი, გულებიც ალმასია, თორმეტი შალი, ოთხი თავის, რვა წელისა. მამბარდა ესენი მე ისპანს ჯულფას სა(ა)მისაგან.

აღიწერა კბ, ქ(ვ)კს უოგ.

სხვა ხელით და სხვა მელნით: ნიკოლოზ საგინოვი.

382. 1785 წლ. ივლისის 3. წერილი აღა ტერ-შიმოვანას-შვილისა გიორგი ზაალიშვილისადმი იოანე (ამილახვარის-შვილის) ნივთების მიბარების შესახებ. დედანი. ზომა 12×8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 736 Qd.
შდრ. აქვე საბუთები №№ 735, 703 და 734 Qd.

ქ. ჩემს საყვარელს ძმას, ბატონს გიორგის ზაალის-შვილს, მათი უმცროსი ძმა, აღა ტერ-შიმოვანას-შვილი მრავალს შესაფერს მოკითხვას მოგახსენებთ. მერე, თუ ჩვენს ამბავს იკითხავთ, ღ᾽თით მშვიდობით გიახელით ქაშანს. ბატონმა იოანე-ხანმა, რომელიც წიგნი გვიბოძა, ის ნივთები ყოველნი მოგვბარდა საამის ხელით. ხანს ჩვენ მაგიერ ხელს კოცნა(ს) მოვახსენებთ. ღ᾽თით, მალე ვიახლები. ფიქრი ნურასი აქს. ცოტაოდენი ხრიადი (sic) მქონდა, იმას ვისაქმებ და გიახლები. აღიწერა მკათათვის გ, ქ᾽კს უოგ. აღა.

383. 1785 წლ. ივლისის 27. წერილი აღა ტერ-შიმოვანას-შვილისა ირვანე (ამილახვარის-შვილისადმი) ნივთების მიბარების შესახებ. დედანი. ზომა 17,5×10 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 734 Qd.
შდრ. აქვე საბუთები №№ 735, 703 და 736 Qd.

ქ. ჩემს მოწყალეს ბატონს ირვანე-ხანს მრავალს ხელს კოცნას მოვახსენებ. მერე, თუ ჩვენს ამბავს მოიხსენებთ თქვენის სიმაღლე და ღთით მშვიდობით გახლავარ ქაშანს. რომელიც წერილი გებძანათ, ის ნივთები ყოველივე მოგვბარდა ს(ა)ამის ხელისაგან. თანძურ ხათაია ზეპირ გვიბძანე. იმისი ასე მოგახსენა—ავთანდილას ხელით მივართვიო. საამამ მოგახსენათ. შენი ჭირიმეე ნუ გამიწყრები, ნესვი და კომში არ გამოსულა. ორი ყულაბა ღვინო მოგართვი, გოგია კერატაშვილის ხელით მოგართვი, მაგრამ მალე გიახლებოდი. გზაზე გვეშინოდა აღამამათ-ხანისაგან, ყაზმის იყო. ამ ცოტა ხანში ქარავანი აპირებს წამოსვლას, იმათში ვიახლები. სხვა ნურა გეფიქრებათრა. ცოტა ოდენი ხრიადი (sic) მქონდა, ყველა მისაქმია და მალე გიახლებით. თქვენი სიმაღლის მონა და მოსამსახურე ტერ-შიმოვანას შვილი აღა.
კათათვის ქზ, ქ᾽კს უოგ.
Verso სხვა ხელით: აღას წიგნი ტარსა(?).
აღასაგან მოწერილი ჩემ ძმასთან, დიმიტრი.

384. 1787 წლ. მაისის 29. წერილი დ ა ვ ი თ თ უ თ უ ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა მ ა ნ უ ჩ ა რ მ დ ი ვ ა ნ-თ ა ნ ზეთის ფასების შესახებ. დედანი. ზომა 17×10,2 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 5924 Hd.

მანუჩარს.

ქ. ღმერთმა ბატონის მდივნის ჭირი მოსცეს მათს მოსამსახურე თუთუ-ნიშვილს დავითს. ამას წინათ წიგნი გებოძათ, ოცი თუნგი ზეთი გებძანა ოთხ აბაზათ, ან ხუთ აბაზათ. ამის წინა ბევრი იყო, გაიყიდა. ახლა აღარავის აქს შვიდ აბაზათ—ოცდაექს შაურათ ძლივ ვიშოვნით. ამის გამო ის ვერა გაახელ[1]. და მერე ვიცი, თქვენ ამთონს ზეთს არ დახარჯამ. და თუ სხვისთვინ გიბძანებია, ვირე არ ეყაბულათ, თუ ბძანებ, ვიშოვი, გაახლებ. წიგნის მორთმევა ამ მიზეზით დავიგვიანე . . . .[2] დღეს-ხვალა მობძანდები. გეტყობა, არ მობძანდები. ჯერ ბურნუთის იჯარიდან არა ამიღია რა. ლელუკას-შვილის ვალი ოქ-რუას მივე. ცხრა მინალთუნი. გადასაწყვეტის წიგნი გამოვართვი. მაისის კთ, უოე.

ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ:

ქ. ლელუას-შვილისა ვალი ოქრუას ჰ (9 მინალთუნი).

Verso:

ქ. ბატონ მანუჩარ მდივანს მიერთვას.

385. 1790 წლ. მარტის 21. იხტიარობის წიგნი, მიცემული ხ ა დ ა კ ა (ნ) თ კ ა რ ა პ ე ტ ა ს მიერ თავისი სიძის დ ე მ ე ტ რ ე ს ა დ მ ი. დედანი. ზომა 18×24 სმ. [დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი და ორწერტილი ყო-ველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 7752 Hd.

ქ. ესე იხტიარობის წიგნი მოგეცი მე, ხადაკა(ნ)თ გასპარას შვილმა კარა-პეტამა, შენ, ჩემი სიძე დემეტრესა, ასე რომ მე ინდოეთს მივდიოდი, მოგეცი ჩემი ყოველი სახლის, კარის, ცოლის, შვილის, ასაღების და მისაცემის ყოვ-ლისფრით იხტიარობა. შენთან არავისა ქონდეს საქმე არც ჩემიანი, არც ჩემი სიმამრიანი. ჩემი მოს(ვ)ლამდინ რაც შვიდობით მოვალ, ჩემი უმცროსი ძმა შენ იქნები და თუ უბედურობა მეწვია და ვერ მოველ, ისევ შენ იქნები ჩემი ყოველის სარჩოს იხტიარი. მე, კარაპეტას, დამიწერია და ყაბულიც მაქვს.

დაიწერა მარტის კა, ქკს უოᲪ. კარაპეტ.

მე, სუფშინის (sic) კადელაკმა, კარაპიტას მოძღვარმა ტერ-სტეფან, კა-რაპიტას სიტყვით ამ იხტიარობის წიგნის მოწ(ა)მე ვარ. სტეფან+

---

[1] დედანში: „გახელა".

[2] აქ ორი სიტყვა არ იკითხება: „ხმა დაგიგდია"(?)

ქ. ავეტიქ ოჰანეზა ბატონი კარაპიტას ყაბულობით ამ იხტიარობის მოწ(ა)მე ვარ. |___|[1]

ქ. ამ იხტიარის დამსწრე თუკახამ. |___|[2]

386. 1790 წლ. ოქტომბრის 1. მოწმობის წიგნი, მიცემული ტერ-ყაზარანთ აღალოს მიერ მანუჩარ მდივნისადმი ფარჩის ფასის გადახდის შესახებ. დედანი. ზომა 8×10,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 7949 Hd.

შენ, ბატონი მანუჩარ მდივნისაგან, რომ ბაღდასარას ზარი ხავერდის ფარჩა ეყიდნა, ბაღდასარამ მე, ტერ-ყაზარანთ აღალოს, მითხრა—ხავერდის ფასი მიეც თორმეტი თუმანი(ო). მე თორმეტი თუმანი შენთვის მამიცია, შენ ორ თუმანს კიდევ ითხოვდი. ამ ორის თუმნის შენ იცი და ბაღდასარამ.
ღვინობისთვის ა, ქკს უოᲪ.
ბოანდა(?) აღალო.

387. 1791 წლ. დეკემბრის 18. ნუსხა მინას-აღასაგან მინაბარები საქონლისა, შედგენილი მანუჩარ მდივნის მიერ. დედანი. ზომა 22×13,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3630 Hd.

ქ᾽კს უოთ, ამ წელს, ქრისტიშობის იᲪ ამას ქვემო ნაწერი საქონელი მინას-აღამ მე, მანუჩარ მდივანთან, გაუშვა:

ქ. მა ადლი ყირმიზი, კაი სააია ნაჭერი ბ.
ქ. მ+ ადლი ყირმიზი, ბ ნაჭერი ბაშმაუდი.
ქ. ამას ქვეით პოლნი შფანცკის მაუდი დაიწერა.
ქ. ა ნაჭერი ლურჯი, ადლი იᲪ
ქ. ა ნაჭერი წითელი, ადლი იე+.
ქ. ა ნაჭერი ზეითუნი, ადლი ივ.
ქ. ა მთელი ისფერი, ადლი კგ.
ქ. ა ნაჭერი მიხაკის ფერი, ადლი იბ+p[3]

პეp[3] ქ. იქნა ამ ხუთი ყალმის პოლნი შფანცკიის მაუდის ჯამი.

---

[1] მურის ბეჭედი, რვაკუთხედის მოყვანილობისა, სახელი არ იკითხება.

[2] სომხური მურის ბეჭედი, რვაკუთხედის მოყვანილობისა.

[3] აქ ასო-ციფრების შემდეგ რაღაც ნიშანი ზის, ლათინური პატარა p-ს მსგავსი, რომლის ოდენობა გაურკვეველია, შეიძლება $^1/_8$-ს ნიშნავდეს. თუ ასეა, მაშინ იბ+p იქნება $12^3/_8$, პეp—$85^1/_8$.

ქ. ა ნაჭერი ლურჯი ამავ მაუდისა, ადლი კბ+.
ქ. Ѹ+ᲯᲐ ადლი მწვანე მაუდი ბაში, ადლი.
აქ სომხური ხელრთვაა.

ქ. ამ ზემო მოცემულის საქონლიდამ წასვლის დროს მინას-აღამ დახარჯა, რომ თვითონ მოეჭრა და მითხრა, ბაშმაუდი მწვანე, ადლი ორ-ნახევარი.

388. 1792 წლ. ივნისის 27. წერილი სტეფანასლანოვისა მანუჩარ თუმანოვისადმი ჰაშტარხანიდან. დედანი. ზომა 35,5×22 სმ. დაწერილია ორ ფურცელ ლურჯ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 3516 Hd.

მათს ბრწყინვალებას, კნიაზ მანუჩარ დივან თუმანოვ(ს).
ჩემო მოწყალევ ხემწიფევ!

ქ. მდაბლათ სამსახურის ნატრას მოვახსენეფ ჩემს მოწყალეს სჰ^აბს. სამი რიგობა წიგნის წყალობა გექნათ. აქ მებოძა პირველი—მაისის ი, მიორე—ამავ თვის იე, მესამე—თიბათვის იდ, ამდენს. ვმადლოფ თქვენს მოწყალებასა. ჩემო სჰ^აბ, პირველათ გებძანა, შენი აღის ვექილი ვარო, დაუბარებიხართო, უნდა მოხვიდეთო. ჩემო სჰ^აბ, ასე მაგრა მიბარებთ, თითქმის გამოქცეული ვიყო მაინდამა და თანხა გამეწივოს და უკუმჯდომილ ვიყო. მაგრამ თქვენ რომე საქმიდგან ხაბარი არა გაქვსთ, რათ უნდა ვიწყინო, ჩემო მოწყალევ. მე ჩემ სჰ^აბ აღისაგან მერიდებოდა, იმიტომ ჩემი აფალი აქამდინ არ მოგახსენე. რადგანც რომე მაგან მოინდომა, თქვენი პრწყინვალე პირით მელაპარაკა, მაინც ჩემი ნაღველი შენ უნდა შეგეტყო, ჩემო სჰ^აბ, ახლა ყურის მოგდებით მომიხსენიე.

პირველი ეს, რომე, მოგეხსენებოდათ, მე რომ ჩემ სჰაბ აღას ქალაქში ვეყრებოდი, მიზეზი ეს იყო, რომე ვანბობდი: კარაპიტას ჩვენს საქმეში ნუ რევ. თითონაც კარგა იცოდა და შეცა. მე რომე ხოის გახლდი, იქიდამაც აქაურს კიდეც მოეწერათ, რომე: ეს შენი ძმა აქიდამე წაიყვანე. არ დაიშალა და კისერზე მომაბა და კიდეც მოეწერა აქ ჩემთანა, რომე ჩემი ხეირი ამაში შევიტყეო, რომე ეს საქმე შენთან დავიჭირეო. მე ხომე თავაქალათ ვიყავი, რა ვიცოდი თუ ეგ თავის სარფას ეძებს და მე დაქცევას მიპირობს. მახლას, სჰაბ!

დავიჭირეთ ეს საქმე, რომე ეგ ჩემი სჰაბ აღა ქალაქს ივაქროს, თანხა გამოვგზავნო, თანხა გამომიგზავნოს, და მე აქ დავჯდე, კარაპიტა, საითაც ხეირათ ვნახო, გავგზავნო. და ქალაქიდამე რომე მოვდიოდი, ორმოცდაათი თუმანი ფულიც გაუშვი, რომე სანამ მე თანხა გამოუგზავნო, მაგით რამე იყიდოს, რომე მაგისი სარმაე იყო ათასი თუმანი, რომე ხოიდამე ხრიდი მომეტანა, ათი თორმეტ-ნახევარი დადვა და ქალაქის ფული გახადა, რომე შვიდასოცდაათი თუმანი მანდ ავს (აქვს?) დანარჩომი. აქ თავისი ძმაზედ ბარათი მიყო-

რომე აგვეღო როგორც თომარში უწერია. და ეს ვექილიც ვიყავი აღისა, რომე შაროას და კევოას ანგარიში სარმაე გამოვართო. და სარმაეცა და ზოგი თავიანთ საკუთარი წავი ყუნდუზი ამანათიც მქონდა, რომე ესენი სულ მივაბარო კარაპიტას. და ჩვენი სარმაის ნაკლები მომცეს, შაროასაგან გამორთმეული სარმაისა ორასი თუმანი, ერთი რამ მეტ ნაკლები უწინვე კარაპიტასთან იყო. მახლას ესენი სულ მივაბარე, რომე ამისი სიაების პირიც აღასთანაც არის. მაგრამ ჩემი მოტანილი ბარათს გარდა ოთხასი თუმანიც სხვა ვალი ჰქონდა კარაპიტას. მე რომე მოვედი, შაროასი და კევოასი რაც დარჩა, შვიდი თვე ვადა დაუდე. რაც მაგისი საკუთარი მომეტანა, წავს ძ (სამი მინალთ.) ასე თხოულობდნენ, ყუნდუზს ც (ორი მინალთუნი) ასე. თუ რომე გამეყიდებინა, გაშინჯე რამითი ზარარი მოუვიდოდა. ვახსენე ღმერთი, რომე ჩემი საქმე არ იყო. ამისი ვექსილები დავიხსენი და ჩემი სახელობით ვექსილები მივეცი და რაც საქონელი ჰქონდა, ან შაროაზე, ან ჰუშტრისშვილზე, სია გავატანეთ ყანბარში, ვალი დავწერეთ, თუ თავისი ვალი, თუ ჩემი მოტანილი, ბარათი დავწერეთ, რომე როდისაც თავისი ნისია ავიღო, ან გაშვებული საქონელი გავყიდო, თავისი თარიღით დავწერო, ჩემი მოტანილი ბარათის ფულიც ავიღო და რაც დარჩეს, თავიანთ ვალი მივცე. ორი სია გავაკეთეთ, ერთი კარაპიტამ წაიღო, ერთი ჩემთან დარჩა, რომე მერე ერთი პირიც გამოვწერე და აღას მოვართვი და მოვწერე, ორასი თუმანი თქვენი ვალი გაქვსთ მეთქი, ამისი თანხა გამოგზავნე მეთქი. რამთენჯერ მოვწერე, პასუხი არ მომწერა. ეს ხომე თავიანთ საქმეა, რაი პასუხს არა მწერს. ეს კი მოეწერა: ჩვენში ანგარიში არსად წავაო, ჩემი ანგარიში რომე არ არის ეგ ანგარიში, თავის ძმასა სთხოვოს. მე ავკაცობა ხომე არ მიქნია, რომე ნახევარ ფასათ არ გავაყიდვინე. ის ღმერთმა იცის რაც ჯაფა გამიწევია, ვიზედაც გამიყიდნია, ჰუზურში არიან, ან მოზდოკის ფული როდისაც ამიღია, თარიღით სწერია, ეს ერთი ძნელი ანგარიში არ არის, ამას ამიტომე მოგახსენეფ, რომე მე ეს საქმე მიქნია. ჩემო სჰაბ, ახლა ჩვენი სარშტისა მოგახსენო: მოზდოკს რომე გიახელი საქონელი, ექვსის თვის ვადით საქონელი გავყიდე. მოგეხსენებოდა, რომე მაშინ ხალხს რა ზარარი მოუვიდა, რომე გზაზე მთელი ცალები დალპა, რომე ერთიც ყამაზანთ მურადას შვილისა იყო. წყალჩავარდნილი საქონელი, წვიმისაგან წამხდარი, თუ ვადით არ მიმეცა, არ იქნებოდა. ვიფიქრე: ექვსის თვით რომე გამიყიდნია, რვა თვე გასწევს, ეს რვა თვე რა უნდა ვქნათ? ეჰტიბარიცა მქონდა. მივყავ ხრიდს ხელი. ხუთასი თუმნის ხრიდი დათოას ხელით გამოვისტუმრე ქალაქს აღასანთან. ათას ექვსასი თუმნის ხრიდითაც კარაპიტა გავისტუმრე ბაქუს. მივეცი ვექსილები ხალხს და დავჯექი აქა. მაინდამე იწერა აღამ, რომე შენთვინ თანხას ვაკეთეფო. გაიარა ექვსი, შვიდი თვე, რომე ცოტა ყუნდუზი წავი ყაიარი ზარბაბი გამოეგზავნა, რომე წინ და უკან გამოგზავნილი ოთხმოცი თუმნის ძლივ არის, რომე ზარბაბები ისევ მოზდოკს ჰყრია, როგორც დაუწერია, მანდა ისე არ ისყიდება[1]. მერე მომწერა ბეწვეულს კარგი ფასი აქვსო, ხურდასაო, ჰალბათ რომე გამოგზავნო. სამასი თუმნის ბეწვეული, თუ ფრანგის ჩითი, თუ სხვა რამ ხრიდი ვქენი და გა-

[1] აქ ერთი სიტყვისათვის ცარიელი ადგილია დატოვებული.

მოუგზავნე. კიდევ იწერა, რომე შენთვის ბლომა თანხას ვაკეთეფო, ყული-ბეგის ხელით ფული გამიგზავნიაო ძაფისთვინაო, ჭარში მჯდომი სომხები იყვნენ აქაო, ჭარში ძაფი ⊖ (რვა თუმანი) ფუთი ასე შეურიგდიო, ⊖ (შვიდი თუმანი) ესეც ბეჭი მივეცო, ⊖ (ოცდა ათი-თუმანი) ამდენიც თიანეთს გავგზავნე ყაიარისთვინაო. მაგ იმედით საქმეში შეველი, ხალხს იმედს ვაძლევდი. არც ეს მოვიდა სჭ~აბ[1]. მერე გამიჭირდა ჯ.ხვი (ჯ.ზვი?) რამ, რომე ⊖ (სამოცდა ათი თუმანი) ამდენის ბარათი ვქენი, რომე მანდ მისცეს. არც ეს მისცა. ბარათი უკუ გამოაბრუნა, რომე ასი თუმანი სარგებლით ავიღე და მივეცი. ჩემო სჰაბ, შენ იფიქრე თუ ეს რა საქმე არის, რომე ჩემს თავს მოიყვანეს და მოხყავს (sic). მე მგონია, რომე ეს ბარათი(ს) გამობრუნება თქვენს ბრწყინვალებას არ შეგეტყოს, თორემ არ ურჩევდი. ხუმრობა იყო ჭეშმარიტათ ჩემი ყოფა? რომე ნახო შემიბრალეფ.

მოვედით, ახლა კარაპიტას აფალი მოგახსენო: აქედამე რომ ვისტუმრებდი, რის იმედით გავისტუმრე. აქ ერთი მეგობარი მყავს, დარბანდელია, პარუნ გევორქა ჰქვიან. ამისი ძმა სიმონა ბაქუს ბინადრათა ზის. ამანაც იკისრა, რომე თავისი ძმას მისწეროს, კარაპიტას საქმეზედ მუყაითი იყოს. მოკითხულობა ჰქონი თუ რა კაცნი არიან. ამასაც მუდამე ამას ვარიგებდი, თუ ხოტე იცი აღას შენგან გული აკლია, ასეთი საქმე არა ქნა, რომე ეს ჩემი ნაქნარიც არ დაიკარგოს და შენც სჯალათი არ გასწივო. გავისტუმრე. მისულიყო ბაქუს, თავისთან ჩამოეხდუნა, პატივი მიეცა, გაყიდვაზე, ყიდვაზე მუყაითი ყოფილიყო, ექვსი თვე იმასთან იყო. მაშინ რომე ძაფი მოვიდა, იმას ეყიდნა, მერე წასჩხუბებოდა, გამოსულიყო ცალკე. შევიტყე, მაშინვე წელი მომწყთა. მაშინ ერთს ჰარამზადა კაცს თურმე ოთხასი თუმნის საქონელს აძლევს ნოვრუზამდინ. ეუბნება ნუ აძლევო, არა შვრება. ეუბნება რიგიანათ იყავიო, არა ქნა. თურმე ესენი ამის ჩხუბის მიზეზი ეს ყოფილა, რომე თავისი თავათ იყოს, რაც უნდა ის ქნას, რომე უქნია. ის ნისია რომე მიეცა, ის ნოვრუზიც გაიარა. მიორე ნოვრუზში ყადაკი გამოერთო. თურმე სხვას აძლევს ცუ (ორი მინალთუნი და ორი აბაზი) ასე, ამას ძ (სამი მინალთუნი) ასე აეღო, რომე ათი ცამეტს ზიანობს აქა[2]. შარშან ამ დროს მოეწერა ჩემთანა, რომე ფაიზის (ფაიხის?) პირველი გემით მოვალო, საქმეს მოვრჩომილვარო. მეც ჩემი სჰაბ აღას მოვწერე. მერე მოეწერა ფაიზის გემი არ მოვიდაო, იაზბაშის მოვალო. მეც ხათარჯამი ვარ, რომე მოვა. იაზბაშის გემი მოვიდა, კარაპიტა არ არის. ვნახოთ მოუწერია, თუ ის ყადაკი გამოუგზავნია, იმას ჰათამდინ არ ვიცი თუ ყადაკი აქვს. მოეწერა, რომე აქ სამასი თუმანი ავიღეო ჯუღაელი(?) პარუნ საჰაკისაგანაო, რომე მანდ მკრტუმ-აღას მისცეო. ეს რომე წავიკითხე, შენი მტერი რაც მე გავხდი. ფიცხლავ მოველ ოთახს და სისხლი გამოუშვი. ამასაც იწერება: რაც ჩემი საქმე მაქვს აქაო, სულ პარუნ საჰაკასთან გაუშვიო. არც სია, არც ნუსხა. ეს ის საჰაკა არის რომე პარუნ სიმონას ეჩხუბება. გამოდის და ამასთან პურსა სჭამს და იმის მასლათით არის, რომე იქ ოქრო ხუთ მინალთუნათა და ხუთ შაურათ არის, აქ ცხრამეტ აბაზ-ეზალთუნათ. იქ იღებს, აქ ბარათსა შვრება. ეს ჭკვიანი კაცი იწერება: მეც გემი

[1] აქ ერთი სიტყვისათვის ცარიელი ადგილია დატოვებული.
[2] აქაც ისევე.

ავიღე იჯარითო, თვეში ორმოცდა ხუთ თუმნათო, რომე ორი თვისა იმ თავით მივეცო ᲗᲣ (ოთხმოცდაათი თუმანი) ეს, და ცარიელი მიმაქვს მიყაშლაღსო(?). იქ საპალნე იქნება, ჩაუგდეფ და მოვალო, რომე ეს გემიც საჰაკ-აღასაგან აუღია. მე ერთი მოვალე კაცი ვზივარ, ველი თუ თანხები მოვა და ვალებს მივცემ, ეს ამებსა შვრება, რომე მთელი ჰაშტარხანი ამის ნაქნარობაზე ლაპარაკობს. ახლა ამ გემის აფალი მოგახსენო: ეს ის გემი არის, რომე ფაიზში გილანიდამე მოდიოდა აქა, ძველი გემია, ვნახოთ რომე იღუპებიან, გაბრუნებულიყვნენ, მისულიყვნენ ბაქუს, სხვა გემში უკუეცალათ, საქონელიც ბევრი დასველებულიყო, რომე კარაპიტა თავისი თვალით ხედავს. ეს გემი იჯარა ექნა. ხალხი ეუბნება ნუ იქ, არა შვრება. რომე მოდიან ზღვაში, ხედვენ, რომე გემი წყალს აძლევს და იღუპებიან, ქარიც ჰაშტარხნისაკენ არის. გამობრუნებულიყვნენ, მოვიდნენ აქ ცარიელი, რომე ერთი ცხენიც მოიყვანა. სულ ის ცხენი ყოფილა მიზეზი გემის იჯარისა. ჭეშმარიტათ რომე საწყალობელი თავისი დედის ლოცვასა და მადლს მოერჩინა.

ერთიც ვნახოთ მოვიდა უეცრათ თავისი ცხენითა, თავისი ყალიონითა და ერთი ჰარამზადა ფეშყასმათითა, რომე ამისი ნაქნარობის სიცხვილით ხალხისთვინ ვერ შემეხედა. ხალხი მე ყანაშიშსაც მიშვრება, რომე არ იცნობდი მაგასაო. ვის რა უთხრა, კარგა ვიცნობდი, მაგრამ ჩემი სჰაბ აღას ოჯახის დაქცევას უფრთხილდი. ვფიცავ ღმერთსა, რომე მე თუ ამ საფარს(?) აქ არ მოვსულვიყავი, ერთი ფული არ მოუვიდოდა აღას ხელშია, რომე არა სოვდაგარს არ უქნია ამისი ნაქნარობა. ამისი ხრიდი სამასი ფუთი შაბი ყოფილა და ეს ყადაკი რომე ისევა ჰყრია. ახლა ჩემო სჰაბ[1], მაგან თანხა გასწივა, ამან ᲤᲗ (ხუთასი თუმანი) ამდენის თანხა გაუშვია ბაქუს, ესენი ხომე ნაღდათ ხელიდამე არ გამოდის. მე დავრჩომილვარ მოვალებისაგან ტყვეთა, ასე ვთქოთ, რომე ჯერ აბკ(?) ჩემს ხელშია, მაგრამ ვაი ამ ყოფას, რომე მე ვწევ, ჩემო სჰაბ[2].

ჩემი ნაღველი არ იცოდი და მწერ, თუ მოდი. ახლა ჩემი ბოლოს სიტყვა ეს არის, რომე მოგახსენე, მე რომე ეს საქმე დავიჭირე, აღა ქალაქს უნდა საქმე ენახა ჩემთვინა. მე აქა, კარაპიტა იქითა. ახლა წაბძანდა ხუის თავის საქმეზე. ღმერთმა ხელი მოუმართოს, რომე მუდამ მაგისი კარგი შესმოდეს. ბოლოს ეს მიყო და თანხა თავისი საქმეზე და(ა)ყენა. ასე არ უნდა ექნა. ოცი დღე არ შემინახავს ეგ თანხა, აქა მიახლებია. მე უთანხოთ მანდ გამომსვლელი არა ვარ. შენ დიახ კარგა მიცნოფ, შენს ხელში გავიზარდე. პირველი რომე, მე რომე მოვიდე, ხარჯი ბევრი მომინდება. სულ მთლათ დავიღუპები. მეორე რომა, ამთენი ხანია ჩემი სჰაბ აღასთან სახალხოთ არ მილაპარაკნია, როგორც ჩემი ნაღველი ჩემს გულში დარჩომილა და ჩემი სახლი დამიქცევია, მე ჩემი გულის ანბავი ვიცი, ზარარს გარდა ჩემს თავსაც უფრთხილდები, რომე ერთს განსაცდელს არ მივცე. თითონაც მიცნობს და ჩემი გულის ანბავი იცის. დღეს აქამდინ არც მილაპარაკნია და ნუც მალაპარაკებს თავისი პირზე. თუ მე არ ვებრალები, თავიანთ ნათლულებიც არის, ებრალებოდეს. მზათ გამოსული ვარ. მაგან თავი-

---

[1] აქ ერთი სიტყვისათვის ცარიელი ადგილია დატოვებული.

[2] აქაც ისევე.

ში ანგარიში და სა(ა)მხანაკო წიგნი ვისაც ვექილსა იქთ, იმაზე გამოეგზავნოს. მანამ თანხაც მოვა, ჩვენს საქმესაც მოვრჩებით. დღეს, ხვალ მოველით თანხასა. ჩემო სჰაბ, თქვენ ამ საქმიდგან ხაბარი არა გაქვსთ, დროც არ გასულა. მე ვახ-ბობდი: ბაქუის თანხაც მოვიდეს, მაშინ მივწერო კარაპიტას. იბარეფ, განა ხუმ-რობა არის? სანამ ჩვენი ანგარიში არ გადაწყეთეს, სად წამოვა. ჩემო სჰაბ, შენის ბრწყინვალე ძმის სადღეგრძელოთ და შენის შვილებისა, შეიბრალე ჩემი თავი და ჩემი სახლობა. საუკუნოთ მაგ ქვეყნიდამე ნუ დამკარგავთ. კაცმა ამთენი ჯაბრი გასწიოს. იხვეწებოდეს მორჩენასა. ან მაგას რაში უჯობს ჩემი მოსვლა. მე თუ ხარჯს არ ვერიდებოდე, მე უნდა გამოუდგე ჩემს თანხასა. მაგრამ, ერ-თი რომე, მაგასთან ლაპარაკის მერიდება, მეორე, ჩემის ხარჯისა. მახლას, თქვენის ღვთის გულისათვის შემიბრალეთ, ჩემი გაფუჭება არც თქვენი შესამატია, არც ქვეყნისა. მეყოფა ეს ორი წლის ყუსა რაც(?) გამიწევია და რაც გამაფუჭეს. წავიდე ჩემს ქესიბობაზე, ეგების მაგ ქვეყნიდამე არ დავიკარგო. არც მაგან უნდა მიყოს, თავისი თხუთმეტი წლის ამაგი არ უნდა გააფუჭოს, ქვეყნისაგან საყვედურს დაიდებს. ბოლოს ასე მიყო: თავისი ძმას უწყრება, მე შუაზე გამჭყლი-ტა. ჩემო სჰაბ, ჩვენის კუნთიდამე (sic) ერთი კაცი დაიჭირე და გაგზავნე ხუისა, რომე დროზე ჩვენ გზა მოგვეცეს. ვისაც ვექილსა შვრება, ქნას. იესო ქრისტეს-თან ვიყო მოვალე, თუ რომე მე მაგისგან თამაჰობა მექნას, ანა ვქნა. თავიანთი თითონ იციან. ანგარიში მაგათ ხელშია. მე ერთი ხრიდი მომიტანია, მოზდოკს გამიყიდნია. ვიზედაც გამიყიდნია, სულ ცოცხალნი არიან, აქამდინ არც ჭუჭყი მიმიკრავს, არც ნივიკრავ. ჩემა ამპარტავნობამ ეს საქმე მოიყვანა ჩემს თავსა. თითონ შვიდობით ბძანდებოდეს და ბედნიერობაში, რომე შორიდამე მესმო-დეს. რაღა ბევრი თავი გაწყინო, ვიცი რომე შემიბრალეფ ამას რომე წაიკით-ხავ. კაცი ამთენს ნაღველს როგორ უნდა გაუძლოს. შენის შვილების სადღე-გრძელოთ ამ ჩემს საქმეს დროზე სრანჯამი (სრახჯამი?) მიეცი, მომარჩინე. მე-ყოფა ეს ჯაბრი, ეს ხარჯი. ეს საქმე თუ მაგისი უფრო დასაკლისი არის, სხვა აფალი ხეირია. ჩემო სჰაბ, განდიდურის ნმუნა(?) გამოგეგზავნა, მომივიდა. ღთის მოწყალებით მოგერთმევა. არა დაიკარგება რა. ესეც მოგახსენო: კარაპიტასაც თანხა გამოუგზავნია ᲜᲗ(ოთხმოცი თუმანი) ამდენისა მანდა, რომე ზოგი აღას მოსვლია, ზოგი თქვენ მოგრთმევია. ღმერთმა მოგცეს თავის წყალობა და მე ნუ მომიშალოს თქვენი ბრწყინვალე თავი, ამენ.

მარცხენა აშიაზე დედნის ხელით და მელნით:

ჩემო სჰაბ, ეს არა თქო, თუ მე კარაპიტასთან სახალხოთ ლაპარაკი მქო-ნდეს, ხმასაც არა ვცემ. ასე ვთქოთ: აღამ მე მიშვრება, მე როდისა ვიქ. მაგ-რამ თურომე დროზე მე გზა არ მომცა, კარგი არ იქნება, ნება აქვს, არც თა-ვისი სახელია. მე ამაზე იმედი მაქვს, რომე თქვენი ბრწყინვალება ურევიხართ. მეც გებრალებოდე, ადვილათ ნუ გამაფუჭებთ, ჩემო სჰაბ.

ბოლოზე დედნისავე ხელით და მელნით:

მათ ბრწყინვალების უმდაბლესი მონა, ფარსადან ძე სტეფან ასლანოვ.

პირველ გვერდზე მარცხენა აშიაზე დედნის ხელით და მელნით: არზი იქნა ჰაშტარხანს 1792, თიბათვის 27.

389. 1792 წლ. ანგარიშის წიგნი უცნობი პირისა შ ი რ ა ზ ი ს ტყავის გაყიდვის შესახებ. დედანი. ზომა 21,5×17,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია თითო წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 3560 Hd.

წელსა 1791, ენკენისთვის ა აღას რომ თავისი საკუთარი შირაზის ტყავი გამოეგზავნა, როგორც გაიყიდა, ამის ბოლოს დაიწერვის. მაკარიას 1792.

ნგ ხ	(ორმოცდა ცამეტი თუმანი და ექვსი მინალთუნი)	ქ. სდ დანა შირაზის ტყავი ხატისანთ ბატონი გაფრილას (sic) ვაეყიდნა, რომ ამანათათ გავატანე დანა . . . ა-ც (ორი მინალთუნი)
		ყარშუ (?) თანხაში რაც ეთხოვნა, გაუგზავნე. ბაქუს გავგზავნე, რომ ქალაქს გაგზავნოს ბატონი კარაპიტამ:
ი	(რვა თუმანი)	ქ. სტოლის სერვიზი თავისი კ დუჟინი ტალიერით ხრიდია.
ნ ხ	(თექვსმეტი მინალთუნი)	ქ. ი დუჟინი ტალიერიც სხვა.
ბ ცფ	(ოცდა ორი მინალთუნი და ათი შაური)	ქ. გ რკინის სანდული, ა—ჯფ (შვიდი მინალთუნი და ათი შაური).
ნ ცფ	(თორმეტი მინალთუნი და ათი შაური)	ქ. ამისი გუნბრეკი(?) მივე.
ნ ჩლ	(თერთმეტი მინალთუნი და თოთხმეტი შაური)	ქ. ბაქომდინ გემის ქირა, საბელის შესაკრავი.
ინ ცლ	(თოთხმეტი თუმანი, ორი მინალთუნი და თოთხმეტი შაური)	ქ. იქნა ე კალმის ჯამი.
ე ქ	(ხუთი თუმანი და სამი აბაზი)	ქ. ყარშუ ტყავის გუნბრეკი მიეცა გაფრილას მოზდოკს გ (სამი თუმანი), ქირისთვინ მიეცა ბ ქ (ორი თუმანი და სამი აბაზი). იქნა.
ით ძტ	(ცხრამეტი თუმანი, სამი მინალთუნი და ექვსი შაური)	ქ. იქნა ბ კალმის ჯამი.
ჰ ყ ნ კ ე	(შვიდი მინალთუნი და ჩვიმეტ შაურნახევარი)	ქ. კა გირვანქა შაქარი აღას გაუგზავნე უწინა.
ძფ	(სამი მინალთუნი და ათი შაური)	ქ. ა გირვანქა ჩაი.

ქ. ამ ნუსხის სტოლის სერვიზის ჭურჭელი ბატონს ქათალიკოზს მივართვი, რომ იმისთვის იყო მოსული. და ათის დუჟინის ტალიერკკისა ხუთი დუჟინი მერაბასაც მივე და ხუთი დუჟინი ფარსადანას მოწერილობით მალაქილას-შვილს ავეტიქას მივეც და ფარსადანას წიგნიც მერაბას გაუგზავნე.

390. 1793 წლ. ანგარიშის გასწორების წიგნი ასლანასი და მანუჩარ მდივნისა. დედანი. ზომა 33,5×10,5 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნებად ნახმარია წერტილი, ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 3593 Hd.

პირველი გვერდი თვით ასლანას ნაწერი უნდა იყოს, მეორე კი მანუჩარისა ანგარიშის გასწორება დაუწყიათ 1788 წლის ნოემბრის 1-ლს, მაგრამ დედნის უკანასკნელი ქორონიკონი არის 481. ე. ი. 1793 წელი.

ქ. ღ᾽თ(თ) ვიანგარიშეთ მანუჩარ მდივანთანა. რაც მანუჩარ მდივან(ი)ს თეთრი მქონდა, რაც მანუჩარ მდივანს ჩემგან წანაღები ჰქონდა, ერთმანერთში გავსწორდ(ით). დარჩა მანუჩარ დივან(ი)ს ჩემზე რვა ᲗᲘ თუმანი. გიორგობის დამდექს, ᲥᲙᲡ უოვ. ხალასი ეს არის. სხვა სალაპარაკო არაფერი არ გვაქვს რა, ეს ჩემზე ვითარის(?), რასაც ამის თანხით წაიღებს, ამის ბოლოს წერია.

ჯფ	(რვა მინალთუნი და ათი შაური)	ქ. აბულას მივეცი.
ფ	(ათი შაური)	ქ. ერთი აზრუმელი კლიტე აქვს.
ᲣᲚ	(ოთხი აბაზი)	ქ. ერთი სტილი მინ(ის?) მძივი აქვს.[1]
რნ	(სამი შაური)	ქ. ₀ სტილი ინა.
ᲥᲚ	(სამი აბაზი)	ქ. ფული წაიღო.
ს	(აბაზი)	ქ. ა სტილი საკმელი.
ᲥᲚ	(სამი აბაზი)	ქ. კიდევ თეთრი მივე.
ტ	(ექვსი შაური)	ქ. ა სტილი ყავა.
ᲩᲡ	(ექვსი აბაზი)	ქ. კიდევ თეთრი მივე თითონ დივანს[2].
რკე	(ორშაურ ნახევარი)	ქ. ₀ ნუყლი წაიღო.
ᲜᲙ	(შაური და ერთი ბისტი)	ქ. ღილი.
რ	(ორი შაური)	ქ. შავი ფული.
ᲣᲚ	(ოთხი აბაზი)	ქ. დ ჩარექი წ(მიდა) სანთელი.
რმ	(ორი შაური და ბისტი)	ქ. ა სტილი ნუში.
შ	(თვრამეტი შაური)	ქ. შეშა ურმით მივეცი.[3]
ს	(აბაზი)	ქ. იაკოფს მივე თევზისთვის.
ᲩᲡ	(ექვსი აბაზი)	ქ. ორი მინ ერთი თუნგიანი.
რ	(ორი შაური)	ქ. ₀ დასტა ქაღალდი.
ძფ	(სამი მინალთუნი და ათი შაური)	ქ. თავისი და მისთვის ხუთი აბაზი გარდავხარჯე, ის ხუთი აბაზი გამოსული არის.

ᲐᲬᲜᲚᲔ (ჩვიდმეტი მინალთუნი ერთი შაური და შვიდი ფული.

[1] ეს სტრიქონი წაშლილია.

[2] დედანში: „დავნს“.

[3] ეს სტრიქონი წაშლილია; ამას ქვემოთ მერმინდელი ჩანართია. იმავ ხელით, უფრო წვრილად: „ფასი იაკობს მიეცა“.

Verso:

ანჯნლე (ჩვიდმეტი მინალ-თუნი, ერთი შაური და შვიდი ფული)	ქ. ასლანას ანგარიში ვნახე, ამ სიით ჩემგან ივ კალმათ დანახარჯის ჯამი არის.
ანჰს (ცხრამეტი მინალ-თუნი და ერთი აბაზი)	ქკს უოვ, ამ წლის გიორგობის ა ამავ ნუხსაში (sic) ჩემის ძოსაცემის რვა თუმნის ქკს უოᲣ, ამ წლის გიორგობის ა იქნება თვე კდ, ამისი სარგებელი იქნება.
	ქ. სარგებელსა და ხარჯს რომ ერთმანერთში გამოველ, დარჩა ასლანაზე ცრიე (ორი მინალთუნი, ორი შაური და სამი ფული), ამაში მომცა შაქარი სტილი რვა.
ინბ (თორმეტი თუ-მანი)	ქ. იქით პირზე თავის დაწერილს ჩემს ძოსაცემს თავნს რვა თუმანს ვთხოვდი, არა მამცა. ფუღანთ აღა და-რჩომილს საქონლისთვის აწუხებდა. აღას თავის სა-ქონლის შავის ბარათი მივე ოთხის თუმნისა. ასლა-ნამ თორმეტის თუმნის თამასუქი მამცა, თუმანი თვე-ში ორშაურს სარგებლით, მიწერია თორმეტის თუმ-ნისა. ქკს უოᲣ წლის გიორგობის ა.
ჰყნმ (ხუთი მინალთუ-ნი, ჩვიდმეტი შა-ური და ორი ბისტი)	ქ. საკანთ ფარსადანას შეპირებულისა ხელათ უნდა მამცეს.
ანჰნ (ორი თუმანი, ცხრა მინალთუნი და ერ-თი შაური)	ქ. შაქრისა და ზაფრანისა დარჩა, რომ მოსაცემს არის. ქკს უპა, ამ წლისა.

391. 1794 წლ. ივლისის 16. მენოგნეთა სავაჭროს გარიგების წიგნი, დადგენილი შილდას თავადთა, მოხელეთა და გლეხთა მიერ. საბუთი ნეკრესის ეკლესიისა. დედანი. ზომა 21,8×11,3 სმ. დაწერილია მოთეთრო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 644 Ad.
შეადარე აქვე საბუთი № 65 Ad.

ქკს უპბ, ივლისს ივ, კვირას დღეს შილდას თავადთან, მოჯელეთა და გლეხთან მენოგნეების სავაჭრო ასე გარიგდა:

ქ. ხამი—ოთხაბაზ-უზალთუნი.
ქ. საპერანგე—ოთხი აბაზი.
ქ. საკაბე—ექვსი აბაზი.
ქ. წითელი ლაინი—ხუთი აბაზი მდარე.
ქ. შილა—აბაზი.

ქ. ხუის ჩითი—ორი აბაზი ადლი.
ქ. ადლის ჩითი—აბაზი.
ქ. დოლბანდის ერთი თავი—სამი აბაზი.
ქ. ადლი განის ჭელსაჭოცი ჩითისა—ათი შაური.
ქ. რკინა ლიტრა—ათი შაური.
ქ. ტყვია სტილი—შაურ-ნახევარი.
ქ. წამალი სტილი—აბაზი.
ქ. მარილი ლიტრა—სამი შაური.

ამათი გასაღები თორმეტი თუმანი არის. ამ თავადებთან და სოფელთან ეს პირობა გამოგვირთმევია: ნახევარი ამათია და ნახევარი ნეკრესლისა არის. ამ სალამათის გამოღებისათვის სხვა იდგა და უფრო მეტსაც გვაძლევდა, მაგრამ ამათ რომ მეტად მოინდომეს, ჩვენც ამათი ვირჩივეთ და ის კი დავითხოვეთ. და ახლა რაც ამაში დაგვიწერია, ამისი დაკლება არ იქნება, ყველანი ჭელს ასე ვაწერთ. ქაიხოსრო, ბარამ, იროდიონ, ამვროსი[1].

მენოგნეების გარიგებისა სავაჭროსი.

392. 1795 წლ. აპრილის 4. წერილი უცნობი პირისა ისაი-აღასადმი. დედანი. ზომა 22,5×19 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხადრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 732 Qd.

მისს კეთილშობილებას, უფალს ისაი-აღას, ჩემს მოწყალეს ჭელმწიფეს. მარტის 24 ნაწერი შენი წიგნი აპრილის 3 მომივიდა. რაც მებძანა შევიტყვე.

ა წიგნი აპრილის 2 დავსწერე, ჭალბათ მოგერთმეოდა. ყველა ამბავი იმ წიგნით მოგხსენდება. კიდევ შენი ამბავისა მოგეწერა. წინაზედა მოგწერე. შენის თავის მზემ, მდივან-ბეგთან მიველ, მე თითონ ვნახე და შენი საქმისთვის ველაპარაკე. იმედი მომცა, მაგრამ ჯერ დრო არ არის და ჯერ მაინდამაც ნურას მოსწერ, რომ არ აწყენინო. როცა დრო იქნება, მე შეგატყობინებ და აქაურის გარჯისაც მე ვიცი.

ერთიც ეს რომ ღუკასას-შვილის სწორეთ შეიტყვე, ის თეთრი მობარება და საღი არის, თუ არა. თუ ეეჭველად (sic) შეიტყო, მე ასე მემჯობინებოდა. კიდეც გირჩევ, რომ იმას მესამედი აქ მივცეთ და სხვა შენს თანხაში მოგცეს, ხომ შენც იცი, რომ უამისობის გზა არა გაქვს.

ერევნის ბარათისა რომ მოგეწერა, ჯერ ესე სჯობს. თუ გარიგდება კიდევ, როგორც შენი ნება იყოს, ის მომწერე.

ბაინდურას(?) ბარათის რომ მოგეწერა, ჭალბათ როცა ჟამი იქნება, ვიმოქ(მ)ედებთ. ჯერ როგორც გაგიშვია, ისე. ბასტამას-შვილის, ეს ბედნიერი დღეები რომ გაივლის, სწორეთ როგორც დაგირიგებივართ, ისე ვიქთ. აქაური

[1] ხვეულად.

ამბავი ჯერ როგორც გაგიშვია, ისე იმ ფერად არის. ვიცი გიამება: დავით სარდალი ძალიან ავად იყო და მორჩა. ხოჯა აზ(ა) ღ˜თით დღე-და-დღე კარგათ არის. მრავალს მოკითხვას მოგახსენებს.

რუსეთიდამ წიგნები მომივიდა შენი ძმის, ჯერ არ დაბრუნებულა. და ოსეფა ვართაპეტს შენთან ლოცვა-კურთხევა მოეწერა.

ჩვენი და შენი სახლობის და შენი ოჯახის რაც აქ გაივლის და იქნება, ღ˜თით, ყოვლისფრით ხათრიჯამი იყავ, მაგრამ ლამაზ ბიჭებს ვერ დავაკლებ ჩემს დას. ჩემი მზევლათ წასვლა აღარ ინება უმაღლესობამ და არც იყაბულა. ასე ბძანა: „სხვილი მუქსოვათ(?) წვრილი ურჩევნიათო“. ღ˜ნ განაძლიეროს უმაღლესობა, მაგრამ შენი მეგობარი და ჩემი მეგობარის მამა კი ამაში იპოება. მერაბ-აღას ძმისწულისაც მოეწერათ, უმაღლესობამ არ ინება და ხომ იცი რომ მელიქიც დაშლიდა. ეს სწორეთ იცოდეს: თუ ჩვენი წასვლა მოხვდება, ისე იმისი, მაგრამ თუ ეს კი არ დაიძინებს.

შენ სუბუქათ მოგეწერა, მაგრამ დიდი სიმწარე და რჩევები ძევს ამაში. ახლა ვნახოთ, სხვას გაგზავნიან ვისმე, თუ როგორ მოხდება. ეს წიგნი მდივნის-შვილს ბატონს იოანეს გამოვატანე და კიდეც წამოვიდა. ღ˜თით, . . . მოგართოს, მხლს[1]. შენი მშვიდობით ბძანების ამბავი არ დამაკლდეს, თორემ ჩვენი საქმე უმაღლესობის დოვლათით გზას წავა.

იმ წიგნშიაც მოგწერე, შენი ავანთყოფობა რომ აქაც ეიცოდით. წახველ და ერევნის მოქარავნებმა გვითხრეს, ავათყოფობა ისაი-აღამ შემოგვჩივლაო. შენს თავს გაუფრთხილდი და შენი ამბავი მოგვწერე. ერევნელებმა დიაღ შენი ავანთყოფობა გვიანბეს. ამ მიზეზით შეწუხებული ვართ.

მერაბ-აღას სამსახურის ნატვრა და თაყვანისცემა მოახსენე. ბატონს დავით-აღას თაყვანისცემა და სიყვარულით მოკითხვა მოახსენე. რაც დამიბარებია მაგასთან, ხომ მოგეხსენება. ერთიც ეს რომ ისაიაც მანდ იქნება ტულოას-შვილი მოებტე(?) მისი. რაც მაგათთან დარჩომილა, ის შეიტყვე, რომ საწყალ ჩემს მამისდის თამასუქი მაინდამ უნდა გასაღდეს ორას თუმანში. ეგ მაინც გაგვისწორდეს. ორივ ერთად, დავითაც და ისაიაც, გააფრთხილე. თუ იმის თანხის ვისმე ერთი ფული მისცეს, ჩვენი . . . მოვალეები ესენი იქნებიან. ამისი ვითარება წვრილათ მომწერე. ეს კი ვიცით, რომ იმის თანხა არის მაგათთან.

არუთინა ხარებოვის და ასლანას საქმეებზე ბეჯითი იყავ. აზრუმას კაცი მოგვივიდა; ასე მოეწერათ: იმისი ერთი წიგნი ამ ათხუთმეტ თვეს უწინ კი მოვიდა, თორემ მას აქათ აღარ ვიცითო სად არისო, ჰალბათ მანდ სადმე ჩაგივარდება და ვიცი კიდეც გაირჯები. თამასუქის პირს და მოკითხვის წიგნსაც გაახლებ.

ახლა ეს სწორეთ იცოდე, რომ ეს სიტყვა-დარიგება ჩემგან არ გეჭირვება, მაგრამ თუ ასე არ იქ(?)[2], აქაურს ყველას დაჰკარგავ. შენს საქმეს და ანგარიშს მანდ ნუ გააგძელებ, როგორც იყოს, ბოლო მოუღე, რომ საჯანჯლო

---

[1] „მახლას“(?)

[2] გაურკვეველია.

და სასამართლო არა გახადო რა. ბევრი დაგედება(?)[1], თუ რამ, მაგ ანგარიშებში დაგედვას(?)[1], ისიც იმასთან იყოს. ბევრს ფაჰმასა და ჭკვას ნუ აჰყვები, სოფელს აჰყევ, დრო აღარა გაქვს. ღთით, რაც დაგაკლოს, მაგიერი მოგცეს და ესე გამიგონე შენი საქმისა, და ჯანჯლების ბოლოს მოღების(?)[1] ამბავი გაგვახარებს და შენი საქმის ჩავარდნა მოგვაწყენს. ეს ასე იცოდე.

ვისთვისაც მოკითხვა მოგეწერა, მადლობა მოგახესენა და წიგნებიც პატრონებს მიჰბარდა. შიოშ მდივანს რომ ბაღდასარამ წიგნი მოსწერა, ამ წიგნში ძეს და შეიტყობ. შენც შიგა ხარ.

შენი მშვიდობის ამბავს გვიბძანებდე მარადის შენის კეთილის მოსურნეს მდაბალს მონას[2].

1795, აპრილის 4, ტფილისს.

ა შ ი ა ზ ე მ ი წ ერ ი ლ ი ა ი მ ა ვ ხ ე ლ ი თ: მისკარბაშის ყაჯარი მერაბ-აღასთან არ დაგავიწყდეს.

ქ. ბატონს დავით-აღას . . . .[1] მოკითხვა მოახსენე. სათრიჯამი გახადე ეგეც და ბატონი ისაიაც, რომ: „შინ შეწუხება, ღ´თით, არა გადგებათ რა“.—

393. 1796 წლ. მაისის 20. წერილი (ს ტ ე ფ ა ნ ტ ე რ-შ ა მ ა ვ ა ნ ო ვ ი ს ა) მ ა ნ უ ჩ ა რ მ დ ი ვ ნ ი ს ა დ ა მ ი. დედანი. ზომა 18×13 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ბანკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 7316 Hd.

შდრ. აქვე საბუთი № 7092 Hd, რომელიც განსაზღვრავს ამ წერილის დამწერის ვინაობას და მისი დაწერის თარიღსაც. სახელდობრ, იქ იგივე ცნობები გვაქვს ერეკლის შესახებ. ამავე დროს ამ ცნობათა შედარება ცხადჰყოფს, რომ მოცემული წერილი უფრო ადრინდელია: აქ თავაქალიხანს ბრძანება მოჰსვლია—ქართველები დაიჭირეო, იქ კი ის, როგორცა ჩანს, უკვე კარგა ხანია იჭერს მათ. ამიტომ, ამ წერილის ბოლოში აღნიშნული თარიღი—მაისის 20, არის 1796 წლის მაისის 20. ამ წერილიდანვე ჩანს, რომ მ ა ნ უ ჩ ა რ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ამ დროს გორში იმყოფება და ტ ე რ-შ ა მ ა ვ ა ნ ო ვ ი იქ სწერს მას, ხოლო საბუთი № 7092 Hd გვიჩვენებს, რომ თვითონ ტ ე რ-შ ა მ ა ვ ა ნ ო ვ ი ტფილისში ზის.

მის ბრწყინვალებას, ბატონს მანუჩარ მდივანს, ჩემს მოწყალე ჭელმწიფეს.

ქ. ამ თვის ივ წიგნი მოგვირთმევია. თქვენი ამ თვის იე მოწერილი წიგნი იზ.შ(ი) მივიღევით. რაც გებძანათ, ვისმენთ და მათი მშვიდობის ანბავისათვის მადლობა მივეცით ღმერთსა. ისე, ჩვენც ამ ხანათ ცოცხალი გახლავართ. ვისიც წიგნები გებოძათ, ყველას პატრონს მივეცით. ისე მეჭრაბ აღას წიგნიც მოვეცით თაყოაშვილს, რო ის გაეგზავნოს. მოლარე გოგიას თავის წიგნის პასუხი ვთხოვეთ—რამდენი[3] დღე არის გამომიგზავნიაო. ღუკას-შვილს თავის მამას შართლამას წიგნი ვაჩვენე—ჩვენ არაფერი წიგნი არ დაგვრჩომიაო, სულ

[1] გაურკვეველია.
[2] ხელრთვა.
[3] დედანში: „რადმდენი“.

დაკარგულაო, არაფერი არ ვიციო, რა სიტყვა მაქვსო; მეც ამ კვირას წასასვლელი ვარო გორსა, იქ მდივანს ვნახამო.

სარუ-ბეჟანის სანათი გებოძათ და გებძანათ, რო ორი მოხტაბარი სავადი ვაქნევინოთ და ბატონი ისაისთან, როგორც მუნასიბი ვნახოთ, გაუგზავნოთ; მეჰრაბ-აღასაც მივსწეროთ და ბასრას ტერ-ოჰანეზას შვილი სტეფან-აღასაც მივწეროთ. თუ სხვა რომელიც გებრძანათ, ყველა ვისმინეთ. ამ ხანათ ალა სწორეთ ხოისაც მართლა წამს(ვ)ლელი არავინ არის, ბაღდადს ან ბასრს ვინ მოვა, ან სადიდამე უნდა გაუგზავნო? ვინც მივიდოდეს, გაუგზავნოს ბაღდადს, ვისაც უწინვე მიუწერია, იმაზე. მგონია ჯაჰტიდამე მეჰრაბ-აღ(ა)ს თქვენგან ვექილამაცა ქონდეს. აბა უნდა მოეწერათ იქ, რო რაც სამართალმა მისცეს და შეიძლოს, გამოართონ. თუ დროზე თვითონ აქ ჩაიგდებთ, სავადითაც შეგიძლია ლაპარაკი და დანარჩომის გამორთმევა, თორემ იქითკენ რაც თამასუქში სწერია, ისე სამართალს არ მისცემენ. ნება თქვენია.

მამიხსენებია, რო არაყი ვერ ვიშოვეთ და არც სულ არ არის. და ღვინოც არ მოდის, ცუდი ღვინო სნ (5 შაური) ასე აძლევენ. ანბობენ, რადგან წყლები დიდია, იმიტომ არ მოდის. თუ ამას იქით მოვა, ან დაავადდება, არ ვიცი.

ხატისანთ ონანა(ს) ფარსაკი ჩითი ან ქათანი არა აქვს, შაქარი სულ არა აქვს. სხვასა აქვს შაქარი ქაღალდით, კარგი, სტილი უ (2 აბაზი) ასე, თავი ტნ (7 შაური), ასე აძლევენ. ჩითი მაგისთანა მუნასიბი არ არის, ქათანი სხვილი დიაღ ცუდი რამ არის, რო აბაზათ აძლევენ. აბა კაი მაგარი ლისკოვის ქათანი იყო, ადლი ხუთ შაურათ მაძლევდენ, ვერ ვიყიდე. თუ მიბრძანებ, ვიყიდი და გაახლებ.

ეს წიგნი ვწერდი, თქვენი მოწერილი უთარიღო პატარა წიგნიც ით-ში მოძივიდა. რომელიც გებძანათ, ვისმინეთ. ᲥᲐ თუმნისათვის (4 თუმ.) მოგვიხსენებია: რო მოგვს(ვ)ლია გურგენა, ღერბი არ მოუცია. ვნახო და ვკითხო—თუ აქ არის, გამოვართმევ და, როგორც გიბრძანებიათ, აღა მინას(ს) მივცემ.

ახალი ანბავი არ არის ამის მეტი, რო ბატონი გაბძანებ(ა)ს აპირობს. და ერევანის ანბავი,—ის ძაღლი თავაქალიხანის წასულ(ა)ს რო ანბობენ, გამტყუნდა, იქავ არის. და ის დიდი ძაღლისაგან ერევანის ხანზე წყრომა მოსულაო, თუ: „მესმის, ქართველთაგან კიდევ ლაპარაკობ“, და თავაქალიხანს იწერებაო, თუ: „მანდ რაც ქართველი დაახელოთ, დაიჭირეთ“. საწყალი ჩვენი მძახალი სტეფანა და შაროანთ გასპარა ჩაუგდიათ ხელში, დაუჭერია. თავაქალა კაცის ხელით რო ვერ გაუგზავნეთ, ვაი თუ გზაზე დაიკარგოს, ჰაღა სავადს ვაქნევინებთ, დავამზადებთ,—როცა ხუის ხათირჯამი ვინმე წამს(ვ)ლელი იქნება, უნდა გაუგზავნოთ მეჰრაბ-აღას და იმან იქიდამე.

თქვენმა სიდედრმა, სოლომანამ, შუშანამ რძალმა, თქენ თუ ელისაპეტს, მადლობა და მოკითხვა მოგახსენეს. ოჰანეზ და აფია ხელზედ კოცნა მოგახსენესთ.

ჩემს სანატრელს ელისაპეტს, თუ ყმარწვილებს სიყვარული(თ) მოკითხვას მოვახსენებთ.

მაისის კ-ში.

394. 1796 წლ. ივნისის 22. პირობის წიგნი, დადებული შილდას ამვროსი ნეკრესელისა, თავადებისა, მოხელეებისა და სოფლის მიერ მენოგნეთა თაობაზე. საბუთი ნეკრესის ეკლესიისა. დედანი. ზომა 19×10,6 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი თუ მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 65 Ad.
შეადარე აქვე საბუთი № 644 Ad.

ქ. ივნისის კბ, ქ^კს უპდ, კვირას დღეს შილდას ჩვენ, ერთობით ნეკრესელმა და თავადებმა, მოჭელებმა და სოფელმა, ეს პირობის წიგნი დავდევით და დავსწერეთ. შარშანს წინ, ქ^კს უპბ მენოგნეთ ისხდენ სვიმონა, ანტონა, მიკირტუმა და პეპანა. ახლა ამ წლის თარიღში ჩვენ ერთობით ეს პირობა გამოვართვით, რომ რადგან მენოგნეთ აღარ დასხდენ, ამათ აქ შილდაში აღარა ივაჭრონ რა, აღარც არა იყიდონ და აღარც არა გაჰყიდონ, არც მთიდამა და არც ბარიდამა. ამათს გარდა ვინც ფეიქრები არიან, გრიგოლამა თუ სხვამ, ან მთიდამ ან ბარიდამ ივაჭრეს რამე, სალაშათს იმას ვამოვართმევთ ათორმეტს თუმანსა. ამვროსი.
მენოგნეებისა.

395. 1796 წლ. სექტემბრის 24. წერილი სტეფან ტერ-შამავანოვისა მანუჩარ მდივნისადმი. დედანი. ზომა 20×17 სმ. დაწერილია მომწვანო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 7092 Hd.
შდრ. აქვე საბუთი № 7316 Hd.

მის ბრწყინვალებას, უფალს მანუჩარ მდივანს, ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს.
ქ. ამ თვის ით წიგნი მოგართვით, თქვენი წიგნების პასუხი. თუ რამ აფალი იყო, ყველა მოგვიხსენებია. თქვენი ამ თვის ით მოწერილი წიგნი ჯ. გვებოძა. თქვენი (მ)შვიდობა და რაც გებძანათ ყველა ვისმინეთ და მადლობა მოგახსენეთ. ჩვენს ანმბავს მოიხსენოთ, ღვთის მოწყალებით ცოცხალ გახლავართ. უნიბეგას-შვილის ალთმიშლულის ბარათი ამ თვის ით გვიახლებია. გარსევანა ამ თვის ით მოვიდა და კა-ში წავიდა ბატონთან. რაც გვესმოდა თეთრის მოტანა, არაფერი არა სჩანდა. არ ვიცი, მოზდოკს გაუშვია, თუ ზუბოვიჩთან. და ერთი მანეთი არ გაუშვეს. ან არ დასცალდა, რო კაცი მარტოკა ენახა, ან ელაპარაკა, ან შეგვეტყო რამე. თითონაც აჯიზი გახდა. პარასკევს შუადღის უკან მოვიდა, შაბათს აქ იყო და კვირას დილაზე წავიდა.
პეტრე ბორქილაძე, საჰაკ ვართაპეთას მამა, პოდპოლკოვნიკ სტეფან დავითიჩმა ბატონს მდივანისათვის წიგნი მოერთმევინა, რომ წიგნით გვიახლებია. მიერთვას თავის ბრწყინვალებასა.

პარუნ ოჰანეზასაგან წიგნი მოგრთმევიათ. ალა აფრიამასგან, ან ჩვენი დავითასგან წიგნი არ მოგრთმევიათ. ნაჰათი დავითს კი ბოდიში ეთხოვნა, ბატონს მდივანს რაც ეთხოვნა, ვერ ვიშოვნეთ და ცარიელი წიგნიც ვერ მივართვითო. მეც დაღონებულ ვარ, არ ვიცი თუ ის შალის თეთრ(ი)სა რა ვთხოვოთ, ან რა გამოგვიგზავნოს. რას გ(ვ)იბძანებთ?

ასლან ოქრომჭედელმან ის ბიჭების ნაბდები არ უყიდნია. რა ვქნაო, თითო ხუთაბაზიანი ნაბადი უბძანებიაო, ვერ მიშოვნიაო, ხუთი აბაზიანი არ (ე)ვარგებაო. ერთი ცუდი რამ იქნებაო. მე უთხარი, ხუთაბაზიანი არ იყოს, ექვსისა იყოს, ან ერთი რამ მეტ-ნაკლები იყიდეთ მეთქი.

თქვენი ნაბადისა რო ბძანებთ, თქვენმა მზემა, რაც თქვენ გიბძანებიათ, იმას აქეთ ლეკის ქარავანი აღარ მოსულა. ყველანი ანბობენ თუ მოსასვლელი ქარავანი არის. თუ მოვიდეს, თუ არა, ერთი ნაბადს ვასყიდვინებთ, ადვილია. შაჰბუდაღანთ პაპასთვის ბათკნის ბედნისათვის სყიდვა, ან რაც გეებძანათ, უთხარით. მელიქი დარჩიას თეთრისათვის მოვახსენე, არ მოუწერია. თუ თქვენ მოგცეთო, ცოტა სახარჯო გამამიგზავნეო. ვნახოთ, არა მგონია იმან მოგვცეს რამე.

ბაიაზეთიდამე რა ანბავია. გინდათ მოგახსენებენ, რო ჭირი არის. ჩვენი კაცნი ვინცა ვინ ყოფილან, ზოგნი მამკვდარან, ზოგნიც იქიდამე გამოსულან.

ერევანს ჩვენი კაცნი კიდევ ვერ მიდიან, ის ძალლი თავაქალიხან კიდევ ციხეში ზის. ჩვენს კაცს თუ სადმე დაახელებს, იჭერს. და ის დალოცვილები ხო (მ)ძიმეთ ირჯებიან. მანამ ზაფხული იყო, ანბობდენ სიცხე არის, ახლა ხომ ზამთარიც მოვიდა. გარსევანა მოგახსენებდა, თუ ახლა იქიდამე ამდგარი იქნებაო, ისიც ღმერთმან იცის. აბა ხუიდამე, თუ თავრეზიდამე იწერებიან, თუ რუსი მოსულა, გილანი აუღიათ და იქითკენ გასვლას აპირობენო. და ალამაჰმადხანისათვინაც იწერებიან, თუ წასულა, მაშათი აუღია, დიდი ხაზინა ჩაუგდიაო და მოდისო, ხუის ჩირაღდანიც უქნიათ. ღმერთმან იცის.

სახტიანი მოგვცა, ჩვენ არ მოვიწონეთ. ნაჰათი თქვენ გაუგზავნეთო, მე ვიცი და მდივანმაო. ისე გოგია ბაბანასაც ა ჩარექი ინა მოგვცა, თეთრი ქაღალდში დახვეული, რო ეს ინაც და სახტიანიც ამ წიგნის მამტანის ხელით მოგერთმევათ. და ბასმა ვერ ვიშოვნეთ. გოგიასაც ვატარე, ვერ ეშოვნა ფარსაკი რამე. ასლანა(ს) ნაბდები უყიდნია შვიდ აბაზათა. კაი ნაბდებია, ავი არ არის. ისინიც გაახლებდა.

განდიდურის ნიმუში გეთხოვნათ. ხატისანთ ონანას, თუ სხვას ვისაც ქონდათ რამთონი ფერი, გამოვართვით ნიმუშები და ამ წიგნით მოგართვით. ფასი ადლი—ცუ (14 აბაზი). ასე მოგახსენებენ, მაგრამ თავათაც ასე, თორემ ადლი—ცს (11 აბაზი) ისე მისცემენ. თუ მოიწონებთ, რომლისაც რამთონს ადლსაც გვიბრძანებთ, ვიყიდით.

ენკენისთვის კდ, ქკს უპდ. უბედურს ქალაქს.

მათი უბედური და ყოვლად შეწუხებული მონა სტეფან ტერ-შამავანოვი.

ინა და სახტიანი ხითარანთ ზურაბას-შვილი სოლომონის ხელით გვიახლებია, მოგერთმევათ.

ჩვენ მაგიერათ ელისაპუტს, ჯიმშერს, ელისოს, სანატრელი დავითს სიყვარულით მოკითხვა, ნახვის ნატ(ვ)რა მოგვიხსენებია.

თქვენი სიდედრი, სოლომონა, შუშანა რძალმა დიდის სიყვარულით თქვენ, თუ ელისაპეტს, თუ ყმარწვილებს სიყვარულით მოკითხვა მოგახსენეს.

396. 1797 წლ. თებერვლის 25. წერილი სტეფან ტერ-შამავანოვისა (მანუჩარ მდივნისადმი). დედანი. ზომა 21,2×12,8 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 6865 Hd.
შდრ. აქვე საბუთი № 7092 Hd.

ჩემო მოწყალეო ხელმწიფეე!

ამ თვის კბ პატრი კარლოვის ხელით ბ დაფა წიგნით ყველა აფალი, თუ თქვენი დ რიგი წიგნების პასუხი მომიხსენებია და ა ფანარი, თუ დ ადლი მაჰუდის ფარაღიც მოგვირთმევია.

დღეს გ დღეა ასეთი თოვლი მოვიდა, რომ ბინადამ გასვლა არ იქნა ბაბანასას. ჯერ არ მინახამს. მიზეზი, რო იმისი ბარათი კვირას მებოძა, მერმე კვირას აქეთ გ დღეა რო ეს თოვლი მოდის. მესამე, რო მერაპას შვილი ძნელათ ავათა ყავს, რო დუქანშიაც არ მოდისო. აბა ჩაი მინდღეში (sic) არ იშოება. თუ იყოს, გირვანქა ჭ (5 მინალთ.) ასე დიალ იყიდიან რუსები. დადიან, ვერ უშოვნიათ. და შაქარი კი იშოება, თუ უნდა იყიდის. ჯერ არ მინახავს, ვნახოთ, როდისაც დავახელე, ბარათს მივცემ და პასუხს მოგახსენებ. ა ჰოყა ლილა რო გიბოძებიათ, მოუტანია, მაგრამ არც მინახავს, არც გამომირთმევია.

ზარბაბი არა მგონია ვიშოვოთ, ან მუნასიბათ შევიძლოთ სყიდვა. ვნახოთ, ისიც მოგახსენებთ.

ყალამქრისათვის ოსეფამ რაც შოგახსენათ, არზი მიქნია და ახლა კი აღარ მინახავს.

ყვითელი თავთა მამტანისაგან ვიყიდე ცქ (13 აბაზი) ასე. ამისგან უკეთესი არ იყო და ვერ ვიშოვნეთ.

სეთკას მისხალს ყ (4 აბაზი) ასე აძლევენ. თუ გეპრიანებ(ო)დეს, ყვითელი თუ თეთრი, რა განისა, ან რამთონი ადლი იყოს, გვიბძანეთ, ვიყიდო და გა(ა)ხლებთ. მარილის ქვაც მოვიდეს, ა ქვა ვასყიდვინებ და გაახლებთ. ნიგოზი[1] ლიტრ(ა)ს ყნ (17 შაური) ასე აძლევენ. ასეთი რამე აღარ არის, რო ცეცხლის ფასად არ იყოს.

კიდევ მოგვიხსენებია, აქ ზეთი ჩრ (1 მინალთ. და 2 შაური) ასე ვყიდულობთ. ათიოთ ლიტრას თუ გვიბოძებთ, დიდი წყალობა იქნება. წინაზე შიოშ რო მოვიდა, ათი ლიტრა ფქვილი ეთხოვნა, მივართვი. დღესაც დივანს

[1] დედანში: „ნინგზი".

ოცი ლიტრა ებძანებინა, პური არა გვაქვსო. რა საკურველია, რო უარს ვერ მოვახსენებდი. ეს ჩვენი მეგობრისათვის ნათხოვნი პურისათვის გებძანათ, რო ძნელათ იშოება. ნება თქვენია, მაგრამ უშოვნით, დიაღ კარგსა იქთ.

ა ყვითელი თავთა ქაღალდში დაბეჭდილი და ნახევარი ჩარექიც შავი ფისი, ჯერ ლურჯ ქაღალდში, მერმე თეთრი ქაღალდში დახვეული, ამ წიგნის მამტანს გამოვატანეთ, მოგერთმევათ. სეთკა რო მომიხსენებია, ახალს მამტანს არავისა აქვს და ფარსაკიც არ არის, ნება თქვენია. ტერ დავითამ თავისი მოწერილი ა პატარა გრძლათ დახვეული წიგნი მამცა, რო თავთის ქაღალდში ჩამიდვია და ერთიც თარხან-აღას შვილის დავითის მოწერილი წიგნი მამცა, რო ამ წიგნით მოგართვით. ჯავათხანის შვილი რო ზევლათ ამოეყვანათ და ამისი ხარჯიც დღეში თორმეტი მანეთი რუსები აძლევდენ, ახლა მურახასი უქნიათ, რო მოვა ისევ განჯას. ერევნიდამე დიაღ . [1] იწერებიან, რო დროით მოგვეშველენითო. აბა მყურებელი არავინ არის ახლა. ხოლო ასეთი თოვლი მოვიდა და ავი დარი ქნა, რო გზები სულ შეიკრვებოდა. ღმერთმან ბოლო კეთილი ქნას.

თებერვლის კე, ქკს უპე.

მათი მდაბალი მონა, სტეფან ტერ-შამავონოვი.

ჩემ საყვარელს ელისაპეტს, ჯიმშერს, პატარა ელისაპეტის სანატრელ დავითს სიყვარულით მოკითხვა, ნახვის ნატ(ვ)რას მოვახსენებთ.

თქვენმა სიდედრმა, სოლომანამ, შუშანამ რძალმა, თქვენ თუ ელისაპეტს, თუ ყმარწვილებს მოკითხვა სიყვარულით და ნახვის ნატ(ვ)რას მოგახსენებენ.

ჩვენი ქალები მადლობა და სიყვარულით მოკითხვა მოგახსენეს თქვენ, თუ ელისაპეტს. ისე ქალიმ, ოჰანეზამ, დავითამ და აფრიამამ ხელზედ კოცნა მოგახსენეს.

აღა მინას(ა)მ ა წიგნი მომცა, რო ისიც ამ წიგნით მიახლებია.

397. 1797 წლ. ოქტომბრის 22. წერილი ზაალ იაგულოვისა აღალო-ბეგისადმი. დედანი. ზომა 34×11 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ (აქა-იქ ორწერტილიც). საქ. სახ. მუზ. № 3879 Hd.

ბატონო აღალო-ბეგ!

ქ. ევგენ აბაშიძეს ხელით შენი ძველი ისფერი შალის კაბა გებოძათ. გებძანებინა, ესეცო და ახალი კაბაც სტეფანა მკერვალს კარგათ შეაკერვინეთო. მასალა და ხარჯი ნონიასგან იქნებაო. ეს ძველი კაბა მოგვი(ვი)და, მაგრამ ახალი კაბა კი არსად არ მოგვსვლია, არც გვინახამს. მაუდსა და ნიმასა(?) მუსტრები გეთხოვნათ. ღვინის მომტანის თათრების ხელით მოგართვით. არც იმის პასუხი გებძანებინათ. ან რაც იმათის ხელით მოგართვით, ან ვარდაგს(?) ბარათისა რომ არუთინას თეთრი მივე, ბარათი მანდ გ(ა)ახელ. პეტ-

[1] აქ ორი სიტყვა ძნელი გასარჩევია: „სალჩი ბადადს“(?)

როზას თქვენთვის უნდა მ(ო)ერთმევინა. ხოლაღაშვილ(ი)ს მოლარეთხუცესმა ორი თუმანი მამცა. ოცდაორი მინალთუნი ჯერ არ მოუცია. თითონ სოფელში წავიდა ასაყრელათ. ღთით, მოვა, იმ ოცდაორ მინალთუნსაც გამოვართმევ. თუ ბძანებ, მანდ მოგართმევ, თუ ბძანებ, აქ ვისაც მამწერ, იმას მივცემ. ბარათს მანდ მოგართმევ. მანიჟავას(?) ქათიბის ძაღარისა(?) რომ მოგახსენე, რატომ პასუხი დროზე არ მიბძანეთ. გარდამაკვრევინა თეთრი, დიაღ კარგს ნაფაზე გარდმივჭრიანებია. ძაღარის შათალი არს, თუ მიბძანებთ, მოსკოვის მელას ძაღარს უზამთ, რომ ფასი ჯ (შვიდი მინალთუნი) ასე არის. ცოტა რამ მორჩება, თქვენთვის შევინა(ხა)მთ. თუ მიბძანებთ, აქაურს მელას ძაღარს უზამთ, ც (ორი მინალთუნი) ასე არის. დროზე გვიბძანეთ, რომ ეს ქათიბი არ დაგვიანდეს. სამი დასტა ფანჯრის ქაღალდი თავის შრეშით დაგებარებინათ. ფანჯრის ქაღალდი ვეცადენით, ვერსად ვერ ვიშოვეთ, არც იშოვება. იმის მაგიერათ სამი დასტა ქნარქესის ქაღალდი, ერთი სტილი შრეში ბარდნას ნაჭერში შეკრული ამ წიგნის მამტანის ხელით მამირთმევია. სხვა რაც გეთხოვნათ, სულ უკლებლათ, ან დარ(ა)იები, ან ს(ე)იდიშები თავის ნარმით, ნალი და ლურსმანი, რაერთიც გეთხოვნათ, მარილი, საპონი, ბურნოთი, ნიმების(?) მუსტრები(?) სულ თათრების ხელით მოგართვი. ამაების პასუხი არ მებძანა. მადარფაქი გეთხოვნათ. არ იშოვება. მე და ნონიაც ვეცადენით, მაგრამ ვერ ვიშოვეთ. მძივის ნიმუში გებძანათ, ვცდილობთ, მაგრამ არ იშოვება. თუ მოვა სითმე, ან ვიშოვეთ, იშასაც მოგართმევთ. იოვანესთვის ბ ადლი თეთრი ხამის ბაფთა ფრიდონა ყორღანაშვილის ხელით მოგართვით, წიგნიც. არც იმის პასუხი მოგვივიდა. ნება გაქვს. თუ რამ სამსახური გაქვსთ, გვიბძანებდეთ. ღვინობისთვის კბ, ქ~კს უპე. მდაბალი ზაალ იაგულოვი მოგახსენებს.

398. 1798 წლ. მაისის 31. ბრძანების წიგნი გიორგი XII-ისა არაგვის მოხელეებისადმი რუსეთში წამავალი ბაღდასარა ყალუაშვილის გზებზე მშვიდობით გატარების შესახებ. დედანი. ზომა 16×13 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 710 Qd.

ქ. ჩვენი ბძანება არის, არაგვის მოხელენო! მერე, ყალუაშვილი ბაღდასარა თავის საქმეზე რუსეთს მიდის და ამას ჩვენგან დასტური აქვს და ნურავინ დაუშლით წასვლას და გზებზე მშვიდობით გაატარეთ და არავინ რა შესცოდოს ამას. მაისის ლა. ქ~კს უპვ. |___|[1]

[1] ბეჭედი გიორგი მეფისა.

399. 1800 წლ. მარტის 10. პირობის წიგნი ბეითალმანობის წილობის თაობაზე, მიცემულია ინმე ფარსადანას მიერ გიორგისადმი. დედანი(?) დაზიანებულია ძალიან. ზომა 14×18 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 796 Qd.

ქ[ა]კს უპ[ა], მარტის რ ოსეფას წილობის ბეითალმანობის ბარობაზე მე, ფარსადანამ, დავხარჯე ათი თუმანი და ოთხი მინალთუნი. მაისის ი გიორგიმ მამცა ხუთი თუმანი და შვიდი მინალთუნი, რომ ამ ბეითალმანობის დაიხარჯოს[1]. ჯამი იქნება თერთმეტი თუმანი და ოთხი მინალთუნი. ამისი ნახევარი (დანახარჯი გიორგის) არის და ნახევარი მე, ფარსადანასი, არის. ამ თარიღს უკან რაც ამის წყალობის წიგნის საბეჭდავათ დაიხარჯება, ამისი ნახევარი გიორგიმ უნდა მისცეს და ნახევარი მე, ფარსადანამ, უნდა მივცე. როდესაც ამ დანახარჯის სარგებელი გამოვა, ნახევარი თავისი თავნით გიორგის უნდა მიეცეს და ნახევარი სარგებელი თავისის თავნითა მე, ფარსადანას, უნდა მამეცეს, ამ დანახარჯის პი(რი?).

აღიწერა მაისის ათს. მე, ფარსადანს, დამიწერია და ყაბულიცა მაქვს, ქ[ა]კს უპ[ა][2].

ქ. ამ წერილის მოწამე ვარ, დეკაეოზი ტერ-დავით.

400. 1800 წლ. ოქტომბრის 7. უცნობი პირის საქონლის სია ფასებითურთ. დედანი(?) ზომა 21×16 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3669 Hd.

ღ[ა]თით, რაც ჩვენი საშინაო ზანდუკებში საკუთრათ თქვენთვის გამამიგზავნია, თავის ფასებით ქვემოთ დაიწერება.

ბ[ა]ჰუ (ოცდაცხრა მინალთუნი და ორი აბაზი)	ქ. იდ ადლი დემური ნიმი, ა—ცრ (ორმინალთუნ უზალთუნად).
გ[ა]ჯლნ (ოცდათვრიმეტი მინალთ. და ხუთმეტი შაური)	ქ. ე ადლი ხაზყირმიზი მაუდი, ა—ჯლნ (შვიდ მინალთ. ხუთმეტშაურად).
ბ[ა]ცლნ (ოცდაორი მინალთ. და ხუთმეტი შაური)	ქ. გ₀ ადლი ზეითუნის მაუდი, ა—ძფ (ექვს მინალთუნ ნახევარად).
ა[ა]ძფ (ცამეტმინალთუნ ნახევარი)	ქ. თ ადლი ორფერი გარნითური, ა—ჩფ (ერთმინალთუნ-ნახევარი).
ა[ა]ჰქ (ცხრამეტი მინალთუნი და სამი აბაზი)	ქ. ზ ადლი ჩიჩაგლუ ხარა, ა—ცუ (თოთხმეტი აბაზი).

[1] დედანში: „ბითლმანობის დაიხარჯს".
[2] ხელრვთა.

ზ	(ექვსი მინალთუნი)	ქ. ნახევარი ოზმა კაი ფოშტის ქაღალდი, ნახევარი ზარი, ნახევარი უზარო.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. ა გირვანქა თავლაქი წითელი.
ძ	(სამი მინალთუნი)	ქ. გ სათვალე, ა—ჩ (მინალთუნად).
ზ ხქ	(ოცდაექვსი მინალთუნი და სამი აბაზი)	ქ. თ„ ადლი ფირუზი ჩიჩაგლუ ხარა, ა—ცუ (თოთხმეტი აბაზი).
ძ	(სამი მინალთუნი)	ქ. კა თოფი შპალერი, ჯამია.
‿ ჰფ	(ხუთმეტი მინალთუნ ნახევარი)	ქ. ბ ქურქი სინჯაფი მიყიდნია, ა—‿ ჯ (თვრამეტ მინალთუნად) ასე და ერთი ‿ ძ (ცამეტი მინალთუნი). ჯამია ორსავ ‿ ჩ (სამი თუმანი და ერთი მინალთუნი) ამდენი. ამისი კაი ქურქისა ერთი კალთა თქვენია და მეორისაც ერთი კალთა თქვენია და ორი კალთა ჩვენსა აიღებენ, რომ იქნება თქვენზე თალაბი ერთი ქურქი ‿ ჰფ (ხუთმეტ მინალთუნ ნახევარი) ასე.
‿ ბრ	(თვრამეტი თუმანი და ორი შაური)	ქ. იქნება ამისი ია ყალმის ჯამი.

ამისი მაუდები და სინჯაფი აქ მიყიდნია. სხვა მაკარის ხრიდია და იქაური ფასები. შენი ნაჭერი გარნითურისა ეს ორფერა რომ შომიტანეს და დარჩენისა იმის ფერი არ ყოფილაო. ქ. წითელი მაუდი მაკარიდამ მომიტანეს, ადლი ‿ ჩ (თერთმეტი მინალთუნი) ასე. დიაღ ცუდი და ავფერი მომიტანეს. თავშ ვიკარ და ეს მაუდი აქ ვიყიდე, ამაზე კაი ფერი აღარ მოდის. ეს ზეითუნის მაუდი თქვენთვის საკაბეთ ვიყიდე, ამაზე კაი მარბუთ(?) ფერი ვერ ჩავიგდე, რომ შენი საკადრისი ყოფილიყო. კაი მაუდი კი ბევრია ამ ფერის, ადლი ‿ ჰ (ცხრა მინალთუნი) ამდენად. მე ამ ხანათ ეს ვამჯობინე. სათვალე ვ მიყიდნია, გ თქვენია, გ დედის ჩემისა. ფლორი არის, თუ ყმარწვილებისათვის გინდა, ორი საჩიქილე აიღეთ. შენი Ꙋ ყანწიც ზანდუკშია, მიირთვით. თუ კი თქვენს ბაღის მაჭარს დაესწრას, კაი დროს მოგივა. ჩემს საყვარელს ნინოს და ტალუშკას წითელი ფრანგი ატლასის კაბები შევაკერვინე პოლკისა. აქაურნი სომხები დიდნი და პატარანი აგრე აცვიათ. ნაპირის ლენთი (sic) აქ დიაღ კარგათ იდგა. თუ ზანდუკში არ წახდეს, კარგია. თუ ცოტა გრძელი იყოს, უნდა ძირიდამ აუკეროთ, როგორც ორიოდ თითი აქავ ავაკერვინე, მაგრამ ამათ ასე აცვიათ. ორი თითი უნდა მიწაზე ათრევდეს.

ფოსტის ქაღალდი, თქვენც კარგათ იცნობთ, დიაღ მახსუსია, ასლი ფრანგისაა. და ამ შენს რამეებზე ყველაზე თქვენი სახელი სწერია. ღ´თნ შვიდობით თქვენთან მოაწიოს, რომელიც არ მოგეწონოს, სხვას აჩუქეთ. მარდი კაცის ხელის დამჭერი ნამარდი იქნებისო.

შუშანას ქალისთვის რომ სტავრა მიყიდნია და მდივანი იოვანეს პირველი ფარჩა, ორივ ერთი ნაჭერია, ადლი—‿ ‿ ‿

401. 1800 წლ. დეკემბრის 15. მიმართვა კარლ კნორრინღისა (გიორგი XII-ისადმი) ქალაქის სასურსათო ნიხრის თაობაზე. დედანი. ზომა 23×19,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია წერტილი, მძიმე, ტირე ან ფრჩხილები.
საქ. სახ. მუზ. № 14468 Hd.

უგანათლებულესო მეფევ, მოწყალეო ჭელმწიფევ!

უფალმან ღენერალ-მაიორმა ლაზარევმან რეპორტით დეკემბრის დ რიცხუიდგან მაუწყა მე: ვ"დ, უკეთუმცა ტფილისს უმაღლესობისა თქუენისა მიერ დადებული არს ტაქსი, ესე იგი არს ფასი სასუსათოსა (sic) სამზადისისა და სხუათა უსაჭიროესთა ნივთთათა, მაგრა ფასისამებრ მას ტაქსსა შინა განცხადებულისა მოქალაქენი განმსყიდუსნი არა რაჲსა სყიდდენ (sic) და არა შესაძლო იყო ნაღდზედ შოვნა, რაჲცა სანიადაგოდ საჭირო არს. და რადგან იგივე უფალი ღენერალ-მაიორი ლაზარევი აცხადებს ამავე თჳსსა რეპორტსა შინა, ვითარმედ მან მოაკსენა უმაღლესობასაცა თქუენსა, ამისთვის ვსასოებ, რომელ უმაღლესობა თქუენი, ვინადგან გაქუთ სამარადისო თქუენ კერძოდ ზრუნუა, რათა შტაბ- და ობერ-ოფიცერთა და მდაბალთ მოხელეთა საქართუელოს მყოფთა მისის იმპერატორებრის დიდებულების ჯართათა არა აქუნდესთ ნაკლულევანება არა რაჲმესაჲ საჴმარსა ნივთსა შინა, არა დაუტევებს ამისთვის მიცემად ბძანებასა ვისაცა შესაბამ არს.

სხუებრ მივის პატივი ყოფად უსაკუთრესისა მაღალ პატივისცემითა და უუსრულესისა ერთგულებითა, მოწყალეო ჭელმწიფევ, თქუენის უმაღლესობის ყოვლად უმორჩილესი მოსამსახურე, კარლ კნორრინღ.

დეკემბრის იე რიცხუს, ჩყ წელს.

კეთილმშვიდობიანი სოფელი ნაური.

402. XVIII ს-ის დამლევი. ხარჯის ნუსხა უცნობი პირისა. დედანი. ზომა 15×10,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია ორწერტილი, წერტილი ან მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 3627 Hd.
დაახლოებით თარიღდება ხელის მიხედვით.

რაც დავითას უნდა მივცე.

ხ	(ექვსი მინალთუნი)	ქ. ანგარიში ვნახეთ დავითასი, ჩემზე დარჩა.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. ა თოფი ბ„ ნაჭერი ჩითი ქალაქისა.
ს	(აბაზი)	ქ. ჩულების სყიდვაში თავისი მიეცა.
ლ	(თოთხმეტი შაური)	ქ. ა საჩიქილე არ აქვს მისი.
ტ	(ექვსი შაური)	ქ. გ ჩარექი ხორცის ფასი.
ჩყ	(ცხრა აბაზი)	ქ. ა თოფი თავდარი.

ჩს	(ექვსი აბაზი)	ქ. ა მსხვილი ჩადრა.
◊	(აბაზი)	ქ. ბ სტილი ბანბა.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. ბ წითელი ლეინი მსხვილი.
რნ	(სამი შაური)	ქ. ა ადლი ნარმის ნაჭერი.
წს	(ოთხი მინალთუნი და ერთი აბაზი)	ქ. ზ ადლი ყვითელი დაბალი რუსის ჩითი.
სნ	(ხუთი შაური)	ქ. ბ სტილი ბანბა.
ძ	(სამი მინალთუნი)	ქ. ა თოფი ნარმა და ა თოფი ხამი.
ჩს	(ექვსი აბაზი)	ქ. ა წითელი ლეინი.
ჩ	(ერთი მინალთუნი)	ქ. ა მსხვილი ნავთისფერი ლეინი ნაჭრათ.
ჩხ	(ექვსი აბაზი)	ქ. ა ალი მამადის ლეინი.
ჩქ	(რვა აბაზი)	ქ. ა თოფი ქალაქის ნარმა.
ც	(ორი მინალთუნი)	ქ. ა მწვანე ნაშური მსხვილი მაისთვის(?).
ქ	(სამი აბაზი)	ქ. ბ₀ ადლი ტილო.
ჩს	(ექვსი აბაზი)	ქ. ა თოფი მსხვილი ხამი.
⊻	(ოთხი აბაზი)	ქ. ◊ ტანი ნარმა.
ცუ	(თორმეტი აბაზი)	ქ. ბ ვიწრო ნავთის ფერი ლეინი [1].
ქ	(სამი აბაზი)	ქ. დავითას აქვს ჩემი ხათასის საქობე [2].
⊻	(ცხრა მინალთუნი)	ქ. დავითას მივე [2].
ხ	(ექვსი მინალთუნი)	ქ. კიდევ მივე დავითას [2].
◊	(ექვსი მინალთუნი და ათი შაური)	ქ. კიდევ ბ ოქრო მივე [2].

403. XVIII ს-ის დამლევი. წერილი ვინმე ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ს ა ა ღ ა ლ ო-ბ ე გ ი ს ა დ მ ი ბამბის ყიდვის შესახებ. დედანი. ზომა 21,5×10 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრულ ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საქ. სახ. მუზ. № 3860 Hd.

თარიღდება ხელის მიხედვით, დაახლოებით. ა ღ ა ლ ო - ბ ე გ ი ა ღ ა ლ ო ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი უნდა იყოს.

ალალო-ბეგ. ღვინ(ობ)ის ივ.

ქ. ბატონო!

ბანდა ავთანდილ სამსახურის წადილს მოგახსენებ. მერმე, ბატონს რომ ოცი ლიტრა ბანბა ებძანა, ვიყიდე და თანდოანთ მარტირუზას მივაბარე. მეურმეს გამოვატანეთ. მანდ თქვენი ნათლია პეტრუზას მოუტანს და პეტრუზადამ მი(ი)რთვით. ასე იყო, რომ ბანბის პატრონმა ცალი არ გასჭრა და მე და შარტირუზამ ერთათ ვიყიდეთ. ცალი მოვიდა ყაფანში ლიტრა კთ₀ ამდენი

[1] ეს სტრიქონი უკანა გვერდზეა დედნის ხელით და მელნით დაწერილი,
[2] ეს სტრიქონები დედნისავე ხელით და მელნით მარჯვენა აშიაზეა დაწერილი.

ოცის ლიტრის ფასი მე მივეც და ცხრა ლიტრა და ნახევარისა მარტირუზამ. ქირაც მთლათ მიგვიცია—მე ოცის ლიტრისა და მარტირუზამ თავისი. მანდ ლიტრით გაიყავთ, მოიმატებს თუ დაიკლებს, თავის რასათით გაიყოფთ. შენთვის მწვანე ნაშური თქვენი სიძე ესავის კაცის ხელით გაახელ, წიგნიც იმასვე გამოვატანე. იმ წიგნითაც გამიხსენებია და ახლაც მოგახსენებ: რა იქნებოდა რომ შენი ნაქარსაზევი თეთრი და ეს ბანბა ერთათ არ გეთხოვნათ. ჩემი აფალი ხომ კარგათ მოგეხსენებათ. მახლას, წაუხდენელ კაცს(?) არ გაუშვებთ, სულ ჭარას ვიძახი. პატარა შამინახეთ. ღ´თის გულისათვის შამინახეთ, მანამ ძალიან არ გამჭირებია, ჩემი ნამუსი შაინახეთ, ბატონსაც მოვახსენებ და თქვენც.

404. XIX ს-ის დასაწყისი. გაყიდული საქონლის ნუსხა უცნობი პირისა. დედანი. ზომა 16,5 × 12,5 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნნბად ნახმარია წერტილი, ორწერტილი ან მძიმე.
საქ. სახ. მუზ. № 3644

საბუთის ხელი და რეალიები მიგვითითებს XIX ს-ის დასაწყისზე, საბუთში ნახსენები პირები ცნობილია XVIII ს-ის დამლევის და XIX ს-ის დამდეგის სხვა საბუთებიდანაც: მაგ., ქაიხოსრო აბაშიძე იხილე აქვე საბ. № 7086 Hd (1808 წლ.), სულხან მდივანი—„მასალები" I, გვ. 72 (1779 წ.), სოლომონ მდივანი—იქვე, გვ. 95 (1788 წ.), თეიმურაზ მდივან-ბეგი—იქვე, გვ. 83 (1785 წლ. ახლ.) და გვ. 129 (1794 წ.).

ქ. ბატონს ქრანთითული(?) ადლი ვ, დასტა ლაქი, ა გირვანქა ჩაი, ა დიდი შაქარი.
ქ. სარდალს ა ტანი მაუდი, ა შაქარი და ჩაი, დანა ა, ლაქა ბ, კალფავი[1] ა.
ქ. გარსევანს შაქარი ა, ქოში ა, კალფავი ა; ჩაი, ლაქა ბ, დანა ა, ხელსახოცი ა.
ქ. სულხან მდივანს ხელსახოცი ა, თაბაქერქა ა, ლაქი ა; დანა ა, კალფავი ა.
ქ. მირზა გურგინას ყუთი ა, დანა ბ, კალფავი ბ, ლაქა ა.
ქ. სოლომან მდივანს ქოში ა, კალფავი ა, ხელსახოცი ა, დანა ა.
ქ. შიოშ მოლარეთ-ხუცესთან შაქარი ა, ჩაი, ხელსახოცი ა.
ქ. მუხრანის-ბატონს მაუდი ა, კალფავი ა, დანა ა, ლაქი ა.
ქ. ნიკოლოზს ხელსახოცი ა, დანა ა, შაქარი ა, ჩაი ა.
ქ. მერაბს შაქარი ა, ჩაი, კალფავი ა, დანა ბ, ლაქა ა.
ქ. ისაია თაყუას-შვილს შაქარი ა, ჩაი ა, დანა ა, კალფავი ა, ლაქა ა.
ქ. სოლომან მდივანს ქოში ა, ხელსახოცი ა, დანა ა, კბლფავი ა, ლაქა ა.
ქ. ქაიხოსრო აბაშიძეს შაქარი ა, ხელსახოცი ა, ჩაი.
ქ. თეიმურაზ მდივან-ბეგს ქოში ა, ხელსახოცი ა, დანა ა.
ქ. მძახალს დივითას შაქარი ა, ჩაი, ბურნუთის ყუთი ა.
ქ. შიოშის ოსტატს ყუთი ა, ხელსახოცი ა.

[1] „კალფაკი"(?)

ქ. ალმასხანას ჩულქი ა, სამოგვე ა, დანა ა.
ქ. მირიანს ჩულქი ა.
ქ. ბატონის რძალს შაქარი ა, ჩაი და დანა ა.

405. 1801 წლ. თებერვლის 18. არზა იოსებ მაღაქელაშვილისა დავით ბატონიშვილისადმი ქალოჰანეზასთან საქონლის ანგარიშის გაწმენდის თაობაზე. დედანი. ზომა 21,5×14,5 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 3684 Hd.

ამ საბუთის პირს წარმოადგენს საქ. სახ. მუზეუმის საბუთი № 11495 Hd. წინამდებარე დედნისათვის კი, ცოტა არ იყოს, უცნაური გარემოებაა რომ თვით არზა დათარიღებულია თებერვლის 18-ით, ოქმი კი იმავე თვის 17-ით.

ქ. მათის იმპერატორების დიდებულების ბრძანებით საქართველოს მმართებელის და მემკვიდრის დავითის წინაშე მოსახსენებელი იოსებ მაღაქელაშვილისა.

ერევანს, ქალოჰანეზას, ჰირიანობის წელიწადს ერთი საპალნე რუსული საქონელი გაუგზავნე გასასყიდლად. ამისი ანგარიში გაუწმენდელი გახლავსთ. რამთენჯერ წიგნი მოვწერე, არ გამიკითხა. ახლა იმის შვილი აქ გახლავსთ. ოქმი და იასაული მიბოძოთ, ვისთანაც იმან მოინდომოს, სამართალში მელაპარაკოს და ანგარიში გამიწმინდოს. თებერვლის იშ, ქ^კს უპთ.

ზემო აშიაზე სხვა ხელით: ქ. მათის იმპერატორების დიდებულების ნებით ს^დ საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით გიბრძანებ, კაკა გერმანოზიშვილო, მერე ამ არზით იოსებ მდივანი რომელსაც უჩივის, სამი-ოთხი მოქალაქე დაუსხი და სამართლით და ანგარიშით პასუხი მოაცემინე.

თებერვლის იზ, ქ^კს უპთ. [1] **დავით**

406. 1806 წლ. იანვრის 7—თებერვლის 24. საგზაო წიგნი უცნობი პირისა (მარშრუტი: იკოთი—ტფილისი—განჯა—ნუხა—შამახია—ნუხა—განჯა). დედანი. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნებად ნახმარია წერტილი, ან მძიმე თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.
საქ. სახ. მუზ. № 3874 Hd

საბუთში იხსენიება კნიაზი ციციანოვი, რომელიც ამ დროს თითქოს ბაქოზე ლაშქრობს. ციციანოვი ბაქოსთან მოჰკლეს 1806 წლ. 8 თებერვალს. ამგვარად, თითქოს დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საბუთში ნახსენები თარიღები იანვრისა და თებერვლისა 1806 წელს ჰგულისხმობს. ქაღალდის ჰვირნიშანი გვიჩვენებს (18)03 წელს.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ.
იანვრის ზ, კვრას იკოთიდამ წამოველ. მჰადის-ჯვარს დავდეგ. მეორეს

[1] ბეჭედი ჯსომთავრული წარწერით.

დღეს მუხრანს დავდეგ. მუხრანიდამ თ ქალაქს ჩამოველ. ოთხი დღე ქალქს ვიყავ. გიჟის მდევნელი მარადის ცარიელი დარჩება ყოველთვის. ესე ყოველივე დაუტეოთ. ვიწყოთ ქალაქიდამ გამომგზავრობა. კვირას იდ კუმისკ(ს) დავდექით. კუმისიდამ იეშიხილში დავდექით მუსტაფაღას სახლში. კარგა დაგვხვდა. შიხილიდამ ივ ძაგამს წყლის პირზე დავდეგით ჩვენის ხურჯინების სინაბარას. ძაგმიდამ იზ განჯას ჩავედით, ქილისაქანდში ბადალქემხას დავდექით. დიალ კარგა დაგვხვდა. იშ იქავ ვიყავით. განჯიდამ ით ქურაგბასანს დავდექით. ქურაგბასანიდამ ნავებით მტკვარს გავედით და სომხის სოფელს ქანდაკს დავდეგით. ქანდაკიდამ კა დანას დავდექით. დანიდამ კბ ორშაბათს ნუხს სელიმ-ხანის სახლში მოველ. კაცებს სოფელში ყონაღი მისცეს, მე სასახლეში დამაყენეს. ხანი შინ არ იყო. კაცი გავაგზავნინე, ჩემი მოსვლა შევატყობინე. მეხუთეს დღეს სელიმ-ხან მოვიდა, კარგა მიმიღო. საუზმე, საღილი ყველი და თაფლი და პური იყო და ვაბშამი ფლავი უპუროდ. წასვლი დროს ერთი კარგი კაცი გამატანა ექვსი კაცითა. შამახიის ხანს მუსტაფა-ხანსაც წიგნი მისწერა: ჩემი მოყვარე არის, კარგა რიგიანად გაისტუმრეთ. ერთი ბარგის ცხენიც მომცა ბაქუმდინ, ეს კაციც ბაქუმდინ უნდა მიმყვეს. საჩუქრად ერთი თეთრი შალი ძამცა ფათა არშიანი, ღირს სამათ ანუ ოთხ თუმნად; ყალამქარი ერთი არეული და ერთი წვრილი ხეებიანი, ღირს ორივ ორ თუმნად; სამი დარაიბაბთი, ღირს თითო რვა-რვა მინალთუნად, ლურჯებია და სხვა და სხვა თარი. ნუხიდამ ლ სამშაბათს წავედით, ქუნგუთს სოფელში დავდექით. ქუნგუთიდამ ლა ხაჩმაზს დავდეგით აღა შირინ-ბეგის სახლში. კარგათ მიგვიღო. ხაჩმაზიდამ თებერვალს ა ყურთყაში დავდეგით აჰმად-სულთანის სახლში, აქაც კარგათ მიგვიღეს. საგძალი ავიღეთ და ბ თოფჩში აზაი სულთნის სახლში დავდეგით. თოფჩიდამ გ შაბათს თობუშენს სომხის სოფელში დავდეგით. თობუშენიდამ დ სულუთში დავდეგით ფითდალის ძირში. მუსტაფა-ხანს კაცი გაუგზავნეთ, შევატყობინეთ. იმავ დღეს კაცი გამოეგზავნა, მოვეკითხე და რომელიც ჩემთან სელიმ-ხანის კაცი იყო, ის დაებარებინა. მეორეს დღეს ე წავიდა ხანთან, ენახა და ისე ეთქვა, ხვალ მეც მანდეთ ჩამოვალო. ჩემგან იმ ციხის ნახვა არ უნდოდა, მაგრამ ძირიდამაც ვნახე—მაგარი ალაგია, მაგრამ, როგორც ამბობენ, იმოდენი კი არ არის. ხანს კაცი გამოეგზავნა, აღსუ ქალაქია, იქ ჩადით, მეც იქ ჩამოვალო. ჩვენი ცხენები რომ დაღალულები იყო, დანამშევი, ვ საღიანს სომხის სოფელში დავდეგით. იქ ერთი ეკლესია იყო სომხისა, კარგათ ნაშენი, თლილის ქვისა. ხალიფა უზით, მაგრამ აქ არ იყო, ხანს ციხეში წაეყვანა. ორიოდ ტერტერა იყო, კარგა მიგვიღო. ჯერ კი შეშინდენ, ამიტომ რომ ხანი გვიწყენსო. მერე, წინამძღოლი რომ ნახეს, მიგვიღეს, მაგრამ სათანიოდ კი არა მოგვყიდეს რა, ამიტომ რომ ხანი ჯარიმას წაგვართმევსო. მელიქ-ჯიმშიდის კაც(ს) დახვედროდ(ენ), შეეწყნარებინათ და ხანს ამისათვის ჯარიმა წაერთმია. რომელიც სელიმ-ხანისაგან ნათხოვრად იაბო მყვანდა, ისიც სელუფიდამ პატრონმა მოიპარა. ჩვენი ცხენები სულ დაგვიცვივდა, თორემ ამდენი ხანი გზაზე არ უნდა მევლო. რა მანდედამ გამოვსულვარ, მას აქეთ ქვეშაგები არ გამიხსნია, ხან სხვისა მეგო და ხან ისე ვიყავ, თუმცა ჭირნი ჭილისაგან, ჭირნი ქვეშაგებისაგანაც. ზ აღიანიდამ აღსუ-ქალაქს შამახიას ჩა-

ვედით, რომელშიაც არც არის სახლი, ყველა დაქცეული(ა), არც ხალხია, არც არა იშოება სასმელ-საჭმელი. ხანი მოვიდა (?), ხანი ვნახე და მითხრა: სელიმ-ხანს წიგნი მოუწერია ჩემთვის და ელიზბარც ჩემი მეგობარი კაციაო, და როგორ გაგისტუმრო უბრალოთო, ყიზილბაშის ჯარი გზაზე დგასო. მე კაცს გაგატანო, მაგრამ ჩემი კაცი გაგექცევაო და ჩემთვინ სირცხვილიაო. მე უთხარ: სელიმ-ხანს თქვენთან გამოუგზავნივარ, თუ ფიქრი არა არის რა გამისტუმრე, თუ არა და ნუ გამგზავნი გასაცარცველად-მეთქი, თქვენვე გამცარცოთ, ის სჯობს მეთქი. გაიცინა და მითხრა: რომ გაგცარცო რა წაგართვა, ეგ ხატი რომ აგყარო მე ხომ არ დავიკიდებო. ბოლოს მითხრა: სამს დღეს მოიცადე აქა, კნიაზთანაც კაცი გამიგზავნია და ისე ამბისთვინაც კაცი გამიგზავნიაო, ვნახოთ იქიდამ რა ამბავი მოვა; თუ ვამჯობინე, გაგისტუმრებო. კარგი იქნება-მეთქი. დავრჩი აქა. ელიზბარს აქებდა ხანი. არა თუ ხანი, ყოელი შაქელი და ყოელი შირვანელი კაცი აქებდა და მადრიელობას ამბობდა. ფირ-ყული-ხანის ელჩი მოუიდა, აგრეთვე შიხ ალი-ხანის ელჩი მუსტაფა-ხანსა ჯარს სთხოვს. არ ვიცი, რასა იქს, მისცემს თუ არა. ზედ კნიაზ ციციანოკის წიგნი მოუვიდა, რომელშიაც სწერდა: ყადაღა გიქნია, რომ უცხო კაცი ვერას იყიდისო, რომელიც მართლა მოეწერა. წაიკითხა ჩვენთანა და ასე თქვა: არ მინდა და არას გავაყიდინებ ჩემს მამულშიო, რას მაყვედრისო, ტყვე არ გამოუხსნივარ და ორმოდამ არ ამოუყვანივარო; ყიზილბაში ყჯედრებას ცალკე მწერსო და კნიაზი ცალკეო; არ ვიცი რა უნდა ვქნაო; კნიაზს მადრიელი კი არაკინა ჰყავსო, რა ამბავიაო არ ვიციო. წამოვედით, საღამოზე კიდევ დავებარებინე მეცა და აჭიაც(?), რომელიც ჩემთან იყო. მივედით, ფირ-ყული-ხანის კაცი და შიხ-ალი-ხანის კაცი და შუშის ხანის კაცი და შუშის ხანის შვილის აბულ-ფათის კაციც იქ იყო. ბევრი ვილაპარაკეთ, კნიაზი არ უნდა წასულიყო, მეც უშალეო. ბოლოს დასასრულზე ასე თქვა: თუ ბაქუ აიღო, იმას ვემსახურებიო, თუ არ აიღო კნიაზმა ბაქუ, და არც მე ვემსახურებიო, არც სელიმ-ხან და არც სხვა ვინმეო. ავდეგით და წამოვედით. ისინი იქ დარჩენ. ფირ-ყული-ხანის კაცმა ესეცა თქვა: ჩემი ეს გამიტანეთო, ფიცით ფირ-ყული-ხანთან მივიყვან, იქიდამ იმპერატორთან მივიყვანო. მითამ ეს აზრი იყო რომ, ჯარიც რომ მიეშველოს, კიდევ არა შეუძლიან რაო, თუ ზღვით არ გაიქცაო. სულხაი-ხანის ძმისწული ვნახე თ, ფათალი ჰქვიან. ბევრი მელაპარაკა, მეგობრობაზე შემომფიცა, მარილი მამცა და კნიაზთან ელიზბარს შუამავლობა სთხოვა,—განჯი-ხანის ცოლი იმისი ბიძაშვილი არის, ის მოგვცესო. მეც იმედი უთხარი. კვირას გამოვბრუნდით დაქცეულის შამახიდამ ია და თათრის ობას ქურთმაში დავდეგით. იბ ორშაბათს პირველს თევდორობის კვირას ქურთმაშიდამ წამოვედით, ყაბალას დავდეგით. იგ ყაბალადამ წამოვედით, მუხასს დავდეგით. იდ მუხასიდამ წავედით, ნუხის ქალაქს სელიმ-ხანთან მივედით. სომხებში დავდეგ, ამიტომ რომ რადგან მარხვა იყო, სასახლეში აღარ დავდეგ, სომხებში უფრო ვიშოიდი სამარხოს. იე ხუთშაბათს ხანი ვნახე. მითხრა: რატომ აქ ჩემს სახლში არ ჩამოხე, ჩემი მოყვარე და ნათესავი ხარ, სომხებში რათ ჩამოხეო. მე უთხარ: მარხვა არის და არამც შეგაწუხებდით და მიტომ ჩამოვხე, ისიც თქვენი სახლი არ არის მეთქი? კარგიო. ნუხიდამ კა ოთხშაბათს წამო-

ველ და დანას დავდეგ. დანიდამ წამოველ კბ, მინგაჩაურს დავდეგ. მინგაჩაურს მტკვარს გამოველ ნავით კგ და ქურაგბარას დავდეგ. ყოელი ფერი ვიყიდე, მუქთი არა მიშოვიარა. კდ განჯას მოველ შაბათს.

განის აშიაზე დედნის ხელით: ქ. ერთი წიგნი განჯიდამ ამილახვარის-შვილს გამოვატანე და ერთი წიგნი ნუხიდამ მელიქ ჯიმშიდს გამოვატანე და სრული ყოველივე მოგახსენე.

407. 1806 წლ. აგვისტოს 11. ჩვენება იაკობ ჯანუაშვილისა და მაია მურადაშვილის ქალისა სოფ. ხელთუბანში თამბაქოთი და ბურნუთით ვაჭრობის შესახებ. დედანი. ზომა 36,5×22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 3761 Hd.

ჩყვ-სა წელსა, აგვისტოს ია დღესა გამოკითხვა.

ჩვენება.

მე ვარ გვარით ჯანუაშვილი. მამაჩემს ეწოდებოდა სახელად თეიმურაზა და მე მქვიან სახელად იაკობ. ვიქნები წლისა ოცდაათისა. ვარ სარწმუნოებით სომეხი და სოფელსა ხელთუბანს მცხოვრებელი. რომლისათვისაც მკითხამთ, მე გამოვაცხადებ ესრეთ სიმართლით: ვიყიდე მე თამბაქო ოთხი ლიტრა და ბურნუთი ერთი ლიტრა გორში მცხოვრებელის გაბრიელ მამასახლის(ის)-შვილისა და სტეფანე ფერშანგოვისაგან გავლილსა წელსა ჩყე, დეკემბრის კზ დღესა. მივეც ფასი თამბაქოში ოთხი აბაზი ლიტრაზედ და ლიტრა ბურნუთში ორი მინალთუნი. ბურნუთი მოიტანა თვით გაბრიელ მამასახლისის-შვილმა სოფელს ხელთუბანს და იქ მომყიდა, რომელსაც გამოუცხადე, რომ ვყიდულობ მე წვრილად გასასყიდველად და მოსაგებათ, რომელსაც კულავაც ბევრჯელ მეყიდნა და გამეყიდნა. აგრეთვე თამბაქო ვიყიდე ამავ გაბრიელისაგან გორის ქალაქსა შინა, რომელიც ამას ზევით გამომიცხადებია. ამაზედ მეტი არავისგან არ მიყიდნია და არც გამიყიდნია და ამ ნასყიდის თამბაქოსი მაქვს კიდევ მე გასასყიდელად თამბაქო ექვსი დასტა და წონით არ ვიცი რა ერთი იქნება და ბურნუთიც მექნება სტილ-ნახევარი. იმ რიცხვიდამ ამ რიცხვამდინ გამიყიდნია და ეს დამრჩომია. და გარდა ჩემისა არიან ბურნუთის გამსყიდველნი სოფელსა ხელთუბანს მცხოვრებელი: 1. სტეფანე ეშმაკურაშვილი, 2. ღუგაზა, 3. ყარაშოღლიანთ მაია, 4. მეგრელის სახლში მოაქვს ჯავახს ნონიასა და ჰყიდიან იმ სახლიდამ. ამაზედ მეტი არა ვიცი რა. სისწორით გამომიცხადებია და ამ ჩემგან ჩვენებას ხელს ვაწერ და როდესაც იჯარადრისაგან თამბაქო მიყიდნია, ჩემთვის მოსაწეველად დამიფქვამს ხელსაფქვავით და მე მომიწევია და სხვისათვის კი არ მიმიყიდნია.

სხვა ხელით: ამ ჯანუაშვილმა იაკობმა წერა არ იცოდა და მისი თხოვნით მე, მამუჩაშვილმა იოანე დიაკონმა, ქელი მოვაწერე.

Verso:

მე ვარ ბვარით მურადაშვილის ქალი და ყარაშოლლიანთ რძალი. სახელად მეწოდება მაია. ვიქნები წლისა ორმოცდათოთხმეტისა და ვარ სარწმუნოებით სომეხი. რომლისათვისაც მკითხავთ, მე თამბაქო არავისგან არ მიყიდნია. ვიყიდე მე მხოლოდ ბურნუთი გავლილსა წელსა ჩყე, დეკემბრის კთ დღესა; გორში მცხოვრებელმა გაბრიელ მამასახლისის-შვილმა მომყიდა ნახევ(არი)ლიტრა ბურნუთი სოფელსა ხელთუბანს. მივეც ფასი ექვსი აბაზი. იმ რიცხვიდამ ამ რიცხვამდინ მქონდა და ვჭყიდდი და დღეს გავათავე. ამაზედ მეტი არა ვიცი რა, რომელიც გაჩვენე. ამ ჩემგან ჩვენებულს ხელს ვაწერ.

სხვა ხელით: ამ მურადაშვილის ქალმა მაჩამ წერა არ იცოდა და მე, იოანე მამუჩაშვილმა, ამისის თხოვნით ველი მოვაწერე.

408. 1808 წლ. იანვრის 26. წერილი ნატალია ამატუნისა ამილახვრის ასულის ანნასადმი სამხითვო ნივთების შესყიდვისა და დამზადების შესახებ. დედანი. ზომა 33,5×20,9 სმ. დაწერილია მოლურჯო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს.
საქ. სახ. მუზ. № 7086 Hd.

მისს ბრწყინვალებას, ამილახორის ასულს ანნას, მოწყალეს ველმწიფეს.

მდაბლად მოკითხვას მოგახსენებ და თქვენი წერილები მებოძა. რაც გებრძანათ, ვცან. ბეჭედი გავაკეთებინე ჩემის ნეკისა, ცოტა ოქროც მორჩა, ბეჭე(დ)თან მოგერთმევათ. ჯაჭვი გავაკეთებინე, მგონია მოგეწონოსთ, მაგრამ როგორც თქვენ მოგეწერათ, ისე არ მოხერხდა. ორმოცდაერთი ოქრო მოუნდა. მეც ჰინდოდა, რომ როგორც მოგეწერათ, ისე გაკეთებულიყო, მაგრამ ოცდათოთხმეტი ოქროსგან ჯაჭვი არ გაკეთებულიყო და ვერ გავაკეთებთო. სასაცილოს ხომ ვერას გაგიკეთებინებდი. სიგრძე ცოტა მოკლე არის. თუ იმოკლოს, კისერში ძაფი უყავით. როცა ენდომება, ოთხი ოქრო რომ მისცეს, სიგრძეს მოუმატებს. ორი შაურის წონა დ(ა)აკლდა ქამუტი. გაკეთებაში უიმისობა არ იქნება, რომ არ დ(ა)აკლდეს. ცოტაც დ(ა)აკლდა. მის ჯაჭვში ერთი ოქრო დ(ა)აკლდა. ექვსი მინალთუნი ხელფასი. ერთი აბაზიც შაგირდანა. მისხალი აბაზათ მოვა. მასხალი ექვს შაურს და ხუთ შაურს ნაკლებ კი არავისთვის არ აკეთებენ. ჩემთვის ვერ ვეცდებოდი ამთენს, თქვენმა მხემ. რა ექნა, თეთრი ცოტა იყო და დაბარებული ბევრი იყო. ჯვარი ვერ შემხვდა რაც ფასისა მოგეწერათ, ორის თუმნისა. და ორ-თუმან-ნახევრისა კი იყო უბრალოები, სპილენძის ჯაჭვით. ბევრს ვეცადე, შენ ნუ მომიკვდები, და ვერსად ვიშოვე. ჩემის იმედით იყავით. ამისთვის გამოვგზავნე ეგ ჯვარი, ორის კვირის თავდებათ დავდგომივარ მაგისს პატრონს. თუ ორს კვირაზე ჯვარი არ მოქცე, თეთრი გამომართვი-მეთქი. უთქვენოთ ვერ ვიყიდე. შვიდ თუმნათ დამიფასა, მე ექვსი თუმანი უთხარი. სიტყვით შორს დაიჭირა და არ ვიცი, თეთრი რომ გაუგზავნო, მისცემს თუ არა. თუ გეღირებოდესთ და ან ამჯობინოთ, იყიდეთ.

თუ არ ინდომოთ, მალე მიბოძეთ, არ შემიბრუნებს. თუ დაგიგვიანებიათ, მე დამატყდებაჲ. ფუტა და დორის პირიც იაფის ფასათ გიყიდე. მაფრაშეპი და ქეჩა ვერ ვიშოეთ და ვცდილობ ეგება ვიშო(ვ)ოთ. ნაკერი ხელსახოცი და ქინძისთავი, მწვანე ხელსახოცი გეთხოვნათ, ფასი გეკითხათ, გამოართვით. ნაკერი ხელსახოცი ისე მ(ი)ირთვით და მეორები დახარჯეთ როგორც გინდათ. სხვაც მინდოდა ზოგიერთი ოქრომკერდით ნაკერი თქვენის ქალის სამზითოთ შემეკერა, მამერთმევინა. თქვენ ნუ მამიკვდებით, ექვსი კვირა არის თავის ტკივილისაგან თავი ბალიშიდამ ვერ ამიღია, რაღაც დამემართა. ბესარიონ გამოგეგზა(ვ)ნათ. აკი ბოგახსენე, ეს მე არას მარგებს. სასამართლომ არ დაამტკიცა და ერთიც რომ გაიქცეს, ვინ უნდა დაეძებდეს, სულ მანდედკენ (sic) ხომ არ წამოვა. დიახ გარყვნილი რამ არის. იქიდამ ბინას კი არ იშლის, სულ იმათსა გდია საცა იყო. მგონია არ გამამადგეს. სხვა, თქვენს მშვიდობის ამბავს ნუ დამაკლებ. ამ წიგნში ნუხსა (sic) ძე(ვ)ს, რაც დახარჯულა იმითა სცნობთ. წიგნი რომ მოვეწერათ, შენახული მქონდა, მიმბაშს მივართვი.

თქვენის ბრწყინვალების დათა და მეგობრათ მესაკუთრებული ნატალია (ა)მატუნი.

მისს ბრწყინვალებას ქაიხოსროს აბაშიძეს და აგრეთვე თავის დას სიყვარულიანს მოკითხვას მოვახსენებ.

ქ. ჩემმა ძმამ გაბრიელმა მდაბლათ სამსახური მოგახსენათ და მოკიოხვისათვის მადლობა.

გულმართლისას და ნანავერდის სიყვარულით მოვიკითხავ.

იანვრის კვ დღესა, ჩყ-ს წელსა, თფილისს.

409. 1808 წლ. ახლ. საპატრიარქო ბაჟის ნუსხა. პირი. ზომა 36,5×22 სმ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ. ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 1492₃ Sd.

ქაღალდის ჰვირნიშანი უჩვენებს 1808 წ. და საბუთიც ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი.

რაც საპატრიარხო ბაჟნი არიან დაშთომილნი ადრიდგანვე, საკელმწიფოს სახაზინოს ცნობასა შ-ა შეტანილით გარდა, ყოველნივე ამას ქვეით დაიწერებიან.

პატრიარხის ყმათა ზედა ბაჟთა განწესებანი.

ს (აბაზი)	ქ. რუსეთიდამ მოტანილს საქონელზე თუმანზე.
სნ (5 შაური)	ქ. აქედამ რუსეთს წაღებულს საქონელზე თუმანზე.
ღ (14 შაური)	ქ. ბათმანს აბრეშუმზე.
სნ (5 შაური)	ქ. ქართლიდამ მოტანილს ფარჩაზე თუმანზე.
	ქ. ზეთისხილზე საპალნეზე—ერთი ჩარექი.

ნ (შაური) ქ. წმინდა სანთლის ლიტრაზე.
კე ($^1/_2$ შაური) ქ. კანაფზე ლიტრაზე.
კ (ბისტი) ქ. რკინის ლიტრაზე.
ნ (შაური) ქ. ნასთზე ლიტრაზე.
სნ (5 შაური) ქ. აქედამ ქართლში წაღებულს ფარჩაზე თუმანზე.
ჩ (მინალთ.) ქ. ბანბის საპალნეზე.
ც (2 მინალთ.) ქ. ურემს თევზზე.
უ (2 აბაზი) ქ. ა საპალნეს თევზზე.
ხ (აბაზი) ქ. ა გუდას ხიზილალაზე.
ტ (6 შაური) ქ. ყველის საპალნე გაიტანონ თუ, შემოიტანონ.
ტ (6 შაური) ქ. ერბო გაიტანონ, თუ შემოიტანონ, საპალნეზე.
ქ (3 აბაზი) ქ. თაფლი შემოიტანონ, თუ გაიტანონ.
ნ (შაური) ქ. კამბეჩის ტყავზე.
რნ (3 შაური) ქ. გაკეთებულს ხარის ტყავზე.
ფ (10 შაური) ქ. გაუკეთებელს თხის ტყავზე, საპალნეზე.
კ (ბისტი) ქ. ა გაკეთებულს თხის ტყავზე.
კე ($^1/_2$ შაური) ქ. ა მარილს ქვაზე.
ნ (შაური) ქ. ა ბათმანს ენდროზე.
ნ (შაური) ქ. რონელიც ქართლში წაიღება სპილენძის ლიტრაზე.
ტ (6 შაური) ქ. ბრინჯზე საპალნეზე.
რ (უზალთუნი) ქ. ხილი თუ გაიტანება, საპ(ა)ლნეზე.
ტ (6 შაური) ქ. ნიგოზზე საპალნეზე.
ფ (10 შაური) ქ. ქონის საპალნეზე.
ქ (3 აბაზი) ქ. კახეთიდამ ღვინის ურემზე.
სნ (5 შაური) ქ. თუ ფარჩა შემოიტანეს, თუმანზე.
რ (უზალთუნი) ქ. თუ ენდროზე მოიტანეს, ბათმანზე.
ქ (3 აბაზი) ქ. თაფლის საპალნეზე.
ტ (6 შაური) ქ. სურმისა და ნიგვზის საპალნეზე.
რ (უზალთუნი) ქ. ვაშლის საპალნეზე.
რ (უზალთუნი) ქ. კანბეჩის ტყავზე.
ლ (14 შაური) ქ. აბრეშუმის ბათმანზე.
ტნკე (7 შაურ-ნახევარი) ქ. აქედამ კახეთს გატანილს ფარჩაზე, თუმანზე.
ჩ (მინალთ.) ქ. ბანბის საპალნეზე.
ც (2 მინალთ.) ქ. ა ურემს თევზზე.
უ (2 აბაზი) ქ. ა საპალნე თევზი იყოს, თუ ხიზილალა.
ქ (3 აბაზი) ქ. ა საპალნე ერბოზე.
ტ (6 შაური) ქ. ა საპალნე ბრინჯზე.
ლ (14 შაური) ქ. ა საპალნეს თხის ტყავზე.
კ (ბისტი) ქ. გაკეთებულს სამოგვეზე.
რნ (3 შაური) ქ. გაკეთებულს ძროხის ტყავზე.
ი ($^1/_2$ ბისტი) ქ. წყვილს ქოშზე.
იე (3 ფული) ქ. ა თაქალთოზე.

ღ (14 შაური) ქ. ა საპალნეს ზეთზე.
ჩს (6 აბაზი) ქ. ზეთისხილი რომ წაიღონ კახეთს. საპალნეზე.
ც (2 მინალთ) ქ. ამათვე წვრილმანი რომ წაიღონ, საპალნეზე.
რ (უზალთუნი) ქ. სპილენძზე ლიტრაზე.
ყ (4 აბაზი) ქ. ა საპალნეს რკინაზე.
შ (18 შაური) ქ. ა საპალნეს ნალზე.
მე (9 ფული) ქ. ა ქვას მარილზე.
ც (2 მინალთ.) ქ. ყრაღიდამ რომ თევზი მოიტანონ, ურემზე.
ქ. ა საპალნეს გელაქნურზე—ორი გელაქნური.
სნ (5 შაური) ქ. ელისაბედპოლიდამ საქონელი რომ მოიტანონ, თუმანზე.
ფ (10 შაური) ქ. ენდროს საპალნეზე.
ჩქ (8 აბაზი) ქ. ელისაბედპოლიდამ მოტანილს რუსულს რკინაზე, ურემზე.
ჩ (მინალთ.) ქ. ელისაბედპოლურს რკინაზე, ურემზე.
ქ (3 აბაზი) ქ. ნალის საპალნეზე.
ც (2 მინალთ.) ქ. ელისაბედპოლიდამ მოტანილს წვრილმანის საპალნეზე.
რ (უზალთუნი) ქ. თუ ქოფაჩის შალს მოიტანენ.
რ (უზალთუნი) ქ. ამათგანვე მოტანილს წამოსასხამს ნაბადზე.
კე (1/2 შაური) ქ. ლეკურს შალზე.
კე (1/2 შაური) ქ. გატანილ-შემოტანილს ქვეშ საგებს ნაბადზე.
ნ (შაური) ქ. ღორზე.

საველმწიფოთა კაცთა და ეგრეთვე სხვათაცა ყმათა აძესთ:

რნ (3 შაური) ქ. აქედამ რომ რუსეთს საქონელი წაიღონ, თუმანზე.
უ (2 აბაზი) ქ. ამათვე აბრეშუმი რომ წაიღონ, თუმანზე.
ტ (6 შაური) ქ. ამათვე ქანდიდამ ჭმელი თევზი რომ მოიტანონ, ურემზე.
ქ. ამათვე ახალი თევზი რომ მოიტანონ, საპალნეზე ნახევარი თევზი.

410. 1810 წლ. იანვრის 10. წერილი ვინმე დავითისა მანუჩარ (თუმანიშვილისადმი) ქოლოთს, სტეფან-წმინდას და დავით-გარეჯაში ბროლის კენჭების შესყიდვის შესახებ. დედანი ზომა 22,5 × 18,5სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრ. ხელით. განკვეთ. ნიშნად ნახმარია წერტილი.
საქ. სახ. მუზ. № 14408 Hd.

ჩემო საყვარელო მეგობარო, ,ნიაზ მანუჩარ!

სამდურავი გეპრძანათ, ვითომ მე დამევიწყებინოთ. ვგონებ, ეს არ შეიძლებოდეს და არც მოიფიქრებოდეს, აბიტომ რომ სიყრმითგანი შეკრულობა არ იყაბულეს. ჩემი ვედრება ეს არის თქვენთან: ამ ძვირობის მიზეზით ალმოსავლეთის ბროლი დაძვირდა. კარგი დიდროანი კენჭები ქოლოთისა და სტეფან-წმინდისა, ეგრეთვე დავით-გარეჯას ხომ ღახვალთ, ზოსიმე ბერია, იმას ჰკითხეთ—საუცხოო ბროლებია ,ქ ყვითელ-შავი და სხვა ფერები და თეთრის, მა-

